



Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 C l a s s i c s o f M a r x i s m

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

<http://ciml.250x.com>



GEORGIA

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

№ 25050



ლენინი

თხზულება

38

იგეჟდეგა
რკკ(ზ) IX შრილოგისა
და სსრკ საგჟოგის
II შრილოგის
დადგენილეგით

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА ПРИ ЦК КПСС

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

1958

საქართველოს კპ ც. კ-თან არსებული პარტიის ისტორიის
ინსტიტუტი — სკკპ ც. კ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის
ინსტიტუტის ფილიალი

პ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1963

პ. ი. ჯენინი

ტომი

38

ფილოსოფიური
კვლევები

წინასიტყვაობა

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის ოცდამეტვრამეტე ტომი შეიცავს კონსპექტებსა და ამონაწერებს წიგნებიდან, სადაც მარქსისტული ფილოსოფიის საკითხებზე მოცემულია ვ. ი. ლენინის კრიტიკული შენიშვნები, შეფასებანი და დებულებანი, იგი შეიცავს შენიშვნებს, ფრაგმენტებსა და ფილოსოფიური ხასიათის სხვა ლენინურ მასალებს.¹

ტომში შესულია ვ. ი. ლენინის ის ფილოსოფიური შრომები, რომლებიც პირველად 1929—1930 წლებში ლენინის IX და XII კრებულებში გამოქვეყნდა, შემდეგ კი 1933 წლიდან 1947 წლამდე არაერთხელ გამოიცა ცალკე წიგნად, რომელიც ცნობილია «ფილოსოფიური რვეულების» სახელწოდებით. ეს მასალა შეადგენს ათი რვეულის შინაარსს; აქედან რვას, 1914—1915 წლებს რომ მიეკუთვნება, ლენინმა უწოდა «ფილოსოფიის რვეულები». გარდა ამისა, ტომში შეტანილია ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების საკითხებზე დაწერილი წიგნების შესახებ ის შენიშვნები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა ცალკეული ჩანაწერების სახით ჩაწერა მოსამზადებელი მასალების შემცველ სხვა რვეულებში, შეტანილია აგრეთვე ამონაწერები სხვადასხვა ავტორთა წიგნებიდან ვ. ი. ლენინის შენიშვნებითა და ხაზგასმებით.

«ფილოსოფიური რვეულების» წინა გამოცემებთან შედარებით ამ ტომში დამატებით შეტანილია ვ. ი. ლენინის შენიშვნები და ჩანაწერები გ. ვ. პლეხანოვის ბროშურაზე «მარქსიზმის ძირითადი საკითხები», ვ. შულიატიკოვის წიგნზე «კაპიტა-

ლიზმის გამართლება დასავლეთევროპულ ფილოსოფიაში. დეკარტიდან ე. მახამდე», ჩანანიშნები და ხაზგასმები ა. დებორჩის სტატიის «დიალექტიკური მატერიალიზმის» იმ გვერდებზე, რომლებიც არ იყო შესული წინა გამოცემებში, შენიშვნები გ. ვ. პლენანოვის წიგნზე «ნ. გ. ჩერნიშევსკი», მათ შორის ვახაზვები, რომელთა შესახებ ამ გამოცემაზე მუშაობის პროცესში დადგინდა, რომ ისინი ეკუთვნის ვ. ი. ლენინს, აგრეთვე მთელი რიგი შენიშვნები ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების წიგნებისა და ამ წიგნებზე დაწერილი რეცენზიების შესახებ. ასე, მაგალითად, ამ ტომში პირველად ქვეყნდება ვ. ი. ლენინის შენიშვნა იმ რეცენზიაზე, რომელიც დაიწერა გერმანელი ბუნებისმეტყველის ე. ჰეკელის შრომებზე «სიცოცხლის სასწაულები» და «სამყაროს გამოცანები»; ეს შრომები ჰეკელმა 1904 წლის დასასრულს დაწერა.

«ფილოსოფიურ რვეულებში» შესული დოკუმენტების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება 1914—1916 წლების პერიოდს. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ პირველი მსოფლიო ომის წლებში, კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობის უაღრესად გამწვავებისა და რევოლუციური კრიზისის მომწიფების ეპოქაში, ვ. ი. ლენინი ასეთ ყურადღებას უთმობს ფილოსოფიასა და უწინარეს ყოვლისა მარქსისტულ დიალექტიკას. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციებიდან შეიძლება იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა მარქსისტული ანალიზის მოცემა, პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტური ხასიათის გამომჟღავნება, II ინტერნაციონალის ლიდერთა ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის მხილება, პროლეტარიატის ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. ლენინის ყველა ნაწარმოები, მის მიერ ამ პერიოდში დაწერილი, — კლასიკური შრომა «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», შრომები «სოციალიზმი და ომი», «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ», «იუნიაუსის ბროშურის შესახებ», «სოციალური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» და სხვა ნაწარმოებები — განუყრელად დაკავშირებულია «ფილოსოფიურ რვეულებთან». მარქსისტული ფილოსოფიის, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის შემო-

ქმედებითი დამუშავება და ახალი ისტორიული ეპოქის ღრმა მეცნიერული ანალიზი გახდა იმ დიად ლენინურ აღმოჩენათა საფუძველი, რომლებმაც პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით შეაიარაღეს. «ფილოსოფიური რვეულები» გამსჭვალულია მარქსიზმის ფილოსოფიისადმი შემოქმედებითი მიდგომის სულისკვეთებით, ფილოსოფიისა, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული მუშათა კლასის ცხოვრებასა და ბრძოლასთან, პარტიის პოლიტიკასთან.

ტომი იწყება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის წიგნის — «წმინდა ოჯახი, ანუ კრიტიკა კრიტიკული კრიტიკისა» — ვ. ი. ლენინის კონსპექტით, რომელიც შედგენილია 1895 წელს. თავის კონსპექტში ვ. ი. ლენინი თანმიმდევრულად იკვლევს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფილოსოფიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. იგი იწერს და ინიშნავს წიგნის იმ ადგილებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ მიდის მარქსი «წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობის იდეამდე» (ეს ტომი, გვ. 14), რომლებიც ახასიათებენ «მარქსის თითქმის უკვე ჩამოყალიბებულ შეხედულებას პროლეტარიატის რევოლუციურ როლზე» (გვ. 9). ვ. ი. ლენინის კონსპექტში დიდი ადგილი უჭირავს მარქსისა და ენგელსის კრიტიკას, მიმართულს ბრუნო და ედგარ ბაუერებისა და მათ მიმდევართა სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ, «კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებათა» როლის შესახებ მათი იდეალისტური შეხედულებების წინააღმდეგ. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა დებულებებს იმის შესახებ, რომ ისტორიის ნამდვილი და ჭეშმარიტი შემოქმედი არის ხალხი, მშრომელი მასები, მათს დასკვნას, რომ «ისტორიული მოქმედების საფუძველიანობასთან ერთად გაიზრდება, მაშასადამე, მოცულობაც მასისა, რომლის საქმესაც ეს ისტორიული მოქმედება წარმოადგენს» (გვ. 16). ეს დებულებანი ორგანულადაა დაკავშირებული ლენინის ბრძოლასთან იმ პერიოდში «გმირებისა» და «ბრბოს» შესახებ იდეალისტურ, ნაროდნიკულ შეხედულებათა წინააღმდეგ, ცალკეულ პიროვნებათა კულტის თეორიულად დასაბუთების ცდების წინააღმდეგ. დაწვრილებით აკონსპექტებს ლენინი წიგნის იმ თავს,

სადაც კ. მარქსს მოცემული აქვს XVII-XVIII საუკ. ინგლისური და ფრანგული მატერიალიზმის მნიშვნელობის ღრმა დახასიათება.

«ფილოსოფიურ რვეულებში» ლენინმა დიდი ყურადღება დაუთმო გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, რომელიც მარქსიზმის ერთ-ერთი წყარო გახდა. ლ. ფოიერბახის წიგნის — «ლექციები რელიგიის არსების შესახებ» — კონსპექტში, რომელიც შედგენილია, როგორც ჩანს, 1909 წელს, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს ფოიერბახის — როგორც მატერიალისტისა და ათეისტის — დამსახურებას. იგი აღნიშნავს «ლექციების» იმ დებულებებსაც, სადაც გამოხატულია ფოიერბახის მატერიალისტური მიხვედრილობანი მის შეხედულებებში საზოგადოებაზე. ამასთანავე ვ. ი. ლენინი ამჟღავნებს ფოიერბახის მატერიალიზმის სისუსტესა და შეზღუდულობას, აღნიშნავს, რომ «ანტროპოლოგიური პრინციპიც და ნატურალიზმიც მატერიალიზმის მხოლოდ არაზუსტი და სუსტი აღწერილობაა» (გვ. 74). ადარებს რა ფოიერბახის მიერ 1848-1849 წლებში წაკითხულ და 1851 წელს გამოცემულ «ლექციებს რელიგიის არსების შესახებ», კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იმავე პერიოდის ნაწარმოებებს, ვ. ი. ლენინი წერს: «როგორ ძლიერ ჩამორჩა უკვე ამ დროს (1848—1851) ფოიერბახი მარქსსა (კომუნისტური მანიფესტი 1847, Neue Rheinische Zeitung etc.) და ენგელსს (1845: Lage)» (გვ. 69).

მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის დამუშავებისას ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჰეგელის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლასა და კრიტიკულ განხილვას. ჰეგელის წიგნების — «ლოგიკის მეცნიერება», «ლექციები ფილოსოფიის ისტორიაზე» და «ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე» — კონსპექტებს ცენტრალური ადგილი უკავიათ «ფილოსოფიურ რვეულებში».

ვ. ი. ლენინი იძლევა ჰეგელისეული იდეალიზმის, იდეათა მისი მისტიკის მკვეთრ კრიტიკას. ამავე დროს იგი გადაგვიშლის ჰეგელისეული დიალექტიკის მნიშვნელობას და გვასწავლის მისი შეფასებისადმი მატერიალისტურ მიდგომას. «ჰეგელის ლოგიკა, — წერს ვ. ი. ლენინი, — არ შეიძლება

გამოვიყენოთ მისი მოცემული სახით; არ შეიძლება ავიღოთ როგორც მოცემული. მისგან უნდა ამოვარჩიოთ ლოგიკური (გნოსეოლოგიური) ელფერები, გავწმენდთ რა *Ideenmystik*-ისაგან...» (გვ. 271). ჰეგელის შრომების დაკონსპექტებისას ვ. ი. ლენინი აყალიბებს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დებულებებს მატერიალისტური დიალექტიკის დედა-არსის შესახებ.

ჰეგელის ნაწარმოებთა ლენინურ კონსპექტებს მიეკუთვნება ლენინის გენიალური ფრაგმენტი «დიალექტიკის საკითხისათვის», რომელიც მან 1915 წელს დაწერა. ეს მცირე მოცულობის ფრაგმენტი წარმოადგენს აზრთა სიღრმისა და სიმდიდრის მხრივ ყოველივე იმ მთავარისა და არსებითის უბადლო განზოგადებას, რაც მატერიალისტური დიალექტიკის შინაარსს შეადგენს.

ფ. ლასალის წიგნის «ეფესელი ჰერაკლიტე ბნელის ფილოსოფია», არისტოტელეს წიგნის «მეტაფიზიკა» და ფოიერბახის წიგნის «ლაიბნიცის ფილოსოფიის გადმოცემა, ანალიზი და კრიტიკა» კონსპექტებში ვ. ი. ლენინი თანმიმდევრულად იკვლევს მატერიალისტური დიალექტიკის ისტორიულ მომზადებას. იგი განიხილავს ფილოსოფიის ისტორიას ჰერაკლიტესა და დემოკრიტედან დაწყებული მარქსსა და ენგელსამდე და ღრმა მარქსისტულ შეფასებას აძლევს უდიდეს მოაზროვნეთა შემოქმედებას. ვ. ი. ლენინი გადაგვიშლის იმ პროგრესულს, რაც მათ ფილოსოფიური აზრის განვითარებაში შეიტანეს და ამასთანავე ამჟღავნებს მათი შეხედულებების ისტორიულ შეზღუდულობას.

საბუნებისმეტყველო-მეცნიერული წიგნების შესახებ მოცემულ შენიშვნებში, ისევე როგორც ამ ტომში შესულ სხვა მასალებში, ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს რელიგიურ მსოფლმხედველობასთან ბუნების მეცნიერული ახსნის შერიგების ცდებს. ბუნებისმეტყველთა — სტიქიური მატერიალისტების — მერყეობას მატერიალიზმიდან იდეალიზმისაკენ, მათს უუნარობას გაიგონ მექანიკურსა და დიალექტიკურ მატერიალიზმს შორის არსებული განსხვავება. იგი ილაშქრებს ფილოსოფიისა და ფილოსოფიურ განზოგადებათა უგულვებელყოფის წინააღმდეგ, გვიჩვენებს მატერიალისტური დიალექტიკის უდიდეს მნიშვნელობას ბუნებისმეტყველებისათვის, თანამედროვე მეცნიერების აღმოჩენათა ფილოსოფიური განზოგადებისათვის.

«ფილოსოფიური რვეულების» უკანასკნელ განყოფილებას შეადგენენ ვ. ი. ლენინის მიერ ფილოსოფიის წიგნებში (გ. ვ. პლენანოვის, ვ. მ. შულიატიკოვის, ა. მ. დგბორინის და სხვ.

წიგნებში) შეტანილი ჩანანიშნები და შენიშვნები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა მწვავედ აკრიტიკებდა ლენინი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დამახინჯებებს. ეს კრიტიკა მკაფიო მაგალითია იმ შეურიგებელი ბრძოლისა, რომელსაც ლენინი ეწეოდა ვულგარული მატერიალიზმისა და მარქსიზმის ფილოსოფიიდან ოდნავი გადახრების წინააღმდეგ.

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენენ შენიშვნები, რომლებიც ვ. ი. ლენინს მიწერილი აქვს გ. ვ. პლეხანოვის წიგნზე ნ. გ. ჩერნიშევსკის შესახებ. ისინი ადასტურებენ იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც ვ. ი. ლენინი იჩენდა რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მიმართ, თუ რა დიდად აფასებდა იგი მის მოწინავე მატერიალისტურ ტრადიციებს. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამს ჩერნიშევსკის რევოლუციურ დემოკრატიზმს და მატერიალიზმს, მის შეუპოვარ ბრძოლას იდეალიზმის წინააღმდეგ. აღნიშნავს რა გ. ვ. პლეხანოვის წიგნის ნაკლოვანებებსა და იმ გარემოებას, რომ პლეხანოვს არ ესმის ჩერნიშევსკის მოღვაწეობის კლასობრივი შინაარსი, ვ. ი. ლენინი წერს: «ისტორიაზე იდეალისტური და მატერიალისტური შეხედულებების თეორიული განსხვავების გამო პლეხანოვმა ვერ შეამჩნია ლიბერალისა და დემოკრატის პრაქტიკულ-პოლიტიკური და კლასობრივი განსხვავება» (გვ. 565).

«ფილოსოფიურ რვეულებში» ვ. ი. ლენინი თანმიმდევრულად იცავს პარტიულობის პრინციპს ფილოსოფიაში, გვიჩვენებს დიალექტიკური მატერიალიზმის ორგანულ კავშირს რევოლუციურ პრაქტიკასთან.

«ფილოსოფიური რვეულები» შეიცავენ ფასდაუდებელ იდეურ სიმდიდრეს და მათ უდიდესი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. «ფილოსოფიურ რვეულებში» ლენინი ამუშავებს დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, ფილოსოფიის ისტორიას, აქცევს რა მთავარ ყურადღებას მატერიალისტური დიალექტიკის საკითხებს. ვ. ი. ლენინის ძირითად ფილოსოფიურ შრომასთან — «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» — ერთად «ფილოსოფიური რვეულები» ლენინური გენიის უდიდესი შემოქმედებაა.

თავის ამონაწერებსა და შენიშვნებში ვ. ი. ლენინი განსაზღვრავს დიალექტიკას როგორც მეცნიერებას ობიექტური სამყაროს განვითარებისა და შემეცნების ყველაზე ზოგადი კანონების შესახებ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინურ დებულებას დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ. ლენინი მიგვითითებდა, რომ შეტაფიზიკური მატერიალიზმის ძირითადი უბედურება ის იყო,

რომ მას არ შეეძლო შემეცნების პროცესისა და განვითარების მიმართ დიალექტიკის გამოყენება; დიალექტიკა, ხაზგასმით აღნიშნავდა იგი, აოის სწორედ მარქსიზმის შემეცნების თეორია. «ფილოსოფიურ რვეულებში» ლენინის მიერ შემეცნების დიალექტიკური პროცესის საკითხის დამუშავება, იმ საკითხის დამუშავება, რომ ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა მდგომარეობს ცოცხალი ჰვერტიდახ აბსტრაქტულ აზროვნებაზე და ამ უკანასკნელიდან პრაქტიკაზე გადასვლაში, წარმოადგენს მარქსისტული დიალექტიკის შემდგომ განვითარებას.

მატერიალისტური დიალექტიკის დამუშავებისას ლენინა ძირითად ყურადღებას უთმობს წინააღმდეგობათა საკითხს. სწორედ «ფილოსოფიურ რვეულებში» გახმარტავს იგი, რომ დიალექტიკის დედაარსს, ბირთვის წარმოადგენს მოძღვრება დაპირისპირებულობათა ერთიანობასა და ბრძოლაზე, რომ დაპირისპირებულობათა ბრძოლა განვითარების წყაროა. «ერთიანის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნება... არის დიალექტიკის დედაარსი (ერთ-ერთი „არსება“, ერთ-ერთი ძირითადი, თუ ძირითადი არა, თავისებურება ანუ ხიშანი)», — წერს ლენინი (გვ. 371).

«ფილოსოფიის რვეულების» მოსამზადებელი მასალები, შეიძლება ვივარაუდოთ, მოწმობენ იმას, რომ ლენინს განზრახვა ჰქონდა სპეციალური შრომა დაეწერა მატერიალისტური დიალექტიკის შესახებ, რის შესრულებაც მას აღარ მოუხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ «ფილოსოფიურ რვეულებში» შემავალი მასალა არ წარმოადგენს ლენინის მიერ გამოსაქვეყნებლად დაწერილ დამთავრებულ ნაწარმოებს, მისი სახით მნიშვნელოვანი წვლილია შეტანილი დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში. ვ. ი. ლენინის «ფილოსოფიური რვეულების» დიადი იდეური შინაარსის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ასათვისებლად, ფილოსოფიისა, რომელიც მეცნიერული კომუნიზმის საფუძველს შეადგენს.



ამ გამოცემაში კონსპექტებისა და სხვა მასალის დალაგება მოცემულია, ძირითადად, ქრონოლოგიური წესით. წიგნებზე მიწერილი შენიშვნები გამოყოფილია ცალკე განყოფილებად, რომლის შიგნით ეს შენიშვნები დალაგებულია ასევე ქრონოლოგიურად.

ტექსტის ყველა გამოყოფა, ვ. ი. ლენინის მიერ გაკეთებული, აღდგენილია შრიფტის მეშვეობით: ერთი ზიგზაგური ან სწორი თხელი ხაზით ხაზგასმული სიტყვები აწყობილია თეთრი კურსივით; ორი ხაზით ხაზგასმული — კურსივით შპაცებზე; სამი სწორი თხელი ხაზით ხაზგასმული — ნახევრად-შავი სწორი ნუსხური შრიფტით და ა. შ.

ვ. ი. ლენინის ხელნაწერთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით უცხოური სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც რუსულ ტექსტს ენაცვლებიან, მოცემულია ორიგინალის ენაზე პწკარული თარგმანით. ამგვარადვეა მოცემული ორიგინალის ენაზე უცხოური ტერმინები, რომლებიც ვ. ი. ლენინს ფრჩხილებში აქვს ჩასმული რუსული ტერმინების შემდეგ, და აგრეთვე ხელნაწერის არეებზე გამოტანილი უცხოური ტერმინები და გამოთქმები. ციტატების ტექსტი ვ. ი. ლენინის მიერ ჩამატებული სიტყვებისაგან გამოყოფილია წინწკლებით.

უცხოური ტექსტიდან ამონაწერების ყველა თარგმანი, ვ. ი. ლენინის მიერ გაკეთებული, გაფორმებულია მძიმისმაგვარი წინწკლებით („“) განსხვავებით სარედაქციო თარგმანებისაგან, რომლებიც გაფორმებულია ჩვეულებრივი საგამომცემლო წინწკლებით («»).


ვ. ი. ლენინის მიერ ციტირებულ წიგნთა გვერდების დამოწმებანი მოცემულია ორგვარად: მრგვალ ფრჩხილებში მითითებულია ორიგინალის გვერდი, კვადრატულში კი — ამ წიგნის უკანასკნელი რუსული გამოცემის გვერდი.

პერიოდული გამოცემების, წიგნებისა და სტატიების დასახელება საავტორო ტექსტში მოცემულია ვ. ი. ლენინის ხელნაწერის მიხედვით, ხოლო ციტირებულში — ორიგინალის ენაზე სათანადო თარგმანით ტექსტის ბოლოს მოთავსებულ შენიშვნებში და, იმ შემთხვევაში, როცა მათ შესახებ მითითება არაა, სტრიქონქვეშა შენიშვნებში.

ამ გამოცემის მთელი ტექსტი ხელახლა შემოწმებულია ვ. ი. ლენინის ხელნაწერის მიხედვით, ციტატების სარედაქციო თარგმანები კი — პირველწყაროების მიხედვით.

ტომის ბოლოში მოცემულია: შენიშვნები, ვ. ი. ლენინის მიერ ციტირებული და დასახელებული ლიტერატურის საძიებელი, სახელთა საძიებელი, საგანთა საძიებელი.

ს კ კ კ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ თ ა ს
ა რ ს ე ბ უ ლ ი მ ა რ ქ ს ი ზ მ - ლ ე ნ ი ნ ი ზ მ ი ს
ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი



3. 0. ၇၀၆၀၆၀

1917

ფრიდრიხ ენგელსისა და კარლ მარქსის
 წმინდა ოჯახი,
 ანუ
 კრიტიკა კრიტიკული კრიტიკისა
 ბრუნო ბაუერისა და კომპანიის წინააღმდეგ
 მინის ფრანკფურტი
 ლიტერატურული გამოცემლობა
 (ი. რიშმანი)
 1845²

პატარა წიგნაკი, საწერი თაბახის მერვედი ფორმატისა, შედგება წინასიტყვაობისაგან (გვ. III—IV) * [7—8] ** (ხელმოწერა: პარიზი, 1844 წ. სექტემბერი), სარჩევისაგან (გვ. V—VIII) [646—648] და 9 თავად (Kapitel) დაყოფილი ტექსტისაგან (გვ. 1—335) [9—230]. I, II, III თავები დაწერა ენგელსმა, V, VIII და X თავები — მარქსმა, IV, VI და VII თავები კი — ორთავემ, მაგრამ ამასთან თვითეული ცალკე აწერდა ხელს მის მიერ დაწერილ §-ს ან აბზაცს ამა თუ იმ თავისას და ამ პარაგრაფს ცალკე დასათაურება ჰქონდა. ყველა ეს სათაური სატირულია შემდეგი სათაურის ჩათვლით „ყასაბის კრიტიკული გადაქცევა ძალლად“ (ასეა დასათაურებული VIII თავის § 1). ენგელსს ეკუთვნის გვერდები 1—17 [9—21] (I, II, III თავები და § 1 და 2 IV თავში), 138—142 [101—104] (§ 2a VI თავში), 240—245 [167—170] (§ 2b VII თავში):

ე. ი. 26 გვერდი 335-დან

პირველი თავები არის მთლიანი კრიტიკა (მთელი!) I თავი, გვ. 1—5 [9—11]) „ლიტერატურული გაზეთის“ სტილისა ||Allgemeine Literatur-Zeitung von Bruno Bauer³ — წინასიტყვაობა ლაპარაკობს, რომ სწორედ გაზეთის პირველი 8 გამოშვების წინააღმდეგ არის მიმართული მარქსისა და ენგელსის კრიტიკა||, კრიტიკა გაზეთში მოცემულ

* *Engels, F. und Marx, K. Die heilige Familie, oder Kritik der kritischen Kritik. Frankfurt a. M., 1845.* რედ.

** *Маркс, К. и Энгельс, Ф. Сочинения, 2 изд., т. 2, 1955,* რედ.

ისტორიის (თავი II, გვ. 5—12 [12—17], სპეციალურად ინგლისის ისტორიის) დამახიხჯებათა, კრიტიკა ვაზეთის თემებისა (თავი III, 13—14 [18—19], ბერლინის ფილოსოფიურ ფაკულტეტთან ბ-ნ Nauwerk-ის * რომელიღაც დავის გადმოცემის Gründlichkeit ** გამასხარავება), სიყვარულის შესახებ მოცემულ მსჯელობათა (თავი IV, 3) კრიტიკა — მარქსი, პრუდონის შესახებ ლიტერატურულ ვაზეთში მოცემული გადმოცემის კრიტიკა ((IV, 4) — Proudhon, გვ. 22 [25] u. ff. bis *** 74 [59]). დასაწყისში აქ თარგმანის უამრავი შესწორებებია: არეულია ერთმანეთში formule et signification, **** justice თარგმნილია როგორც Gerechtigkeit ***** და არა როგორც Rechtpraxis etc. *****). თარგმანის ამ კრიტიკას (მარქსი ამას უწოდებს Charakterisierende Übersetzung № I, II u. s. w. *****) მოსდევს Kritische Randglosse № I u. s. w. *****), სადაც მარქსი იცავს პრუდონს ლიტერატურული ვაზეთის კრიტიკოსებისაგან, უპირისპირებს რა სპეკულაციას თავის აშკარა სოციალისტურ იდეებს.

მარქსის ტონი პრუდონის მიმართ ძალზე სახოტბოა (თუმცა არის პატარა შენიშვნები, მაგალითად, მითითება ენგელსის წიგნზე Umriss einer Kritik der Nationalökonomie⁴, რომელიც დაიბეჭდა Deutsch-Französischer Jahrbücher-ში⁵).

მარქსი აქ ჰეგელის ფილოსოფიიდან სოციალიზმთან მიდის: გადასვლა შეიძინევა აშკარად — ჩანს, რას დაუფლებია მარქსი და როგორ გადადის იგი იდეათა ახალ წრეზე.

(36) [34] «პოლიტიკური ეკონომია, რომელსაც კერძო საკუთრების ურთიერთობა ადამიანურ და გონივრულ ურთიერთობად მიაჩნია, მუდმივ წინააღმდეგობაში ვარდება თავის ძირითად წინამძღვართან — კერძო საკუთრებასთან, ისეთსავე წინააღმდეგობაში, როგორშიც ვარდება თეოლოგი, როცა ის რელიგიურ წარმოდგენებს მუდამ ადამიანურ ყაიდაზე განმარტავს და სწორედ ამით განუწყვეტლივ სცოდავს თავისი ძირითადი წინამძღვარის — რელიგიის ზეადამიანურობის წინააღმდეგ. ასე,

* — ნაუვერკის. რ ე დ.

** — საფუძვლიანობის. რ ე დ.

*** — und folgende bis — და შემდგომი ...დ. რ ე დ.

**** — ფორმულა და მნიშვნელობა. რ ე დ.

***** — სამართლიანობა. რ ე დ.

***** — იურიდიული პრაქტიკა და ა. შ. რ ე დ.

***** — დამახასიათებელი თარგმანი. № I, II და ა. შ. რ ე დ.

***** — კრიტიკული კომენტარი № I და ა. შ. რ ე დ.

მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიაში ხელფასი დასაწყისში გვევლინება პროდუქტის იმ პროპორციულ ნაწილად, რომელიც შრომას ეკუთვნის. ხელფასი და კაპიტალის მოგება ერთმანეთთან ყველაზე მეგობრულ, ერთიმეორის ხელშემწყობ, გარეგნულად თითქოს ყველაზე ადამიანურ ურთიერთობაშია. შემდეგში კი ირკვევა, რომ ეს ურთიერთობა ყველაზე მტრულია, რომ ხელფასი პირუტყუ შეფარდებაშია კაპიტალის მოგებასთან. ღირებულება დასაწყისში გარეგნულად გონივრულადაა განსაზღვრული: იგი განსაზღვრულია ამა თუ იმ საგნის წარმოების ხარჯებით და საგნის საზოგადოებრივი სარგებლიანობით. შემდეგში კი ირკვევა, რომ ღირებულება სრულიად შემთხვევითი განსაზღვრაა, რომელიც არავითარ მიმართებაში არაა არც წარმოების ხარჯებთან, არც საზოგადოებრივ სარგებლიანობასთან. ხელფასის ოდენობა თავდაპირველად განისაზღვრება თავისუფალ მუშასა და თავისუფალ კაპიტალისტს შორის თავისუფალი შეთანხმებით. შემდეგში კი ირკვევა, რომ მუშა იძულებულია დაეთანხმოს ხელფასის იმ განსაზღვრას, რასაც კაპიტალისტი იძლევა, კაპიტალისტი კი იძულებულია ხელფასი რაც შეიძლება დაბალ დონეზე შეაჩეროს, ხელშეკრულების დამდეგი Parthei-ს*» [სწორედ ასე იწერება ეს სიტყვა ამ წიგნში] თავისუფლების ადგილი «დაიკავა იძულებამ. ასეთივეა საქმის ვითარება ვაჭრობისა და ყველა სხვა ეკონომიური ურთიერთობის მიმართ. ზოგჯერ თვით ეკონომისტები გრძნობენ ამ წინააღმდეგობებს, და ამ წინააღმდეგობათა გამოვლენა ეკონომისტებს შორის წარმოებული ბრძოლის მთავარ შინაარსს შეადგენს. მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა ეკონომისტები ამ წინააღმდეგობებს ასე თუ ისე შეიცნობენ ხოლმე, ისინი თვითონ ესხმიან თავს კერძო საკუთრებას რომელიმე მის კერძო ფორმაში და მის ამა თუ იმ კერძო ფორმას ბრალს დებენ იმაში, რომ იგი აყალიბებს თავისთავად გონივრულ, — გონივრულს სახელდობრ მათი წარმოდგენით, — ხელფასს, თავისთავად გონივრულ ღირებულებას, თავისთავად გონივრულ ვაჭრობას. ასე, მაგალითად, ადამ სმიტი ილაშქრებს ზოგჯერ კაპიტალისტების წინააღმდეგ, დესტიუდ დეტრასი — ბანკირების წინააღმდეგ, სიმონდ დე სისმონდი — ფაბრიკული სისტემის წინააღმდეგ, რიკარდო — მიწის საკუთრების წინააღმდეგ, თითქმის ყველა უახლესი ეკონომისტი — არამრეწველი კაპიტალისტების

* — პარტიის, მხარის. რედ.

წინააღმდეგ, რომელთა სახით კერძო საკუთრება გვევლინება მხოლოდ როგორც მომხმარებელი.

«ამრიგად, ეკონომისტები ზოგჯერ გამონაკლისის სახით იცავენ ეკონომიურ ურთიერთობაში ადამიანურის მოჩვენებითობას — განსაკუთრებით როცა ისინი რაიმე სპეციალური ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ილაშქრებენ, — მაგრამ უფრო ხშირად ისინი ამ ურთიერთობას იღებენ სწორედ ადამიანური-საგან მისი მკვეთრად გამოხატული განსხვავებით, მისი ზუსტი ეკონომიური მნიშვნელობით. ვერ შეუგნიათ რა ეს წინააღმდეგობა, ისინი მერყეობენ და მის საზღვრებს ვერ სცილდებიან.

«ამ შეუგნებლობას პრუდონმა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო. მან სერიოზულად შეხედა ეკონომიურ ურთიერთობათა ადამიანურ მოჩვენებითობას და ამ უკანასკნელს მკვეთრად დაუპირისპირა მათი არაადამიანური სინამდვილე. პრუდონმა აიძულა ეს ეკონომიური ურთიერთობა სინამდვილეში იყოს ის, რაც იგი არის თავის თავზე მის საკუთარ წარმოდგენაში, ან, უფრო სწორად, მან აიძულა იგი უარი ეთქვა ამ წარმოდგენაზე თავისი თავის შესახებ და ელიარებინა თავისი ნამდვილი არაადამიანურობა. ამიტომ პრუდონმა ეკონომიური ურთიერთობის გამყალბებელ ფაქტორად სრულიად თანმიმდევრულად დაგვისახა არა კერძო საკუთრების ესა თუ ის სახე ცალკეულად აღებული, როგორც ამას დანარჩენი ეკონომისტები აკეთებდნენ, არამედ კერძო საკუთრება პირდაპირ მისი უნივერსალური სახით. მან ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც კი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკას შეუძლია პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით». (39) [36]

ედგარის (Edgar-ი — ლიტერატურული გაზეთიდან) საყვედურს, რომ პრუდონი „ღვთაებას“ ქმნის „სამართლიანობიდან“, მარქსი იმით იშორებს, რომ პრუდონის თხზულება, გამოქვეყნებული 1840 წელს, „1844 წლის გერმანიის განვითარების შტანდპუნქტზე“ (39) [36] არა დგასო, რომ ეს ფრანგების საერთო ცოდვაა, რომ საჭიროა გავიხსენოთ პრუდონის მითითებაც უარყოფაზე, რომელიც სამართლიანობას ახორციელებს, — მითითება, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს თავი დავადწიოთ ამ აბსოლუტსაც ისტორიაში (um auch dieses Absoluten in der Geschichte überhoben zu sein) — 39 გვერდის ბოლოს. «თუ პრუდონი ამ თანმიმდევრულ დასკვნამდე ვერ მიდის, იგი ამას იმ უბედობას უნდა უმაღლოდეს, რომ ის ფრანგად დაიბადა და არა გერმანელად». (39—40) [36]

შემდეგ მოდის კრიტიკული კომენტარი № II (40—46)

[37—41], რომელიც მეტად რელიეფურად აყენებს მარქსის თითქმის უკვე ჩამოყალიბებულ შეხედულებას პროლეტარიატის რევოლუციურ როლზე.

...«დღემდე არსებული პოლიტიკური ეკონომია, იღებდა რა ამოსავალ წერტილად სიმდიდრეს, რომელსაც კერძო საკუთრების მოძრაობა ვითომდა ხალხებისათვის ქმნის, კერძო საკუთრების აპოლოგიაჲმდე მიდიოდა. პრუდონი ეყრდნობა საპირისპირო ფაქტს, სოფისტიკურად მიჩქმალულს პოლიტიკურ ეკონომიაში, იმ სიღარიბის ფაქტს, რასაც კერძო საკუთრების მოძრაობა ქმნის, და მიდის კერძო საკუთრების უარყოფელ დასკვნებამდე. ბუნებრივია, რომ კერძო საკუთრების პირველი კრიტიკა ამოსავალ წერტილად იმ ფაქტს იღებს, რომელშიც წინააღმდეგობებით აღსავსე რაობა კერძო საკუთრებისა ყველაზე ხელშესახები, ყველაზე მყვირალა, ადამიანის გრძობისათვის უშუალოდ ყველაზე ამაღლვებელი ფორმით ვლინდება, იღებს სიღარიბის, სიღატაკის ფაქტს». (41) [37]

«პროლეტარიატი და სიმდიდრე დაპირისპირებულობანი არიან. როგორც ასეთნი ისინი ერთგვარ ერთიან მთელს შეადგენენ. ისინი ორივენი კერძო საკუთრების სამყარომ წარმოშვა. მთელი საკითხი იმაშია, თუ რა გარკვეულ ადგილს იკავებს თვითეული ამ ორი ელემენტიდან ანტაგონიზმის ფარგლებში. არა კმარა ის, რომ ისინი ერთიანი მთელის ორ მხარედ გამოვაცხადოთ.

«კერძო საკუთრება როგორც კერძო საკუთრება, როგორც სიმდიდრე, იძულებულია შეინარჩუნოს თავისი საკუთარი არსებობა, და ამით შეინარჩუნოს თავისი დაპირისპირებულობის — პროლეტარიატის — არსებობაც. ეს არის ანტაგონიზმის დადებითი მხარე, თავის თავში დაკმაყოფილებული კერძო საკუთრება.

«პირიქით, პროლეტარიატი როგორც პროლეტარიატი იძულებულია გააუქმოს თავისი თავი და ამით მისი გამაპირობებელი დაპირისპირებულობაც — კერძო საკუთრება, — მას რომ პროლეტარიატად ხდის. ეს არის ანტაგონიზმის უარყოფითი მხარე, მისი მოუსვენრობა მის შიგნითვე, გაუქმებული და თავისი თავის გამაუქმებელი კერძო საკუთრება.

«შეძლებული კლასი და პროლეტარიატის კლასი წარმოადგენენ ერთსა და იმავე ადამიანურ თვითგასხვისებას. მაგრამ პირველი კლასი ამ თვითგასხვისებაში თავის თავს დაკმაყოფილებულად და დადასტურებულად გრძობს, გასხვისებას აღიქვამს როგორც თავისი საკუთარი ძლიერების დასტურს და მასში აქვს ადამიანური არსებობის მოჩვენებითობა. მეორე კლასი კი ამ გასხვისებაში თავის თავს

გრძნობს განადგურებულად, მასში ხედავს თავის უძლურებას და არაადამიანური არსებობის სინამდვილეს. ეს კლასი, ჰეგელის გამოთქმა რომ ვინმართ, არის განწირულობის ფარგლებში აღმოფხვრეთება ამ განწირულობის წინააღმდეგ, აღმოფხვრეთება, რასაც ამ კლასში აუცილებლად იწვევს წინააღმდეგობა მის ადამიანურ ბუნებასა და მის იმ საარსებო მდგომარეობას შორის, რომელიც თვით ამ ბუნების აშკარა, გადამწყვეტი და ყოველისმომცველი უარყოფაა.

«ამრიგად, მთელი ანტაგონიზმის ფარგლებში კერძო მესაკუთრე წარმოადგენს კონსერვატიულ მხარეს, პროლეტარიკი — დამანგრეველს. პირველიდან გამოდის ანტაგონიზმის შენარჩუნებისაკენ მიმართული მოქმედება, მეორედან — ანტაგონიზმის მოსპობისაკენ მიმართული მოქმედება.

«მართალია, კერძო საკუთრება თავის ეკონომიურ მოძრაობაში თვით უბიძგებს თავის თავს საკუთარი გაუქმებისაკენ, მაგრამ ამას აკეთებს იგი მხოლოდ მისგან დამოუკიდებელი, შეუგნებელი, მისი ნების წინააღმდეგ მიმდინარე და თვითობიექტის ბუნებით გაპირობებული განვითარების გზით, იმით, რომ იგი წარმოშობს პროლეტარიატს როგორც პროლეტარიატს, — ამ სილატაკეს, რომელსაც შეგნებულ აქვს თავისი სულიერი და ფიზიკური სილატაკე, ამ გაუადამიანურებას, რომელსაც შეგნებულ აქვს თავისი გაუადამიანურება და რომელიც ამიტომ თავისავე თავს აუქმებს. პროლეტარიატს სისრულეში მოჰყავს განაჩენი, რომელიც კერძო საკუთრებას პროლეტარიატის წარმოშობით თავისი საკუთარი თავის მიმართ გამოაქვს, სწორედ ისევე როგორც მას სისრულეში მოჰყავს განაჩენი, რომელიც დაქირავებულ შრომას გამოაქვს თავისი თავის მიმართ, წარმოშობს რა იგი სხვის სიმდიდრეს და საკუთარ სილატაკეს. გამარჯვების მოპოვებით პროლეტარიატი არავითარ შემთხვევაში არ ხდება საზოგადოების აბსოლუტური მხარე, რადგან გამარჯვებას იგი მხოლოდ იმით მოიპოვებს, რომ გააუქმებს თავის თავს და თავის დაპირისპირებულობას. პროლეტარიატის გამარჯვებით ქრება როგორც თვით პროლეტარიატი, ისე მისი გამაპირობებელი დაპირისპირებულობაც — კერძო საკუთრება.

«თუ სოციალისტური მწერლები ამ მსოფლიო-ისტორიულ როლს პროლეტარიატს მიაკუთვნებენ, ეს სრულიადაც არ ხდება იმის გამო, რომ მათ, როგორც ამაში კრიტიკული კრიტიკა გვარწმუნებს, პროლეტარები ღმერთებად მიაჩნიათ. უფრო პირიქითაა. რადგან ჩამოყალიბებულ პროლეტარიატში პრაქტიკულად დასრულებულია განრიდება ყოველივე ადამიან-

ნურისაგან, ადამიანური მოჩვენებითობისაგანაც კი; რადგან პროლეტარიატის საარსებო პირობებში თანამედროვე საზოგადოების ყველა საარსებო პირობამ არაადამიანურობის უმაღლეს წერტილს მიაღწია; რადგან პროლეტარიატში ადამიანმა თავისი თავი დაკარგა, მაგრამ ამასთანავე არა მარტო მოიპოვა თეორიული შეგნება ამ დანაკარგისა, არამედ უშუალოდაც იგი აუცდენელი, შეუღამაზებადი, აბსოლუტურად მბრძანებლური საჭიროების, აუცილებლობის ამ პრაქტიკული გამოხატულებების მეოხებით იძულებულია აღშფოთდეს ამ არაადამიანურობის წინააღმდეგ, — სწორედ ამიტომ პროლეტარიატს შეუძლია და მან უნდა თვითონ გაინთავისუფლოს თავი. მაგრამ მას არ შეუძლია თავისი თავის განთავისუფლება, თუ იგი თავისივე საკუთარ საარსებო პირობებს არ მოსპობს. მას არ შეუძლია თავისი საკუთარი საარსებო პირობები მოსპოს, თუ არ მოსპობს თანამედროვე საზოგადოების ყველა იმ არაადამიანურ საარსებო პირობას, რაც მის საკუთარ მდგომარეობაშია თავმოყრილი. იგი ტყუილად როდი გადის შრომის მკაცრ, მაგრამ გამომწრთობ სკოლას. საქმე იმაში კი არაა, რაშიც ესა თუ ის პროლეტარი ან თუნდაც მთელი პროლეტარიატი თავის მიზანს ხედავს. საქმე იმაშია, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში პროლეტარიატი, და, ამ თავისი ყოფიერების შესაბამისად, რის გაკეთება მოუხდება მას ისტორიულად მომავალში. მისი მიზანი და მისი ისტორიული საქმე ყველაზე თვალნათლივ და უცილობლად წინასწარ მოხაზულია მისი საკუთარი საარსებო მდგომარეობით, ისევე როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ორგანიზაციით. საჭირო არაა აქ დაწვრილებით იმაზე შეჩერება, რომ საფრანგეთისა და ინგლისის პროლეტარიატის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე შეგნებული აქვს თავისი ისტორიული ამოცანა და მუდმივად მუშაობს იმაზე, რომ ეს შეგნება სრულ სიცხადედ გახადოს». (42—45) [38—40]

კრიტიკული კომენტარი № 3

«ბ-ნი ედგარისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ბ-ნმა ბრუნო ბაუერმა ყველა თავის მსჯელობას საფუძვლად დაუდო «უსასრულო თვითცნობიერება» და ეს პრინციპი მას ესმოდა როგორც შემოქმედებითი პრინციპი ისეთი სახარებებისა, რომელნიც თავიანთი უსასრულო არაცნობიერებით, თითქოს, პირდაპირ ეწინააღმდეგებიან უსასრულო თვითცნობიერებას. სრულიად ასევე პრუდონი თანასწორობას განიხი-

ლავს როგორც კერძო საკუთრების შემოქმედებითს პრინციპს, პრინციპს, რომელიც თანასწორობას პირდაპირ ეწინააღმდეგება. თუ ბ-ნი ედგარი ერთი წუთით შეადარებს ფრანგულ თანასწორობას გერმანულ თვითცნობიერებას, ის დაინახავს, რომ უკანასკნელი პრინციპი გერმანულად, ე. ი. აბსტრაქტული აზროვნების ფორმებით, გამოხატავს იმას, რასაც პირველი გამოხატავს ფრანგულად, ე. ი. პოლიტიკისა და მოაზროვნე ჰერეტის ენაზე. თვითცნობიერება არის თანასწორობა ადამიანისა თავის თავთან წმინდა აზროვნების სფეროში. თანასწორობა არის შეცნობა ადამიანის მიერ თავის თავისა პრაქტიკის სფეროში, ე. ი. შეცნობა ადამიანის მიერ მეორე ადამიანისა როგორც თავის თანასწორისა და დამოკიდებულება ადამიანისა მეორე ადამიანისადმი როგორც თანასწორისადმი. თანასწორობა არის ფრანგული გამოხატულება ადამიანის რაობის ერთიანობის აღსანიშნავად, ადამიანის გვაროვნული ცნობიერების და გვაროვნული ყოფაქცევის აღსანიშნავად, ადამიანთან ადამიანის პრაქტიკული იგივეობის აღსანიშნავად, ე. ი. ადამიანისადმი ადამიანის საზოგადოებრივი, ანუ ადამიანური, დამოკიდებულების აღსანიშნავად. ამიტომ, მსგავსად იმისა, როგორც დამანგრეველი კრიტიკა გერმანიაში, ვიდრე იგი, ფოიერბახის სახით, ნამდვილი ადამიანის განხილვამდე მივიდოდა, იმას ცდილობდა, რომ ყოველივე განსაზღვრულთან და არსებულთან ანგარიში გაესწორებინათვითცნობიერების პრინციპის საშუალებით, — მსგავსად ამისა დამანგრეველი კრიტიკა საფრანგეთში იმავეს მიღწევას ცდილობდა თანასწორობის პრინციპის საშუალებით». (48—49) [42—43]

«ის აზრი, რომ ფილოსოფია არსებული მდგომარეობის აბსტრაქტული გამოხატულებაა, ეკუთვნის, თავისი წარმოშობით, არა ბატონ ედგარს, არამედ ფოიერბახს, რომელმაც პირველმა დაახასიათა ფილოსოფია როგორც სპეკულაციური და მისტიკური ემპირია და დაამტკიცა ეს». (49—50) [43]

«ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით იმავეს... პრუდონი წერს პროლეტარების ინტერესების სასარგებლოდ*». დიახ, მას წერას აიძულებს არა თვითკმარი კრიტიკის ინტერესი, არა აბსტრაქტული, ხელოვნურად შექმნილი ინტერესი, არამედ მასობრივი, ნამდვილი, ისტორიული ინტერესი, — ისეთი ინტერესი, რომელიც სცილდება უბრალო კრიტიკის ფარგლებს, ინტერესი, რომელიც კრიზისს გამოიწვევს. პრუდონი არა მარტო

* — ეს მარქსის ციტატაა ედგარიდან.

წერს პროლეტარების ინტერესების სასარგებლოდ: იგი თვითონ პროლეტარია, *ouvrier* *. მისი ნაწარმოები ფრანგი პროლეტარიატის მეცნიერული მანიფესტია და ამიტომ მას სრულიად სხვა ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რომელიმე კრიტიკული კრიტიკოსის ლიტერატურულ ნაჯღაბნს». (52—53), [45]

«პრუდონის სურვილი — გააუქმოს უქონლობა და ქონების ძველი ფორმა სავსებით იდენტურია მისი სურვილისა გააუქმოს პრაქტიკულად ადამიანის გასხვისებული დამოკიდებულება თავისი საგნობრივი არსისადმი, გააუქმოს ადამიანური თვითგასხვისების პოლიტიკურ-ეკონომიური გამოხატულება. მაგრამ რადგან მისი კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა ჯერ კიდევ პოლიტიკური ეკონომიის წანამძღვართა ტყვეობაში რჩება, ამიტომ საგნობრივი სამყაროს კვლავ მოპოვება თვითონ პრუდონს ჯერ კიდევ წარმოდგენილი აქვს მფლობელობის პოლიტიკურ-ეკონომიური ფორმით.

«კრიტიკული კრიტიკა აიძულებს პრუდონს უქონლობას ქონება დაუპირისპიროს; პრუდონი კი, პირიქით, ქონების ძველ ფორმას — კერძო საკუთრებას — უპირისპირებს მფლობელობას. მფლობელობას იგი «საზოგადოებრივ ფუნქციად» აცხადებს. ფუნქციაში კი «ინტერესი» მიმართულია არა იქითკენ, რომ სხვა «გამორიცხო», არამედ იქითკენ, რომ საქმეს მოახმარო და განახორციელო საკუთარი ძალდონე, ძალდონე საკუთარი არსებისა.

«პრუდონმა ვერ მოახერხა, რომ ამ თავისი აზრისათვის შესაბამისი გაშლილი გამოხატულება მიეცა. წარმოდგენა «თანასწორ მფლობელობაზე» პოლიტიკურ-ეკონომიური, მაშასადამე — ჯერ კიდევ გასხვისებული გამოხატულებაა იმ დებულებისა, რომ საგანი, როგორც ყოფიერება ადამიანისათვის, როგორც საგნობრივი ყოფიერება ადამიანისა, იმავე დროს არის იქყოფნა ადამიანისა სხვა ადამიანისათვის, მისი ადამიანური დამოკიდებულება სხვა ადამიანისადმი, საზოგადოებრივი დამოკიდებულება ადამიანისა ადამიანისადმი. პრუდონი სძლევს პოლიტიკურ-ეკონომიურ გასხვისებას პოლიტიკურ-ეკონომიური გასხვისების ფარგლებში». (54—55) [46—47]

||| ეს ადგილი უაღრესად დამახასიათებელია, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ როგორ მიდის მარქსი მთელი თავისი „სისტე-

* — მუშა. რ ე დ.

მის, sit venia verbo *, ძირითად იდეამდე — სწორედ წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობის იდეამდე. ||

როგორც წერილმანს, აღვნიშნავთ, რომ 64 [52] გვერდზე მარქსი 5 სტრიქონს უთმობს იმას, რომ „კრიტიკული კრიტიკა“ სიტყვას „maréchal“ თარგმნის „Marschall“-ად ** ნაცვლად „Hufschmied“-ისა ***.

მეტად საინტერესოა გვერდები 65—67 [53—55] (მარქსი უახლოვდება შრომითი ღირებულების თეორიას); გვ. 70—71 [56—57] (მარქსის პასუხი ედგარს იმ საყვედურზე, რომ პროდონი ცდება, როცა ამბობს, მუშას არ შეუძლია თავისი პროდუქტი გამოისყიდოს), 71—72 და 72—73 [57—58] (მეოცნებე, იდეალისტური, „ეთეროვანი“ (ätherisch) სოციალიზმი — და „მასობრივად თვალსაჩინო“ სოციალიზმი და კომუნისმი).

გვ. 76 [61]. (1-ლი §-ის 1-ლი აბზაცი: ფოიერბახმა გამოამქლავნა ნამდვილი საიდუმლოებანი, შელიგამ კი — vice versa ****).

გვ. 77 [61]. (უკანასკნელი აბზაცი: მდიდართა და ღარიბთა გულუბრყვილო ურთიერთობის დრომოქმულობა: „si le riche le savait!“ *****).

გვ. 79—85 [62—67]. (მთელი ეს გვერდები მთლიანად მეტი სმეტად საინტერესოა. ეს არის § 2. «სპეკულაციური კონსტრუქციის საიდუმლოება» — სპეკულაციური ფილოსოფიის კრიტიკა „ნაყოფის“ — der Frucht — გარკვეული მაგალითით, კრიტიკა, რომელიც პირდაპირ მიძარბოთ უღია ჰეგელის წინააღმდეგაც. აქვეა მეტად საინტერესო შენიშვნა, რომ ჰეგელი „ძალიან ხშირად“ სპეკულაციური გადმოცემის შიგნით იძლევა ნამდვილ გადმოცემას, რომელიც მოიცავს თვით საგანს — die Sache selbst.)

გვ. 92, 93 [71, 72] — აწყვეტ-ნაწყვეტი შენიშვნები Degradierung der Sinnlichkeit-ის ***** წინააღმდეგ.

გვ. 101 [76]. «მას» (Szeliga-ს) «არ ძალუძს... დაინახოს, რომ მრეწველობა და ვაჭრობა სრულიად სხვა სახის უნივერსალურ სამეფოებს ქმნიან, ვიდრე ქრისტიანობა და

- * — ნება გვიბოძეთ ისე ვთქვათ. რედ.
- ** — „მარშალი“. რედ.
- *** — „მჭედლის“. რედ.
- **** — პირიქით. რედ.
- ***** — «მდიდარმა რომ ეს იცოდეს!».
- ***** — გრძნობადობის დაქვეითების. რედ.

- მორალი, ოჯახური ბედნიერება და მეშჩანური კეთილდღეობა».
83. 102 [77]. (1-ლი აბზაცის ბოლო — გესლიანი შენიშვნები თანამედროვე საზოგადოებაში ნოტარიუსების მნიშვნელობის შესახებ... «ნოტარიუსი — ესაა საერო მოძღვარი. ის პუ რ ი ტ ა ნ ი ა პროფესიით, «პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა» კი, ამბობს შექსპირი, «არაა პურიტანი». იგი იმავე დროს მაჭანკალია ყოველგვარი მიზნებისათვის, ბურჟუაზიული ინტრიგებისა და მზაკვრობის ავან-ჩავანია».)
83. 110 [82—83]. აბსტრაქტული სპეკულაციის გამასხარავეების მეორე მაგალითი: „კონსტრუქცია“ იმისა, თუ როგორ ხდება ადამიანი მხეცების ბატონი; „მ ხ ე ც ი“ (das Tier) როგორც აბსტრაქცია ლომიდან იქცევა ფინიად და ა. შ.
83. 111 [83]. დამახასიათებელი ადგილი ევგენი სიუს⁷ შესახებ: bourgeoisie-ს * წინაშე ფარისევლობის გამო ის მორალურად აიდვალვებს გრიზეტს და გვერდს უვლის მის დამოკიდებულებას ქორწინებისადმი, მის „გულუბრყვილო“ კავშირს étudiant-თან ან ouvrier-თან **. «სწორედ ამ კავშირის სფეროში იგი (grisette ***) «წარმოადგენს ჰეშმარიტად ადამიანურ კონტრასტს ბურჟუას ფარისევლური, უსულგულო და თავისმოყვარული მეუღლის მიმართ და ბურჟუაზიის მთელი წრის მიმართ, ე. ი. მთელი ოფიციალური საზოგადოების მიმართ».
83. 117 [87]. XVI და XIX საუკუნეების „მასა“ სხვადასხვაგვარი იყო „von vorn herein“ ****.
83. 118—121 [88—90]. ეს პასუხი (VI თავში: «აბსოლუტური კრიტიკული კრიტიკა, ანუ კრიტიკული კრიტიკა ბ-ნი ბრუნოს სახით». 1) აბსოლუტური კრიტიკის პირველი ლაშქრობა. a) „სული“ და „მასა“) მეტად მნიშვნელოვანია: კრიტიკაა იმ შეხედულებისა, თითქოს ისტორია წარუმატებელი იყო იმის გამო, რომ მისდამი ინტერესი ჰქონდა მასას და არსებობდა იმედები ამ მასისა, რომელიც კმაყოფილდებოდა „იდეის“ „ზერელე“ გაგებით.
- «ამიტომ თუ აბსოლუტური კრიტიკა ნამდვილად რაიმეს გმობს «ზერელობისათვის» ეს არის სწორედ მთელი წინანდელი ისტორია საერთოდ, რომლის საქმენი და იდეები

* — ბურჟუაზიის. რ ე დ.

** — სტუდენტთან ან მუშასთან. რ ე დ.

*** — გრიზეტი. რ ე დ.

**** — «იმთავითვე». რ ე დ.

«მასების» საქმენი და იდეები იყო. იგი უარყოფს მასობრივ ისტორიას და მის ადგილზე მას განზრახული აქვს დააყენოს კრიტიკული ისტორია (იხ. ბ-ნ ეულ ფაუნხერის სტატიები ინგლისის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე *). (119) [88—89]

NB

«იდეა» მუდამ თავს ირცხვენდა, როგორც კი «ინტერესს» ჩამოშორდებოდა. მეორე მხრივ, ძნელი არაა იმის გაგება, რომ ყოველი მასობრივი «ინტერესი», რომელიც ისტორიულ აღიარებას ესწრაფვის, როცა ის პირველად გამოდის მსოფლიო სცენაზე, შორს სცილდება «იდეაში» ან «წარმოდგენაში» თავის ნამდვილ საზღვრებს და ადვილად ურევს თავის თავს ადამიანურ ინტერესში საერთოდ. ეს ილუზიაა შეადგენს იმას, რასაც ფურიე უწოდებს ყოველი ისტორიული ეპოქის ტონს» (119) [89] — ამის ილუსტრაციაა საფრანგეთის რევოლუციის მაგალითი (119—120) და ცნობილი სიტყვები (120 in fine *) [90]:

NB

«ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად გაიზრდება, მაშასადამე, მოცულობა, ძალა, რომლის საქმესაც ეს ისტორიული მოქმედებ. წარმოადგენს».

თუ სადამდე მიდიოდა სიმკვეთრე Geist-ად და Masse-დ ** იმ დაყოფისა, რასაც ბაუერი იძლეოდა, ეს ჩანს ისეთი ფრაზიდან, რომელსაც მარქსი თავს ესხმის: «მასაში, და არა სხვა რაიმეში, უნდა ვეძიოთ სულის ნამდვილი მტერი». (121) [90]

მარქსი ამაზე პასუხს იძლევა, რომ პროგრესის მტრები — დამოუკიდებელი არსებობა (verselbständigten) რომ მიიღეს — მასის თვითდამცირების პროდუქტებია, მაგრამ პროდუქტები არა იდეალურნი, არამედ მატერიალურნი, გარეგნულად არსებულნი. უკვე Loustalot ***-ის გაზეთს 1789 წელს⁹ დევიზად ჰქონდა:

Les grands ne nous paraissent grands
Que parceque nous sommes à genoux.
Levons-nous! ****

ხოლო წამოდგომისათვის (122) [90] — ამბობს მარქსი — არა კმარა ეს აზრში, იდეაში გააკეთო.

- — ბოლოში. რ ე დ.
- — სულად და მასად. რ ე დ.
- — ლუსტალო. რ ე დ.
- — დიდები დიდებად გვეჩვენებიან მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ჩვენ დაჩოქილნი ვართ, წამოდგეთ! რ ე დ.

«მაგრამ აბსოლუტურმა კრიტიკამ ჰეგელის ფენომენოლოგიიდან ყოველ შემთხვევაში ერთი ხელოვნება ისწავლა — გადააქციოს რეალური, ობიექტური, ჩემს გარეშე არსებული ჯაჭვები მხოლოდ იდეალურ, მხოლოდ სუბიექტურ, მხოლოდ ჩემში არსებულ ჯაჭვებად და ამიტომ ყველა გარეგანი, გრძნობადი ბრძოლა გადააქციოს წმინდა იდეათა ბრძოლად». (122) [90]

ამით შეიძლება დავამტკიცოთ — გესლიანად ამბობს მარქსი — კრიტიკული კრიტიკისა და ცენზურის პრესტაბილირებული * ჰარმონია, გამოვიყვანოთ ცენზორი არა პოლიციელ ჯალათად (Polizeischerge), არამედ ტაქტისა და ზომიერების ჩემ საკუთარ პერსონიფიციურებულ გრძნობად.

ელოლიავება რა თავის „Geist“-ს, აბსოლუტური კრიტიკა არ არკვევს; ხომ არ არის მის ჰაეროვან (windigen) პრეტენზიებში ფრაზა, თავის მოტყუება, დონდლოობა (Kernlosigkeit).

«სწორედ ასეთივეა საქმის ვითარება «პროგრესის» მიმართაც. წინააღმდეგ «პროგრესის» პრეტენზიებისა, მუდამ შეიმჩნევა რეგრესისა და წრიული მოძრაობის შემთხვევები. ვერ ხვდება რა იმას, რომ «პროგრესის» კატეგორია მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს და აბსტრაქტულია, აბსოლუტური კრიტიკა პირიქით, იმდენად ღრმააზროვანია, რომ პროგრესს აღიარებს აბსოლუტურ მოვლენად იმისათვის, რომ რეგრესის ახსნის მიზნით პროგრესის «პიროვნული მტერი», მასა შემოგვაჩეჩოს». (123—124) [91]

«ყველა კომუნისტი და სოციალისტი მწერალი იმ დაკვირვებიდან გამომდინარეობდა, რომ, ერთი მხრივ, მეტად ხელსაყრელ პირობებში შესრულებული ბრწყინვალე საქმენიციკი, ჩანს, ბრწყინვალე შედეგებს ვერ იძლევიან და ტრივიალობად გადაგვარდებიან ხოლმე; მეორე მხრივ კი, რომ სულის ყოველი პროგრესი იყო პროგრესი კაცობრიობის მასის საზარალოდ, მასისა, რომელიც სულ უფრო და უფრო არადაამიანურ მდგომარეობაში ვარდებოდა. ამიტომ «პროგრესი» მათ გამოაცხადეს (იხ. ფურიე) არადამაკმაყოფილებელ აბსტრაქტულ ფრაზად; ისინი ხვდებოდნენ (იხ., სხვათა რიცხვში, ოუენი) ცივილიზებული სამყაროს ძირითადი მანკის არსებობას; ამიტომ მათ თანამედროვე საზოგადოების ნამდვილი საფუძვლები ულმობლად გააკრიტიკეს. ამ კომუნისტურ კრიტიკას პრაქტიკულად იმთავით-

* — წინასწარ დადგენილი. რედ.

ვე შეესაბამებოდა მოძრაობა ფართო მასისა, რომლის საზარალოდაც დღემდე ისტორიული განვითარება ხდებოდა. საჭიროა იცნობდე ფრანგი და ინგლისელი მუშების მიდრეკილებას მეცნიერებისადმი, ცოდნის წყურვილს, ზნეობრივ ენერგიას და დაუცხრომელ მისწრაფებას თვითგანვითარებისადმი, რათა წარმოდგენა იქონიო ამ მოძრაობის ადამიანურ კეთილშობილებასზე». (124—125) [92]

«როგორი დიდი უპირატესობაა კომუნისტ მწერლებთან შედარებით — განთავისუფლდე სულიერი სიკაცლიერის, აზრის სიზანტის, ზერელობისა და თვითკმაყოფილების წყაროების გამოკვლევისაგან და როცა აღმოაჩენ ამ თვისებებში სულის, პროგრესის დაპირისპირებულობას, ხელი მიჰყო მათს მორალურ შერცხვენას!». (125) [93]

«მაგრამ «სულისა და მასის» ურთიერთობას აქვს კიდევ მეორე, ფართული აზრიც, რომელიც მსჯელობათა შემდგომ მსვლელობაში სავსებით გამოაშკარავდება. ჩვენ აქ მას მხოლოდ მოვხაზავთ. «სულისა» და «მასის» ურთიერთობა, რაც ბატონმა ბრუნომ აღმოაჩინა, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა კრიტიკულ-კარაიკატურული დაგვირგვინება ისტორიის ჰეგელიანული გაგებისა, რომელიც, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა სპეკულაციური გამოხატულება ქრისტიანულ-გერმანული დოგმისა სულიისა და მატერიის, დმერთისა და სამყაროს დაპირისპირებულობის შესახებ. ისტორიის ფარგლებში, თვით კაცობრიობის ფარგლებში ეს წინააღმდეგობა სახელდობრ იმით გამოხატება, რომ ცოტაოდენი რჩეული ინდივიდები, როგორც აქტიური სული, უპირისპირდება მთელ დანარჩენ კაცობრიობას როგორც უსულად გმულ მასას, როგორც მატერიას». (126) [93]

და მარქსი აღნიშნავს, რომ ჰეგელის *Geschichtsauffassung** გულისხმობს აბსტრაქტულ და აბსოლუტურ სულს, რომლის მატარებელიც მასაა. ჰეგელის დოქტრინის პარალელურად საფრანგეთში ვითარდებოდა დოქტრინები¹¹ (126) [93] მოძღვრება, რომლებიც აცხადებდნენ გონების სუვერენულობას წინააღმდეგ ხალხის სუვერენულობისა, რათა მასა გამოერიცხათ და მარტო მათ (*allein*) ებატონათ.

ჰეგელი «დანაშაულია ორგვარ ნახევრულობაში» (127) [94]:

1) აცხადებს რა ფილოსოფიას აბსოლუტური სულის ყოფიერებად, იგი არ აცხადებს ამ სულად ფილოსოფიურ ინდი-

* — ისტორიის გაგება. რედ.

ვიდს; 2) აბსოლუტურ სულს იგი ისტორიის შემქმნელად ხდის მხოლოდ მოჩვენებითად (nur zum Schein), მხოლოდ post festum *, მხოლოდ ცნობიერებაში.

Bruno ** თავიდან იშორებს ამ ნახევრულობას: კ რ ი ტ ი - კ ა ს ის აცხადებს აბსოლუტურ სულად და — ისტორიის 'შემქმნელად სინამდვილეში.

«ერთ მხარეზე დგას მასა როგორც პასიური, უსულდგმულო, არაისტორიული, მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ელემენტი ისტორიისა; მეორე მხარეზე — ს უ ლ ი, კ რ ი ტ ი კ ა, ბ-ნი ბრუნო და კომპანია როგორც აქტიური ელემენტი, რომლიდანაც გამოდის ყოველგვარი ისტორიული მოქმედება. საზოგადოების გარდაქმნის საქმე დაყვანილია კრიტიკული კრიტიკის ტ ვ ი ნ ის მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ზ ე». (128) [94—95]

«მასის წინააღმდეგ აბსოლუტური კრიტიკის ლაშქრობათა» პირველ მაგალითად მარქსს მოჰყავს ბრ. ბაუერის დამოკიდებულება Judenfrage-სადმი — ამასთან იმოწმებს ბაუერის შეხედულებათა უარყოფას, რომელიც მოთავსებული იყო Deutsch-Französische Jahrbücher-ში.

«აბსოლუტური კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უწინარეს ყოვლისა ისაა, რომ თანამედროვეობის ყველა საკითხი სწო რ ა დ და ა ყ ე ნ ო ს. სახელდობრ, ის არ იძლევა პასუხს ნ ა მ დ ვ ი ლ კითხვებზე, არამედ ს რ უ ლ ი ა დ ს ხ ვ ა საკითხებს შემოგვაჩეჩებს ხოლმე... ასე, მაგალითად, მან იმნაირად დაამახინჯა «ებრაელთა საკითხიც», რომ მისთვის უკვე აღარ იყო საჭირო გამოკვლევა დაეწყო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე მ ა ნ - ს ი პ ა ც ი ის ა, რაც ამ საკითხის შინაარსს შეადგენს, და მას შეეძლო, პირიქით, დაკმაყოფილებულიყო ებრაული რელიგიის კრიტიკით და ქრისტიანულ-გერმანული სახელმწიფოს აღწერით.

«აბსოლუტური კრიტიკის ყველა სხვა ორიგინალური გამოვლენის მსგავსად, ეს მეთოდიც ს პ ე კ უ ლ ა ც ი უ რ ი ფოკუსის განმეორებაა. ს პ ე კ უ ლ ა ც ი უ რ ი ფილოსოფიას, განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფიას, აუცილებელ საჭიროებად ის მიაჩნდა, რომ ყველა საკითხი სალი ადამიანური განსჯის ფორმიდან სპეკულაციური გონების ფორმაში გადაეყვანა და ნამდვილი საკითხი ს პ ე კ უ ლ ა ც ი უ რ საკითხად გადაექცია, რათა მასზე პასუხის ვაცემა შეძლებოდა. რაკი

* — უკანა რიცხვით. რ ე დ.

** — ბრუნო. რ ე დ.

ჩემი საკითხები დაამახინჯა და პირში თავისი საკუთარი საკითხები ჩამიღო, მსგავსად იმისა, როგორც ამას კატეხიზმომ აკეთებს, სპეკულაციურ ფილოსოფიას შეეძლო, რა თქმა უნდა, ისევე როგორც კატეხიზმოს, ყოველ ჩემს კითხვაზე შემონახული ჰქონოდა მზა პასუხი». (134—135) [99]

ენგელსის მიერ დაწერილ § 2 ა-ში (...«კრიტიკა» და «ფოიერბახი». ფილოსოფიის დაგმობა...) — გვ. 138—142 [101—104] — ჩვენ ვხედავთ ფოიერბახის მხურვალე ქებას. ფილოსოფიაზე «კრიტიკის» თავდასხმების გამო, იმის გამო, რომ მას (ფილოსოფიას) უპირისპირდება ადამიანთა ურთიერთობის ნამდვილი სიმდიდრე, «ისტორიის უსაზღვრო შინაარსი», «ადამიანის მნიშვნელობა» და სხვ. და სხვ. ფრაზამდე: «სისტემის საიდუმლოება გახსნილია» — ენგელსი ამბობს:

«კი მაგრამ ვინ გახსნა «სისტემის» საიდუმლოება? ფოიერბახმა. ვინ მოსპო ცნებათა დიალექტიკა — ღძერების ეს ომი, მხოლოდ ფილოსოფოსებისთვის ცნობილი? ფოიერბახმა. ვინ დასვა ძველი ხარახურას ადგილზე დამათ შორის «უსასრულო თვითშეგნების» ადგილზეც — არა «ადამიანის მნიშვნელობა» — თითქოს ადამიანს კიდევ სხვა რაიმე დანიშნულება ჰქონდეს, ვიდრე ის, რომ იგი ადამიანია! — არამედ თვით «ადამიანი»? ფოიერბახმა და მხოლოდ ფოიერბახმა. მან უფრო მეტიც გააკეთა. მან დიდხანია მოსპო ის კატეგორიები, რომლებსაც ახლა აქეთ-იქით მიმოისვრის «კრიტიკა»: «ადამიანთა ურთიერთობის ნამდვილი სიმდიდრე, ისტორიის უსაზღვრო შინაარსი, ისტორიის ბრძოლა, მასის ბრძოლა სულთან» და ა. შ.

«მას შემდეგ, რაც ადამიანი შეცნობილია როგორც არსი, როგორც ბაზისი მთელი ადამიანური მოქმედებისა და ყველა ადამიანური ურთიერთობისა, მხოლოდ «კრიტიკას» შეუძლია გამოიგონოს ახალი კატეგორიები და დააქციოს თვით ადამიანი, როგორც ამას იგი კიდევ აკეთებს, კვლავ რაღაც კატეგორიად და მთელი რიგი კატეგორიების პრინციპად. ამით იგი, მართალია, ხსნის იმ ერთადერთ გზას ადგება, რომელიც კიდევ შემორჩენოდა თავის განკარგულებაში შეშფოთებულ და დევნილ თეოლოგიურ არაადამიანურობას. ისტორია არ აკეთებს არაფერს, მას «არ გააჩნია არავითარი უსაზღვრო სიმდიდრე», იგი «არ იბრძვის არავითარ ბრძოლებში!» არა «ისტორია», არამედ სწორედ ადამიანი, ნამდვილი, ცოცხალი ადამიანი — აი ვინ აკეთებს ყოველივე ამას, აი ვის აქვს.

ყველაფერი და ვინ იბრძვის ყველაფრისათვის. «ისტორია» არ არის რაღაც განსაკუთრებული პიროვნება, რომელიც ადამიანს საშუალებად იყენებს თავისი მიზნების მისაღწევად; ისტორია სხვა არაფერია, თუ არა მოქმედება ადამიანისა, რომელიც თავისი მიზნებისათვის იღვწის. თუ აბსოლუტური კრიტიკა ფოიერბახის გენიალური აღმოჩენების შემდეგ თავის თავს ნებას აძლევს კიდევ ის გააკეთოს, რომ მთელი ძველი ხარაზურა ახალი სახით აღდგენილი წარმოგვიდგინოს... (139—140) [102] და ა. შ. — მაშინ მარტო ეს ფაქტი კმარა იმისათვის, რომ შევაფასოთ კრიტიკული გულუბრყვილობა etc.

და შემდეგ „მატერიისადმი“ (კრიტიკამ მასას უწოდა „მატერია“) სულის დაპირისპირების გამო ენგელსი ამბობს:

«ამრიგად, განა აბსოლუტური კრიტიკა ჭეშმარიტად ქრისტიანულ-გერმანულ იარაღს? მას შემდეგ, რაც სპირიტუალიზმისა და მატერიალიზმის ძველმა დაპირისპირებულობამ ყველა მიმართულებით თავისი თავი ამოწურა ბრძოლაში და ფოიერბახმა იგი ერთხელ და სამუდამოდ დასძლია, «კრიტიკა» მას კვლავ აქცევს, და თანაც ყველაზე საზიზღარი ფორმით, ძირითად დოგმად და ქრისტიანულ-გერმანულ სულს ამარჯვებინებს...» (141) [103]

ბაუერის შემდეგი სიტყვების გამო: «იმდენად, რამდენადაც ებრაელებმა თეორიის სფეროში ახლა წინ წაიწიეს, ისინი ნამდვილად განთავისუფლებულნი არიან; იმდენად, რამდენადაც მათ სურთ თავისუფალნი იყვნენ, ისინი თავისუფალნი არიან» (142) [104], მარქსი ამბობს:

«ეს დებულება შესაძლებლობას იძლევა უცებ გავზომოთ ის კრიტიკული უფსკრული, რომელიც მასობრივ ამქვეყნიურ კომუნიზმსა და სოციალიზმს აბსოლუტური სოციალიზმისაგან გამოყოფს. ამქვეყნიური სოციალიზმის პირველი დებულება კი უარყოფს ემანსიპაციას მარტოდენ თეორიის სფეროში როგორც ილუზიას და მოითხოვს ნამდვილი თავისუფლებისათვის, გარდა იდეალისტური «ნებისა», კიდევ მეტად ხელშესახებ, მეტად მატერიალურ პირობებს. წმინდა კრიტიკასთან შედარებით როგორ დაბლა დგას «მასა», — მასა, რომელსაც მატერიალური, პრაქტიკული გადატრიალებანი აუცილებელ რამედ მიაჩნია იმისთვისაც კი, რომ მოიპოვოს დრო და საშუალებანი, საჭირო თუნდაც მარტო იმისთვის, რომ ხელი მოჰკიდოს «თეორიაზე» მუშაობას! (142) [104]

შემდგომი — (გვ. 143—167 [104—120]) — ეს არის ლიტერატურული გაზეთის ყველაზე მოსაწყენი, წარმოუდგენლად შარიანი კრიტიკა, რალაც პწკარედ-პწკარედი კომენტარი „გამანადგურებელი“ ტიპისა. სრულიად არაფერია საინტერესო.

ბოლო §-ისა ((b) ებრაელთა საკითხი № II. 142—185 [104—131]) — 167—185 [120—131] გვერდებზე მოცემულია მარქსის საინტერესო პასუხი ბაუერისადმი, რომელიც იცავდა თავის წიგნს „Judenfrage“; ეს წიგნი გაკრიტიკებული იყო Deutsch-Französische Jahrbücher-ში. (მარქსი მუდამ იმოწმებს ამ ადგილებს). მარქსი აქ მკვეთრად და რელიეფურად უსვამს ხაზს მთელი თავისი მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპებს.

„რელიგიურ საკითხებს ამჟამად საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ“ (167 [120]) — ეს უკვე ნათქვამი იყო Deutsch-Französische Jahrbücher-ში. იქ დახასიათებული იყო „ებრაელთა ნამდვილი მდგომარეობა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“. „ბ-ნი ბაუერი ნამდვილ ებრაელს ებრაული რელიგიით გვიხსნის ნაცვლად იმისა, რომ ებრაული რელიგიის საიდუმლოება ნამდვილი ებრაელით აგვიხსნას“. (167—168) [120—121]

ბ-ნი ბაუერს აზრად არ მოსდის, „რომ ნამდვილ საერო ებრაელობას, მაშასადამე, რელიგიურ ებრაელობასაც, მუდამ წარმოშობს ახლანდელი ბურჟუაზიული ცხოვრება და რომ იგი თავის უმაღლეს განვითარებას ფულად სისტემაში პოულობს“.

Deutsch-Französische Jahrbücher-ში აღნიშნული იყო, რომ ებრაელობის განვითარება უნდა ვეძიოთ „in der kommerziellen und industriellen Praxis“ * (169) [121], — რომ პრაქტიკული ებრაელობა არის „vollendete Praxis der christlichen Welt selber ist“ **. (169) [121]

«დამტკიცებული იყო, რომ ებრაული არსების დაძლევის ამოცანა სინამდვილეში ის არის, რომ გაუქმდეს ებრაული სული ბურჟუაზიული საზოგადოებისა, გაუქმდეს არაადამიანურობა თანამედროვე ცხოვრების პრაქტიკისა, რომლის კულმინაციურ პუნქტსაც ფულადი სისტემა წარმოადგენს». (169) [122]

მოითხოვს რა თავისუფლებას, — ებრაელი ამით მოითხოვს

* — «სავაქრო და სამრეწველო პრაქტიკაში». რ ე დ.

** — «დამთავრებული პრაქტიკა თვით ქრისტიანული სამყაროსი». რ ე დ.

იმას, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება პოლიტიკურ თავისუფლებას (172) [123—124] — ლაპარაკია პოლიტიკურ თავისუფლებაზე.

«ბ-ნ ბაუერს უჩვენეს, რომ ადამიანის გათიშვა სახელმწიფოს არარელიგიურ მოქალაქედ და რელიგიურ კერძო პირად სულაც არ ეწინააღმდეგება პოლიტიკურ ემანსიპაციას». (172) [124]

იქვე წინანათქვამს მოსდევს:

«მას უჩვენეს, რომ, მსგავსად იმისა, როგორც სახელმწიფო თავისუფლებად რელიგიისაგან, თავისუფლებად რა სახელმწიფო რელიგიისაგან და მიუშვებს რა თავის ნებაზე რელიგიის სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში, სწორედ ასევე ცალკეული ადამიანიც პოლიტიკურად თავისუფლებად რელიგიისაგან, ეპყრობა რა მას უკვე არა როგორც საჯარო, არამედ როგორც თავის კერძო საქმეს. ბოლოს, მას უჩვენეს, რომ საფრანგეთის რევოლუციის ტერორისტული დამოკიდებულება რელიგიისადმი სულაც არ უარყოფს ამ შეხედულებას, არამედ, პირიქით, ადასტურებს მას». (172) [124]

ებრაელებს სურთ *allgemeine Menschenrechte* *.

«Deutsch-Französische Jahrbücher»-ში უმტკიცებდნენ ბ-ნ ბაუერს, რომ ეს «თავისუფალი ადამიანობა» და მისი «ალიარება» სხვა არაფერია, თუ არა ალიარება ეგოისტური იმ მოქალაქო ინდივიდისა და იმ სულიერი და მატერიალური ელემენტების აუღაგმავი მოძრაობისა, რომელნიც ამ ინდივიდის საარსებო მდგომარეობის შინაარსს შეადგენენ, თანამედროვე სამოქალაქო ცხოვრების შინაარსს; რომ ამიტომ ადამიანის უფლებები არ ათავისუფლებენ ადამიანს რელიგიისაგან, არამედ მას ანიჭებენ მხოლოდ რელიგიის თავისუფლებას; რომ ისინი არ ათავისუფლებენ მას საკუთრებისაგან, არამედ ანიჭებენ მას საკუთრების თავისუფლებას, არ ათავისუფლებენ მას გამორჩენის გამოდევნებისაგან, არამედ მას ანიჭებენ მხოლოდ მეწარმეობის თავისუფლებას.

«მას უჩვენეს, რომ ადამიანის უფლებათა ალიარებას თანამედროვე სახელმწიფოს მიერ ისეთივე აზრი აქვს, როგორიც ჰქონდა მონობის ალიარებას ანტიკური სახელმწიფოს მიერ. სა-

* — ადამიანის საყოველთაო უფლებები. რედ.

ხელდობრ, მსგავსად იმისა, როგორც ანტიკურ სახელმწიფოს თავის ბუნებრივ საფუძვლად მონობა ჰქონდა, სწორედ ასევე თანამედროვე სახელმწიფოს თავის ბუნებრივ საფუძვლად აქვს სამოქალაქო საზოგადოება და აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების ადამიანი (ე. ი. დამოუკიდებელი ადამიანი, დაკავშირებული მეორე ადამიანთან მხოლოდ კერძო ინტერესითა და შეუგნებელი ბუნებრივი აუცილებლობით, მონა თავისი სარეწისა და თავისი საკუთარი და ასევე სხვისი ანგარებითი მოთხოვნილებისა. თანამედროვე სახელმწიფომ აღიარა ეს ბუნებრივი საფუძველი როგორც ასეთი ადამიანის საყოველთაო უფლებებში»¹³. (175) [125—126]

„ებრაელს მით უფრო მეტი უფლება აქვს თავისი „თავისუფალი ადამიანობის“ აღიარებაზე“, «რომ «თავისუფალი ბურჟუაზიული საზოგადოება» მთლად კომერციულ, ებრაულ ხასიათს ატარებს, და ებრაელი წინასწარ უკვე მისი აუცილებელი წევრია». (176) [126]

„ადამიანის უფლებები“ რომ თანდაყოლილი არაა, არამედ ისტორიულად წარმოშობილია, ეს უკვე ჰეგელმა იცოდა. (176) [126]

აღნიშნავს რაკონსტიტუციონალიზმის წინააღმდეგობებს, „კრიტიკა“ არ განაზოგადებს მათ (fasst nicht den allgemeinen Widerspruch des Constitutionalismus *). (177—178) [127]

მას რომ ეს გაეკეთებინა, იგი კონსტიტუციური მონარქიიდან დემოკრატიულ წარმომადგენლობით სსხელმწიფომდე, დამთავრებულ თანამედროვე სახელმწიფომდე მივიდოდა. (178) [127]

სამრეწველო საქმიანობა არ ისპობა პრივილეგიათა (საამქროების, კორპორაციებისა etc.) მოსპობით, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ძლიერად ვითარდება. მიწის საკუთრება არ ისპობა მიწათმფლობელობის პრივილეგიათა მოსპობით, «პირიქით, მხოლოდ მიწის საკუთრების პრივილეგიათა მოსპობის შემდეგ იწყება მისი უნივერსალური მოძრაობა თავისუფალი დაქუცმაცებისა და თავისუფალი გასხვისების გზით». (180) [128—129]

ვაჭრობა არ ისპობა სავაჭრო პრივილეგიების მოსპობით, არამედ მხოლოდ მაშინ იქცევა ჰემმარიტად თავისუფალ ვაჭრობად, ასევე რელიგია: «სწორედ ამგვარადვე გაიშლება რელიგია მთელი თავისი პრაქტიკული უნივერსალობით

* — არ ესმის კონსტიტუციონალიზმის ზოგადი წინააღმდეგობა. რედ.

მხოლოდ იქ, სადაც არავითარი პრივილეგიების რელიგია არ არსებობს (გავიხსენოთ ჩრდილოეთ ამერიკის შტატები)».

...«სწორედ ბურჟუაზიული საზოგადოების მონობა თავისი მოჩვენებითობით უდიდესი თავისუფლებებია...» (181) [129]

რელიგიის პოლიტიკური ყოფიერების შეწყვეტას (Auflösung) (182) [130] (სახელმწიფო ეკლესიის მოსპობა), საკუთრების შეწყვეტას (საარჩევნო ცენზის მოსპობა) და ა. შ. — შეესაბამება მათი «მძლავრი სიცოცხლე», რომელიც ამიერიდან დაუბრკოლებლად ექვემდებარება თავის საკუთარ კანონებს და მთელი სივრცე-სივანით გაიშლება.

ანარქია — ეს არის პრივილეგიებისაგან განთავისუფლებული ბურჟუაზიული საზოგადოების კანონი. (182—183) [130]

...c) კრიტიკული ბრძოლა

საფრანგეთის რევოლუციისას

«მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის მიერ წარმოშობილ იდეებს, — მოჰყავს მარქსს ბაუერის სიტყვები, — არ გავყავდით იმ წესწყობილების საზღვრებს იქით, რომლის ძალდატანებით დამხობაც მას სურდა».

«იდეებს არასოდეს არ შეუძლიათ გაგვიყვანონ ძველი მსოფლიო წესწყობილების საზღვრებს იქით: ყველა შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაგვიყვანონ ძველი მსოფლიო წესწყობილების მხოლოდ იდეათა საზღვრებს იქით. იდეებს საერთოდ არაფრის განხორციელება არ შეუძლიათ. იდეათა განხორციელებისათვის საჭიროა ადამიანები, რომლებმაც პრაქტიკული ძალა უნდა გამოიყენონ». (186) [132]

საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა კომუნისმის იდეები (ბაბეფი), რომლებიც თანმიმდევრული დამუშავების შემთხვევაში ახალი Weltzustands * იდეას შეიცავდნენ.

ბაუერის სიტყვების გამო, სახელმწიფო ცალკეულ ეგოისტურ ატომებს უნდა აკავებდეს, მარქსი ამბობს (188—189) [133—134], რომ ბურჟუაზიული საზოგადოების წევრები, კაცმა რომ თქვას, სულაც არ არიან ატომები, არამედ მათ მხოლოდ ასეთებად წარმოუდგენიათ თავი, რადგან მათ არა აქვთ თვითკმარი მნიშვნელობა, როგორც ატომებს, არამედ დამოკიდებულნი არიან სხვა ადამიანებზე, მათი მოთხოვნილებანი მუდამ აყენებენ მათ ამ დამოკიდებულ მდგომარეობაში.

* — მსოფლიო წესწყობილების. რედ.

«ამრიგად, ბუნებრივი აუცილებლობა, ადამიანი უარი არსების თვისებანი, როგორი გასხვისებული სახითაც არ უნდა გვევლინებოდნენ ისინი, ინტერესი, — აი რა გადააჯაჭვავს ერთმანეთთან სამოქალაქო საზოგადოების წევრებს. რეალურ კავშირს მათ შორის წარმოადგენს არა პოლიტიკური, არამედ სამოქალაქო ცხოვრება... მხოლოდ პოლიტიკურ ცრურ წმენდას შეუძლია კიდევ წარმოიდგინოს ჩვენს დროში, რომ სახელმწიფო უნდა განამტკიცებდეს სამოქალაქო ცხოვრებას. მაშინ როდესაც სინამდვილეში, პირიქით, სამოქალაქო ცხოვრება განამტკიცებს სახელმწიფოს». (189) [134]

რობესპიერი, ს.-ჟიუსტი და მათი პარტია იმიტომ დაიღუპნენ, რომ მონობაზე დამყარებული ანტიკური, რეალისტურ-დემოკრატიული საზოგადოება მათ აურიეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე დამყარებულ თანამედროვე სპირიტუალისტურ-დემოკრატიულ წარმოდგენლობითს სახელმწიფოში. სიკვდილით დასჯის წინ სენ-ჟიუსტმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ტაბულაზე (Tableau აფიშაზე? დაკიდებულზე) და თქვა: „C'est pourtant moi qui ai fait cela“ *. «სწორედ ამ დაფაზე იყო გამოცხადებული უფლებანი ადამიანისა, რომელსაც იმდენადვე არ შეუძლია იყოს ანტიკური რესპუბლიკის ადამიანი, რამდენადაც მისი ეკონომიკური და სამრეწველო ურთიერთობანი არ წარმოადგენენ ანტიკურ ურთიერთობებს». (192) [136]

18 ბრიუმერს¹⁴ ნაპოლეონის ნადავლი იყო არა რევოლუციური მოძრაობა, არამედ ლიბერალური ბურჟუაზია. რობესპიერის დაცემის შემდეგ, დირექტორიის დროს იწყება ბურჟუაზიული საზოგადოების პროზაული განხორციელება: სავაჭრო საწარმოთა Sturm und Drang **, ახალი ბურჟუაზიული ცხოვრების აურზაური (Taumel); «ნამდვილი განათლება ფრანგთა მიწისა, რომლის ფეოდალური სტრუქტურაც რევოლუციის ურომ დაამსხვრია და რომლის ყოველმხრივ დამუშავებასაც ხელი მიჰყო მრავალმა მესაკუთრემ გამალეხული საქმიანობით გატაცების პირველ ხანებში; განთავისუფლებული მრეწველობის პირველი მოძრაობანი, — ასეთია სულ ახლახან წარმოშობილი ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების ზოგიერთი გამოვლენათაგანი». (192—193) [136—137]

VI თავი. აბსოლუტური კრიტიკული კრიტიკა,
ანუ კრიტიკული კრიტიკა
ბ-ნი ბრუნოს სახით

...3) აბსოლუტური კრიტიკის მესამე
ლაშქრობა

d) კრიტიკული ბრძოლა ფრანგულ მატერიალიზმთან
(195—211) [138—148]

II ეს თავი (§ d VI თავის 3 ნაწილად) — ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასია წიგნში. აქ სრულიად არაა პწკარედ-პწკარედი კრიტიკა, არამედ მთლიანად დადებითი გადმოცემაა. ეს არის მოკლე ნარკვევი ფრანგული მატერიალიზმის ისტორიიდან. აქ საჭირო იქნებოდა მთელი თავის სულ ერთიანად ამოწერა, ამიტომაც დაკვამყოფილდები შინაარსის მოკლე კონსპექტით. II

XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობა და ფრანგული მატერიალიზმი — ეს არის არა მარტო ბრძოლა არსებულ პოლიტიკურ დაწესებულებათა წინააღმდეგ, არამედ ამდენადვე აშკარა ბრძოლაც XVII საუკუნის მეტაფიზიკის წინააღმდეგ, სახელდობრ დეკარტის, მალბრანშის, სპინოზას და ლაიბნიცის მეტაფიზიკის წინააღმდეგ. «ფილოსოფია დაუპირისპირეს მეტაფიზიკას, მსგავსად იმისა, როგორც ფოიერბახმა ჰეგელის წინააღმდეგ თავისი პირველი გადამწყვეტი გალაშქრების დროს ფხიზელი ფილოსოფია მთვრალ სპეკულაციას დაუპირისპირა». (196) [139]

XVII საუკუნის მეტაფიზიკამ, რომელიც XVIII საუკუნის მატერიალიზმმა დაამარცხა, ძლევამოსილი და შინაარსიანი (gehaltvolle) რესტავრაცია განიცადა გერმანულ ფილოსოფიაში და განსაკუთრებით XIX საუკუნის სპეკულაციურ გერმანულ ფილოსოფიაში. ჰეგელმა გენიალურად შეაერთა იგი მთელ მეტაფიზიკასთან და გერმანულ იდეალიზმთან და დააარსა ein metaphysisches Universalreich *. ამას კვლავ მოჰყვა «შეტევა სპეკულაციურ მეტაფიზიკაზე და ყოველგვარ მეტაფიზიკაზე საერთოდ. მეტაფიზიკას სამუდამოდ დაამარცხებებს მატერიალიზმი, რომელმაც ამჟამად თვით სპეკულაციის მუშაობის მეოხებით თავის დამთავრებას მიაღწია და რომელიც ჰუმანიზმს

* — მეტაფიზიკური უნივერსალური სამეფო. რ ე დ.

ემთხვევა. და მსგავსად იმისა, როგორც ფოიერბახი მოგვევლინა ჰუმანიზმთან თანმთხვევადი მატერიალიზმის გამომხატველად თეორიულ დარგში, ასევე ფრანგული და ინგლისური სოციალიზმი და კომუნიზმი მოგვევლინენ ამ მატერიალიზმის გამომხატველად პრაქტიკულ დარგში». (196—197) [139]

არსებობს ფრანგული მატერიალიზმის ორი მიმართულება: 1) მომდინარე დეკარტიდან. 2) მომდინარე ლოკიდან. უკახასკნელი *mündet direkt in den Socialismus* *. (197) [139]

პირველი, მექანიკური მატერიალიზმი, გარდაიქმნება ფრანგულ ბუნებისმეტყველებად.

დეკარტი თავის ფიზიკაში მატერიას ერთადერთ სუბსტანციად აცხადებს. მექანიკური ფრანგული მატერიალიზმი იღებს დეკარტის ფიზიკას და უკუაგდება მის მეტაფიზიკას.

«ექიმი ლერუა საფუძველს უყრის ამ სკოლას, ექიმ კაბანისის სახით ეს სკოლა თავის კულმინაციურ პუნქტს აღწევს. ექიმი ლამეტრი მის ცენტრს წარმოადგენს». (198) [140]

დეკარტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა Leroy-მ ** ცხოველის მექანიკური კონსტრუქცია ადამიანზე გადაიტანა, სული სხეულის *modus* ად გამოაცხადა, იდეები კი — მექანიკურ მოძრაობებად. (198) [140] Leroy იმასაც კი ფიქრობდა, რომ დეკარტმა თავისი ნამდვილი აზრი დამალა. დეკარტმა პროტესტი განაცხადა.

XVIII საუკუნის დასასრულს კაბანისმა დაამთავრა კარტიზიული მატერიალიზმი წიგნში „*Rapports du physique et du moral de l'homme*“¹⁹.

XVII საუკუნის მეტაფიზიკას წარმოშობისთანავე ანტაგონისტი ჰყავდა მატერიალიზმის სახით. დეკარტს — გასენდი, ეპიკურეული მატერიალიზმის აღმდგენელი, ინგლისში — ჰობსი.

ვოლტერმა (199) [140] შენიშნა, რომ XVIII საუკუნის ფრანგების ინდიფერენტულობა იეზუიტურ და სხვა პაექრობათა მიმართ გამოწვეულია არა იმდენად ფილოსოფიით, რამდენადაც Law-ის *** ფინანსური სპეკულაციებით. მატერიალიზმისაკენ მიმართული თეორიული მოძრაობა აიხსნება მანინდელი ფრანგული ცხოვრების პრაქტიკული *Gestaltung*-ით ****. მატერიალისტურ პრაქტიკას შეესაბამებოდა მატერიალისტური თეორიები.

* — ერთვის პირდაპირ სოციალიზმს. რ ე დ.
 ** — ლერუა. რ ე დ.
 *** — ლო. რ ე დ.
 **** — ორგანიზაცია. რ ე დ.

XVII საუკუნის მეტაფიზიკა (დეკარტი, ლაიბნიცი) დაკავშირებული იყო კიდევ დადებით (positivem) შინაარსთან. იგი აღმოჩენებს ახდენდა მათემატიკაში, ფიზიკაში და სხვ. XVIII საუკუნეში პოზიტიური მეცნიერებანი გამოეყვნენ და მეტაფიზიკა war fad geworden*.

მალბრანშის გარდაცვალების წელს დაიბადნენ პელვეციუსი და კონდილიაკი. (199—200) [141]

თეორიულად XVII საუკუნის მეტაფიზიკა შეარყია Pierre Bayle-მ** — თავისი სკეპტიციზმის იარაღით. იგი უარყოფდა უმთავრესად სპინოზასა და ლაიბნიცს. მან გამოაცხადა ათეისტური საზოგადოება. იგი იყო „უკანასკნელი მეტაფიზიკოსი XVII საუკუნის გაგებით და პირველი ფილოსოფოსი XVIII საუკუნის გაგებით (200—201) [142] — ერთი ფრანგი მწერლის სიტყვები.

ამ ნეგატიურ უარყოფას ესაჭიროებოდა პოზიტიური, ანტი-მეტაფიზიკური სისტემა. ის მოგვცა ლოკმა.

მატერიალიზმი — დიდი ბრიტანეთის პირმოთა. უკვე მისი სქოლასტიკოსი Duns Scotus*** ეკითხებოდა თავის თავს: „ob die Materie nicht denken können?“**** იგი ნომინალისტი იყო. ნომინალიზმი საერთოდ მატერიალიზმის პირველი გამოხატულება¹⁶.

ინგლისური მატერიალიზმის ნამდვილი ფუძემდებელი იყო ბეკონი. («მატერიის თანდაყოლილ თვისებათაგან პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია მოძრაობა, — არა მარტო როგორც მექანიკური და მათემატიკური მოძრაობა, არამედ კიდევ უფრო მეტად როგორც მისწრაფება, როგორც სასიცოცხლო სული, როგორც ძაბვა, როგორც ტანჯვა (Qual) ... მატერიისა». — 202 [142])

«ბეკონის, როგორც თავისი პირველი შემქმნელის, სახით მატერიალიზმი ჯერ კიდევ შეიცავს გულუბრყვილო ფორმით ყოველმხრივი განვითარების ჩანასახებს. მატერია თავისი პოეტურ-გრძნობადი ელვარებით უღიმის მთელ ადამიანს».

პოპსის მოძღვრებაში მატერიალიზმი ხდება ცალმხრივი menschenfeindlich. mechanisch*****. პოპსმა სისტემაში მოიყვანა ბეკონის შეხედულებანი, მაგრამ არ დაუსაბუთებია

* — გახდა უგვანო. რედ.

** — პიერ ბეილი. რედ.

*** — დუნს სკოტი. რედ.

**** — «ხომ არ შეუძლია მატერიას იაზროვნოს?».

რედ.

***** — ადამიანისადმი მტრული, მექანიკური. რედ.

(begründet) უფრო დაწვრილებით მისი ძირითადი პრინციპი: ცოდნათა და იდეათა წარმოშობა გრძნობათა სამყაროდან (Sinnenwelt). — გვ. 203 [143].

როგორც ჰობსმა მოსპო ბეკონისეული მატერიალიზმის თეისტური ცრურწმენები, ისე Collins-მა, Dodwell-მა, Coward-მა, Hartley-მ, Priestley-მ etc. * მოსპეს ლოკის სენსუალიზმის უკანასკნელი თეოლოგიური საზღვრები¹⁷.

კონდილიაკმა ლოკის სენსუალიზმი XVII საუკუნის მეტაფიზიკის წინააღმდეგ წარმართა, მან გამოაქვეყნა დეკარტის, სპინოზას, ლაიბნიცის და მალბრანშის სისტემათა უარყოფა.

ფრანგებმა „ცივილიზებული გახადეს“ (205) [144] ინგლისელთა მატერიალიზმი.

ჰელვეციუსთან (რომელიც აგრეთვე ლოკის მოძღვრებიდან გამოდის) მატერიალიზმი ნამდვილ ფრანგულ ხასიათს ღებულობს.

Lametrie** — კარტეზიული და ინგლისური მატერიალიზმის შეერთება.

Robinet*** — ყველაზე მეტად არის დაკავშირებული მეტაფიზიკასთან.

«როგორც კარტეზიული მატერიალიზმი ერთვის ბუნების მეტყველებას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ისე ფრანგული მატერიალიზმის მეორე მიმართულება ერთვის უშუალოდ სოციალიზმსა და კომუნისმს». (206) [145]

მატერიალიზმის წინამძღვრებიდან იმაზე უფრო ადვილი არაფერია, რომ გამოვიყვანოთ სოციალიზმი (გრძნობადი სამყაროს გარდაქმნა, — დავაკავშიროთ კერძო და საერთო ინტერესი — გავანადგუროთ დანაშაულისა და სხვათა ანტისოციალური Geburtsstätten****).

ფურიე გამოდის უშუალოდ ფრანგი მატერიალისტების მოძღვრებიდან. ბაბტევისტები¹⁸ უხეში, განუვითარებელი მატერიალისტები იყვნენ. ბენტამი თავის სისტემას ამყარებს ჰელვეციუსის მორალზე, ოუენი კი ბენტამის სისტემიდან გამოდის ინგლისური კომუნისმის დასასაბუთებლად. კაბეს ინგლისიდან მოაქვს საფრანგეთში კომუნისტური იდეები (იგი

* — კოლინმა, დოდუელმა, კაუარდმა, ჰარტლიმ, პრისტლიმ და ა. შ. რედ.

** — ლამეტრი. რედ.

*** — რობინე. რედ.

**** — წყაროები. რედ.

იყო კომუნისმის populärste wenn auch flachste * წარმომადგენელი) 208 [146]. „უფრო მეცნიერულნი არიან“ D e z a m y, G a y ** და სხვები, რომლებიც ავითარებენ მატერიალიზმის — როგორც რ ე ა ლ უ რ ი ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ი ს — მოძღვრებას.

209—211 [147—148] გვერდებზე მარქსი იძლევა შენიშვნაში (ორი გვერდი პეტიტიო) ა მ ო ნ ა წ ე რ ე ბ ს Helvétius-ის, Holbach-ის და Bentham-ის *** ნაშრომებიდან, რათა დაამტკიცოს XVIII საუკუნის მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს კავშირი XIX საუკუნის ინგლისურ და ფრანგულ კომუნისმთან.

შემდგომი 55-დან აღსანიშნავია შემდეგი ადგილი:

«დავა უტრაუსსა და ბაუერს შორის სუბსტანციისა და თვითცნობიერების შესახებ არის დავა ჰეგელისეული სპეკულაციის ფარგლებში. ჰეგელის სისტემაში არსებობს სამი ელემენტი: სპინოზას სუბსტანცია, ფიხტეს თვითცნობიერება და ჰეგელის აუცილებელ-წინააღმდეგობრივი ერთიანობა ორივე ელემენტისა — აბსოლუტური სული. პირველი ელემენტი არის მეტაფიზიკურად გადაცმული ბუნება, ადამიანს მოწყვეტილი, მეორე — მეტაფიზიკურად გადაცმული სული, ბუნებას მოწყვეტილი, მესამე — მეტაფიზიკურად გადაცმული ერთიანობა ორივე ფაქტორისა, ნამდვილი ადამიანი და ნამდვილ ადამიანთა მოდგმა» (220) [154], და შემდგომი აბზაცი, სადაც მოცემულია ფორმულების შეფასება:

«უტრაუსმა და ბაუერმა ორთავემ საეგზეთ თანმიმდევრულად გამოიყენეს ჰეგელის სისტემა თეოლოგიის მიმართ. პირველმა ამოსავალ წერტილად აიღო სპინოზიზმი, მეორემ — ფიხტელობა. ორივე აკრიტიკებდა ჰეგელს, რამდენადაც ჰეგელის სისტემაში ზემოაღნიშნული ორი ელემენტიდან თვითეული დამახინჯებულთა მეორის შემოჭრით, მაშინ როდესაც მათ თვითეული ამ ელემენტთაგანი მის ცალმხრივ და, მაშასადამე, თანმიმდევრულ განვითარებამდე მიიყვანეს. ამიტომ თავიანთ კრიტიკაში ორივენი სცილდებიან ჰეგელის ფილოსოფიის საზღვრებს, მაგრამ ამასთანავე ორთავენი კვლავ რჩებიან მისი სპეკულაციის ფარგლებში და თვითეული მათგა-

* — ყველაზე პოპულარული, თუმცა ყველაზე ზერელე. რ ე დ.

** — დეზამი, გეი. რ ე დ.

*** — ჰელვეციუსის, ჰოლბახის და ბენტამის. რ ე დ.

ნი გვევლინება მისი სისტემის მარტოოდენ ერთი მხარის წარმომადგენლად. მხოლოდ ფოიერბახი ამთავრებს და აკრიტიკებს ჰეგელს, იღებს რა ამოსავალ წერტილად ჰეგელის თვალსაზრისს. დაიყვანა რა მეტაფიზიკური აბსოლუტური სული «ნამდვილად ადამიანანამდევ ბუნების საფუძველზე», ფოიერბახმა დაასრულა რელიგიის კრიტიკა და იმავე დროს ოსტატურად მოხაზა ჰეგელისეული სპეკულაციისა და, მაშასადამე, საერთოდ ყოველი მეტაფიზიკის კრიტიკის ძირითადი ნიშნები». (220—221) [154]

მარქსი სასაცილოდ იგდებს ბაუერის „თვითცნობიერების თეორიას“ მისი იდეალიზმის გამო (აბსოლუტური იდეალიზმის სოფიზმები — 222 [155], აღნიშნავს, რომ ეს არის ჰეგელის პერეფრაზირება, მოჰყავს მისი ფენომენოლოგია და ფოიერბახის კრიტიკული შენიშვნები (Philosophie der Zukunft-იდან¹⁹, გვ. 35, იმის შესახებ, რომ ფილოსოფია უარყოფს—negiert—„მატერიალურად გრძნობადს“, როგორც თეოლოგია უარყოფს „პირველი ცოდვით მოწამლულ ბუნებას“).

შემდეგი თავი (VII) იწყება კვლავ მთელი რიგი მეტად მოსაწყენი, შარბანი კრიტიკით [1]. გვერდები 228—235 [159—164]. § 2a-ში — არის საინტერესო ადგილი.

მარქსს „ლიტერატურული გაზეთიდან“ მოჰყავს წერილი ერთი „მასის წარმომადგენლისა“, რომელიც მოითხოვს სინამდვილის, ბუნებისმეტყველების, ინდუსტრიის შესწავლას (236) [164] და რომელიც ამისთვის „კრიტიკამ“ გალანძლავს:

«ნუთუ (!) თქვენ ფიქრობთ», — იძახდნენ „კრიტიკოსები“ მასის ამ წარმომადგენლის წინააღმდეგ, — «რომ ისტორიული სინამდვილის შეცნობა უკვე დამთავრებულია? ნუთუ (!) თქვენთვის ცნობილია თუნდაც ერთი ისტორიული პერიოდი, რომელიც ნამდვილად უკვე შეცნობილი იყოს?»

«ნუთუ კრიტიკული კრიტიკა ფიქრობს», — უპასუხებს მარქსი, — «რომ მან ისტორიული შემეცნების თუნდაც მხოლოდ დასაწყისს მიაღწია, გამორიცხა რა ისტორიული მოძრაობიდან ადამიანის თეორიული და პრაქტიკული დამოკიდებულება ბუნებისადმი, ბუნებისმეტყველება და მრეწველობა? ნუთუ იგი ფიქრობს, რომ ნამდვილად შეიცნო რომელიმე ისტორიული პერიოდი, მაგალითად, ამ პერიოდის მრეწველობის, თვით ცხოვრების უშუალო წარმოების წესის შეუცნობლად? მართალია, სპირიტუალისტური, თეოლოგიური კრიტიკული კრიტიკა იცნობს — იცნობს, ყოველ შემთხვევაში თავის წარმოსახვაში — ისტორიის მხოლოდ პოლიტიკურ, ლიტე-

რატურულ და თეოლოგიურ განთქმულ საქმეებს. მსგავსად იმისა, როგორც იგი გამოყოფს აზროვნებას გრძნობისაგან, სულს სხეულისაგან, თავის თავს სამყაროსაგან, სწორედ ასევე განაშორებს ისტორიას ბუნებისმეტყველებისაგან და მრეწველობისაგან, ხედავს რა ისტორიის დედისეულ კალთას არა უხეშ-მ-ატერიალურ წარმოებაში დედაძიწაზე, არამედ ნისლიან ღრუბლიან წარმონაქმნებში ცაზე». (238) [165—166]

მასის ამ წარმომადგენელს კრიტიკამ უწოდა *massenhafter Materialist**. (239) [166]

«ფრანგებისათვის და ინგლისელებისათვის კრიტიკა არ არის რაღაც აბსტრაქტული, მიღმამყოფი, კაცობრიობის გარეშე მდგომი პიროვნება; ის არის ნამდვილი ადამიანური მოქმედება ინდივიდებისა, რომლებიც საზოგადოების აქტიურ წევრებს წარმოადგენენ, და, როგორც ადამიანები, იტანჯებიან, გრძნობენ, აზროვნებენ და მოქმედებენ. ამიტომ მათი კრიტიკა იმავე დროს გამსჭვალულია პრაქტიკით, მათი კომუნისში ისეთი სოციალიზმია, რომელშიც ისინი გვიჩვენებენ პრაქტიკულ, ხელშესახებ ღონისძიებებს, რომელშიც თავის გამოსახულებას პოულობს არა მარტო მათი აზროვნება, არამედ კიდევ უფრო მეტად მათი პრაქტიკული მოქმედებაც; ამიტომ მათი კრიტიკა ცოცხალი, ნამდვილი კრიტიკაა არსებული საზოგადოებისა, შეცნობაა «დაცემის» მიზეზებისა». (244) [169]

||მთელი VII თავი 228—257 [159—178], გარდა მოყვანილი ადგილებისა, — ესაა მხოლოდ წარმოუდგენელი შარბანობა, გამოჯავრება, ყველაზე წვრილმანი ხასიათის წინააღმდეგობათა გამოჭერა, ლიტერატურული გაზეთის ყოველგვარი სისულელის სასაცილოდ აგდება და სხვ.||

VIII თავში (258—333 [179—228]) — მოცემულია § „ძალად ყასბის კრიტიკული გადაქცევის“ შესახებ — და შემდეგ ევგენი სიუს *Fleur de Marie*-ს²⁰ შესახებ (ალბათ, რომანია ამ სათაურით ან რომელიმე რომანის ერთ-ერთი გმირი) მარქსის ზოგიერთი „რადიკალური“, მაგრამ უინტერესო პაწაწა შენიშვნებით. აღსანიშნავია მხოლოდ გვ. 285 X [196—197] — რამდენიმე შენიშვნა ჰეგელისეული დასჯის თეორიაზე, გვ. 296 [203—204] ევგენი სიუს მიერ განმარტოებული საპატიმროს (Cellularsystem) დაცვის წინააღმდეგ.

× «ჰეგელის მიხედვით, სასჯელი არის განაჩენი, რომელიც დამნაშავეს გამოაქვს თავის თავის მიმართ. ჰანსმა უფრო ვრცლად განავითარა ეს თეორია. ჰეგელის მოძღვრებაში ეს თეორია არის სპეკულაციური საბურველი ძველი *ius talionis*-ა*, რომელიც კანტმა განავითარა როგორც სასჯელის ერთადერთი სამართლებრივი თეორია. ჰეგელის მიხედვით, დამნაშავეს თვითგაკიცხვა რჩება მხოლოდ „იდეად“, ჩვეულებრივ ემპირიულ სისხლის სამართლის სასჯელთა სპეკულაციურ ინტერპრეტაციად. ამიტომ სასჯელის ფორმის ამორჩევას იგი მიანდობს სახელმწიფოს განვითარების ყოველ მოცემულ საფეხურს, ე. ი. იგი სასჯელს ტოვებს იმ სახით, რა სახითაც ის არსებობს. სწორედ ამაში გვევლინება იგი უფრო დიდ კრიტიკოსად, ვიდრე მისი კრიტიკული კვერის დამკვრელად. სასჯელის ისეთ თეორიას, რომელიც დამნაშავეში იმავე დროს ადამიანს აღიარებს, ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ აბსტრაქციაში, წარმოსახვაში, სწორედ იმიტომ, რომ სასჯელი, იძულება ეწინააღმდეგება ადამიანური მოქმედების წესს. გარდა ამისა, ასეთი თეორიის პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. აბსტრაქტული კანონის ადგილს დაიკავებდა წმინდა სუბიექტური თვითნებობა, რადგან ოფიციალურ «საპატიო და კეთილშესაფერ» ინდივიდთა შეხედულებაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში როგორ უნდა შეუფარდდეს სასჯელი დამნაშავეს ინდივიდუალობას. უკვე პლატონს ესმოდა, რომ კანონი უნდა იყოს ცალმხრივი და უნდა ხდებოდეს მისი აბსტრაქირება ინდივიდუალობისაგან. პირიქით, ადამიანთა ურთიერთობის პირობებში სასჯელი ნამდვილად სხვა არაფერი იქნება, თუ არა განაჩენი, რომელიც დანაშაულის ჩამდენს გამოაქვს საკუთარი თავის მიმართ. აზრად არვის მოუვა მისი დარწმუნება იმაში, რომ გარეშე ძალადობა, რაც მის მიმართ სხვებმა ჩაიდინეს, მის მიერ საკუთარი თავის მიმართ ჩადენილი ძალადობაა. სხვა ადამიანებში იგი, პირიქით, ნახავს ბუნებრივ მხსნელებს იმ სასჯელისაგან, რომელიც მან თავის თავს დაადო, ე. ი. მიმართება იქნება პირდაპირ საპირისპირო». (285—286) [196—197]

(ე ტ ყ ბ ა, მარქსი აქ იმ ზერელე სოციალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს, რომლის პროპაგანდასაც ეგვენი სიუ

* — იგივერი ნაცვალგების უფლებსა, რ ე დ.

ეწეოდა და რომელსაც, ე ტ ყ ო ბ ა, ლიტერატურულ გაზეთში იცავდნენ.)

მარქსი, მაგალითად, სასაცილოდ იგდებს ს ი უ ს იმ იდეისათვის, რომ სათნოება უნდა ჯილდოვდებოდეს სახელმწიფოსაგან, ისევე როგორც მანკიერება ისჯებაო (გვ. 300—301 [207], ცხრილიც კია შედარებითი justice criminelle და justice vertueuse! *).

გვ. 305—306 [209—210]: კრიტიკული შენიშვნები ჰეგელის „ფენომენოლოგიის“ წინააღმდეგ.

307 [211]: მაგრამ ზოგჯერ ჰეგელი თავის „ფენომენოლოგიაში“ იძლევა — წინააღმდეგ თავისი თეორიისა — ა დ ა მ ი ა ნ თ ა ურთიერთობის ნ ა მ დ ვ ი ლ დახასიათებას.

309 [212]: ქველმოქმედება როგორც Spiel** მდიდრებისა. (309—310) [212—213]

312—313 [214]: ციტატები ფ უ რ ი ე დ ა ნ დედაკაცის დამცირების შესახებ, მეტად რელიეფური ||„კრიტიკისა“ და რუდოლფის, — ევგენი სიუს გმირის? — ზომიერი სურვილების contra ***||

«ამ» (305) [209] (ზემოთ იყო ციტატი Anekdotა-დან²¹) «ბაუერის გამბედაობის საიდუმლოებას შეადგენს ჰეგელის «ფენომენოლოგია». რადგან ჰეგელი «ფენომენოლოგიაში» ა დ ა მ ი ა ნ ის ადგილას თვითცნობიერებას აყენებს, ყველაზე ნ ა ი რ ს ა ხ ო ვ ა ნ ი ადამიანური სინამდვილე გვევლინება აქ მხოლოდ როგორც გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ფორმა თვითცნობიერებისა, როგორც გარკვეულობა თვითცნობიერებისა. მაგრამ თვითცნობიერების შიშველი გარკვეულობა არის «წმინდა კატეგორია», შიშველი «აზრი», რომელიც მე ამიტომ შემოიძლია გავაუქმო «წმინდა» აზროვნებაში და გადავლახო წმინდა აზროვნების გზით. ჰეგელის «ფენომენოლოგიაში» ხელუხლებელი რ ჩ ე ბ ა ადამიანური თვითცნობიერების სხვადასხვა გასხვისებული ფორმის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი, გ რ ძ ნ ო ბ ა დ ი, ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი საფუძვლები, და მთელ დამანგრეველ მუშაობას თავის შედეგად ჰქონდა ყველაზე კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ი უ ლ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა Sic!****, იმიტომ რომ ასეთ თვალსაზრისს წარმოუდგენია, რომ მან დაძლია ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი გრძნობადად: ნამდვილი ს ა მ ყ ა რ ო, რაკი

* — კრიმინალური იუსტიციისა და სათნოებითი იუსტიციისა! რ ე დ.
 ** — თავშესაქცევი. რ ე დ.
 *** — წინააღმდეგ. რ ე დ.
 **** — ასე! რ ე დ.

მალე გადააქცია იგი «აზროვნების ნივთად», თვით ცნობიერების წმინდა გარკვეულობად და ახლამას შეუძლია ეთეროვნად ქცეული მოწინააღმდეგე «წმინდა აზროვნების ეთერში» გახსნას. ამიტომ «ფენომენოლოგია» სავსებით თანმიმდევრულად ამთავრებს იმით, რომ მთელი ადამიანური სინამდვილის ადგილას აყენებს «აბსოლუტურ ცოდნას», — ცოდნას იმიტომ, რომ ეს არის თვითცნობიერების არსებობის ერთადერთი წესი, ხოლო თვითცნობიერება განიხილება როგორც ადამიანის არსებობის ერთადერთი წესი, — აბსოლუტური ცოდნა კი იმიტომ, რომ თვითცნობიერება იცნობს მხოლოდ თავის თავს და აღარ არის უკვე შეზღუდული არავითარი საგნობრივი სამყაროთი. ადამიანს ჰეგელი ხდის თვითცნობიერების ადამიანად. ხაცვლად იმისა, რომ თვითცნობიერება გახადოს ადამიანის თვითცნობიერებად, — ნამდვილი ადამიანისა, ე. ი. ადამიანისა, რომელიც ნამდვილ, საგნობრივ სამყაროში ცხოვრობს და ამ სამყაროთია გაპირობებული. ჰეგელი თავდაყირა აყენებს სამყაროს და ამ მიზეზით შეუძლია კიდევ დაძლიოს თავში ყველა საზღვარი, რაც, რა თქმა უნდა სრულიად არ უშლის ხელს იმას, რომ ეს საზღვრები განაგრძობენ არსებობას ცუდი გრძნობადობისათვის, ნამდვილი ადამიანისათვის. გარდა ამისა, მისთვის გარდაუვალად საზღვარს წარმოადგენს ყოველივე ის, რაც საყოველთაო თვითცნობიერების შეზღუდულობას მოწმობს, — ყოველგვარი გრძნობადობა, სინამდვილე, ინდივიდუალობა ადამიანებისა და მათი სამყაროსი. მთელი «ფენომენოლოგია» თავის მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ თვითცნობიერება არის ერთადერთი და ყოველისმომცველი რეალობა... (306) [210]

... «ბოლოს, თავისთავად გასაგებია, რომ თუ ჰეგელის «ფენომენოლოგია», წინააღმდეგ თავისი სპეკულაციური პირველი ცოდვისა, ბევრ პუნქტზე ადამიანთა ურთიერთობის ნამდვილი დახასიათების ელემენტებს იძლევა, სამაგიეროდ ბ-ნი ბრუნო და კომპანია, პირიქით, მხოლოდ უშინაარსო კარიკატურას იძლევიან... (307) [211]

«ამით რუდოლფმა შეუგნებლად გამოთქვა დიდი ხნის წინათ აღმოჩენილი საიდუმლოება, რომ თვით ადამიანთა სილატაკე, უსასრულო განწირულობა, რომელიც იძულებულია მოწყალება მიიღოს, უნდა წარმოადგენდეს თავშესაქცევს ფულადი არისტოკრატისა და განათლების არისტოკრატისათვის, უნდა არსებობდეს მათი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მათი პატივმოყვარეობის საღიტინოდ, მათ გასართობად.

«მრავალი საქველმოქმედო კავშირი გერმანიაში, მრავალი საქველმოქმედო საზოგადოება საფრანგეთში, მრავალი საქველმოქმედო დონკიხოტური საწარმო ინგლისში, ღარიბთა სასარგებლოდ მოწყობილი კონცერტები, წვეულებანი, სპექტაკლები, სადილები, შეწირულებათა შეგროვებაც კი უბედურ შემთხვევათა გამო დაზარალებულთათვის, — ყოველივე ამას არავითარი სხვა აზრი არა აქვს». (309—310) [212]

და მარქსს ციტატი მოჰყავს ევგენი სიუდან:

«აჰ, ქალბატონო! არ კმარა ამ ღარიბი პოლონელების სასარგებლოდ იცეკვო... ვიყოთ ბოლომდე ფილანთროპები... წავიდეთ ახლა ვახშამზე ღარიბთა სასარგებლოდ!» (310) [213]

312—313 [214] გვერდზე ციტატები ფურიე დან (ადიულტერი — კარგი ტონია, — შვილის მკვლელობა შეცდენილთაგან — მანკიერი წრეა. «ქალის ემანსიპაციის დონე საერთო ემანსიპაციის ბუნებრივი საზომია»... (312) [214] ცივილიზაცია ყოველ მანკს გადააქცევს მარტივიდან რთულ, ორზროვან, თვალთმაქც მანკად) და მარქსი დასძენს:

«სრულიად ზედმეტია დავუპირისპიროთ რუდოლფის მსჯელობას ქორწინების ოსტატური დახასიათება, მოცემული ფურიეს მიერ, ისევე როგორც ფრანგული კომუნისმის მატერიალისტური ფრაქციის ნაწარმოებებიც». (313) [214]

313 [215] u. ff. ევგენი სიუსა და რუდოლფის (ალბათ, სიუს რომანის გმირია?) პოლიტიკურ-ეკონომიური პროექტების წინააღმდეგ. პროექტებისა მდიდართა და ღარიბთა ასოციაციის შესახებ და შრომის ორგანიზაციის შესახებ (რაც უნდა გააკეთოს სანელმწიფომ) etc, — მაგალითად, კიდევ Armenbank* [7] — b) «ბანკი ღარიბთათვის», გვ. 314—318 [215—217] = უპროცენტო სესხები უმუშევრებს. მარქსი იღებს ციფრებს პროექტიდან და გვიჩვენებს, თუ რამდენად მცირეა ისინი ვაჭირვებასთან შედარებით. იღეთაც ხომ Armenbank არაფრით არა სჯობია Sparkassen**... ესე იგი beruht die Einrichtung*** ბანკისა «ფანტასტიკურ წარმოდგენას, რომ საკმარისია შრომის გასამრჯელოს განაწილების შეცვლა, რათა მუშამ მთელი წლის განმავლობაში ცხოვრება შეძლოს». (316—317) [217]

§ c-ში 318—320 [218—219] «სანიმუშო მეთურნეობა ბუკვალეში» გაცამტვერებულია „კრიტიკის“ მიერ

- * — ბანკი ღარიბთათვის. რედ.
- ** — უმნახველ სალაროებს. რედ.
- *** — ემყარება დაარსება. რედ.

შექებული პროექტი რუდოლფისა, რომელიც სანიმუშო მეურნეობას გვიხატავს: მარქსი მას უტოპიად აცხადებს, რადგან დღეში 1 ფრანგს საშუალოდ უწევს მხოლოდ 1/4 გირვ. ხორცი, წლიური შემოსავლის მხოლოდ 93 frs.* etc., მუშაობენ პროექტში ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო მეტს etc. etc. ((არაა საინტერესო.))

320 [219]: «საუცხოო საშუალება, რომლითაც რუდოლფი ყველა თავის მსხნელ მოქმედებას და სასწაულებრივ განკურნებას ახორციელებს, — ეს არის არა მისი ლამაზი სიტყვები, არამედ მისი ნაღდი ფული. ასეთები არიან მორალი-სტები, ამბობს ფურეი. მილიონერი უნდა იყო, რომ შესაძლებლობა გქონდეს მათ გმირებს მიბაძო.

«მორალი — ეს არის «Impruissance, mise en action»**. ყოველთვის, როცა კი იგი რაიმე მანქს შეებრძოლება, დამარცხებას განიცდის. რუდოლფი ვერც კი მალდება იმ დამოუკიდებელი მორალის თვალსაზრისამდე, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ადამიანურ ღირსების შეგნებაზე დამყარებული. მისი მორალი, პირიქით, ადამიანური სისუსტის შეგნებას ემყარება. იგი თეოლოგიური მორალის წარმომადგენელია». (320—321) [219]

... «როგორც სინამდვილეში ყველა სხვაობა სულ უფრო და უფრო უერთდება სხვაობას დარიბებსა და მდიდრებს შორის, ასევე იდეაშიც ყველა სხვაობა გარდაიქმნება დაპირისპირებულობად სიკეთესა და ბოროტებას შორის. ეს განსხვავება არის უკანასკნელი ფორმა, რასაც არისტოკრატი თავის ცრურწმენებს აძლევს»... (323—324) [221]

... «თავისი სულის ყოველ მოძრაობას რუდოლფი უსასრულო მნიშვნელობას მიაწერს. ამიტომ ის მუდამ აკვირდება და აფასებს ამ მოძრაობებს... (მაგალითები). «ეს მაღალი თანამდებობის ბატონი წააგავს «ახალგაზრდა ინგლისის» მოღვაწეებს, რომლებსაც აგრეთვე სურთ სამყაროს გარდაქმნა, რომლებიც კეთილშობილურ საგმირო საქმეებს ჩადიან და რომლებსაც ასეთივე ისტერიის შეტევები ემართებათ»... (326) [223]

მხედველობაში ხომ არა ჰყავს აქ მარქსს ინგლისელი ფილანთროპი-ტორიები, რომლებიც 10-საათიან ბილს ახორციელებდნენ? ²²

* — francs — ფრანკი. რ. ე. დ.

** — «უძლურება მოქმედებაში». რ. ე. დ.

ფრ. იბერვეგი. «ნარკვევი ფილოსოფიის ისტორიიდან»

(დამუშავებული მამს ჰაინცეს მიერ)

8 ტ. 1876—1880. ლაიპციგი²³

წიგნი ცოტა არ იყოს უცნაურ ხასიათს ატარებს: მოკლემოკლე წყნარად სიტყვით მოძღვრებათა შინაარსზე და მეტად გრძელი წვრილი შრიფტით აწყობილი განმარტებანი, რომელთა $\frac{3}{4}$ სავსეა სახელებითა და წიგნების სახელწოდებებით თანაც ძველი: ბიბლიოგრაფია 60-იან, 70-იან წლებამდე. რალაც unleserliches! * სახელებისა და წიგნების ისტორია!

დაწერილია 1903 წელს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში, გვ. 347

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — ძნელსაკითხავი რედ.

ფრ. კაულსენი. «ფილოსოფიის შესავალი»

1899²⁴

მეტად დამახასიათებელია საკითხის გულახდილი დაყენება შესავალში: უახლესი ფილოსოფიის ამოცანაა „შეარიგოს რელიგიური მსოფლმხედველობა და მეცნიერული ახსნა ბუნებისა“ (გვ. IV * [V] **). Sic! და ეს იდეა განვითარებულია მეტად საფუძვლიანად: ბრძოლა ორ ფრონტზეაო — მატერიალიზმთან და „იეზუიტიზმთან“ (კათოლიკურთანაც და პროტესტანტულთანაც). მატერიალიზმი, რა თქმა უნდა, გაგებულა (გასაღებულია?) როგორც *rein mechanisch, physikalisch u. s. w.* ***

ავტორი პირდაპირ ლაპარაკობს აგრეთვე, რომ უახლესი ფილოსოფია ემყარება კანტს და „იდეალისტური მოწიხმის“ წარმომადგენელია.

10 [10] გვერდამდე... «მშვიდობა ცოდნასა და სარწმუნოებას შორის»...

და გვ. 11 [11]: «კანტის ფილოსოფიის ცენტრალური პუნქტი» (შექმნას ეს მშვიდობა), «საკუთრივ ისაა, რომ... ჯეროვანი მიუზღას ერთსაც და მეორესაც: ცოდნას იუმის სკეპტიციზმის წინააღმდეგ, სარწმუნოებას კი მატერიალიზმში მისი დოგმატური უარყოფის წინააღმდეგ — აი მისი მუშაობის შედეგი». (12) [11]

«მხოლოდ ერთ გარემოებას შეუძლია შეაკრთოს იმედებით» (ამ მშვიდობის იმედით) «აღსავსე მოლოდინი: ესაა რელიგიისადმი აბსოლუტურად მტრული რადიკალიზმი, რომელიც ამჟამად მოსახლეობის ფართო მასებში ვრცელდება... ასე, ათეიზმი ახლა არის» (როგორც უწინ ბურჟუაზიისთვის იყო) «სოციალ-დემოკრატიის დოგმატი» (გვ. 14—15 [14]). «ეს არის კატეხიზმო პირშებრუნებით. და როგორც ძველი დოგმატიკა,

* *Paulsen, Fr. Einleitung in die Philosophie. Berlin. 1899.* რ ე დ.

** Паульсен, фр.; Введение в философию. М. 1899. რ ე დ.

*** — წმინდა მექანიკური, ფიზიკური და ა. შ. რ ე დ.

ისე ეს ახალიც, უარყოფითი დოგმატიკაა, მეცნიერების მიმართ მტრული, რამდენადაც იგი თავის დოგმებში ხუნდებს ადებს კრიტიკისა და ეჭვის სულს». (მოგვაგონებს სახელწოდებას Antipfaffen* და გვარწმუნებს, რომ ქრისტიანობა მოკლებულია მდიდრებისადმი მიკერძობებას, რომ იგი, ქრისტიანობა, იმ ბრძოლასაც განიცდის, რომლისკენაც ევროპა მიიმართება).

უარყოფს რა მატერიალიზმს და იცავს რა Allbeseelung-ის** თეორიას (რომელსაც იგი იდეალისტური აზრით განმარტავს), პაულსენი უგულვებელყოფს 1) რომ იგი უარყოფს არა მატერიალიზმს, არამედ ზოგიერთ მატერიალისტის მხოლოდ ზოგიერთ საბუთს; 2) იგი თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა თანამედროვე ფსიქოლოგიას იდეალისტური აზრით განმარტავს.

X შეად. გვ. 126 [125]. «ძალა... სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული მოქმედების ტენდენცია, და, მაშასადამე, იგი თავისი ზოგადი არსებით არა ცნობიერ ნებას ემთხვევა».

(Ergo — Seelenvorgänge und Kraft*** სულაც არაა ისე unüberbrückbar****, როგორც ეს უწინ ავტორს ეჩვენებოდა, გვ. 90 [88] u. ff. *****).

გვ. 112—116 [111—115]: რატომ არ შეიძლებოდა Weltall***** ყოფილიყო des Weltgeistes***** მატარებელი? (იმიტომ რომ ადამიანი და მისი ტვინი არის სულის უმაღლესი განვითარება, როგორც ავტორი თვითონაც აღიარებს).

როცა პაულსენი მატერიალისტებს აკრიტიკებს, იგი მატერიას უპირისპირებს სულის უმაღლეს ფორმებს. როცა ის იდეალიზმს იცავს და თანამედროვე ფსიქოლოგიას იდეალისტურად განმარტავს, — იგი სულის დაბალ ფორმებს აახლოებს kräfte-სთან***** etc. ეს მისი ფილოსოფიის ყველაზე სუსტი ადგილია.

შეად. განსაკუთრებით გვ. 106—107 [105—106], სადაც პაულსენი იმ შეხედულების წინააღმდეგ გამოდის, რომელსაც მატერია მკვდარ რამედ მიაჩნია.

- * — ანტიხუცეხები. რ ე დ.
- ** — საყოველთაო გასულიერების. რ ე დ.
- *** — მაშასადამე — სულიერი მოვლენები და ძალა. რ ე დ.
- **** — შეუერთებადი. რ ე დ.
- ***** — und folgende — და შემდეგი. რ ე დ.
- ***** — სამყარო. რ ე დ.
- ***** — მსოფლიო სულის. რ ე დ.
- ***** — ძალებთან. რ ე დ.

NB

× Contra გვ. 86 [84]: «მოძრაობაში სრულიად არავითარი აზრი არ იმალება»...

ავტორი თითქოს ძალიან იოლად იშორებს თავიდან იმ აზრს, რომ *Gedanke ist Bewegung* *. მისი მოსაზრებანი — ეს არის მხოლოდ «ჩვეულებრივი ადამიანური განსჯანი: უაზრობაა», «აზრი არის არა მოძრაობა, არამედ აზრი» (87) [85]. შეიძლება სითბოც არ არის მოძრაობა, არამედ სითბოა??

სავსებით სულელურია ავტორის მოსაზრებანი, რომ ფიზიოლოგი ვითომდა არ შეწყვეტს ლაპარაკს აზრებზე და არა ამ აზრების ტოლ მოძრაობებზეო? სითბოზეც არავინ არასოდეს არ შეწყვეტს ლაპარაკს.

გამიჯნურებულნი ხომ არ დაუწყებენ ლაპარაკს «მანდილოსანს სათანადო სისხლძარღვმამოძრავებელ პროცესზე... ეს ხომ აშკარა უაზრობაა» (86—87) [85]. სწორედ! — ბ-ნი პაულსენისა! და როცა სითბოს ნაკლებობას ვიგრძნობთ, ჩვენ იმაზე კი არ დავიწყებთ ლაპარაკს, რომ სითბო მოძრაობის სახეობაა, არამედ იმაზე, თუ როგორ მოვიპოვოთ ნახშირი.

პაულსენს *sinnlos*-ად ** მიაჩნია ის დებულება, რომ აზრი არის *Bewegung* ***. თვითვე დუალიზმის წინააღმდეგეც არის და ლაპარაკობს „ეკვივალენტზე“ (140 და 143) [139 და 143—144] — „ფიზიკური ეკვივალენტი ფსიქიურისა“ (ანუ *Begleiterscheinung* ****). განა ეს იგივე *begriffliche konfusion* ***** არ არის, რომლისთვისაც ის ზიზლით ავინებს ბიუხნერს?

როცა პაულსენი აცხადებს, რომ მისი პარალელიზმი არის „არა ადგილობრივი“, არამედ „იდეალური“ (გვ. 146 [145]), მისი დუალისტური ხასიათი კიდევ უფრო ცხადად ვლინდება. ეს არც საქმის ახსნა-განმარტებაა, არც თეორიაა, არამედ უბრალო სიტყვიერი ფანდია.

დაწერილია 1903 წელს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

- — აზრი არის მოძრაობა. რ ე დ.
- — უაზროდ. რ ე დ.
- — მოძრაობა. რ ე დ.
- — თანმხლები მოვლენა. რ ე დ.
- — ცნებათა არეუ-ღარევა. რ ე დ.

**ზენიშვანა ე. ჰეკელის წიგნების — «სიცოცხლის
სასწაულები» და «მსოფლიო გამოცანები» —
რეცენზიაზე**

Frankfurter Zeitung*. 1904, № 348
(15 ნოემბერი) დილის 1-ლი გამოშვება

ფელეტონი ახალი ბიოლოგიური წიგნების შესახებ²⁹
*Ernst Häckel: Lebenswunder (Gemeinverständliche Studien über biologische Philosophie). Stuttgart. (Alfred Kröner)**.*

(ჰეკელისათვის «სული არის თავის ტვინის ქერქის ფიზიოლოგიური ფუნქცია». მისი წიგნის გვ. 378. რეცენზიის ავტორი, რასაკვირველია, ამ შეხედულების წინააღმდეგია).

მისივე „Welträtseln“*** ((უფრო ადრე გამოქვეყნდა)) (სადაც მოცემულია იმის მტკიცება, რომ, კაცმა რომ თქვას, არ არსებობს მსოფლიო გამოცანები).

დაწერილია 1904 წლის დასასრულს

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის შიხედვით.

* — ფრანკფურტის გაზეთი. რედ.

** — ერნსტ ჰეკელი: სიცოცხლის სასწაულები (პოპულარული ნარკვევები ბიოლოგიის ფილოსოფიიდან). შტუტგარტი (ალფრედ კრონერი). რედ.

*** — «მსოფლიო გამოცანები». რედ.

**შენიშვნები სორბონის ბიბლიოთეკაში დაცულ
გუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის წიგნების
შესახებ**

სორბონა. ახალი წიგნები:

C. 819 (7) *.

Richard *Lucas*. Bibliographie der radioaktiven Stoffe. Hamburg und Leipzig. 1908. 8⁰.

(A. 47. 191)*.

Mach. Grundriss der Physik (bearbeitet von Harbordt und Fischer). Leipzig. 1905—8. 2 Volumes. 8⁰.

(A. 46. 979)*. S. ფ. ფ. 587*.

Max Planck. Das Prinzip der Erhaltung der Energie. Leipzig. 1908. (2 Auflage) 12⁰.

(A. 47. 232)*. S. ფ. ფ. 63*.

Eduard Riecke. Handbuch der Physik. 4 Auflage. Leipzig. 1908. 2 Volumes. 8⁰.

(A. 47. 338)*. S. ფ. ფ. 301^a*.

Fénelon Salignac. Questions de Physique générale et d'Astronomie, Toulouse. 1908. 4⁰.

(D. 55. 745)*. C. 818 (2)*.

J. J. Thomson. Die Korpuskulartheorie der Materie. Braunschweig. 1908. 8⁰.

S. D. e. 101 (25)*.

სორბონის ბიბლიოთეკაში.

I. Vierteljahrsschrift für wissenschaftliche Philosophie. P. 53 (8⁰) (A. 16. 434)*.

II. Archiv für Philosophie. 2-te Abteilung. P. 48. A. 17. 027)*.

* ასობითა და ციფრებით მოცემული ნიშნები წარმოადგენენ წიგნის ბიბლიოთეკურ შიფრებს. რ ე დ.

**შენიშვნები სორბონის ბიბლიოთეკაში დაცულ
ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის წიგნების
შესახებ** ²⁶

სორბონა. ახალი წიგნები: C. 819 (7) *.

რიხარდ ლუკასი. რადიოაქტიურ ნივთიერებათა ბიბლიოგრაფია. ჰამბურგი და ლაიპციგი. 1908. 8°.

(A. 47. 191) *.

მახი. ნარკვევი ფიზიკიდან (დამუშავებული ჰარბორდტი-სა და ფიშერის მიერ). ლაიპციგი. 1905 — 8. 2 ტომი. 8°.

(A. 46. 979) *. S. Φ. ფ. 587 *.

მაქს პლანკი. ენერჯიის მუდმივობის პრინციპი. ლაიპციგი. 1908. (2 გამოცემა). 12°.

(A. 47. 232) *. S. ფ. ფ. 63 *.

ედუარდ რიკე. ფიზიკის სახელმძღვანელო. 4 გამოცემა. ლაიპციგი. 1908. 2 ტომი. 8°.

(A. 47. 338) *. S. Φ. ფ. 301 a *.

ფენელიონ სალინიაკი. ზოგადი ფიზიკის და ასტრონომიის საკითხები. ტულუზა. 1908. 4°.

(D. 55. 745) *. C. 818 (2) *.

ჯ. ჯ. ტომსონი. მატერიის ატომური თეორია. ბრაუნშვაიგი. 1908. 8°.

S. D. e. 101 (25) *.

სორბონის ბიბლიოთეკაში:

I. მეცნიერული ფილოსოფიის სამთეიური. P. 53 (8°).

(A. 16. 404) *.

II. ფილოსოფიის არქივი. მე-2 ნაწილი. P. 48. (A. 17. 027) *.

* ასოებითა და ციფრებით მოცემული ნიშნები წარმოადგენენ წიგნის ბიბლიოთეკურ შიფრებს. რ. ე. დ.

Vierteljahrsschrift für wissenschaftliche Philosophie. 1909. Heft I. რაულ როხტერის რეცენზია (შეიცავს თანაგრძნობას; ქებასაც კი) წიგნზე

Ludwig Stein. Philosophische Strömungen der Gegenwart. Stuttgart. 1908. (Enke.) XVI + 452 Seiten. (12 Mark.)

Seiten 1—293 — ფილოსოფიური მიმდინარეობანი —

294—445 — ფილოსოფიური პრობლემები

ათი ფილოსოფიური მიმდინარეობა

1) ნეოიდეალიზმი (ვოლუნტარისტული მეტაფიზიკა)

2) ნეოპოზიტივიზმი (პრაგმატიზმი) W. James

3) „ახალი ნატურფილოსოფიური მოძრაობა“ (Ostwald და ენერგეტიკის „გამარჯვება“ მატერიალიზმზე)

4) „ნეორომანტიკა“ (H. St. Chamberlain etc.)

5) ნეოვიტალიზმი

6) ევოლუციონიზმი (სპენსერი)

7) ინდივიდუალიზმი (ნიცშე)

8) geisteswissenschaftliche Bewegung (Dilthey)

9) philosophiegeschichtliche

10) ნეორეალიზმი (ელუარდ ფონ ჰარტმანი!!!).

ახალი წიგნებიდან:

Max Schinz. Die Wahrheit der Religion nach den neuesten Vertretern der Religionsphilosophie. Zürich. 1908. 8^o (307 pages. 6. 50 Mark.)

Kr. Cuenther. Vom Urtier zum Menschen. (Ein Bilderatlas.) Stuttgart. 1909. (7—19 Pfennig ≅ 1 Mark.)

A. Pelazza. R. Avenarius e l'empiriocriticismo. 1908? 9? Torino (Bocca). 130 Seiten.

Spaventi. La filosofia italiana nelle sue relazioni con la filosofia europea. 1908? 9? Bari (Laterza.)

ახალი წიგნებიდან (1909):

L. Boltzmann. Wiener wissenschaftliche Abhandlungen. Leipzig. (Barth).

H. Strache. Die Einheit der Materie, des Weltäthers und der Naturkräfte. Wien (Deuticke).

მეცნიერული ფილოსოფიის სამთვური. 1909. ნაკვეთი I. რაულ რიხტერის რეცენზია (შეიცავს თანაგრძნობას, ქებასაც კი) წიგნზე

ლ უ დ ვ ი გ შ ტ ა ი ნ ი. თანამედროვეობის ფილოსოფიური მიმდინარეობანი. შტუტგარტი. 1908. (ენკე.) XVI + 452 გვერდი. (12 მარკა.)

გვ. 1—293 — ფილოსოფიური მიმდინარეობანი —

294—445 — ფილოსოფიური პრობლემები

ათი ფილოსოფიური მიმდინარეობა²⁷

- 1) ნეოიდეალიზმი (ეოლუნტარისტული მეტაფიზიკა)
- 2) ნეოპოზიტივიზმი (პრაგმატიზმი) უ. ჯემსი
- 3) „ახალი ნატურფილოსოფიური მოძრაობა“ (ოსტ-ვალდი და ენერგეტიკის „გამარჯვება“ მატერიალიზმზე)
- 4) „ნეორომატიკა“ (პ. სტ. ჩემბერლენი და სხვ.)
- 5) ნეოვიტალიზმი
- 6) ევოლუციონიზმი (სპენსერი)
- 7) ინდივიდუალიზმი (ნიცშე)
- 8) ჰუმანიტარულ-მეცნიერული მოძრაობა (დილტეი)
- 9) ფილოსოფიურ-ისტორიული
- 10) ნეორეალიზმი (ედუარდ ფონ ჰარტმანი!!!).

ახალი წიგნებიდან:

მაქს შინცი. რელიგიის ჰეგმარიტება რელიგიის ფილოსოფიის უახლეს წარმომადგენელთა შეხედულებების მიხედვით. ციურიხი. 1908. 8° (307 გვერდი. 6. 50 მარკა).

კრ. გიუნთერი. პირველყოფილი ცხოველიდან ადამიანამდე. (სურათების ატლასი.) შტუტგარტი. 1909. (7—19 პფენიგი \geq 1 მარკისა.)

ა. პელაცა. რ. ავენარიუსი და ემპირიოკრიტიციზმი. 1908? 9? ტურინი (ბოკა). 130 გვერდი.

სპავენტა. იტალიური ფილოსოფია ევროპულ ფილოსოფიასთან კავშირში. 1908? 9? ბარი (ლატერცა).

ახალი წიგნებიდან (1909):

ლ. ბოლცმანი. ვენის მეცნიერული ტრაქტატები. ლაიპციგი. (ბარტი).

პ. შტრახე. მატერიის, მსოფლიო ეთერისა და ბუნების ძალთა ერთიანობა. ვენა (დეიტიკე).

P. 48

Archiv für Philosophie, 2 Abteilung=Archiv für systematische Philosophie. 1908. Heft 4: მეორე სტატია Vitalis Norström'a (Seiten 447—496) ((საინტერესოა; თითქმის მთელი სტატია მახს ეხება)).

სადაა პირველი?? შენიშვნა — დაგვიანდა??

P. 48

ფილოსოფიის არქივი, 2 ნაწილი = სისტემატური
 ფილოსოფიის არქივი. 1908. ნაკვეთი 4: ვიტალი ნორშტრემის
 მეორე სტატია (გვ. 447—496) ((საინტერესოა; თითქმის
 მთელი სტატია მახს ეხება)).

<p>სადა პირველი?? შენიშვნა — დაგვიანდა??</p>

დაწერილია 1909 წ. პირველ ნახევარში
 პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
 ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
 ხელნაწერის მიხედვით

კონსკეპტი ფორმირების წიგნისა
«ლექციები რელიგიის არსების შესახებ»²⁸

დაწერილია 1909 წელს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის
მიხედვით

ლ. ფოიერბახი. თხზულებათა კრებული. ტ. 8, 1851
«ლექციები რელიგიის არსების შესახებ»

8°. R. 807

წინასიტყვაობა დათარიღებულია 1.X.51, — ფოიერბახი ლაპარაკობს აქ იმ მიზეზებზე, თუ რატომ არ მიიღო მან მონაწილეობა 48 წლის რევოლუციაში, რომელსაც «სამარცხვინო, უშედეგო ბოლო ჰქონდა». (VII) * [492]**. 48 წლის რევოლუციას არ ჰქონდა Orts-und Zeitsinn***, კონსტიტუციონალისტები თავისუფლებას მოელოდნენ des Herrn**** სიტყვისაგან, რესპუბლიკელები (VII—VIII) [492] — თავიანთი სურვილისაგან («საკმარისი იყო მოვესურვებინა რესპუბლიკა, რომ იგი ამით წარმოქმნილიყო»)... (VIII) [492]

ფოიერბახმა
ვერ გაიგო
48 წლის
რევოლუცია

«თუ რევოლუცია კვლავ იფეთქებს და მე მასში ქმედითს მონაწილეობას მივიღებ, მაშინ თქვენ შეგიძლიათ... დარწმუნებული იყოთ, რომ ეს რევოლუცია ძლევამოსილია, რომ დადგა მონარქიისა და იერარქიის საშინელი სამსჯავროს დღე». (VII) [491]

1 ლექცია (1—11) [493—502].

გვ. 2 [494]: «კმარა როგორც ფილოსოფიური, ისე პოლიტიკური იდეალიზმიც; ჩვენ გვინდა ახლა ვიყოთ პოლიტიკური მატერიალისტები».

Sic!!

* Feuerbach, L. Sämmtliche Werke, Bd. 8. Leipzig, 1851. რედ.

** Фейербах, Л. Избранные философские произведения, т. II. М. 1955. რედ.

*** — ადგილისა და დროის გრძობა. რედ.

**** — ბატონის. რედ.

„über-
spanntes“
ძირს!

3—4 [495—496] — რატომ განმარტოვდა ფოიერბახი სოფლად: კავშირის გაწყვეტა „gottesgläubigen Welt“ *—თან გვ. 4 (Z. 7 v. u. **) [496] (შეად. გვ. 3 in i. ***)—ცხოვრება „ბუნებასთან“ (5), [496], ablegen **** ყველა „überspannten“ ***** წარმოდგენისა.

7—11 [498—502] ფოიერბახი იძლევა თავის თხზულებათა მონახაზს (7—9) [498—500]: ახალი ფილოსოფიის ისტორია (9—11) [500—502] სპინოზა, ლაიბნიცი).

2 ლექცია (12—20) [503—510].

12—14 [503—504] — ბეილი (Bayle).

„გრძნობა-
ლობა“
ფოიერბახთან

15 [505—506]: Sinnlichkeit ***** ჩემთან ნიშნავს «მატერიალურისა და სულიერის ჭეშმარიტ, არა გამოგონილ და ხელოვნურ, არამედ ნამდვილად არსებულ ერთიანობას, იგი ჩემთან სწორედ იგივეა, რაც სინამდვილე».

Sinnlich არა მარტო Magen, არამედ Kopf-იც ***** (15) [505].

(16—20 [506—510]: ფოიერბახი, თხზულება უკვდავების შესახებ, თხრობა).

3 ლექცია (21—30) [510—518]

მე მელავებოდნენ „ქრისტიანობის არსების“²⁹ შესახებ, რომ ჩემთან ადამიანი არაფერზე არაა დამოკიდებული, «მელავებოდნენ ადამიანის ამ ჩემი ვითომდა გაღმერთების წინააღმდეგ». (24) [513] «არსება, რომელიც ადამიანს თავის წინამორბედად მიაჩნია, ...სხვა არაფერია, თუ არა ბუნება, და არა თქვენი ღმერთი». (25) [513—514]

«ბუნების არაცნობიერი არსება, ჩემი აზრით, არის არსება მარადიული, რომელსაც არ გააჩნია წარმოშობა, არის პირველი არსება,

- — ღვთისმორწმუნე სამყაროსთან. რ ე დ.
- — Zeile 7 von unten — 7 სტრიქონი ქვემოდან. რ ე დ.
- — in fine — ბოლოში. რ ე დ.
- — უკუგდება. რ ე დ.
- — ახირებული. რ ე დ.
- — გ რ ძ ნობალობა. რ ე დ.
- — გრძნობაღია არა მარტო კუჭი, არამედ თავიც. რ ე დ.

მაგრამ პირველი დროისა და არა რანგის მიხედვით, ფიზიკურად, მაგრამ არა მორალურად პირველი არსება»... (27) [515]

ჩემი უარყოფა მტკიცებასაც შეიცავს... «რა თქმა უნდა, დასკვნა ჩემი მოძღვრებიდან ისაა, რომ ღმერთი არ არის» (29) [517], მაგრამ ეს გამომდინარეობს ღმერთის არსების შემეცნებიდან (=გამოხატულება ბუნების რაობისა, ადამიანის რაობისა).

4 ლექცია.

«რელიგიის საფუძველს შეადგენს დამოკიდებულების გრძნობა» (31) [518] („Furcht“ * 33—4—5—6 [519—523])

«ეგრეთწოდებული სპეკულაციური ფილოსოფოსები არიან... ის ფილოსოფოსები, რომლებიც ახდენენ არა თავიანთი ცნებების შეფარდებას საგნებთან, არამედ, პირიქით, საგნების შეფარდებას თავიანთ ცნებებთან». (31) [519]

(5 ლექცია.)

— განსაკუთრებით სიკვდილი წარმოშობს შიშს, ღმერთის რწმენას. (41) [527]

«მე მძულს ის იდეალიზმი, რომელიც ადამიანს ბუნებიდან გამოგლეჯს; მე არ მრცხვენია იმისა, რომ დამოკიდებული ვარ ბუნებაზე». (44) [530]

«რაოდენ ნაკლებად Wesen des Christenthums-ში *** მე მსურს გავალმერთო ადამიანი, როგორც ამას სულელურად მისაყვედურებდნენ,.. ესოდენ ნაკლებად მსურს გავალმერთო ბუნება თეოლოგიის მნიშვნელობით». (46—47) [532]

6 ლექცია — ცხოველთა კულტი (50 [535] ff. ****).

«ის, რაზეც ადამიანი დამოკიდებულია... არის ბუნება, გრძნობათა საგანი... ყველა ის შთაბეჭდილება, რასაც ბუნება ადამიანზე გრძნობათა მეშვეობით ახდენს, შეიძლება გახ-

cf. ** Marx
und
Engels 30

* — «შიშა». რ ე დ.
** — confer — შეადარე. რ ე დ.
*** — ქრისტიანობის არსებაში. რ ე დ.
**** — und folgende — და შემდგომი. რ ე დ.

დეს რელიგიური თაყვანისცემის მოტივი».
(55) [540]

(7 ლექცია.)

„ეგოიზმი“ და
მისი მნიშვნე-
ლობა

ეგოიზმად მე ვგულისხმობ არა „ფილისტერისა და ბურჟუას“ ეგოიზმს (63) [546], არამედ ბუნებასთან, ადამიანის გონებასთან შესაბამობის ფილოსოფიურ პრინციპს, წინააღმდეგ „თეოლოგიური პირმოთენობისა რელიგიური და სპეკულაციური ფანტასტიკისა, პოლიტიკური დესპოტიისა“. (63 i. f.) [546] Cf. 64 [546—547], მეტად მნიშვნელოვანია³¹.

Id.* 68 i. f. [551] და 69 i. f. [551—552] — ეგოიზმი (ფილოსოფიური აზრით) რელიგიის ფესვია.

(70 [552]: Die Gelehrten ** შეიძლება დამარცხო მხოლოდ მათი იარაღით, ე. ი. ციტატებით)... „man die Gelehrten nur durch ihre eigenen Waffen, d. h. Zitate schlagen kann“... (70) [552]

სიტყვა ენერ-
გიის საკითხი-
სათვის

სხვათა შორის გვ. 78 [558] ფოიერბახი ხმა-რობს შემდეგ გამოთქმას: Energie d. h. Thätigkeit ***. ეს აღნიშნვის ღირსია. მართლაც ენერგიის ცნებაში არის სუბიექტური მომენტი, რომელიც არ არის, მაგალითად, მოძრაობის ცნებაში. ან, უფრო სწორად, ენერგიის ცნებაში თუ ცნების სიტყვახმარებაში არის ისეთი რამ, რაც ობიექტურობას გამოორიცხავს. მთვარის ენერგია (cf.) ver-sus **** მთვარის მოძრაობა.

107 i. f. [583] ...«ბუნება არის თავდაპირველი, პირველი და უკანასკნელი არსება».

111 [586]: ...«ჩემთვის... ფილოსოფიაში... გრძნობადი არის პირველი; მაგრამ პირველი არა მარტო სპეკულაციური ფილოსოფიის აზრით, რომელშიც პირველი ნიშ-

• — Idem — იგივე. რ ე დ.
•• — სწავლულნი. რ ე დ.
••• — ენერგია, ე. ი. მოქმედება. რ ე დ.
•••• — მიმართ. რ ე დ.

ნავს იმას, რის ფარგლებსაც უნდა გავ-
ცილდეთ, არამედ პირველი იმ აზრით,
რომ მისი გამოყვანა მეორისაგან არ შეიძ-
ლება, რომ იგი თავისი თავის მეშვეობით
არსებობს და ჭეშმარიტია».

...«სულიერი — გრძნობადის გარეშე და
უიმიხოდ არაფერია».

NB საერთოდ გვ. 111 [586] ... «გრძნობათა
ჭეშმარიტობა და არსებითობა (NB), რომლი-
დანაც... ფილოსოფია... გამოდის»...

112 [586—587] ...«ადამიანი აზროვნებს მხო-
ლოდ თავისი გრძნობადად არსებული თა-
ვის მეშვეობით, გონებას აქვს მტკიცე
გრძნობადი ნიადაგი თავში, ტვინში,
გრძნობათა ცენტრალურ ადგილში».

გრძნობადი =
= პირველი,
თავისთავად
არსებული და
ჭეშმარიტი

იხ. გვ. 112 [587] გრძნობათა უტყუარობის
(Urkunden *) შესახებ.

114 [588—589]: ბუნება = პირველი, unblei-
tbares, ursprüngliches Wesen **.

«ასეა დაკავშირებული „Wesen der Religi-
on“-თან. „Die Grundsätze der Philoso-
phie“»³². (113) [588]

«მე არ ვაღმერთებ არაფერს, მაშასადამე,
არ ვაღმერთებ ბუნებასაც». (115) [589]

116 [590] — პასუხი საყვედურზე, რომ ფოი-
ერბახი ბუნებას განსაზღვრას არ
აძლევსო:

«ბუნებად მე ვგულისხმობ ყველა იმ გრძნო-
ბადი ძალის, საგნისა და არსების ერთობლიო-
ბას, რომელთაც ადამიანი განასხვავებს თავის
თავისაგან, როგორც არაადამიანურს... ან, თუ
სიტყვას პრაქტიკული გაგებით ავიღებთ, ბუ-
ნება არის ყოველივე ის, რაც ადამიანს —
თეისტური რწმენის ზებუნებრივ შთაგო-
ნებათაგან დამოუკიდებლად — წარმოუდგება
უშუალოდ, გრძნობადად, როგორც საფუძვე-

NB

გამოდის, რომ
ბუნება =
= ყველაფე-
რია, გარდა ზე-
ბუნებრივისა.
ფოიერბახი
კამკამაა, მა-
გრამ არა
ღრმა.

* — მოწმობათა. რ ე დ.

** — მეორისაგან გამოუყვანადი, თავდაპირველი არსება. რ ე დ.

ენგელსი უფრო ღრმად განმარტავს მატერიალიზმის განსხვავებას იდეალიზმისაგან.

ლი და საგანი მისი ცხოვრებისა. ბუნება არის სინათლე, ელექტრობა, მაგნეტიზმი, ჰაერი, წყალი, ცეცხლი, მიწა, ცხოველი, მცენარე, ადამიანი, რამდენადაც იგი უნებლიედ და შეუგნებლად მოქმედი არსებაა, — სიტყვაში «ბუნება» არაფერ მეთს, არაფერ მისტიკურს, არაფერ ბუნდოვანს, არაფერ თეოლოგიურს მე არ ვგულისხმობ» (ზემოთ: სპინოზასაგან განსხვავებით).

...«ბუნება არის ყველაფერი, რასაც შენ ხედავ და რაც ადამიანის ხელისა და აზრის საქმეს არ წარმოადგენს. ან, თუ ბუნების ანატომიას ჩაეწვდებით, ბუნება არის არსება ან ერთობლიობა იმ არსებათა და ნივთთა, რომელთა გამოვლინებებს, გამოქვეყნებებსა თუ მოქმედებებს, რაშიც სწორედ მათი ყოფიერება და არსება ვლინდება და მდგომარეობს, თავიანთი საფუძველი აქვთ არა აზრებში, ან განზრახვებსა და ნების გადაწყვეტილებებში, არამედ ასტრონომიულ ან კოსმოსურ, მექანიკურ, ქიმიურ, ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ორგანულ ძალებსა თუ მიზეზებში». (116—117) [591]

[და აქ საქმე იმით თავდება, რომ მატერია უპირისპირდება სულს, ფიზიკური — ფსიქიკურს.] 121 [594—595] — იმ საბუთის წინააღმდეგ, რომ უნდა იყოს პირველმიზეზი (=ღმერთი).

«მხოლოდ შეზღუდულობა ადამიანისა და მისი მიდრეკილება გამარტივებისადმი მოხერხებულობის გამო არის ის, რაც მას აწოდებს ღრის მაგივრად მარადისობას, მიზეზიდან მიზეზისაკენ მარად შეუწყვეტელი მოძრაობის მაგივრად — უსასრულობას, დაუცხრომელი ბუნების მაგივრად — უძრავ ღვთაებას, მარადიული მოძრაობის მაგივრად — მარადიულ უძრაობას». (121 i. f.) [595]

124—125 [598] ადამიანები სუბიექტურ მოთხოვნილებათა გამო შეცვლიან ხოლმე კონკრეტულს აბსტრაქტულით, ჭკრეტას ცნე-

ბით, მრავალს ერთით, მიზეზთა უსასრულო
Σ * ერთი მიზეზით.

მაგრამ ამით აბსტრაქციებს «არ მიეწერება
არავითარი ობიექტური მნიშვნელობა და არ-
სებობა, არავითარი არსებობა ჩვენს გარეშე».
(125) [599]

objec-
tiv = außer
uns **

...«ბუნებას არა აქვს არც დასაბამი, არც
დასასრული. ყველაფერი მასში ურთიერთქმე-
დებაშია, ყველაფერი შეფარდებითია, ყველა-
ფერი ერთსა და იმავე დროს შედეგია და მი-
ზეზი, ყველაფერი მასში ყოველმხრივი და
ურთიერთზიარია»... (129) [602]

არაფერ შუაშია აქ ღმერთი (129—130
[602—603]; უბრალო საბუთები ღმერთის წინა-
აღმდეგ).

...«ნივთთა პირველი და საყოველთაო მიზე-
ზის მიზეზი თვისტების, თეოლოგების, ეგრეთ-
წოდებული სპეკულაციური ფილოსოფოსე-
ბის აზრით, არის ადამიანური განსჯა»... (130)
[603] «ღმერთი არის... მიზეზი საერთოდ, ცნე-
ბა მიზეზისა როგორც განსახიერებელი, და-
მოუკიდებლადქცეული არსებისა»... (131)
[603—604]

«ღმერთი არის აბსტრაქტული ბუნება, ე. ი.
ბუნება, განყენებული გრძნობადი ჭკრეტი-
გან, აზრით წარმოსადგენი, გარდაქმნილი ობი-
ექტად, განსჯის არსებად; ბუნება ამ სიტყვის
ნამდვილი მნიშვნელობით არის გრძნობადი,
ნამდვილი ბუნება, როგორც მას უშუალოდ
გვიმჟღავნებენ და წარმოგვიდგენენ გრძნობე-
ბი». (133) [605—606]

უშუალოდ

თვისტები ბუნებაში (რომელსაც ისინი
მკვდარ მასად ანუ მატერიალ აქცევენ) არსე-
ბული მოძრაობის მიზეზს ხედავენ ღმერთში.
(134) [607] მაგრამ ღმერთის ძალა სინამდვი-
ლეში ბუნების ძალაა (Naturmacht:
135 [608]).

...«ჩვენ ზომ ნივთთა თვისებებს მხოლოდ
მათი მოქმედებიდან შევიცნობთ»... (136)
[608—609]

* — ჯამს. რ ე დ.

** — ობიექტურად = ჩვენს გარეშე. რ ე დ.

ათეიზმი (136—137) [609] არ სპობს არც das moralische Ueber (=das Ideal)*, არც das natürliche Ueber (=die Natur)**.

დრო და
სამყარო

...«განა დრო მხოლოდ ფორმა არაა სამყაროსი, წესი, რომლითაც ერთიმეორეს მისდევენ სამყაროს ცალკეული არსებანი და მოვლენები? მაშასადამე, როგორ შემიძლია მე სამყაროს მივაწერო დასაბამი დროში?» (145) [616]

...«ღმერთი არის მხოლოდ სამყარო აზრებში... სხვაობა ღმერთსა და სამყაროს შორის არის მხოლოდ სხვაობა სულსა და გრძნობას შორის, აზროვნებასა და წარმოდგენას შორის»... (146) [616—617]

ყოფიერება
ჩვენს გარე-
შე = აზროვნებისაგან
დამოუკიდებლად

ღმერთი სურთ წარმოდგინონ ჩვენს გარეშე არსებულ არსებად. მაგრამ განა სწორედ ამით არ აღიარებენ გრძნობადი ყოფიერების ჭეშმარიტებას? «განა აღიარებული არაა» (ამით), «რომ გრძნობადი ყოფიერების გარეშე არ არსებობს არავითარი ყოფიერება? განა ჩვენ მოგვეპოება სხვა ნიშანი, სხვა კრიტერიუმი ჩვენს გარეშე არსებობისა, აზროვნებისაგან დამოუკიდებელი არსებობისა, გარდა გრძნობადობისა?» (148) [618]

NB

ბუნება მატერიის გარეშე, მატერიისაგან დამოუკიდებლად = ღმერთი

...«ბუნება... მისი მატერიალურობისაგან და სხეულოვნობისაგან განცალკევებულობაში... არის ღმერთი»... (149) [619—620]

NB

„ასლის“
თეორია

«გამოიყვანო ბუნება ღმერთიდან — ეს იგივეა, რომ მოისურვო გამოიყვანო ორიგინალი გამოსახულებიდან, ასლიდან, ნივთი ამ ნივთის შესახებ არსებული აზრიდან». (149) [620]

* — მორალურ უმაღლესს (=იდეალს). რედ.
** — ბუნებრივ უმაღლესს (=ბუნებას). რედ.

ადამიანს სჩვევია *Verkehrtheit* * (149 i. f.) [620] *verselbständigen* ** აბსტრაქციები — მაგალითად, **დრო** (150) [620] და **სივრცე**.

† «თუმცა... ადამიანმა სივრცისა და დროის აბსტრაქტირება მოახდინა სივრცული და დროითი ნივთებისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელთ იგი იმავე სივრცესა და დროს წარუმიძღვარებს როგორც მათი არსებობის პირველ მიზეზებსა და პირობებს. ამიტომ მას წარმოუდგენია სამყარო, ე. ი. ერთობლიობა ყველა ნამდვილი ნივთისა, ნივთიერება, შინაარსი სამყაროსი, სივრცესა და დროში წარმოქმნილად. ჰეგელთანაც კი მატერია წარმოიშვება არა მარტო სივრცესა და დროში, არამედ სივრციდანაც და დროიდანაც»... (150) [621] «გაუგებარია აგრეთვე, რატომ არ შეიძლებოდა, რომ დრო, ჩამომორებული დროითი ნივთებისაგან, გაიგივებული ყოფილიყო ღმერთთან». (151) [621]

დრო დროითი ნივთებისა
გარეშე =
= ღმერთი

...«სინამდვილეში სწორედ პირუკუ ხდება, ...საგნები კი არ გულისხმობენ სივრცისა და დროის არსებობას, არამედ, პირიქით, სივრცე და დრო გულისხმობენ საგნების მყოფობას, ვინაიდან სივრცე, ანუ განფენილობა, გულისხმობს ისეთი რამის მყოფობას, რაც განიფენება, დრო კი — მოძრაობას: დრო ხომ — მხოლოდ მოძრაობიდან ნაწარმოები ცნება — გულისხმობს ისეთი რამის მყოფობას, რაც მოძრაობს. ყველაფერი სივრცეებრივი და დროითია»... (151—152) [622]

დრო და
სივრცე

‡ «საკითხი იმის შესახებ, შექმნა თუ არა ღმერთმა სამყარო... არის საკითხი გრძნობადობისადმი სულის დამოკიდებულების შესახებ» (152 [623]) — ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი და უქნელესი საკითხი 153 [623]), ფილოსოფიის მთელი ისტორია ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებს — დავა სტოელთა და ეპიკურელთა, პლატონელთა და არისტოტელელთა, სკეპტიკოსებისა და დოგმატიკოსების-

cf. Engels-
idem

„ლუდვიგ
ფოიერ-
ბახში“ 33

* — უნარი დაამახინჯოს. რ ე დ.

** — დამოუკიდებელი გახადოს. რ ე დ.

153 [623]

სა ძველ ფილოსოფიაში, ნომინალისტებისა და რეალისტებისა შუა საუკუნეებში, იდეალისტებისა და „რეალისტებისა თუ ემპირისტებისა“ (sic! 153 [623]) ახალ დროში. †

153 [623]

ნაწილობრივ ადამიანთა (მწიგნობარი ადამიანები versus პრაქტიკოსები) ხასიათზეა დამოკიდებული მიდრეკილება ამა თუ იმ ფილოსოფიისადმი.

(მატერიალიზმი)
contra *

თეოლოგია
და იდეალიზმი
(თეორიაში)

«მე არ უარვყოფ... სიბრძნეს, სიკეთეს, სილამაზეს; მე უარვყოფ მხოლოდ, რომ ისინი, როგორც გვაროვნული ცნებანი, არსებანი არიან, სულ ერთია, იქნება ეს ღმერთების თუ ღმერთის თვისებათა სახით, პლატონურ იდეათა თუ ჰეგელისეული თვითდადგინებადი ცნებების სახით... (158) [628] — ისინი არსებობენ მხოლოდ როგორც ადამიანთა თვისებანი.

მეორე მიზეზი ღმერთის რწმენისა: ადამიანს ბუნებაზე გადააქვს წარმოდგენა თავის მიზანშეწონილ შემოქმედებაზე. ბუნება მიზანშეწონილია — ergo **, იგი შექმნა გონიერმა არსებამ. (160) [629—630]

«სწორედ ის, რასაც ადამიანი ბუნების მიზანშეწონილობას უწოდებს და როგორც ასეთს ჩაწვდება, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს ერთიანობა, მიზეზთა და შედეგთა ჰარმონია, საერთოდ ის ურთიერთკავშირი, რომელშიც ყველაფერი ბუნებაში არსებობს და მოქმედებს». (161) [630]

«ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი წარმოვიდგინოთ, რომ თუ ადამიანს მეტი გრძნობები და ორგანოები ექნებოდა, იგი აგრეთვე ბუნების მეტ თვისებებსა თუ ნივთებს შეიცნობდა. გარესამყაროში, არაორგანულ ბუნებაში ისინი უფრო მეტი რაოდენობით როდი არსებობენ, ვიდრე ორგანულში. ადამიანს სწორედ იმდენი გრძნობა გააჩნია, რამდენიც სწორედ აუცილებელია, რათა სამყარო მის მთლიანობაში, მის ერთობლიობაში აღიქვას». (163) [632—633]

ადამიანს რომ მეტი გრძნობები ჰქონდეს, აღმოაჩენდა თუ არა იგი მეტ საგნებს სამყაროში? არა.

* — წინააღმდეგ. რ ე დ.
** — მათასადავ. რ ე დ.

მნიშვნელოვანია
ავნოსტიციზმის წინააღმდეგ

168 [636—637] — ლიბიზის წინააღმდეგ ფრაზე-
ბისათვის „უსასრულო (ღმერთის) სიბრ-
ძნის შესახებ“...

|| ფოიერბახი და ბუნებისმეტყველება!!
NB შეად. ახლა მახი და კომპ. ³⁴.||

174—175—178 [642—645] — ნატურა (ბუნე-
ბა) = რესპუბლიკელი, ღმერთი = მონარ-
ქი. ეს არა ერთხელაა ფოიერბახთან!

188—190 [653—656] — ღმერთი იყო პატრიარ-
ქალური მონარქი, ახლა კი იგი კონსტი-
ტუციური მონარქია: მართავს, მაგრამ კა-
ნონების მიხედვით.

საიდან გაჩნდა სული (Geist)? — ეკი-
თხებიან თეისტები ათეისტს. (196) [661] ისინი
ქმნიან ბუნებაზე მეტად საძულველ (despec-
tifierliche: 196 [661]), სულზე მეტად მაღალ
წარმოდგენას (zu hohe, zu vornehme (!!)
Vorstellung *).

ნატურიდან პირდაპირ ვერ ახსნი Regierun-
gsrath'a-საც ** (197) [662]

«სული ხომ სხეულთან, გრძნობებთან ერ-
თად ვითარდება... ის დაკავშირებულია გრძნო-
ბებთან... საიდანაცაა თავის ქალა, საიდანაცაა
ტვინი, იქიდანვეა სულიც; საიდანაცაა ორგა-
ნო, იქიდანვეა მისი ფუნქციაც» ((197) [662]:
შეად. ზემოთ (197) [662] «სული თავში»).

«სულიერი მოქმედებაც — სხეულებრივია».
(197—198) [662]

სხეულებრივი სამყაროს წარმოშობას სუ-
ლიდან, ღმერთიდან მივეყვართ სამყაროს შე-
ქმნამდე არაფრისაგან — «რადგანაც საიდან
ღებულობს სული მატერიას, სხეულებრივ
ნივთიერებებს, თუ არა არაფრისაგან?» (199)
[664]

NB
შეად.
(დიცგენი ³⁵)
გონებამახვი-
ლურია!

Idem
დიცგენი ³⁶

* — მეტად მაღალ, მეტად კეთილშობილურ (!! წარმოდგენას. რ ე დ.
** — სახელმწიფო მრჩეველსაც. რ ე დ.

ბუნება მატერიალურია

...«ბუნება სხეულებრივია, მატერიალურია, გრძნობადია»... (201) [665]
 იაკობ ბემი = „მატერიალისტი თეისტო“ (202) [666]: იგი აღმერთებს არა მარტო სულს, არამედ მატერიასაც. მასთან ღმერთი მატერიალურია — ამაშია მისი მისტიციზმი. (202) [666]

ბუნების აუცილებლობა

...«სადაც თვალეები და ხელეები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ, იქ თავიანთ არსებობას შეწყვეტენ ღმერთები». (203) [667]
 «ბოროტებას ბუნებაში» (თეისტები) «დანაშაულად უთვლიან... მატერიას, ან ბუნებებს გარდუვალ აუცილებლობას» (212) [675—676]

ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახი

213 შუაში [676] და 215 შუაში [678] „natürliche“ und „bürgerliche Welt“ *.

NB

(226) [687—688]: ფოიერბახი ლაპარაკობს, რომ აქ ამთავრებს იგი 1-ლ ნაწილს (ბუნებაზე როგორც რელიგიის საფუძველზე) და გადადის მე-2-ზე: Geistesreligion-ში ** მუდავნდება ადამიანის სულის თვისებანი. (232) [692—693] — „რელიგია არის პოეზია“ — ასე შეიძლება ითქვას, რადგან რწმენა = ფანტაზია. მაგრამ ხომ არა ვსპობ მე (ფოიერბახი) პოეზიას? არა, მე ვსპობ (aufhebe) რელიგიას «მხოლოდ იმდენად» (ხაზგასმა ფოიერბახისა), «რამდენადაც იგი უბრალო პროზაა და არა პოეზია». (233) [693]

ხელოვნება არ მოითხოვს, რომ მისი ნაწარმოებები სინამდვილე ვალიაროთ. (233) [693]

გარდა ფანტაზიისა რელიგიაში უაღრესად მნიშვნელოვანია Gemüth *** (261) [717], პრაქტიკული მხარე (258) [714], უკეთესის, დაცვის, დახმარების etc. ძიება. (263) [718—719] — რელიგიაში ეძებენ ნუ-

• — «ბუნებრივი» და «სამოქალაქო სამყარო». რ ე დ.
 •• — სულის რელიგიაში. რ ე დ.
 ••• — გრძნობა. რ ე დ.

გე უს (აქაოდა ათეიზმი *trostlos* *). —
 «სწორედ ადამიანის თავისმოყვარეობის
 შესაბამისი ასეთი წარმოდგენაა კიდევ წარ-
 მოდგენა იმის შესახებ, რომ ბუნება არ მოქმე-
 დებს უცვლელი აუცილებლობით, მაგრამ
 ბუნების აუცილებლობაზე უფრო მაღლა დგას
 არსება, რომელიც კაცთმოყვარეა». (264)
 [719] და მომდევნო ფრაზაში ქვის
 ვარდნილობის „*Naturnotwendigkeit*“ **.
 (264) [720]

ბუნების
 აუცილებ-
 ლობა

გვ. 287 [738—739] შუაში ორჯერ: ასევე
 „*Notwendigkeit der Natur*“ ***.

NB

რელიგია = ბალობა, ბავშვობა კაცო-
 ბრიობისა (269) [723], ქრისტიანობამ მორ-
 ლი დან გააჩინა ღმერთი, შექმნა მორ-
 ლ უ რ ი ღ მ ე რ თ ი. (274) [727—728]

რელიგია არის ჩანასახოვანი წარმონაქმი —
 შეიძლება ითქვას: «წარმონაქმი არის ჭეშმა-
 რიტი რელიგია»... (275) [728] «მაგრამ ეს არის
 სიტყვების ბოროტად გამოყენება, ვინაიდან
 სიტყვასთან რელიგია მუდამ დაკავშირებულია
 ცრურწმენითი და არაჰუმანური წარმოდგენა-
 ნი» (275) [728]

ფოიერბახი
 იმის წინააღმ-
 დეგია, რომ
 სიტყვა რე-
 ლიგია ბო-
 როტად იქნეს
 გამოყენე-
 ბული

ხოტბა განათლებას — (277) [730]

«ზერელე შეხედულება და მტკიცებაა, რომ
 რელიგია ცხოვრებისათვის, განსაკუთრებით
 საზოგადოებრივი, პოლიტიკური ცხოვრებისა-
 თვის სრულიად უმნიშვნელოა». (281) [733] მე
 გახვრეტილ გროშსაც არ გავიღებ ისეთი პო-
 ლიტიკური თავისუფლებისათვის, რომელიც
 ადამიანს რელიგიის მონად ტოვებს. (281) [733]

NB

რელიგია თანდაყოლილი აქვს ადამიანს
 («ეს დებულება... მარტივ გერმანულ ენაზე
 გადათარგმნილი, ნიშნავს») = ცრუმორწმუ-
 ნეობა თანდაყოლილი აქვს ადამიანს. (283)
 [735]

* — უნუგეშოა. რ ე დ.
 ** — «ბუნებრივი აუცილებლობა». რ ე დ.
 *** — «ბუნების აუცილებლობა». რ ე დ.

ბუნების
აუცილებ-
ლობა

NB

NB

NB

«ქრისტიანს გააჩნია ბუნების თავისუფალი მიზეზი, ბუნების ბატონი, რომლის ნება-სურვილს, რომლის სიტყვას ბუნება ემორჩილება, ღმერთი, რომელიც არაა შებოჭილი ეგრეთ-წოდებული მიზეზობრივი კავშირით, არაა შებოჭილი აუცილებლობით, არაა დაბმული ჯაჭვით, რომელიც აკავშირებს მოქმედებას მიზეზთან და მიზეზს მიზეზთან, მაშინ როდესაც წარმართთა ღმერთი დაკავშირებულია ბუნებრივ აუცილებლობასთან და ისიც კი არ შეუძლია, რომ თავისი საყვარელნი სიკვდილის საბედისწერო ხვედრისაგან იხსნას». (301) [750] (ამრიგად, ფოიერბახი სისტემატურად ლაპარაკობს: *Notwendigkeit der Natur*).

«მაგრამ ქრისტიანს აქვს თავისუფალი მიზეზი, იმიტომ რომ იგი თავის სურვილებში არ აკავშირებს თავის თავს საერთო წესრიგთან, ბუნების აუცილებლობასთან». (301) [750] ((და კიდევ სამჯერ ამ გვერდზე: *Notwendigkeit der Natur*..))

ხოლო გვ. 302 [751]: «...ყველა კანონი ანუ ბუნების აუცილებლობა, რომლებსაც ადამიანის არსებობა ექვემდებარება»... (302) [751]

[ci. 307 [755]: „*Lauf der Natur*“ *.

«გახადო ბუნება ღმერთზე დამოკიდებული ნიშნავს სამყაროს წყობილება და ბუნების აუცილებლობა გახადო ნება-სურვილზე დამოკიდებული». (312) [759—760] გვ. 313 კი (ზემოდან) [760] — „*Naturnotwendigkeit*“!!

320 [766]: „აუცილებლობა ბუნებისა“ (*der Natur*)...

რელიგიურ წარმოდგენებში «ჩვენ გვაქვს... მაგალითები, თუ როგორ გარდაქმნის საერთოდ ადამიანი სუბიექტურს ობიექტურად, ე. ი. მას, რაც მხოლოდ მის აზროვნებაში, წარმოდგენაში, წარმოსახვაში არსებობს, რაც აზროვნების, წარმოდგენის, წარმოსახვის გარეშე არსებულად ხდის»... (328) [773]

რა არის
ობიექტური?
(ფოიერბახის
მიხედვით)

* — «ბუნების მსგელობა». რ. ე. დ.

«ასე ამოგლეჯენ ქრისტიანები გონს, სულს, ადამიანს სხეულიდან და ამ ამოგლეჯილ გონს, რომელიც სხეულს მოკლებულია, თავიანთ ღმერთად ხდიან». (332) [777]

Entleibter
Geist * =
ღმერთი

რელიგია ადამიანს აძლევს (332) [777] იდე-
ალს. ადამიანისათვის საჭიროა იდეალი, მაგ-
რამ ადამიანური, ბუნების შესაბამისი და არა
ზებუნებრივი.

«დაე ჩვენი იდეალი იყოს არა დასაჭურისე-
ბული, სხეულოვნობას მოკლებული, განყენე-
ბული არსება, არამედ — მთლიანი, ნამდვილი,
ყოველმხრივი, სრულყოფილი, განვითარებუ-
ლი ადამიანი». (334) [778]

მიხაილოვსკის იდეალი
მხოლოდ გავულგარულებული
განმეორებაა მოწინავე ბურ-
ჟუაზიული დემოკრატიის ანუ
რევოლუციური ბურჟუაზიული
დემოკრატიის ამ იდეალისა.

«ადამიანს არა აქვს არავითარი წარმოდგე-
ნა, არავითარი გაგება რაიმე სხვა სინამდვი-
ლისა, სხვა არსებობისა, გარდა გრძნობადისა,
ფიზიკურისა»... (334) [779]

Sinnlich,
physisch **

შესანი-
შნავი
შეტოლე-
ბაა!

«თუ არ რცხვენიათ ივარაუდონ გრძნობადი,
მატერიალური სამყაროს წარმოშობა რომე-
ლიმე სულის აზროვნებიდან თუ ნებიდან, თუ
არ რცხვენიათ ამტკიცონ, რომ ნივთებს იმი-
ტომ კი არ წარმოიდგენენ აზრით, რომ ისინი
არსებობენ, არამედ ისინი იმიტომ არსებობენ,
რომ მათ აზრით წარმოიდგენენ, მაშინ ნურც
იმისი რცხვენიათ, რომ ივარაუდონ აგრეთვე
მათი წარმოშობა სიტყვიდან, ნურც იმის მტკი-
ცება რცხვენიათ, რომ სიტყვები იმიტომ კი
არ არსებობენ, რომ ნივთები არსებობენ, არა-
მედ ნივთები მხოლოდ სიტყვების შემწეობით
არსებობენ». (341—342) [785—786]

NB

* — სხეულს მოკლებული გონი. რ ე დ.
** — გრძნობადი, ფიზიკური. რ ე დ.

ღმერთი ადამიანის სულის უკვდავების გა-
რეშე მხოლოდ სახელწოდებითაა ღმერთი:

...«ასეთ ღმერთს წარმოადგენს... ზოგიერთი
რაციონალისტური ბუნებისმეტყველის ღმერ-
თი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა გასუ-
ლიერებული ბუნება ანუ ბუნებრივი აუცი-
ლებლობა, უნივერსუმი, სამყარო, რასაც, რა
თქმა უნდა, არ ეთანხმება წარმოდგენა უკვდა-
ვებაზე». [349] [791]

უკანასკნელი (30-ე) ლექცია, გვ. (358—370)
[799—810], შეიძლება მოყვანილ იქნეს თითქმის
მთლიანად როგორც უაღრესად ტიპიური ნი-
მუში განმანათლებლური ათეიზმისა, რომელ-
საც სოციალისტური სუნი დაჰკრავს (უამრავი
გაჭირვებულის შესახებ etc., გვ. 365 შუაში
[805]) და ა. შ. დასკვნითი სიტყვები: ჩე-
მი მიზანია თქვენ, მსმენელები, გადაგაქ-
ციოთ

«ღმერთის მეგობრებიდან — ადამიანის მე-
გობრებად, მორწმუნეთაგან — მოაზროვნე-
ებად, მლოცველებიდან — მუშაკებად, საი-
ქიოს კანდიდატებიდან — სააქაოს მკვლევარე-
ბად, ქრისტიანებიდან, რომლებიც, მათი საკუ-
თარი აღიარებისა და გამოტყდომის თანახმად,
«ნ ა ხ ე ვ რ ა დ ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი, ნ ა ხ ე ვ-
რ ა დ ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი» არიან — ა დ ა-
მ ი ა ნ ე ბ ა დ, მ თ ლ ი ა ნ ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ა დ»
(370 დასასრული [810]).

ხაზგასმა
ფოიერბახისა

შემდეგ მოჰყვება დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი და
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი. (371—463) [811—894]

აქ არის ბევრი წვრილმანი, ციტატი, რომელ-
ნიც განმეორებებს შეიცავენ. ყოველივე ამას
შე გვერდს ვუვლი. აღვნიშნავ მხოლოდ ყვე-
ლაზე მთავარს იქიდან, რაც რაიმე ინტერესს
წარმოადგენს: მორალის საფუძველი ეგოიზმია
(392) [829]. («სიცოცხლის სიყვარული, ინტე-
რესი, ეგოიზმი»)... «არსებობს არა მარტო
ცალკეული ანუ ინდივიდუალური ეგოიზმი,
არამედ აგრეთვე სოციალური ეგოიზმიც,
ეგოიზმი ოჯახური, კორპორაციული, თემუ-
რი, პატრიოტული». (393) [830]

ისტორიული
მატერიალიზ-
მის
ჩანასახი!

...«სიკეთე სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც ყველა ადამიანის ეგოიზმს შეეფერება»... (397) [834]

«მართლაც, საკმარისია ამისათვის თვალი გადავავლოთ ისტორიას! სად იწყება ისტორიაში ახალი ეპოქა? ყველგან იქ მხოლოდ, სადაც ერის თუ კასტის განსაკუთრებული ეგოიზმის წინააღმდეგ ჩაგრული მასა ანუ უმრავლესობა თავის სრულიად კანონიერ ეგოიზმს აყენებს, სადაც ადამიანთა (sic!) კლასები ან მთელი ერები, დაამარცხებენ რა გაბატონებული უმცირესობის ქედმძლურ ყოყობას, პროლეტარიატის ბეჩავი და ჩაგრული მდგომარეობიდან ისტორიული და სახელოვანი მოღვაწეობის სინათლეზე გამოდიან. ასევე კაცობრიობის ამყამად ჩაგრული უმრავლესობის ეგოიზმმაც უნდა განახორციელოს და განახორციელებს კიდევ თავის უფლებას და ისტორიის ახალ ეპოქას დაიწყებს. გასაუქმებელია არა არისტოკრატია განათლებისა, სული-სა — არა! მაგრამ დაუშვებელია, რომ ცოტანი იყვნენ კეთილშობილნი, ყველა დანარჩენნი კი — ბრბო; პირიქით, ყველანი უნდა — ყოველ შემთხვევაში უნდა — იყვნენ განათლებულნი; საკუთრება კი არ უნდა იქნეს საერთოდ გაუქმებული — არა! მაგრამ დაუშვებელია, რომ ცოტანი იყვნენ საკუთრების მქონენი, ყველა დანარჩენს კი არაფერა არ გააჩნდეს; საკუთრება უნდა ჰქონდეს ყველას». (398) [835]

NB

NB

ისტორიული
მატერიალიზ-
მის ჩანასახი,
შეად. ჩერნი-
შეესკი³⁷

NB

ფოიერბახის
„სოცია-
ლიზმი“

ეს ლექციები წაკითხულია 1848 წლის 1. XII-დან 1849 წლის 2. III-მდე (წინასიტყვაობა, გვ. V [490], წიგნის წინასიტყვაობა კი დათარიღებულია 1851 წლის 1. I-ით. როგორ ძლიერ ჩამორჩა უკვე ამ დროს (1848—1851) ფოიერბახი მარქს-სა (კომუნისტური მანიფესტი 1847. Neue Rheinische Zeitung etc.) და ენგელსს (1845: Lage³⁸)

სიტყვების — ღმერთები და ბუნება — ხმარების მაგალითები კლასიკოსებიდან უმნიშვნელოა. (398—399) [835—836]

გვ. 402—411 [838—847] — საუცხოო, ფილოსოფიური (და იმავე დროს მარტივი და ნათელი) ახსნა რელიგიის დედაარსისა.

NB

«რელიგიის საიდუმლოება, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ იმის საიდუმლოებაა, რომ ერთსა და იმავე არსებაში ხდება შეხამება ცნობიერებისა არაცნობიერთან, ნებისა არანებისმიერთან». (402) [839] მე და არა-მე გა-

NB

ნუყრელად არიან დაკავშირებული ადამიანში. «ადამიანს არ ესმის და ვერ აუტანია თავისი საკუთარი სიღრმე და ამიტომ თავის არსებას თიშავს «მე»-ზე «არა-მე»-ს გარეშე, რომელსაც იგი უწოდებს ღმერთს, და «არა-მე»-ზე «მე»-ს გარეშე, რომელსაც იგი უწოდებს ბუნებას». (406) [842]

გვ. 408 [844] — ჩინებული ციტატა სენეკადან (ათეისტების წინააღმდეგ), რომ ისინი ბუნებას ღმერთად ხდიანო. ილოცე! — იმუშავე! (გვ. 411 [846]).

NB

ბუნება არის ღმერთი რელიგიაში, მაგრამ ბუნება როგორც Gedankenwesen *. «რელიგიის საიდუმლოება არის «სუბიექტურისა და ობიექტურის იგივეობა», ე. ი. ერთიანობა ადამიანური და ბუნებრივი არსებისა, მაგრამ ამასთან ეს არსება განსხვავებულია ბუნებისა და კაცობრიობის ნამდვილი არსებისაგან». (411) [847]

Sehr gut! **

«უძიროა ადამიანური უფიცობა, და უსაზღვროა ადამიანური ძალა წარმოსახვისა; ბუნების ძალა, რომელიც უფიცობის გამო მოკლებულია თავის საფუძველს, ხოლო ფანტაზიის შემწეობით — თავის საზღვრებს, არის ღვთაებრივი ყოვლადშემძლეობა». (414) [849]

■ — აზრითი არსება. რ ე დ.
 •• — ძალიან კარგია! რ ე დ.

...«ობიექტური არსება როგორც სუბიექტური, ბუნების არსება როგორც ბუნებისაგან განსხვავებული, როგორც ადამიანური არსება, ადამიანის არსება როგორც ადამიანისაგან განსხვავებული, როგორც არაადამიანური არსება, — აი რა არის ღვთაებრივი არსება, აი რა არის რელიგიის არსება, აი რა არის მისტიკისა და სპეკულაციის საიდუმლოება»... (415) [850]

Sehr gut!

შესანიშნავი ადგილია!

სპეკულაცია 'ფოიერბახთან = იდეალისტური ფილოსოფია NB.

«ადამიანი გამოყოფს აზროვნებაში ზედსართავს არსებითი სახელისაგან, თვისებას არსებისაგან... და მეტაფიზიკური ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა მოკლე ნუსხა ანუ ერთობლიობა ბუნებიდან მიღებული ყველაზე ზოგადი თვისებებისა, მაგრამ ერთობლიობა, რომელსაც ადამიანი წარმოსახვის ძალის მეშვეობით, გრძნობადი არსებისაგან, ბუნების მატერიისაგან სწორედ ასეთი გამოყოფით კვლავ გადააქცევს დამოუკიდებელ სუბიექტად ან არსებად». (417) [852]

NB
ღრმად
სწორია!
NB

ამავე როლს ასრულებს ლოგიკა ((418) [852—853] — აშკარაა იგულისხმება ჰეგელი) — რომელიც das Sein-ს, das Wesen-ს* განსაკუთრებულ რეალობად აქცევს — «რა უგუნურებაა იმის სურვილი, რომ გადავაქციოთ მეტაფიზიკური არსებობა ფიზიკურ, სუბიექტური არსებობა — ობიექტურ, ლოგიკური თუ აბსტრაქტული არსებობა — კვლავ არალოგიკურ, ნამდვილ არსებობად!» (418) [853]

შესანიშნავია (ჰეგელისა და იდეალიზმის წინააღმდეგ)

...««მაშასადამე, არსებობს მარადიული განხეთქილება და წინააღმდეგობა ყოფიერებასა და აზროვნებას შორის?» დიახ, მხოლოდ თავში; სინამდვილეში კი ეს წინააღმდეგობა უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია, მხოლოდ, რასა-

სახ. გალ. // ...მეტოქსი და ბი. ათენიანთა სპირობის სიკეთის სიკეთის
...მეტოქსი და ბი. ათენიანთა სპირობის სიკეთის სიკეთის
...მეტოქსი და ბი. ათენიანთა სპირობის სიკეთის სიკეთის

სახ. გალ. // ...დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი
...დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი
...დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი

სახ. გალ. // (Cronyქლავი 7 P. 29 = აგლ. გრის 11

სახ. გალ. // "დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი
...დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი
...დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი

სახ. გალ. // ...მეტოქსი და ბი. ათენიანთა სპირობის სიკეთის სიკეთის
...მეტოქსი და ბი. ათენიანთა სპირობის სიკეთის სიკეთის
...მეტოქსი და ბი. ათენიანთა სპირობის სიკეთის სიკეთის

სახ. გალ. // ...დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი
...დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი
...დას ობიექტი წყვილი და სუბიექტი, დას ობიექტი დას ობიექტი

სახ. გალ. // 42 & 43 ... 431-435 ... 431-435 ... 431-435
... 42 & 43 ... 431-435 ... 431-435 ... 431-435
... 42 & 43 ... 431-435 ... 431-435 ... 431-435

კვირველია, სინამდვილისა და არა შენი სკო-
ლური წარმოდგენების შესაბამისი წესით, სა-
ხელობრ — გადაწყვეტილია ხუთი გრძნო-
ბის და არა ნაკლების მეშვეობით». (418) [853]
428 [862]: Tout ce qui n'est pas Dieu, n'est
rien, ე. ი. tout ce qui n'est pas Moi,
n'est rien *.

მშვენივრად
არის
ნათქვამი!

bien dit! **

431—435 [865—869] ძალიან კარგი ადგილია
(კარგი ციტატია გასენდიდან): განსაკუთ-
რებით 433 [867] ღ მ ე რ თ ი = კრებული
ზედსართავი სახელების სიტყვებისა (უმა-
ტერიოდ) კონკრეტულისა და აბსტრაქ-
ტულის ძესახებ.

NB

[435] [868—869] «თავი არის სამყაროს წარმო-
მადგენელთა პალატა» — და როცა ჩვენ
თავი გატენილი გვაქვს აბსტრაქციებით,
Gattungsbegriffen-ებით ***, მაშინ ჩვენ
ბუნებრივად გამოგვყავს (ableiten) «ცალ-
კეული ზოგადიდან, ე. ი. ...ბუნება —
ღმერთიდან».

NB

ცალკეული
და ზოგადი =
= ბუნება და
ღმერთი

436—437 [870]: (შენიშვნა № 16). მე არა ვარ
კონსტიტუციური მონარქიის წინააღმდე-
გი, მაგრამ მხოლოდ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ-
ლი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა «გონებისათვის
უშუალოდ» წარმოდგენს სახელმწიფო-
ებრივ ფორმას, «რომელიც ადამიანურ
არსებას შეეფერება».

ჰა-ჰა!!

...«წერის გონებამახვილი მანერა, სხვათა
შორის, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჭკუას
გულისხმობს აგრეთვე მკითხველშიც, რომ იგი
თვით მკითხველს ალაპარაკებს იმ ურთიერ-
თობებზე, პირობებსა და შეზღუდვებზე, რომ-
ლებშიც მხოლოდ მოცემულ დებულებას მნი-
შვნელობა აქვს და რომლებშიც მისი გააზრება
შეიძლება». (447) [880]

მოხდენილა-
დაა!

საინტერესო პასუხი (ფოიერბახის) კრიტიკოსის — პროფესორ von Schaden'-ისადმი * (448—449) [880—881] და Schaller'-ისადმი**. (449—450—463) [882—883—894].

NB
„ყოფიერება და ბუნება“, „აზროვნება და ადამიანი“

...«მე ხომ გარკვევით ყოფიერების ადგილას ვაყენებ ბუნებას, აზროვნების ადგილას — ადამიანს», ე. ი. არა აბსტრაქციას, არამედ კონკრეტულს — — — die dramatische Psychologie ***. (449) [882]

აი რატომაა ვიწრო ფოიერბახისა და ჩერნიშევსკის ტერმინი „ანტროპოლოგიური პრინციპი“ ფილოსოფიაში⁴⁰. ანტროპოლოგიური პრინციპიც და ნატურალიზმიც მატერიალიზმის მხოლოდ არაზუსტი, სუსტი აღწერილობაა.

bien dit!

«იეზუიტობში ჩვენი სპეკულაციური ფილოსოფოსების არაცნობიერი ორიგინალი და იდეალია». (455) [888]

ფილოსოფიური მატერიალიზმის საფუძვლების საკითხისათვის

«აზროვნება გულისხმობს სინამდვილის დისკრეტობას, როგორც უწყვეტობას, სიცოცხლის უსასრულო მრავალჯერადობას, როგორც იგივეს ერთჯერადს. შემეცნება არსებითი, წარუშლელი სხვაობისა აზროვნებასა და ცხოვრებას (ან სინამდვილეს) შორის საწყისია ყოველივე დიდი სიბრძნისა აზროვნებასა და ცხოვრებაში. მხოლოდ განსხვავება არის აქ ჭეშმარიტი კავშირი». (458) [890]

მე-8 ტომის დასასრული.

ტომი 9 = „თეოგონია“ (1857)⁴¹. თითქოს, საინტერესო აქ არაფერია, თუ გადაფურცლის მიხედვით ვიმსჯელებთ. სხვათა შორის, გვ. 320 § 34, 36 (გვ. 334) და შემდეგი წასაკითხავია. NB § 86 (გვ. 334) — გადათვალეობით საინტერესო არაფერი ჩანს. სულ ციტატები და ციტატებია იმის დასადასტურებლად, რაც ფოიერბახმა წინათ უკვე თქვა.

* — ფონ-შადენისადმი. რედ.
** — შალერისადმი. რედ.
*** — დრამატულ ფსიქოლოგიას. რედ.

კონსპექტი ჰეგელის წიგნისა
«ლოგიკის მეცნიერება»⁴²

დაწერილია 1914 წლის სექტემბერ-
დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის IX კრებულში


იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

Bern: Log. I. 175

Hegels Werke***Bd. I. Philosophische Abhandlungen****

- II. სულის ფენომენოლოგია
- III—V. ლოგიკის მეცნიერება
- VI—VII. (1 და 2) ენციკლოპედია
- VIII. სამართლის ფილოსოფია
- IX. ისტორიის ფილოსოფია
- X. (3 ნაწილი) ესთეტიკა
- XI—XII. რელიგიის ისტორია
- XIII—XV. ფილოსოფიის ისტორია
- XVI—XVII. შერეული თხზულებები
- XVIII. ფილოსოფიური პროპედევტიკა
- XIX. (1 და 2) წერილები ჰეგელისა და ჰეგელს

* — ჰეგელის თხზულებანი. რედ.
 ** — ტ. I. ფილოსოფიური სტატიები. რედ.



გარეკანი პირველი რვეულისა, რომელშიც მოცემულია კონსპექტი
ჰეგელის წიგნისა «ლოგიკის მეცნიერება» — 1914 წლის
სექტემბერი — დეკემბერი
დაპატარავებულია

გ. ვ. ფრ. ჰეგელის თხზულებათა სრული სათაური⁴³

გ. ვ. ფრ. ჰეგელის თხზულებანი,
ტომი III (ბერლინი, 1833)
(გვ. 468)

«ლოგიკის მეცნიერება»⁴⁴.

1 ნაწილი: ობიექტური ლოგიკა.

1 განყოფილება. მოძღვრება ყოფიერებაზე.

(ბერნი: Log. I. 175)

«განსვენებულის მეგობართა წრის სრული გამოცემა: მარჰაინეკე, შულცე, განსი, ჰენინგი, პოტო, მიხელეტი, ფერსტერი».

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ტომი III *, გვ. 5 [V, 2] ** — გონებამახვილდაა ნათქვამი ლოგიკაზე: „ცრუ აზრი“ არისო, თითქოს იგი „გვასწავლის აზროვნებას“ (როგორც ფიზიოლოგია „გვასწავლის მონელებას“??)

...«ლოგიკის მეცნიერება, რომელიც შეადგენს საკუთრივ მეტაფიზიკას ანუ წმინდა, სპეკულაციურ ფილოსოფიას»... (6) [3]

... „ფილოსოფიას არ შეუძლია თავისი მეთოდი გადმოიღოს დაქვემდებარებული მეცნიერებისაგან—მათემატიკისაგან“... (6—7) [4]

«მაგრამ ასეთი მეთოდი შეიძლება იყოს მხოლოდ ბუნება შინაარსისა, მეცნიერულ შემეცნებაში რომ მოძრაობს; ამასთანავე ეს არის შინაარსის საკუთარი რეფლექსია, რომელიც თვით დაადგენს და წარმოქმნის პირველად ამ შინაარსის განსაზღვრას». (7) [4]

(მეცნიერული შემეცნების მოძრაობა — აი დედაარსი).

„განსჯა (Verstand) იძლევა განსაზღვრე-

* — Hegel. Werke, Bd. III, Berlin, 1833. რედ.

** — Гегель. Сочинения, т. V, М., 1937, რედ.

ბებს (bestimmt), გონება (Vernunft) უარყოფს, იგი დიალექტიკურია, რადგანაც მას განსჯის განსაზღვრანი არარამდე დაჰყავს („in Nichts auflöst“). (7) [4] შეერთება ერთის და მეორისა, — „განსჯითი გონება ანუ გონიერი განსჯა“ (7) [4] = პოზიტიური.

„მარტივის“ უარყოფა ... «სულიერი მოძრაობა»... (7) [4]

«მხოლოდ ამ თავისი თავის მაკონსტრუირებელ გზაზე ძალუძს ფილოსოფიას... იყოს ობიექტური, დემონსტრაციული მეცნიერება». (7—8) [4]

(„თავისი თავის მაკონსტრუირებელი გზა“ = გზა (აქ არის ღერძი, ჩემი აზრით) ნამდვილი ცოდნისა, შემეცნებისა, მოძრაობისა [არცოდნიდან ცოდნისაკენ] *).

დამახასიათებელია!

ცნობიერების მოძრაობა «როგორც ყველა ბუნებრივი და სულიერი ცხოვრების განვითარება» ემყარება „ლოგიკის შინაარსის შემადგენელ წმინდა არსებათა ბუნებას“ (Natur der reinen Wesenheiten **).

გადავებრუნოთ: ლოგიკა და შემეცნების თეორია გამოყვანილ უნდა იქნეს „ბუნებისა და სულის მთელი ცხოვრების განვითარებიდან“.

აქამდე: პირველი გამოცემის წინასიტყვაობა.

* ხელნაწერში სიტყვები «არცოდნიდან ცოდნისაკენ» წაშლილია ჰორიზონტალური ხაზით, ეტყობა, ხაზგასმით აღნიშვნის ნაცვლად. რ ე დ.

** — წმინდა არსებათა ბუნება. რ ე დ.

II ბაზოცემის წინასიტყვაობა

„აზრის სამყაროს წარმოდგენა ფილოსოფიურად, ე. ი. მის საკუთარ (NB) იმანენტურ მოქმედებაში ან, რაც იგივეა, მის აუცილებელ (NB) განვითარებაში“... (10) [6]

„აზრის ცნობილი ფორმები“ — მნიშვნელოვანი საწყისია, „die leblosen Knochen eines Skeletts“ *. (11) [6]

შესანიშნავია!

საჭიროა არა leblose Knochen, არამედ ცოცხალი სიცოცხლე.

აზროვნების კავშირი ენასთან (სხვათა შორის ჩინური ენა და მისი განუვითარებლობა: 11 [7]), არსებითი სახელებისა და ზმნების წარმოება. (11) [7] გერმანულ ენაში ზოგჯერ სიტყვებს აქვთ „entgegengesetzte Bedeutung“ ** (12) [7] (არა მარტო „განსხვავებული“, არამედ ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო ც) — „სასინხარულთა აზრისათვის“...

ცნება ძ ა ლ ი ს ა ფიზიკაში — და პ ო ლ ა რ ო ბ ი ს ა („დაპირისპირებულობანი გა-ნუყრელად (ხაზგასმა ჰეგელისაა) დაკავშირებულნი არიან“). (12) [8] გადასვლა ძალიდან პოლარობაზე — გადასვლა „უმაღლეს Denkverhältnisse-ზე“ ***. (12) [7—8]

აზრის ისტორია = ენის ისტორია??

- * — «ჩონჩხის უსიცოცხლო ძვლები». რ ე დ.
- ** — «საპირისპირო მნიშვნელობა». რ ე დ.
- *** — «აზრის მიმართებებზე». რ ე დ.

ბუნება და „das geistige“ *

[NB კიდევ გვ. 11 [7]... «მაგრამ თუ დავუპირისპირებთ საერთოდ ბუნებას, როგორც ფიზიკურს, სულიერს, მაშინ უნდა ითქვას, რომ ლოგიკური უფრო ზებუნებრივია»...]

ლოგიკური ფორმები Allbekanntes sind **, მაგრამ... „was bekannt ist, darum noch nicht erkannt“ ***. (13) [8]

«უსასრულო პროგრესი» — არის „აზროვნების ფორმების“ „განთავისუფლება“ მასალისაგან (von dem Stoffe), წარმოდგენათაგან, სურვილებისაგან etc., გამომუშავებაა ზოგადისა (პლატონი, არისტოტელე): დასაწყისია შემეცნებისა...

„მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყოველივე აუცილებელი მოცემული იყო... ადამიანებმა დაიწყეს ფილოსოფოსობა“ — ამბობს არისტოტელე (13—14) [9]; და იგივე არისტოტელე: ეგვიპტელ ქურუმთა მოცალეება მათემატიკურ მეცნიერებათა დასაწყისია. (14) [9] „წმინდა აზრებზე“ მუშაობა გულისხმობს «გრძელ გზას, რომელიც ადამიანის სულს უნდა გაევიდოს მანამდე». ასეთ აზროვნებაში

ინტერესები „ამოძრავებენ ხალხთა ცხოვრებას“

«დუმდება ინტერესები, რომლებიც ხალხთა და ინდივიდთა ცხოვრებას ამოძრავებენ». (14) [9]

ლოგიკის კატეგორიებია **Abbreviatu- ren** ***** („epitomiert“ ***** სხვა ადგილას), «გარეგანი არსებობისა და მოქმედების კერძობათა» „უსასრულო მასისა“. (15) [10] თავის მხრივ ეს კატეგორიები **die- nen** ***** ადამიანებს პრაქტიკაში («ცოცხალი შინაარსის სულიერ გამომუშავებაში, აზრების შექმნასა და მათს გაცვლაში»). (15) [10]

- — «სულიერი». რ. ე. დ.
- — საყოველთაოდ ცნობილია. რ. ე. დ.
- — «ის, რაც ცნობილია, ჯერ კიდევ არაა ამის გამო შეცნობილი». რ. ე. დ.
- — შემოკლებანი. რ. ე. დ.
- — ამოღებული. რ. ე. დ.
- — ემსახურებიან. რ. ე. დ.

«ჩვენს შეგრძნებებზე, სწრაფვაზე, ინტერესებზე ჩვენ, მართალია, არ ვლაპარაკობთ, რომ ისინი ჩვენ გვემსახურებიან, მაგრამ ისინი მიჩნეული არიან თვითმყოფ ძალად და მიოფებად, ასე რომ ჩვენ თვით ვართ ეს ძალები». (15) [10]

აზრის ფორმებზეც (Denkformen) ვერ ვიტყვი, რომ ისინი ჩვენ გვემსახურებიან, რადგანაც ისინი გადიან „ყველა ჩვენს წარმოდგენაში“ (16) [10], ისინი არიან «ზოგადი როგორც ასეთი».

აზროვნების მიმართება ინტერესებისა და სწრაფვისადმი...

ობიექტივიზმი: აზროვნების კატეგორიები ადამიანის დამხმარე საშუალება კი არ არის, არამედ გამოხატულებაა კანონზომიერებისა ბუნებისა და ადამიანისა — შეად. შემდეგ დაპირისპირება

— «სუბიექტური აზროვნებისა» და «თვით ნივთთა არსის ობიექტური ცნებისა». ჩვენ არ შეგვიძლია «გავცილდეთ ნივთთა ბუნების საზღვრებს». (16) [11]

და შენიშვნა „კრიტიკული ფილოსოფიის წინააღმდეგ“. (17) [11] მას წარმოუდგენია მიმართება „სამ ტერმინს“ შორის (ჩვენ, აზროვნება, ნივთები) ისე, რომ ჩვენ ვაყენებთ „შუაში“ ნივთებსა და ჩვენს შორის აზროვნებას, რომ ეს შუაგული „გვეყოფს“ (abschließt) ჩვენ „ნაცვლად იმისა, რომ გვაერთებდეს“ (zusammenschließen). ამაზე, ამბობს ჰეგელი, უნდა ვუპასუხოთ „მარტივი შენიშვნით“, რომ „თვით ეს ნივთები, რომელნიც ვითომდა ჩვენი აზრების მიღმა (jenseits) იმყოფებიან, თვითონ არიან (Gedankendinge) აზრითი ნივთები“... და „ეგრეთწოდებული ნივთი თავისთავად არის მხოლოდ ein Gedankending der leeren Abstraktion“*.

კანტელობის წინააღმდეგ

* — ცარიელი აბსტრაქციის აზრითი ნივთი. რ ე დ.

ჩემი აზრით, საბუთის დედაარსია: (1) კანტის თანახმად, შემეცნება გამოიწვევს (ყოფს) ბუნებასა და ადამიანს; ნამდვილად კი იგი აერთებს მათ; (2) ნივთების შესახებ ჩვენი სულ უფრო ღრმა ცოდნის ცოცხალი **Gang-ის, Bewegung ***-ის მაგივრად კანტს აქვს „ცარიელი აბსტრაქცია“ ნივთისა თავისთავად.

Ding an sich ** კანტის მიხედვით ცარიელი აბსტრაქციაა, ჰეგელი კი მოითხოვს **der Sache-ეს***** შესატყვის აბსტრაქციებს: „**der objective Begriff der Dinge die Sache selbst ausmacht ******“, რომლებიც შეესაბამება — მატერიალისტურად რომ ვთქვათ — სამყაროს შესახებ ჩვენი შემეცნების ნამდვილ გაღრმავებას.

სწორი არაა, რომ **Denkformen** არის მხოლოდ „**Mittel**“, „**zum Gebrauch *******“.
(17) [11]

სწორი არაა აგრეთვე, რომ ისინი არიან „**äußere Formen *******“, „**Formen, die nur an dem Gehalt, nicht der Gehalt selbst seien**“ (ფორმები, რომლებიც არიან მხოლოდ ფორმები შინაარსზე და არა თვით შინაარსი).
(17) [12]...

NB

ჰეგელი კი მოითხოვს ლოგიკას, რომელშიც ფორმები იქნებოდა **gehaltvolle Formen *******, ცოცხალი,

- * — მსვლელობის, მოძრაობის. რ ე დ.
- ** — ნივთი თავისთავად. რ ე დ.
- *** — დედაარსის. რ ე დ.
- **** — «ნივთთა ობიექტური ცნება შეადგენს თვით მათს დედაარსს». რ ე დ.
- ***** — «საშუალება» «სარგებლობისათვის». რ ე დ.
- ***** — «გარეგანი ფორმები». რ ე დ.
- ***** — შინაარსიანი ფორმები. რ ე დ.

რეალური შინაარსის ფორმები, განუყრელად დაკავშირებულნი შინაარსთან.

და ჰეგელი ყურადღებას აქცევს «ყველა ბუნებრივი და სულიერი საგნის იდეებს», «სუბსტანციაურ შინაარსს»... (18) [12]

— «ამოცანაც სწორედ ისაა, რომ ცნობიერებამდე ავამაღლოთ ეს ლოგიკური ბუნება, რომელიც სულს ასულიერებს, ამოძრავებს მას და მოქმედებს მასში». (18) [12]

ლოგიკა არის მოძღვრება აზროვნების არა გარეგან ფორმებზე, არამედ „ყველა მატერიალური, ბუნებრივი და სულიერი ნივთის“ განვითარების კანონებზე, ე. ი. სამყაროს მთელი კონკრეტული შინაარსისა და მისი შემეცნების განვითარების კანონებზე, ე. ი. სამყაროს შემეცნების ისტორიის შედეგი, ჯამი, დასკვნა.

„ინსტიქტური მოქმედება“ (instinktartige Tun) „იფანტება უსასრულოდ სხვადასხვაგვარ მასალაში“. პირიქით, „ინტელიგენტური და შეგნებული მოქმედება“ გამოყოფს „შინაარსს მამოძრავებელი“ მოტივისას (den Inhalt des Treibenden) „სუბიექტთან უშუალო ერთიანობისაგან მის წინაშე“ (სუბიექტის წინაშე) „არსებულ საგნობრიობად“.

«ამ ქსელში ინასკეება აქა-იქ უფრო მყარი კვანძები, რომლებიც წარმოადგენენ მისი»

სულის ანუ სუბიექტის «სიცოცხლისა და ცნობიერების საყრდენ და წარმმართველ პუნქტებს»... (18) [12—13]

როგორ გავიგოთ ეს?

ადამიანის წინაშე არის ბუნების მოვლენათა ქსელი. ინსტიქტური ადამიანი, ველური, არ გამოყოფს თავის თავს ბუნებისაგან. შეგნებული ადამიანი გამოყოფს, კატეგორიები

სათეხურებია გამოყოფისა, ე. ი. სამყაროს შემეცნებისა, საკვანძო პუნქტებია ქსელში, რომლებიც გვეხმარებიან ამ ქსელის შემეცნებასა და მის დაუფლებაში.

„ჭეშმარიტება უსასრულოა“ (19) [13] — მისი სასრულობა მისი უარყოფაა, „მისი დასასრულია“. ფორმები (Denkformen*), თუ მათ განვიხილავთ როგორც ფორმებს, «განსხვავებულთ შინაარსისაგან და მხოლოდ შინაარსისათვის დამახასიათებელთ» (19) [13], ვერ მისწვდებიან ჭეშმარიტებას. ამ ფორმების ფორმალური ლოგიკის სიცარიელე ხდის მათ „ზიზღისა“ (19) [13] და „დაცინვის“ ღირსად. (20) [14] იგივეობის კანონი, $A=A$, — სიცარიელეა, „unerträglich“**. (19) [14]

უმართებულა იმის დავიწყება, რომ ამ კატეგორიებს «შემეცნებაში აქვთ თავიანთი სფერო, სადაც მათ მნიშვნელობა უნდა შეინარჩუნონ». (20) [14] მაგრამ „როგორც ინდიფერენტული ფორმები“ ისინი შეიძლება იყონ „იარაღი შეცდომისა და სოფისტიკისა“ (20) [14], არა ჭეშმარიტებისა.

«აზრითი განხილვის საგანი უნდა იყოს არამარტო „გარეგნული ფორმა“, არამედ აგრეთვე „der Inhalt“***. (20) [14]

NB

«ლოგიკურ განხილვაში შინაარსის ამ შეტანით საგნად იქცევიან არა Dinge, არამედ die Sache, der Begriff der Dinge****.

არა ნივთები, არამედ მათი მოძრაობის კანონები****, მატერიალისტურად

...«ლოგოსი, გონება იმისა, რაც არის». (21)

- — აზროვნების ფორმები. რ ე დ.
- — «აუტანელი». რ ე დ.
- — «შინაარსი». რ ე დ.
- — ნივთები, არამედ არსი, ნივთთა ცნება. რ ე დ.
- — სიტყვა «კანონები» ხელნაწერში ისრით შეერთებულია მომდევნო აბზაცის სიტყვასთან: «ლოგოსი». რ ე დ.

[15] და გვ. (22) [15] დასაწყისში ლოგიკის საგანი გამოხატულია სიტყვებით:

... „Entwicklung des Denkens in seiner Notwendigkeit“.

აზროვნების
„განვითარება“ მის აუცილებლობაში

კატეგორიები უნდა გამოვიყვანოთ (და არა ნებისმიერად ან მექანიკურად ავილოთ) (საჭიროა არა „თხრობა“, არა „დარწმუნება“, არამედ დამტკიცება (24) [17], დავემყარებით რა უმარტივეს ძირითად კატეგორიებს (ყოფიერება, არარა, ქმნადობა (das Werden)) (სხვებს არ მივმართავთ) — აქ, ამათში «ამ ჩანასახშია მთელი განვითარება».

(23) [17]

შესავალი: ლოგიკის ზოგადი ცნება

ჩვეულებრივ ლოგიკად, როგორც „აზროვნების მეცნიერებად“, გულისხმობენ «შემეცნების მარტოოდენ ფორმას». (27) [20]

ჰეგელი უარყოფს ამ შეხედულებას. წინააღმდეგია Ding an sich* — «აზროვნების უბრალოდ მიღმა მყოფი რაღაცასი». (29) [21]

აზროვნების ფორმებს თითქოს «არა აქვთ გამოყენება საგნებისადმი თავისთავად». (31) [24] Ungereimt wahre Erkenntnis**, რომელიც ვერ შეიცნობს საგანს თავისთავად. Verstand-იც*** ხომ აგრეთვე ნივთია თავისთავად? (31) [24]

«უფრო თანმიმდევრულად გატარებულმა ტრანსცენდენტალურმა იდეალიზმმა შეიცნო არარაობა კრიტიკული ფილოსოფიის მიერ ჯერ კიდევ შენარჩუნებული, თავისთავად არსებული ნივთის აჩრდილისა, ამ აბსტრაქტული, ყოველგვარ შინაარსს მოკლებული ლანდისა, და მიზნად დაისახა მისი საბოლოოდ მოსპობა. ასევე ამ ფილოსოფიამ (ფიხტეს?) დაიწყო იმის ცდა, რომ გონებას შესაძლებლობა მისცემოდა თავისი განსაზღვრანი თავის თავიდან გაეშალა. მაგრამ ამ ცდის სუბიექტურმა პოზიციამ შეუძლებელი გახადა მისი დამთავრება». (32) [25]

ლოგიკური ფორმები არის todte Formen****, რადგან მათ არ განიხილავენ როგორც «ორგანულ ერთიანობას» (33) [25], «მათ ცოცხალ კონკრეტულ ერთიანობას» (ibid. ****).

- — ნივთისა თავისთავად. რ ე დ.
- — უაზროა ჰეგელიანი შემეცნება. რ ე დ.
- — განსჯა. რ ე დ.
- — მკვდარი ფორმები. რ ე დ.
- — ibidem — იქვე. რ ე დ.

„სულის ფენომენოლოგიაში“ მე განვიხილე „ცნობიერება მის მოძრაობაში მასსა და საგანს შორის პირველი უშუალო წინააღმდეგობიდან (Gegensatz) აბსოლუტურ ცოდნამდე. (34) [26] ეს გზა გაივლის ობიექტისადმი ცნობიერების მიმართების ყველა ფორმას“...

«როგორც მეცნიერება, ჭეშმარიტება არის წმინდა განვითარებადი თვითცნობიერება»... (35) [27] «ობიექტური აზროვნება»... «ცნება, როგორც ასეთი, არის თავისთავად და თავისთვის არსებული». (35) [27] (36 [28]: ხუცობა, ღმერთი, ჭეშმარიტების სამყარო etc. etc.)

37 [29]: კანტმა მიანიჭა «არსებითად სუბიექტური მნიშვნელობა» „ლოგიკურ განსაზღვრებებს“. მაგრამ «აზრითს განსაზღვრებებს» აქვთ «ობიექტური ღირებულება და არსებობა». (37) [29]

ძველი ლოგიკა გახდა Verachtung *-ის ღირსი. (38) [30] საჭიროებს გადაკეთებას...

39 [30] — ძველი, ფორმალური ლოგიკა — თითქოს ბავშვთა გასართობია, ნაჭრებისაგან სურათების შედგენა (in Verachtung gekommen **: (38) [30]

40 [32] ფილოსოფიის მეთოდი უნდა იყოს მისი საკუთარი (არა მათემატიკისა, contra Spinoza, Wolff und Andere ***).

40—41 [33]: «რადგან მეთოდი არის მისი შინაარსის შინაგანი თვითმოძრაობის ფორმის შეცნობა»

და შემდეგ მთელი გვ. 41 [33] დიალექტიკის კარგი ახსნა-განმარტებაა

„es ist der Inhalt in sich, die Dialektik, die er an ihm selbst hat, welche ihn fortbewegt“. (42) [34]

„მოვლენათა მოცემულ სფეროს წინ ამოძრავებს თვით შინაარსი ამ სფეროსი, დიალექტიკა, რომელიც მას (ამ შინაარსს)

NB

* — აბუჩად ავღების. რ ე დ.
 ** — აბუჩად ავღების ღირსი გახდა. რ ე დ.
 *** — წინააღმდეგ სპინოზასი, ვოლფისა და სხვათა. რ ე დ.

გააჩნია თავის-თავში (ე. ი. მისი საკუთარი მოძრაობის დიალექტიკა).

«უარყოფითი ამდენადვე დადებითია» (41)

[33] — უარყოფა არის რალაც გარკვეული, აქვს გარკვეული შინაარსი, შინაგანი წინააღმდეგობანი იწვევენ ძველი შინაარსის შეცვლას ახლით, უმაღლესით.

ძველ ლოგიკაში არ არის გადასვლა, განვითარება (ცნებებისა და აზროვნებისა), არ არის „eines inneren, notwendigen Zusammenhangs“ * (43) [35] ყველა ნაწილისა და „Übergang'a“ ** ერთისა მეორეში.

და ჰეგელი აყენებს ორ ძირითად მოთხოვნას:

1) «კავშირის აუცილებლობას»

და

2) «განსხვავებათა იმანენტურ წარმოშობას».

მეტად მნიშვნელოვანია!! ჩემი აზრით, ეს აი რას ნიშნავს:

1) აუცილებელი კავშირი, ობიექტური კავშირი მოვლენათა მოცემული სფეროს ყველა მხარის, ძალის, ტენდენციის etc.;

2) „განსხვავებათა იმანენტური წარმოშობა“ — განსხვავებათა ევოლუციისა და ბრძოლის, პოლარობის შინაგანი ობიექტური ლოგიკა.

პლატონისეული დიალექტიკის ნაკლოვანებანი პარმენიდეში ⁴⁵.

«ჩვეულებრივ დიალექტიკაში ხედავენ მხოლოდ გარეგან უარყოფით მოქმედებას, რომელიც თვით ნივთს არ ეკუთვნის, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ პატივმოყვარეობით, როგორც ერთგვარი სუბიექტური ვნებით, რათა შეარყიოს და დაშალოს მყარი და ჰეგემარიტი, ანდა მასში ხედავენ ყოველ შემთხვევა-

* — «შინაგანი, აუცილებელი კავშირი». რ. ე. დ.

** — «გადასვლა». რ. ე. დ.

ში რაღაც ისეთს, რასაც მივყავართ არარამდე, მივყავართ ისეთ რამემდე, რაც დიალექტიკურად განსახილველი საგნის ამაოებას გვიჩვენებს». (43) [35]

(44) [35] — კ ა ნ ტ ი ს დიდი დამსახურებაა, რომ მან დიალექტიკას ჩამოაშორა „den Schein von Willkür“ *.

ორი მნიშვნელოვანი რამ:

(1) Die Objektivität (NB: ბუნდოვანი) #
des Scheins ** (ნია, უნდა დავეუბრუნდე!!)

(2) die Notwendigkeit des Widerspruchs ***

selbstbewegende Seele ****, ... („შინაგანი ნეგატიურობა“) ... «ყოველი ბუნებრივი და სულიერი ცხოველმყოფელობის პრინციპი»

(44) [36]

#

ის აზრი ხომ არაა, რომ ობიექტურია მოჩვენებითობაც, რადგან მასში არის ო ბ ი ე კ ტ უ რ ი ს ა მ ყ ა რ ო ს ე რ თ ი მხარე? არა მარტო **Wesen *******, არამედ **Schein**-იც ობიექტურია. განსხვავება სუბიექტურისა ობიექტურისაგან არის, **მაგრამ მასაც თავისი საზღვრები აქვს.**

დიალექტიკური =

= „დაპირისპირებულობათა გაგება მათს ერთიანობაში“...

45 [37] ლოგიკა გრამატიკას იმით წააგავს, რომ დამწყებისათვის იგი ერთია, ხოლო ენის (ენების) და ენის სულის მცოდნისათვის — მეორე. «ის არის რაღაც სხვა იმისათვის, ვინც მას და საერთოდ მეცნიერებებს ეს არის ხელს ჰკიდებს, და რაღაც სხვა იმისათვის, ვინც მას ამ მეცნიერებათაგან უბრუნდება».

მოხდენილად
და
ღრმად!

- — «ნებისმიერობის მოჩვენებითობა». რ ე დ.
- — ობიექტურობა მოჩვენებითობისა. რ ე დ.
- — აუცილებლობა წინააღმდეგობისა. რ ე დ.
- — თვითმოძრაი სული. რ ე დ.
- — არსება. რ ე დ.

მაშინ ლოგიკა იძლევა «ამ სიმდიდრის არსებას» (des Reichtums der Weltvorstellung *), «სულისა და სამყაროს შინაგან ბუნებას»... (46) [38]

შეად. „კაბიტალი“

«არა მარტო აბსტრაქტულად საყოველთაო, არამედ ისეთი საყოველთაო, რომელიც მოიცავს აგრეთვე განსაკუთრებულის სიმდიდრესაც». (47) [38]

შესანიშნავი ფორმულა: „არა მარტო აბსტრაქტულად საყოველთაო, არამედ ისეთი საყოველთაო, რომელიც თავის-თავში განასახიერებს განსაკუთრებულის, ინდივიდუალურის, ცალკეულის სიმდიდრეს“ (განსაკუთრებულისა და ცალკეულის მთელ სიმდიდრეს!)!! Très bien! **

კარგი შედარება (მატერიალისტური)

«— მსგავსად იმისა, როგორც ერთი და იგივე ზნეობრივი გამონათქვამი ჭაბუკის ბავით, თუნდაც მას ეს გამონათქვამი საგნებით სწორად ესმოდეს, მოკლებულია იმ მნიშვნელობასა და მოცულობას, რაც ამავე გამონათქვამს აქვს ცხოვრებით გაბრძნობილი მოწიფული ადამიანის გონებისათვის, ადამიანისა, რომელიც მასში მისი შემცველი შინაარსის მთელ სიძლიერეს გამოხატავს.

„მეცნიერებათა ცდის შედეგი“ NB

(„დედაარსი“)

„ყველა სხვა ცოდნის არსებითი შინაარსი“

ასევე ლოგიკურიც მხოლოდ მაშინ იღებს თავის ჭეშმარიტ შეფასებას, როცა იგი მეცნიერული ცდის შედეგად გვევლინება; მაშინ იგი სულს წარმოუდგება ზოგად ჭეშმარიტებად, რომელიც სხვა საგნებისა და რეალობათა გვერდით კი არა დგას, როგორც ცალკეული ცოდნა, არამედ მთელი ამ დანარჩენი შინაარსის დედაარსს შეადგენს»... (47) [38—39]

* — სამყაროზე წარმოდგენის სიმდიდრის. რ ე დ.

** — ძალიან კარგია! რ ე დ.

«ლოგიკის სისტემა ლანდების სამყაროა»
(47) [39], რომელიც თავისუფალია „ყოველი-
ვე გრძნობადი კონკრეტულობისაგან“...

(50) [41] — ...«არა აბსტრაქტული, მკვდარი,
უძრავი, არამედ კონკრეტული»...

|დამახასიათებელია! დიალექტიკის სული
და დედაარსი!|

(52) [43] შენიშვნა... კანტის ფილოსოფიის შე-
დეგები... : «რომ გონებას არ შეუძლია
შეიცნოს ჭეშმარიტი შინაარსი და რომ
აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ უნ-
და მივმართოთ რწმენას»...

კანტი: შე-
ზღუდოს
„გონება“ და
განამტკიცოს
რწმენა⁴⁶

(53) [44] კიდევ ერთხელ, რომ Ding
an sich = აბსტრაქცია, მააბსტრაჰი-
რებელი აზროვნების პროდუქტია.

პირველი წიგნი:

მოდერნის ევოლუცია

რით უნდა დავიწყოთ მეცნიერება?

{59}*[49]**...(en passant***) (ლოგიკის თემა.)
 «შემეცნების ბუნება» (შეადარე ახლანდელ „გნოსეოლოგიას“.)
 (id. **** გვ. 61 [51])

{(60) [50]... «არ არის (ხაზგასმა ჰეგელი-სა) არაფერი არც ცაში, არც ბუნებაში, არც სულში, არც სადმე სხვაგან, რაც არ შეიცავდეს ერთად უშუალობასა და გამეშვებას»...

NB

1) ცა — ბუნება — სული. ძირს ცა: მატერიალიზმი.

2) ყველაფერი არის vermittelt = გამეშვებულა, დაკავშირებულა ერთიანობად, დაკავშირებულა გადასვლებით. ძირს ცა—სამყაროს მთელი (პროცესის) კანონზომიერი კავშირი.

(62) [52] «ლოგიკა არის წმინდა მეცნიერება, ე. ი. წმინდა ცოდნა მისი განვითარების მთელი მოცულობით»...

1-ლი სტრიქონი უაზრობაა.
 მე-2 გენიალურია.

* — Hegel. Werke, Bd. III, Berlin, 1833. რ ე დ.

** Гегель. Сочинения, т. V, М., 1937. რ ე დ.

*** -- სხვათა შორის. რ ე დ.

**** — idem — იგივე. რ ე დ.

რით დავიწყეთ? „წმინდა ყოფიერება“ (Sein) (63) [53] — «არაფერს არ გულისხმობდეს», დასაბამი. «არ შეიცავდეს არავითარ შინაარსს»... «არაფრით არ იყოს გამეშვებული»...

NB

(66) [55]... «განვითარება» (des Erkennens *)... «უნდა განისაზღვრებოდეს საგანთა ბუნებით და თვით შინაარსით»...

(68) [58] დასაბამი შეიცავს თავის-თავში „Nichts“-საც ** და „Sein“-საც ***, იგი მათი ერთიანობაა:
...«ის, რაც იწყება, ჯერ არ არის; იგი მხოლოდ მიიმართება ყოფიერებისაკენ»... (არყოფიერებოდანყოფიერებებისაკენ: «არაყოფიერება, რომელიც ამასთანავე ყოფიერებაა»).

უზრობა აბსოლუტის შესახებ (68—69) [58—59]. მე საერთოდ ვცდილობ ჰეგელი მატერიალისტურად წავიკითხო: ჰეგელი არის თავდაყირა დაყენებული მატერიალიზმი (ენგელსის მიხედვით⁴⁷) — ე. ი. მე უმეტესწილად ვაძეგებ ღმერთს, აბსოლუტს, წმინდა იდეას etc.

(70—71) [60—61] ფილოსოფიის დაწყება „მე“-თი არ შეიძლება. არ არის «ობიექტური მოძრაობა». (71) [61]

* — შემეცნების. რ ე დ.
** — «არაფერი». რ ე დ.
*** — «ყოფიერება». რ ე დ.

პირველი განყოფილება:

ბარკვეულობა (თვისებრიობა)

(77) [66] წმინდა ყოფიერება — «ყოველგვარი შემდგომი გარკვეულობის გარეშე».
(Bestimmung * არის უკვე Qualität **.)

გადასვლა
Sein-ისა*** — (იქყოფნა (?)
Dasein-ში**** (სასრული
ყოფიერება) — ეს კი
Fürsich-
sein-ში (ყოფიერებაში
თავისთვის?)

Sein — Nichts — Werden *****

«წმინდა ყოფიერება და წმინდა არარა არის... ერთი და იგივე». (78) [67]

(81 [70]: ეს გვეჩვენება „პარადოქსად“). მათი შეერთება არის Werden.

«მოდრობა ერთის უშუალო გაქრობისა მეორეში»...

Nichts უპირისპირებენ dem Et was *****. მაგრამ Et was არის უკვე გარკვეული ყოფიერება, განსხვავებული მეორე Et was-ისაგან, აქ კი ლაპარაკია მარტივ Nichts-ზე. (79) [68]

(ელეატეები და პარმენიდე, განსაკუთრებით პირველნი, ყოფიერების ამ აბსტრაქ-

- — გარკვეულობა. რ ე დ.
- — თვისებრიობა. რ ე დ.
- — ყოფიერება. რ ე დ.
- — იქყოფნა. რ ე დ.
- — ყოფიერება — არარა — ქმნალობა. რ ე დ.
- — რაიმე. რ ე დ.

ციამდე მივიდნენ). ჰერაკლი-
ტეს შეხედულებით «ყველაფერი
მიმდინარეობს» (80) [69]... ე. ი.
«ყველაფერი არის ქმნადობა».

Ex nihilo nihil fit? * Nichts-იდან გამო-
დის Sein (Werden)...

(81) [70]: «ძნელი არ იქნებოდა ყოფიერები-
სა და არარას ამ ერთიანობის გამომჟღავნება...
სინამდვილის ან აზრის თვითთულ (ხაზგას-
მა ჰეგელისაა) მაგალითზე»... «არსად არც
ცაში, არც მიწაზე არ არის არა-
ფერი, რაც არ შეიცავდეს თავის
თავში ერთსაც და მეორესაც,
ყოფიერებას და არყოფიერე-
ბას». საწინააღმდეგო მოსაზრებანი გვაჩვენ-
ებენ *bestimmtes Sein* ** (მაქვს თუ
არა 100 ტალერი) 82 i. f. *** [71], — მაგრამ
ამაზე როდია ლაპარაკი...

„მთელი სამ-
ყაროს აუცი-
ლებელი კავ-
შირი“...

„ურთიერთ-
განმსაზღვრე-
ლი კავშირი
ყოველივესი“

«გარკვეული, სასრული ყოფიერება არის
ისეთი, რომელიც მიმართებაშია რომელიმე
სხვასთან; ეს არის შინაარსი, რომელიც აუცი-
ლებლობის მიმართებაშია სხვა შინაარსთან,
მთელ სამყაროსთან. მთელის ურთიერთგან-
მსაზღვრელი კავშირის მხედველობაში მიღე-
ბით მეტაფიზიკას შეეძლო წამოეყენებინა
მტკიცება — არსებითად ტავტოლოგიური, —
რომ თუ ერთი ნამცეცი დაირღვევა, დაირღვე-
ვა მთელი სამყაროც». (83) [72]

(86) [75]: «ის, რაც მეცნიერებაში პირველია,
პირველი უნდა ყოფილიყო ისტორიუ-
ლად».

NB

ფრიად მატერიალისტურად უღერს!

91 [80]: «ქმნადობა არის მოცემულობა ყოფიერ-
ებისა ისევე, როგორც არყოფიერები-
საც». ...«გადასვლა იგივეა, რაც ქმნადო-
ბა»... (92 i. f.) [81]

* — არაფრიდან არაფერი არ შეიქმნება. რ ე დ.
** — გარკვეული ყოფიერება. რ ე დ.
*** — in fine — ბოლოში. რ ე დ.

94 [83] «პარმენიდესთან, როგორც სპინოზას-თანაც, შეუძლებელია გადასვლა ყოფიერებიდან ან აბსოლუტური სუბსტანციიდან უარყოფითზე, სასრულზე».

ჰეგელთან კი „ყოფიერებისა“ და „არარას“ ერთიანობა ან განუყოფელობა (გვ. 90 [79] ეს გამოთქმა ზოგჯერ უმჯობესია, ვიდრე ერთიანობა) იძლევა გადასვლას, Werden-ს.

აბსოლუტური და ფარდობითი, სასრული და უსასრულო = ნაწილები, საფეხურები ერთი და იმავე სამყაროსი. So etwa? *

(92 [81] «გამეშველებული ყოფიერებისათვის ჩვენ დავტოვებთ გამოთქმას: არსებობა».)

102 [90—91]: პლატონის „პარმენიდესი“ გადასვლა ყოფიერებიდან და ერთიდან = „äußere Reflexion“ **

104 [93]: ამბობენ, წყვილი სინათლის უქონლობააო. მაგრამ «წმინდა სინათლეში ისევე ცოტა ჩანს, როგორც წმინდა წყვილში»...

107 [96] — მითითება უსასრულოდ-მცირე სიდიდეებზე, რომლებსაც მათი გაქრობის პროცესში იღებენ...

«არ არსებობს სრულიად არაფერი, რაც არ წარმოადგენს საშუალო მდგომარეობას ყოფიერებასა და არარას შორის».

„Unbegreiflichkeit des Anfangs“ *** — თუ არარა და ყოფიერება ერთიმეორეს გამოირიცხავენ, მაგრამ ეს დიალექტიკა კი არ არის, არამედ Sophisterei ****. (108) [96]

* — განა ასე არაა? რეღ.

** — «გარეგანი რეფლექსია». რეღ.

*** — «დასაწყისის გაუგებლობა». რეღ.

**** — სოფისტიკა. რეღ.

სოფისტიკა და დიალექტიკა

«რადგან სოფისტიკა არის მსჯელობა ისეთი უსაფუძვლო წინამძღვრის მიხედვით, რომელსაც უკრიტიკოდ და მოუფიქრებლად ღებულობენ; დიალექტიკას კი ჩვენ ვუწოდებთ უმაღლეს გონივრულ მოძრაობას, რომელშიც ასეთი მოჩვენებითი სრულიად გათიშული განსაზღვრებანი გადადიან ერთიმეორეში თავის თავის მეოხებით, იმის მეოხებით, რაც ისინი არიან, და წინამძღვარი მოიხსნება». (108) [96]

Werden. მისი მომენტებია: Entstehen und Vergehen *. (109) [97]

Das Aufheben des Werdens — das Dasein **.

კონკრეტული, გარკვეული ყოფიერება (?)

110 [98]: aufheben = ein Ende machen
= erhalten
(aufbewahren zugleich) ***

NB

112 [100]: Dasein ist bestimmtes Sein **** (NB 114 [102] „ein Konkretes“ *****), — თვისებრიობა, განცალკევებულ Anderes-აგან, — veränderlich und endlich *****.

114 [103] «გარკვეულობა, ასე თავისთვის იზოლირებული, როგორც არსებული გარკვეულობა, არის თვისებრიობა»... «თვისებრიობა განსხვავებული როგორც არსებული, არის რეალობა». (115) [103]

117 [106] ...«გარკვეულობა არის უარყოფა»... (Spinoza) Omnis determinatio est negatio *****, «ამ დებულებას უსასრულო მნიშვნელობა აქვს»...

* — წარმოშობა და მოსპობა. რ ე დ.

** — ქმნადობის მოხსნა — იქყოფიერებაა. რ ე დ.

*** — მოხსნა = დამთავრება = შენარჩუნება (იმავე დროს შენახვა), რ ე დ.

**** — იქყოფნა არის გარკვეული ყოფიერება. რ ე დ.

***** — «რაიმე კონკრეტული». რ ე დ.

***** — სხვისაგან, — ცვალებადი და სასრული. რ ე დ.

***** — (სპინოზა) ყოველი განსაზღვრა არის უარყოფა. რ ე დ.

120 [108]: «რაიმე არის უარყოფის პირველი უარყოფა»...

(აქ გადმოცემული რალაც ნაწყვეტ-ნაწყვეტია და უაღრესად ბუნდოვანი.)

abstrakte und abstruse Hegelei *
ენგელსი.

125 [113—114] — ...განსაზღვრათა ორი წყვილი: 1) «რაიმე და სხვა»; 2) «ყოფიერება სხვისთვის და ყოფიერება თავისთავად».

127 [115] — **Ding an sich** ** — «უაღრესად მარტივი აბსტრაქციაა». სიბრძნელ გვეჩვენება გამონათქვამი, რომ ჩვენ არ ვიცით, რა არის ნივთი თავისთავად. ნივთი თავისთავად არის აბსტრაქცია ყოველივე

განსაზღვრისაგან Sein-für-Anderes *** |
|სხვისადმი ყოველივე მიმართებისაგან, ე. ი. არარა. მაშასადამე, საგანი თავისთავად «სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტებას მოკლებული, ცარიელი აბსტრაქცია».

NB

ეს ძალიან ღრმაა: ნივთი თავისთავად და მისი გარდაქმნა ნივთად სხვისთვის (შეად. ენგელსი 48). ნივთი თავისთავად საერთოდ ცარიელი, უსიცოცხლო აბსტრაქციაა. ცხოვრებაში, მოძრაობაში ყველაფერი და ყოველივე არის ხოლმე როგორც „თავისთავად“, ისე „სხვებისთვისაც“ სხვასთან მიმართებაში, გარდაიქმნება რა ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობად.

Sehr gut!! ****
თუ ჩვენ ვკითხულობთ, რა არის ნივთი თავისთავად, so ist in die Frage gedankenloser Weise die Unmöglichkeit der Beantwortung gelegt *****
...(127) [116]

129 [117] En passant ***** დიალექტიკური ფილოსოფოსობა, რასაც არ იცნობს |||

- — აბსტრაქტული და ბუნდოვანი ჰეგელელობა. რ ე დ.
- — ნივთი თავისთავად. რ ე დ.
- — ყოფიერება სხვისთვის. რ ე დ.
- — ძალიან კარგია! რ ე დ.
- — მაშინ კითხვა დაუფიქრებლად შეიცავს უკვე მასზე საუბრისგაგეგმის შეუძლებლობას. რ ე დ.
- — სხვათა შორის. რ ე დ.

კანტელობა =
=მეტაფიზიკა

«მეტაფიზიკური ფილოსოფოსობა, რომელსაც აგრეთვე კრიტიკულიც ეკუთვნის».

დიალექტიკა არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იყვნენ და როგორ არიან (როგორ ხდებიან) იგივეური და პირისპირებულიობანი, — რა პირობებში არიან ხოლმე ისინი იგივეური, გადაიქცევა რა ერთი მეორედ, — რატომ არ უნდა მიიღოს ადამიანის გონებამ ეს დაპირისპირებულობანი როგორც მკვდარი, გაყინული, არამედ როგორც ცოცხალი, პირობითი, მოძრავი, ერთი მეორეში გარდამავალი. En lisant Hegel... *

134 [122—123]: «საზღვარი (არის) მართვი უარყოფა ანუ პირველი უარყოფა» (das Etwas **, ყოველ რაიმეს აქვს თავისი საზღვარი) «მეორე კი ამასთანავე არის უარყოფის უარყოფა»...

137 [125]: „Etwas mit seiner immanenten Grenze gesetzt als der Widerspruch seiner selbst, durch den es über sich hinausgewiesen und getrieben wird, ist das Endliche“.

(რაიმე, აღებული მისი იმანენტური საზღვრის თვალსაზრისით, — თავის თავთან მისი წინააღმდეგობის თვალსაზრისით, წინააღმდეგობისა, რომელიც მას [ამ რაიმეს] უბიძგებს და გაპყავს იგი თავის საზღვრებზე უფრო შორს, არის სასრული).

როცა ნივთებზე ლაპარაკობენ, რომ ისინი სასრულია, ამით აღიარებენ, რომ მათი არყო-

* — ჰეგელის კითხვისას. რ ე დ.
** — რაიმე. რ ე დ.

ფიქრება არის მათი ბუნება („არყოფიერება არის მათი ყოფიერება“).

«ისინი» (ნივთები) «არ იან, მაგრამ ამ ყოფიერების ჭეშმარიტება არის მათი დასასრული».

გონებამახვილური და ჭკვიანურია! ცნებებს, რომლებიც ჩვეულებრივ მკვდრად გვეჩვენებიან, ჰეგელი ანალიზს უკეთებს და გვიჩვენებს, რომ მათში არის მოძრაობა. სასრული? მაშასადამე, სასრულისაკენ მოძრავე! რაიმე? — მაშასადამე, არა ის, რაც სხვა. ყოფიერება საერთოდ? — მაშასადამე, ისეთი გაურკვეველობა, რომ ყოფიერება = არყოფიერებას. ცნებათა ყოველმხრივი, უნივერსალური მოქნილობა, მოქნილობა, რომელიც დაპირისპირებულობათა იგივეობამდე მიდის, — აი რაა მთავარი. ეს მოქნილობა, სუბიექტურად გამოყენებულ, = ეკლექტიკას და სოფისტიკას. მოქნილობა, ობიექტურად გამოყენებულ, ე. ი. მატერიალური პროცესის ყოველმხრივობისა და მისი ერთიანობის ამსახველი, არის დიალექტიკა, არის სამყაროს მარადიული განვითარების სწორი ასახვა.

NB

ახრები დიალექტიკაზე en lisant Hegel

139 [127] — უსასრულო და სასრული, ამბობენ, ერთმანეთს უპირისპირდებიანო? (იხ. გვ. 148 [136—137]) (შეად. გვ. 151 [139]).

141 [129] — Sollen und Schranke* — მომენტები des Endlichen**

143 [132] — «ჯერარსობაში იწყება გასვლა სასრულობის საზღვრებს იქით, უსასრულობა».

143 [132] — ამბობენ, გონებას თავისი საზღვრები აქვსო. «ამ მტკიცებაში არ მოიპოვება იმის შეგნება, რომ სწორედ რაიმეს — როგორც ზღვარის — გარკვევით, უკვე ხდება ამ საზღვარს იქით გასვლა».

sehr gut!

* — ჯერარსობა და ზღვრები. რედ.
 ** — სასრულის. რედ.

144 [132—133]: ქვა არ აზროვნებს, და ამიტომ მისი შემოსაზღვრულობა (Beschränktheit) არ არის მისთვის ზღუდე (Schranke). მაგრამ ქვასაც აქვს თავისი საზღვრები, მაგალითად, ჟანგვადობა, თუ ის «არის საფუძველი, რომელსაც დაჟანგვის უნარი გააჩნია».

ქვის ევოლუცია *

144 — 145 [133]: — ყოველივე (ადამიანური) სცილდება საზღვრებს (Trieb, Schmerz ** etc.), გონებას კი, მოგვსენებათ, «არ შეუძლია საზღვარს გასცილდეს!»

„მაგრამ, რა თქმა უნდა, საზღვრებს იქით ყოველი გასვლა როდია ჭეშმარიტი განთავისუფლება მათგან“!

მაგნიტს რომ ცნობიერება ჰქონდეს, თავის გადახრას ჩრდილოეთისაკენ თავისუფალ გადახრად მიიჩნევდა (ლაიბნიცი). — არა, მაშინ მას სივრცის ყველა მიმართულება ეცოდინებოდა, და მხოლოდ ერთ მიმართულებას ჩათვლიდა თავისი თავისუფლების საზღვრად, მის შემოფარგვლად.

148 [137] ...«თვით სასრულის ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ გასცილდეს თავის საზღვრებს, უარყოს თავისი უარყოფა და გახდეს უსასრულო»... არა გარეგანი (fremde) ძალა (Gewalt) (149) [137] აქცევს სასრულს უსასრულოდ, არამედ მისი (სასრულის) ბუნება (seine Natur).

151 [139]: „Schlechte Unendlichkeit“ *** — უსასრულობა, თვისებრივად დაპირისპირებული სასრულისადმი, მასთან დაუკავშირებელი, მისგან გამიჯნული, თითქოს

* ხელნაწერში სიტყვა „ევოლუციის“ უკანასკნელი ასოს ზემოთ სწერია «და». რ. ე. დ.

** — მიღრეკილება, ტკივილი. რ. ე. დ.

*** — «ცუდი უსასრულობა». რ. ე. დ.

თვით ნივთების, თვით ბუნების, მოვლენათა თვით მსვლელობის რიალექტივა

სასრული იყოს Diesseits*, უსასრულო კი Jenseits**, თითქოს უსასრულო სასრულზე ზევით, მის გარეშე იდგას...

153 [142]: სინამდვილეში კი sind sie*** (სასრული და უსასრულო) untrennbar****. ისინი ერთიანობაში არიან. (155) [143—144]

158—159 [147]: ..«სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა არ არის მათი გარეგანი შეპირისპირება, ანდა შეუსაბამო, მათი განსაზღვრის საწინააღმდეგო შეერთება, რომელშიც შეკავშირებული იქნებოდნენ განცალკევებული და დაპირისპირებული, თავისთავადი ერთიმეორის მიმართ, და მათსადამე, შეუთავსებელი არსებანი, არამედ თვითეული არის ეს ერთიანობა თავისთავად, და თვითეული არის მხოლოდ მოხსნა თავისთავისა; თანაც არც ერთს არა აქვს უპირატესობა მეორის წინაშე ყოფიერებისა თავისთავად და დადებითი იქყოფნისა. როგორც წინათ ნაჩვენები იყო, სასრულობა არის მხოლოდ თავის გარეთ გასვლა; ამიტომ იგი შეიცავს უსასრულობას, თვით მისივე სხვას»...

გამოყენება
ატომების მი-
მართ versus
ელექტრონე-
ბი. საერთოდ
უსასრულობა
მატერიისა
სიღრმით...

...«მაგრამ უსასრულო პროგრესი უფრო მეტ რამეს გამოხატავს» (ვიდრე უბრალო შედარება სასრულისა უსასრულოსთან), «მასში დადგენილია აგრეთვე განსხვავებულთა კავშირიც»... (ხაზგასმა ჰეგელისაა) (160) [148]

167 [155] «სპეკულაციური აზროვნების ბუნება... მარტოდენ იმაში მდგომარეობს, რომ გავიგოთ დაპირისპირებული მომენტები მათს ერთიანობაში».

საკითხი, თუ როგორ მიდის უსასრულო სასრულამდე, ზოგჯერ ფილოსოფიის

კავშირი უსასრულო პროგრესის (ყველა ნაწილისა)

* — ამ მხარეზე. რედ.

** — მიღმა. რედ.

*** — ისინი არიან. რედ.

**** — განუყოფელი. რედ.

დედაარსად მიაჩნიათ. მაგრამ ეს საკითხი დაიყვანება მათი კავშირის გამორკვევამდე...

Bien dit! *

168 [156] ...«სხვა საგნების შესახებაც საჭიროა აგრეთვე გარკვეული განვითარება იმისათვის, რომ კითხვების მიცემა შეგვეძლოს, მით უმეტეს ფილოსოფიური საგნების შესახებ, რადგან სხვახაზად შეიძლება მივიღოთ პასუხი, რომ საკითხი სრულიად უვარგისია».

მიმართება სხვასთან გაქრა; დარჩა მიმართება თავის-თავთან.

173—174 [161—162]: Fürsichsein — ყოფიერება თავისთვის = უსასრულო ყოფიერება, დასრულებული თვისებრივი ყოფიერება. თვისებრიობა აღწევს უკიდურესობას (auf die Spitze) და რაოდენობა იქცევა.

კანტისა და ფიხტეს იდეალიზმი... (181) [169] «რჩებიან იქყოფნისა და თავისთვის ყოფიერების დუალიზმზე» ((ბუნდოვანია))...

ე. ი. რომ არ არის გადასვლა ნივთისა თავისთავად (მას იხსენიებს მომდევნო წინადადება) მოვლენისაკენ? ობიექტისა სუბიექტისაკენ?

რატომ Fürsichsein არის Eins**, ჩემთვის გაუგებარია. აქ ჰეგელი, ჩემი აზრით, უაღრესად ბუნდოვანია.

NB: Selbstbewegung ****!

ერთიანი—ძველი პრინციპია ἄριστος*** (და სიცარიელე). სიცარიელე ითვლება Quelle der Bewegung**** (185) [173] არა მართო იმ აზრით, რომ ადგილი არ არის დაკავებული, არამედ იგი enthüllt ***** აგრეთვე

- — კარგადაა ნათქვამი რაღ.
- — ერთიანი. — რეღ.
- — ატომი (განუყოფელი). რეღ.
- — მოძრაობის წყაროღ. რეღ.
- — შიდაცვლ. რეღ.
- — თვითმოძრაობა. რეღ.

«უფრო ღრმა აზრს, რომ უარყოფითში საერთოდ მოცემულია საფუძველი ქმნადობისა, თვითმოძრაობის მოუსვენრობისა». (186) [173] 188 [170]: «იდეალობა ყოფიერებისა თავისთავად როგორც ტოტალობა გარდაიქმნება ამრიგად, ჯერ ერთი, რეალობად და თანაც ყველაზე აბსტრაქტულ, ყველაზე მყარ რეალობად, როგორც ერთიანი».

ბნელია წყალი...

აზრი იდეალურის რეალურად გარდაქმნის შესახებ ღრმაა: მეტად მნიშვნელოვანია ისტორიისათვის. მაგრამ ადამიანის პირად ცხოვრებაშიც ჩანს, რომ აქ ბევრი სიმართლეა. ვულგარული მატერიალიზმის წინააღმდეგ. NB. განსხვავება იდეალურისა მატერიალურისაგან ასევე არ არის უთუო, überschwenglich*.

189 [177] — შენიშვნა. ლაიბნიცის მონადები. Eins**-ის პრინციპი და მისი უსრულობა ლაიბნიცთან.

ეტყობა, ჰეგელი ცნებათა, კატეგორიათა თავის თვითგანვითარებას იღებს ფილოსოფიის მთელ ისტორიასთან დაკავშირებით. ეს იძლევა კიდევ მთელი ლოგიკის ახალ მხარეს.

193 [181] ...«არსებობს ძველი გამონათქვამი, რომ ერთი არის ბევრი და, განსაკუთრებით: რომ ბევრი არის ერთი»...

195 [183]... «განსხვავება ერთსა და ბევრს შორის ჩამოყალიბდა როგორც განსხვავება მათი ერთიმეორესთან თანათარდობისა, რომელიც დაშლილია ორ თანათარდობად, უკუგდებად და მიზიდულობად»...

* — უზომო. რედ.

** — ერთიანის. რედ.

საერთოდ მთელი ეს Fürsichsein *, ჰეგელს, ალბათ, ნაწილობრივ იმის გამოსაყვანად დასჭირდა, თუ როგორ გარდაიქმნება „თვისებრიობა რაოდენობად“ (199) [187] — თვისებრიობა არის გარკვეულობა, გარკვეულობა თავისთვის, Gesetzte **, არის ერთეული — ეს დიდი დაჭიმულობისა და სიცარიელის შთაბეჭდილებას ახდენს.

უნდა აღინიშნოს, გვ. 208 [190], შენიშვნა, რომელიც ირონიას არ არის მოკლებული, წინააღმდეგ

«შემეცნების იმ ხერხისა, ცდაზე რომ რეფლექსიას ახდენს, ხერხისა, რომელიც ჯერ აღიქვამს მოვლენაში ამა თუ იმ გარკვეულობებს, შემდეგ მათ საფუძვლად იყენებს და მათი ეგრეთწოდებული ახსნისათვის იღებს შესაფერ ძირითად მატერიებს ან ძალებს, რომლებმაც უნდა წარმოქმნან მოვლენის ეს გარკვეულობანი»...

* — ყოფიერება თავისთვის. რ ე დ.
 ** — დაღვენილი. რ ე დ.

მეორე განყოფილება:

სიდიდე (რაოდენობა)

კანტს აქვს 4 „ანტინომია“. სინამდვილეში თვითეული ცნება, თვითეული კატეგორია ასევე ანტინომიურია. (217) [205]

«ძველი სკეპტიციზმი არ გაუბრბოდა შრომას ეჩვენებინა ეს წინააღმდეგობა ან ანტინომია ყველა ცნებაში, რომელთაც იგი მეცნიერებებში ნახულობდა».

არჩევს რა კანტს ფრიად ჩაცეებით (და მახვილგონიერად), ჰეგელი დასკვნას აკეთებს, რომ კანტი დასკვნებში უბრალოდ იმეორებს წინამძღვრებში ნათქვამს, სახელდობრ იმეორებს იმას, რომ არის კატეგორია *Kontinuität** და კატეგორია *Diskretion***.

აქედან კი მხოლოდ ის გამომდინარეობს, «რომ არც ერთი ამ განსაზღვრათაგანი, ცალკეულად აღებული, არაა ჭეშმარიტი, არამედ ჭეშმარიტია მხოლოდ მათი ერთიანობა. ასეთია მათი ჭეშმარიტი დიალექტიკური განხილვა, ისევე როგორც მათი ჭეშმარიტი შედეგი». (226) [214]

229 [217]: «დისკრეტობა, ისევე როგორც უწყვეტობა, არის რაოდენობის მომენტი»...

სკეპტიციზმის როლი ფილოსოფიის ისტორიაში

Wahrhafte
Dialek-
tik ***

- * — უწყვეტობა. რედ.
** — დისკრეტობა. რედ.
*** — ჭეშმარიტი დიალექტიკა. — რედ.

(თარგმანი? განცალკევებულობა *, დანაწევრებულობა)

? ?

შემჭიდროებულობა, მემკვიდრეობითობა **,
უწყვეტობა

232 [219]: «რაოდენობა, უწინარეს ყოვლისა რაოდენობრიობა ერთგვარი გარკვეულობით ან საზღვრით საერთოდ — არის მის სრულყოფილ გარკვეულობაში რიცხვი»...

234 [221]: «რიცხვობრიობა და ერთეული შეადგენენ რიცხვის მომენტებს».

რიცხვობრიობა
ჩამოთვლა?

248 [235—236] — რიცხვის როლისა და მნიშვნელობის საკითხზე (ბევრია Pythagoras-ზე *** etc. etc.)

სხვათა შორის, მოსწრებული შენიშვნაა:

«რაც უფრო აზრი გარკვეულობით და ამით. მიმართებებითაც უფრო მდიდარი ხდება, მით უფრო არეული, ერთი მხრივ, და მით უფრო თვითნებური და აზრს მოკლებული ხდება, მეორე მხრივ, მისი გამოსახულება ისეთი ფორმებით, როგორიცაა რიცხვები». (248—249) [236] ((აზრების შეფასება: გარკვეულობათა და, მაშასადამე, მიმართებათა სიმდიდრე.))

კანტის ანტინომიების შესახებ (სამყარო უსაწყისო etc.), ჰეგელი კვლავ ამტკიცებს des Längeren ****, რომ წანამძღვრებში დამტკიცებულადაა მიღებული ის, რაც უნდა დამტკიცდეს. (267—278) [255—267]

* სიტყვა «განცალკევებულობა» ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

** სიტყვები «შემჭიდროებულობა, მემკვიდრეობითობა» ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

*** — პითაგორაზე. რ ე დ.

**** — დაწვრილებით. რ ე დ.

შემდეგ, რაოდენობის გადასვლა თვისებრიობაში აბსტრაქტულ-თეორიულ გამოცემაში იმდენად ბუნდოვანია, რომ ვერაფერს გაიგებ. უნდა დავუბრუნდე!!

2 8 3 [271]: უსასრულო მათემატიკაში. აქამდე გამართლება მდგომარეობს მხოლოდ შემდეგების სისწორეში („welche aus sonstigen Gründen erwiesen ist“ *), ...და არა საგნის სიცხადეში [confer ** Engels ⁴⁹].

NB

285 [273]: უსასრულოთა აღრიცხვის გარკვეული უზუსტობა (შეგნებული) უგულვებელყოფილია, შედეგი კი მაინც მიიღება არა დაახლოებითი, არამედ სავსებით ზუსტი!

285 [273]: მაინც აქ Rechtfertigung-ის*** ძებნა «არც იმდენად ზედმეტია», «როგორც ზედმეტად გვეჩვენება ის, რომ საკუთარი ცხვირით სარგებლობის უფლების დასაბუთება მოვითხოვთ»⁵⁰.

ჰეგელის პასუხი რთულია, abstrus **** etc. etc. ლაპარაკია უმაღლეს მათემატიკაზე; შეად. ენგელსი დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის შესახებ⁵¹.

საინტერესოა გაკვირვებით გაკეთებული შენიშვნა ჰეგელისა — «ტრანსცენდენტალურია, ე. ი. არსებითად სუბიექტური და ფსიქოლოგიური»... «ტრანსცენდენტალური წესით, სახელდობრ სუბიექტში». (288) [276]

გვ. 282—327 [270—314] u. ff. — 379 [363]
დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის უაღრესად დაწვრილებითი გან-

* — «რომელიც დამტკიცებულია სხვა საფუძველთა მიხედვით». რ ე დ.

** — შეადარე. რ ე დ.

*** — გამართლების. რ ე დ.

**** — ბუნდოვანი. რ ე დ.

ხილვა. ციტატებით — Newton, Lagrange, Carnot, Euler Leibniz * etc. etc., — რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად საინტერესო იყო ჰეგელისათვის უსასრულო მცირეთა ეს „გაქრობა“, ეს სამშალოა ყოფიერებასა და არყოფიერებას შორის“. უმაღლესი მათემატიკის შეუსწავლელად ყოველივე ეს გაუგებარია. დამახასიათებელია სათაური Carnot: „Réflexions sur la Métaphysique du calcul infini-tésimal“!!! **.

განვითარება ცნებისა Verhältniſ*** (379—394) [363—379] უაღრესად ბუნდოვანია. აღსანიშნავია მხოლოდ, გვ. 394 [378—379], შენიშვნები სიმბოლოთა შესახებ, რომ მათ წინააღმდეგ საერთოდ არ შეიძლება კაცს რაიმე ჰქონდეს. მაგრამ „ყოველი სიმბოლის წინააღმდეგ“ უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ იგი „მოხერხებული საშუალებაა იმისათვის, რომ თავიდან ავიშოროთ ცნებების განსაზღვრათა (Begriffsbestimmungen) გაგება, ჩვენება, გამართლება. ფილოსოფიის საქმე კი სწორედ ესაა.

«ჩვეულებრივი განსაზღვრანი ძალისა, სუბსტანციულობისა, მიზეზისა და მოქმედებისა და სხვ. ასევე მხოლოდ სიმბოლოებია, მაგალითად, სასიცოცხლო ან სულიერ მიმართებათა გამოსახატავად, ე. ი. არაჰუმარითი განსაზღვრებანია უკანასკნელთათვის». (394) [379].

NB?

* — ნიუტონი, ლაგრანჟი, კარნო, ეილორი, ლაიბნიცი, რე დ.

** — კარნო: «ნაზრევი უსასრულო მცირეთა აღრიცხვის მეტაფიზიკის შესახებ!» რე დ.

*** — მიმართება. რე დ.

მ ი ს ა მ ე ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა :

ზ ო მ ა

«ზომაში შეერთებულია აბსტრაქტულად გამონატული თვისებრიობა და რაოდენობა. ყოფიერება, როგორც ასეთი, არის უშუალო ტოლობა გარკვეულობისა თავის თავთან. გარკვეულობის ამ უშუალობამ მოხსნა თავისი თავი. რაოდენობა არის ყოფიერება, დაბრუნებული თავის თავში ისე, რომ იგი მარტივი ტოლობაა თავის თავთან, როგორც ინდიფერენტობა გარკვეულობის მიმართ». (395) [380] მესამე წევრი არის ზომა.

კანტმა შემოიღო კატეგორია *მოდალობისა* (შესაძლებლობა, ნამდვილობა, აუცილებლობა), და ჰეგელი შენიშნავს, რომ კანტისათვის:

«ამ კატეგორიას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის არის საგნის მიმართება აზროვნებისადმი. ამ იდეალიზმის მიხედვით აზროვნება საერთოდ არის რაღაც არსებითად გარეგანი საგნისადმი თავისთავად... სხვა კატეგორიების დამახასიათებელი ობიექტურობა არაა დამახასიათებელი მოდალობის კატეგორიებისათვის». (396) [380]

En passant *: (397) [381—382]

ინდური ფილოსოფია, რომელშიც ბრამა გადადის სივამში (ცვლილება=გაქრობა, წარმოშობა)...

ხალხები აღმერთებენ *ზომას*. (399) [383]

* — სხვათა შორის. რ ე დ.

? ზომა გადადის არსებაში (Wesen).

(ზომის საკითხის შესახებ ინტერესს მოკლებული არ არის აღინიშნოს ჰეგელის მიერ გაკვრით გაკეთებული შენიშვნა, რომ «განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაში სხვადასხვა სარეწავში დასაქმებულ ინდივიდთა რაოდენობანი ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან»). (402) [386]

თანდათანობის (Allmähligkeit) საკითხის გამო ჰეგელი შენიშნავს:

«ამ კატეგორიას სიამოვნებით მიმართავენ, რათა წარმოსადგენი გახადონ ან ახსნან რომელიმე თვისებრიობის ან რაიმეს გაქრობა, რადგან, ამრიგად, გაქრობა ისეთ რამედ გვეჩვენება, რაც ჩვენ თვალწინ ჰდებდა, ვინაიდან გარკვეული რაოდენობა აიღება როგორც გარეგანი, თავისი ბუნებით ცვალებადი საზღვარი, ამასთანავე კი თავისთავად გასაგებია ცვლილება როგორც ცვლილება მხოლოდ რაოდენობისა. მაგრამ სინამდვილეში ამით არაფერი არ აიხსნება; ცვლილება არის ამასთანავე არსებითად გადასვლა ერთი თვისებრიობისა მეორეში, ანდა, უფრო აბსტრაქტულად, იქყოფიერებიდან არარსებობაში; აქ მოცემულია სხვა განსაზღვრა, ვიდრე თანდათანობაში, რომელიც არის მხოლოდ შემცირება ან გადიდება და ყურადღების ცალმხრივი მიპყრობა სიდიდეზე.

«მაგრამ რომ ცვლილება, რომელიც წმინდა რაოდენობრივ ცვლილებად გვევლინება, ასევე თვისებრივ ცვლილებაში გადადის, — ამ კავშირს ყურადღება მიაქციეს უკვე ძველად და პოპულარულ მაგალითებზე წარმოგვიდგინეს ის კოლოზიები, რომელთაც ამის არცოდნა წარმოშობს»... (405—406) [389—390] („მელოტი“: ერთი ღერო თმის ამოგლეჯა; „გროვა“ — ერთი მარცვლის მოშორება...) «რაც» (ამასთან) «უარყოფილია, არის» das einseitige Festhalten an der abstrakten Quantumsbestimmtheit („ყურადღების ცალმხრივი მიპყრობა რაოდენობის აბსტრაქტულ

გარკვეულობაზე“, ე. ი. ყოველმხრივი ცვლილებებისა და კონკრეტულ თვისებრიობათა etc. აღურიცხავად) ...«ეს კონსტრუქციები ამიტომ ცარიელი ან პედანტური ხუმრობა როდია, არამედ თავისთავად ისინი სწორია და ნაყოფია ცნობიერებისა, რომელსაც აინტერესებს მოვლენები, რომლებიც აზროვნებაში ჩნდებიან.

NB

რაოდენობა, რამდენადაც იგი ინდიფერენტულ საზღვრად მიიღება, ის მხარეა, საიდანაც რაიმე არსებული მოულოდნელ თავდასხმასა და დაღუპვას განიცდის. ცნების ე შ მ ა კობაც ისაა, რომ იგი რაიმე არსებულს ხელს ჩასჭიდებს იმ მხრიდან, რომლიდანაც, როგორც ჩანს, მისი თვისებრიობა შეუხებელი რჩება, და თანაც იმ ზომით, რომ სახელმწიფოს, ქონებისა და სხვ. გადიდება, რასაც სახელმწიფოსათვის, მესაკუთრისათვის უბედურება მოაქვს, დასაწყისში მის ბედნიერებადაც კი გვეჩვენება». (407) [391]

«დიდი დამსახურებაა — შეიცნო ბუნების ემპირიული რიცხვები, მაგალითად, მანძილი პლანეტებს შორის; მაგრამ კიდევ უფრო განუზომლად დიდი დამსახურებაა — აძულო ემპირიულად განსაზღვრული რაოდენობანი გაქრნენ და აამაღლო ისინი რაოდენობრივ განსაზღვრათა ზოგად ფორმად ისე, რომ ისინი გახდნენ კანონის ანუ ზომის მომენტები»; გალილეისა და კეპლერის დამსახურება... «მათ დაამტკიცეს მათ მიერ აღმოჩენილი კანონები, გვიჩვენეს რა, რომ ამ კანონებს შეესაბამება აღქმის კერძობათა მთელი მოცულობა». (416) [400—401] მაგრამ უნდა მოვთხოვოთ ამ კანონების კიდევ höheres Beweisen **, რათა მათი რაოდენობრივი განსაზღვრანი შემეცნებულ იქნენ Qualitäten-იდან oder bestimmten Begriffen-იდან, die bezogen sind (wie Raum und Zeit) ***.

Gesetz oder Maß *

?

* — კანონი ანუ ზომა. რ ე დ.

** — უფრო ღრმა დამტკიცება. რ ე დ.

*** — თვისებრიობათაგან ან გარკვეული თანაფარდობითი ცნებებისაგან (როგორცაა დრო და სივრცე). რ ე დ.

განვითარება des Maßes * ცნებებისა, როგორც spezifische Quantität ** და როგორც reales Maß *** (მათ რიცხვში Wahlverwandtschaften **** — მაგალითად, ქიმიური ელემენტები, მუსიკალური ბგერები), ძალიან ბუნდოვანია.

ვრცელი შენიშვნა ქიმიის შესახებ, Berzelius-ის ***** და მისი ელექტროქიმიის თეორიის წინააღმდეგ პოლემიკითურთ. (433—445) [417—429]

„ზომის მიმართებათა კვანძობრივი ხაზი“ (Knotenlinie von Maßverhältnissen) — გადასვლები რაოდენობისა თვისებრიობაში... თანდათანობა და ნახტომები.

NB



და კიდევ, გვ. 448 [432], რომ თანდათანობა უნახტომებოდ ვერაფერს ვერ ხსნის.

NB

შენიშვნაში ჰეგელს, როგორც ყოველთვის, მოცემული აქვს ფაქტობრივი მაგალითები, კონკრეტული (ამიტომ ფოიერბახი ერთხელ სიცილით ამბობს, ჰეგელმა ბუნებაში შენიშვნებში გადაასახლო, ფოიერბახი, თხზულებანი, II, გვ. ?) 52


ნახტომები!



გვ. 448—452 [432—436], შენიშვნა, დასათაურებული სარჩევში. (არა ტექსტში!! პედანტობა!): «მაგალითები ასეთი კვანძობრივი ხაზებისა; იმის შესახებ, თითქოსდა ბუნებაში ნახტომები არ არისო».

მაგალითები: ქიმიის; მუსიკალური ბგერები; წყალი (ორთქლი, ყინული) — გვ. 449 [433—434] — მშობიარობა და სიკვდილი.

თანდათანობის შეწყვეტები



Abbrechen der Allmähligkeit, 83. (450) [434]

- * — ზომის. რ ე დ.
- ** — სპეციფიკური რაოდენობის. რ ე დ.
- *** — რეალური ზომისა. რ ე დ.
- **** — ამორჩევეთი თვისობანი. რ ე დ.
- ***** — ბარცელიუსის. რ ე დ.

«ამბობენ, ბუნებაში ნახტომები არ ხდება; და ჩვეულებრივი წარმოდგენა, თუ მას სურს წარმოშობა ან მოსპობა გაიგოს, ფიქრობს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რომ მათ გაიგებს, წარმოიდგენს რა მათ როგორც თანდათანობითს წარმოშობას ან გაქრობას. მაგრამ უკვე ნაჩვენები იყო, რომ საერთოდ ყოფიერების ცვლილებები არის არა მარტო გადასვლა ერთი სიდიდისა მეორეში, არამედ გადასვლა თვისებრივისა რაოდენობრივში და, პირუკუ, ქმნადობა სხვად, რომელიც წარმოადგენს თანდათანობითის შეწყვეტას და თვისებრივად სხვას, წინააღმდეგ წინამავალი არსებობისა. წყალი გაციებით არ ხდება თანდათანობით მაგარი ისე, რომ ის ჯერ გახდეს ლაბისებრი და თანდათან გამაგრდეს ყინულის კონსისტენციამდე, არამედ ერთბაშად მაგრდება; როცა უკვე გაყინვის ტემპერატურას მიაღწევს, თუ იგი უძრავ მდგომარეობაში რჩება, მას კიდევ შეუძლია თხიერი მდგომარეობა შეინარჩუნოს, მაგრამ სულ ოდნავ შენჯღრევას მოჰყავს იგი სიმყარის მდგომარეობაში.

ნახტომები!

ნახტომები!

«წარმოშობის თანდათანობის ვარაუდი დამყარებულია იმ წარმოდგენაზე, თითქოს წარმოშობის პროცესში მყოფი არსებობს უკვე გრძნობადად ან საერთოდ სინამდვილეში და მისი აღქმა ჯერ კიდევ შეუძლებელია მარტოდენ მისი მცირე სიდიდის გამო; ისე როგორც გაქრობის თანდათანობის ვარაუდს საფუძვლად უდევს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ არყოფიერება ან ის სხვა, რასაც გაქრობის პროცესში მყოფის ადგილი უკავია, აგრეთვე არსებობს, მაგრამ ჯერ კიდევ შეუმჩნეველია; — თანაც ერთი და მეორეც არსებობენ არა იმ აზრით, რომ სხვა მოთავსებულია მოცემულ სხვაში თავისთავად, არამედ იმ აზრით, რომ მას აქვს ადგილი, როგორც არსებობას, მხოლოდ შეუმჩნეველს. ამით წარმოშობა და მოსპობა საერთოდ მოიხსნება ანდა სხვანაირად, არსებული თავისთავად, შინაგანი, რომელშიც რაიმე არის თავის არსებობამ-

დე, გარდაიქმნება გარეგანი არსებობის მცირე სიდიდედ, ხოლო არსებითი სხვაობა ან ცნების სხვაობა იქცევა გარეგან სხვაობად, — უბრალო სიდიდის სხვაობად. წარმოშობის ან მოსპობის ახსნას ცვლილების თანდათანობის ვარაუდით ტავტოლოგიის დამახასიათებელი მოსაბეზრებელი ხასიათი აქვს; ამასთან იგულისხმება, რომ ის, რაც წარმოშობის ან მოსპობის პროცესშია, უკვე წინდაწინ არის მზა სახით მოცემული, და ცვლილება იქცევა გარეგანი სხვაობის უბრალო შეცვლად, რის გამოც სინამდვილეში მხოლოდ ტავტოლოგია გამოდის. ასეთი განსჯისათვის, გაგებას რომ ესწრაფვის, სიძნელეს წარმოადგენს რაიმეს თვისებრივი გადასვლა თავის სხვაში საერთოდ და თავის დაპირისპირებულობაში; რათა ეს სიძნელე თავიდან აიცილოს, განსჯა წარმოიდგენს იგივეობასა და ცვლილებას როგორც რაოდენობრიობის განურჩეველ გარეგან ცვლილებებს.

«მორალურ დარგში, რამდენადაც ეს მორალური ყოფიერების სფეროში განიხილება, ხდება იგივე გადასვლა რაოდენობრივისა თვისებრივში; განსხვავებული თვისებრიობიანი სიდიდის სხვაობაზე დაფუძნებულ თვისებრიობათა სახით გვევლინებიან. საკმარისია რაიმე „მეტი“ და „ნაკლები“ და დაუფიქრებლობის ზომა უკვე დაძლეული აღმოჩნდება, და მიიღება რალაც სრულიად სხვა, დანაშაულო, ამასთან სამართალი გადადის უსამართლობაში, სათნოება — ბიწიერებაში. სრულიად ასევე სახელმწიფოებიც თავიანთი სიდიდის განსხვავების გამო, სხვა თანაბარ პირობებში, სხვადასხვა თვისებრივ ხასიათს ღებულობენ»... (450—452) [434—436]

შემდეგ:

ყოფიერების გადასვლა არსებაში (Wesen) გადმოცემულია მეტად ბუნდოვნად.

I ტომის დასასრული.

მეორე წიგნი:

არსება

ტ. IV. (ბერლინი, 1834) I ნაწილი.
ობიექტური ლოგიკა. II განყოფილება: მოძღვრება
არსებაზე

პ ი რ ვ ე ლ ი ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა :

არსება როგორც რეზლექსია თავის თავში

«ყოფიერების ჭეშმარიტება არის არსება».

(3) * [455] ** ასეთია 1-ლი ფრაზა, რომელიც მთლად იდეალისტურად, მისტიკურად ჟღერს, მაგრამ მაშინვე ამის შემდეგ იწყება, ასე ვთქვათ, გრილი სიო: «ყოფიერება არის უშუალო. რადგან ცოდნას სურს შეიმეცნოს ჭეშმარიტება*** იმისა, თუ რა არის ყოფიერება თავის თავად და თავისთვის, ამიტომ იგი არ ჩერდება» (არ ჩერდება N B) «უშუალოზე და მის განსაზღვრებებზე, არამედ შეიჭრება (N B) მასში (N B) იმ ვარაუდით, რომ ამ ყოფიერების უკან (ხაზგასმა ჰეგელისა) არის კიდევ რაღაც სხვა, ვიდრე თვით ყოფიერება, რომ ეს უკანა მხარე შეადგენს ყოფიერების ჭეშმარიტებას. ეს შემეცნება არის გამეშვეებული ცოდნა, ვინაიდან იგი არ იმყოფება უშუალოდ არსებასთან ან არსებაში, არამედ იწყებს რაიმე სხვით, ყოფიერებით, და უნდა გაიაროს წინასწარი გზა, გზა ყოფიერებიდან გასვლისა ან, უფრო სწორად, მასში შესვლისა»...

შემეცნების
თეორია

„გზა“

* Hegel. Werke, Bd. IV, Berlin, 1834. რ ე დ.

** Гегель. Сочинения, т. V, М., 1937. რ ე დ.

*** სხვათა შორის, ჰეგელი არაერთხელ დასცინოდა [შეად. ზემოციტირებული ადგილები თანდათანობის შესახებ] სიტყვას (და ცნებას) erklären. ახსნა, უპირისპირებდა რა, ალბათ, მეტაფიზიკურ გადაწყვეტას ერთხელ და სამუდამოდ („ახსნეს“!!) შემეცნების მარადიულ პროცესს უფრო ღრმად და ღრმად. შეად. ტომი III, გვ. 463 [447]: «შესაძლებელია შემეცნეულ იქნეს ან, როგორც იტყვიან, ახსნილ იქნეს».

ეს *Bewegung* *, ცოდნის გზა, გვეჩვენება „შემეცნების მოქმედებად“ (*Tätigkeit des Erkennens*), რომელიც «გარეგანია ყოფიერების მიმართ».

ობიექტი-
რი მნი-
შვნელობა

«მაგრამ ეს მსვლელობა თვით ყოფიერების მოძრაობაა».

«არსება... არის ის, რაც იგი არის... ყოფიერების თავისი საკუთარი დაუსრულებელი მოძრაობის მეშვეობით». (4) [456]

«აბსოლუტურ არსებას... არა აქვს იქყოფნა. მაგრამ ის უნდა გადავიდეს იქყოფნაში». (5) [457]

არსება დგას შუაში ყოფიერებასა და ცნებას შორის, როგორც გადასვლა ცნებისაკენ (=აბსოლუტი).

არსების ქვედანაყოფებია: მოჩვენებითობა (*Schein*), მოვლენა (*Erscheinung*), ნამდვილობა (*Wirklichkeit*).

Das Wesentliche und das Unwesentliche **. (8) [460] *Der Schein*. (9) [461]

არაარსებითში, მოჩვენებითობაში არის არყოფიერების მომენტი. 10 [462]

ე. ი. არაარსებითი, მოჩვენებითი, ზერელე უფრო ხშირად ქრება, ისე „მჭიდროდ“ არ ჩერდება, ისე „მაგრად არ ზის“, როგორც „არსება“ *Etwa* ***: მდინარის მოძრაობა — ზემოდან ქაფი და ღრმა მიმდინარეობანი ქვემოთ. მაგრამ ქაფიც არსების გამოხატულებაა!

მოჩვენებითობა და სკეპტიციზმი *respective* ** კანტელობა:**

«ამრიგად, მოჩვენებითობა არის სკეპტიციზმის ფენომენი ან აგრეთვე იდეალიზმის ისეთი მოვლენა, ისეთი უშუალობა, რომელიც

* — მოძრაობა. რ ე დ.

** — არსებითი და არაარსებითი. რ ე დ.

*** — მაგალითად. რ ე დ.

**** — შესაბამისად. რ ე დ.

არ არის რაიმე ან რალაც ნივთი, საერთოდ არ არის ისეთი განუტრჩეველი ყოფიერება, რომელიც იარსებებდა თავისი გარკვეულობის ან სუბიექტთან მიმართების გარეშე. სკეპტიციზმი ნებას არ აძლევდა თავის თავს ეთქვა — ეს არის; **უახლესი იდეალიზმი ნებას არ აძლევდა თავის-თავს განეხილა შემეცნება, როგორც ცოდნა საგნისა თავისთავად**; ამ მოჩვენებითობას საერთოდ არ უნდა ჰქონოდა რაიმე ყოფიერების საფუძველი, ნივთი თავისთავად არ უნდა შესულიყო ამ ცოდნაში. მაგრამ ამასთანავე სკეპტიციზმი თავისი მოჩვენებითობის მრავალნაირ განსაზღვრას უშვებდა, ანდა, უფრო სწორად, მის მოჩვენებითობას შინაარსად ჰქონდა სამყაროს მრავალსახოვანი სიმდიდრე. ასევე იდეალიზმის მოვლენა შეიცავს ამ მრავალსახოვან გარკვეულობათა მთელ მოცულობას.

NB

თქვენ შეგაქვთ Schein-ში* სამყაროს მთელი სიმდიდრე და თქვენ უარყოფთ Schein'-ის ობიექტურობას!!

ეს მოჩვენებითობა და ეს მოვლენა უშუალოდ ასე მრავალნაირად განისაზღვრება. დაე, მაშასადამე, ამ შინაარსს საფუძვლად არ ედოს არავითარი ყოფიერება, არავითარი ნივთი ან ნივთი თავისთავად; იგი თავისდათავად ისეთი რჩება, როგორც ის არის; მან მხოლოდ გადაინაცვლა ყოფიერებიდან მოჩვენებითობაში, ასე რომ მოჩვენებითობას თვით თავისივე შიგნით აქვს ეს მრავალგვარი გარკვეულობანი, რომელნიც არიან უშუალონი, არსებულნი, ერთმანეთის მიმართ სხვანი. ამიტომ მოჩვენებითობა თვით არის რაიმე უშუალოდ გარკვეული. მას შეუძლია ჰქონდეს ესა თუ ის შინაარსი, მაგრამ თუ როგორია ეს უკანასკნელი, ეს თვით მის მიერ როდია დადგენილი, არამედ უშუალოდ მისი დამახასიათებელია. ლაიბნიცის ან კანტის, ან ფიხტეს იდეალიზმი, როგორც სხვა მისი ფორმებიც, ისევე

მოჩვენებითობის უშუალობა

* — მოჩვენებითობა. რ ე დ.

არ წასულან
უფრო
ღრმად

ნაკლებად, როგორც სკეპტიციზმი, სცილდება ყოფიერების საზღვრებს, როგორც გარკვეულობას, როგორც ამ უშუალობას. სკეპტიციზმს მოცემული აქვს „უშუალოდ

მოცემული“!! შინაარსი მისი მოჩვენებითობისა; როგორც უნდა იყოს ეს შინაარსი, იგი მისთვის უშუალოა. ლაიბნიცის მონადა თვით თავისი თავისაგან ავითარებს თავის წარმოდგენებს; მაგრამ იგი არ არის მათი წარმომშობი და შემაკავშირებელი ძალა, არამედ ისინი ამოტივტივდებიან მასში როგორც ბუშტები; ისინი განურჩეველი, უშუალონი არიან ერთიმეორის მიმართ, მაშასადამე, თვით მონადის მიმართაც. ამნაირადვე კანტის მოვლენაც არის აღქმის მოცემული შინაარსი; ეს უკანასკნელი გულისხმობს ზემოქმედებებს, სუბიექტის განსაზღვრებებს, რომელნიც ერთიმეორის მიმართ და ამ უკანასკნელის მიმართაც უშუალონი არიან. ფინტეს იდეალიზმის უსასრულო ბიძგს, მართალია, არა აქვს თავის საფუძვლად არაავითარი საგანი თავისთავად, ასე რომ იგი მარტოოდენ ერთგვარ გარკვეულობად იქცევა მე-ში. მაგრამ ეს გარკვეულობა მე-ს მიმართ, რომელიც მას თავისად განდის და მის გარეგან ხასიათს მოხსნის, ამასთანავე არის უშუალო გარკვეულობა, არის მისი ზღუდე, რომელსაც გარკვეულობა, მართალია, შეიძლება გასცილდეს, მაგრამ ამ ზღუდეს თავის თავში აქვს განურჩევლობის მხარე, რომლის მიხედვითაც იგი, თუმცა მე-ს დამახასიათებელია, შეიცავს უკანასკნელის უშუალო არყოფიერებას». (10—11) [462—463]

...«განსაზღვრანი, რომელნიც მას» (den Schein) «არსებისაგან განასხვავებენ, თვით არსების განსაზღვრანი არიან»... (12) [464]

...«არყოფიერების უშუალობა არის ის, რაც მოჩვენებითობას შეადგენს... ყოფიერება არის არყოფიერება არსებაში. მისი არარაობა თავისთავად თვით არსების უარყოფითი ბუნებაა»... (12) [464]

მოჩვენებითობა = არსების უარყოფით ბუნებას

...«ორივე ეს მომენტი, არარობა, მაგრამ როგორც მდგრადობა, და ყოფიერება, მაგრამ როგორც მომენტი, სხვანაირად, თავისთავად არსებული უარყოფითობა და რეფლექსირებული უშუალობა, რომლებიც მოჩვენებითობის მომენტებს შეადგენენ, ამით თვით არსების მომენტებია»...

«მოჩვენებითობა არის თვით არსება ყოფიერების გარკვეულობაში»... (12—13) [464]

მოჩვენებითობა არის (1) არარა, არარსებული (Nichtigkeit), რომელიც არსებობს — (2) ყოფიერება როგორც მომენტი

«ამრიგად, მოჩვენებითობა თვით არის არსება, მაგრამ არსება ერთგვარ გარკვეულობაში, თანაც ისე, რომ უკანასკნელი არის მხოლოდ მომენტი არსებისა, არსება კი არის მოვლენა თავისა თვით თავის შიგნით». (14) [466]

მოჩვენებითი არის არსება მის ერთ გარკვეულობაში, მის ერთ-ერთ მხარეში, მის ერთ-ერთ მომენტში. არსება გვეჩვენება რაიმედ. მოჩვენებითობა არის მოვლენა (Scheinen) არსებისა თვით თავის თავში.

...«არსება... შეიცავს მოჩვენებითობას თვით თავის თავში, როგორც უსასრულო მოძრაობას თავის თავში». (14) [466]

...«არსება ამ თავის თვითმოძრაობაში არის რეფლექსია: მოჩვენებითობა იგივეა, რაც რეფლექსია». (14) [466]

მოჩვენებითობა (რაც გვეჩვენება) არის ა ს ა ხ ვ ა არსებისა თავის თავში (მასში).

...«ქმნადობა არსებაში, მისი მარეფლექსირებელი მოძრაობა არის ამიტომ მოძრაობა არარასაგან არარასაკენ და ამით უკან თავისი-თავისაკენ»... (15) [467]

ეს მახვილგონიერი და ღრმაა. არის ხოლმე ბუნებასა და ცხოვრებაში მოძრაობანი „არაფრისაკენ“. მხოლოდ „არაფრისაკენ“, მგონი, არ ხდება. რაიმესაკენ ყოველთვის.

«რეფლექსია ჩვეულებრივ ესმით სუბიექტური აზრით, როგორც მოძრაობა მსჯელობის უნარისა, რომელიც მოცემულ უშუალო წარმოდგენას ვასცილდება და ეძებს მისთვის ან აღარებს მას ზოგად განსაზღვრებებს». (21) [473] (ციტირებულია კანტიდან — მსჯელობის უნარის კრიტიკა⁵³)... «მაგრამ აქ ლაპარაკია არა ცნობიერების რეფლექსიაზე და არა განსჯის უფრო გარკვეულ რეფლექსიაზე, რომელსაც თავის განსაზღვრებებზედ აქვს განსაკუთრებული და ზოგადი, არამედ რეფლექსიაზე საერთოდ»...

ამრიგად, აქაც ჰეგელი ბრალსა სდებს კანტს სუბიექტივიზმში. ეს N B. ჰეგელი მოჩვენებითობის, „უშუალოდ მოცემულის“ ტერმინი „მოცემული“ ჩვეულებრივია ჰეგელთან, აქაც იხ. გვ. 21 i. f. [473]; გვ. 22 [474] „ობიექტური მნიშვნელობის“ (sit venia verbo*) მომხრეა. უფრო ჰატარა ფილოსოფოსები დავობენ იმის შესახებ, საფუძვლად აიღონ არსება თუ უშუალოდ მოცემული (კანტი, იუმი, ყველა მანისტი). ჰეგელი თუ-ს მაგივრად აყენებს დ-ს, განმარტავს რა ამ „და“-ს კონკრეტულ შინაარსს.

«რეფლექსია არის მოვლენა არსებისა თვით მის შიგნით» (27) [478] (თარგმანი? რეფლექსურობა? რეფლექსური განსაზღვრა? რეფლექსია არ უხდება).

...«იგი (das Wesen) «არის მოძრაობა განსხვავებული მომენტების მეშვეობით, აბსოლუტური გამეშვეება თავისი-თავით»... (27) [479].

* — ნება გვიბოძეთ ასე ვთქვათ. რ ე დ.

იგივეობა — სხვაობა — წინააღმდეგობა
 (+ Gegensatz *) (საფუძველი)...
 (კერძოდ
 დაპირის-
 პირებულობა)

ამიტომ ჰეგელი არკვევს ცალმხრიობას, უს-
 წორობას „იგივეობის კანონისა“ ($A=A$),
 კატეგორიისა (არსებულის ყველა განსა-
 ზღვრა კატეგორიებია—გვ. 27—27 [479—480]).

«თუ ყოველივე თავის თავის იგივეურია, მა-
 შინ იგი არ არის განსხვავებული, არ არის და-
 პირისპირებული, მას არა აქვს საფუძველი».
 (29) [481]

«არსება არის... უბრალო იგივეობა თავის-
 თავთან». (30) [482]

ჩვეულებრივი აზროვნება ერთიმეორის
 გვერდით („daneben“) აყენებს მსგავსებას და
 სხვაობას, არ გაეგება რა «ერთი ამ განსა-
 ზღვრათაგანის მეორეში გადასვლის ეს მო-
 ძრაობა»: (31) [483]

და მერმე იგივეობის კანონის წინააღმდეგ
 ($A=A$): მისი მომხრეები

«რამდენადაც ისინი ამ უძრავ იგივეობას
 იცავენ, რომელსაც თავისი დაპირისპირებუ-
 ლობა სხვაობაში გააჩნია, ისინი ვერ ხედავენ,
 რომ ამით იგივეობას აქცევენ ცალმხრივ გარ-
 კვეულობად, რომელიც როგორც ასეთი მო-
 კლებულია ჭეშმარიტებას». (33) [485]

(«ცარიელი ტავტოლოგია»: 32 [484])

(«შეიცავს მხოლოდ ფორმალურ, აბ-
 სტრაქტულ, არასრულ ჭეშმარიტებას».
 (33) [485])

რეფლექსურობის სახეობანი: გარე-
 განი etc. მეტად ბუნდოვნად არის გან-
 ვითარებული.

სხვაობის პრინციპები: «ყველა საგანი გან-
 სხვავებულია»... «A არის აგრეთვე არა A»...
 (44) [496]

* — სიტყვა Gegensatz ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

NB

ჩემ მიერ
 ხაზგასმული
 ტერმინები

ეს მახვილგონიერი და ღრმაა. არის ხოლმე ბუნებასა და ცხოვრებაში მოძრაობანი „არაფრისაკენ“. მხოლოდ „არაფრისაკენ“, მგონი, არ ხდება. რაიმესაკენ ყოველთვის.

«რეფლექსია ჩვეულებრივ ესმით სუბიექტური აზრით, როგორც მოძრაობა მსჯელობის უნარისა, რომელიც მოცემულ უშუალო წარმოდგენას გასცილდება და ეძებს მისთვის ან ადარებს მას ზოგად განსაზღვრებებს». (21) [473] (ციტირებულია კანტიდან — მსჯელობის უნარის კრიტიკა⁵³)... «მაგრამ აქ ლაპარაკია არა ცნობიერების რეფლექსიაზე და არა განსჯის უფრო გარკვეულ რეფლექსიაზე, რომელსაც თავის განსაზღვრებებად აქვს განსაკუთრებული და ზოგადი, არამედ რეფლექსიაზე საერთოდ»...

ამრიგად, აქაც ჰეგელი ბრალსა სდებს კანტს სუბიექტივიზმში. ეს N B. ჰეგელი მოჩვენებითობის, „უშუალოდ მოცემულის“ [ტერმინი „მოცემული“ ჩვეულებრივია ჰეგელთან, აქაც იხ. გვ. 21 i. f. [473]; გვ. 22 [474]] „ობიექტური მნიშვნელობის“ (sit venia verbo*) მომხრეა. უფრო პატარა ფილოსოფოსები დავობენ იმის შესახებ, საფუძვლად აიღონ არსება თუ უშუალოდ მოცემული (კანტი, იუმი, ყველა მახისტი). ჰეგელი თუ-ს მაგივრად აყენებს და-ს, განმარტავს რა ამ „და“-ს კონკრეტულ შინაარსს.

«რეფლექსია არის მოვლენა არსებისა თვით მის შიგნით» (27) [478] (თარგმანი? რეფლექსურობა? რეფლექსური განსაზღვრა? რეფლექსია არ უხდება).

...«იგი (das Wesen) «არის მოძრაობა განსხვავებული მომენტების მეშვეობით, აბსოლუტური გამეშვება თავისი-თავით»... (27) [479].

* — ნება გვიბოძეთ ასე ვთქვათ. რ ე დ.

იგივეობა — სხვაობა — წინააღმდეგობა
 (+ Gegensatz *) (საფუძველი)...
 (კერძოდ
 დაპირის-
 პირებულობა)

ამიტომ ჰეგელი არკვევს ცალმხრიობას, უს-
 წორობას „იგივეობის კანონისა“ ($A=A$),
 კატეგორიისა (არსებულის ყველა განსა-
 ზღვრა კატეგორიებია—გვ. 27—27 [479—480]).

«თუ ყოველივე თავის თავის იგივეურია, მა-
 შინ იგი არ არის განსხვავებული, არ არის და-
 პირისპირებული, მას არა აქვს საფუძველი».
 (29) [481]

«არსება არის... უბრალო იგივეობა თავის-
 თავთან». (30) [482]

ჩვეულებრივი აზროვნება ერთიმეორის
 გვერდით („daneben“) აყენებს მსგავსებას და
 სხვაობას, არ გაეგება რა «ერთი ამ განსა-
 ზღვრათაგანის მეორეში გადასვლის ეს მო-
 ძრაობა»: (31) [483]

და მერმე იგივეობის კანონის წინააღმდეგ
 ($A=A$): მისი მომხრეები

«რამდენადაც ისინი ამ უძრავ იგივეობას
 იცავენ, რომელსაც თავისი დაპირისპირებუ-
 ლობა სხვაობაში გააჩნია, ისინი ვერ ხედავენ,
 რომ ამით იგივეობას აქცევენ ცალმხრივ გარ-
 კვეულობად, რომელიც როგორც ასეთი მო-
 კლებულია ჭეშმარიტებას». (33) [485]

(«ცარიელი ტავტოლოგია»: 32 [484])

(«შეიცავს მხოლოდ ფორმალურ, აბ-
 სტრაქტულ, არასრულ ჭეშმარიტებას».
 (33) [485])

რეფლექსურობის სახეობანი: გარე-
 განი etc. მეტად ბუნდოვნად არის გან-
 ვითარებული.

სხვაობის პრინციპები: «ყველა საგანი გან-
 სხვავებულია»... «A არის აგრეთვე არა A»...
 (44) [496]

* — სიტყვა Gegensatz ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

NB

ჩემ მიერ
 ხაზგასმული
 ტერმინები

«არ არსებობს ორი საგანი, ერთიმეორის თანასწორი რომ იყოს»...

სხვაობა არის ამა თუ იმ მხარეზე (Seite), Rücksicht etc. „insofern“ * etc.

bien dit!! **

«ნიეტებისადმი ჩვეულებრივი ლოლიაობა, რომელიც მხოლოდ იმისათვის ზრუნავს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ თავის-თავს, როგორც ამ, ისე სხვა შემთხვევებშიც ივიწყებს, რომ ამ გზით წინააღმდეგობა კი არ გადაწყდება, არამედ გადაიტანება მხოლოდ სხვა ადგილას, სუბიექტურ ან გარეგან რეფლექსიაზე, საერთოდ, და რომ უკანასკნელი ნამდვილად შეიცავს ერთ ერთიანობაში ორივე მომენტს, როგორც მოხსნილსა და ერთიმეორისადმი მიმართებაში მყოფს, მომენტებს, რომლებიც ასეთი მოშორებისა და გადანაცვლების გამო გამოცხადებულნი არიან მარტივად როგორც დადგენილნი». (47) [498]

(ეს ირონია საამოა! ლოლიაობა ბუნებისა და ისტორიისადმი (ფილისტერების მიერ) — მისწრაფება წინააღმდეგობათაგან და ბრძოლისაგან მათი გაწმენდისადმი)...

შეკრების შედეგად + და — იქნება ნული. «წინააღმდეგობის შედეგი არ არის მხოლოდ ნული». (59) [511]

წინააღმდეგობის გადაწყვეტა, პოზიტიურისა და ნეგატიურის „მხოლოდ განსაზღვრამდე“ დაყვანა (61) [513], არსებას (das Wesen) გადააქცევს საფუძველად (Grund) (ibidem ***).

NB

...«გადაწყვეტილი წინააღმდეგობა არის, მაშასადამე, საფუძველი, არსება, როგორც ერთიანობა დადებითისა და უარყოფითისა»... (62) [514]

«უკვე უმნიშვნელო ცდა მარეფლექსირებელ აზროვნებაში საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ თუ რაიმე განისა-

* — მოსაზრება და ა. შ. «რამდენადაც» და ა. შ. რ ე დ.
 ** — კარგადაა ნათქვამი!! რ ე დ.
 *** — იქვე. რ ე დ.

ზღვრება როგორც დადებითი, მაშინ, როცა ამ საფუძვლიდან შორს მივდივართ, ეს რაიმე უშუალოდ მყისვე გარდაიქმნება უარყოფითად, და პირიქით, რაიმე, განსაზღვრული როგორც უარყოფითი, გარდაიქმნება დადებითად, დავრწმუნდეთ იმაში, რომ მარეფლექსიონებელი აზროვნება იბნევა და ამ განსაზღვრებებით თავის თავს ეწინააღმდეგება. უკანასკნელთა ბუნების უცოდინარობას იმ აზრამდე მივყავართ, თითქოს ეს დაბნეულობა არის რაღაც მცდარი, რაც არ უნდა იყოს, და რაც უნდა მიეწეროს ერთგვარ **სუბიექტურ** შეცდომას. მართლაც, ეს გადასვლა ერთისა მეორეში რჩება უბრალო დაბნეულობად, რამდენადაც არ არსებობს ამ **გარდაქმნის აუცილებლობის** შეგნება». (63) [515]

...«დადებითისა და უარყოფითის დაპირისპირებულობა უმთავრესად იმ აზრით გაიგება, რომ პირველი (თუმცა იგი თავისი სახელწოდებით იმას გამოხატავს, რაც მოწოდებულია; დადგენილია) უნდა იყოს რაღაც ობიექტური, მეორე კი — სუბიექტური, რომელიც მარტოდენ გარეგან რეფლექსიას ეკუთვნის, არ ეხება ობიექტურს, არსებულს თავისთავად და თავისთვის, და მისთვის სრულიად არ არსებულს». (64) [516] «მართლაც, თუ უარყოფითი მხოლოდ სუბიექტური თვითნებობის აბსტრაქციას გამოხატავს»... (მაშინ იგი, ეს ნეგატიური, არ არსებობს „für das objective Positive“ *)...

«**ჭეშმარიტება**, როგორც **ობიექტთან** შეთანხმებული ცოდნა, არის აგრეთვე დადებითი, მაგრამ იგი არის ეს თანასწორობა თავისთავთან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ცოდნა უარყოფითს მიმართებაშია სხვასთან, რამდენადაც მან **გამსჭვალა ობიექტი** და მოხსნა უარყოფა, რომელსაც ის წარმოადგენს. შეცდომა არის რაღაც დადებითი, როგორც აზრი თავისი-თავის მცოდნე და ჯიუტად დამცველი

ჭეშმარიტება
და ობიექტი

თავისთავად
არსებული

იმისა, რომ არ წარმოადგენს თავისთავად არსებულს. უცოდნელობა კი არის ან რალაც ინდიფერენტული ჰემმარიტებისა და შეცდომისადმი და ამით არა გარკვეული, არც როგორც დადებითი, არც როგორც უარყოფითი, ასე რომ განსაზღვრა მისი, როგორც ერთგვარი უქონლობისა, ეკუთვნის გარეგან რეფლექსიას; ანდა, როგორც ობიექტური, როგორც საკუთარი განსაზღვრა ერთგვარი თვისებისა, ის არის თავისი-თავის წინააღმდეგ მიმართული მისწრაფება, — უარყოფითი, რომელიც თავისთავში შეიცავს პოზიტიურ მიმართულებას. — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემეცნება ისაა, რომ დაინახო და მტკიცედ დაიცვა ის შეხედულება რეფლექსიის განხილულ განსაზღვრათა ამ ბუნებაზე, რომ მათი ჰემმარიტება მდგომარეობს მხოლოდ მათს მიმართებაში ერთიმეორისადმი, და ამიტომ იმაში, რომ თვითელი მათგანი თვით თავის ცნებაში შეიცავს მეორეს. ამ შემეცნების გარეშე შეუძლებელია, სწორედ რომ ვთქვათ, ბიჯის გადადგმაც კი ფილოსოფიაში». (65—66) [517—518] ეს შენიშვნიდან 1. — — — —

შენიშვნა 2. «გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი მ ე ს ა მ ი ს კ ა ნ ო ნ ი».

ჰეგელს მოჰყავს გამორიცხული მესამის ეს დებულება: «რაიმე არის ან A ან არა-A, მესამე არ არის» (66) [518] და „არ ჩ ე ვ ს“. თუ ამით იმაზეა მითითებული, რომ „alles ein Entgegengesetztes ist“*, ყველაფერს თავისი დადებითი და თავისი უარყოფითი განსაზღვრა აქვს, მაშინ ხომ კარგი. მაგრამ თუ ამას ისე გავიგებთ, როგორც ჩვეულებრივ ესმით, რომ ყველა პრედიკატიდან ან მოცემული ან მისი არყოფიერება, მაშინ „ტრივიალურია“!! სული... ტკბილი, არატკბილი? მწვანე, არამწვანე? განსაზღვრა უნდა მიდიოდეს გარკვეულობისაკენ, ამ ტრივიალობაში კი იგი მიდის არარამდე.

და შემდეგ, — ოხუნჯობს ჰეგელი, — ამბო-

* — «ყველაფერი არის დაპირისპირებული», რ ე ლ.

ბენ: მესამე არ არისო. მესამე არის თვით ამ თეზისში, თვით A არის მესამე, რადგან A შეიძლება იყოს + A-ც და — A-ც. «ამრიგად, თვით რაიმე არის ის მესამე, რომელიც გამოირიცხული უნდა ყოფილიყო». (67) [519]

ეს გონებამახვილი და სწორია. ყოველი კონკრეტული საგანი, ყოველი კონკრეტული რაიმე განსხვავებულ და ხშირად წინააღმდეგობრივ მიმართებაშია ყოველივე დანარჩენთან, erგი *, არის თავისთავადაც და სხვადაც.

შენიშვნა 3 (ლოგიკის II წიგნის 1 განყოფილების, 2 თავის ბოლოში). «წინააღმდეგობის კანონი».

«ამრიგად, თუ რეფლექსიის პირველი განსაზღვრებანი, იგივეობა, სხვაობა და დაპირისპირება, გამოხატულია ერთი წინადადებით, მაშინ მით უმეტეს ის განსაზღვრა, რომელშიც ისინი გადადიან, როგორც თავის ჭეშმარიტებაში, სახელდობრ წინააღმდეგობა, უნდა გავგებულ და გამოხატულ იქნეს ერთი წინადადებით. ყველა საგანი თავისთავად წინააღმდეგობრივია; და სახელდობრ ამ წინადადების აზრი ისეთია, რომ იგი სხვებთან შედარებით ყველაზე უფრო გამოხატავს ნივთთა ჭეშმარიტებას და არსებას. წინააღმდეგობა, რომელიც დაპირისპირებაში ვლინდება, არის მხოლოდ განვითარებული არარა, რომელიც მოთავსებულია იგივეობაში და შეგვხვდა იმ გამოთქმაში, რომ იგივეობის საწყისი არაფერს არ ამბობს. ეს უარყოფა განსაზღვრავს თავის-თავს შემდეგ, როგორც სხვაობას და დაპირისპირებას, რომელიც სწორედ დადგენილი წინააღმდეგობაა.

«მაგრამ დღემდე არსებული ლოგიკისა და ჩვეულებრივი წარმოდგენის ერთ-ერთი ძირითადი შემცდარი აზრი ისაა, რომ წინააღმდეგობა თითქოს არ წარმოადგენს იმდენად არ-

* — მაშასადამე. რ ე დ.

სებითსა და იმანენტურ განსაზღვრას, როგორც იგივეობა; მაგრამ თუ ლაპარაკია უკვე იერარქიაზე და ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ორივე განსაზღვრა როგორც განცალკევებული, მაშინ წინააღმდეგობა უნდა მიგვეჩნია რაღაც უფრო ღრმად და არსებითად. ვინაიდან მის საპირისპიროდ იგივეობა არის მხოლოდ მარტივი უშუალოს, მკვდარი ყოფიერების განსაზღვრა; წინააღმდეგობა კი არის ყოველივე მოძრაობისა და ცხოველმყოფელობის ძირი: მხოლოდ რამდენადაც რაიმეს თავის თავში აქვს წინააღმდეგობა, იგი მოძრაობს, მას აქვს იმპულსი და მოქმედება.

«წინააღმდეგობას ჩვეულებრივ ჩამოაშორებენ ჯერ ერთი ნივთებს, არსებულსა და კეშმარიტს საერთოდ; ამტკიცებენ, არაფერი წინააღმდეგობრივი არ არსებობსო. მეორე, იგი, პირიქით, გადააქვთ სუბიექტურ რეფლექსიაში, რომელიც მას თავისი მიმართებისა და შედარების გზით თითქოს პირველად ქმნის. მაგრამ იგი თვით ამ რეფლექსიაშიც არ არის, რადგან არ შეიძლება წინააღმდეგობრივის არც წარმოდგენა, არც გააზრება. საერთოდ იგი ითვლება როგორც სინამდვილეში, ისე აზროვნებითს რეფლექსიაში რაღაც შემთხვევითად, ვითომც ანომალიად და წარმავალ ავადმყოფურ პაროქსიზმად.

«რაც შეეხება მტკიცებას, რომ წინააღმდეგობა არ არსებობს, რომ ის არის რაიმე არსებული, ასეთი რწმუნების შესახებ ჩვენ არ გვჭირდება თავის შეწუხება; არსების აბსოლუტური განსაზღვრა უნდა ახასიათებდეს ყოველ ცდას, ყოველ ნამდვილს, ისევე როგორც ყოველ ცნებას. ზემოთ, სადაც ლაპარაკი იყო უსასრულოზე, რომელიც წინააღმდეგობას წარმოადგენს, როგორც ეს უკანასკნელი ყოფიერების სფეროში მქლავნდება, უკვე მითითებული იყო რაღაც ამის მსგავსზე. ჩვეულებრივი გამოცდილება კი თვით მოწმობს იმას, რომ არსებობს სულ მცირე რომ ვთქვათ მრავალი წინააღმდეგობრივი ნივთი,

დაწესებულება და სხვ., რომელთა წინააღმდეგობა არსებობს არა მარტო გარეგან რეფლექსიაში, არამედ თვით მათშიც. მაგრამ, შემდეგ, წინააღმდეგობა არ უნდა მივიჩნიოთ რაღაც ანომალიად, რომელიც მხოლოდ აქა-იქ გვხვდება: იგი არის უარყოფითი მის არსებობის განსაზღვრაში, **პ რ ი ნ ც ი ა ი უ ო ვ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა**, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი გამოხატულება წინააღმდეგობისა. თვით გარეგანი გრძნობადი მოძრაობა არის მისი უშუალო იქყოფნა. რაიმე მოძრაობს არა მხოლოდ იმ აზრით, რომ იგი ამ «ახლა»-ში აქ არის, მეორე «ახლა»-ში კი — იქ, არამედ რამდენადაც იგი ერთსა და იმავე «ახლა»-ში აქ არის და არც არის აქ, რამდენადაც იგი ამ «ახლა»-ში იმავდროულად იმყოფება კიდევ და არც იმყოფება. ძველი დროის დიალექტიკოსებთან ერთად უნდა ვაღიაროთ წინააღმდეგობანი, რომლებიც მათ მოძრაობაში ცხადყვეს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ ამიტომ მოძრაობა არ არსებობს, არამედ, პირიქით, გამომდინარეობს ის, რომ მოძრაობა თვითონ არსებულ ი წინააღმდეგობაა.

«ასევე შინაგანი, საკუთარი თვითმოძრაობა, იმპულსი საერთოდ (მადა ან nisus * მონადისა, ენტელექტია აბსოლუტურად-მარტივი არსებისა) სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ერთი და იმავე მიმართებით არსებობს რაიმე თავისთავად და მისი არყოფნა. თვით მისი უარყოფითი. **ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი** იგივეობა თავის-თავთან ჯერ კიდევ **არ არის ც ხ ო ვ ე ლ მ ყ ო ფ ე ლ ო ბ ა**, მაგრამ რადგან დადებითი თავისთავად არის უარყოფითობა, ამით იგი გამოდის თავის თავის გარეთ და **ი წ ვ ე ვ ს თ ა ვ ი ს ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ს**. ამრიგად, რაიმე ცხოველმყოფელია, მხოლოდ რამდენადაც იგი შეიცავს წინააღმდეგობას და წარმოადგენს სწორედ იმ ძალას, რომელსაც

შეუძლია მოათავსოს თავის-თავში და შეინარჩუნოს ეს წინააღმდეგობა. მაგრამ თუკი ამ რაიმე არსებულს არ შეუძლია თავის დადებითს განსაზღვრაში ამასთანავე გადავიდეს თავის უარყოფითში და შეინარჩუნოს ერთი მეორეში, თუ მას არ ძალუძს თვით იქონიოს თავის-თავში წინააღმდეგობა, მაშინ ეს რაიმე, არ არის ცოცხალი ერთიანობა, არ არის საფუძველი, არამედ წინააღმდეგობაში დაღუპვისაკენ მიიმართება. სპეკულაციური აზროვნება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ინარჩუნებს წინააღმდეგობას და მასში თავის-თავსაც, და არა იმაში, რომ, როგორც ეს წარმოდგენას სჩვევია, იმყოფება წინააღმდეგობის გამგებლობაში და მას ნებას აძლევს მხოლოდ გათქვიფოს თავისი განსაზღვრანი სხვებში ან არარაში». (67—70) [519—521]

მოდრაობა და „თ ვ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ა“ (ეს NB! თვითნებური (თავისთავადი), სპონტანური, შინაგანად-აუცილებელი მოძრაობა), „ცვლილება“, „მოძრაობა და ცხოველმყოფელობა“, „პრინციპი ყოველი თვითმოდრაობისა“, „იმპულსი“ (Trieb) „მოძრაობისადმი“ და „მოქმედებისადმი“ — დაპირისპირებულობა მკვდარი ყოფიერებისადმი — ვინ დაიჯერებს, რომ ეს არის დედაარსი „ჰეგელელობისა“, აბსტრაქტული და abstrusen (მძიმე, უაზრო?) ჰეგელელობისა?? საჭირო იყო ამ დედაარსის აღმოჩენა, გაგება, hinüberretten*, გამოჩენჩვა, გაწმენდა, რაც გააკეთეს ჯიდეც მარქსმა და ენგელსმა.

უნივერსალური მოძრაობისა და ცვლილების იდეა (1813, ლოგიკა) გამოცნობილ იქნა მის გამოყენებამდე ცხოვრებისა და საზოგადოების მიმართ. საზოგადოების მიმართ იგი გამოყენებულ იქნა უფრო ადრე (1847), ვიდრე დამტკიცდებოდა ადამიანის მიმართ გამოყენებით (1859)⁵⁴.

* — გადაჩენა. რ ე ლ.

«თუ მოძრაობაში, იმპულსში და ა. შ. წინა-აღმდეგობა ამ განსაზღვრათა ს ი მ ა რ ტ ი ვ ი თ დაფარულია წარმოდგენისაგან, სამაგეროდ მიმართების განსაზღვრებებში, პირიქით, წინააღმდეგობა უშუალოდ გვევლინება. უადრესად ტრივიალური მაგალითები: ზედა და ქვედა, მარჯვენა და მარცხენა, მამა და შვილი და ა. შ. უსასრულობამდე ყოველივე შეიცავს დაპირისპირებულობას ერთიანში. ზედა არის ის, რაც არ არის ქვედა; ზედას განსაზღვრა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქვედა არ იყოს, და პირველი არის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არის მეორე, და პირიქით; ყოველ განსაზღვრაში არის მისი დაპირისპირებულობაც. მამა არის შვილის სხვა, შვილი კი — მამის სხვა, და თვითეული არის მხოლოდ ეს სხვისი სხვა; და ამასთანავე თვითეული განსაზღვრა არის მხოლოდ სხვებთან მიმართებაში; მათი ყოფიერება არის ერთიანი არსებობა.....(70) [521—522]

დაფარულია
სიმარტივით

«ამიტომ წარმოდგენას, მართალია, ყველგან თავის შინაარსად წინააღმდეგობა აქვს, მაგრამ მის შეგნებამდე ვერ მიდის; იგი რჩება გარეგან რეფლექსიად, რომელიც გადადის ერთგვარობიდან არაერთგვარობაზე ან უარყოფითი მიმართებიდან თავის შიგნით განსხვავებულ განსაზღვრათა რეფლექსურობაზე. ეს რეფლექსია გარეგნულად უპირისპირებს ერთიმეორეს ორივე ამ განსაზღვრას და მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ისინი და არა მათი გადასვლა, რომელიც სწორედ არსებითა და შეიცავს თავის-თავში წინააღმდეგობას. გონებამახვილი რეფლექსია, მოვიხსენიებთ აქ მას, პირიქით, წინააღმდეგობის გაგებასა და გამოთქმაში მდგომარეობს. თუმცა იგი ვერ გამოხატავს საგანთა ცნებას და მათ ურთიერთობას, არამედ თავის მასალად და შინაარსად მას მხოლოდ წარმოდგენის განსაზღვრანი აქვს, მაგრამ მას მაინც ისინი ისეთ თანაფარდობაში მოჰყავს, რომელიც შეიცავს მათ წინააღმდეგობას, და ამით აიძულებს მათს ცნებას ამ წინააღმდეგობისავე მეშვეობით

გამოშუქდეს. მოაზროვნე გონება კი ამახვილებს, ასე ვთქვათ, განსხვავებულის დაჩლუნგებულ სხვაობას, წარმოდგენის უბრალო მრავალწარმოებას, არსებითს განსხვავებამდე, დაპირისპირებულობამდე. მხოლოდ ამ გზით მრავალგვარობანი, წინააღმდეგობის მწვერვალზე აყვანილნი, ხდებიან მოძრავი და ცოცხალი ერთიმეორის მიმართ და იძენენ მასში იმ უარყოფითობას, რომელიც თვითმოძრაობისა და ცხოველმყოფელობის შინაგან პულსაციას წარმოადგენს..... (70—71) [522—523]

NB

(1) ჩვეულებრივი წარმოდგენა სწვდება განსხვავებას და წინააღმდეგობას, მაგრამ არა **გადასვლას** ერთისას მეორეში. ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია.

(2) გონებამახვილობა და ჭკუა.

გონებამახვილობა სწვდება წინააღმდეგობას, გამოთქვამს მას, მოჰყავს ნივთები ერთიმეორისადმი მიმართებაში, აიძულებს „ცნებას გამოშუქდეს წინააღმდეგობის მეშვეობით“, მაგრამ არ გამოხატავს ნივთთა ცნებას და მათს მიმართებას.

(3) მოაზროვნე გონება (ჭკუა) ამახვილებს განსხვავებულის დაჩლუნგებულ სხვაობას, წარმოდგენათა მარტივ სხვადასხვაგვარობას, არსებითს განსხვავებამდე, დაპირისპირებულობამდე. მხოლოდ წინააღმდეგობის მწვერვალზე აყვანილნი, ხდებიან სხვადასხვაგვარობანი მოძრავი (regsam) და ცოცხალი ერთიმეორის მიმართ, — ღებულობენ* იძენენ იმ ნეგატიურობას, რომელიც თვითმოძრაობისა და ცხოველმყოფელობის შინაგან პულსაციას წარმოადგენს.

* სიტყვა „ღებულობენ“ ხელნაწერში წაშლილია. რ. ე. დ.

დანაწილებანი:

Der Grund — (საფუძველი)

(1) აბსოლუტური საფუძველი — die Grundlage (ფუძე). „ფორმა და მატერია“.

„შინაარსი“.

(2) გარკვეული საფუძველი (როგორც საფუძველი გარკვეული შინაარსისათვის)

გადასვლა მისი გამაპირობებელ
გამეშვეებში
die bedingende Vermittelung

(3) საგანი თავისთავად (გადასვლა არსებობაში). შენიშვნა. «საფუძვლის კანონი».

ჩვეულებრივი: «ყველაფერს აქვს თავისი საკმაო საფუძველი».

«ამ წინადადების აზრი სხვა არაფერია საერთოდ, თუ არა ის, რომ ყველაფერი, რაც არის, უნდა განხილულ იქნეს არა როგორც არსებული უშუალობა, არამედ როგორც დადგენილი; ის არ უნდა ჩერდებოდეს უშუალო არსებობაზე ან გარკვეულობაზე საერთოდ, არამედ უნდა უბრუნდებოდეს მათგან თავის საფუძველს»... (76) [528] ზედმეტი დამატება: საკმაო საფუძველი. არასაკმაო არ არის საფუძველი.

ლაიბნიცს, რომელმაც საკმაო საფუძვლის კანონი თავისი ფილოსოფიის ბაზად აქცია, უფრო ღრმად ესმოდა ეს. ლაიბნიცი საფუძვლის საკმარისობას უპირისპირებდა უმთავრესად მიზეზობრიობას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, როგორც მოქმედების «მექანიკურ ხერხს». (76) [528] ის ეძებდა „Beziehung“ der Ursachen * (77) [528—529], — — «მთელს როგორც არსებითს ერთიანობას».

ის ეძებდა მიზეზებს, მაგრამ ტელეოლოგია აქ მოსატანი არ არის, არამედ იგი ეხება მოძღვრებას ცნებაზე.

* — «მიზეზთა მიმართებას». რ ე დ.

...«არ შეიძლება კითხვის მიცემა, თუ როგორ მიეკუთვნება ფორმა არსებას, რადგან პირველი არის მხოლოდ გამოშუქება უკანასკნელისა თავის-თავში, მისი დამახასიათებელი (sic!) საკუთარი რეფლექსია»... (81) [532—533]

ფორმა არსებითია. არსება ფორმირებულია. ასე თუ ისე არსებაზე დამოკიდებულებითაც...

არსება როგორც უფორმო იგივეობა (თავის თავთან) იქცევა მატერიად. (82) [533]

«...იგი» (die Materie *) «არას საკუთარი საფუძველი ანუ ფორმის სუბსტრატი»... (82) [533]

«თუ მოვახდენთ ამა თუ იმ რაიქს აბსტრაქტირებას ყოველგვარ განსაზღვრათაგან, ყოველგვარი ფორმისაგან, დარჩება გაურკვეველი მატერია. მატერია არის რაღაც სრულიად აბსტრაქტული (— არ შეიძლება მატერიის დანახვა, შეხება და ა. შ., — ის, რასაც ხედავენ, ეხებიან, არის უკვე გარკვეული მატერია, ე. ი. მატერიისა და ფორმის ერთიანობა)». (82) [534]

მატერია არ არის ფორმის საფუძველი, არამედ საფუძვლისა და დაფუძნებულის ერთიანობაა. (83) [535] მატერია არის პასიური, ფორმა — აქტიური (tätiges) (83) [535] «მატერია უნდა გაფორმდეს, ფორმა კი უნდა მატერიალიზებულ იქნეს»... (84) [535]

«ის, რაც ფორმის მოქმედებად გვევლინება, არის შემდეგ ამდენადვე საკუთარი მოძრაობა თვით მატერიისა»... (85—86) [537]

...«ერთიც და მეორეც, ფორმის მოქმედება და მატერიის მოძრაობა, ერთი და იგივეა... მატერია, როგორც ასეთი, გარკვეულია ან მას აუცილებლად რაიმე ფორმა აქვს, ფორმა კი არის უბრალოდ მატერიალური, მყარი ფორმა». (86) [538]

შენიშვნა: «ტავტოლოგიური საფუძველებიდან ახსნის ფორმალური წესი».

NB

* — მატერია. რედ.

ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ფიზიკურ მეცნიერებებში, „საფუძვლებს“ ტავტოლოგიურად ხსნიან: დედამიწის მოძრაობას ხსნიან მზის „მიმზიდველი ძალით“. მიმზიდველი ძალა კი რაღა არის? იგივე მოძრაობა! (92) [544] ცარიელი ტავტოლოგია: რატომ მიდის ეს კაცი ქალაქში? ქალაქის მიმზიდველი ძალის გამო! (93) [544]. ხდება ისედაც, რომ მეცნიერებაში წამოაყენებენ ჯერ, როგორც „საფუძველს“ — მოლექულებს, ეთერს, „ელექტრულ მატერიას“ (95—96) [547] etc, შემდეგ კი აღმოჩნდება, «რომ ისინი» (ეს ცნებები) «არიან არსებითად ისეთი განსაზღვრანი, რომლებიც გამოყვანილია იქიდან, რასაც ისინი უნდა ასაბუთებდნენ, არიან ჰიპოთეზები და გამონაგონი, გამოყვანილნი არაკრიტიკული რეფლექსიიდან»... (96) [547] ანდა ამბობენ, რომ ჩვენ «არ ვიცით თვით ამ ძალთა და მატერიათა არსება»... (96) [547] მაშინ „ახსნაც“ არ იყო საჭირო, არამედ მხოლოდ ფაქტებით დავკმაყოფილდებოდითო...

Der reale Grund *... არ არის ტავტოლოგია, არამედ უკვე «სხვა განსაზღვრაა შინაარსისა». (97) [548—549]

„საფუძვლის“ (Grund) საკითხზე ჰეგელი შენიშნავს, სხვათა შორის:

«თუ ბუნების შესახებ ამბობენ, რომ ის სამყაროს საფუძველია, მაშინ ის, რასაც ბუნება ეწოდება, ერთი მხრივ, ი გ ი ვ ე ა, რაც სამყაროც, და სამყარო სხვა არაფერია, თუ არა თვით ბუნება». (100) [552] მეორე მხრივ, «იმისათვის, რომ ბუნება სამყარო გახდეს, მას გარედან უერთდება კიდევ განსაზღვრათა მრავალსახეობა»...

რადგან ყოველ ნივთს „mehrere“— „Inhaltsbestimmungen, Verhältnisse und Rücksichten“ ** აქვს, ამიტომ შეიძლება უთვალავი საბუთის მოყვანა მის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. (103) [554—

* — რეალური საფუძველი. რ ე დ.

** — «მრავალი» — შინაარსის განსაზღვრა, მიმართება და მოსაზრება. რ ე დ.

555] სწორედ ამას უწოდებდნენ სოკრატე და პლატონი სოფისტიკას. ასეთი საბუთები არ შეიცავენ «ნივთის მთელ მოცულობას», არ «ამოსწურავენ» მას («ნივთის კავშირის მოცუვის» აზრით და «შეიცავენ ყველა» მის მხარეს).

საფუძვლის (Grund) გადასვლა პირობაში (Bedingung).

მაგრამ „წმინდა ლოგიკური“ დამუშავება? Das fällt zusammen ***. ეს უნდა ემთხვეოდეს. როგორც ინდუქცია და დედუქცია „კაპიტალში“

If I'm not mistaken, there is much mysticism and leeres* პედანტიზმი აქვს ჰეგელს ამ დასკვნებში, მაგრამ გენი-ალურია ძირითადი იდეა: მსოფლიო, ყოველმხრივი, ცოცხალი კავშირისა ყოველივესი ყოველივესთან და ამ კავშირის ასახვა — materialistisch auf den Kopfgestellter Hegel** — ადამიანის ცნებებში, რომლებიც უნდა იქნენ აგრეთვე გათლილი, მოტეხილი, მოქნილი, მოძრავი, რელატიური, ურთიერთდაკავშირებული, ერთიანი დაპირისპირებულობებში, რათა მოიცვან სამყარო. ჰეგელისა და მარქსის საქმის განგრძობა უნდა მდგომარეობდეს ადამიანის აზრის, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის დიალექტიკურ დამუშავებაში.

ხშირად ჰეგელი ხმარობს სიტყვას „მომენტი“ კავშირის მომენტის, გადაბმულობის მომენტის აზრით

მდინარე და წვეთები ამ მდინარეში. თვითეული წვეთის მდებარეობა, მისი მიმართება სხვებთან; მისი კავშირი სხვებთან; მისი მოძრაობის მიმართულება; სისწრაფე; მოძრაობის ხაზი—სწორი, მრუდი, მრგვალი etc. — ზევითყენ, ქვევითყენ. მოძრაობის ჯამი. ცნებები როგორც აღრიცხვა მოძრაობის ცალკეული მხარეებისა, ცალკეული წვეთებისა (= „ნივთებისა“), ცალკეული „ნაკადებისა“ etc. აი à peu près**** სამყაროს სურათი ჰეგელის ლოგიკის მიხედვით, რათქმაუნდა, დვთაებისა და აბსოლუტის გამოკლებით.

* — თუ არ ვცდები, აქ ბევრი მისტიციზმი და ცარიელი. რ ე დ.

** — მატერიალისტურად გადმოყირავებული ჰეგელი. რ ე დ.

*** — ეს ემთხვევა. რ ე დ.

**** — დაახლოებით. რ ე დ.

«თუ მოცემულია რომელიმე საგნის ყველა პირობა, მაშინ იგი შედის არსებობაში»...
(116) [568]

ძალიან კარგია! რა შუაშია აქ აბსოლუტური იდეა და იდეალიზმი?

სასაცილოა ეს „გამოყვანა“ ... ა რ ს ე ბ ო -
ბ ი ს ა...

მეორე განყოფილება:

მოვლენა

პირველი ფრაზა: «არსება უნდა ვლინდებოდეს»... (119) [571] არსების (გა)მოვლენა არის (1) Existenz (ნივთი); (2) მოვლენა (Erscheinung). («მოვლენა არის ის, რაც არის ნივთი თავისთავად ან უკანასკნელის ჰეშმარიტება», გვ. 120 [572]). «მოვლენათა სამყაროს უპირისპირდება თავის-თავში რეფლექსირებული, თავისში არსებული სამყარო»... (120) [572] (3) Verhältnis (მიმართება) და სინამდვილე.

სხვათა შორის: «მტკიცება არის საერთოდ გამეშვებელი შემეცნება»... (121) [573]

...«ყოფიერების სხვადასხვა სახეობანი მოითხოვენ სწორედ მათ დამახასიათებელ გამეშვების სახეებს ან შეიცავენ მათ თავის-თავში; ამიტომ დამტკიცების ბუნებაც თვითეული მათგანის მიმართ სხვადასხვაა»..... (121) [573]

და მერმე... ღმერთის არსებობის შესახებ! საწყალი ეს ღმერთი, როგორც კი სიტყვა არსებობას ახსენებენ, იგი მაშინვე განაწყენდება.

არსებობა განსხვავდება ყოფიერებისაგან თავისი გამეშვებით (Vermittelung: 124 [576]).

[ქონკრეტულობით და კავშირით?]

...«ნივთს თავისთავად და მისს გამეშვებულ ყოფიერებას ორივეს შეიცავს არსებობა და ორივენი თვითონ არსებობაა; ნივთი თავისთავად არსებობს, როგორც არსებითი არსებობა საგნისა, გამეშვებული ყოფიერება კი არის

ნივთის არაარსებითი არსებობა»... (125)
[577—578]

? ნივთი თავისთავად ისეთ მიმართება-
შია ყოფიერებასთან, როგორც არსები-
თი არაარსებითთან?

...«უკანასკნელს» (Ding-an-sich) «არ უნდა ჰქონდეს თვით თავის-თავში არავითარი გარკვეული მრავალსახეობა და ამიტომ ამ მრავალსახეობას იგი იძენს მხოლოდ მაშინ, როცა გარეგან რეფლექსიაში გადაიტანება, მაგრამ ამასთან მისდამი იგი ინდიფერენტული რჩება. (— ნივთს თავისთავად ფერი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა თვალთან მიიტანება, სუნი — ცხვირთან და ა. შ.)»... (126) [578]

...«ნივთს აქვს თვისება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სხვაში გამოიწვიოს ესა თუ ის და გამომამკლავნოს თავისი-თავი თავისებურად თავის მიმართებაში ამ სხვასთან»... (129) [581] «ნივთი თავისთავად არსებობს, მაშასადამე, არსებითად»... (131) [583]

შენიშვნაში ლაპარაკია «ტრანსცენდენტალური იდეალიზმის ნივთზე თავისთავად»...

...«ნივთი თავისთავად როგორც ასეთი სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი აბსტრაქცია ყოველგვარი გარკვეულობისაგან, რომლის შესახებაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება რაიმე ვიცოდეთ, სწორედ იმიტომ, რომ ის უნდა იყოს აბსტრაქცია ყოველივე განსაზღვრისაგან»... (131) [583]

«ტრანსცენდენტალურ იდეალიზმს... ნივთთა ყოველგვარი გარკვეულობა, როგორც «ფორმით, ისე შინაარსითაც გადააქვს ცნობიერებაში»... (131) [583] «ამიტომ ამ თვალსაზრისით ჩემში, სუბიექტში, ხდება ის, რომ ხის ფოთლებს ვხედავ არა შავად, არამედ მწვანედ, მზეს მრგვალს და არა ოთხკუთხედს, რომ შაქარი ჩემი გემოვნებისათვის ტკბილია და არა მწარი, რომ საათის პირველსა და მეორე დაკვრას მე განვსაზღვრავ, როგორც თანმიმდევრულს და არა როგორც ერთდროულს, ასევე, პირველს არა როგორც მიზეზს და არც

როგორც მეორის მოქმედებას და ა. შ.» (131) [583] ...ჭეგელი დასძინს შემდეგ, რომ აქ იგი განიხილავდა მხოლოდ საკითხს ნივთისა თავისთავად და „äußerliche Reflexion“-ის * შესახებ.

დედარსი =
=სუბიექტი-
ვიზმისა და
ნივთისა თავისთავად და მოვლენათა შორის წყვეტილობის წინააღმდეგ

«არსებითი არასაკმარისობა კი იმ თვალსაზრისისა, რომელზეც აღნიშნული ფილოსოფია ჩერდება, ისაა, რომ იგი მტკიცედ იცავს აბსტრაქტულ ნივთს თავისთავად, როგორც ერთგვარ საბოლოო განსაზღვრას, და უპირისპირებს ნივთს თავისთავად რეფლექსიას ან გარკვეულობას და თვისებათა მრავალსახეობას; სინამდვილეში კი ნივთს თავისთავად თავის-თავში აქვს არსებითად ეს გარეგანი რეფლექსია და განსაზღვრავს თავის-თავს, როგორც ისეთ რაიმეს, რაც აღჭურვილია თავისი საკუთარი განსაზღვრებებით, თვისებებით, რის გამოც ნივთის ის აბსტრაქცია, რომლის ძალითაც ის არის წმინდა საგანი თავისთავად, ირკვევა, რომ არაჭეშმარიტი განსაზღვრაა». (132) [584]

...«მრავალი სხვადასხვა ნივთი თავისი თვისებების მეოხებით არსებითს ურთიერთქმედებაშია; თვისება არის თვით ეს ურთიერთმიმართება, და ნივთი მის გარეშე არაფერია»... (133) [585]

Die Dingheit** გადაღის Eigenschaft-ში*** (134) [585] Eigenschaft გადაღის „მატერიაში“ ანუ „Stoff“-ში**** („საგნები შედგება ნივთიერებათაგან“) etc.

«მოვლენა არის... უწინარეს ყოვლისა არსება თავის არსებობაში»... (144) [596] «მოვლენა არის... მოჩვენებითობისა და არსებობის ერთიანობა»... (145) [597]

კანონი (მოვლენათა)

ერთიანობა მოვლენებში: «ეს ერთიანობა არის მოვლენის კანონი. ამრიგად, კანონი არის დადებითი იმის გამეშვებაში, რაც გვევლინება». (148) [600]

- * — «გარეგანი რეფლექსიის». რ ე დ.
- ** — ნივთობა. რ ე დ.
- *** — თვისებაში. რ ე დ.
- **** — «ნივთიერებაში». რ ე დ.

[აქ] საერთოდ დიდი უკუნეთია. მაგრამ, ეტყობა, არის ცოცხალი აზრი: კანონის ცნება არის ადამიანის მიერ სამყაროს პროცესის ერთიანობისა და კავშირის, ურთიერთდამოკიდებულებისა და მთლიანობის შემეცნების ერთი საფეხურთაგანი. სიტყვებისა და ცნებების „შემომტვრევა“ და „გადაბრუნება“, რასაც ჰეგელი აქ აკეთებს, არის ბრძოლა კანონის ცნების გააბსოლუტებასთან, მის გამარტივებასთან, მის გაფუტიშებასთან. N B თანამედროვე ფიზიკისათვის!!!

«ეს შენარჩუნებული მდგრადობა, რაც მოვლენას გააჩნია კანონში»... (149) [600]

«კანონი არის რეფლექსია მოვლენისა თავის-თავთან იგივეობაში». (149) [601] (კანონი არის იდენტური მოვლენებში: „ასახვა მოვლენისა მის იდენტურობაში თავის-თავთან“).

...«ეს იგივეობა, მოვლენის საფუძველი, რომელიც კანონს შეადგენს, მოვლენის საკუთარი მომენტი... (150) [602] ამიტომ კანონი არის არა მოვლენის მიღმამყოფი, არამედ იგი ამ მოვლენას უშუალოდ ეკუთვნის; კანონების სამყარო არის წყნარი (ხაზგასმა ჰეგელისაა) ასახვა არსებული ან გამოვლინების პროცესში მყოფი სამყაროსი»...

ეს არის შესანიშნავად მატერიალისტური და შესანიშნავად მოხდენილი (სიტყვით „ruhige“ *) განსაზღვრა. კანონი იღებს წყნარს—და ამიტომ კანონი, ყოველი კანონი, არის ვიწრო, არასრული, დაახლოებითი.

NB

კანონი
არის მყარი
(რომელიც
რჩება)
მოვლენაში

(კანონი არის
იდენტური
მოვლენაში)

NB

კანონი =
მოვლენათა
წყნარი
ასახვა
NB

* — «წყნარი». რ. ე. დ.

NB
კანონი
არის არსე-
ბითი მოვ-
ლენა

«არსებობა უბრუნდება კანონს, როგორც თავის საფუძველს; მოვლენა შეიცავს ერთსაც და მეორესაც, მარტივ საფუძველს და დამ-
შლელ მოძრაობას გამოვლენის პროცესში მყოფი უნივერსუმისას, რომლის არსებითობასაც საფუძველი შეადგენს». «მაშასადამე, კანონი არის არსებითი მოვლენა». (150) [602]

Ergo, კანონი და არსება ერთგვაროვანი (ერთი რიგის) ან, უფრო სწორად, ერთხარისხოვანი ცნებებია, რომელნიც გამოხატავენ ადამიანის მიერ მოვლენათა, სამყაროს etc შემეცნების გაღრმავებას.

NB
(კანონი არის ასახვა არსებობისა უნივერსუმის მოძრაობაში)
(მოვლენა მთლიანობა, ტოტალობა)
(კანონი = ნაწილი)
(მოვლენა კანონზე უფრო მდიდარია)

უნივერსუმის მოძრაობა მოვლენებში (Bewegung des erscheinenden Universums), ამ მოძრაობის არსებითობაში არის კანონი.

«კანონების სამყარო არის მოვლენის წყნარი შინაარსი; მოვლენა კი იგივე შინაარსია, მაგრამ იგი წარმოგვიდგება მოუსვენარ ცვლაში და როგორც რეფლექსია მეორეში... ამიტომ მოვლენა კანონის მიმართ არის ტოტალობა, ვინაიდან იგი შეიცავს კანონს და კიდევ უფრო მეტსაც — სახელდობრ თვითმოძრავი ფორმის მომენტს». (151) [602—603]

მაგრამ შემდეგ, თუმცა ბუნდოვანად, აღიარებულია, ვგონებ, გვ. 154 [605], რომ კანონს შეუძლია შეავსოს ეს *Mangel**, მოიცავს უარყოფითი მხარეც, აგრეთვე *Totalität der Erscheinung*** (განსაკუთრებით 154 i. f. [606]) უნდა დაუბრუნდე!

* — ნაკლი. რედ.

** — მოვლენის მთლიანობა. რედ.

სამყარო თავისთავად მოვლენათა სამყაროს იგივეურია, მაგრამ ამავე დროს დაპირისპირებულია მისდამი. (158) [610—611] ის, რაც ერთში დადებითია, მეორეში უარყოფითია. ის, რაც მოვლენათა სამყაროში ბოროტებაა, სამყაროში თავისთავად იგი სიკეთეა. შეად. — ამბობს აქ ჰეგელი — სულის ფენომენოლოგია, გვ. 121 და ff.

«მოვლინებადი და არსებითი სამყარო... ორივე არის არსებობის თავისთავადი მთლიანობა; ერთი უნდა ყოფილიყო მხოლოდ რეფლექსირებული არსებობა, მეორე კი — უშუალო არსებობა, მაგრამ თვითეული განუწყვეტლივ გრძელდება მისივე სხვაში და ამიტომ თვით თავის-თავში ამ ორივე მომენტის იგივეობაა... ორივე სამყარო, უწინარეს ყოვლისა, თავისთავადია, მაგრამ ისინი ასეთებია მხოლოდ როგორც მთლიანობანი, და ასეთებია იმდენად, რამდენადაც თვითეული არსებითად შეიცავს მეორის მომენტს»... (159—160) [611]

აქ დედაარსი ისაა, რომ მოვლენათა სამყაროც და სამყარო თავისთავადაც მომენტებია ადამიანის მიერ ბუნების შემეცნებისა, საფეხურებია, ცვლილებანი ან გაღრმავებანი (შემეცნებისა). გადაწევა სამყაროსი თავისთავად სულ უფრო შორსა და შორს მოვლენათა სამყაროსაგან — აი რა არ ჩანს ჯერ კიდევ ჰეგელთან. N B. ჰეგელისათვის ცნების „მომენტებს“ არა აქვთ გადასვლის „მომენტების“ მნიშვნელობა?

...«ამრიგად, კანონი არის არსებითი მიმართება». (160) [612] (ხაზგასმა ჰეგელისა)

კანონი არის მიმართება. ეს N B მახისტებისა და სხვა აგნოსტიკოსებისთვის და კანტელებისთვის etc. მიმართება არსებობათა ან არსებათა შორის.

«სიტყვა სამყარო გამოხატავს საერ-

თოდ მრავალსახეობის უფორმო ტოტალობას»... (160) [612]

და მე-3 თავი («არსებითი მიმართება») იწყება დებულებით: «მოვლენის ჭეშმარიტება არის არსებითი მიმართება»... (161) [612]

დანაწილებანი:

მიმართება მთელისა ნაწილთან (sic!! (გვ. 168 [619—620]), ეს მიმართება გადაღის შემდეგში): — ძალისა მის გამოვლენასთან; — შინაგანისა და გარეგანისა. — გადასვლა სუბსტანციიზზე, ნამდვილობაზე.

...«მიმართების ჭეშმარიტება მდგომარეობს, ამრიგად, გამეშვებაში»... (167) [619]

„გადასვლა“ ძალაზე: «ძალა არის უარყოფითი ერთიანობა, რომელშიც გადაწყვეტილია მთელისა და ნაწილების წინააღმდეგობა, ჭეშმარიტება ამ პირველი მიმართებისა». (170) [621]

((ეს ერთ-ერთია 1000 მსგავსი ადგილიდან ჰეგელთან, რომლებსაც მოთმინებიდან გამოჰყავს გულუბრყვილო ფილოსოფოსები, როგორცაა Pearson-ი, „The Grammar of Science“-ის⁵⁵ ავტორი. — მას მოჰყავს მსგავსი ადგილიდან ციტატი და ცოფს ჰყრის: რას ასწავლიანო, ასეთ აბდაუბდას, ჩვენს სკოლებშიო!! და იგი ერთ გვარად, ნაწილობრივ მართალია. ამის სწავლება უაზრობაა. აქედან საჭიროა ჯერ მატერიალისტური დიალექტიკის გამოჩენა. ეს კი 1/10 ჩენჩოა, ნაგავია.))

ძალა გვევლინება როგორც „კუთვნილება“ (als angehörig) (171) [623] „არსებული ნივთისა ან მატერიისა“ ...«თუ ამის გამო საკითხი ისმის, ნივთი ან მატერია როგორ მიდის იქამდე, რომ რაღაც ძალა ჰქონდეს, მაშინ უკანასკნელი წარმოგვიდგება გარეგნულად მათთან დაკავშირებული და ნივთში ჩანერგილი რაიმე უცხო ძალადობის მეშვეობით». (171) [623]

...«ყველა ბუნებრივ, მეცნიერულ და სულიერ განვითარებაში საერთოდ ჩანს, ამის შეცნობა კი

არსებითა, რომ პირველი, სანამ რაიმე არის მხოლოდ შინაგანი ან აგრეთვე თავის ცნებაში, სწორედ ამიტომ არის ცნების უშუალო, პასიური იქყოფნა... (181) [633]

#

ყოველივეს დასაწყისი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შინაგანი — პასიური — და ამავე დროს გარეგანი.

მაგრამ აქ საინტერესოა არა ეს, არამედ სხვა: დიალექტიკის კრიტიკური უმი, რომელიც ჰეგელს უცაბედად გამოუსხლტა: „ყველა ბუნებრივ, მეცნიერულ და სულიერ განვითარებაში“: აისად არის ღრმა ჭეშმარიტების მარცვალი ჰეგელელობის მისტიკურ ჩენჩოში!

მაგალითი: ადამიანის ჩანასახი არისო მხოლოდ შინაგანი ადამიანი, dem Anderssein Preisgegebenes*, პასიური. Gott** დასაწყისში ჯერ კიდევ არ არის სული. «ამიტომ ღმერთი უშუალოდ არის მხოლოდ ბუნება». (182) [633—634] (ესეც დამახასიათებელია!!)

ფოიერბახი
daran
„knüpft
an“ ***
ძირს Gott,
რჩება
Natur****.

* — გადაცემული სხვადაყოფიერების ძალაუფლებაში. რედ.
** — ღმერთი. რედ.
*** — «მხარს უჭერს» ამას. რედ.
**** — ბუნება. რედ.

მისამდე განყოფილება:

ნამდვილობა

...«ნამდვილობა არის არსებისა და არსებობის ერთიანობა»... (184) [636]

დანაწილებანი: 1) „აბსოლუტი“ — 2) საკუთრივ ნამდვილობა. „ნამდვილობა, შესაძლებლობა და აუცილებლობა შეადგენენ აბსოლუტის ფორმალურ მომენტებს“. 3) „აბსოლუტური მიმართება“: სუბსტანცია*.

«თვით მასში» (dem Absoluten) «არ არის არავითარი ქმნადობა» (187) [639] — და სხვა სისულელე აბსოლუტის შესახებ...

აბსოლუტი არის აბსოლუტური აბსოლუტი... ატრიბუტი არის რელატიური » ...

„შენიშვნაში“ ჰეგელი ლაპარაკობს (მეტად ზოგადად და ბუნდოვნად) სპინოზასა და ლაიბნიცის ფილოსოფიის ნაკლოვანებებზე.

ჩვეულებრივ:
ერთი უკიდურესობიდან მეორემდე

მთლიანობა =
(სახით) გაფანტული სისრულე

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს:

«რომელიმე ფილოსოფიური პრინციპის ცალმხრიობას ჩვეულებრივ თავის თავს უპირდაპირებს საპირისპირო ცალმხრიობა, და, როგორც ყოველთვის ხდება, წარმოიქმნება მათი მთლიანობა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ერთგვარი გაფანტული სისულე». (197) [649]

* აქ ვ. ი. ლენინს ჩამოთვლილი აქვს III განყოფილების თავები: «აბსოლუტური»; 2) «ნამდვილობა»; 3) «აბსოლუტური მიმართება». რ. ე. დ.

ნამდვილობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე ყოფიერება და არსებობა.

- (1) ყოფიერება უშუალოა. «ყოფიერებაა ჯერ არ არის ნამდვილი». (200) [652]
- (2) არსებობა (იგი გადადის მოვლენაში) იგი გადადის სხვაში. — გამოდის საფუძვლიდან, პირობებიდან, მაგრამ მასში ჯერ არ არის „რეფლექსიისა და უშუალობის“ ერთიანობა.
- (3) ნამდვილობა ერთიანობა არსებობისა და ყოფიერებისა თავისთავად (Ansichsein).

...«ნამდვილობა აგრეთვე უფრო მაღლა დგას, ვიდრე არსებობა». (200) [652]...

...«რეალური აუცილებლობა შინაარსიანი მიმართებაა» (211) [663]... «მაგრამ ეს აუცილებლობა ამასთანავე შეფარდებითია»... (211) [663]

«აბსოლუტური აუცილებლობა არის, მაშასადამე, ჭეშმარიტება, რომელშიც უკან ბრუნდება ნამდვილობა და შესაძლებლობა საერთოდ ისევე, როგორც ფორმალური და რეალური აუცილებლობა». (215) [667]

(გაგრძელება) *...

(ლოგიკის II ტომის, არსებაზე მოძღვრების ბოლო)...

აღსანიშნავია, რომ მცირე ლოგიკაში (ენციკლოპედია) ⁵⁶ ძალიან ხშირად იგივე გადმოცემულია უფრო ნათლად, კონკრეტული მაგალითებით. შეად. idem ენგელსი და კუნო-ფიშერი ⁵⁷.

„შესაძლებლობის“ საკითხის გამო ჰეგელი აღნიშნავს ამ კატეგორიის სიცარიელეს და ენციკლოპედიაში ამბობს:

* აქედან ვ. ი. ლენინის ჩანაწერი გადადის ახალ რვეულში. რ ე დ.

«შესაძლებელია რაიმე თუ შეუძლებელი, ეს დამოკიდებულია შინაარსზე, ე. ი. იმ ნამდვილობის მომენტების ერთობლიობაზე, რომელიც თავის გაშლაში მყდვენდება როგორც აუცილებლობა». (ენციკლოპედია, ტომი VI, გვ. 287 * [242] **, § 143, დამატება.)

„ნამდვილობის მომენტების მთლიანობა, ერთობლიობა, ნამდვილობისა, რომელიც თავის გაშლაში მყდვენდება როგორც აუცილებლობა“.
ნამდვილობის მომენტების მთელი ერთობლიობის გაშლა N B = დიალექტიკური შემეცნების დედაარსი.

შეად. იმავე ენციკლოპედიაში, ტომი VI, გვ. 289 [243] მკვერმეტყველური სიტყვები ბუნების მოვლენათა სიმდიდრითა და ცვლით გამოწვეული ცარიელი აღტაცების ამაოებაზე და აუცილებლობაზე.

...«წინსვლა ბუნების შინაგანი ჰარმონიისა და კანონზომიერების სულ უფრო ზუსტი გაგებისაკენ»... (289) [243] (მატერიალიზმთან სიახლოვე).

Ibid. ენციკლოპედია, გვ. 292: [246—247]: «განვითარებული ნამდვილობა, როგორც ერთიანობაში თანამთხვევი ცვლა შინაგანისა და გარეგანისა, ცვლა ნამდვილობის დაპირისპირებულ მოძრაობათა, რომელნიც გაერთიანებული არიან ერთიან მოძრაობად, — არის სწორედ აუცილებლობა».

ენციკლოპედია, ტომი VI, გვ. 294 [248]: «ბრმა არის აუცილებლობა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი გაგებულ არაა»...

Ib. გვ. 295 [248] «მას» (dem Menschen ***)... «ემართება ისე... რომ მისი მოქმედებიდან გამოდის რაღაც სრულიად სხვა, ვიდრე ის ფიქრობდა და მას სურდა»...

* Hegel. Werke, Bd. VI. Berlin, 1840. რედ.

** Гегель. Сочинения, т. I, М—Л., 1930. რედ.

*** — ადამიანს. რედ.

Ib. გვ. 301 [253] «სუბსტანცია მნიშვნელოვანი საფეხურია იდეის განვითარების პროცესში»...

წაიკითხე: მნიშვნელოვანი საფეხური ადამიანის მიერ ბუნებისა და მატერიის შემეცნების პროცესში.

Logik *, ტომი IV

...«იგი» (die Substanz) «არის ყოფიერება ყოველ ყოფიერებაში»... (220) ** [671] ***

სუბსტანციურობის მიმართება გადაღის კაუზალობის მიმართებაში. (223) [674]

...«სუბსტანციას აქვს... ნამდვილობა მხოლოდ როგორც მიზეზს»... (225) [676]

ერთი მხრივ, მატერიის შემეცნება უნდა გაღრმავდეს სუბსტანციის შემეცნებამდე (ცნებამდე), რათა მოვლენათა მიზეზი მოინახოს. მეორე მხრივ, მიზეზის ნამდვილი შემეცნება არის გაღრმავება შემეცნების მოვლენათა გარეგნობიდან სუბსტანციამდე. ორგვარ მაგალითს შეეძლო ამის განმარტება: 1) ბუნებისმეტყველების ისტორიიდან და 2) ფილოსოფიის ისტორიიდან. უფრო ზუსტად: აქ „მაგალითები“ კი არ უნდა იყოს — *comparaison n'est pas raison* ****, — არამედ კვინტესენცია ერთისა და მეორის ისტორიის + ტექნიკის ისტორიის კვინტესენცია.

«მოქმედება არ შეიცავს... საერთოდ არაფერს ისეთს, რასაც არ შეიცავს მიზეზი»... (226) [677] und umgekehrt *****...

* — ლოგიკა. რედ.

** Hegel. Werke, Bd. IV. Berlin. 1834. რედ.

*** Гегель. Сочинения, т. V, М., 1937. რედ.

**** — შედარება არ არის დამტკიცება. რედ.

***** — და პირიქით. რედ.

მიზეზი და შედეგი, ergo, მხოლოდ მომენტებია სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებისა, კავშირისა (უნივერსალურის), მოვლენათა ურთიერთგადაჯაჭვულობისა, მხოლოდ რგოლებია მატერიის განვითარების ჯაჭვში.

N B:

«ერთი და იგივე საგანი ერთ შემთხვევაში აღმოჩნდება მიზეზი, მეორეში — მოქმედება, იქ როგორც თავისებური მდგრადობა, აქ როგორც დადგინება ან განსაზღვრა რაიმე სხვაში». (227) [678]

NB

ყოველმხრიობა და ყოვლისმომცველი ხასიათი სამყაროს კავშირისა, რომელსაც მხოლოდ ცალმხრივად, NB ნაწყვეტ-ნაწყვეტად და არასრულად გამოხატავს კაუზალობა.

«აქვე შეიძლება კიდევ აღინიშნოს ის, რომ, რამდენადაც მიზეზისა და მოქმედების მიმართება, თუნდაც არა საკუთარი აზრითაც, დასაშვებია, მოქმედება არ შეიძლება მიზეზზე მეტი იყოს; ეს იმიტომ, რომ მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა მიზეზის გამოვლენა». (230) [681]

ისტორიაში
„დიდ მოვ-
ლენათა
მცირე მი-
ზეზები“

და შემდეგ ისტორიის შესახებ. მასში მიღებულია ანეგდოტების მოყვანა, როგორც დიდ მოვლენათა მცირე „მიზეზები-სა“ — სინამდვილეში კი ეს მხოლოდ საბაბია, მხოლოდ äußere Erregung*, «რაც მოვლენის შინაგან სულს შეიძლება არც დასჭირებოდა». (230) [681] «ეს არაბესკების სტილის შესაფერი ისტორიული ფერწერა, რომლის მიხედვითაც რომელიმე დიადი სახე სუსტ ღეროზე აღმოცენდება, წარმოადგენს ამიტომ, რა თქმა უნდა, ისტორიის მახვილგონიერ, მავრამ უაღრესად ზერელე განხილვას» (ib.).

* — გარეგანი აგზნება. რ. დ.

ეს „შინაგანი სული“ — შეად. პლეხანოვი⁵⁸ — არის იდეალისტური, მისტიკური, მაგრამ მეტად ღრმა მითითება მოვლენათა ისტორიულ მიზეზებზე. ჰეგელი ისტორიას სავსებით უქვემდებარებს კაუზალობას და მას 1000-ჯერ უფრო ღრმად და სრულად ესმის კაუზალობა, ვიდრე უამრავ „მეცნიერს“ ამჟამად.

«ასე, მაგალითად, ქვა, რომელიც მოძრაობს, არის მიზეზი; მისი მოძრაობა არის ერთგვარი განსაზღვრა, რაც მას გააჩნია და რის გარეშეც იგი კიდევ შეიცავს ბევრ სხვა განსაზღვრას ფერისას, ფორმისას და ა. შ., რომელნიც არ შედიან მისი მიზეზობრიობის შემადგენლობაში». (232) [683]

კაუზალობა, როგორც ჩვენ იგი ჩვეულებრივ გვესმის, არის მთელი სამყაროს კავშირის მხოლოდ მცირე ნაწილაკი, მაგრამ (მატერიალისტური დამატება) ნაწილაკი არა სუბიექტური, არამედ ობიექტურად რეალური კავშირისა.

«მიზეზობრიობის გარკვეული მიმართების მოძრაობის მეშვეობით მივიღეთ ახლა ის, რომ მიზეზი არა მარტო ქრება მოქმედებაში, და ამით ქრება მოქმედებაც, — როგორც ფორმალურ მიზეზობრიობაში, — არამედ მიზეზი თავის გაქრობაში, მოქმედებაში, კვლავ წარმოიშვება და რომ მოქმედება, ქრება რა მიზეზში, ასევე კვლავ წარმოიშვება მასში. თვითეული ამ განსაზღვრათაგანი მოხსნის თავის-თავს თავის დადგენაში და დაადგენს თავის-თავს თავის მოხსნაში; ეს არ არის მიზეზობრიობის გარეგანი გადასვლა ერთი სუბსტრატიდან რალაც მეორეში, არამედ ეს მათი სხვაღქმნადობა არის ამასთანავე მათი საკუთარი დადგენა. მაშასადამე, მიზეზობრიობა თვით გულისხმობს და განაპირობებს თავის-თავს». (235) [686]

„კახალის მიმართების მოძრაობა“ = ნამდვილად: მატერიის მოძრაობა respective ისტორიის მოძრაობა, რომელსაც ვწვდებით, ვითვისებთ მის შინაგან კავშირში სივრცის ან სიღრმის ამა თუ იმ ხარისხამდე...

«ურთიერთქმედება უწინარეს ყოვლისა წარმოგვიდგება როგორც ნაგულისხმევი, ერთი მეორის გამაპირობებელი სუბსტანციების ურთიერთმიზეზობრიობა; თვითეული მეორის მიმართ არის იმავე დროს აქტიური და პასიური სუბსტანცია». (240) [691]

«ურთიერთქმედებაში თავდაპირველი მიზეზობრიობა წარმოგვიდგება როგორც ერთგვარი წარმოშობა მისი უარყოფისაგან, პასიურობისაგან, და როგორც გაქრობა მასში, როგორც ერთგვარი ქმნადობა...

„კავშირი და მიმართება“

...ამ დამთხვევაში აუცილებლობა და მიზეზობრიობა. მაშასადამე, გაქრნენ; ისინი შეიცავენ ორივეს, უშუალო იგივეობას, როგორც კავშირს და მიმართებას, და განსხვავებულთა აბსოლუტურ სუბსტანციურობას,

„ერთიანობა სუბსტანციისა განსხვავებულში“

მაშასადამე, მათს აბსოლუტურ შემთხვევითობას; შეიცავენ სუბსტანციურ განსხვავებათა თავდაპირველ ერთიანობას, მაშასადამე, აბსოლუტურ წინააღმდეგობას. აუცილებლობა არის ყოფიერება, რადგან იგი არის; ერთიანობა ყოფიერებისა თავის-თავთან, რომელსაც საფუძვლად აქვს თავისი-თავი; მაგრამ პირიქითაც, რადგან მას ერთგვარი საფუძველი აქვს, იგი არ არის ყოფიერება, არამედ არის მხოლოდ მოჩვენებითობა.

მიმართება, მეშვეობა

მიმართება ან გამეშვეება. მიზეზობრიობა არის ეს დადგენილი გადასვლა თავდაპირველი ყოფიერებისა, მიზეზისა, მოჩვენებითობაში ან მარტივ დადგენილში და პირიქით, დადგენილისა — თავდაპირველობაში; მაგრამ თვით იგივეობა ყოფიერებისა და მოჩვენებითობისა ჯერ კიდევ შინაგანი აუცილებლობაა. ამ შინაგანობას ან ამ ყოფიერებას

თავისთავად მოხსნის მიზეზობრიობის მოძრაობა; ამით იკარგება მიმართებაში მყოფი მხარეების სუბსტანციურობა და მქლავნდება აუცილებლობა. აუცილებლობა იქცევა თავისუფლებად არა იმის გამო, რომ იგი ქრება, არამედ იმის გამო, რომ მქლავნდება მხოლოდ ჯერ კიდევ მისი შინაგანი იგივეობა» (241—242) [692—693]

აუცილებლობა არ ქრება, როცა თავისუფლებად იქცევა

როცა კაუზალობის შესახებ ჰეგელს კითხულობ, ერთი შეხედვით უცნაურად გეჩვენება, თუ რატომ შეჩერდა იგი შედარებით ასე ცოტახანს კანტელებისათვის ამ საყვარელ თემაზე. რატომ? იმიტომ, რომ მისთვის კაუზალობა არის მხოლოდ ერთი განსაზღვრა უნივერსალური კავშირისა, რომელიც მან გაცილებით უფრო ღრმად და ყოველმხრივ გაიგო უფრო ადრე, მთელ თავის გადმოცემაში, ყოველთვის და თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნავდა რა ამ კავშირს, ურთიერთგადასვლებს etc. etc. მეტად ყურადსაღები იქნებოდა შეგვედარებინა ახალი ემპირიზმის (respective „ფიზიკური იდეალიზმის“) „ჰაპანწყვეტა“ ჰეგელის მიერ საკითხების გადაწყვეტასთან, უფრო სწორად, ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდთან.

აღსანიშნავია კიდევ, რომ ენციკლოპედიაში ჰეგელი ხაზს უსვამს „ურთიერთქმედების“ შიშველი ცნების ნაკლოვანებას და სიცარიელეს.

ტომი VI, გვ. 308 * [259]**:

«მართალია, ურთიერთქმედებაც არის, რატემა უნდა, მიზეზისა და მოქმედების მიმართების უახლოესი ჰეშმარიტება და იგი დგას, ასე ვთქვათ, ცნების ზღურბლზე, მაგრამ სწორედ ამიტომ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ამ მიმართების გამოყენებით, რამდენადაც

** Hegel. Werke, Bd. VI, Berlin, 1840. რედ.

** Гегель. Сочинения, т. I, М.—Л., 1930. რედ.

მხოლოდ
„ურთიერთ-
ქმედება“ =
=სიცარიელე

მოთხოვნა მე-
შეუბნისა (კა-
ვშირისა)—აი
რაზეა ლაპა-
რაკი მიზეზო-
ბრიობის მი-
მართების
გამოყენების
დროს

NB

ყველა „ცალ-
კეული მხარე“
და მთელი
(„Begriff“ *)

საქმე ეხება შემეცნებას, რომელიც ცნებებში მიიღწევა. თუ იმაზე გავჩერდებით, რომ მოცემული შინაარსი მხოლოდ ურთიერთქმედების თვალსაზრისით განვიხილოთ, მაშინ ეს სინამდვილეში განხილვის ის წესი იქნება, რომელშიც სრულიად არ არის ცნება. ამ შემთხვევაში საქმე აქვთ მხოლოდ მშრალ ფაქტთან და კვლავ დაუკმაყოფილებელი რჩება გამეშვების მოთხოვნა, რასაც სწორედ უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება მიზეზობრიობის მიმართების გამოყენების დროს. ახლო განხილვისას ურთიერთქმედების მიმართების გამოყენებაში ნაკლოვანება ისაა, რომ ეს მიმართება იმის მაგივრად, რომ ცნების ეკვივალენტი იყოს, თვით უნდა იქნეს გაგებული. ურთიერთქმედების მიმართების გასაგებად კი მიმართების ორივე მხარე არ უნდა დაეტოვოთ როგორც უშუალოდ მოცემული; არამედ, როგორც ორ წინა პარაგრაფში ნაჩვენები იყო, ისინი უნდა მივიჩნიოთ მესამის, უფრო მაღალი განსაზღვრის, სახელდობრ ცნების მომენტებად. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ სპარტელი ხალხის ზნე-ჩვეულებებს მისი საზოგადოებრივი წყობილების შედეგად მივიჩნევთ და, პირიქით, საზოგადოებრივ წყობილებას კი — ზნე-ჩვეულებათა შედეგად, მაშინ, შესაძლებელია, ჩვენ გვექნეს სწორი შეხედულება ამ ხალხის ისტორიაზე, მაგრამ ეს გაგება მაინც ვერ მოგვცემს ვერავითარ საბოლოო დაკმაყოფილებას, იმიტომ რომ ასეთი ახსნის მეოხებით ვერ გავიგებთ ამ ხალხის ვერც საზოგადოებრივ წყობილებას, ვერც ზნე-ჩვეულებებს. ამის გაგება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ გავიგებთ, რომ მიმართების ორივე მხარე, სპარტელთა ხალხის ცხოვრებასა და ისტორიაში შესული, გამომდინარეობდა იმ ცნებიდან, რომელიც ყველა მათ საფუძვლად ედო». (308—309) [259—260]

* — «ცნება». რ ე დ.

ლოგიკის მეორე ტომის ბოლოს, ტომი IV, გვ. 243 [694]*, „ცნებაზე“ გადასვლისას მოცემულია განსაზღვრა: «ცნება, სუბიექტურობის ან თავისუფლების სამეფო»...

NB თავისუფლება = სუბიექტურობა, („ან“)
მიზანი, ცნობიერება, მისწრაფება
NB

* კვლავი ავტორის ფრანგულ ენაზე აღნიშნულია წიგნის გვერდები: Гегель. Сочинения, т. V, М., 1937. გვ. 243.

მეცამე წიგნი:

სუბიექტური ლოგიკა ანუ
მოძღვრება ცნებაზე

ტომი V. ლოგიკის მეცნიერება

II ნაწილი: სუბიექტური ლოგიკა ანუ
მოძღვრება ცნებაზე

ცნების შემსახებ სამართოდ

პირველ ორ ნაწილში მე არ მქონდა Vorarbeiten *, აქ კი, პირიქით, მაქვს „verknöcher-tes Material“ **, რომელიც უნდა „in Flüssigkeit bringen“ ***... (3) **** [3] *****

«ყოფიერება და არსება არიან ამდენად მისი» (= des Begriffs *****) «ქმნადობის მომენტები». (5) [5]

შევაბრუნოთ: ცნებები მატერიის უმაღლესი პროდუქტის, ტვინის უმაღლესი პროდუქტია.

«ამიტომ ობიექტური ლოგიკა, რომელიც ყოფიერებასა და არსებას განიხილავს, შეადგენს საკუთრივ ცნების გენეტიკურ გაშლას». (6) [6]

* — წინასწარი შრომები. რ ე დ.

** — «გაქვავებული მასალა». რ ე დ.

*** — ღენადი გავხადოთ. რ ე დ.

**** Hegel. Werke, Bd. V, Berlin, 1834. რ ე დ.

***** Гегель. Сочинения, т. VI, М., 1939. რ ე დ.

***** — ცნების. რ ე დ.

9—10 [9—10]: დიდი მნიშვნელობა სპინოზას ფილოსოფიისა, როგორც სუბსტანციის ფილოსოფიისა (ეს თვალსაზრისი ძლიერ მაღალია, მაგრამ არ არის სრული, არ არის ყველაზე მაღალი: საერთოდ ფილოსოფიური სისტემის უარყოფა ნიშნავს არა მის უკუგდებას, არამედ მის შემდგომ განვითარებას, არა მის შეცვლას მეორით, ცალმხრივით, დაპირისპირებულობით, არამედ მის შეტანას რაღაც უფრო მაღალში). სპინოზას სისტემაში არ არის თავისუფალი, თავისთავადი, ცნობიერი სუბიექტი (აკლია „თვითცნობიერი სუბიექტის თავისუფლება და თავისთავადობა“) (10) [10], მაგრამ სპინოზასთანაც სუბსტანციის ატრიბუტს წარმოადგენს აზროვნება. (10 i. f. *) [10]

13 i. f [12]: გაკვრით — როგორც ერთ დროს ფილოსოფიაში მოდად იყო „das Schlimme nachzusagen“ der Einbildungskraft und dem Gedächtnisse **, — ისე ახლა „ცნების“ (= „das höchste des Denkens“ ***) მნიშვნელობის შემცირება და „das Unbegreifliche“-ეს **** ქება-დიდება

გადაკვრა კანტის მიმართ?

გადაღის რაკანტელობის კრიტიკაზე, ჰეგელს მის დიდ დამსახურებად მიაჩნია (15) [13—14] „აპერცეპციის ტრანსცენდენტალური ერთიანობის“ იდეის წამოყენება (ერთიანობა ცნობიერებისა, რაშიც იქმნება Begriff), მაგრამ კანტს უსაყვედურებს ცალმხრიობასა და სუბიექტივიზმს:

• — in fine — ბოლოში. რ. ე. ლ.
 •• — «უღლის განმეორება» წარმოსახვის ძალისა და მეხსიერებან შესახებ. რ. ე. ლ.
 ••• — «უმაღლესი აზროვნებაში». რ. ე. ლ.
 •••• — «ვაუგებარის». რ. ე. ლ.

...«როგორც არის იგი» (der Gegenstand *)... «აზროვნებაში, ასეთია იგი თავდაპირველად თავისთავად და თავისთვის; როგორც იგი განჭვრეტაში ან წარმოდგენაშია, იგი არის მოვლენა»... კანტის იდეალიზმი ჰეგელს აჰყავს სუბიექტურიდან ობიექტურში და აბსოლუტურში)...

განჭვრეტიდან ობიექტური რეალობის შემეცნებამდე...

კანტი აღიარებს ცნებათა ობიექტურობას (მათი საგანია Wahrheit **), მაგრამ მათ მაინც სუბიექტურ ცნებებად ტოვებს. განსჯას (Verstand) იგი წარუძღვარებს Gefühl-სა und Anschauung-ს ***. ამის შესახებ ჰეგელი ამბობს:

«მაგრამ რაც შეეხება, ჯერ ერთი, განსჯის ან ცნების აღნიშნულ მიმართებას მისადმი წამძღვარებულ საფეხურებთან, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მეცნიერება ეწევა ამ საფეხურთა ფორმის განსაზღვრას. ჩვენს მეცნიერებაში, როგორც წმინდა ლოგიკაში, ეს საფეხურებია ყოფიერება და არსება. ფსიქოლოგიაში განსჯას წამძღვარებული აქვს გრძობა და განჭვრეტა და შემდეგ წარმოდგენა საერთოდ. სულის ფენომენოლოგია, როგორც მოძღვრება ცნობიერებაზე, განსჯამდე აღის გრძობადი ცნობიერებისა და შემდეგ აღქმის საფეხურებით»... (17) [16] კანტის გადმოცემა აქ შეტად „არასრულია“.

შემდეგ — მთავარი —

...«აქ... ცნება უნდა განვიხილოთ არა როგორც აქტი თვითცნობიერი განსჯისა, არა როგორც სუბიექტური განსჯა, არამედ როგორც ცნება თავისთავად და თავისთვის, რომელიც აგრეთვე როგორც გუნების, ისე სულის საზნაურსაც შეადგენს. სიცოცხლე, ანუ ორგანული გუნება, არის გუნების ის საზნაური, რომელზეც ცნება გამოიშლება»... (18) [16]

ობიექტური იდეალიზმის მატერიალიზმად გადაქცევის „წინაღობა“

* — საგანი. რ. ე. დ.

** — ჰეგელიზმი. რ. ე. დ.

*** — გრძობას და განჭვრეტას. რ. ე. დ.

შემდეგ მოდის ძალიან საინტერესო ადგილი (გვ. 19—27 [17—24]), სადაც ჰეგელი კანტს სწორედ გნოსეოლოგიურად უარყოფს (ენგელსს, ალბათ, სწორედ ეს ადგილი ჰქონდა მხედველობაში ლიუდვიგ ფოიერბახში⁵⁹, როცა იგი წერდა, რომ მთავარი კანტის წინააღმდეგ უკვე ნათქვამია ჰეგელის მიერ, რამდენადაც ეს შესაძლებელია იდეალისტური თვალსაზრისით), — ამჟღავნებს რა კანტის ორმაგობას, არათანამიმდევრულობას, მის ასე ვთქვათ, მერყეობას ემპირიზმსა (= მატერიალიზმსა) და იდეალიზმს შორის, ამასთან ჰეგელს ეს არგუმენტაცია მოაქვს მთლიანად და განსაკუთრებით უფრო თანმიმდევრული იდეალიზმის თვალსაზრისით.

Begriff ჯერ კიდევ არ არის უმაღლესი ცნება: კიდევ უფრო მაღალია იდეა = ერთიანობა Begriff-ისა რეალობასთან.

«ეს მხოლოდ ცნებაა», — ასე ამბობენ ჩვეულებრივ, უპირისპირებენ რა მას არა მარტო იდეას, არამედ გრძნობად, სივრცისა და დროის შემცველ ხელშესახებ არსებობასაც, როგორც ისეთ რაიმეს, რაც უფრო სრულყოფილია, ვიდრე ცნება. აბსტრაქტული ასეთ შემთხვევაში იმიტომ ითვლება კონკრეტულზე უფრო მცირე მნიშვნელობის მქონედ, რომ მას ჩამოცილებული აქვს ბევრი რამ აღნიშნული სახის მატერიისა. აბსტრაქირებას, ამ შეხედულებით, ის აზრი ეძლევა, რომ კონკრეტულიდან მხოლოდ ჩვენი სუბიექტური მოხმარებისათვის ამოიღება ესა თუ ის ნიშანი ისე, რომ საგნის ესოდენ ბევრი სხვა ღირსებისა და თვისების გამოტოვების დროს იგი არაფერს კარგავს თავისი ღირებულებისა და თავისი ღირსების მხრივ; ისინი კი უწინდებურად რჩებიან როგორც

სხვა მხარეზე მყოფი რეალური, როგორც ისეთი რამ, რაც უწინდებურად ინარჩუნებს სრულ თავის მნიშვნელობას, და მხოლოდ განსჯის უძლეობა იწვევს იმას, რომ მისთვის შეუძლებელია მთელი ამ სიმდიდრის შეთვისება და იძულებულია ღარიბი აბსტრაქციით დაკმაყოფილდეს. მაგრამ თუ განჭვრეტის მოცემული მასალა და წარმოდგენის მრავალსახეობა აღებულია როგორც რეალური წინააღმდეგ გააზრებულისა და ცნებისა, მაშინ ეს ისეთი შეხედულებაა, რომელზეც უარისთქმა არა მარტო ფილოსოფოსობის პირობაა, არამედ უკვე რელიგიითაც იგულისხმება; როგორაა შესაძლებელი მისი საჭიროება და მისი აზრი, თუ გრძნობადისა და ცალკეულის წარმავალი და ზერელე მოვლენა კიდევ ჭეშმარიტებად ითვლება? ...ამიტომ მათ აბსტრაქტიზებული აზროვნება უნდა განვიხილოთ არა მარტივად როგორც განზე დატოვება გრძნობადი მატერიისა, რომელიც ამასთან არა მარტო არავითარ ზიანს არ განიცდისო თავის რეალობაში, არამედ იგი უფრო ამ რეალობის მოხსნაა და დაყვანა მისი როგორც მარტივი მოვლენისა არსებითამდე, რომელიც მხოლოდ ცნებაში ვლინდება». (19—21) [17—18]

კანტი ამცირებს გონების ძალას

უფრო თანმიმდევრული იდეალისტი ხელს სჭიდებს
ღმერთს!

ჰეგელი არსებითად სავსებით მართალია კანტის წინააღმდეგ. აზროვნება, კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე ასვლისას, არ შორდება — თუ იგი სწორია (NB) (კანტი კი, როგორც ყველა ფილოსოფოსი, ლაპარაკობს სწორ აზროვნებაზე) — ჭეშმარიტებას, არამედ მასთან მიდის. აბსტრაქცია მატერიისა, ბუნების კანონისა, აბსტრაქცია ღირებულებებისა და სხვ., ერთი სიტყვით, ყველა მეცნიერული (სწორი, სერიოზული, არა უაზრო) აბსტრაქცია ბუნებას ასახავს უფრო ღრმად, უფრო სწორად, უფრო სრულად. ✕ ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და მისგან პრაქტიკაზე — ასეთია ჭეშ-

მარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა. კანტი ამცირებს ცოდნას, რათა სარწმუნოებას გზა გაუწმინდოს: ჰეგელი ამალღებს ცოდნას, ირწმუნება რა, ცოდნა ღმერთის ცოდნა არისო. მატერიალისტი ამალღებს მატერიის, ბუნების ცოდნას, აგზავნის რა ღმერთსა და მის დამცველ ფილოსოფიურ არამზადებს სანარცხე ორმოში.

«მთავარი გაუგებრობა, რომელიც აქ თავს იჩენს, იმ შეხედულებაშია, თითქოს ბუნებრივი პრინციპი ან საწყისი, რასაც ამოსავალ წერტილად ღებულობენ ბუნებრივ განვითარებაში ან განვითარებაში მყოფი ინდივიდის ისტორიაში, არის ჭეშმარიტი და პირველი აგრეთვე ცნებაშიც». (21) [18—19] (— ეს სწორია, რომ აღამიანები აქედან იწყებენ, მაგრამ ჭეშმარიტება იმყოფება არა დასაწყისში, არამედ ბოლოში, უფრო სწორად, გაგრძელებაში. ჭეშმარიტება არ არის საწყისი შთაბეჭდილება)... «მაგრამ ფილოსოფია უნდა იყოს არა მოთხრობა იმის შესახებ, რაც ხდება, არამედ შემეცნება იმისა, რაც მასში ჭეშმარიტია». (21) [19]

კანტს აქვს „ფსიქოლოგიური იდეალიზმი“ (22) [22]: კანტისთვის კატეგორიები «არიან მხოლოდ თვითცნობიერებიდან გამომდინარე განსაზღვრანი. (22) [20] აღის რა განსჯიდან (Verstand) გონებამღე (Vernunft), კანტი ამცირებს აზროვნების მნიშვნელობას, უარყოფს რა მის უნარს «მიაღწიოს დასრულებულ ჭეშმარიტებას». (23) [20]

«ლოგიკის ბოროტად გამოყენებად ითვლება» (კანტთან), «თუ იგი, რომელიც მხოლოდ მსჯელობის კანონი უნდა იყოს, მიჩნეულია ობიექტურ შეხედულებათა წარმოქმნის ორგანოდ. გონების ცნებებს, რომლებშიც უნდა გვეგრძნო უფრო მაღალი ძალა (იდეალისტური ფრაზა!) და უფრო ღრმა შინაარსი (სწორია!), უკვე აღარ

გააჩნიათ არაფერი კონსტიტუტიური |
 |უნდა იყოს: objektives|, რაც ჯერ კიდევ
 ჰქონდათ კატეგორიებს; ისინი მხოლოდ
 იღებია; მართალია, სავსებით ნებადართული
 უნდა იყოს მათი გამოყენება, მაგრამ ამ გონე-
 ბით მისაწვდომ არსებათა შემწეობით, რომ-
 ლებშიც მთელი ჰეგმარიტება უნდა გამომ-
 ყლავნებულყო, არ შეიძლება არაფრის გააზ-
 რება, გარდა ჰიპოთეზებისა, რომლე-
 ბისთვისაც თავისთავად და თავისთვის ჰეგმა-
 რიტების მიწერა სრული თვითნებობა და
 უაზრო გაბედულობა იქნებოდა, ვინაიდან
 მათ არავითარ ცდაში არ შეიძ-
 ლება ადგილი. ჰქონდეთ. შეიძლე-
 ბოდა განა ოდესმე გვეფიქრა, რომ ფილოსო-
 ფია დაიწყებს გონებით მისაწვდომ არსებათა
 ჰეგმარიტების უარყოფას იმიტომ, რომ ისინი
 მოკლებული არიან გრძნობადობის სივრცულ
 და დროით ნივთიერებას?» (23) [20—21]

აქაც ჰეგელი არსებითად მართალია:
 დირებულება არის კატეგორია, რომელიც
 entbehrt des Stoffes der Sinnlichkeit *,
 მაგრამ იგი უფრო ჰეგმარიტია,
 ვიდრე მოთხოვნისა და მიწოდების
 კანონი.

მაგრამ ჰეგელი იდეალისტია: აქედან სისულელე: „Konstitutives“ ** etc.

კანტი, ერთი მხრივ, სავსებით ცხადად აღიარებს აზროვნების („des Denkens“) „ობიექტიურობას“ («ცნებისა და ნივთის იგივეობას» (24) [21], — მეორე მხრივ კი

«მეორე მხრივ კი, ამასთანავე ისევ ამტკიცებენ, რომ ჩვენ მაინც არ შეგვიძლია შევიცნოთ ნივთები, როგორც ისინი არიან თავისთავად და თავისთვის, და რომ ჰეგმარიტება მიუწვდომელია შემეცნებელი გონებისათვის; |

ჰეგელი
 მომხრეა
 ნივთების
 თავისთავად
 შეცნობა-
 დობისა

— მოკლებულია გრძნობადობის ნივთიერებას. რედ.

— «კონსტიტუტიური». რედ.

მოვლენა
არის არსების
გამოვლენა

რომ ის ჭეშმარიტება, რომელიც ობიექტისა და ცნების ერთიანობაში მდგომარეობს, მაინც მხოლოდ მოვლენაა, და სწორედ იმ საფუძვლით, რომ შინაარსი მხოლოდ განჭვრეტის მრავალსახეობაა. ამის შესახებ უკვე მოხსენებულ იყო, რომ, პირიქით, სწორედ ცნებაშია მოხსნილი ეს მრავალსახეობა, რამდენადაც იგი ეკუთვნის განჭვრეტას წინააღმდეგ ცნებისა, და რომ ცნების მეშვეობით საგანი უბრუნდება თავის არაშემთხვევით არსებითობას; არსებითობა გვევლინება მოვლენაში, და ამიტომ მოვლენა არ არის უბრალოდ არსებას მოკლებული რაიმე, არამედ იგი არსების გამოვლენაა». (24—25) [21—22]

«გაკვირვების ღირსად დარჩება ის, რომ კანტის ფილოსოფიამ გრძნობადი არსებობისადმი აზროვნების ის მიმართება, რომელზეც იგი შეჩერდა, მარტივი მოვლენის მხოლოდ რელატიურ მიმართებად აღიარა და თუმცა აღიარა და გამოთქვა ორთავეს უმაღლესი ერთიანობა იდეაში საერთოდ და, მაგალითად, ერთგვარი განმჭვრეტი განსჯის იდეაში, მაგრამ შეჩერდა იმ რელატიურ მიმართებასა და იმის მტკიცებაზე, რომ ცნება სრულიად გამოყოფილია რეალობისაგან და გამოყოფილად რჩება; ამით მან ჭეშმარიტებად აღიარა ის, რაც თვითონ სასრულ შემეცნებად გამოაცხადა, ხოლო ის, რაც მან ჭეშმარიტებად აღიარა და გარკვეულ ცნებად მიიჩნია, გამოაცხადა, რაღაც უსაზომოდ, დაუშვებლად და მხოლოდ აზრითი ნივთებად». (26) [22—23]

NB

NB

!! ჰა-ჰა!

ლოგიკაში იდეა «ხდება ბუნების შემოქმედის». (26) [23]

ლოგიკა არის „formelle Wissenschaft“* (27) [23] წინააღმდეგ კონკრეტული მეცნიერებებისა (ბუნებისა და სულის შესახებ), მაგრამ მისი საგანი არის „die reine Wahrheit“**... (27) [23]

* — «ფორმალური მეცნიერება». რ ე დ.
** — «წმინდა ჭეშმარიტება». რ ე დ.

თვით კანტი, როცა კითხვას სვამს, თუ რა არის ჭეშმარიტება (27) [24] (წმინდა გონების კრიტიკა, გვ. 83) და ტრივიალურ პასუხს იძლევა („შემეცნების თანხმობა მის საგანთან“), ამარცხებს თავის-თავს, რადგან «ტრანსცენდენტალური იდეალიზმის ძირითადი მტკიცება» არის,

— რომ «შემეცნებას არ ძალუძს მისწვდეს ნივთს თავისთავად» (27) [24] —

— ცხადია, რომ ყოველივე ეს «არაჭეშმარიტი წარმოდგენები» არისო. (28) [24]

უარყოფს რა ლოგიკის წმინდა ფორმალურ გაგებას (რომელიც კანტსაც კი აქვსო) — ლაპარაკობს რა, რომ ჩვეულებრივი თვალსაზრისით (ჭეშმარიტება არის თანხმობა „Übereinstimmung“) შემეცნებისა ობიექტთან თანხმობისათვის «არსებითია ორი მხარე» (29) [25], ჰეგელი ამბობს, რომ ლოგიკაში ფორმალური არის „წმინდა ჭეშმარიტება“ (29) [26] და რომ

...«ეს ფორმალური თავის შიგნით ამიტომ უნდა იყოს გაცილებით უფრო მდიდარი განსაზღვრებებითა და შინაარსით, ასევე მას უნდა ჰქონდეს უსასრულოდ უფრო მეტი ძალა ზემოქმედებისა კონკრეტულზე, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მიღებულია»... (29) [26]

...«თუნდაც რომ ლოგიკურ ფორმებში სხვას ვერაფერს ვხედავდეთ, გარდა აზროვნების ფორმალური ფუნქციებისა, ამ შემთხვევაშიც კი გამოკვლევის ღირსი იქნებოდა ის, თუ რამდენად შეეფერებიან ისინი თავისთავად ჭეშმარიტებას. ლოგიკას, რომელიც ამას არ აკეთებს, შეუძლია დაიჩემოს, სულ დიდი-დიდი, მნიშვნელობა აზროვნების მოვლენათა ბუნებრივ-ისტორიული აღწერისა, აღწერისა იმ სახით, რა სახითაც ისინი არსებობენ». (30 — 31) [27] (ამაშიაო არისტოტელეს უკვდავი დამსახურება), მაგრამ «აუცილებელია წინსვლა»... (31) [27]

?

?

ასეთი გაგებით
ლოგიკა ემ-
თხვევა შე-
მეცნების
თეორიას.
საერთოდ ეს
მეტად მნიშ-
ვნელოვანი სა-
კითხია.

ამრიგად, არა მარტო აღწერა აზროვნე-
ბის ფორმებისა და არა მარტო
ბუნებრივი-ისტორიული აღწე-
რა აზროვნების მოვლენებისა (რით
განსხვავდება ეს ფორმების აღწერისა-
გან??), არამედ შესაბამისობაც
ჭეშმარიტებასთან, ე. ი. ?? კონტ-
ესენცია ანუ, უფრო მარტივად, აზროვნე-
ბის ისტორიის შედეგები და შეჯამება??
ჰეგელს აქ ემჩნევა იდეალისტური ბუნდო-
ვანობა და დაუმთავრებლობა. მისტიკა.

არა ფსიქოლოგია, არა
სულის ფენომენოლოგია,
არამედ ლოგიკა = საკითხი
ჭეშმარიტების შესახებ.

სამყაროს და
აზროვნე-
ბის მო-
ძრაობის
ზოგადი კანონ-
ები

შეად. ენციკლოპედია, ტომი VI, გვ. 319 *
[I, 267] **: «მაგრამ ნამდვილად ისინი» (die
logischen Formen ***) «პირიქით, როგორც
ცნების ფორმები, ნამდვილის ცო-
ცხალ სულს შეადგენენ»...

NB

Begriff, ვითარდება რა „adäquater Beg-
riff“ **** იქცევა იდეად. (33)***** [29]*****
«ცნება თავის ობიექტურობაში არის თვით
თავისთავად და თავისთვის არსებული ნივ-
თი». (33) [29]

= ობიექტივიზმი + მისტიკა
და ლალატი განვითარების მი-
მართ

- * — Hegel. Werke, Bd. VI, Berlin, 1840. რედ.
- ** Гегель. Сочинения, т. VI, М.—Л., 1930. რედ.
- *** — ლოგიკური ფორმები. რედ.
- **** — «ადეკვატური ცნება». რედ.
- ***** — Hegel. Werke, Bd. V, Berlin, 1834. რედ.
- ***** Гегель. Сочинения, т. VI, М., 1939. რედ.

პირველი განყოფილება:

სუბიექტურობა

„ცნების“ დიალექტიკური მოძრაობა — წმინდა „ფორმალური“ ცნებიდან ჯერ — მსჯელობისაკენ (Urteil), შემდეგ — დასკვნისაკენ (Schluß) და — ბოლოს, ცნების სუბიექტურობიდან მის ობიექტურობად გარდაქმნისაკენ. (34—35)* [30]**

ცნების პირველი განმასხვავებელი ნიშანია ზოგადობა (Allgemeinheit). NB: ცნება წარმოიშვა არსებისაგან, ეს უკანასკნელი წარმოიშვა ყოფიერებისაგან.

ზოგადის, განსაკუთრებულისა (Besonderes) და ცალკეულის (Einzelnes) შემდგომი განვითარება უარესად აბსტრაქტულია და „abstrus“***.

კუნო ფიშერი ამ „აბსტრუზულ“ მსჯელობებს ძლიერ ცუდად გადმოგვეცემს, იღებს რა უფრო ადვილს — მაგალითებს ენციკლოპედიიდან და უმატებს რა უხამსობას (საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ. კუნო ფიშერი, ტომი 8, 1901, გვ. 530) etc., მაგრამ მკითხველს არ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ მოძებნოს ჰეგელის აბსტრაქტულ ცნებათა ძნელი გადასვლების ელფერის, ბზინვის, ელვარებათა გასაღები.

En lisant...
These parts
of the work
should be
called: a best
means for
getting a
head-
ache! ****

* — Hegel. Werke, Bd. V, Berlin, 1834. რ. ე. დ.

** Гегель. Сочинения, т. VI, М., 1939. რ. ე. დ.

*** — ბუნდოვანი. რ. ე. დ.

**** — კითხვის დროს... ნაშრომის ეს ნაწილები იმსახურებენ იმას, რომ მათ ეწოდოს: საუკეთესო საშუალება თავის ტკივილის მისაღებად! რ. ე. დ.

თუ ეს მა-
ინც ხარკია
ძველი, ფორ-
მალური ლო-
გიკისა? დიახ!
და კიდევ ხარ-
კი — ხარკი
მისტიციზმი-
სადმი =
იდე-
ალიზმისადმი

Voilà* სიუხვე
„ლოგიკის“ ამ
ნაწილის „გან-
საზღვრათა“
და Begriffsbe-
stimmungen-
ის ** სიუხვე!

ეტყობა, აქაც ჰეგელისათვის მთავარია
დასახოს გადასვლები. გარკვეუ-
ლი თვალსაზრისით, გარკვეულ პირობებში
ზოგადი არის ცალკეული, ცალკეული არის
ზოგადი. არა მხოლოდ (1) კავშირი, და
კავშირი განუწყვეტელი, ყველა ცნებისა და
მსჯელობისა, არამედ (2) გადასვლები
ერთისა მეორეში, და არა მხოლოდ გადა-
სვლები, არამედ (3) დაპირისპირე-
ბულობათა იგივეობაც — აი რა
არის ჰეგელისათვის მთავარი. მაგრამ ეს
მხოლოდ „გამოკრთის“ არქი-„abstrus“
გადმოცემის ნისლში. ლოგიკის ზოგადი
ცნებებისა და კატეგორიების განვითარე-
ბისა და გამოყენების თვალსაზრისით აზ-
რის ისტორია — voilà ce qu'il faut! ***

სწორია!

„ყველა ნივთი
დას-
კვნაა“...
NB

მოჰყავს რა გვ. 125 [112] „შესანიშნავი“
დასკვნა — „ყველა ადამიანი მოკვდავია, გაი-
უსი ადამიანია, მაშასადამე, იგი მოკვდა-
ვია“ — ჰეგელი მახვილგონიერად დასძენს:
«მაშინვე მოწყენილობაში ვარდები, როცა
ასეთი დასკვნა გესმის» — ეს „unnützen
Form“-იდან **** წარმოდგებაო — და ღრმა
შენიშვნას აკეთებს:

«ყველა ნივთი დასკვნაა, რაიმე ზო-
გადი, დაკავშირებული განსაკუთრებულის მე-
შვეობით ერთეულობასთან; მაგრამ, რა თქმა
უნდა, ისინი არ არიან სამი წინადა-
დებისაგან შემდგარი მთელი». (126) [112]

NB

ძალიან კარგია! ყველაზე ჩვეულებრივი
ლოგიკური „ფიგურები“ — (ყველაფერი
ეს წ-ში „დასკვნის პირველი ფიგურის შე-

სახებ“) მოწაფურად გაბრტყელებულია, sit venia verbo*, საგანთა ყველაზე ჩვეულებრივი მიმართებანი.

დასკვნათა ანალიზი ჰეგელთან (E.—B.—A., Eins**; Besonderes***; Allgemeines**** B.—E.—A. etc.) მოგვეგონებს მარქსის მიბაძვას ჰეგელისადმი I თავში.

კანტის შესახებ

სხვათა შორის:

«კანტის გონების ანტინომიები სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ერთ შემთხვევაში საფუძვლად დადებულია ერთი განსაზღვრა ცნებისა, მეორეში კი — ასეთივე აუცილებლობით მეორე»... (128—129) [115]

<p>საჭირო იქნებოდა ჰეგელისადმი დაბრუნება რომელიმე გავრცელებული ლოგიკისა და კანტელის დასახე. შემეც-</p>	<p>N B: Umkehrren****: მარქსმა ჰეგელის დიალექტიკა მისი რაციონალური ფორმით გამოიყენა პოლიტიკური ეკონომი-</p>	<p>(აბსტრაქტულ) ცნებათა წარმოება და მათ მიმართ ოპერაციები უკვე შეიცავენ თავის-თავში სამყაროს ობიექტური კავშირის კანონზომიერების წარმოდგენას, დარწმუნებას, ცნობიერებას. ამ კავშირიდან კაუზალობის გამოყოფა უაზრობაა. უარყოფა ცნებათა ობიექტურობისა, ზოგადის ობიექტურობისა ცალკეულსა და განსაკუთრებულში, შეუძლებელია. ჰეგელი, მამასადაძამე, ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე კანტი და სხვები, როცა კვალდაკვალ მიჰყვება ობიექტური სამყაროს მო-</p>	<p>N B</p> <p>ჰეგელის ლოგიკის ჰემმარტი მნიშვნელობის საკითხისათვის</p>
--	--	--	--

- — ნება გვიბოძეთ ასე ვთქვათ. რ ე დ.
- — ერთეული. რ ე დ.
- — განსაკუთრებული. რ ე დ.
- — ზოგადი. რ ე დ.
- — გადავაბრუნოთ. რ ე დ.

ნების
თეორიის
თანდა-
თანობი-
თი გარ-
ჩევისათ-
ვის.

ის მი-
მართ

ძრობის ასახვას ცნებათა მო-
ძრობაში. როგორც მარტივი
ფორმა ღირებულებისა, ცალ-
კეული აქტი ერთი, მოცემული,
საქონლის მეორეზე გაცვლისა
უკვე შეიცავს თავის-თავში
გაუშლელი ფორმით კაპიტა-
ლიზმის ყველა მთავარ წი-
ნალმდეგობას,—ისე უკვე ყვე-
ლაზე მარტივი განზოგადე-
ბა. პირველი და უმარტივესი
წარმოება ცნებათა (მსჯე-
ლობათა, დასკვნათა etc.) ნიშ-
ნავს ადამიანის მიერ სამყაროს
სულ უფრო და უფრო დრმა
ობიექტური კავშირის შე-
მეცნებას. აქ უნდა ვეძიოთ
ჰეგელის ლოგიკის ჭეშმარიტი
აზრი, მნიშვნელობა და როლი.
ეს NB.

ორი აფორიზმი:

თანამედროვე
კანტელობის,
მაზიზმისა და
სხვ. კრიტიკის
საკითხისა-
თვის:

1. პლენანოვი აკრიტიკებს კანტელობას
(და აგნოსტიციზმს საერთოდ) უფრო ვულგარ-
ულ-მატერიალისტური, ვიდრე დიალექტი-
კურ-მატერიალისტური თვალსაზრისით, რა-
მდენადაც იგი მხოლოდ *a limine**
უარყოფს მათს მსჯელობებს, მაგრამ არ
ასწორებს (როგორც ჰეგელი ასწორებდა
კანტს) ამ მსჯელობებს, რათა გაადრმოს, გა-
ნაზოგადოს, გააფართოოს ისინი და ცხადყოს
ყველა და ყოველგვარი ცნების კავშირი
და გადასვლები.

2. მარქსისტები აკრიტიკებდნენ (XX საუ-
კუნის დასაწყისში) კანტელებსა და იუმე-
ლებს უფრო ფოიერბახისებურად (და ბიუ-
ხნერისებურად), ვიდრე ჰეგელისებურად.

* — დასაწყისშივე. რ ე დ.

...«ინდუქციაზე დაფუძნებული ცდა მიჩნეულია როგორც ნიშნადი, თუ მცა აღქმა, საყოველთაო აღიარებით, არაა დასრულებული; მაგრამ შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ამ ცდის მიმართ არ შეიძლება იყოს არავითარი საწინააღმდეგო ჩვენება, რამდენადაც იგი ჰეგელისა თავისთავად და თავისთვის». (154) [139]

NB

ეს ადგილი §-ში: „ინდუქციის დასკვნა“. ყველაზე მარტივი ჰეგელისებრი, ყველაზე მარტივი, ინდუქციური გზით მიღებული, ყოველთვის არასრულია, რადგან ცდა ყოველთვის დაუმთავრებელია. Ergo: კავშირი ინდუქციისა ანალოგიასთან — მიხედვით (მეცნიერულ განჭვრეტასთან), ყოველი ცოდნის ფარდობითობა და აბსოლუტური შინაარსი ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯში.

აფორიზმი: შეუძლებელია მარქსის „კაპიტალის“ და განსაკუთრებით მისი I თავის საგნებით გაგება, თუ არ შეისწავლე და არ გაიგე ჰეგელის მთელი ლოგიკა. მაშასადამე, მარქსისტიებიდან ვერავინ გაიგო მარქსი $\frac{1}{2}$ საუკუნის შემდეგ!!

გადასვლა ანალოგიით (ანალოგიის შესახებ) დასკვნისა აუცილებლობის შესახებ დასკვნაზე, — ინდუქციით დასკვნისა — ანალოგიით დასკვნაში, — დასკვნები ზოგადიდან კერძოზე, — დასკვნა კერძოდან ზოგადზე, — კავშირისა და გადასვლების კავშირია სწორედ გადასვლები გადმოცემა, აი ჰეგელის ამოცანა. ჰეგელმა მართლად აამტკიცა, რომ ლოგიკური ფორმები და კანონები ცარიელი გარსი როდია. არამედ ობიექტური სამყაროს ასახვაა. უფრო სწორად, კი არ დაამტკიცა, არამედ გენიალურად გამოიცნო.

აფორიზმი.

ენციკლოპედიაში ჰეგელი შენიშნავს, რომ განსჯისა და გონების დაყოფა, პირველისა და მეორე სახის ცნებათა დაყოფა უნდა გავივით ისე,

აბსტრაქტული და კონკრეტული ცნებები

«რომ სწორედ ჩვენი მოქმედება ან ჩერდება ცნების მხოლოდ უარყოფითსა და აბსტრაქტულ ფორმაზე, ანდა ეს ცნება, მისი ჰეგელიანური ბუნების შესაბამისად, მას გაეგება ამასთანავე ერთად როგორც დადებითი და კონკრეტული. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ თავისუფლების ცნებას განვიხილავთ როგორც აუცილებლობის აბსტრაქტულ დაპირისპირებულობას, მაშინ ეს არის მხოლოდ განსჯითი ცნება თავისუფლებისა; თავისუფლების ჰეგელიანური და გონივრული ცნება კი შეიცავს თავის თავში აუცილებლობას როგორც მოხსნილს». (გვ. 347—348, ტ. VI) * [I, 290] **.

თავისუფლება და აუცილებლობა

Ib. გვ. 349 [291]: არისტოტელემ ისეთი სისრულით აღწერა ლოგიკური ფორმები, რომ „არსებითად“ დასამატებელი აღარაფერი იყო.

ჩვეულებრივ „დასკვნათა ფიგურებს“ განიხილავენ, როგორც ცარიელ ფორმალიზმს. «მაგრამ სინამდვილეში მათ» (ამ ფორმებს) «მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ, რაც იმ აუცილებლობაზეა დაფუძნებული, რომ თვით ული მომენტით, როგორც ცნების განსაზღვრა, თვით ხდება მთელი და გამმეშვევებელი საფუძველი». (352, ტ. VI [I, 294])

ენციკლოპედია (ტ. VI, გვ. 353—354 [I, 294—295])

NB

«დასკვნის ფიგურათა თბიექტური აზრი საერთოდ ისაა, რომ ყოველივე გონიერი აღმოჩნდება სამმაგ დასკვნად, სახელდობრ ისე, რომ მის თვითუფლ წევრს უკავია ადგილი როგორც უკიდურესისა, ისე გამმეშვევებელი საშუალოსიც. სწორედ ასეთივეა საქმის ვითარება ფილოსოფიური მეცნიერების სამი წევ-

* Hegel, Werke, Bd. VI, Berlin, 1840. რ ე დ.

** Гегель. Сочинения, т. I, М.—Л., 1930. რ ე დ.

რის შესახებაც, ე. ი. ლოგიკური იდეის, ბუნებისა და სულის შესახებაც. აქ ჯერ ბუნება საშუალო, შემაერთებელი წევრია. ბუნება, ეს უშუალო მთლიანობა, გაიმლება ორივე კიდურ წევრად — ლოგიკურ იდეად და სულად».

NB

«მაგრამ სული არის სული, მხოლოდ როცა ის გამეშვევებულია ბუნების მიერ»... სწორედ სული შემეცნებს ბუნებაში ლოგიკურ იდეას და, ამრიგად, ამაღლებს ბუნებას მის არსებამდე»... «ლოგიკური იდეა არის «აბსოლუტური სუბსტანცია როგორც სულის, ისე ბუნებისაც, საყოველთაო, ყველგან შეღმწევი»». (353—354) [295]

NB

„ბუნება, ეს უშუალო მთლიანობა, გაიმლება ლოგიკურ იდეად და სულად“. ლოგიკა არის მოძღვრება შემეცნებაზე. შემეცნების თეორიაა. შემეცნება არის ადამიანის მიერ ბუნების ასახვა. მაგრამ ეს არის არა მარტივი, არა უშუალო, არა მთლიანი ასახვა, არამედ ეს არის პროცესი რიგი აბსტრაქციებისა, ფორმირებისა, ცნებების, კანონების etc. შექმნისა, რომელი ცნებანიც, კანონებიც etc. (აზროვნება, მეცნიერება = „ლოგიკური იდეა“) მოიცავენ კიდევ პირობითად, დაახლოებით მარად მოძრავი და განვითარებადი ბუნების უნივერსალურ კანონზომიერებას. აქ ნამდვილად, ობიექტურად სამი წევრია: 1) ბუნება; 2) ადამიანის შემეცნება, = ადამიანის **ტ 3 ი ნ ი** (როგორც უმაღლესი ნაყოფი იმავე ბუნებისა) და 3) ფორმა ბუნების ასახვისა ადამიანის შემეცნებაში; ეს ფორმა არის სწორედ ცნებები, კანონები, კატეგორიები etc. ადამიანს არ შეუძლია მოიცვას = ასახოს = გამოხატოს მთელი ბუნება, სრულად, მისი უშუალო „მთლიანობა“, მას შეუძლია მხოლოდ მუდამ უახლოვდებოდეს მას, ქმნის რა აბსტრაქციებს, ცნებებს, კანო-

NB:

ჰეგელი
„მხოლოდ“
„აღმერთებს ამ
„ლოგიკურ
იდეას“, კანონზომიერებას,
საყოველთაობას

ნებს, სამყაროს მეცნიერულ სურათს და სხვ. და სხვ.

ანალოგიის გამო მოზღდენილი შენიშვნა:
«გონების **ინსტინქტი** გვაგრძნობინებს, რომ ამა თუ იმ ემპირიულად ნახულ განსაზღვრას თავისი საფუძველი აქვს მოცემული საგნის **შინაგან გუნებაში** ან სახეობაში, და იგი შემდეგში ამ განსაზღვრას ემყარება». (357) [298] (ტ. VI, გვ. 359 [299—300])

თავის-თავის
წინააღმდეგ!

და გვ. 358 [298—299]: ნატურფილოსოფიის მიმართ კანონიერი ზიზღი გამოიწვია ცარიელი ანალოგიებით უმნიშვნელო თამაშმაო.

ჩვეულებრივ ლოგიკაში * ფორმალისტურად გამოყოფენ აზროვნებას ობიექტურობისაგან:

«აზროვნება აქ მიჩნეულია მხოლოდ წმინდა სუბიექტურ და ფორმალურ მოქმედებად, ობიექტური კი, აზროვნების საწინააღმდეგოდ, რაღაც მყარ და თავისთავად მოცემულად ითვლება. მაგრამ ეს დუალიზმი ჭეშმარიტი არ არის, და უაზრობაა სუბიექტურობისა და ობიექტურობის განსაზღვრანი ავიღოთ ისე უბრალოდ, არ ვიკითხოთ რა მათი წარმოშობის შესახებ»... (359—360) [300] ნამდვილად კი სუბიექტურობა მხოლოდ საფეხურია ყოფიერებიდან და არსებიდან განვითარებისა, — ხოლო შემდეგ ეს სუბიექტურობა «დიალექტიკურად «გაარღვევს თავის საზღვარს»» და «დასკვნის მეშვეობით ობიექტურობად გაიშლება». (360) [300]

ძალიან ღრმა და ჭკვიანურია! ლოგიკის კანონები ობიექტურის ასახვაა ადამიანის სუბიექტურ ცნობიერებაში.

ტომი VI, გვ. 360 [I, 300—301]

* ხელნაწერში სიტყვა «ლოგიკაში» შეერთებულია ჰეგელიდან აღებული შემდეგი ციტატის სიტყვასთან «აქ». რ ე დ.

„რეალიზებული ცნება“ არის ობიექტი.

ეს გადასვლა სუბიექტიდან, ცნებიდან ობიექტზე „უცნაურად“ გვეჩვენებაო, მაგრამ ობიექტი უნდა გავიგოთ არა მარტივად როგორც ყოფიერება, არამედ როგორც დასრულებული «კონკრეტული თავის თავში, სრული, თავისთავადი»... (361) [301]

„სამყარო არის იდეის
სხვადაყოფიერება“.

სუბიექტურობა (ან ცნება) და ობიექტი —
ი გ ი ვ ე ა და ა რ ა ი გ ი ვ ე ე... (362) [302]

ონტოლოგიური დამტკიცების შესახებ,
ღმერთის შესახებ აბდაუბდაა!

...«უკუღმართობაა სუბიექტურობისა და ობიექტურობის რაღაც მყარ და აბსტრაქტულ დაპირისპირებულობად მიჩნევა. ორივე საგნებით დიალექტიკურია»... (367) [306]

NB

მეორე განყოფილება:

ობიექტურობა

ობიექტუ-
რობა

(ლოგია) V, 178 * [VI, 161—162] **:

ობიექტურობის ორმაგი მნიშვნელობაა... «იჩვენება, რომ ობიექტურობასაც თურმე ორგვარი მნიშვნელობა აქვს: მნიშვნელობა თავისთავადი ცნებისადმი რაიმე დაპირისპირებულისა, მაგრამ აგრეთვე მნიშვნელობა რაღაც თავისთავად და თავისთვის არსებულისაც»... (178) [161]

ობიექტის
შემეცნება

...«ჭეშმარიტების შემეცნება იმაში მდგომარეობს, რომ შეიმეცნო ობიექტი იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობს როგორც ობიექტი, რომელიც თავისუფალია სუბიექტური რეფლექსიის მინარევისაგან»... (178) [162]

მსჯელობანი „მექანიზმის“ შესახებ — შემდეგ უაღრესად abstrus და თითქმის მთლიანად სისულელეა.

მერე, idem ქიმიზმის შესახებ, „მსჯელობის“ სტადიის შესახებ etc.

პარავრადი, რომლის სათაურია «კანონი» (198—199) [179—180], არ იძლევა იმას, რაც მოსალოდნელი იყო ჰეგელისაგან ასეთი საინტერესო საკითხის შესახებ. უცნაურია, რატომ მიაკუთვნეს „კანონი“ „მექანიზმს“?

ეს დაახლოება
მეტად მნიშვნელოვანია

კანონის ცნება უახლოვდება აქ ცნებებს: „წესრიგი“ (Ordnung), ერთგვარობა (Gleichförmigkeit); აუცილებლობა; „სული“

* Hegel. Werke, Bd. V, Berlin, 1834. რედ.

** Гегель. Сочинения, т. VI, М., 1930. რედ.

der objektiven Totalität *, „პრინციპი თვით-
მოძრაობისა“.

ყოველივე ეს იმ თვალსაზრისით, რომ
მექანიზმი არისო გონის, ცნების etc., სუ-
ლის, ინდივიდუალობის სხვადაყოფიერე-
ბა... ეტყობა, ცარიელ ანალოგიათა თა-
მაშია!

აღნიშნოს, გვ. 210 [190] ვგვხვდება „Natu-
rnotwendigkeit“-ის ** ცნება — «ორთა-
ვეს, მექანიზმს და ქიმიზმს, მოიცავს, მაშასა-
დამე, ბუნებრივი აუცილებლობის ცნება»...
((რადგან აქ ჩვენ ვხედავთ «მის» (des Begriffs))) „ბუნება = ჩა-
«ჩაძირვას გარეგნობაში» (ib.).) ძირვა ცნებისა
გარეგნობაში“
(3ა-3ა!)

უკვე მოხსენიებული იყო, რომ ტელეოლო-
გიისა და მექანიზმის დაპირისპირებულობა
უწინარეს ყოვლისა არის თავისუფლებისა და
აუცილებლობის უფრო ზოგადი დაპირისპი-
რებულობა. კანტმა დაპირისპირებულობა ამ
ფორმით მოიყვანა გონების ანტინომიათა
გადმოცემის დროს, სახელდობრ როგორც
ტრანსცენდენტალურ იდეათა მესამე შეჯახე-
ბა». (213) [193] იმეორებს რა მოკლედ კანტის
საბუთებს თეზისისა და ანტითეზისის სასარ-
გებლოდ, ჰეგელი აღნიშნავს ამ საბუთების
სიცარიელეს და ყურადღებას აქცევს იმას,
თუ რას წარმოადგენს კანტის მსჯელობა:

«ამ ანტინომიის კანტისებური გადაწყვეტა
ისეთივეა, როგორც სხვა ანტინომიათა საერ-
თო გადაწყვეტა; სახელდობრ, იგი იმაში
მდგომარეობს, რომ გონებას არ შეუძლია და-
ამტკიცოს არც ერთი და არც მეორე დებუ-
ლება, რადგან ჩვენ ბუნების წმინდა ემპირიუ-
ლი კანონების მიხედვით არ შეგვიძლია
გვქონდეს არავითარი განმსაზღვრელი პრინ-
ციპი à priori *** საგანთა შესაძლებლობის

თავისუფლება
და აუცილებ-
ლობა

ჰეგელი კან-
ტის წინააღმ-
დეგ (თავისუ-
ფლებისა და
აუცილებლო-
ბის შესახებ)

* — ობიექტური ტოტალობისა. რ ე დ.

** — «ბუნებრივი აუცილებლობის». რ ე დ.

*** — ცდამდე. რ ე დ.

Bien! *

შესახებ; რომ ამიტომ შემდეგ ორივე დებუ-
ლება უნდა ჩაითვალოს არა ობიექ-
ტურ დებულებებად, არამედ სუ-
ბიექტურ მაქსიმებად; რომ მე, ერ-
თი მხრივ, მუდამ უნდა ვიფიქრო ბუნების
ყველა მოვლენაზე ბუნების მარტოოდენ მე-
ქანიზმის პრინციპის მიხედვით, მაგრამ რომ
ეს ხელს არ უშლის იმას, რომ მე, როცა კი
ამის საბაზი მომეცემა, გამოვიკვლიო ბუნების
ზოგიერთი ფორმა, მეორე მაქსიმას შესაბამი-
სად, სახელდობრ სასრული მიზეზების პრინ-
ციპის მიხედვით; თითქოს ეს ორი მაქსიმა,
რომლებიც სხვათაშორის ადამიანის გონებას
უნდა ემსახურებოდეს, არ იმყოფებოდეს იმა-
ვე დაპირისპირებულობაში, როგორშიც ზე-
მოაღნიშნული დებულებანი არიან. ასეთი
თვალსაზრისის დროს, როგორც ზემოთ იყო
აღნიშნული, სრულიად არ წარმოებს სწორედ
იმის გამოკვლევა, რასაც მარტოოდენ ფილო-
სოფიური ინტერესი მოითხოვს, სახელდობრ
ამ ორი პრინციპიდან რომელს ახასიათებს
თავისდათავად ჭეშმარიტება; ასეთი თვალსა-
ზრისისათვის არავითარი განსხვავება არაა
იმაში, უნდა მივიჩნიოთ ეს პრინციპები ობი-
ექტურ პრინციპებად, რაც აქ ნიშნავს — გა-
რეგანად განხორციელებულ ბუნების განსა-
ზღვრებებად, თუ მხოლოდ სუბიექტური შე-
მეცნების მაქსიმებად; მთელი ეს შე-
მეცნება უფრო სუბიექტურია,
ე. ი. შემთხვევითია, რადგან იგი,
შემთხვევითი საბაზის გამო, ხან
ერთ, ხან მეორე მაქსიმას იყენებს, იმისდა მი-
ხედვით, თუ რომელი მათგანი უფრო შესაფე-
რისად ითვლება მოცემული ობიექტისათვის,
საერთოდ კი არ კითხულობს თვით ამ განსა-
ზღვრათა ჭეშმარიტების შესახებ, სულ ერ-
თია — იქნება ეს ობიექტებისა თუ შემეცნე-
ბის განსაზღვრანი». (215—216) [195]

* — კარგია! რედ.

ჰეგელი:

«მიზანი აღმოჩნდა მე-სამე წევრი მექანიზმისა და ქიმიზმის მიმართ; იგი მათი ჰეშმარიტებაა. რადგან თვით იგი ჯერ კიდევ ტოტალური ცნების ობიექტურობის ან უშუალობის სფეროს შიგნით იმყოფება, ამიტომ ის ჯერ კიდევ გარეგანის, როგორც ასეთის, ზეგავლენას განიცდის და მას, უპირისპირდება რაღაც ობიექტური სამყარო, რომელთანაც ის მიმართებაშია. ამ მხრივ ჩვენ მიერ განსახილველი მიზნობრივი მიმართებისას, რომელიც გარეგნული მიმართებაა, ჯერ კიდევ გვევლინება მექანიკური მიზნობრიობა, რომელსაც საერთოდ უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ქიმიზმიც, მაგრამ გვევლინება როგორც მისდამი დაქვემდებარებული, როგორც თავისთავად და თავისთვის მოხსნილი». (216—217) [196]

...«აქედან ცხადად ჩანს ობიექტური პროცესის ორივე წინა ფორმის დაქვემდებარების ბუნება; ის სხვა, რაც მათში უსასრულო პროგრესის სახით გვევლინებოდა, არის მათთვის თავდაპირველად როგორც გარეგანად დადგენილი ცნება, რომელიც არის მიზანი; არა მარტო ცნებაა მათი სუბსტანცია, არამედ გარეგნობაც კი არის მათთვის არსებითი, მათი გარკვეულობის შემ-

მატიერიალისტური

დიალექტიკა:
გარესამყაროს, ბუნების კანონები, დაყოფილი მექანიკურ და ქიმიურ კანონებად (ეს მეტად მნიშვნელოვანია), ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედების საფუძველია.

ადამიანს თავის პრაქტიკულ მოქმედებაში წინ აქვს ობიექტური სამყარო, იგი დამოკიდებულია მასზე, იმით განსაზღვრავს თავის მოქმედებას.

ამ მხრივ, ადამიანის პრაქტიკული (მიზანდამსახველი) მოქმედების მხრივ, სამყაროს (ბუნების) მექანიკური (და ქიმიური) მიზეზობრიობა გვევლინება, როგორც თითქოს გარეგანი რაღაცა, თითქოს მეორეხარისხოვანი, თითქოს დაფარული.

ობიექტური პროცესის 2 ფორმა: ბუნება (მექანიკური და ქიმიური) და ადამიანის მიზანდამსახველი მოქმედება. ამ ფორმების თანამიმართება. ადამიანის მიზნები თავდაპირველად გვეჩვენება ისეთ რამედ, რაც უცხოა („სხვა“) ბუნების მიმართ. ადამიანის ცნობიერება, მეცნიერება („der Begriff“), ასახავს ბუნების არსებას, სუბსტანციას, მაგრამ ამავე დროს ეს ცნობიერება გარეგანია ბუნების მიმართ (რომელიც არა ერთბაშად, არა მარტოდ ემთხვევა მას).

დგენელი მომენტი. ამრიგად, მექანიკური ან ქიმიური ტექნიკა თავისი ხასიათით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი გარედანაა განსაზღვრული, თვით აყენებს თავის თავს მიზნის მიმართების სამსახურში, მიმართებისა, რომელიც ახლა უფრო ახლო უნდა განვიხილოთ». (217) [197]

ტექნიკა მექანიკური და ქიმიური სწორედ იმიტომ ემსახურება ადამიანის მიზნებს, რომ მისი ხასიათი (დედაარსი) მდგომარეობს გარეგანი პირობებით (ბუნების კანონებით) მის განსაზღვრაში.

(**ტექნიკა და ობიექტური** სამყარო.
ტექნიკა და მიზნები)

...«მას» (der Zweck*) «აქვს წინ ობიექტური მექანიკური და ქიმიური სამყარო, რომელსაც, როგორც რაღაც მოცემულს, ეკუთვნის მისი მოქმედება»... (219—220) [199] «რამდენადაც მას ახასიათებს კიდევ ერთგვარი ჰემარიტად სამყაროსგარეშე არსებობა, სწორედ ამდენადვე უპირისპირდება მას ზემოაღნიშნული ობიექტურობა»... (220) [199]

ნამდვილად ადამიანის მიზნები წარმოშობილია ობიექტური სამყაროს მიერ და ისინი გულისხმობენ ამ სამყაროს როგორც მოცემულს, როგორც არსებულს. მაგრამ ადამიანს ეჩვენება, რომ მისი მიზნები ალებულია სამყაროს გარეშე, დამოუკიდებელია სამყაროსაგან („თავისუფლება“).

((NB: ეს ყველაფერი წ-ში „სუბიექტური მიზნის შესახებ“ NB)). (217—221) [197—200]

«მიზანი საშუალების მეოხებით უერთდება ობიექტურობას და უკანასკნელში თავისთავს». (221 [200] წ: „საშუალება“).

«რადგან მიზანი სასრულია, ამიტომ მას, შემდგომ, ერთგვარი სასრული შინაარსიც

* — მიზანს. რ ე დ.

აქვს; ამით ის არ არის რაღაც აბსოლუტური ან რაღაც უსიტყვოდ, თავისთავად და თავისთვის გონიერი. საშუალება კი არის გარეგანი საშუალო ტერმინი დასკვნისა, რომელიც მიზნის შესრულებას წარმოადგენს; ამიტომ საშუალებაში ვლინდება გონიერება, როგორც ისეთი, რომელიც თავის-თავს შეინახავს ამ გარეგან სხვაში და შეინახავს სწორედ ამ გარეგნობის მეშვეობით. ამდენად საშუალება არის რაღაც უფრო მაღალი, ვიდრე გარეგანი მიზანშეწონილობის საბოლოო მიზნები; გუთანი უფრო პატივსაცემია, ვიდრე ის უშუალო სიამოვნება, რასაც იგი ამზადებს და რაც მიზნებს ემსახურება. იარაღი ინახება, მაშინ როდესაც უშუალო სიამოვნება წარმავალია და დავიწყებას ეძლევა. **თავისი იარაღების მონახვით აღამიანს გააჩნია ძალა გარეშე გუნებაზე, მაშინ როდესაც თავის მიზნებში იგი უფრო ემორჩილება მას».**
226 [205]

ისტორიული
მატერიალიზ-
მის ჩანასახებზე
ჰეგელთან

NB

ჰეგელი და
ისტორიული
მატერია-
ლიზმი

Vorbericht, ე. ი. წიგნის წინასიტყვაობა;
დათარიღებულია: ნიურნბერგი. 21. VII.
1816.

ეს წ-ში: «შესრულებული მიზანი»

ისტორიული მატერიალიზმი როგორც ერთ-ერთი გამოყენება და განვითარება გენიალურ იდეათა — მარცვალთა, რომლებიც ჩანასახის სახით ჰეგელს მოეპოვება.

«ტელეოლოგიური პროცესი არის გადატანა ცნებისა (sic!), რომელიც გარკვევით არსებობს როგორც ცნება, ობიექტურობაში»...
(227) [206]

NB

როცა ჰეგელი ცდილობს — ზოგჯერ კიდევ: ლამობს და წელზე ფეხს იდგამს — აღამიანის მიზანშეწონილი მოქმედება ლოგიკის კატეგორიაში მოათავსოს, ამბობს

ლოგიკის
კატეგორი-
ები
და
ადამიანის
პრაქტიკა

რა. რომ ეს მოქმედება არის „დასკვნა“ (Schluß), რომ სუბიექტი (ადამიანი) „დასკვნის“ ლოგიკურ „ფიგურაში“ ამა თუ იმ „წევრის“ როლს ასრულებსო და სხვ., — **ეს არა მხოლოდ ნაძალადევია, არა მხოლოდ თამაზია. ამ არის კალიან ღრმა შინაარსი, წმინდა მატერიალისტური.** უნდა გადავაბრუნოთ: ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებას ადამიანის ცნობიერება მილიარდჯერ უნდა მიეყვანასხვადასხვა ლოგიკური ფიგურის განმეორებამდე, რათა ამ ფიგურებს აქსიომათა მნიშვნელობის მიღება შეძლებოდათ. ეს Nota bene.

NB

«მიზნის მოძრაობამ მიაღწია ახლა იმას, რომ გარეგნობის მომენტი არა მარტო დადგენილია ცნებაში და ცნება არის არა მარტო ჯერარსობა და მისწრაფება, არამედ როგორც კონკრეტული მთლიანობა უშუალო ობიექტურობის იდენტურია». (235) [213] „შესრულებული მიზნის“ შესახებ 5-ის ბოლოს, განყოფილების (III თავის: ტელეოლოგია) — II განყოფილების «ობიექტურობა» — ბოლოს გადასვლა III განყოფილებაზე: „იდეა“.

NB

სუბიექტური ცნებიდან და სუბიექტური მიზნიდან ობიექტური ქეშმარიტებისაკენ

შესანიშნავია: „იდეას“ როგორც ცნების დამთხვევას ობიექტთან, იდეას, როგორც ქეშმარიტებას, ჰეგელი უდგება ადამიანის პრაქტიკული, მიზანშეწონილი მოქმედების მეშვეობით. მჭიდროდ მისვლა იმასთან, რომ ადამიანი თავისი პრაქტიკით ამტკიცებს თავისი იდეების, ცნებების, ცოდნის, მეცნიერების ობიექტურ სისწორეს.

მისამე განყოფილება:

იდეა

III განყოფილების დასაწყისი: «იდეა».

«იდეა არის ადეკვატური ცნება, **ობიექტურად-ქეუმარიტი** ან **ქეუმარიტი** როგორც ასეთი». (236) [214]

საერთოდ „ლოგიკის“ II ნაწილის („სუბიექტური ლოგიკა“) III განყოფილების („იდეა“) ტ. V, გვ. 236—243 [VI, 214—221] შესავალი და **ენციკლოპედიის** შესათფერი §§ (§§ 213—215) — **ლიალეპტიკის თითქმის ყველაზე უკეთესი გადმოცემაა**. აქვე შესანიშნავად გენიალურად არის ნაჩვენები ლოგიკისა და გნოსეოლოგიის, ასე ვთქვათ, დამთხვევა.

გამოთქმა „იდეა“ იხმარება უბრალო წარმოდგენის აზრითაც. კანტი.

«კანტმა კვლავ მოითხოვა, რომ გამოთქმას „იდეა“ დაბრუნებოდა მისი აზრი გონების ცნებისა. გონების ცნება კი, კანტის მიხედვით, უნდა იყოს ცნება უთუოსი, ხოლო მოვლენათა მიმართ — ტრანსცენდენტური, რადგან მას არავითარი მისი ადეკვატური ემპირიული მოხმარება არა აქვს. გონების ცნებანი, კანტის თანახმად, უნდა გვემსახურებოდნენ აღქმათა ჩაწვდომაში, განსჯის ცნებანი კი — აღქმათა გაგებაში. სინამდვილეში კი, თუ უკანასკნელნი მართლაც ცნებებია, მაშინ ისინი არიან

ჰეგელი კანტის წინააღმდეგ

ტრანსცენდენტურის წინააღმდეგ ემპირიიდან (ობიექტური) ქეუმარიტების გამოყოფის აზრით

NB

NB

très bien! * ||| ცნებანი, — მათი მეშვეობით ხდება ჩაწვდო-
მა... (236) [214]

იხ. კიდევ ქვემოთ კანტის შესახებ

ასევე სწორი არ არის იდეის მიჩნევა რაღაც „არანამდვილად“; როგორც ამბობენ: „ეს მხოლოდ იდეებიაო“.

très bien!

«თუ აზრები მხოლოდ რაღაც სუბიექტური და შემთხვევითია, მაშინ მათ, რა თქმა უნდა, არავითარი შემდგომი ღირებულება არა აქვთ, მაგრამ ამ მხრივ ისინი იმ დროითსა და შემთხვევითს სინამდვილეზე დაბლა როდი დგანან, რომელსაც აგრეთვე არავითარი სხვა შემდგომი ღირებულება არ გააჩნია, გარდა შემთხვევითობათა და მოვლენათა ღირებულებისა. თუკი იმას ფიქრობენ, რომ იდეას, პირიქით, ჭეშმარიტების ღირებულება იმიტომ არა აქვს, რომ მოვლენების მიმართ იგი ტრანსცენდენტურია, რომ გრძნობად სამყაროში არ შეიძლება მას მიეცეს რაიმე საგანი, რომელიც მას დაემთხვევა, მაშინ ეს უცნაური გაუგებრობაა, რადგან იდეის ობიექტური მნიშვნელოვნობა აქ იმიტომაა უარყოფილი, რომ მას სწორედ ის აკლიაო, რაც ობიექტური სამყაროს მოვლენას, არაჭეშმარიტყოფიერებას შეადგენს» (237—238) [215]

პრაქტიკული იდეების მიმართ თვით კანტს მიაჩნია pöbelhaft-ად ** იდეათა წინააღმდეგ ცდის დამოწმება; იდეები მას წამოყენებული აქვს როგორც Maximum-ი, რომელთანაც სინამდვილის მიახლოებას უნდა ვესწრაფოდეთ და ჰეგელი განაგრძობს:

«მაგრამ რადგან მიღებულია ის შედეგი, რომ იდეა არის ცნებისა და ობიექტურობის ერთიანობა, — ჭეშმარიტება, — ამიტომ არ შეიძლება იგი განვიხილოთ მხოლოდ როგორც მიზანი, რომელსაც უნდა ვუახლოვდებოდეთ, მაგრამ რომელიც თვით მუ-

* — ძალიან კარგია! რ. ე. დ.

** — ვულგარულად. რ. ე. დ.

დამ რჩება მიღმურობის ერთგვარ სახეობად, არამედ ეს ისეა, რომ ყოველივე ნამდვილი არის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას თავის შიგნით აქვს იდეა და მას იგი გამოხატავს. საგანი, ობიექტური და სუბიექტური სამყარო, არა მხოლოდ უხდება მთხვეოდ ეს საერთოდ იდეას, არამედ თვით იგი ცნებისა და რეალობის დამთხვევაა. ის რეალობა, რომელიც ცნებას არ შეესაბამება, არის მხოლოდ მოვლენა, სუბიექტური, შემთხვევითი, ნებისმიერი, რომელიც არ არის ჭეშმარიტება». (238) [216]

ჰეგელი კანტის „Jenseits“ *-ის წინააღმდეგ

ცნებათა თანხმობა საგნებთან არ არის სუბიექტური

«იგი» (die Idee) «არის, ჯერ ერთი, მარტივი ჭეშმარიტება, ცნებისა და ობიექტურობის იგივეობა, როგორც ზოგადი... (242) [219]

...«მეორე, იგი არის მარტივი ცნების თავისთვის არსებული სუბიექტურობისა და მისგან განსხვავებული ობიექტურობის მიმართება; პირველი არის მისწრაფება მოსპოს ეს გამოყოფა.

...«როგორც ეს მიმართება, იდეა არის პროცესი, რომელიც იქითკენაა მიმართული, რომ გაყოს თავისი თავი ინდივიდუალობად და მის არაორგანულ ბუნებად, კვლავ დაუქვემდებაროს უკანასკნელი სუბიექტის ძალაუფლებას და დაუბრუნდეს პირველ მარტივ ზოგადობას. იდეის იგივეობა თავის თავთან არის ერთიანი პროცესთან.

იდეა (წაიკითხე: ადამიანის შემეცნება) არის ცნებისა და ობიექტურობის („ზოგადი“) დამთხვევა (თანხმობა). ეს — პირველი.

მეორე, იდეა არის თავისთვის არსებული (=ვითომც თავისთავადი) სუბიექტურობის (=ადამიანის) მიმართება (ამ იდეისაგან განსხვავებულ ობიექტურობასთან...

სუბიექტურობა არის მისწრაფება — მოსპოს ეს გამოყოფა (იდეისა ობიექტისაგან).

იდეა **, შემეცნება არის არაორგანულ ბუნებაში (ჭკუის) ჩაღრმავების პროცესი იმისათვის, რომ ეს ბუნება დაუქვემდებაროს სუბიექტის ძალაუფლებას და განაზოგადოს (შეიმეცნოს ზოგადი ამ ბუნების მოვლენებში)...

აზრის დამთხვევა ობიექტთან არის პროცესი:

* — «მიღმურობის». რ. ე. დ.

** — სიტყვა «იდეა» ხელნაწერში წაშლილია. რ. ე. დ.

აზრმა, რომელიც სინამდვილეს უმიზნო ცვალებადობის მოჩვენებითობისაგან ათავისუფლებს და მას იდეად აშუქებს, არ უნდა წარმოიდგინოს სინამდვილის ეს ჭეშმარიტება როგორც მკვდარი სიწყნარე, როგორც უბრალო გამოსახულება, მკრთალი, მისწრაფებასა და მოძრაობას მოკლებული, როგორც რომელიმე გენიოსი, ან რიცხვი, ან აბსტრაქტული აზრი; იდეას, თავისუფლების მეოხებით, რასაც მასში ცნება აღწევს. აქვს თავის-თავში აგრეთვე ყველაზე მძაფრი წინააღმდეგობა: მისი სიწყნარე მდგომარეობს სიმტკიცესა და რწმენაში, რითაც იგი მარად ქმნის ამ წინააღმდეგობას და მარად სძლევს მას და დაემთხვევა მასში თავის-თავს...⁶⁰

NB

აზრმა (=ადამიანმა) არ უნდა წარმოიდგინოს ჭეშმარიტება მკვდარი სიწყნარის სახით, როგორც უბრალო სურათი (გამოსახულება), უფერული (მკრთალი), მისწრაფებას, მოძრაობას მოკლებული, თითქოს გენიოსი, თითქოს რიცხვი, თითქოს აბსტრაქტული აზრი.

იდეას აქვს თავის თავში უძლიერესი წინააღმდეგობაც, სიწყნარე (ადამიანის აზროვნებისათვის) მდგომარეობს სიმტკიცესა და რწმენაში, რითაც იგი მარად ქმნის (აზრისა და ობიექტის ამ წინააღმდეგობას) და მარად სძლევს მას...

შემეცნება არის აზროვნების მუდმივი, უსასრულო მიახლოება ობიექტთან. ბუნების ასახვა ადამიანის აზრში უნდა გვესმოდეს არა როგორც „მკვდარი“, „აბსტრაქტული“, მოძრაობას მოკლებული, წინააღმდეგობებს მოკლებული, არამედ მოძრაობის, წინააღმდეგობათა წარმოშობისა და მათი გადაწყვეტის მარადიულ პროცესში მყოფი.

«იდეა არის... იდეა ჭეშმარიტებისა და სიკეთისა, როგორც შემეცნებისა და ნებისა... ამ სასრული შემეცნე-

იდეა არის შემეცნება და მისწრაფება (სურვილი) [ადამიანისა]... პროცესი (წარმავალი, სასრული, შეზღუდული) შემეცნებისა.

ბის და (NB) მოქმედებების პროცესი თავდაპირველად აბსტრაქტულ ზოგადობას გადააქცევს ტოტალობად, რის გამოც იგი სრულყოფილი ობიექტურობა ხდება». (243) [220]

იგივეა ენციკლოპედიაში (ტომი VI)*. ენციკლოპედია § 213 (გვ. 385 [I, 321]) **

...«იდეა არის ჭეშმარიტება; ვინაიდან ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტურობა შეესაბამება ცნებას... მაგრამ ყოველივე ნამდვილიც, რამდენადაც იგი რაღაც ჭეშმარიტია, არის იდეა... ცალკეული ყოფიერება წარმოადგენს იდეის მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს; იდეას სჭირდება ამიტომ კიდევ სხვა სინამდვილენიც, რომლებიც ასევე წარმოგვიდგებიან როგორც თავისთვის გამოცალკევებულად არსებულნი; მხოლოდ მათს ერთობლიობაში და ერთმანეთთან მათს მიმართებაში ხორციელდება ცნება. ცალკეული, თავისთავად აღებული, არ შეესაბამება თავის ცნებას. მისი იქყოფნის ეს შეზღუდულობა შეადგენს მის სასრულობას და იწვევს მის დაღუპვას»...

და მოქმედებისა აბსტრაქტულ ცნებებს დასრულებულ ობიექტურობად აქცევს.

ცალკეული ყოფიერება (საგანი, მოვლენა etc.) არის (მხოლოდ) იდეის (ჭეშმარიტების) ერთი მხარე. ჭეშმარიტებისათვის საჭიროა კიდევ სინამდვილის სხვა მხარეებიც, რომლებიც მხოლოდ გვეჩვენებიან დამოუკიდებელ და ცალკეულ (besonders für sich bestehende ***) მხარეებად. მხოლოდ მათს ერთობლიობაში (zusammen) და მათს მიმართებაში (Beziehung) ხორციელდება ჭეშმარიტება.

მოვლენის, სინამდვილის და მათი (ურთიერთ) მიმართების ყველა მხარის ერთობლიობა — აირისგან ყალიბდება ჰეშმარიტება. ცნებათა მიმართებანი (= გადასვლები = წინააღმდეგობანი) = ლოგიკის მთავარი შინაარსი, ამასთან ეს ცნებები (და მათი მიმართებანი, გადასვლები, წინააღმდეგობანი) ნაჩვენებია როგორც ობიექტური სამყაროს ასახვანი. ნივთთა დიალექტიკა ქმნის იდეათა დიალექტიკას და არა პირიქით.

ჰეგელმა გენიალურად გამოიცნო ცნებათა დიალექტიკაში ნივთთა (მოვლენათა, სამყაროს, ბუნების) დიალექტიკა #

ეს აფორიზმი უნდა გამოითქვას უფრო პოპულარულად, ისე, რომ სიტყვა დიალექტიკა არ იყოს ნახმარი: დაახლოებით ასე: ჰეგელმა გენიალურად გამოიცნო ყველა ცნების ცვლაში, ურთიერთდამოკიდებულებაში, მათს დაპირისპირებულობათა იგივეობაში, გადასვლებში ერთი ცნებისა მეორეში, ცნებათა მუდმივ ცვლაში, მოძრაობაში ნივთთა, ბუნების სწორედ ასეთი მიგართება.

სწორედ რომ გამოიცნო და არა მეტი

რაში მდგომარეობს დიალექტიკა?

=
 ცნებათა ურთიერთდამოკიდებულება
 » ყველასი »
 უკლებლივ
 ცნებათა გადასვლები ერთიდან მეორეში
 » ყველასი » უკლებლივ
 ცნებათა შორის დაპირისპირებულობის ფარდობითობა...
 ცნებათა შორის დაპირისპირებულობათა იგივეობა.

= NB
 თვითეული ცნება იმყოფება გარკვეულ მიმართებაში, გარკვეულ კავშირში ყველა დანარჩენთან

«ჰეშმარიტებად გულისხმობენ უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მე ვიცი, თუ როგორ არსებობს რაიმე. მაგრამ ეს არის ჰეშმა-

რიტება მხოლოდ ცნობიერების მიმართ, ანუ ფორმალური ჭეშმარიტებაა, — მხოლოდ სისწორეა. (§ 213, 386 [322]) ჭეშმარიტება კი უფრო ღრმა აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტურობა ცნების იდენტურია.

«ცუდი ადამიანი არის არაჭეშმარიტი ადამიანი, ე. ი. ადამიანი, რომელიც თავისი ცნების, ანუ თავისი დანიშნულების შეუფერებლად იქცევა, მაგრამ არაფერი ისეთი არ შეიძლება არსებობდეს, რაც სავსებით მოკლებულია ცნებისა და რეალობის იგივეობას. ცუდი და არაჭეშმარიტიც კი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც მისი რეალობა რაღაცნაირად და რამდენიმედ მის ცნებას შეესაბამება...

...«ყველაფერი, რაც ფილოსოფიის სახელის ღირსია, თავის მოძღვრებას ყოველთვის საფუძვლად უდებდა იმის აბსოლუტური ერთიანობის შეგნებას, რაც განსჯის მიერ აღიარებულია მხოლოდ მის განცალკევებაში»...

«ყოფიერებისა და არსების აქამდე განხილული საფეხურები, ისევე როგორც ცნებისა და ობიექტურობის საფეხურებიც, არ წარმოადგენენ რაიმე უძრავსა და თავის-თავზე დამყარებულს, არამედ დიალექტიკური აღმოჩნდნენ და მათი ჭეშმარიტება მხოლოდ იმაშია, რომ ისინი არიან იდეის მომენტები».
(387—388) [323]

განსხვავება
ყოფიერებისა
არსებისაგან,
ცნებისა ობი-
ექტურობისა-
გან შეფარ-
დებითია

ტომი VI, 388 [323]

ადამიანის მიერ ბუნების შემეცნების (= „იდეის“) მომენტები — აი რა არის ლოგიკის კატეგორიები.

ტომი VI, გვ. 388 [323—324] (§ 214):

«იდეა შეიძლება სხვადასხვანაირად გამოიხატოს. მას შეიძლება ეწოდოს გონება (ესაა გონების ცნების ნამდვილი ფილოსოფიური მნიშვნელობა), შემდეგ სუბიექტ-ობიექტი,

(იდეა) ჭეშმარიტება ყოველმხრივია

იდეალურისა და რეალურის, სასრულისა და უსასრულოს, სულისა და სხეულის ერთიანობა, შესაძლებლობა, რომელსაც თავის-თავში აქვს თავისი ნამდვილობა, ის, რის ბუნებაც შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ როგორც არსებული და სხვ. ყველა ეს გამოთქმა კანონიერია, რადგან იდეა შეიცავს განსჯის ყველა მიმართებას, მაგრამ შეიცავს მათს უსასრულო დაბრუნებასა და იგივეობაში თავისი თავის შიგნით.

«განსჯისათვის ძნელი არაა იმის ჩვენება, რომ, ყოველივე, რაც იდეაზე გამოითქმის, შინაგანად წინააღმდეგობრივია. მაგრამ მას შეიძლება ამითვე მიეზღოს, უფრო სწორად, უკვე მიზღული აქვს იდეაში; უკანასკნელი არის გონების მუშაობა, რაც, რა თქმა უნდა, ისე ადვილი არაა, როგორც განსჯის მუშაობა. თუ განსჯა გვიჩვენებს, რომ იდეა თავის თავს ეწინააღმდეგება, იმიტომ რომ, მაგალითად, სუბიექტური მხოლოდ სუბიექტურია, ობიექტური კი მისი საპირისპიროა; რომ ყოფიერება არის რაღაც სრულიად სხვა, ვიდრე ცნება, და ამიტომ შეუძლებელია პირველის მიღება მეორისაგან; რომ სასრული ასევე მხოლოდ სასრულია და უსასრულოს პირდაპირ დაპირისპირებულობას წარმოადგენს, მაშასადამე, შეუძლებელია უკანასკნელის იდენტური იყოს, და ასე შემდეგ ყველა განსაზღვრის მიმართ, — მაშინ ლოგიკა გვიჩვენებს, პირიქით, საპირისპიროს, სახელდობრ, რომ სუბიექტური, რომელიც მხოლოდ სუბიექტურია, სასრული, რომელიც მხოლოდ სასრულია, უსასრულო, რომელიც უსასრულო უნდა იყოს და ა. შ., მოკლებული არიან ჭეშმარიტებას, ეწინააღმდეგებიან თავის-თავს და გადადიან თავიანთ დაპირისპირებულობაში; ამრიგად, ეს გადასვლა და ერთიანობა, რაშიც უკიდურესობანი მოქცეული არიან როგორც მოხსნილნი, როგორც ერთგვარი მოჩვენებითობა ან მომენტები, მუდამნდება როგორც ამ უკიდურესობათა ჭეშმარიტება. (388) [323—324]

«როცა განსჯა იდეას აკრიტიკებს, იგი ორმაგ გაუგებრობაში ვარდება. ჯერ ერთი, იდეის კიდური ტერმინები — რა ფორმითაც უნდა იყვნენ ისინი გამოხატული, — რამდენადაც ისინი მოცემული არიან იდეის ერთიანობაში, განსჯის მიერ აიღებიან ჯერ იმ აზრითა და განსაზღვრით, რომლითაც ისინი არიან არა იდეის კონკრეტულობაში, არამედ როგორც აბსტრაქციები, რომლებიც ჯერ კიდევ იდეის გარეშე იმყოფებიან. არანაკლებია მის (der Verstand *) მიერ მათი მიმართების გაუგებრობა მაშინაც კი, როცა ეს მიმართება აშკარად დადგენილია; ასე, მაგალითად, მას მხედველობიდან ეპარება **კავშირის ბუნებაც კი მსჯელობაში**, კავშირისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ **ცალკეული, სუბიექტი, არის იმდენადვე არა ცალკეულიც, არამედ ზოგადი**. მეორე, განსჯას თავისი რეფლექსია, რომლის თანახმად თავისთავთან იგივეური იდეა შეიცავს თავისში თავის-თავის უარყოფას, წინააღმდეგობას, — მიაჩნია გარეგან რეფლექსიად, რომელიც თვით იდეაში არ შედის. ნამდვილად კი ეს განსჯის განსაკუთრებული სიბრძნე როდია, **არამედ თვით იდეა წარმოადგენს დიალექტიკას**, რომელიც მარად გამოყოფს და განასხვავებს იგივეურს განსხვავებულისაგან, სუბიექტურს ობიექტურისაგან, სასრულს უსასრულოსაგან, სულს სხეულისაგან — და მხოლოდ ამდენად იდეა **არის მარადიული შემოქმედება, მარადიული ცხოველმყოფელობა და მარადიული სული»...** (389) [324]

VI, § 215, გვ. 390 [325]:

«იდეა თავისი არსებით პროცესია, რადგან მისი იგივეობა მხოლოდ იმდენად არის ცნების აბსოლუტური და თავისუფალი

* — განსჯის. რეღ.

NB:

აბსტრაქციები და დაპირისპირებულობათა „კონკრეტულ ერთიანობა“. საუცხოო მაგალითი: ყველაზე მარტივი და ყველაზე ნათელი ცნებათა დიალექტიკა და მისი მატერიალისტური ფესვები

დიალექტიკა აღამიანის განსჯაში კი არ არის. არამედ „იდეაში“, ე. ი. ობიექტურ სინამდვილეში.

„მარადიული სიცოცხლე“ = დიალექტიკა

იდეა არის... პროცესი

ეს NB

იგივეობა, რამდენადაც იგი არის აბსოლუტური უარყოფითობა და ამიტომ დიალექტიკური».

ამიტომო გამოთქმა „ერთიანობა“ აზროვნებისა და ყოფიერებისა, სასრულისა და უსასრულოსი და ა. შ. falsch*, რადგან იგი გამოხატავს „ruhig beharrende Identität“**. არ არის მართალი, თითქოს სასრული უბრალოდ ანეიტრალებს („neutralisiert“) უსასრულოს და vice versa***. სინამდვილეში ჩვენ გვაქვს პ რ ო ც ე ს ი.

თუ დავითვლით... ყოველ წამში დედამიწაზე ათ ადამიანზე მეტი კვდება და კიდევ უფრო მეტი იბადება. „მოძრაობა“ და „მომენტი“: დაიჭირე იგი. ყოველ მომენტში მოცემული... დაიჭირე ეს მომენტი. Idem მარტივ მექანიკურ მოძრაობაში (contra ჩერნოვისა 61).

«იდეა, როგორც პროცესი, თავის განვითარებაში გაივლის სამ საფეხურს. იდეის პირველი ფორმა არის ს ი ც ო ც ხ ლ ე... მეორე ფორმა... არის იდეა, როგორც შემეცნება, რომელიც თეორიული და პრაქტიკული იდეის ორმაგი სახით ვლინდება. შემეცნების პროცესს თავის შედეგად აქვს სხვაობით გამდიდრებული ერთიანობის აღდგენა, და ეს იძლევა მესამე ფორმას, აბსოლუტური იდეის ფორმას»... (391) [326]

ჭეშმარიტება არის პროცესი. სუბიექტური იდეიდან ადა-

იდეა არის „ჭეშმარიტება“ (გვ. 385 [320—321], § 213). იდეა, ე. ი. ჭეშმარიტება, როგორც პროცესი — რადგან ჭეშმარიტება არის პ რ ო ც ე ს ი — თავის განვითარებაში (Entwicklung) გაივლის სამ საფეხურს: 1) სიცოცხლე; 2) შემეცნების პროცესი, რომელიც შეიცავს ადამიან-

- * — მ ც ლ ა რ ი ა. რ ე ლ.
- ** — «წ უ ნ ა რ ა ლ მ ყ ო ფ ი ი გ ი ე ვ ე ო ბ ა». რ ე ლ.
- *** — ვ ი რ ი ქ ი თ. რ ე ლ.

ნის პრაქტიკასა და ტექნიკას (იხ. ზემოთ), — 3) აბსოლუტური იდეის (ე. ი. სრული ჭეშმარიტების) საფეხური.

სიცოცხლე წარმოშობს ტვინს. ადამიანის ტვინში აისახება ბუნება. თავის პრაქტიკაში და ტექნიკაში ამ ასახვათა სისწორის შემოწმებითა და გამოყენებით ადამიანი მიდის ობიექტურ ჭეშმარიტებამდე.

მიანი მიდის ობიექტურ ჭეშმარიტებამდე „პრაქტიკისა“ (და ტექნიკის) მეშვეობით.

ლოგიკა. ტომი V.

III განყოფილება. იდეა. I თავი. სიცოცხლე.

„ლოგიკაზე ჩვეულებრივი წარმოდგენის“ მიხედვით (Bd. V, გვ. 244 * [VI, 221] **) ლოგიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს საკითხს სიცოცხლის შესახებ. მაგრამ, თუ ლოგიკის საგანი ჭეშმარიტებაა, „ჭეშმარიტება“ კი, როგორც ასეთი, *wesentlich im Erkennen ist* ***, მაშინ შემეცნებაზე უნდა ვიმსჯელოთ — შემეცნებასთან დაკავშირებით კი (გვ. 245 [222]) უკვე საჭიროა სიცოცხლეზე ვილაპარაკოთ.

ზოგჯერ ეგრეთწოდებული „წმინდა ლოგიკის“ შემდეგ წამოყენებულია კიდევ „გამოყენებითი“ (*angewandte*) ლოგიკა, მაგრამ მაშინ...

...«მოგვიხდებოდა ლოგიკაში ყოველი მეცნიერების შეტანა, რადგან თვითეული მეცნიერება გამოყენებითი ლოგიკაა იმდენად, რამდენადაც იგი იმაში მდგომარეობს, რომ თავისი საგანი აზრისა და ცნების ფორმებით გამოხატოს». (244) [221]

ყოველი მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა

* — Hegel. Werke, Bd. V, Berlin, 1834. რედ.

** — Гегель. Сочинения, т. VI, М., 1939, რედ.

*** — არსებითად შემეცნებაშია. რედ.

აზრი ლოგიკაში სიცოცხლის შეტანისა გასაგებია — და გენიალური — ადამიანის (ჯერ ინდივიდუალური) ცნობიერებაში ობიექტური სამყაროს ასახვის პროცესისა და ამ ცნობიერების (ასახვის) პრაქტიკით შემოწმების თვალსაზრისით — იხილეთ:

სიცოცხლე = ინდივიდუალური სუბიექტი თავის თავს გამოყოფს ობიექტურისაგან.

...«სიცოცხლის თავდაპირველი მსჯელობა ამიტომ იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც ინდივიდუალური სუბიექტი, თავის-თავს გამოყოფს ობიექტურობისაგან»... (248) [224]

ენციკლოპედია * § 216: სხეულის ცალკეული ნაწილები მხოლოდ თავიანთი კავშირით არიან ის, რაც არიან. სხეულს მოშორებული ხელი მხოლოდ სახელწოდებით არის ხელი (არისტოტელე).

ენციკლოპედია § 219: ...«ცოცხალი არსების მიერ დამორჩილებული არაორგანული ბუნება ამას იმიტომ განიცდის, რომ იგი თავის თავად იგივეა, რაც სიცოცხლეა თავისთვის».

შევაბრუნოთ = წმინდა მატერიალიზმი. შესანიშნავია, ღრმად, სწორია!! და კიდევ NB: ამტკიცებს უაღრეს სისწორეს და მოხდენილობას ტერმინებისას „an sich“ და „für sich“!!! **

NB

თუ განვიხილავთ ლოგიკაში სუბიექტის მიმართებას ობიექტისადმი, მაშინ უნდა მხედველობაში მივიღოთ კონკრეტული სუბიექტის (= ადამიანის სიცოცხლე) ყოფიერების წანამძღვრები ობიექტურ ვითარებაში.

* Hegel. Werke, Bd. VI, Berlin, 1840; Гегель. Сочинения, т. I, М.—Л., 1930. რ. 2.

** — «თავისთავად» და «თავისთვის»!!! რ. 2.

დანაწილებანი*:

- 1) სიცოცხლე, როგორც „das lebendige Individuum“** (§ A)
- 2) „სიცოცხლის პროცესი“
- 3) „პროცესი გვარისა“ (Gattung), ადამიანის მოდგმის კვლავწარმოქმნისა და გადასვლა შ ე მ ე ც ნ ე ბ ა ზ ე.

(1) „subjektive Totalität“*** და „გულ-გრილი“ „ობიექტურობა“

(2) სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობა

...«ცოცხალის ეს ობიექტურობა არის ორგანიზმი; იგი არის მიზნის საშუალება და იარაღი»... (251) [227]

შემდეგ „მოთავსება“ ლოგიკურ კატეგორიებში „გრძნობიერებისა“ (Sensibilität), „გამლიზიანებლობისა“ (Irritabilität) — ეს არისო განსაკუთრებული განსხვავებით ზოგადისაგან!! — და „კვლავწარმოქმნისა“ ცარიელი თამაშია. დავიწყებულა საკვანძო ხაზი, გადასვლა ბუნებრივი მოვლენების სხვა სიბრტყეზე.

და ა. შ. Schmerz ist „eine wirkliche Existenz“ des Widerspruchs**** ცოცხალ ინდივიდში.

ჰეგელი და თამაში „ორგანული ცნებებით“

!!!

სასაცილო ჰეგელში

ან კიდევ: ადამიანის კვლავწარმოქმნა... „არის მათი“ (სხვადასხვა სქესის ორი ინდივიდის) «რეალიზებული იგივეობა, არის ერთიანობა გვარისა, რომელიც რეფლექსიას ახდენს თავის თავში თავის გაორებისაგან»... (261) [236]

ჰეგელი და თამაში „ორგანიზმით“

* — Hegel. Werke. Bd. V. Berlin, 1834, გვ. 248—262; Гегель. Сочинения, т. VI. М., 1939, стр. 224—237. რ ე დ.

** — «ცოცხალი ინდივიდი». რ ე დ.

*** — «სუბიექტური ტოტალობა». რ ე დ.

**** — ტკივილი არის წინააღმდეგობის «ნამდვილი არსებობა». რ ე დ.

ლოგიკა, ტომი V.

III განყოფილება. იდეა.

II თავი. შემეცნების იდეა.

(გვ. 262—327 [237—295]).

სუბიექტური
ცნობიერება
და მისი ჩა-
ძირვა ობიექ-
ტურობაში

...«მისი» (des Begriffs *) «რეალობა სა-
ერთოდ არის მისი იქყოფნის ფორ-
მა; მთელი საქმე ამ ფორმის განსაზღვრაშია;
მასზეა დაფუძნებული განსხვავება იმასა, თუ
რა არის ცნება თავისთავად ან როგორც სუ-
ბიექტური, და იმას შორის, თუ რა არის იგი,
როგორც ჩაძირვა ობიექტურობაში, შემდეგ
კი სიცოცხლის იდეაში». (263) [238]

მისტიკა!

...«სული არა მარტო უსას-
რულოდ უფრო მდიდარია,
ვიდრე ბუნება, არამედ... აბსო-
ლუტური ერთიანობა დაპირის-
პირებულისა ცნებაში შეად-
გენს სულის არსებას... (264)
[238—239]

?

მისტიკა!

ჰეგელი კანტის წინააღმდეგ:

?ე. ი. რომ „მე“
კანტისათვის
არის ცარიელი
ფორმა
(„თვითგამო-
წოვა“) შემე-
ცნების პრო-
ცესის კონ-
კრეტული
ანალიზის
გარეშე

კანტისათვის „Ich“ ** არის „als ein trans-
cendentales Subjekt der Gedanken“ ***
(264) [239]; «ამასთან ამ მეს, კანტისავე საკუ-
თარი გამოთქმით, ის უხერხულობა აქვს, რომ
მის შესახებ რაიმე მსჯელობისათვის ჩვენ
მულამ უკვე იმითვე უნდა ვსარგებლობდეთ»...

(გვ. 265 [240])

«იგი» (=კანტი) «ამ განსაზღვრათა» (სა-
ხელღობრ: abstrakte einseitige Bestim-

* — ცნების. რედ.

** — «მე». რედ.

*** — «როგორც აზრების ტრანსცენდენტალური სუბიექტი». რედ.

NB

mungen „der vormaligen — კანტამდე არსებული — Metaphysik“ * „სულის“ შესახებ „თავის“ (კანტის) კრიტიკაში «საფილოსოფიო მარტივად მისდევდა იუმის სკეპტიკურ მანერას, სახელდობრ, მტკიცედ იდგა იმაზე, თუ როგორ ვლინდება მე თვითცნობიერებაში, ჩამოაშორებდა რა მას, — რადგან საჭირო იყო შემეცნება მისი, როგორც არსებისა, როგორც საგნისა თავისთავად, — ყოველივე ემპირიულს; ამრიგად აღარაფერი რჩებოდა, გარდა ამ მოვლენისა: მე ვაზროვნებ, — რომელიც ყველა წარმოდგენას თან ახლავს და რომლისაც ჩვენ სრულიად არაფერი გავგეგება». (266) [240] # # #

NB:
კანტი და იუმი
სკეპტიკო-
სებია

ეტყობა, სკეპტიციზმს ჰეგელი აქ იმაში ხედავს, რომ იუმი და კანტი „მოვლენების“ ვერ ხედავენ გამოვლენას საგნისას თავისთავად, აშორებენ მოვლენებს ობიექტურ ჭეშმარიტებას, ეჭვი შეაქვთ შემეცნების ობიექტურობაში, alles Empirische ** -ს აშორებენ, weglassen, Ding-ს an sich... *** და ჰეგელი განაგრძობს:

რაში ხედავს
ჰეგელი იუმი-
სა და კანტის
სკეპტიციზმს?

...«უეჭველია, უნდა ვალიაროთ, რომ არაფერი გავგეგება არც მე-სი, არც სხვა რაიმესი, თვით ცნებისაც კი, რამდენადაც არ ჩავწვდომი ვართ ცნებას, არამედ მარტივ, უძრავ წარმოდგენასა და სახელწოდებაზე ვჩერდებით». (266) [240]

არ შეიძლება
გავიგოთ გაგე-
ბის (შემეცნე-
ბის, კონკრი-
ტული შესწავ-
ლის etc.) პრო-
ცესის გარეშე

რათა გაიგო, საჭიროა ემპირიულად დაიწყო გაგება, შესწავლა, ემპირიიდან ზოგადამდე ასვლა. ცურვა რომ ისწავლო, საჭიროა წყალში ჩახვიდე.

* — აბსტრაქტულ ცალმხრივ განსაზღვრათა «წინანდელი — კანტამდელი — მეტაფიზიკისა». რ ე დ.

** — ყოველივე ემპირიულს. რ ე დ.

*** — საგნის თავისთავად. რ ე დ.

კანტი კმაყოფილდება „მოვლენებით“

ძველი მეტაფიზიკაო, ესწრაფოდა რა ჰეგელის კრიტიკების შემეცნებას, საგნებს ყოფდა. ჰეგელიანების ნიშნის მიხედვით, სუბსტანციებად და ფენომენებად. (269) [243] კანტის კრიტიკამ უარი თქვა ჰეგელიანების გამოკვლევაზე... (269) [243]... «მაგრამ შეჩერება მოვლენებზე და იმაზე, რაც ყოველდღიურ ცნობიერებაში მხოლოდ წარმოდგენად გვევლინება, ნიშნავს ცნებასა და ფილოსოფიაზე უარის თქმას». (269) [244]

§ A:

«ჰეგელიანების იდეა. სუბიექტური იდეა არის უწინარეს ყოვლისა სწრაფვა... სწრაფვას აქვს ამიტომ ის გარკვეულობა, რომ იგი მოხსნის თავის საკუთარ სუბიექტურობას, გადააქცევს თავის ჯერ კიდევ აბსტრაქტულ რეალობას კონკრეტულ რეალობად და აავსებს ამ უკანასკნელს მისი სუბიექტურობით ნაგულისხმევი სამყაროს შინაარსით... რადგან შემეცნება არის იდეა, როგორც მიზანი ან როგორც სუბიექტური იდეა, ამიტომ უარყოფა ნაგულისხმევი სამყაროსი, როგორც თავისთავად არსებულისა, არის პირველი უარყოფა... (274—275) [248—249]

ვ. ი. შემეცნების პირველ საფეხურს, მომენტს, საწყისს, მიდგომას წარმოადგენს მისი სასრულობა (Endlichkeit) და სუბიექტურობა, უარყოფა სამყაროსი თავისთავად — შემეცნების მიზანი თავიდან სუბიექტურია...

ჰეგელი კანტის წინააღმდეგ:

კანტმა ერთი მხარე აბსოლუტამდე აიყვანა

«უცნაურად უახლეს დროში» (აშკარაა, კანტი) «სასრულის ეს მხარე განმტკიცებულ და მიჩნეულ იქნა შემეცნების აბსოლუტურ მიმართებად, თითქოს სასრული, როგორც ასეთი, უნდა ყოფილიყო აბსოლუტური! ამ თვალსაზრისით ობიექტს

მიეწერება რაღაც უცნობი თვისება — იყოს ნივთობა თავის თავად შემეცნების საზღვრებს იქით და ეს ნივთობა თავისთავად, მასთან კი ჭეშმარიტებაც, განიხილება როგორც აბსოლუტურად მიღებული რამ შემეცნებისათვის. აზრის განსაზღვრანი საერთოდ, კატეგორიები, რეფლექსიის განსაზღვრანი, ისევე როგორც ფორმალური ცნება და მისი მომენტები, ამ გაგებით იღებენ არა ისეთ განსაზღვრათა მდგომარეობას, რომელიც სასრულნი არიან თავისთავად, არამედ მათი სასრულობა აღებულება იმ აზრით, რომ ისინი არიან რაღაც სუბიექტური შედარებით ზემოაღნიშნულ ცარიელ ნივთობასთან თავის თავად; შემეცნების ამ არაჭეშმარიტი მიმართების ჭეშმარიტ მიმართებად აღიარება არის შეცდომა, რომელიც უახლესი დროის საერთო შეხედულებად იქცა». (276) [250]

კანტისათვის
ნივთი თავის-
თავად არის
აბსოლუტური
„Jenseits“ *

კანტის სუბი-
ექტივიზმი

ადამიანის შემეცნების (მისი კატეგორიების, მიზეზობრიობისა და სხვ. და სხვ.) სასრული, წარმატალი, შეფარდებითი, პირობითი ხასიათი კანტმა მიიღო სუბიექტივიზმად და არა იდეის (= თვით ბუნების) დიალექტიკად, ჩამოაშორა რა შემეცნება ობიექტს.

...«მაგრამ შემეცნებამ თავისი საკუთარი მოძრაობით უნდა გადაწყვიტოს თავისი სასრულობა და ამით თავისი წინააღმდეგობაც». (277) [250]

მაგრამ შემე-
ცნების
მსვლელო-
ბას იგი მიჰ-
ყავს ობიექ-
ტურ ჭეშმა-
რიტებამდე

...«იმდენადვე ცალმხრივია წარმოიდგინო ანალიზი ისე, თითქოს საგანში არაფერია ისეთი, რაც მასში ჩადებული არ იყოს, რამდენადც ცალმხრივია იმის ფიქრი, თითქოს მიღებული განსაზღვრანი აღებულია

ჰეგელი სუბი-
ექტური იდე-
ალიზმისა და

* — «მიღმურობა». რ ე დ.

„რელიზმის“
წინააღმდეგ

მხოლოდ მისგან. პირველ წარმოდგენას გამო-
თქვამს, როგორც ცნობილია, სუბიექტური
იდეალიზმი, რომელსაც შემეცნების მოქმე-
დება ანალიზში მიაჩნია მარტოოდენ ცალ-
მხრივ და დგენად, რომლის იქითაც და-
მალული რჩება ნივთი თავის თავ-
ვად; მეორე წარმოდგენა ეკუთვნის ეგრეთ-
წოდებულ რელიზმს, რომელსაც სუბიექტუ-
რი ცნება ისე ესმის, როგორც ცარიელი იგი-
ვეობა, რომელიც აზრის განსაზღვრებებს
გარედან იღებს. (280) [254]

ლოგიკის ობი-
ექტურობა

...მაგრამ ამ ორი მომენტის ერთიმეორისა-
გან გამოყოფა არ შეიძლება; ლოგიკური თავისი
აბსტრაქტული ფორმით, რომლითაც
იგი ვლინდება ანალიზში, რა თქმა უნდა, მო-
ცემულია მხოლოდ შემეცნებაში, ისევე რო-
გორც, პირიქით, იგი არის არა მხოლოდ რა-
ღაც დადგენილი, არამედ რაღაც თავის
თავად არსებულიც... (280)
[253—254]

ლოგიკური ცნებები სუბიექტურნი არი-
ან, სანამ „აბსტრაქტულნი“ რჩებიან, თავიანთ
აბსტრაქტულ ფორმაში, მაგრამ იმა-
ვე დროს გამოხატავენ ნივთებსაც თავის-
თავად. ბუნება კონკრეტულიცაა და აბ-
სტრაქტულიც, მოვლენაც არის და არ-
სიც, მყისიცაა და მიმართებაც. ადამიან-
ის ცნებები სუბიექტურნი არიან თავიანთ
აბსტრაქტულობაში, მოწყვეტილობაში, მა-
გრამ ობიექტურნი არიან მთლიანობაში,
პროცესში, ჯამში, ტენდენციაში, სათა-
ვეში.

ძალიან კარგია ენციკლოპედიის § 225,
სადაც „შემეცნება“ („თეორიული“)
და „ნებისყოფა“, „პრაქტიკული მოქმედე-
ბა“ გამოხატულია როგორც ორი მხარე,
ორი მეთოდი, ორი საშუალება როგორც
სუბიექტურობის, ისე ობიექტურობის
„ცალმხრიობის“ მოსაზრებისა.

და შემდეგ 281 — 282 [254—255] მეტად მნიშვნელოვანია კატეგორიების გადასვლაზე ერთიმეორეში (და კანტის წინააღმდეგ, გვ. 282 [255])

ლოგიკა, ტ. V, გვ. 282 [VI, 255] (დასასრული)*.

...«კანტი... სესხულობს ფორმალურ ლოგიკიდან გარკვეულ კავშირს, ე. ი. თვით მიმართებათა ცნებებს და სინთეზურ ძირითად დებულებებს, იღებს მათ როგორც მოცემულთ; მათი დედუქცია უნდა ყოფილიყო გამოსატულება თვითცნობიერების ამ მარტივი ერთიანობის გადასვლისა მათს ასეთ განსაზღვრებებსა და განსხვავებებში; მაგრამ კანტმა გაინთავისუფლა თავი იმ შრომისაგან, რომ ეჩვენებინა ეს ჭეშმარიტად სინთეზური წინსვლითი მოძრაობა თავისი-თავის წარმომშობი ცნებისა». (282) [255]

კანტმა არ გვიჩვენა კატეგორიების ერთიმეორეში გადასვლა.

286—287 [259—260] — უბრუნდება რა ერთხელ კიდევ უმაღლეს მათემატიკას (აშკლავნებს რა, სხვათა შორის, იმის ცოდნას, თუ როგორ ამოხსნა გაუსმა განტოლება $X^m - 1 = 0$ ⁶²), ჰეგელი ერთხელ კიდევ ეხება დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვას, ამბობს, რომ

«მათემატიკამ... დღემდე ვერ შეძლო გაემართლებინა საკუთარი ძალით, ე. ი. მათემატიკურად, ის მოქმედებანი, რომლებიც დაფუძნებულია ამ გადასვლაზე» (რომელიმე სიდიდეებიდან რომელიღაც სიდიდეებზე გადასვლა), «რადგან ეს გადასვლა მათემატიკური ბუნების არ არის». Leibnitz-მაო, ** რომელსაც დიფერენციალური აღრიცხვის აღმომჩენის სახელს მიაწერენ, მოახდინა ეს გადასვლა «ყველაზე დაუშვებელი, ცნებისათვის

* — აქედან ვ. ი. ლენინის ჩანაწერი გადაღის ახალ რეველში. რ ე დ.

** — ლაიბნიცი. რ ე დ.

იმდენადვე სრულიად უცხო, რამდენადაც არამათემატიკური წესით»... (287) [259—260]

«ანალიზური შემეცნება არის პირველი წანამძღვარი მთელი დასკვნისა—უმუშალო მიმართება ცნებისა ობიექტისადმი; ამიტომ იგივეობა ის განსაზღვრავს, რომელიც შემეცნებას თავისად მიაჩნია, და ეს შემეცნება არის მხოლოდ გაგება იმისა, რაც არის. სინთეზური გაგება ესწრაფვის გაიგოს ის, რაც არის, ე. ი. ჩასწვდეს განსაზღვრათა მრავალსახეობას მის ერთიანობაში. ამიტომ იგი დასკვნის მეორე წანამძღვარია, სადაც მიმართებაშია მოყვანილი განსხვავებული როგორც ასეთი. ამიტომ მისი მიზანია აუცილებლობა საერთოდ». (288) [260—261]

ზოგიერთი მეცნიერების (მაგალითად, ფიზიკის) ზერხის გამო — აიღოს „ახსნისათვის“ სხვადასხვა „ძალა“ etc. და მოჭიმოს (დაჭიმოს), მოარგოს ფაქტები etc., ჰეგელი აკეთებს შემდეგ ჰეგელიანურ შენიშვნას:

«ირკვევა, რომ თეორემებში მოთავსებული კონკრეტული მასალის ეგრეთწოდებული ახსნა და დამტკიცება არის ნაწილობრივ ტავტოლოგია; ნაწილობრივ დამახინჯება საქმის ჭეშმარიტი ვითარებისა; ნაწილობრივ კი ეს დამახინჯება იმას ემსახურებოდა, რომ დაეფარა ცდომილება შემეცნებისა, რომელიც ცალმხრივად ახდენდა ცდების შერჩევას, რის გამოც მას ერთადერთს შეეძლო კიდევ მიეღო თავისი მარტივი დეფინიციები და ძირითადი დებულებანი; ცდიდან აღებულ შედავებას კი იგი იმით უკუაგდებს, რომ ცდას იღებს და განმარტავს არა მის კონკრეტულ ტოტალობაში, არამედ როგორც მაგალითს, და თანაც იმ მხრიდან, რომელიც ხელსაყრელია პიპოთეზებისა და თეორიისათვის. წამძღვარებული განსაზღვრებებისადმი კონკრეტული ცდის ამ დაქვემდებარებაში თეორიის საფუძველი ბუნდოვანდება და მხოლოდ იმ მხრიდან გამოჩნდება, რომელიც თეორიას ადასტურებს». (315—316) [285—286]

შესანიშნავად
სწორი და
ღრმა

(შეად. ბურ-
ჟუაზის
პოლიტიკუ-
რი ეკონო-
მია

სუბიექტივიზ-
მისა და ცალ-
მხრიობის წი-
ნაღმდეგ

მაგალითი:
სასაცილო მედიდურობა ბანალობებით
etc.

ძველი მეტაფიზიკა (მაგალითად, Wolff-ისა*) დაამხვესო კ ა ნ ტ მ ა და J a c o b i -მ**. კანტმა გვიჩვენა, რომ „მკაცრ დამტკიცებას“ ანტინომიამდე მივყავართ.

«მაგრამ თვით ბუნება ამ დამტკიცებისა, რომელიც დაკავშირებულია ერთგვარ სასრულ შინაარსთან, მას» (Kant) «არ გაუაზრებია; ამავდროს კი ერთი უნდა ბათილდებოდეს მეორესთან ერთად». (317) [287]

სინთეზური შემეცნება ჯერ კიდევ არ არის სრული, რადგან «ცნება არ ხდება ერთიანობა თავისი თავისა თავის თავთან თავის საგანში ან თავის რეალობაში... ამიტომ იდეა ჯერ კიდევ ვერ აღწევს ამ შემეცნებაში ჭეშმარიტებას სუბიექტურ ცნებასთან საგნის შეუსაბამობის გამო. მაგრამ აუცილებლობის სფერო ყოფიერებისა და რეფლექსიის უმაღლესი მწვერვალია; იგი თავისთავად გადადის ცნების თავისუფლებაში, შინაგანი იგივეობა გადადის თავის გამოვლენაში, რომელიც არის ცნება როგორც ცნება...»

...«იდეა, რამდენადაც ცნება თავისთვის წარმოადგენს ახლა თავისთავად გარკვეულ ცნებას, არის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი იდეა, მოქმედება». (319) [288—289] და მომდევნო დასათაურებულია «B: სიკეთის იდეა».

თეორიულმა შემეცნებამ უნდა მოგვეცეს ობიექტი მის აუცილებლობაში, მის ყოველმხრივ მიმართებაში, მის წინააღმდეგობრივ მოძრაობაში an- und fürsich***. მაგრამ ადამიანის ცნება შემეცნების ამ ობიექტურ ჭეშმარიტებას „საბოლოოდ“ ჩაეჭიდება, დაიჭერს, დაეფუძლება მხოლოდ მა-

ე. ი. კანტმა ვერ გაიგო „სასრულის“ დიალექტიკის საყოველთაო კანონი?

ჰეგელი
პრაქტიკისა
და შემეცნე-

* — ვოლფისა. რ ე დ.

** — ი ა კ ო ბ ი. რ ე დ.

*** — თავისთავად და თავისთვის. რ ე დ.

ბის ობიექტუ-
რობის შესა-
ხებ

შინ, როცა ცნება იქცევა „თავისთვის ყოფიერებად“ პრაქტიკის აზრით. ე. ი. ადამიანისა და კაცობრიობის პრაქტიკა არის შემეცნების ობიექტურობის შემოწმება, კრიტიერიუმი. ასეთია კი ჰეგელის აზრი? ამას უნდა დავუბრუნდეთ.

პრაქტიკიდან, მოქმედებიდან გადასვლა რატომ მხოლოდ „სიკეთეზე“, das Gute? ეს ვიწროა, ცალმხრივია! სასარგებლო კი? უეჭველია, სასარგებლოც შედის აგრეთვე. თუ, ჰეგელის მიხედვით: ესეც das Gute არის?

ყველაფერი ეს თავში «შემეცნების იდეა» (II თავი) — გადასვლაში „აბსოლუტურ იდეაზე“ (III თავი) — ე. ი., უეჭველია, ჰეგელისათვის პრაქტიკა დგას, როგორც რგოლი, შემეცნების პროცესის ანალიზში და სწორედ როგორც გადასვლა ობიექტურ („აბსოლუტურ“, ჰეგელის მიხედვით) კეშმარიტებაზე. მაშასადამე, მარქსი უშუალოდ უახლოვდება ჰეგელს, როცა მას შემეცნების თეორიაში პრაქტიკის კრიტიერიუმი შეაქვს: იხ. თეზისები ფოიერბახის შესახებ ⁶³.

პრაქტიკა შემეცნების
თეორიაში

(320) [289] «როგორც სუბიექტურს, მას» (der Begriff) «კვლავ აქვს წინა-

Alias *:

ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ქმნის მას.

ცნება (=ადამიანი), როგორც სუბიექტური, ისევ გულისხმობს თავისთავად

* — სხვანაირად, სხვა სიტყვებით. რ ე დ.

მძღვრად რაღაც თავისთავად არსებული სხვადასხვაფერება; ეს ცნება არის. მ.დ.ს. წრ ა ფ ე ბ ა თავისი-თავის რეალიზაციისადმი, მიზანი, რომელსაც სურს თავისი-თავის მეშვეობით მისცეს თავის-თავს ობიექტურობა ობიექტურ სამყაროში და შეასრულოს თავისი თავი. (თეორიულ იდეაში სუბიექტური ცნება როგორც ზოგადი, თავისდათავად განსაზღვრას მოკლებული, უპირისპირდება ობიექტურ სამყაროს, საიდანაც იგი თავისთვის გარკვეულ შინაარსსა და გავსებას იღებს. პრაქტიკულ იდეაში კი ეს ცნება, როგორც ნამდვილი, უპირისპირდება ნამდვილს; მაგრამ თავის თავის რწმენა, რაც დამახასიათებელია სუბიექტისათვის მის თავისთავად და თავისთვის გარკვეულ ყოფიერებაში, არის თავისი ნამდვილობისა და სამყაროს უ ნ ა მ დ ვ ი ლ ო ბ ი ს რწმენა;...

.....

არსებულ სხვადასხვაფერებას (=ადამიანისაგან დამოუკიდებელ ბუნებას). ეს ცნება (=ადამიანი) არის მის-წრ ა ფ ე ბ ა იმისადმი, რომ რეალიზაცია უყოს თავის თავს, მისცეს თავის თავს თვით თავისი თავის მეშვეობით ობიექტურობა ობიექტურ სამყაროში და განახორციელოს (შეასრულოს) თავის-თავი. -

თეორიულ იდეაში (თეორიის სფეროში) სუბიექტური ცნება (შემეცნება?), როგორც ზოგადი და თავისდათავად გარკვეულობას მოკლებული, უპირისპირდება ობიექტურ სამყაროს, საიდანაც იგი გარკვეულ შინაარსსა და გავსებას იღებს.

პრაქტიკულ იდეაში (პრაქტიკის სფეროში) ეს ცნება, როგორც ნამდვილი (მოქმედი?), უპირისპირდება ნამდვილს.

თავის თავისადმი რწმენა, რომელიც სუბიექტს აქ უეცრად „ცნების“ მაგიერად აქვს თავისთავად და თავისთვის თავისი ყოფიერებისადმი, როგორც გარკვეულ სუბიექტს, არის თავისი ნამდვილობისა და სამყაროს უ ნ ა მ დ ვ ი ლ ო ბ ი ს რწმენა.

ე. ი. რომ სამყარო არ აკმაყოფილებს ადამიანს და ადამიანი თავისი მო-

ქმედებით გადაწყვეტს
შეცვალოს იგი.

...«ეს გარკვეულობა, ცნებაში მოთავსებული, ცნების თანატოლი და ცალკეული გარესინამდვილის მოთხოვნის შემცველი, არის სიკეთე. ეს უქანასკნელი გამოდის რალაც აბსოლუტურის ღირსებით, რადგან იგი არის ცნების მთლიანობა თავის შიგნით, ობიექტური, რომელსაც ამასთანავე ახასიათებს თავისუფალი ერთიანობისა და სუბიექტურობის ფორმა. ეს იდეა უფრო მაღალია, ვიდრე ზემოგანხილული შემეცნების იდეა, რადგან პირველს აქვს ღირსება არა მხოლოდ ზოგადისა, არამედ აგრეთვე უბრალოდ ნამდვილისა... (320—321) [290]

...«ამიტომ მიზნის მოქმედება მიმართულია არა თავის თავზე, რათა მიიღოს თავის შიგნით და შეითვისოს რომელიმე მოცემული განსაზღვრა, არამედ იგი უფრო იქითკენაა მიმართული, რომ დაადგინოს თავისი საკუთარი განსაზღვრა და მიანიჭოს თავის თავს რეალობა გარესინამდვილის ფორმით გარესამყაროს განსაზღვრათა მოხსნის საშუალებით»... (321) [290]

...«შესრულებული სიკეთე სიკეთეთა იმის გამო, რომ

დედაარსი:

„ქეთილი“ არის „გარესინამდვილის მოთხოვნა“, ე. ი. „ქეთილით“ იგულისხმება პრაქტიკა აღამიანისა = მოთხოვნა (1) და გარესინამდვილისა (2).

პრაქტიკა უფრო მაღალია (თეორიული) შემეცნებაზე, ვინაიდან მას აქვს არა მხოლოდ ღირსება ზოგადობისა, არამედ უშუალო სინამდვილისაც.

„მიზნის მოქმედება მიმართულია არა თავის თავზე...“

არამედ იმაზე, რომ გარესამყაროს გარკვეული (მხარეების, ნიშნების, მოვლენების) მოსპობის საშუალებით მისცეს თავის თავს რეალობა გარესინამდვილის ფორმით“...

იგი უკვე არის სუბიექტურ მიზანში, თავის იდეაში; შესრულება მას ერთგვარ გარეგან არსებობას აძლევს»... (322) [291]

«თვით შესრულებას სიკეთისას წინ ეღობება დაბრკოლებანი და შეუძლებლობაც კი მის მიმართ ნაგარაუდვეი იმ **ობიექტური სამყაროს** მხრივ, რომლის ვარაუდში მდგომარეობს სიკეთის სუბიექტურობა და სასრულობა და **რომელიც, როგორც რაიმე სხვა, თავისი საკუთარი გზით მიდის** . . . + (322—323) [292]

„ობიექტური სამყარო“ „თავისი საკუთარი გზით მიდის“, და ადამიანის პრაქტიკა, რომელსაც ეს ობიექტური სამყარო წინ აქვს. მიზნის „განხორციელებაში სიძნელებებს“ ხვდება, „შეუძლებლობასაც“ კი ეხეჩება...

NB

NB

+ ...«ამრიგად, სიკეთე ერთგვარ ჯერ არსობად რჩება; ის არის თავისთავად და თავისთვის, მაგრამ ყოფიერება, როგორც უკანასკნელი, აბსტრაქტული უშუალობა, რჩება წინააღმდეგ სიკეთისა აგრეთვე განსაზღვრული როგორც ერთგვარი არყოფიერება... ++ (323) [292]

სიკეთე, კეთილი, კეთილი მისწრაფებანი **სუბიექტურ ჯერარსად** რჩებიან...

++ ...«დასრულებული სიკეთის იდეა, მართალია, ერთგვარი აბსოლუტური პოსტულატი, მაგრამ მარტოოდენ პოსტულატი, ე. ი. აბსოლუტური, **სუბიექტური ობიის გარკვეულ ობით** დამძიმებული. აქ არის კიდევ **ორი დაპირისპირებული სამყარო**, **სუბიექტური ობის** სამყარო **გამკვირვალე აზრის წმინდა სივრცეებში** და **ობიექტური ობის** სამ-

ორი სამყარო:
სუბიექტური
და ობიექტური

ყარო გარეგანად მრავალფეროვანი სინამდვილის სტიქიაში, სინამდვილისა, რომელიც წყვდიადის გაუმქლავნებელი სამეფოა. სრული განვითარება გადაუწყვეტელი წინააღმდეგობისა, აღნიშნული აბსოლუტური მიზნისა, რომელსაც დაუძლეველად უპირისპირდება ამ სინამდვილის ზღუდე, უფრო დაწვრილებით განხილულია Phänomenologie des Geistes-ში *, გვ. 453 და შემდ.»... (323) [292]

NB

დაცინვა „გამჭვირვალე აზრის წმინდა სივრცეებზე“ სუბიექტურობის სამყაროში, რომელსაც უპირისპირდება „ობიექტური“, „სხვადასხვაგვარი“ სინამდვილის „წყვდიადი“.

...«უკანასკნელში» (= der theoretischen Idee ** განსხვავებით der praktischen Idee-საგან ***) ...«შემეცნებამ იცის თავის თავი, მხოლოდ როგორც აღქმა, როგორც თავისდათავად განუსაზღვრელი იგივეობა ცნებისა თავის თავთან; შესრულება, ე. ი. თავისთავად და თავისთვის გარკვეული ობიექტურობა არის თეორიული იდეისათვის რაღაც მოცემული და ჰეგელისა და არსებულის — სუბიექტური და დგენისაგან დამოუკიდებლად არსებულის სინამდვილე. პირიქით, პრაქტიკული იდეისათვის ეს სინამდვილე, რომელიც მას უპირისპირდება როგორც გადაულახავი ზღუდე, ისეთი თავისთავად და თავისთვის უმნიშვნელო რამაა, რომელმაც თავისი ჰეგელისაგან განსაზღვრა და ერთადერთი ღირებულება სიკეთის მიზნის მეშვეობით უნდა მიიღოს. ამიტომ ნებისყოფა თვით ელოდება წინ თავისი მიზნის მიღწევას იმით, რომ ნებისყოფა გამოეყოფა შემეცნებას და რომ

* — სულის ფენომენოლოგიაში. რე დ.

** — თეორიულ იდეაში. რე დ.

*** — პრაქტიკულ იდეაში. რე დ.

გარესინამდვილე არ ინარჩუნებს ამ ნებისყოფისათვის ჭეშმარიტად-არსებულის ფორმას; ამიტომ სიკეთის იდეას შეუძლია თავისი შევსება მხოლოდ ჭეშმარიტების იდეაში ჰპოვოს». (323—324) [292—293]

შემეცნება... პოულობს თავის წინაშე ჭეშმარიტად არსებულს როგორც (Setzen-ის*) სუბიექტურ შეხედულებათაგან დამოუკიდებლად მყოფ სინამდვილეს. (ეს წმინდა მატერიალიზმია!). ადამიანის ნებისყოფა, მისი პრაქტიკა, თვით უშლის ხელს თავისი მიზნის განხორციელებას... იმით, რომ გამოეყოფა შემეცნებას და არ სცნობს გარესინამდვილეს ჭეშმარიტ არსებულად (ობიექტურ ჭეშმარიტებად). აუცილებელია შემეცნებისა და პრაქტიკის შეერთება.

Nota bene

და მაშინვე ამის შემდეგ:

...«მაგრამ ამ გადასვლას სიკეთის იდეა თვით თავისი თავის მეშვეობით ახდენს» (გადასვლა ჭეშმარიტების იდეისა სიკეთის იდეაში, თეორიისა პრაქტიკაში და vice versa**). «მოქმედების დასკვნაში პირველი წანამძღვარი არის კეთილი მიზნის უშუალო მიმართება იმ სინამდვილესთან, რომელსაც ეს მიზანი ეუფლება და რომელსაც იგი მეორე წანამძღვარში წარმართავს გარესინამდვილის წინააღმდეგ, როგორც გარეგან საშუალებას». (324) [293]

„მოქმედების დასკვნა“... ჰეგელისათვის მოქმედება, პრაქტიკა არის ლოგიკური „დასკვნა“, ლოგიკის ფიგურა. და ეს მართალია! რა თქმა უნდა, არა იმ აზრით, რომ ლოგიკის ფიგურას თავის სხვადაყოფიერებად ადამიანის პრაქტიკა აქვს (=

*— დადგენის. რედ.

**— პირიქით. რედ.

NB

= აბსოლუტური იდეალიზმი), არამედ vice versa: ადამიანის პრაქტიკა, მეორდება რა მილიარდჯერ, განმტკიცდება ადამიანის ცნობიერებაში ლოგიკის ფიგურებით. ამ ფიგურებს აქვთ ცრურწმენის სიმყარე, აქსიომური ხასიათი სწორედ (და მარტო-ოდენ) ამ მილიარდჯერ განმეორების გამო.

NB

1-ლი წანამძღვარი: კ ე თ ი ლ ი მ ი ზ ა ნ ი
(სუბიექტური მიზანი)
versus ს ი ნ ა მ დ ვ ი
ლ ე („გარესინამდვი-
ლე“)

მე-2 წანამძღვარი: გარეგანი ს ა შ უ ა ლ ე
ბ ა (იარალი), (ობიექ-
ტური)

მე-3 წანამძღვარი, ესე იგი დასკვნა: სუბი-
ექტურისა და ობიექტურ-
ის დამთხვევა, სუბი-
ექტური იდეების შემო-
წმება, ობიექტური ჭეშ-
მარიტების კრიტიკიუმი.

...«სიკეთის შესრულება წინააღმდეგ მისდა-
მი დაპირისპირებული, მის მიმართ სხვა სი-
ნამდვილისა, არის ის გამეშვეება, რომელიც
არსებითად აუცილებელია სიკეთის უშუალო
მიმართებისა და ნამდვილი განხორციელები-
სათვის»... (325) [294]

...«მაგრამ თუ სიკეთის მიზანი ამით» (მო-
ქმედებით) «მაინც შესრულებული არ იქნე-
ბოდა, მაშინ ეს იქნებოდა ცნების დაბრუნება
იმ თვალსაზრისზე, რომელიც ცნებას თავისი
მოქმედების შესახებ აქვს, — თვალსაზრისზე,
რომლის მიხედვით სინამდვილე განსაზღვრუ-
ლია როგორც უმნიშვნელო და მაინც როგორც
რეალურად ნაგულისხმევი; ეს დაბრუნება იქ-
ცევა პროგრესად ცუდ უსასრულობაში და მას
თავისი საფუძველი მხოლოდ იმაში აქვს, რომ
აღნიშნული აბსტრაქტული რეალობის მო-
ხსნისას ეს მოხსნაც აგრეთვე უშუალოდ და-

ვიწყებული ხდება, ანდა ივიწყებენ იმას, რომ ეს რეალობა, პირიქით, უკვე ნაგულისხმევი იყო, როგორც თავისთავად და თავისთვის უმნიშვნელო, არა ობიექტური სინამდვილე». (325) [294]

NB:

მიზანთა (ადამიანის მოქმედების) შეუსრულებლობას თავის მიზეზად (Grund) ის აქვს, რომ რეალობა მიჩნეულია არარსებულად (nichtig), რომ მისი (რეალობის) ობიექტური სინამდვილე არაა აღიარებული.

«რადგან ობიექტური ცნების მოქმედებით გარესინამდვილე იცვლება და მისი განსაზღვრა ამით მოიხსნება, სწორედ ამიტომ მას ესპობა ხასიათი მარტოოდენ გამოვლინებადი რეალობისა, გარეგანი განსაზღვრობადობისა და უმნიშვნელობისა და ამით იგი დგინდება როგორც თავისთავად და თავისთვის არსებული»... (326) [295] +

NB

მოქმედება ადამიანისა, რომელმაც შექმნა თავისთვის სამყაროს ობიექტური სურათი, ცვლის გარესინამდვილეს, სპობს მის გარკვეულობას (= ცვლის მის ამა თუ იმ მხარეს, თვისებებს), და ამრიგად ართმევს მას მოჩვენებითობის, გარეგნობისა და უმნიშვნელობის ნიშნებს, აქცევს მას თავისთავად და თავისთვის არსებულად (= ობიექტურ ჭეშმარიტებად).

NB

+ ...«ამით საერთოდ მოიხსნება აღნიშნული წანამძვარი, სახელდობრ განსაზღვრა სიკეთისა როგორც ერთგვარი მხოლოდ სუბიექტური და თავისი შინაარსით შეზღუდული მიზნისა, აუცილებლობა უკანასკნელის რეალიზაციისა ჯერ მხოლოდ სუბიექტური მოქმედების მეშვეობით, და თვით ეს მოქმედებაც. შედეგად გამეშვეება თვით მოხსნის თავის თავს; შედეგი არის უშუალო-

ბა, რომელიც წარმოადგენს არა წანამძღვრის აღდგენას, არამედ, პირიქით, მის მოხსნას. ამით გარკვეული ცნების იდეა თავისთავად და თავისთვის დადგენილია უკვე არა მარტო მოქმედ სუბიექტში, არამედ აგრეთვე როგორც ერთგვარი უშუალო ნამდვილობა, და, პირიქით, უკანასკნელი, როგორც იგი **შემეცნებაშია**, დადგენილია ისე, რომ ის **ჭეშმარიტად არსებულ იობიექტურობაა**. (326) [295]

მოქმედების შედეგი არის სუბიექტური შემეცნების შემოწმება და **ჭეშმარიტად არსებული იობიექტურობის** კრიტერიუმი.

...«ამ შედეგში ამით შემეცნება აღდგენილია და შეერთებულია პრაქტიკულ იდეასთან, მოცემული სინამდვილე განსაზღვრულია ამასთანავე როგორც შესრულებული აბსოლუტური მიზანი; მაგრამ არა ისე, როგორც მაძიებელ შემეცნებაში, მხოლოდ როგორც იობიექტური სამყარო, ცნების სუბიექტურობას მოკლებული, არამედ როგორც ისეთი იობიექტური სამყარო, რომლის შინაგანი საფუძველი და ნამდვილი არსებობა არის ცნება. ეს აბსოლუტური იდეაა». (327) [295] ((II თავის ბოლო. გადასვლა III თავზე: «აბსოლუტური იდეა».)

III თავი: «აბსოლუტური იდეა». (327) [296]

...«აბსოლუტური იდეა, როგორც აღმოჩნდა, არის იგივეობა თეორიული და პრაქტიკული იდეისა, რომელთაგან თვითეული თავისთვის ჯერ კიდევ ცალმხრივია»... (327) [296]

თეორიული იდეის (შემეცნების) და პრაქტიკის ერთიანობა — ეს NB — და ესაა ერთიანობა სწორედ შემეცნების თეორიაში, რადგან ჯამში მიიღება „აბსოლუტური იდეა“ (იდეა კი =

= „das objektive Wahre“ *) [ტომი V, 236]
[VI, 214]

ახლა განსახილველი რჩებაო უკვე არა Inhalt **, არამედ... «მისი ფორმის საყოველთაობა, — ე. ი. მ ე თ ო ლ ი ა. (329) [298]

«მაძიებელ შემეცნებაში მეთოდი ასევე ი ა რ ა ლ ი ა, სუბიექტურ მხარეზე მდგომი ერთგვარი საშუალება, რომლის მეშვეობითაც იგი მიმართებაშია ობიექტთან... პირიქით, ჭეშმარიტ შემეცნებაში მეთოდი არის გარკვეულ განსაზღვრათა არა მარტო სიმრავლე, არამედ თავისთავად და თავისთვის გარკვეულობაცნებისა, რომელიც მხოლოდ იმიტომ არის საშუალო ტერმინი» (საშუალო წევრი დასკვნის ლოგიკურ ფიგურაში), «რომ მას აქვს აგრეთვე ობიექტურის მნიშვნელობა»... (331) [299—300]

...«პირიქით, აბსოლუტური მეთოდი» (ე. ი. ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდი) «ვლინდება არა როგორც გარეგანი რეფლექსია, არამედ თვით თავისივე თავიდან იღებს გარკვეულს, რადგან ეს მეთოდი თვით არის საგნის იმანენტური პრინციპი და სული. — ეს არის ის, რასაც პ ლ ა ტ ო ნ ი შემეცნებისაგან მოითხოვდა, — გ ა ნ ი ხ ი ლ ო ს ა გ ნ ე ბ ი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ და თ ა ვ ი ს თ ვ ი ს, ნაწილობრივ მათს საყოველთაობაში, ნაწილობრივ კი ისე, რომ მათგან გვერდზე არ გადუხვიო და არ მოედო მეორეხარისხოვან გარემოებებს, მაგალითებსა და შედარებებს, არამედ თვალწინ გქონდეს მხოლოდ ეს საგნები და ცნობიერებამდე დაგყავდეს ის, რაც მათში იმანენტურია»... (335—336) [303]

ეს მეთოდი „des absoluten Erkennens“ ist *analytisch*,... „aber ebenso sehr, *synthetisch*“***... (336) [303—304]

* — «ობიექტურად ჭეშმარიტი». რ ე დ.

** — შინაარსი. რ ე დ.

*** — «აბსოლუტური შემეცნებისა» ა ნ ა ლ ი ზ უ რ ი ა, ...მაგრამ ამასთანავე იგი მეტად ს ი ნ თ ე ზ უ რ ი ა. რ ე დ.

დიალექტიკის
ერთ-ერთი
განსაზღვრა

„Dieses so sehr synthetische als analytische Moment des *Urteils*, wodurch das anfängliche Allgemeine aus ihm selbst als das *Andere seiner* sich bestimmt, ist das *dialektische* zu nennen“... (336) [304] (+ იხ. შემდეგი გვ.)*

«მსჯელობის ეს იმდენადვე სინთეზური, რამდენადაც ანალიზური მომენტია, რომლის ძალითაც თავდაპირველი ზოგადობა [ზოგადი ცნება] თვით თავისივე თავიდანვე განისაზღვრება როგორც სხვა თავისი თავის მიმართ, უნდა იწოდებოდეს დიალექტიკურად».

განსაზღვრა არანათელთაგანია!!

1) განსაზღვრა ცნებისა თვით თავისივე თავისაგან [თვით თავისი] მის მიმართებებსა და მის განვითარებაში უნდა განიხილებოდეს;

2) წინააღმდეგობრიობა თვით საგანში (das *Andere seiner* **), წინააღმდეგობრივი ძალები და ტენდენციები ყოველ მოვლენაში;

3) შეერთება ანალიზისა და სინთეზისა.

ეტყობა, ასეთია დიალექტიკის ელემენტები. შეიძლება, მგონი, ეს ელემენტები უფრო დეტალურად წარმოვიდგინოთ ასე:

1) განხილვის ობიექტურობა (არა მაგალითები, არა გადახვევანი, არამედ ნივთი თავისთავად).

X

2) ამ საგნის სხვებთან მრავალგვარ მიმართებათა მთელი ერთობლიობა.

3) ამ ნივთის (respective *** მოვლენის) განვითარება, მისი საკუთარი მოძრაობა, მისი საკუთარი სიცოცხლე.

4) შინაგანი წინააღმდეგობრივი ტენდენციები (და მხარეები) ამ საგანში.

დიალექტიკის
ელემენტები

* ხელნაწერში ფრჩხილიდან იწყება ისარი, რომელიც აღნიშნავს აზრს «დიალექტიკა არის...». რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის შემდეგ ფურცელზე. (იხ. ეს ტომი, გვ. 222). რ ე დ.

** — სხვა თავისი. რ ე დ.

*** — შესაბამისად. რ ე დ.

- 5) ნივთი (მოვლენა etc.) როგორც დაპირებისპირებულობათა ჯამი და
 #
 ერთიანობა.
- 6) ბრძოლა respective გაშლა ამ დაპირებისპირებულობათა, წინააღმდეგობრივ მისწრაფებათა etc.
- 7) ანალიზისა და სინთეზის შეერთება. — ცალკეული ნაწილების განხილვა და ამ ნაწილების ერთობლიობა, ერთად შეჯამება.
- X 8) თვითეული ნივთის (მოვლენის etc.) მიმართებანი არა მარტო მრავალნაირია, არამედ საყოველთაოა, უნივერსალურია. თვითეული საგანი (მოვლენა, პროცესი etc.) დაკავშირებულია თვითეულთან.
- 9) დაპირისპირებულობათა არა მხოლოდ ერთიანობა, არამედ გადასვლები თვითეული განსაზღვრისა, თვისებრიობისა, ნიშნისა, მხარისა, თვისებისა თვითეულ სხვაში [თავის დაპირისპირებულობაში?].
- 10) ახალ მხარეთა, მიმართებათა etc. გამოვლენის უსასრულო პროცესი.
- 11) ადამიანის მიერ ნივთის, მოვლენების, პროცესების და ა. შ. შემეცნების გაღრმავების უსასრულო პროცესი მოვლენებიდან არსებისაკენ და უფრო ნაკლებად ღრმა არსებიდან უფრო ღრმა არსებისაკენ.
- 12) თანაარსებობიდან კაუზალობისაკენ და კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ერთი ფორმიდან მეორე, უფრო ღრმა, უფრო ზოგადი ფორმისაკენ.
- 13) განმეორება უმაღლეს სტადიაში დაბალის გარკვეული ნიშნებისა, თვისებათა etc და
- 14) უკან დაბრუნება ვითომ (უარყოფის) ძველისადმი (უარყოფა)
- 15) ბრძოლა შინაარსისა ფორმასთან და პირიქით. ფორმის მოშორება, შინაარსის გარდაქმნა.

16) გადასვლა რაოდენობისა თვისებრიობაში და vice versa*. ((15 და 16-ის მაგალითები ა))

მოკლედ დიალექტიკა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მოძღვრება დაპირისპირებულობათა ერთიანობაზე. ამით გაგებული იქნება დიალექტიკის ბირთვი, მაგრამ ეს ახსნა-განმარტებასა და განვითარებას მოითხოვს.

+ (გაგრძელება. იხ. წინა გვ. **)

...«დიალექტიკა ერთი ის ძველი მეცნიერებათაგანია, რომელიც ახალი ფილოსოფოსების მეტაფიზიკაში [აქ] აშკარაა = შემეცნების თეორია და ლოგიკა», შემდეგ კი საერთოდ პოპულარულ ფილოსოფიაში, როგორც ძველად, ისე ახალ დროში, ყველაზე მეტად იყო უგულვებელყოფილი»... (336) [304] **პლატონის** შესახებ დიოგენე ლაერციუსმა თქვაო, რომ პლატონი იყო ინიციატორი **დიალექტიკისა**, მე-3 ფილოსოფიური მეცნიერებისა (როგორც თალესი — ნატურფილოსოფიისა, სოკრატე — მორალური ფილოსოფიისა), მაგრამ პლატონის ამ დამსახურების შესახებო ნაკლებად ფიქრობენ ისინი, ვინც განსაკუთრებით ამაზე გაჰყვირის...

პლატონი და
დიალექტიკა

დიალექტიკის
ობიექტუ-
რობა...

...«დიალექტიკას ხშირად განიხილავდნენ როგორც ერთგვარ ხელოვნებას, თითქოს ის დაფუძნებული იყოს რაღაც სუბიექტურ ტალანტზე, და არ ეკუთვნოდეს ცნების ობიექტურობას»... (336—337) [304] კანტის მნიშვნელოვანი დამსახურებაა დიალექტიკის კვლავ შემოღება, „გონების“ „აუცილებელ“ (თვისებად) მისი აღიარება (337) [304], მაგრამ შედეგი (დიალექტიკის გამოყენებისა) უნდა იყოს (კანტელობის) „საპირისპირო“ იხ. ქვემოთ.

* — პირიქით. რ ე დ.

** — იხ. ეს ტომი, გვ. 220. რ ე დ.

შემდეგ მოდის **დიალექტიკის** მეტად საინტერესო, ნათელი, მნიშვნელოვანი **ნარკვევი**:
 ...«გარდა იმისა, რომ დიალექტიკა ჩვეულებრივ რაღაც შემთხვევითად წარმოგვიდგება, მას საერთოდ ის დეტალური ფორმა აქვს, რომ რომელიმე საგნის, მაგალითად, სამყაროს, მოძრაობის, წერტილისა და სხვ. შესახებ მითითებულია, რომ მას ახასიათებს რაიმე განსაზღვრა, მაგალითად, აღნიშნული საგნების წესრიგის მიმართ, სასრულობა სივრცეში ან დროში, ყოფნა ან ადგილზე, აბსოლუტურა უარყოფა სივრცისა; მაგრამ, რომ, შემდეგ, ამდენადვე აუცილებელია საპირისპირო განსაზღვრაც, მაგალითად, უსასრულობა სივრცესა და დროში, არყოფნა ან ადგილზე, მიმართება სივრცისადმი და ამით სივრცულობა. უფრო ძველი ელემენტების სკოლა თავის დიალექტიკას უმთავრესად მოძრაობის წინააღმდეგ იყენებდა, პლატონი კი ხშირად — თავისი დროის წარმოდგენათა და ცნებათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით სოფისტების წინააღმდეგ, მაგრამ აგრეთვე, წმინდა კატეგორიებისა და რეფლექსიის განსაზღვრათა წინააღმდეგ; მერმინდელმა განვითარებულმა სკეპტიციზმმა დიალექტიკა გააფრცვლა არამარტო ცნობიერების უშუალო ეგრეთწოდებულ ფაქტებზე და ყოველდღიური ცხოვრების მაქსიმუმზე, არამედ ყველა მეცნიერულ ცნებაზეც. შედეგი კი, ასეთი დიალექტიკიდან გამოყვანილი, არის საერთოდ აღიარებულ მტკიცებათა წინააღმდეგობრიობა და არარაობა. მაგრამ ასეთ შედეგს შეიძლება ჰქონდეს ორგვარი აზრი, — ან ის ობიექტური აზრი, რომ თვით საგანი, რომელიც ამნაირად თვით თავის თავს ეწინააღმდეგება, მოხსნის და მოსპობს თავის თავს; — ასეთია, მაგალითად, ელვატების დასკვნა, რომლითაც უარყოფილი იყო სამყაროს, მოძრაობის, წერტილის ჭეშმარიტობა; ან ის სუბიექტური აზრი, რომლითაც არაღამაკმაყოფილებელია

დიალექტიკის
ისტორიიდან

სკეპტიციზმის
როლი დიალექტიკის
ისტორიაში

დიალექტიკა
გაგებულა
როგორც
ხრიკი

შეშეცნება. ანდა უკანასკნელი დასკვნა
გაგებულა ისე, რომ თვით ეს დიალექტიკაო
აკეთებს ფოკუსს, რომელიც ამგვარ ცრუ მო-
ჩვენებითობას ქმნის. ასეთია ჩვეულებრივი
შეხედულება ადამიანის ეგრეთწოდებული
სალი აზრისა, რომელიც ემყარება გრძნო-
ბად სიცხადეს, შეჩვეულ წარმოდგენებსა
და გამოთქმებს... (337—338) [304—305]

მაგალითად, დიოგენი — ძალი ⁶⁴ სიარუ-
ლით ამტიკებს მოძრაობას, „eine pöbelhafte
Widerlegung“ * (338) [305—306], ამბობს ჰე-
გელი.

კანტელობა =
(აგრეთვე)
სკეპტიციზმი

...«ანდა დასკვნა დიალექტიკის სუბიექტურ
არარაობაზე შეეხება არა თვით დიალექტიკას,
არამედ უფრო იმ შემეცნებას, რომლის წინა-
აღმდეგაც იგი მიმართულია, სწორედ სკეპ-
ტიციზმის შესაბამისად, და ასევე კანტის ფი-
ლოსოფიის შესაბამისად, საერთოდ შეშეც-
ნების წინააღმდეგ». (338) [306]

...«მთავარი ცრურწმენა აქ ისაა, თითქოს
დიალექტიკას აქვს მხოლოდ უარყო-
ფითი შედეგი». (338) [306]

სხვათა შორისო, კანტის დამსახურებაა, რომ
ყურადღების საგანი გახდა დიალექტიკა და
განხილვა „der Denkbestimmungen an und
für sich“ **. (339) [306]

ეს სწორია!
წარმოდგე-
ნა და აზრი,
ორივეს გან-
ვითარება,
nil aliud ***

«საგანი, როგორც იგი არის აზროვნებისა
და ცნების გარეშე, ერთგვარი წარმოდგენაა
ანდა თუნდაც მხოლოდ სახელწოდება; მხო-
ლოდ აზროვნებისა და ცნების განსაზღვრე-
ბებში იგი არის ის, რაც არის...»

საგანი თავის
თავს გამოა-
ჩენს დიალექ-
ტიკურად

...«ამიტომ არ შეიძლება რომელიმე საგნის
ან შემეცნების დანაშაულად ჩაითვალოს, თუ
ისინი თავიანთი ხასიათის ან რალაც გარეგანი
კავშირის გამო დიალექტიკურად მოსჩანან»...

...«ასე, ყველა მტკიცედ მიჩნეული დაპირისპირებულობა, მაგალითად, სასრული და უსასრულო, ცალკეული და ზოგადი, წინააღმდეგობაა არა რაიმე გარეგანი შეერთების მეშვეობით, არამედ, პირიქით, როგორც მათი ბუნება გვიჩვენებს, ისინი არიან თავისთავად და თავისთვის ერთგვარი გადასვლა»... (339) [307]

«ესაა სწორედ ზემოაღნიშნული ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ერთგვარი ზოგადი პირველი, თავისთავად და თავისთვის განხილული, თავის თავის მიმართ აღმოჩნდება სხვა»... (340) [307]

...«მაგრამ ეს სხვა არის არსებითად არა ცარიელი უარყოფითი, არა არაფერი, რაც დიალექტიკის ჩვეულებრივ შედეგადაა მიჩნეული, არამედ არის პირველის სხვა, უშუალოს უარყოფითი; იგი, მაშასადამე, განსაზღვრულია როგორც გამეშვეებული, შეიცავს თავის შიგნით საერთოდ პირველის განსაზღვრას. ამით პირველი, არსებითად, აგრეთვე შენახული და მოთავსებულია სხვაში. შეინარჩუნო დადებითი მის უარყოფითში. წანამძღვრის შინაარსი მის შედეგში, აი რა არის ყველაზე მთავარი გონივრულ შემეცნებაში; ამასთანავე საკმარისია მხოლოდ უმარტივესი დაფიქრება იმისათვის, რათა დარწმუნდე ამ მოთხოვნის აბსოლუტურ ჭეშმარიტებასა და აუცილებლობაში, ხოლო რაც შეეხება მაგალითებს ამის დასამტკიცებლად, მთელი ლოგიკა მათგან შედგება». (340) [307—308]

არა შიშველი უარყოფა, არა ფუჭი უარყოფა, არა სკეპტიკური უარყოფა, მერყეობა, ეჭვი არის დამახასიათებელი და არსებითი დიალექტიკაში, — რომელიც, უეჭველია, შეიცავს უარყოფის ელემენტს

ცნებები უძრავი არაა, არამედ—თავისთავად, თავიანთი ბუნებით = გადასვლა

#

პირველი ზოგადი ცნება (და=პირველი შემხვედრი, ყოველი ზოგადი ცნება)

ეს ფრიად მნიშვნელოვანია დიალექტიკის გასაგებად

და თანაც როგორც თავის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, — არამედ უარყოფა როგორც მომენტი კავშირისა, როგორც მომენტი განვითარებისა, დადებითის შენახვით, ე. ი. ყოველგვარი ძერყეობის გარეშე, ყოველგვარი ეკლექტიკის გარეშე.

ღიალექტიკა საერთოდ მდგომარეობს პირველი დებულების უარყოფაში, მის მეორით შეცვლაში (პირველის მეორეში გადასვლაში, პირველის მეორესთან კავშირის ჩვენებაში etc.). მეორე შეიძლება გაკეთდეს პირველის პრედიკატად —

— «მაგალითად, სასრული არის უსასრულო, ერთი არის მრავალი, ცალკეული არის ზოგადი»... (341) [308]

...«რადგან პირველი ან უშუალო არის ცნება თავის თავად, რის გამოც თურმე მხოლოდ თავის თავად უარყოფითია, ამიტომ უკანასკნელის ღიალექტიკური მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ ის განსხვავება, რასაც იგი თავის თავად შეიცავს, მის შიგნით დგინდება. პირიქით, მეორე თვით არის რაღაც გარკვეული, განსხვავება ან მიმართება; მისი ღიალექტიკური მეთოდი ამიტომ იმაში მდგომარეობს, რომ დაადგინოს მასში მოთავსებული ერთიანობა»... — (341—342) [309]

(მარტივ და თავდაპირველ, „პირველ“ დადებით მტკიცებათა, დებულებათა etc. მიმართ „ღიალექტიკური მომენტი“, ე. ი. მეცნიერული განხილვა, მოითხოვს განსხვავების, კავშირის, გადასვლის ჩვენებას. უამისოდ მარტივი დადებითი მტკიცება არაა სრული, უსიცოცხლოა, მკვდარია. „მე-2-ის“, უარყოფითი დებულების მიმართ, „ღიალექტიკური მომენტი“ მოითხოვს „ერთიანობის“, ე. ი. დადებითთან უარყოფითის კავშირის ჩვენებას, ამ დადებითის პოვნას უარყოფითში. მტკიცებიდან უარყოფისაკენ — უარყოფიდან მტკიცებადთან „ერთიანობისაკენ“, — უამი-

„თავის თავად“ = პოტენციაში, ჯერ კიდევ არ არის განვითარებული, ჯერ კიდევ არ არის გაშლილი

სოდ დიალექტიკა ხდება შიშველი უარყოფა, თამაში ანდა სკეპსისი).

... — «თუ ამიტომ უარყოფითი, გარკვეული, მიმართება, მსჯელობა და ყველა ამ მეორე მომენტით ნაგულისხმევი განსაზღვრა არ ვლინდებიან თვით თავისთვის უკვე როგორც წინააღმდეგობა და დიალექტიკური, ეს მხოლოდ ნაკლია აზროვნებისა, რომელსაც თავისი აზრები მთლიანობაში ვერ მოჰყავს. ვინაიდან მასალა — დაპირისპირებული განსაზღვრანი ერთ მიმართებაში — უკვე დადგენილია და არსებობს აზროვნებისათვის. მაგრამ ფორმალური აზროვნება კანონად აღიარებს იგივეობას, წინააღმდეგობრივი შინაარსი, მის წინაშე რომ არის, მას ჩამოჰყავს წარმოდგენის სფეროში, სივრცესა და დროში, სადაც წინააღმდეგობრივი რჩება ერთი მეორის გარეშე თანაარსებობასა და თანმიმდევრულობაში და ამნაირად გამოდის ცნობიერების წინაშე ურთიერთშეხების გარეშე». (342) [309]

NB

„გამოდის ცნობიერების წინაშე ურთიერთშეხების გარეშე“ (საგანი) — აი ანტი-დიალექტიკის დედაარსი. მხოლოდ აქ ჰეგელმა თითქოს გამოყო იდეალიზმის ვირის ყურები, — მიაკუთვნა რა დრო და სივრცე (წარმოდგენასთან დაკავშირებით) რალაც უფრო დაბალს აზროვნებასთან შედარებით. სხვათა შორის, გარკვეული აზრით წარმოდგენა, რა თქმა უნდა, უფრო დაბალია. საქმის არსი იმაშია, რომ აზროვნებამ უნდა მოიცვას მთელი „წარმოდგენა“ მის მოძრაობაში, ამისთვის კი აზროვნება უნდა იყოს დიალექტიკური. წარმოდგენა უფრო ახლოა რეალობასთან, ვიდრე აზროვნება? ჰოც და არაც. წარმოდგენას არ შეუძლია მოძრაობა დაიჭიროს მთლიანად, მაგალითად, 300 000 კილომეტრის სიჩქარის მოძრაობას ერთ წამში იგი ვერ დაი-

ჭერს, აზროვნება კი იჭერს და უნდა დაიჭიროს კიდევაც. წარმოდგენიდან აღებული აზროვნება აგრეთვე ასახავს რეალობას; დრო არის ობიექტური რეალობის ყოფიერების ფორმა. აქ, დროის ცნებაში (და არა აზროვნებასთან წარმოდგენის მიმართებაში) არის ჰეგელის იდეალიზმი.

...«იგი * აყენებს ამის შესახებ გარკვეულ ძირითად დებულებას, რომ წინააღმდეგობა წარმოუდგენელია; ნამდვილად კი წინააღმდეგობის გააზრება ცნების არსებითი მომენტი. ფორმალური აზროვნება ფაქტიურად აზროვნებს კიდევ წინააღმდეგობას, მაგრამ მაშინვე თვალს აშორებს მას და ხსენებულ გამოთქმაში» (გამონათქვამში, რომ წინააღმდეგობა წარმოუდგენელია) «გადადის მისგან მხოლოდ აბსტრაქტულ უარყოფაზე». (342) [309]

«ახლახან განხილული უარყოფითობა შეადგენს მობრუნების პუნქტს ცნების მოძრაობაში. ის არის თავის თავთან უარყოფითი მიმართების მარტივი წერტილი, შინაგანი წყარო ყოველი მოქმედებისა, ცოცხალი და სულიერი თვითმოძრაობისა, დიალექტიკური სული, რომელიც ყოველივე ჭეშმარიტს თავის თავში აქვს და რომლის მეშვეობითაც მარტოოდენ ეს უკანასკნელი არის კიდევ ჭეშმარიტება; ვინაიდან მხოლოდ ამ სუბიექტურობაზეა დამყარებული დაპირისპირებულობის მოხსნა ცნებასა და რეალობას შორის და ის ერთიანობა, რომელიც ჭეშმარიტებაა. — მეორე უარყოფითი, უარყოფითის უარყოფითი, რომელთანაც ჩვენ მივედით, არის აღნიშნული მოხსნა წინააღმდეგობისა, მაგრამ ეს მოხსნა ისევე ნაკლებად არის ერთგვარი გარეგანი რეფლექსიის მოქმედება, როგორც წინააღმდეგობაც; იგი არის ყველაზე იდუმალი, ყველაზე ობიექტური მომენტი სიცოცხლისა»

დიალექტიკის
დედააზრი

ჭეშმარიტების კრიტიკური
უში
(ცნებისა და რეალობის ერთიანობა)

* — ე. ი. ფორმალური აზროვნება. რ. ე. დ.

და სულისა, რის მეოხებითაც არის სუბიექტი, პიროვნება, თავისუფალი». (342—343) [309—310]

აქ მნიშვნელოვანია: 1) დიალექტიკის დახასიათება: თვითმოდრაობა, მოქმედების წყარო, სიცოცხლისა და სულის მოძრაობა; სუბიექტის (ადამიანის) ცნებათა დამთხვევა რეალობასთან; 2) უმაბლესი ხარისხის ობიექტივიზმი („der objektivste Moment“ *).

უარყოფის ეს უარყოფა მესამე წევრიაო, ამბობს ჰეგელი (343) [310] — «თუ საერთოდ სურთ დათვალონ» — მაგრამ შეიძლება იგი ჩაითვალოს მეოთხე წევრადაც (Quadruplicität **) (344) [311], ჩავთვლით რა ორ უარყოფას: „მარტივს“ (ან „ფორმალურს“) და „აბსოლუტურს“ (343 i. f. ***) [310—311]

განსხვავება ჩემთვის არაა ნათელი, ხომ არ უდრის აბსოლუტური უფრო კონკრეტულს?

«თუმცა ეს ერთიანობა, ისევე როგორც მე-
თოდის მთელი ფორმა — სამწევრიანობა — არის შემეცნების წესის მხოლოდ სა-
სებით ზერელე გარეგანი მხარე» (344) [311]

NB:
დიალექტიკის
„სამწევრიანობა“ არის
მისი გარეგანი
ზერელე
მხარე

— მაგრამ, ამბობს, ისიც უკვე „კანტის ფილოსოფიის უსასრულო დამსახურებაა“, რომ იგი (თუმცა ohne Begriff ****) ნაჩვენებია მაინც.

«ფორმალიზმმა, მართალია, შეითვისა აგრეთვე სამწევრიანობა და მის ცარიელ

- * — «ყველაზე ობიექტური მომენტი». რ ე დ.
- ** — ოთხწევრიანობა. რ ე დ.
- *** — in fine — ბოლოს. რ ე დ.
- **** — ცნების გარეშე. რ ე დ.

ჰეგელი სასტიკად გმობს ფორმალიზმს, დიალექტიკით თამაშის სიცარიელეს

სქემას ეყრდნობოდა, მაგრამ თანამედროვე ფილოსოფიური ეგრეთ წოდებული კონსტრუქციების ზერელობამ, სკანდალურობამ და სიცარიელემ, — კონსტრუქციებისა, რომელიც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ყველგან ეს ფორმალური სქემა შეაპაროს, ცნებისა და იმანენტური განსაზღვრების გარეშე, და იგი გარეგანი მოწესრიგებისათვის გამოიყენოს, — ეს ფორმა მოსაწყენი გახადეს და მას ცუდი სახელი მოუხვეჭეს. მაგრამ ამ გამოყენების უგვანობის გამო მას არ შეუძლია ჯერ კიდევ დაკარგოს თავისი შინაგანი ღირებულება, და მაინც დიდად უნდა ფასდებოდეს ის, რომ ამით გამოინახა თუნდაც ჯერ კიდევ ცნებებში მიუწვდომელი გამოსახულება გონიერისა». (344—345) [311]

შედეგი უარყოფის უარყოფისა, ეს მესამე არ არის... «მოსვენებული მესამე, არამედ სწორედ ეს ერთიანობა» (დაპირისპირებულობათა), «რომელიც არის თავის თავთან თავისი თავის გამმეშვეებელი მოძრაობა და მოქმედება»... (345) [312]

შედეგი ამ დიალექტიკური გარდაქმნისა „მესამედ“, სინთეზად არის ახალი წანამძღვარი, მტკიცება etc., რომელიც კვლავ შემდგომი ანალიზის წყარო ხდება. მაგრამ მასში, ამ „მესამე“ საფეხურში უკვე შევიდა შემეცნების „შინაარსი“ („der Inhalt des Erkennens als solcher in den Kreis der Betrachtung eintritt“ * — და მეთოდი ფართოვდება სისტემად. (346) [313]

ყველა მსჯელობის, ყოველი ანალიზის დასაწყისი, — ეს პირველი წანამძღვარი, ახლა უკვე გაურკვეველი, „არასრულყოფილი“ ჩანს, ჩნდება მოთხოვნილება მისი დამტკიცებისა, „გამოყვანისა“ (ableiten) (347) [313], მიიღება

* — «შემეცნების შინაარსი, როგორც ასეთი, განხილვის წრეში შედის». რედ.

«რაც დამტკიცებასა და გამოყვანაში შეიძლება მოგვეჩვენოს უსასრულოს, უკან მიმავალი პროგრესის მოთხოვნად» (347) [313—314] — მაგრამ მეორე მხრივ, ახალი წინამძღვარი წინ უბიძგებს...

...«შემეცნება მოძრაობს შინაარსიდან შინაარსისაკენ. უწინარეს ყოვლისა ამ წინსვლითი მოძრაობის დამახასიათებელი ისაა, რომ იგი იწყება მარტივი გარკვეულობებით და რომ მათი მომდევნონი სულ უფრო მდიდარი და უფრო კონკრეტული ხდება. ვინაიდან შედეგი შეიცავს თავის საწყისს, და უკანასკნელის მოძრაობამ გაამდიდრა იგი ერთგვარი ახალი გარკვეულობით. ზოგადი შეადგენს საფუძველს; ამიტომ წინსვლითი მოძრაობა არ უნდა იქნეს მიჩნეული რაღაც მიმდინარეობად რომელიღაც სხვიდან რომელსამე სხვისაკენ. აბსოლუტურ მეთოდში ცნება შეინახება თავის სხვადაყოფიერებაში, ზოგადი — თავის განცალკევებაში, მსჯელობასა და რეალობაში; შემდგომი განსაზღვრის თვითეულ საფეხურზე ზოგადი უფრო მალა სწევს მისი წინამავალი შინაარსის მთელ მასას და არა თუ არაფერს არ კარგავს თავისი დიალექტიკური წინსვლითი მოძრაობის გამო და არაფერს არ ტოვებს თავის უკან, არამედ თან მიაქვს ყოველივე შეძენილი და მდიდრდება და მკვრივდება თავის შიგნით»... (349) [315]

(ეს ნაწყვეტი ძალიან კარგად უკეთებს თავისებურ შეჯამებას იმას, თუ რა არის დიალექტიკა.)

მაგრამ გაფართოება მოითხოვს აგრეთვე გაღრმავებას („In-sich-gehen“*) «და უფრო მეტი გაფართოება არის ასევე უფრო მალალი ინტენსიურობა». (349) [316]

ეს NB:
 ყველაზე
 მდიდარი ა
 ყველაზე
 უფრო
 კონკრეტული და
 ყველაზე უფრო
 ხუბოი
 ექტური

«ამიტომ ყველაზე მდიდარი არის ყველაზე კონკრეტული და ყველაზე ხუბოი ექტური, და ის, რაც თავის თავს უკან დააბრუნებს ყველაზე მარტივ სიღრმეში — ყველაზე მძლავრი და მოჭარბებულია». (349) [316]

«სწორედ ამგვარად ხდება, რომ წინსვლითი მოძრაობის ყოველი ნაბიჯი შემდგომ განსაზღვრაში, რაკი იგი გაურკვეველ საწყისს შორდება, არის აგრეთვე დაბრუნებული მიზანლოება უკანასკნელთან, და ამით ის, რაც თავდაპირველად შეიძლებოდა განსხვავებულად მოგვჩვენებოდა, — უკან მიმავალი დასაბუთება საწყისისა და მისი წინ მიმავალი შემდგომი განსაზღვრა — ემთხვევიან ერთმანეთს და ერთი და იგივენი არიან». (350) [316]

არ შეიძლება ამ გაურკვეველი საწყისის deprezieren*:

...«საჭირო არ არის ბოლიშის მოხდა იმის გამო, რომ იგი» (საწყისი), «შეიძლება თითქოს ვალიართ მხოლოდ პროვიზორულად და ჰიპოთეზურად. ის, რის თქმაც მის წინააღმდეგ შეიძლებოდა, — მაგალითად, რომ ადამიანის შემეცნება შეზღუდულია და რომ ვიდრე საქმეს შევუდგებოდეთ, საჭიროა შემეცნების იარაღის კრიტიკულად გამოკვლევა, — ყოველივე ეს თვით წანამძღვრებია, რომლებსაც, როგორც კონკრეტულ განსაზღვრებებს, თან მოაქვთ მათი გამეშვებებისა და დასაბუთების მოთხოვნა. რადგან მათ ამით ფორმალურად არავითარი უპირატესობა არა აქვთ იმ საგნიდან დაწყების წინაშე, რის წინააღმდეგაც ისინი პროტესტს აცხადებენ, და თავიანთი კონკრეტული შინაარსის გამო, უფრო გამოყვანას საჭიროებენ, ამიტომ პირიქით, ცარიელ პრეტენზიებად უნდა ჩაი-

NB:
 ჰეგელი კანტის წინააღმდეგ



* — გაუფასურება. რედ.

თვალს ის, თითქოს ისინი უფრო მეტად არიან მხედველობაში მისაღები, ვიდრე სხვა რაიმე. მათი შინაარსი არაჰეგემარიტია, რადგან ისინი რაღაც გარდაუვალად და აბსოლუტურად ხდიან იმას, რაც შემეცნებულია, როგორც სასრული და არაჰეგემარიტად ცნობილი, სახელდობრ ერთგვარ ზღვარდებულ შემეცნებას, გარკვეულს, როგორც ფორმა და იარაღი თავისი შინაარსის მიმართ; ეს არაჰეგემარითი შემეცნებაც ასევე თვით არის ფორმა, დასაბუთება, რომელიც უკან მიდის. ჰეგემარიტების მეთოდსაც აგრეთვე საწყისი მიაჩნია რაღაც არასრულყოფილად, რადგან ის არის საწყისი, მაგრამ ამასთანავე მან იცის ეს არასრულყოფილი საერთოდ როგორც რაღაც აუცილებელი, ვინაიდან ჰეგემარიტება სხვა არაფერია, თუ არა თავის თავთან მისვლა უშუალოდის უარყოფითობის მეშვეობით»... (350—351) [316—317]

...«მეთოდის ზემოაღნიშნული ბუნების გამო მეცნიერება წარმოგვიდგება როგორც ერთგვარი თავის თავში ჩაკეტილი წრე: რომლის საწყისს, მარტივ საფუძველს, გამეშვების გზით ჩაეწვნის ბოლო; ამასთან ეს წრე არის წრე წრეთაგან... ამ ჯაჭვის რგოლები ცალკეული მეცნიერებანია»... (351) [318]

«მეთოდი არის წმინდა ცნება, რომელიც მხოლოდ თავის თავთანაა მიმართებაში; ამიტომ იგი ის მარტივი მიმართებაა თავის თავთან, რომელიც ყოფიერებას წარმოადგენს. მაგრამ იგი არის ახლა აგრეთვე ავსებელი ყოფიერება, თავისი თავის ჩამწვდომი ცნება, ყოფიერება როგორც კონკრეტული და ამდენადვე სავსებით ინტენსიური ტოტალობა»... (352) [318]

კანტის წინა-
აღმდეგ (მარ-
თალია)

მეცნიერება
არის წრეთა
წრე

NB:
დიალექტიკურ-
ი მეთოდის
კავშირი „er-
fülltes Sein“-
თან*, ყოფი-
ერებასთან,
რომელიც
სავსეა შინა-
არსითა და
კონკრეტუ-
ლით

...«მეორე, ეს იდეა» ((die Idee des abso-

* — «ავსებულ ყოფიერებასთან». რ ე დ.

luten Erkennens *) «ჯერ კიდევ ლოგიკური იდეა, იგი ჩაკეტილია წმინდა აზრში, ჯერ კიდევ ღვთიური ცნების მეცნიერებაა. მისი სისტემატური განვითარება, მართალია, თვით არის ერთგვარი რეალიზაცია, მაგრამ ამ სფეროს შიგნით მოთავსებული. რადგან შემეცნების წმინდა იდეა ამით მოთავსებულია სუბიექტურობაში, ამიტომ იგი უკანასკნელის მოხსნის მის წრაფებაა, და წმინდა ჰეგელის იდეა, როგორც უკანასკნელი შედეგი, აგრეთვე რომელიც სხვა სფეროსი და მეცნიერების საწყისი ხდება. საჭიროა აქ ამ გადასვლის ჯერ მხოლოდ მოხაზვა.

გადასვლა
იდეიდან
ბუნება-
ში...

«სახელდობრ, იმით, რომ იდეა თავის თავს დაადგენს როგორც წმინდა ცნებისა და მისი რეალობის აბსოლუტურ ერთიანობას და ამიტომ თავისი თავი ყოფიერების უშუალობაში შეაქვს, იგი, როგორც ტოტალობა ამ ფორმით, არის ბუნება».(352—353) [318—319]

NB:

მცირე ლოგიკაში (ენციკლოპედია § 244, Zusatz **

გვ. 414 ***

[344] **** წიგნის უკანასკნელი ფრაზა ასეთია: „diese seiende Idee aber ist die Natur *****“.

ეს ფრაზა ლოგიკის უკანასკნელ, 353 [319], გვერდზე უაღრესად შესანიშნავია. ლოგიკური იდეის გადასვლა ბუნებაზე. მატერიალიზმიდან ორ ნაბიჯზეა. მართალი იყო ენგელსი ⁶⁵, რომ ჰეგელის სისტემა გადაბრუნებული მატერიალიზმიაო. ეს არაა ლოგიკის უკანასკნელი ფრაზა, მაგრამ შემდეგ გვერდის ბოლომდე უმნიშვნელოა.

„ლოგიკის“ დასასრული. 17.XII.1914.

* — აბსოლუტური შემეცნების იდეა. რ ე დ.

** — დამატება. რ ე დ.

*** — Hegel. Werke, Bd. VI, Berlin, 1840. რ ე დ.

**** — Гегель. Сочинения, т. I, М.—Л., 1930. რ ე დ.

***** — «მაგრამ ეს არსებული იდეა არის ბუნება». რ ე დ.

შესანიშნავია, რომ მთელ თავში „აბსოლუტური იდეის“ შესახებ თითქმის არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი ღმერთზე (ძლივსღა ერთხელ შემთხვევით გამოტყვრა „ღვთიური“ „ცნება“), და გარდა ამისა — ეს NB — იგი თითქმის არ შეიცავს სპეციფიკურად იდეალიზმს, არამედ თავის მთავარ საგნად მას აქვს დიალექტიკური მეთოდი. ჰეგელის ლოგიკის ჯამი და რეზიუმე, უკანასკნელი სიტყვა და დედაარსი დიალექტიკური მეთოდი — ეს უაღრესად შესანიშნავია. და კიდევ ერთი: ჰეგელის ამ ყველაზე იდეალისტურ ნაწარმოებში ყველაზე ნაკლებია იდეალიზმი, ყველაზე მეტია მატერიალიზმი. „წინააღმდეგობრივია“, მაგრამ ფაქტია!

NB

ტომი VI, გვ. 399 * [I, 332—333] **

ენციკლოპედია § 227 — საუცხოოა ანალიზური მეთოდის შესახებ („მოცემული კონკრეტული“ მოვლენის „დაშლა“ — მისი ცალკეული მხარეებისათვის „აბსტრაქციის ფორმის მიცემა“ და „herausheben“ — „die Gattung oder die Kraft und das Gesetz“ ***), გვ. 398 [332] — და მისი გამოყენების შესახებ:

NB:
„გვარის ან ძალის და კანონის“ (გვარი = კანონი!)

ეს სრულებით არ არის „Sache unseres Beliebens“ **** (398) [332], გამოვიყენებთ ანალიზურ თუ სინთეზურ მეთოდს (როგორც man pflegt zu sprechen *****)—ეს დამოკიდებულია „es ist die Form der zu erkennen den Gegenstände selbst, von welcher es abhängt“ *****. (399) [332]

* — Hegel. Werke, Bd. VI, Berlin. 1840. რ ე დ.
 ** — Гегель. Сочинения, т. I, М.—Л., 1930. რ ე დ.
 *** — «გამოყოფა» — «გვარის ან ძალის და კანონისა». რ ე დ.
 **** — «ჩვენი თვითნებობის საქმე». რ ე დ.
 ***** — ჩვეულებრივ ამბობენ. რ ე დ.
 ***** — «ესაა ფორმა თვით შესამეცნებელი საგნებისა, რომლებზეც ეს დამოკიდებულია». რ ე დ.

ლოკი და ემპირიკოსები ანალიზის თვალსაზრისზე დგანან და ხშირად ამბობენ, რომ «მეტის გაკეთება საერთოდ შემეცნებას არ შეუძლია». (398) [332]

ძალიან სწორია! შეად. მარქსის შენიშვნა „ქაპიტალიზმი“ I, 5.2⁶⁶

«მაგრამ მყისვე ნათელი ხდება, რომ ეს ნივთთა დამახინჯებაა და რომ შემეცნება, რომელსაც სურს ნივთები იმ სახით აილოს, როგორც ისინი არიან, ამასთან წინააღმდეგობაში ვარდება თავის თავთან». მაგალითად, ქიმიკოსი „marfert“* ხორცის ნაჭერს და აღმოაჩენს აზოტს, ნახშირბადს etc. «მაგრამ ეს აბსტრაქტული ნივთიერებანი აღარ წარმოადგენენ უკვე ხორცს».

დეფინიცია შეიძლება იყოს ბევრი, რადგან საგანში ბევრი მხარეა:

«რაც უფრო მდიდარია განსაზღვრადი საგანი, ე. ი. რაც უფრო მეტ მხარეს წარმოგვიდგენს იგი განსახილველად, მით უფრო სხვადასხვა შეიძლება იყოს მის საფუძველზე წამოყენებული დეფინიციებიც» (400 [334] § 229) — მაგალითად, განსაზღვრა სიცოცხლისა, სახელმწიფოსი etc.

Spinoza და Schelling** თავიანთ დეფინიციებში იძლევიან უამრავ „სპეკულაციურს“ (აშკარაა, ჰეგელი აქ ამ სიტყვას კარგი აზრით ხმარობს), მაგრამ «უბრალო დარწმუნების ფორმით». ფილოსოფიამ კი ყველაფერი უნდა დაამტკიცოს და გამოიყვანოს, და არ დაკმაყოფილდეს დეფინიციებით.

დაყოფა (Einteilung) უნდა იყოს ბუნებრივი და არა წმინდა «ხელოვნური, ე. ი. ნებისმიერი». (401) [334]

გვ. 403 — 404 [336] — ბოროტად „კონსტრუირებისა“ და კონსტრუქციებით „თამაშის“ წინააღმდეგ, მაშინ როდესაც საქმე ეხება Begriff, „Idee“, „Einheit des Begriffs und der Objektivität“ ***... (403) [336]

* — «წამებს». რედ.

** — სპინოზა და შელინგი. რედ.

*** — ცნებას, „იდეას“, «ცნებისა და ობიექტურობის ერთიანობას». რედ.

მცირე ენციკლოპედიაში § 233, განყოფილება **b** დასათაურებულია *Das Wollen** (ის, რაც დიდ ლოგიკაში არის „Die Idee des Guten“ **).

მოქმედება არის „წინააღმდეგობა“ — მიზანი ნამდვილია და არც არის ნამდვილი, შესაძლოა და არც... და ა. შ.

«ფორმალურად ამ წინააღმდეგობის გაქრობა იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედება მოხსნის მიზნის სუბიექტურობას, ამის მეოხებით კი ობიექტურობასაც, მოხსნის დაპირისპირებულობას, რომლის ძალითაც ისინი სასრულნი არიან, მოხსნის მოცემული სუბიექტურობის არა მარტო ცალმხრიობას, არამედ სუბიექტურობას საერთოდ». (406) [338]

კ ა ნ ტ ი ს ა და ფ ი ხ ტ ე ს თვალსაზრისი (განსაკუთრებით მორალის ფილოსოფიაში) არის თვალსაზრისი მიზნისა, სუბიექტური ჯერარსობისა (407) [338—339] (ობიექტურთან კავშირის გარეშე)...

როცა აბსოლუტურ იდეაზე ლაპარაკობს, ჰეგელი დასცინის (§ 237, ტომი VI, გვ. 409 [340]) „დეკლამაციებს“ ამ იდეის შესახებ, თითქოს მასში ყველაფერი გადაიშლება, და შენიშნავს, რომ

«აბსოლუტური იდეა»... არის... «ზოგადი», მაგრამ «ეს ზოგადი არა მარტო აბსტრაქტული ფორმაა, რომელსაც (sic!) მთელი განსაკუთრებული შინაარსი უპირისპირდება როგორც რაღაცა სხვა, არამედ როგორც აბსოლუტური ფორმა, რომელშიც დაბრუნებულია ყველა განსაზღვრა, მთელი სისრულე მის მიერ დადგენილი შინაარსისა. ამ მხრივ აბსოლუტური იდეა შეიძლება შევადაროთ მოხუცს, რომელიც იმავე რელიგიურ დებულებებს წარმოთქვამს, რასაც ბავშვი, მაგრამ რომლისთვისაც

très bien! ***

შესანიშნავი
შედარებაა!
უხამსი რელიგიის
მაგივრად

* — წ ა დ ი ლ ი, ს უ რ ვ ი ლ ი. რ ე დ.

** — ს ი კ ე თ ის ი დ ე ა. რ ე დ.

*** — ს ა უ ც ხ ო ა ს რ ე დ.

უნდა ავიღოთ
ყოველგვარი
აბსტრაქტული
ჭეშმარი-
ტებანი

ამ დებულებებს მთელი მისი სიცოცხლის მნიშვნელობა აქვთ. მართალია, ბავშვსაც გაეგება რელიგიური შინაარსი, მაგრამ ამ უკანასკნელს მისთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ რაღაც ისეთისა, რომლის გარეშეც კიდევ არსებობს მთელი სიცოცხლე და მთელი სამყარო». (409) [340—341]

მშენებელია!

...«ინტერესი მთელს მოძრაობაშია»...
(§ 237, 409 [341])

«შინაარსი არის იდეის ცოცხალი განვითარება»... ყოველი წინათ განხილული საფეხური არის აბსოლუტურის გამოსახულება, მაგრამ უწინარეს ყოვლისა შეზღუდული სახით... (410) [341]

§ 238, დამატება:

«ფილოსოფიის მეთოდი ერთსა და იმავე დროს სინთეზურიც არის და ანალიზურიც; მაგრამ სრულიადაც არა იმ აზრით, რომ სასრული შემეცნების ორივე ეს მეთოდი ერთიმეორის გვერდითაა ან უბრალოდ ერთი მეორეს ენაცვლება, არამედ უფრო იმნაირად, რომ ფილოსოფიური მეთოდი მათ ორივეს მოხსნილი სახით შეიცავს და ეს მეთოდი

très bien

თ ვ ი თ ე უ ლ თ ა ვ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი
იმავდროულად მოქმედებს ანალიზურადაც და სინთეზურადაც. ფილოსოფიური აზროვნება ანალიზურად მოქმედებს, რამდენადაც იგი მხოლოდ აღიქვამს თავის საგანს — იდეას, შესაძლებლობას აძლევს მას დაუბრკოლებლად იმოქმედოს და მის მოძრაობასა და განვითარებას, ასე ვთქვათ, მხოლოდ თვალყურის ადევნოს. ფილოსოფოსობა ამდენად სრულიად პასიურია. მაგრამ ასევე ფილოსოფიური აზროვნება სინთეზურია და თავის თავს გამოავლენს როგორც თვით ცნების მოქმედებას. ამასთან ფილოსოფიური მეთოდი მოითხოვს თავშეკავებას შემთხვევითი პირადი ვარაუდებისაგან და განსაკუთრებული აზრებისაგან, რომელნიც მუდამ თავის თავის გამოჩენას ესწრაფვიან»... (411) [342]

ძალიან კარ-
გია! (და
ხატოვანიც)

(§ 243, გვ. 413 [344])... «ამრიგად, მეთოდი

არის არა გარეგანი ფორმა, არამედ სული და
ცნება შინაარსისა»...

(ენციკლოპედიის დასასრული; იხ. ზემოთ
გვერდით ამონაწერი ლოგიკის დასასრუ-
ლიდან *).

* — იხ. ეს ტომი, გვ. 234. რ ე ღ.

შენიშვნები ჰეგელის «ლოგიკის»
 შესახებ დაწერილი ზრომების რეცენზიებზე

Preußische Jahrbücher (Bd. 151) 1913, März, Dr. Ferd. J. Schmidt'-ის სტატია: „Hegel und Marx“. ავტორი ხოტბას ასხამს ჰეგელისაკენ მობრუნებას, ავინებს „თეორიულ-შემეცნებითს სქოლასტიკას“, მოჰყავს ციტატები ნეოჰეგელთა — Constantin Rössler-ისა და Adolf Lasson-ის — ნაშრომებიდან (Preußische Jahrbücher-იდან) და Plenge-ს წიგნის გამო იმ აზრს გამოთქვამს, ვითომდა მარქსმა „ეროვნული იდეის“ — როგორც სინთეზის — მნიშვნელობა ვერ გაიგო. Marx'-ის დამსახურება — მუშების ორგანიზება — დიდია, მაგრამ... ცალმხრივიაო.

NB

Marx-ის „ლიბერალური“ (უფრო სწორად ბურჟუაზიული, მუშათმოყვარული, რადგან ავტორი, ალბათ, კონსერვატორია) კასტრაციის ნიმუში.

Mc Taggart Ellis Mc Taggart: „Studies in the Hegelian Dialectic“. Cambridge. 1896. (259 pp.) რეცენზია Zeitschrift für Philosophie-ში, Bd. 119 (1902), S. 185 — აქაოდა ჰეგელის ფილოსოფიის მკოდნეაო, იცავს მას Seth-ის, Balfour-ის, Lotze-ს, Trendelenburg-ისა და სხვებისაგან (ავტორი, ტაგარტი, ეტყობა, არქი-იდეალისტი).

Emil Hammacher: Die Bedeutung der Philosophie Hegels. (92 SS.) 1911. Leipzig. რეცენზია Zeitschrift für Philosophie-ში, Bd. 148 (1912), p. 95. არისო კარგი შენიშვნე-

**შენიშვნები ჰეგელის «ლოგიკის»
შესახებ დაწერილი შრომების რეცენზიებზე ⁶⁷**

პრუსიის წელიწდეული ⁶⁸ (ტ. 151) 1913, მარტი, დ-რ ფერდ. ი. შმიდტის სტატია: «ჰეგელი და მარქსი». ავტორი ხოტბას ასხამს ჰეგელისაკენ მობრუნებას, აგინებს „თეორიულ-შემეცნებითს სქოლასტიკას“, მოჰყავს ციტატები ნეოჰეგელელთა — კონსტანტინე რესლერისა და ადოლფ ლასონის — ნაშრომებიდან (პრუსიის წელიწდეულიდან) და პლენგეს წიგნის გამოიმ აზრს გამოთქვამს, ვითომდა მარქსმა „ეროვნული იდეის“ — როგორც სინთეზის — მნიშვნელობა ვერ გაიგო. მარქსის დამსახურება — მუშების ორგანიზება — დიდია, მაგრამ... ცალმხრივია.

მარქსის „ლიბერალური“ (უფრო სწორად ბურჟუაზიული, მუშათმომოყვარული, რადგან ავტორი, ალბათ, კონსერვატორია) კასტრაციის ნიმუში.

NB

მაკ ტაგარტელის მაკ ტაგარტი: «გამოკვლევები ჰეგელის დიალექტიკაზე». კემბრიჯი. 1896. (259 გვ.) რეცენზია ფილოსოფიურ ჟურნალში ⁶⁹, ტ. 119 (1902 წ.). გვ. 185 — — — აქაოდა ჰეგელის ფილოსოფიის მკოდნეაო, იცავს მას სეოისაგან. ბალფურისაგან, ლოცესაგან, ტრენდელენბურგისაგანო და სხვ. (ავტორი, ტაგარტი, ეტყობა, არქიიდეალისტია).

ემილ ჰამახერი: ჰეგელის ფილოსოფიის მნიშვნელობა. (92 გვ.) 1911. ლაიპციგი. რეცენზია ფილოსოფიურ ჟურნალში, ტ. 148 (1912), გვ. 95. არისო კარგი შენიშვნე-
16. ვ. ი. ლენინი, ტ. 38

ბი „ახლანდელ დროში კანტის შემდგომი იდეალიზმის განმეორების“ შესახებ, რომ ვინდელბანდი აგნოსტიკოსიაო (96 p.) etc., მაგრამ ჰეგელის „აბსოლუტური იდეალიზმი“ ავტორმა სრულიად ვერ გაიგო, ისევე, სხვათა შორის, როგორც ის ვერ გაიგეს რილმაც, დილტეიმაც და სხვ. „ვარსკვლავებმაც“. აქაოდა ხელი მოჰკიდა ისეთ საქმეს, რომელიც მის ძალღონეს აღემატებაო.

Andrew Seth: The development from Kant to Hegel with chapters on the Philosophy of Religion. London, 1882. რეცენზია Zeitschrift für Philosophie-ში, Bd. 83, S. 145 (1883).

ავტორი იცავს ჰეგელს კანტის წინააღმდეგ. (ხოტბაა საერთოდ.)

Stirling: „Secret of Hegel“. რეცენზია იქვე, Bd. 53 (1868), p. 268. ავტორი ჰეგელის არაჩვეულებრივად მხურვალე მოტრფილვა, ჰეგელს განმარტავს ინგლისელთათვისო.

Bertrando Spaventa: „Da Socrate a Hegel“. Bari, 1905. (432 pp. 4,50 Lire). რეცენზია ibid., Bd. 129 (1906) — ეს არის სტატიების კრებული, სხვათა შორის ჰეგელის შესახებ, რომლის ერთგული მომხრეც სპავენტაა.

Stirling: „The secret of Hegel“.

იტალიური:

Spaventa: „Da Socrate a Hegel“.

Raff. Mariano.

გერმანული:

Michelet & Haring. Dialektische Methode Hegels (1888).

Schmitt Das Geheimnis der Hegelschen Dialektik (1888).

ბი „ახლანდელ დროში კანტის შემდგომი იდეალიზმის განმეორების“ შესახებ, რომ ვინდელბანდი აგნოსტიკოსიაო (96 p.) etc., მაგრამ ჰეგელის „აბსოლუტური იდეალიზმი“ ავტორმა სრულიად ვერ გაიგო, ისევე, სხვათა შორის, როგორც ის ვერ გაიგეს რილმაც, დილტეიმაც და სხვ. „ვარსკვლავებმაც“. ხელი მოჰკიდა ისეთ საქმეს, რომელიც მის ძალღონეს აღემატებაო.

ენდრიუ სეთი: განვითარება კანტიდან ჰეგელისაკენ რელიგიის ფილოსოფიისადმი მიძღვნილი თავებითურთ. ლონდონი, 1882. რეცენზია ფილოსოფიურ ჟურნალში, ტ. 83, გვ. 145 (1883).

ავტორი იცავსო ჰეგელს კანტის წინააღმდეგ. (ხოტბაა საერთოდ.)

სტირლინგი: „ჰეგელის საიდუმლოება“. რეცენზია იქვე, ტ. 53 (1868), გვ. 268. ავტორი ჰეგელის არაჩვეულებრივად მხურვალე მოტრფიალეა, ჰეგელს განმარტავს ინგლისელთათვისო.

ბერტრანდო სპავენტა: «სოკრატედან ჰეგელისაკენ». ბარი, 1905. (432 გვ. 4,50 ლირა). რეცენზია იქვე, ტ. 129 (1906) — ეს არის სტატიების კრებულიო, სხვათა შორის ჰეგელის შესახებ, რომლის ერთგული მომხრეც სპავენტაა.

სტირლინგი: «ჰეგელის საიდუმლოება».

იტალიური:

სპავენტა: «სოკრატედან ჰეგელისაკენ».

რაფ. მარიანო.

გერმანული:

მიხელეტი და ჰარინგი. ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი. (1888).

შმიტი. ჰეგელის დიალექტიკის საიდუმლოება (1888).

უახლეს ლიტერატურაზე ჰეგელის შესახებ.

ახალჰეგელელები: Caird, Bradley. J. B. Baillie: The origin & significance of Hegel's Logic. London. 1901. (375 pp.) რეცენზია *Revue Philosophique*-ში, 1902, 2, S. 312. იგი არა მარტო იმეორებს ჰეგელის ტერმინებს (როგორც Vera), არამედ ცდილობს ისტორიულად კვალდაკვალ მიჰყვეს მათ და ახსნას ისინი. სხვათა შორის თავი X: ლოგიკის მიმართება ბუნებისადმი (ჰეგელმა მიზანს ვერ მიაღწიაო). ჰეგელის მნიშვნელობა ის არისო. რომ მან „a démontré le caractère objectif de la connaissance“... (p. 314).

William Wallace: Prolegomena to the study of Hegel's philosophy & especially of his Logic. Oxford & London. 1894. რეცენზია *Revue Philosophique*-ში. 1894, 2, p. 538. მე-2 გამოცემა. 1-ლი 1874. ავტორმა თარგმნა ჰეგელის ლოგიკა.

მისივე: 1894

თარგმანი

„Philosophy of Mind“

ახსნა-განმარ-

ტებითი თავი-

თურთ. რეცენ-

ზია ibid.

„M. Wallace expose avec précision la conception hégélienne de cette science (logique) ...science qui domine à la fois la philosophie de la nature et celle de l'esprit puisque la pensée pure ou l'Idée est le fonds commun de la réalité matérielle et de la réalité psychique“. (540).

Wallace-ს შესახებ სახოტბო, მაგრამ უშინაარსო რეცენზიაა *Zeitschrift für Philosophie*-ში, Bd. 111 (1898), p. 208.

P. Rotta: La renaissance de Hegel et „la philosophia perennis“ იტალიურ *Rivista di Filosofia*-ში 1911, I — (რეცენზია *Revue Philosophique*-ში 1911, 2, p. 333).

უახლეს ლიტერატურაზე ჰეგელის შესახებ.

ახალჰეგელელები: კერდი, ბრედლი.

ჯ. ბელი: ჰეგელის ლოგიკის წარმოშობა და მნიშვნელობა. ლონდონი. 1901. (375 გვ.) რეცენზია ფილოსოფიურ მიმოხილვაში⁷⁰, 1902, 2, გვ. 312. იგი არა მარტო იმეორებს ჰეგელის ტერმინებს (როგორც ჯერა), არამედ ცდილობს ისტორიულად კვალდაკვალ მიჰყვეს მათ და ახსნას ისინი. სხვათა შორის თავი X: ლოგიკის მიმართება ბუნებისადმი (ჰეგელმა მიზანს ვერ მიაღწიაო. ჰეგელის მნიშვნელობა ის არისო, რომ მან «დაამტკიცა შემეცნების ობიექტური ხასიათი»... (გვ. 314)

უილიამ უოლესი: ჰეგელის ფილოსოფიის და განსაკუთრებით მისი ლოგიკის შესწავლის შესავალი. ოქსფორდი და ლონდონი. 1894. რეცენზია ფილოსოფიურ მიმოხილვაში, 1894, 2, გვ. 538. მე-2 გამოცემა, 1-ლი 1874. ავტორმა თარგმნა ჰეგელის ლოგიკა.

«ბ-ნი უოლესი სავსებით ზუსტად გადმოგვიცემს ამ მეცნიერების (ლოგიკის) ჰეგელისეულ გაგებას ... მეცნიერებისა, რომელიც იქვემდებარებს ბუნების ფილოსოფიასაც და სულის ფილოსოფიასაც, რადგან წმინდა აზრი ანუ იდეა საერთო საფუძველია როგორც მატერიალური სინამდვილის, ისე ფსიქიკურისაც». (540)

მისივე: 1894 }
«სულის ფილოსოფიის»⁷¹ }
თარგმანი }
ახსნა-განმარტებითი თავითურთ. რეცენზია იქვე. }

უოლესის შესახებ ხოტბითი, მაგრამ უმინაარსო რეცენზიაა ფილოსოფიურ ჟურნალში, ტ. 111 (1898), გვ. 208.

3. როტა: ჰეგელის აღორძინება და «წარუვალი ფილოსოფია» იტალიურ ფილოსოფიურ მიმოხილვაში 1911, I — (რეცენზია ფილოსოფიურ მიმოხილვაში 1911, 2, გვ. 333).

ენერჯიის
იდეალის-
ტური გან-
მარტება??

როტა კერდის (*Caird*) მომხრეა. რო-
გორც ჩანს, nil.

სხვათა შორის... „la conception néo-
hégélienne de Bradley d'une invisible énergie
se transférant de manifestations en mani-
festations, présente et opérante sous tout
changement et toute activité individuelle“.

*J. Grier Hibben: Hegel's Logic,
an essay in interpretation. New York,
1902. (313 p.)*

რეცენზიის ავ-
ტორი საერ-
თოდ აღნი-
შნავს „la
renaissance
de l'hégéli-
anisme dans
les pays an-
glo-saxons“...
„dans ces der-
nières anné-
es“.

რეცენზია *Revue Philosophique* 1904, vol-
ume I, p. 430: „En dépit de son titre,
l'ouvrage de M. H. est moins un commen-
taire interprétatif qu'un résumé presque
littéral“. ავტორმა შეადგინა ჰეგელის ლო-
გიკის ტერმინების რაღაც ლექსი-
კონის მსგავსი. მაგრამ ეს არ არის მთავა-
რიო: „Les commentateurs en sont encore
à disputer sur la position même prise par
Hegel, sur le sens fondamental et le but
véritable de sa dialectique. Aux critiques
célèbres de *Seth* se sont opposées des
exégèses récentes, attribuant une significa-
tion toute différente à la *Logique*, prise
dans son ensemble, celles, notamment, de
Muc Taggart et de *G. Noël*“. (431)

ჰიბენის აზრით, ჰეგელის ლოგიკა „n'est
pas un simple système spéculatif, une plus
ou moins savante combinaison de concepts
abstraites; elle est en même temps „une
interprétation de la vie universelle dans
toute la plénitude de sa signification conc-
rète““. (p. 430)

NB

როტა კერდის (Caird) მომხრეა. ჩანს, არაფერია.

სხვათა შორის... «ბრედლის ნეოჰეგელური კონცეფცია უხილავი ენერჯის შესახებ, რომელიც მუდამ მქლავნდება და ყოველი ცვლილებისას და ყოველი ცალკეული მოქმედებისას არის და მოქმედებს»⁷².

ენერჯის იდეალისტური განმარტება??

ჯ. გრიორ ჰიბენი: ჰეგელის ლოგიკა, ინტერპრეტაციის ცდა. ნიუ-იორკი. 1902. (313 გვ.)

რეცენზია ფილოსოფიურ მიმოხილვაში 1904, ტ. I, გვ. 430: «წინააღმდეგ თავისი სათაურისა, ბ-ნი ჰ-ის ნაშრომი სრულიად არ იძლევა ახსნა-განმარტებითი ხასიათის შენიშვნებს, არამედ იგი თითქმის სიტყვასიტყვითი რეზიუმეა». ავტორმა შეადგინა ჰეგელის ლოგიკის ტერმინების რაღაც ლექსიკონის მსგავსი. მაგრამ ეს არ არის მთავარიო. «კომენტატორები ჯერ კიდევ დავობენ თვით ჰეგელის მიერ დაკავებულ პოზიციაზე, მისი დიალექტიკის ძირითად აზრსა და ნამდვილ მიზანზე. სეთის ცნობილ კრიტიკულ სტატიებს უპირისპირდება ახალი ახსნა-განმარტებანი, რომელნიც ლოგიკას, მთლიანად აღებულს, სრულიად სხვა აზრს ანიჭებენ, განსაკუთრებით მაკტაგარტისა და ჯ. ნოელის ახსნა-განმარტებანი». (431)

რეცენზიის ავტორი * საერთოდ აღნიშნავს «ჰეგელელობის ალორძინებას ანგლო-საქსურ ქვეყნებში»... «ამ უკანასკნელ წლებში».

NB

ჰიბენის აზრით, ჰეგელის ლოგიკა «არ არის უბრალო სპეკულაციური სისტემა, მეტად თუნაკლებად მეცნიერული კომბინაცია აბსტრაქტული ცნებებისა; «იგი იმავდროულად ინტერპრეტაციაა საყოველთაო სიცოცხლისა, მისი კონკრეტული მნიშვნელობის მთელი სისრულით»». (გვ. 430)

NB

დაწერილია 1914 წლის დეკემბერში პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

NB

* იგულისხმება ლ. ვებერი. რ ე დ.

კონსპექტი ჰეგელის წიგნისა
«ზეპციები ფილოსოფიის ისტორიაზე»⁷³

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ჰეგელი. ლექციები ფილოსოფიის ისტორიაზე
თხზულებაში, ტომი XIII

ფილოსოფიის ისტორიის შესავალი

გვ. 37 * [30] **... «თუ ჭეშმარიტი აბსტრაქტულია, მაშინ იგი არაა ჭეშმარიტი. ადამიანის საღი გონება კონკრეტულისაკენ მიისწრაფვის... ფილოსოფია უაღრესად მტრულადაა განწყობილი აბსტრაქტულის მიმართ, მას მივყავართ უკან კონკრეტულთან»...

გვ. 40 [32]: ფილოსოფიის ისტორიის შედარება წრესთან — «ამ წრეს კიდევებს უაზრავი წრე აქვს»...

ძალიან ღრმა და სწორი შედარებაა!! აზრის თვითეული ელფერი = წრე საერთოდ ადამიანის აზრის განვითარების დიდ წრეზე (სპირალზე)

. «მე ვამტკიცებ, რომ ფილოსოფიის სისტემათა თანამიმდევრობა ისტორიაში იგივეა, რაც თანამიმდევრობა იდეის ლოგიკურ განსაზღვრათა გამოყვანაში. მე ვამტკიცებ, რომ თუ ფილოსოფიის ისტორიაში წარმოშობილ სისტემათა ძირითად ცნებებს სრულიად ბავანთავისუფლებით იმისაგან, რაც მათ გარეგან ფორმას, მათ გამოყენებას კერძო შემთხვე-

NB

* Hegel. Werke, Bd. XIII, Berlin, 1833. რე დ.

** Гегель. Сочинения, т. IX. 1932. რე დ.

ვებისა და სხვ. მიმართ ეხება, მაშინ დავგერჩება სხვადასხვა საფეხურები თვით იდეის განსაზღვრისა მის ლოგიკურ ცნებაში». (43) [34]

«თუ ავიღებთ, პირიქით, ლოგიკურ წინსვლითს მოძრაობას თავისთვის, მასში აღმოჩნდება ისტორიულ მოვლენათა წინსვლითი მოძრაობა მათს მთავარ მომენტებში; — მაგრამ, რასაკვირველია, უნდა შეგვეძლოს ამ წმინდა ცნებების გამოცნობა მასში, რასაც ისტორიული ფორმა შეიცავს». (43) [34]

გვ. 56 [45] — დაცინვა მოღის გამოდევნებისა, — იმათი გამოდევნებისა, ვინც მზადაა „auch jedes Geschwöge (?) für eine Philosophie auszuschreien“ *. გვ. 57—58 [45—46] — ჩინებულია ფილოსოფიის ისტორიაში ზუსტი ისტორიულობის დაცვისათვის, რათა არ მივაწეროთ ძველებს მათი იდეების ისეთი „განვითარება“, რომელიც ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ რომელიც ძველებს სინამდვილეში ჯერ კიდევ არ ჰქონიათ.

თალესს, მაგალითად, ჯერ კიდევ არ გააჩნია ცნება *ἀρχή*** (როგორც პრიციპი), ჯერ კიდევ არა აქვს მიზეზის ცნება...

...«ასე, მაგალითად, არსებობენ მთელი ხალხები, რომელთაც ჯერ კიდევ სრულიად არა აქვთ ეს ცნება» (მიზეზისა); «ამისთვის საჭიროა განვითარების მაღალი საფეხური»... (58) [47]

მეტისმეტად გრძელი, უშინაარსო, მოსაწყენია საერთოდ მსჯელობა რელიგიისადმი ფილოსოფიის დამოკიდებულების შესახებ, წინასიტყვაობა თითქმის 200 გვერდი — შეუძლებელია!

* — «ყოველგვარი ყბედობაც კი (?) ფილოსოფიად გამოაცხადოს».
რ ე ღ.
•• — საწყისი. რ ე ღ.

XIII ტომი. ფილოსოფიის ისტორიის პირველი ტომი
გერმანული ფილოსოფიის ისტორია

იონიელთა ფილოსოფია 74

«ანაქსამანდრე (610—547 ქრისტ. დაბადებამდე) ამტკიცებდა, რომ ადამიანი თევზისაგან წარმოიშვა». (213) [168]

პითაგორა და პითაგორელები 75

...«ამრიგად, ეს არის მშრალი, პროცესს მოკლებული, არადიალექტიკური, უძრავი განსაზღვრებანი»... (244) [189]

დიალექტიკის უარყოფითი განსაზღვრა

ლაპარაკია პითაგორელთა ზოგად იდეებზე; — „რიცხვი“ და მისი მნიშვნელობა etc. Ergo: ეს ნათქვამია პითაგორელთა პრიმიტიული იდეების, მათი პრიმიტიული ფილოსოფიის შესახებ, მათი „განსაზღვრანი“ სუბსტანციისა, ნივთებისა, სამყაროსი „მშრალია, მოკლებულია პროცესს (მოდრაობას), არადიალექტიკურია“.

მიჰყვება რა კვალდაკვალ უპირატესად დიალექტიკურს ფილოსოფიის ისტორიაში, ჰეგელს მოჰყავს პითაგორელთა მსჯელობანი: ...«ერთი, მიმატებული ლუწს, იძლევა კენტს ($2+1=3$); — მიმატებული კენტს, იძლევა ლუწს ($3+1=4$); — მას» (Eins *) «აქვს თვისება — მოგვეცეს gerade (= ლუწი)

* — ერთი. რ ე დ.

„სამყაროს
ჰარმონია“

სუბიექტურის
მიმართება
ობიექტუ-
რისადმი

და, მაშასადამე, თვით უნდა იყოს ლუწი. ამ-
რიგად, ერთიანობა თვით შეიცავს თავის თავ-
ში სხვადასხვა განსაზღვრას». (246) [190]

მუსიკალური ჰარმონია და ფილოსოფია
პითაგორასი:

...«პითაგორამ მიაწერა განსჯას და მტკიცე
განსაზღვრის მეშვეობით მოუპოვა მას ისეთი
მარტივი სუბიექტური გრძნობა, როგორცაა
სმენა, გრძნობა, რომელსაც თავისთვის გააჩ-
ნია მიმართებათა პოვნის უნარი». (262) [200]

გვ. 265—266 [202—203]: — ციურ მნათობთა
მოძრაობა — მისი ჰარმონია — ჩვენგან
მოუსმენადი ჰარმონია მომღერალ
ციურ სფეროთა (პითაგორელებ-
თან): Aristoteles. De coelo*, II,
13 (და 9)⁷⁶:

...«შუაში პითაგორელები ათავსებდნენ
ცეცხლს, დედამიწას კი განიხილავდნენ რო-
გორც ვარსკვლავს, რომელიც ამ ცენტრალუ-
რი სხეულის ირგვლივ ტრიალებს წრეში»...
მაგრამ ეს ცეცხლი მათთვის არ იყო მზე...
«ამასთან ისინი ეყრდნობოდნენ არა გრძნო-
ბად მოჩვენებითობას, არამედ საფუძვლებს...

ეს ათი სფერო» | ათი სფერო ან ორბიტი ახდა

მოძრაობა ათი პლანეტისა: მერკური, ვე-
ნერა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, მზე,
მთვარე, დედამიწა, ირმის ნახტომი და Ge-
generde** (—ანტიპოდი?), გამოგონებუ-
ლი «ტოლი რიცხვისათვის», 10-ისათვის⁷⁷

«იწვევს, როგორც ყოველივე მოძრავი, ხმა-
ურს; მაგრამ თვითეული სფერო — განსა-
კუთრებული ტონისას მისი სიდიდისა და სის-
წრაფის სხვაობის შესაბამისად. სისწრაფე გა-
ნისაზღვრება სხვადასხვა მანძილით, რომელ-
ნიც ერთმანეთთან ჰარმონიულ მიმართებაში
იმყოფებიან, მუსიკალური ინტერვალების შე-
საფერისად; ამის შედეგად წარმოიქმნება მო-
ძრავე სფეროთა (სამყაროს) ჰარმონიული ხმა
(მუსიკა)»...

* — არისტოტელე: ცის შესახებ. რედ.

** — დედამიწის საწინააღმდეგო. რედ.

სულის შესახებ პითაგორელები ფიქრობდნენ, რომ „die Seele sei: die Sonnenstäubchen“ * (p. 268 [204]) (=მტვერი, ატომი) (Aristoteles. De anima **, I, 2) ⁷⁸

ჩამოკრული მატერიის აღნაგობაზე!
 მტვერის როლი (მზის სხივში) ძვირფას ფილოსოფიაში პითაგორელები: „მიხვედრილობანი“, ფანტაზიები მაკროკოსმისა და მიკროკოსმის მსგავსების შესახებ

სულში არის შვიდი წრე (ელემენტი), ისევე როგორც ცაზე. Aristoteles. De anima, I, 3, — გვ. 269 [205]

და აქვე ზღაპრები, რომ პითაგორა (გადმოიღო რა ეგვიპტელებისაგან მოძღვრება სულის უკვდავებისა და სულთა გადასახლების შესახებ) თავის შესახებ მოგვითხრობდაო, რომ მისი სული 207 წელი ცოცხლობდა სხვა ადამიანებში etc. etc. (271) [206]

NB: კავშირი მეცნიერული აზროვნების ჩანასახებისა და ფანტაზიისა à la *** რელიგიისა, მითოლოგიისა. ახლა კი! ასევე, იგივე კავშირი, მაგრამ მეცნიერებისა და მითოლოგიის პროპორცია სხვანაირია.

კიდევ პითაგორას რიცხვთა თეორიისათვის.
 «რიცხვები, სად არიან ისინი? სივრცის მიერ განცალკევებულნი, ხომ არ ბინადრობენ ისინი თავისთვის იდეათა ცაში? ისინი არ არიან უშუალოდ თვით საგნები, რადგან საგანი, სუბსტანცია ხომ სხვა რამეა, ვიდრე

NB

* — «სული არის მზის მტვერი». რედ.
 ** — არისტოტელე. სულის შესახებ. რედ.
 *** — მსგავსად. რედ.

რიცხვი, — სხეულს არავითარი მსგავსება არა აქვს უკანასკნელთან», გვ. 254 [195].

ციტატი არისტოტელედან? — Metaphysik *, I, 9 არა? სექსტოს ემპირიკოსიდან? გაურკვეველია!.

გვ. 279—280 [211] — პითაგორელები აღიარებენ ეთერს (...«მზიდან სქელსა და ცივ ეთერში შემოიჭრება სხივი etc.»)

ამრიგად, ათასი წლობით არსებობს ეთერის შესახებ ვარაუდი, რჩება რა იგი დღემდე ვარაუდად. მაგრამ უკვე ამჟამად 1000-ჯერ მეტი თხრილია მზად, რომელთაც მივყავართ საკითხის გადაწყვეტამდე, ეთერის მეცნიერულ განსაზღვრამდე.

ელეის სკოლა 79

ლაპარაკობს რა ელეის სკოლაზე, ჰეგელი ამბობს დიალექტიკაზე:

რა არის დიალექტიკა?

(ა)

...«ჩვენ ვპოულობთ აქ» (in der eleatischen Schule **) «დიალექტიკის, ე. ი. ცნებებში აზროვნების სწორედ წმინდა მოძრაობის საწყისს; ვპოულობთ ამასთანავე დაპირისპირებულობასაც აზრსა და მოვლენას ანუ გრძნობად ყოფიერებას შორის, — იმასა, რაც თავისთავად არის, და იმას შორის, რაც ყოფიერებაა სხვა ამ თავისთავად არსებულისათვის; და ვნახულობთ საგანთა არსებაში წინააღმდეგობას, რაც მას აქვს თავის თავში (დიალექტიკას საკუთრივი აზრით)»... (280) [211] იხ. შემდგომი გვერდი ***.

(ბ)

* — მეტაფიზიკა. რ ე დ.

** — ელეის სკოლაში. რ ე დ.

*** — ხელნაწერის შემდგომ გვერდზე მოთავსებულია ტექსტი, რომელიც მოცემულია ქვემოთ, ამ ტომის 256—257 გვერდზე. რ ე დ.

ორი ნიშანთვისება

ორი დამახასიათებელი ნიშანი

აქ არსებითად დიალექტიკის ორი განსაზღვრაა (Bestimmungen, keine Definitionen *)⁸⁰:

ა) „აზრის წმინდა მოძრაობა ცნებებში“;

ბ) „საგანთა (თვით) არსებაში (უნდა ვარკვევდეთ) (ვამჟღავნებდეთ) წინააღმდეგობას, რომელიც მას (ამ არსებას) აქვს თვით თავის თავში (დიალექტიკა საქუთრივი აზრით)“.

სხვა სიტყვებით, ჰეგელის ეს „ფრაგმენტი“ უნდა გადმოიცეს ასე:

დიალექტიკა საერთოდ არის „აზრის წმინდა მოძრაობა ცნებებში“ (ე. ი., თუ იდეალიზმის მისტიკის ჯარეშე ვიტყვით: ადამიანის ცნებები უმოძრაონი კი არ არიან, არამედ მარად მოძრაობენ, გადადიან ერთმანეთში; გადაასხამენ ერთს მეორეში, უამისოდ ისინი ვერ ასახავენ ცოცხალ ცხოვრებას. ცნებათა ანალიზი, მათი შესწავლა, „მათი გამოყენების ხელოვნება“ (ენგელსი)⁸¹ მოითხოვს ყოველთვის ცნებათა მოძრაობის, მათი კავშირის, მათი ურთიერთგადასვლების შესწავლას).

კერძოდ, დიალექტიკა არის შესწავლა ნივთის თავისთავად (Ansich), არსების, სუბსტრატის, სუბსტანციის დაპირისპირებულობისა, — მოვლენიდან, „სხვისთვის ყოფიერებიდან“. (აქაც ჩვენ ვხედავთ ერთის მეორეში გადასვლას, ერთის მეორეში გადასხმას: არსება გვევლინება. მოვლენა არსებითია.) ადამიანის აზრი უსასრულოდ ღრმავდება მოვლენიდან არსებისაკენ, ასე ვთქვათ, პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებისაკენ და ა. შ. დაუსრულებლად.

ნამდვილი მნიშვნელობები დიალექტიკა

ჰეგელი დიალექტიკის შესახებ (იხილეთ წინა გვერდი)

* — განსაზღვრანი, არა დეფინიციები. რ. ე. დ.

არის შესწავლა წინააღმდეგობისა საგან-
თა თვით არსებაში: არა მარტო
მოვლენებია წარმავალი, მოძრავი, დენადი.
გამოყოფილი მხოლოდ პირობითი საზღვრე-
ბით, არამედ ასევეა საგანთა არსებაც.

სექსტოს ემპირიკოსი შემდეგნაირად გვიხა-
ტავს სკეპტიკურ თვალსაზრისს:

შედარება
წარმტაცია...

...«როგორც იმ შემთხვევაში, თუ წარმოვი-
დგენდით, რომ სახლში, სადაც მრავალი ძვირ-
ფასეულობაა, ბევრნი ოქროს ღამით ეძებენ;
თვითეული იფიქრებდა, რომ მან იპოვა ოქრო.
მაგრამ არ ეცოდინებოდა ეს ნამდვილად, თუნ-
დაც რომ მას მართლაც ნაპოვნი ჰქონდეს იგი.
სწორედ ასევე ფილოსოფოსები შედიან ამ
სამყაროში, როგორც დიდ სახლში, რათა
ჰეშმარიტება ეძიონ; თუ ისინი კიდევ იპო-
ვნიან ამ ჰეშმარიტებას, მათ მაინც არ ეცოდი-
ნებოდათ, მიაღწიეს მას თუ არა»... (288—289)
[217]

ქსენოფანე (ელეატი) ამბობდა:

ღმერთები
ადამიანის
ხატად

«ხარებსა და ლომებს რომ ხელები ჰქონ-
დეთ, რათა მათ, ადამიანების მსგავსად, ხე-
ლოვნების ნაწარმოებნი შექმნან, მაშინ ისინიც
დაიწყებდნენ აგრეთვე ღმერთების გამო-
ხატვას და მათ სხეულთა ისეთ ფორმებს მის-
ცემდნენ, როგორიც თვითონ გააჩნიათ»...
(289—290) [218]

«ძენონის თავისებურება არის დიალექტი-
კა»... «ძენონი დიალექტიკის დამწყებია»...
(302) [299]

...«ძენონთან ჩვენ სწორედ ასევე ვპოუ-
ლობთ ჰეშმარიტად **ობიექტურ** დიალექტი-
კას». (309) [231]

(310 [232]: ფილოსოფიურ სისტემათა უარ-
ყოფის შესახებ: «მცდარი უნდა დამტკიცე-
ბულ იქნეს, როგორც მცდარი, არა იმიტომ, რომ
დაპირისპირებული ჰეშმარიტია, არამედ თვით
თავის თავში»...)

დიალექტიკა

«დიალექტიკა საერთოდ არის: ა) გარეგანი
დიალექტიკა, ეს მოძრაობა განსხვავებულია
მოცემული მოძრაობის სრული მოცვისაგან;

წ) მოძრაობა არა მარტო ჩვენი გაგებისა, არამედ დამტკიცებელი თვით საგნის არსებიდან, ე. ი. შინაარსის წმინდა ცნებიდან. პირველი სახის დიალექტიკა არის მანერა — განვიხილოთ საგნები ისე, რომ მათში ცხადვყოთ საფუძვლები და მხარეები, რის მეოხებითაც მერყევი ხდება ყოველივე, რაც ჩვეულებრივ მტკიცედ დადგენილად ითვლება. ეს საფუძვლები შეიძლება იყოს სრულიად გარეგანი, და სოფისტებზე ლაპარაკისას ჩვენ უფრო მეტად ასეთ დიალექტიკაზე ვილაპარაკებთ. მეორე სახის დიალექტიკა კი არის საგნის იმანენტური განხილვა: საგანი არღება თავისთვის, უწინამძღვროდ, იდეის გარეშე, ჯერარსობის გარეშე, არა გარეგანი მიმართების, კანონების, საფუძვლების მიხედვით. მთლიანად გადააქვთ თავიანთი თავი საქმის დედაარსში, საგანს განიხილავენ თვით თავის თავში და აიღებენ მას იმ განსაზღვრათა მიხედვით, რომლებიც მას გააჩნია. ამ განხილვაში ამჟღავნებს იგი» (er) (sic!) «შემდეგ თვით, რომ შეიცავს საპირისპირო განსაზღვრებებს, და, მაშასადამე, მოხსნის თავის თავს; ამ დიალექტიკას ვხედავთ ჩვენ უპირატესად ძველებთან. სუბიექტური დიალექტიკა, რომელიც რეზონანსს იძლევა გარეგანი საფუძვლებიდან, სამართლიანია მაშინ, როცა ეთანხმება იმას, რომ «სწორში არის აგრეთვე არასწორი და მცდარში — ჭეშმარიტი». ჭეშმარიტი დიალექტიკა არაფერს ტოვებს თავის საგნიდან, ასე რომ იგი არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე არა მარტო ერთი რომელიმე მხრიდან, არამედ მთლიანად დაიშლება»... (გვ. 311 [232—233])

ობიექტური
დიალექტიკა

XX საუკუნეში (XIX საუკუნის ბოლოშიც) განვითარების პრინციპს ყველა ეთანხმება. — დიახ, მაგრამ ეს ზერელე, მოუფიქრებელი, შემთხვევითი, ფილისტერული „თანხმობა“ იმ სახის თანხმობაა, რომლითაც ახშობენ და აუმგვანებენ ჭეშმარიტებას. — თუ ყოველივე ვითარდება, მაშასადამე, ყოველივე გადადის ერთიდან მეორეში, ვინაიდან განვითარ-

დიალექტიკისა და მისი ობიექტური მნიშვნელობის საკითხისათვის...

რება უეჭველად არ არის მარტივი, საყოველ-
 თაო და მარადიული ზრდა, გადიდება
 (respective შემცირება) etc. — რაკი ასეა, მა-
 შინ, ჯერ-ერთი, საჭიროა უფრო ზუს-
 ტად გავიგოთ ევოლუცია როგორც წარმო-
 შობა და მოსპობა ყოველივესი, ურთიერთგა-
 დასვლები. — მეორე კი, თუ ყოველივე
 ვითარდება, შეეხება თუ არა ეს აზროვნების
 ყველაზე ზოგად ცნებებსა და კატე-
 გორიებს? თუ არა და, მაშასადამე,
 აზროვნება არაა ყოფიერებასთან დაკავშირე-
 ბული. თუ კი, მაშასადამე, არის ცნებათა
 დიალექტიკა და შემეცნების დიალექტიკა,
 რომელსაც აქვს ობიექტური მნიშვნელობა. +

NB

I განვითარების + გარდა ამისა განვითარების საყოველთაო პრინციპი... რების საყოველთაო პრინციპი უნდა შევუერთოთ, დავუკავშიროთ, შევუთავსოთ სამყაროს, ბუნების, მოძრაობის, მატერიის etc. ერთიანობის პრინციპს.

...«ძენონი მოძრაობას განიხილავდა უპირატესად ობიექტურ-დიალექტიკურად»... (გვ. 313 [234])

NB

ეს შეიძლება და უნდა შევაბრუნოთ: საკითხი ეხება აზრის, არის თუ არა მოძრაობა, არამედ იმას, როგორ გამოვხატოთ ეს მოძრაობა ცნებათა ლოგიკაში

...«მოძრაობა თვით არის ყოველივე არსებულის დიალექტიკა»... ძენონს არც უფიქრია უარეყო მოძრაობა, როგორც — „sinnliche Gewißheit“ *, საკითხი იდგა მხოლოდ „nach ihrer (მოძრაობის) Wahrheit“ — (მოძრაობის ჭეშმარიტობის შესახებ). (313) [234] და შემდგომ გვერდზე, მოგვითხრობს რა იმ ანეგდოტის შესახებ, თუ როგორ უარყოფდა დიოგენე (ცინიკოსი სინოპიდან) მოძრაობას სიარულით, ჰეგელი წერს:

* — გრძნობადი უტყუარობა. რ ე დ.

...«მაგრამ ანეგლოტს განაგრძობენ აგრეთვე ასეც: როცა ერთი მოწაფე ამ უარყოფით დაკმაყოფილდა, დიოგენემ მას ჯოხით ცემა დაუწყო იმ საფუძვლით, რომ, რაკი მასწავლებელი საფუძვლებს ედავებოდა, ამიტომ მას საწინააღმდეგო მოსაზრებანიც ასევე საფუძვლიანი უნდა წარედგინა მისთვის. ამიტომ არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ გრძნობადი უტყუარობით, არამედ აუცილებლად უნდა გვესმოდეს»... (314) [235]

არა უშავს რა! საიდან არის აღებული ანეგლოტის ეს გაგრძელება?

Diogenes Laertius * VI. § 39⁸² და სექსტოს ემპირიკოსს, III, 8⁸³

(ჰეგელი გვ. 314 [235]) ასეთი გაგრძელება არა აქვთ. ხომ არ გამოიგონა ჰეგელმა?

ძენონს აქვს უარყოფის 4 ხერხი:

1. მიზნისაკენ მოძრავმა უნდა გაიაროს პირველად ამ მიზნისაკენ მიმავალი გზის ნახევარი. ამ ნახევრიდან კი პირველად მისი ნახევარი და ა. შ. დაუსრულებლად.

არისტოტელემ უპასუხა: სივრცე და დრო უსასრულოდ გაყოფადია (*δυσάμει **) (გვ. 316 [236]), მაგრამ არა უსასრულოდ გაყოფილი (*ἐνεργεια ****); ბეილი (Bayle. Dictionnaire⁸⁴, t. IV, article Zenon****) არისტოტელეს პასუხს უწოდებს *pitoyable*-ს *****, ამბობს რა

...«თუ მატერიის დუიმზე გავავლებდით ხაზებს უსასრულო რაოდენობით, ჩვენ ვერ მოვახდენდით გაყოფას, რომელიც ნამდვილ უსასრულოდ გადააქცევს იმას, რაც, მისი მიხედვით, მხოლოდ პოტენციურად იყო უსასრულო»...

* — დიოგენე ლაერტს. რ ე დ.

** — შესაძლებლობაში. რ ე დ.

*** — სინამდვილეში. რ ე დ.

**** — ბეილი. ლექსიკონი, ტ. IV, სტატია ძენონი. რ ე დ.

***** — უბადრუკს. რ ე დ.

და ჰეგელი წერს (317) [237]: „Dies si ist gut!“ *

ე. ი. თუ ბოლომდე დავიყვანთ უსასრულო გაცოფასო!!

სწორია!

...«დროისა და სივრცის არსება მოძრაობა იმიტომია, რომ იგი საყოველთაოა; მისი გაგება ნიშნავს მისი არსების გამოთქმას ცნების ფორმით. მოძრაობა, როგორც ცნება, როგორც აზრი, გამოითქმის უარყოფითობისა და უწყვეტობის ერთიანობის სახით; მაგრამ არც უწყვეტობა, არც წერტილოვნობა თავისთვის არ შეიძლება დადგინდეს არსების სახით»... (გვ. 318—319 [238])

„გაიგო — ნიშნავს გამოხატო ცნებათა ფორმით“. მოძრაობა არის დროისა და სივრცის არსება. ორი ძირითადი ცნება გამოხატავს ამ არსებას: (უსასრულო) უწყვეტობა (Kontinuität) და „პუნქტულობა“ (= უარყოფა უწყვეტობისა, წყვეტილობა). მოძრაობა არის უწყვეტობის (დროისა და სივრცის) და წყვეტილობის (დროისა და სივრცის) ერთიანობა. მოძრაობა არის წინააღმდეგობა, წინააღმდეგობათა ერთიანობა.

არაა მართალი Ueberweg-Heinze **, 10 გამოც., გვ. 63 (§ 20), როცა ამბობს, რომ ჰეგელი „იცავს Bayl'-ის წინააღმდეგ არისტოტელეს“. ჰეგელი უარყოფს სკეპტიკოსსაც (ბეილს) და ანტიდიალექტიკოსსაც (არისტოტელეს).

შეად. Gomperz. Les penseurs de la Grèce ⁸⁵, გვ..., იძულებული, ძალის-ძალად, აღიარება წინააღმდეგობათა ერთიანობისა, დიალექტიკის აულიარებლად (აზრის სიმხდალის გამო)...

2. აქილესი ვერ დაეწევა კუზ. „ჯერ 1/2 და ა. შ. დაუსრულებლად.

* — «ეს თუ ჩინებულია!» რ ე დ.

** — იბერვეგ-ჰაინცე. რ ე დ.

არისტოტელე უპასუხებს: დაეწევა, თუ მას ნებას დართავენ „გადავიდეს საზღვარზე“ (გვ. 320 [240]).

და ჰეგელი: «ეს პასუხი სწორია, ყველაფერს შეიცავს» (გვ. 321 [240]), — რადგან მართლაც ნახევარი აქ იქცევა (გარკვეულ საფეხურზე) „საზღვრად“...

...«როცა ჩვენ საერთოდ მოძრაობაზე ვმსჯელობთ, ვამბობთ: სხეული იმყოფება ერთ ადგილზე და შემდეგ იგი გადადის მეორე ადგილზე. იმ დროს, როცა ის მოძრაობს, იგი აღარ იმყოფება უკვე პირველ ადგილზე, მაგრამ არ იმყოფება აგრეთვე არც მეორეზე; თუ იგი იმყოფება ამ ორი ადგილიდან ერთზე, მაშინ იგი უძრავადაა. თქმა იმისა, რომ იგი ორივეს შორისაა, ნიშნავს არაფრის თქმას, იმიტომ რომ ასეთ შემთხვევაში იგი ისევ ერთ ადგილზეა; მაშასადამე, აქ იგივე სიძნელე გვაქვს. მოძრაობა კი იმას ნიშნავს, რომ იყო ერთ ადგილზე და ამავე დროს არც იყო იქ; ეს არის სივრცისა და დროის უწყვეტობა, და სწორედ იგია კიდევ მოძრაობას რომ შესაძლებელს ხდის». (გვ. 321—322 [241])

შეად. ჩერნოვის შეპასუხება ენგელსისადმი⁸⁶

NB
სწორია!

მოძრაობა არის სხეულის ყოფნა მოცემულ მომენტში მოცემულ ადგილზე, მეორე, მომდევნო მომენტში მეორე ადგილზე — ასეთია ის შეპასუხება, რომელსაც ჩერნოვი იმეორებს (იხ. მისი ფილოსოფიური ეტიუდები) ჰეგელის ყველა „მეტაფიზიკური“ მოწინააღმდეგის კვალდაკვალ.

ეს შეპასუხება უმართებულოა: (1) იგი აგვიწერს მოძრაობის შედეგს და არა თავით მოძრაობას; (2) იგი არ გვიჩვენებს, არ შეიცავს მოძრაობის შესაძლებლობას; (3) იგი გამოხატავს მოძრაობას როგორც უძრავობის მდგომარეობათა ჯამს, კავშირს, ე. ი. (დიალექტიკური) წინააღმდეგობა არაა მის მიერ მოცილებული, არამედ წაფარებულია, გადაწეულია, ჩამოფარებულია, ფარდაფარებულია.

სწორია!

«რაც მუდამ სიძნელეს შეადგენს, ეს არის აზროვნება, იმიტომ რომ იგი საგნის მომენტებს სინამდვილეში დაჟავშირებული, განიხილავს მათს გამოყოფაში ერთიმეორისაგან». (322) [242]

ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, გამოვხატოთ, გავზომოთ, გამოვსახოთ მოძრაობა, თუ არ შევწყვეტთ შეუწყვეტელს, არ ვამარტივებთ, გავაუხეშებთ, არ გავყოფთ, არ ვავამკვდარებთ ცოცხალს. მოძრაობის გამოხატვა აზრის მიერ ყოველთვის არის გაუხეშება, გამკვდარება, — და არა მარტო აზრის მიერ, არამედ შეგრძნების მიერაც, და არა მარტო მოძრაობისა, არამედ ყოველი ცნებისაც.

და ამაშია დიალექტიკის დედაარსი. სწორედ ამ დედაარსს გამოხატავს კიდევ ფორმულა: დაპირისპირებულობათა ერთიანობა, იგივეობა.

3. «მფრინავი ისარი უძრავადაა».

და არისტოტელეს პასუხი: შეცდომა იმ ვარაუდის გამო, თითქოს «დრო შედგება ცალკეულ ახლადან» (ἐκ τῶν νῦ) გვ. 324 [243].

4. $\frac{1}{2}$ უდრის ორმაგს: მოძრაობა, რომელიც იზომება შედარებით უძრავ სხეულთან და შედარებით სხეულთან, რომელიც პირუტყუ მიმართულებით მოძრაობს.

იმ ჭ-ის ბოლოში, სადაც ძენონზეა ლაპარაკი, ჰეგელი ადარებს ამ უკანასკნელს კანტს (მისი ანტინომიები «იმაზე მეტი არაა, რაც აქ ძენონმა უკვე გააკეთა»). (გვ. 326 [244])

ელეელთა დიალექტიკის ზოგადი დასკვნა: „ჰემმარიტი ერთიანია, სხვა არაჰემმარიტია“ — მსგავსად იმისა, როგორც კანტის ფილოსოფიას ჰქონდა თავის შედეგად: «ჩვენ შევიცნობთ მხოლოდ მოვლენებს». საერთოდ ერთი და იგივე პრინციპი». (გვ. 326 [244])

მაგრამ არის განსხვავებაც.

«კანტისათვის სულიერი არის ის, რაც ანგრევეს სამყაროს; ძენონის მიხედვით, მოვლე-

ნის სამყარო თავისთავად და თავისთვის არაა ჰუმბარითი. კანტის აზრით, ჩვენი აზროვნება, ჩვენი სულიერი მოქმედება არის ცუდი; შემეცნების არაფრად მიჩნევა არის სულის უზომო თვინიერება»... (327) [244—245]

კანტი და მისი
(სუბიექტი-
ვიზმი, სკეპ-
ტიციზმი
etc.)

ელეელთა გაგრძელება ლეკიპესა და სოფისტებთან...

ჰერაკლიტის ფილოსოფია

ძენონის შემდეგ (? იგი ცხოვრობდა ჰერაკლიტეს შემდეგ?)⁸⁷ ჰეგელი გადადის ჰერაკლიტეზე და ამბობს:

«მას» (ძენონის დიალექტიკას) «შეიძლება აგრეთვე ეწოდოს კიდევ სუბიექტური დიალექტიკა, რამდენადაც იგი ეკუთვნის განმხილველ სუბიექტს, და ერთიანი ამ დიალექტიკის გარეშე, ამ მოძრაობის გარეშე, არის ერთი, აბსტრაქტული იგივეობა»... (328) [245]

NB

- ა) სუბიექტური დიალექტიკა.
- ბ) საგანში არის დიალექტიკა, მაგრამ მე არ ვიცი, შეიძლება ეს არის Schein *, მხოლოდ მოვლენა etc.
- γ) სავსებით ობიექტური დიალექტიკა, როგორც პრინციპი ყოველივე

არსებულისა. უწინ კი ამბობდნენ, იხ. ციტატი 309 [231] გვერდიდან და სხვ., რომ ძენონს ობიექტური დიალექტიკა აქვსო. აქ არის რაღაც არქიდახვეწილი „distinguo“ ** შეად. შემდეგი:

«დიალექტიკა: ა) გარეგანი დიალექტიკა, რეზონირება უთავბოლოდ, რომელშიც არ ითქვიფება თვით საგნის სული; ბ) საგნის იმანენტური დიალექტიკა, რომელიც მიეკუთვნება მაინც (NB) სუბიექტის განხილვის წესს; γ) ჰერაკლიტეს ობიექტურობა, ე. ი. დიალექ-

NB

NB

* — მოჩვენებითობა. რ ე დ.
** — «მე განვასხვავებ». რ ე დ.

ქტიკა, გაგებული თვითონ როგორც პრინციპი». (328) [246]

(ჰერაკლიტესთან): «აქ ჩვენ თვალწინ გადაშლილია ახალი ქვეყანა; არ არის არც ერთი დებულება ჰერაკლიტესი, რომელიც მე არ მიმეღოს ჩემს ლოგიკაში». (328) [246]

NB

«ჰერაკლიტე ამბობს: ყოველივე არის ქმნადობა; ეს ქმნადობა არის პრინციპი. ამას შეიცავს გამოთქმა: ყოფიერება ისევე ნაკლებად არის, როგორც არყოფიერებაც... (გვ. 333 [249])

«შემეცნება იმისა, რომ ყოფიერება და არყოფიერება მხოლოდ ჰეშმარიტებას მოკლებული აბსტრაქტული ცნებებია, პირველი ჰეშმარიტი კი მხოლოდ ქმნადობაა, დიდ მიღწევას წარმოადგენს. განსჯას მიაჩნია, რომ ორივე ცალ-ცალკე ჰეშმარიტია და მათ აქვთ მნიშვნელოვნობა; პირიქით, გონება შეიცნობს ერთს მეორეში, შეიცნობს, რომ ერთში მოთავსებულია მისი მეორე» (NB „მისი მეორე“), — «აი რატომ უნდა განისაზღვროს ყოველივე, აბსოლუტური როგორც ქმნადობა». (334) [250]

«არისტოტელე ამბობს, მაგალითად, (De mundo⁸⁸, თავი 5), რომ ჰერაკლიტე საერთოდ «აკავშირებდა მთელსა და არამთელს (ნაწილს)», ...«შემხვედრსა და განშორებადს, თანახმიერსა და მადისონირებელს; და ყოველივე (დაპირისპირებულიდან) იქნება ერთი, ერთიდან კი ყოველივე». (335) [250]

პლატონს „სიმპოსიონში“⁸⁹ მოჰყავს ჰერაკლიტეს შეხედულებანი (სხვათა შორის მუსიკის შესახებ: ჰარმონია შედგება დაპირისპირებულობათაგანო) და გამოთქმა, რომ „მუსიკოსის ხელოვნება სხვადასხვაგვარს აერთიანებსო“.

ჰეგელი წერს: ეს არ არის შედავება ჰერაკლიტეს წინააღმდეგ, (336) [251], რადგან სხვადასხვაგვარი არის ჰარმონიის დედაარსი:

«ეს ჰარმონია არის სწორედ აბსოლუტური ქმნადობა, ცვლილება, — არა ქმნადობა სხვისა, ახლა ერთი, შემდეგ კი მეორე. არსებითია ის, რომ ყოველი განსხვავებული, განსაკუთრებული განსხვავებულია რომელიმე მეორისაგან, მაგრამ არა აბსტრაქტულად რომელიმე მეორისაგან, არამედ მისი მეორისაგან; თვითეული არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ცნება შეიცავს მის მეორეს». (336) [251]

ძალიან სწორი და მნიშვნელოვანია: „მეორე“ როგორც თავისი მეორე, განვითარება თავის დაპირისპირებულობად

«ასევეა ტონების მიმართაც; ისინი უნდა იყვნენ განსხვავებულნი, მაგრამ ისე, რომ მათ შეეძლოთ იყვნენ ერთიანი»... (336) [251] გვ. 337 [252]: სხვათა შორის სექსტოს ემპირიკოსი (და არისტოტელე) მიჩნეული არიან „besten Zeugen“ *-ებად...

ჰერაკლიტე ამბობდა: „die Zeit ist das erste körperliche Wesen“ ** (სექსტოს ემპირიკოსი) — გვ. (338) [252]

körperliche *** — „უხერხული“ გამოთქმა (შეიძლება (NB) სექსტიკოსის მიერ (NB) არის შერჩეული), — მაგრამ დრო არისო „das erste sinnliche Wesen“ ****...

...«დრო არის წმინდა ქმნადობა, როგორც ჰერეტადი»... (338) [252]

იმის შესახებ, რომ ჰერაკლიტეს პროცესად მიაჩნდა ცეცხლი, ჰეგელი ამბობს: „ცეცხლი არის ფიზიკური დრო; ეს არის აბსოლუტური მოუსვენრობა» (340) [253]—და შემდეგ ჰერაკლიტეს ნატურფილოსოფიის შესახებ:

...«იგი» (Natur *****) «არის პროცესი თავის თავში»... (344) [253]... «ბუნება არის ეს არასდროს მოსვენების მდგომარეობაში არმყოფი, და ყოველთვის არის გადასვლა ერთიდან მეორეში, გაორებიდან ერთიანობაში და ერთიანობიდან გაორებაში»... (341) [254]

- — «საუკეთესო მოწმეებად». რ ე დ.
- — «დრო არის პირველი სხეულებრივი არსება». რ ე დ.
- — სხეულებრივი. რ ე დ.
- — «პირველი გრძნობადი არსება». რ ე დ.
- — ბუნება. რ ე დ.

«ვაიგო ბუნება, ნიშნავს: გამოხატო
ი გი როგორც პროცესი»... (339) [253]

აქ არის ბუნებისმეტყველთა შეზღუდ-
ულობაო:

NB

...«თუ მოვუსმენთ მათ» (Naturforscher *),
«ისინი აკვირდებიან, ლაპარაკობენ მხოლოდ
იმას, რასაც ხედავენ; მაგრამ ეს არ არის სწო-
რი, ისინი შეუცნობლად გარდაქმნიან უშუა-
ლოდ ნახულს ცნების შემწვობით. და დავა
წარმოებს არა დაკვირვებასა და აბსოლუტურ
ცნებას შორის არსებული წინააღმდეგობის
შესახებ, არამედ იმ წინააღმდეგობის შესახებ,
რომელიც არსებობს შეზღუდულ ფიქსირე-
ბულ ცნებასა და აბსოლუტურ ცნებას შორის.
ისინი ამტკიცებენ, გარდაქმნები არ არსებობ-
სო»... (344—345) [256]

NB

...«წყალი, რომელიც თავის პროცესში
გაორდება, ამჟღავნებს წყალბადსა და
ჟანგბადს: — უქანასკნელნი კი არ წარმო-
შობილან, არამედ არსებობდნენ უკვე წი-
ნათ როგორც ასეთნი, როგორც ნაწილე-
ბი, რომელთაგანაც შედგება წყალი» (346)
[257] (ასე გამოაჯავრებს ხოლმე ჰეგელი
ბუნებისმეტყველთ)...

«ასე ემართება ატქმისა და ცდის ყო-
ველგვარ სიტყვიერ გამოთქმას; რამდენა-
დაც ადამიანი ლაპარაკობს, მისი სიტყვე-
ბი შეიცავენ ცნებას; ცნება არ შეიძლება
არ დაუშუალო, ცნობიერებაში კვლავწარ-
მოქმნილი მუდამ შეიცავს საყოველთაო-
ბისა და ჰეგელიანობის ნაღებს». (346)
[257]

მეტად სწორი და მნიშვნელოვანია — სწო-
რედ ამას იმეორებდა უფრო პოპულარულად
ენგელსი, როცა წერდა, რომ ბუნებისმე-
ტყველებმა უნდა იცოდნენ, რომ ბუნების-
მეტყველების შედეგები ცნებებია, ცნებე-
ბით სარგებლობის ხელოვნება კი თანდაყო-
ლილი როდია, არამედ ბუნებისმეტყველები-

* — ბუნებისმეტყველთ. რ ე დ.

სა და ფილოსოფიის 2 000 წლევანი განვითარების შედეგად⁹⁰.

ბუნებისმეტყველებს აქვთ გარდაქმნის ვიწრო ცნება და არ გააჩნიათ დიალექტიკის გაგება.

...«იგი» (Heraklit*) არის «ის, ვინც პირველად გამოხატა უსასრულო ბუნება და პირველად გაიგო აგრეთვე ბუნება როგორც თავისთავად უსასრულო, ესე იგი გაიგო მის არსება — როგორც პროცესი»... (346) [257]

«აუცილებლობის ცნების» შესახებ — შეადგ. გვ. 347 [258]. ჰერაკლიტეს არ შეეძლო დაენახო ჭეშმარიტება „sinnliche Gewißheit“-ში** (348) [258] — არამედ „აუცილებლობაში“ (εξ αναγκῆς***)—(ღბციჲ****).

NB || «ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი გ ა მ ე შ ვ ე -
ე ბ ა». (348) [258]

(ა ბ ს ო ლ უ -
ტ უ რ ი კ ა ვ -
შ ი რ ი)

«გონიერი, ჭეშმარიტი, რომელიც მე ვიცი, არის, მართლაც, დაბრუნება საგნობრივიდან, როგორც გრძნობადიდან, ცალკეულიდან, გარკვეულიდან, არსებულიდან. მაგრამ ის, რაც გონებამ იცის თავის შიგნით, ამდენადვე არის **აუცილებლობა, ან საყოველთაო** ყოფიერებისა, ეს არის აზროვნების არსება, როგორც ეს არის აგრეთვე სამყაროს არსება». (352) [261]

NB:

აუცილებლობა = „ზოგადი ყოფიერებისა“ (საყოველთაო ყოფიერებაში) (კავშირი, „აბსოლუტური გამეშვეება“)

ლემკიკა

368 [266]: «ფილოსოფიის განვითარება ისტორიაში უნდა შეესაბამებოდეს ლოგიკური ფილოსოფიის განვითარებას; მაგრამ უკანასკნელში უნდა იყოს ადგილები, რომლებიც ამოვარდებიან ისტორიაში მიმდინარე განვითარების დროს».

ფილოსოფიის განვითარება ისტორიაში „უნდა შეესაბამებოდეს“ (??) ლოგიკური ფილოსოფიის განვითარებას

* — ჰერაკლიტე. რ ე დ.

** — «გრძნობად უტყუარობაში». რ ე დ.

*** — ბედისწერა. რ ე დ.

**** — ლოგოსი. რ ე დ.

აქ მეტად ღრმა და სწორი აზრია — არსებითად მატერიალისტური (ნამდვილი ისტორია არის ბაზა, საფუძველი, ყოფიერება, რომელიც მიჰყვება ცნობიერება).

ლევკიპე (Leycipp) ამბობს, რომ ატომები უხილავი არიან „wegen der Kleinheit ihrer Körperlichkeit“ * (369), — ჰეგელი კი ამის საწინააღმდეგოდ უპასუხებს, რომ ეს არის „Ausrede“ ** (ib), რომ „Eins“ *** არ შეიძლება დავინახოთ, რომ „das Princip des Eins“ „ganz ideell“ **** (370), რომ ლევკიპე არაა „ემპირიკოსი“, არამედ იდეალისტია.

((?? ნ ა ძ ა ლ ა დ ე ვ ი მ ტ კ ი ც ე ბ ა ა))
 (იდეალისტი ჰეგელისა, რა თქმა უნდა,
 ნაძალადევი.)

[ნაძალადევად მთარგო რა ლევკიპე თავის ლოგიკას, ჰეგელი განაგრძობს ლაპარაკს Fürsichsein-ის ***** პრინციპის მნიშვნელობის „სიდიადის“ შესახებ (368) [265], ხედავს რა ამ პრინციპს ლევკიპესთან. ნაძალადევი მტკიცების სუნი უდის ნაწილობრივ.] *****

მაგრამ არის ჰეგელიანების მარცვალცი: ცალკეულობის ელფერი („მომენტი“), თანდათანობის შეწყვეტა; წინააღმდეგობათა შერბილება; შეუწყვეტელის შეწყვეტა, — ატომი, ერთი, (შეად. 371 i. f. [268]): — «ერთი და უწყვეტობა დაპირისპირებულობანია»...

ჰეგელის ლოგიკა არ შეიძლება გამოვიყენოთ მისი მოცემული სახით; არ შეიძლება ავიღოთ როგორც მოცემული. მისგან უნდა ამოვარჩიოთ ლოგიკური (გნოსეოლოგიური) ელფერები; გავ-

* — «მათი სხეულის სიპატარავეს გამო». რ ე ღ.

** — «მომიზეზება». რ ე ღ.

*** — «ერთი». რ ე ღ.

**** — «ერთის პრინციპი» «სრულიად იდეალურია». რ ე ღ.

***** — თავისთვის ყოფიერება. რ ე ღ.

***** — ხელნაწერში ეს ხუთი სტრიქონი წაშლილია. რ ე ღ.

წმენდთ რა Ideenmystik* -ისაგან: ეს ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა.

«ამიტომ ატომისტიკა თავის თავს უპირისპირებს საერთოდ წარმოდგენას უცხო არსების მიერ სამყაროს შექმნისა და შენარჩუნების შესახებ. ბუნებისმეტყველება პირველად გრძნობს თავის თავს ატომისტიკაში იმის აუცილებლობისაგან განთავისუფლებულად, რომ გვიჩვენოს სამყაროს არსებობის საფუძველი. ეს იმით, რომ, თუ წარმოვიდგენთ ბუნებას როგორც რაიმე მეორის მიერ შექმნილად და შენარჩუნებულად, მაშინ იგი უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც თავისთვის არსებული, არამედ როგორც თავისი ცნების თავის გარეშე მქონე, ე. ი. როგორც მისთვის უცხო საფუძვლის მქონე, მაშინ მას, როგორც ასეთს, არ გააჩნია საფუძველი, მისი გაგება შეიძლება მხოლოდ მეორის ნებისაგან. იმ სახით, რა სახითაც ის არის, იგი შემთხვევითია აუცილებლობისა და თვით თავის-თავში ცნების გარეშე. ატომისტიკის წარმოდგენაში კი მოთავსებულია წარმოდგენა საერთოდ ბუნების თავისთავად ყოფიერების შესახებ, ე. ი. აზრი პოულობს მასში თავის თავს... (372—373) [269]

გადმოგვეცემს რა Diogenes Laertius, IX, § 31—33 — ლექციებს ატომისტიკას, ატომების „გრიგალს“ (Wirbel — წსიუ)**, ჰეგელი ვერ ხედავს ამაში ვერავითარ ინტერესს („არავითარი ინტერესი“... «ცარიელი გამოსახვა», «ბუნდოვანი აბნეული წარმოდგენანი» — გვ. 377 i. f. [271—272]).

ჰეგელის სიბეცე, იდეალისტის ცალმხრიობა!!

დემოკრიტი

დემოკრიტეს ჰეგელი behandelt*** უკვე საკვებით stiefmütterlich****, სულ გვ.

* — იდეათა მისტიკის აგან. რ ე დ.

** Diogenes Laertius—«vertiginem»—ლათინური თარგმანი (გვ. 235).

*** — განიხილავს. რ ე დ.

**** — დედინაცვალივით. რ ე დ.

მატერიალიზმი
(ჰეგელს ეშინია სიტყვის: არ მომეკარო!)
versus
ატომისტიკა

NB

378—380 [270—272]! იდეალისტიკისათვის აუტანელია მატერიალიზმის სული! მოყვანილია დემოკრიტიკის სიტყვები (გვ. 379 [272]):

«შეხედულების (νόμος) თანახმად არსებობს თბილი, შეხედულების თანახმად არსებობს ცივი, შეხედულების თანახმად — ფერი, ტკბილი და მწარე; ჰემპარიტიკების (ἔμφη) თანახმად კი — მხოლოდ განუყოფადი და სიცარიელე» (Sextus Empiricus. Adversus Mathematicos *, VII, § 135) ⁹¹.

და კეთდება დასკვნა:

...«ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ დემოკრიტიკემ უფრო გარკვეულად გამოხატა თავისთავად ყოფიერებისა და სხვისთვის ყოფიერების სხვაობა»... (380) [272]

„ცუდი იდეალიზმი“
(ჩემი შეგრძნება) შეად. მახი ⁹²

ამითო „კარი გაღებულია“ „ცუდი იდეალიზმისთვის“, რომ — „meine Empfindung, mein“ **...

ჰეგელი
versus
E. Mach... ***

...«დადგენილია გრძობადი, ცნებას მოკლებული მრავალსახეობა შეგრძნებისა, რომელშიც სრულიად არ არის გონება და რომელთანაც ამ იდეალიზმს უკვე აღარაფერი ესაქმება».

ანაქსაგორას ფილოსოფია

ანაქსაგორა. Νομός**** არის „მიზეზი სამყაროსი და ყოველი წესრიგისა“ (381) [280] და ჰეგელი განმარტავს:

...«ობიექტური აზრი... გონება სამყაროში, ასევე ბუნებაშიც ან, როგორც ჩვენ ვლავარაკობთ გვარებზე ბუნებაში, ისინი არიან საყოველთაო. ძალდი არის ცხოველი, ეს არის მისი გვარი, მისი სუბსტანციური; — იგი

NB
გვარეობითი
ცნება არის

* — სექსტოს ემპირიკოსი. მათემატიკოსების წინააღმდეგ. რ ე დ.

** — «ჩემი შეგრძნება, ჩემი». რ ე დ.

*** — ე. მახის მიმართ. რ ე დ.

**** — გონება. რ ე დ.

თვით არის ეს. ეს კანონი, ეს განსჯა, ეს გონება თვით არის ბუნების იმანენტური, ბუნების არსება; იგი გარედან როდი ყალიბდება, მსგავსად იმისა, როგორც ადამიანები სკამს აკეთებენ». „*შინ* იგივეა, რაც სული“ (არისტოტელე ანაქსაგორას შესახებ)—გვ. 394 [289]

„ბუნების არსება“ არის კ ა ნ ო ნ ი...

და ... * განმარტება ამ ნ ა ხ ტ ო მ ი ს ა, ზოგადიდან ბუნებაში ს უ ლ ი ს ა კ ე ნ; ობიექტურიდან სუბიექტურისაკენ; მატერიალიზმიდან იდეალიზმისაკენ. *G'est ici que ces extrêmes se touchent (et se transforment!)* **

ანაქსაგორას ჰომეომერების⁹³ შესახებ (ნაწილაკები იმავე გვარეობისაა, რაც მთელი სხეულები) ჰეგელი წერს:

«გარდაქმნა უნდა ავიღოთ ორნაირი აზრით, არსებობის აზრით და ცნების აზრით»... (403—404) მაგალითად, ამბობენო, წყალი შეიძლება მოვიშოროთ — ქვები დარჩება; ცისფერი საღებავი მოვიშოროთ, წითელი და სხვ. დარჩება.

გარდაქმნა

«მაგრამ ეს მხოლოდ არსებობის მიხედვით, ცნების მიხედვით კი ისინი მხოლოდ ერთიმეორის მეშვეობით არიან, ეს არის შინაგანი აუცილებლობა». როგორც ცოცხალ სხეულში არ შეიძლება ამოვიღოთ მარტო გული ფილტვების გაუნადგურებლად etc.

(მისი მნიშვნელობა)

«ამნაირადვე ბუნება არსებობს მხოლოდ ერთიანობაში, მსგავსად იმისა, როგორც ტვინი მხოლოდ სხვა ორგანოებთან ერთიანობაში არსებობს». (404)

ამასთან გარდაქმნა ზოგიერთებს იმ აზრით ესმით, რომ არსებობს წვრილი თვისებრივად-გარკვეული ნაწილაკები და ხდება მათი ზრდა (respective შემცირება) [შეერთება და განცალკევება]. სხვა

* ერთი სიტყვა ვ. ი. ლენინის ხელნაწერში დარჩა გაუშიფრავი. რ ე დ.

** — სწორედ აქ შეხვდებიან ერთმანეთს უკიდურესობანი (და გარდაიქმნებიან!). რ ე დ.

გაგება (ჰერაკლიტე) — გარდაქმნა ერთისა მეორედ. (403)

არსებობა და ცნება — ჩანს, ჰეგელთან განსხვავებულია დაახლოებით ასე: ფაქტი (ყოფიერება) ცალკე აღებული, კავშირიდან ამოგლეჯილი, და კავშირი (ცნება), თანაფარდობა, გადაბმულობა, კანონი, აუცილებლობა.

415 [302]: ...«ცნება არის ის, რაც ნივთები თავისთავად და თავისთვის არიან»...

ამბობს რა, რომ ბალახი მიზანია ცხოველისათვის, ეს უკანასკნელი კი — ადამიანისათვის etc. etc., ჰეგელი დაასკვნის:

«წრე, რომელიც დასრულებულია თავის შიგნით, მაგრამ რომლის დასრულებაც ამგვარადვე არის გადასვლა მეორე წრეში; — გრიგალი, რომლის ცენტრიც, სადაც იგი ბრუნდება, მდებარეობს უშუალოდ მეორე უფრო მაღალი და მისი შთანმთქმელი წრის პერიფერიაზე»... (414) [303]

NB:

„ზოგადი“
როგორც
„არსება“

დღემდე ცოტა რამ მოგვეცეს ძველებშაო: «ზოგადი არის უკმარი განსაზღვრა, თვითეულმა იცის ზოგადზე, მაგრამ არ იცის მასზე, როგორც არსებაზე». (416) [304]

„შემეცნების
ბუნების გან-
ვითარება“

...«მაგრამ აქ იწყება უფრო გარკვეული განვითარება ყოფიერებისადმი ცნობიერების მიმართებისა, განვითარება შემეცნების ბუნებისა, როგორც ჰეგელიტის შემეცნებისა». (417) «სულმა წაიწია წინ არსების, როგორც აზრის, გამოთქმამდე». (418) [305]

«ზოგადის ამ განვითარებას, რომელშიც არსება მთლიანად ცნობიერების მხარეზე გადადის, ჩვენ ვხედავთ სოფისტების ესოდენ სახელგატეხილ სიბრძნეში». (418) [306]

((I ტომის დასასრული)) [II ტომი იწყება სოფისტებიდან.]

XIV ტომი. ფილოსოფიის ისტორიის მეორე ტომი

სოფისტების ფილოსოფია *

სოფისტების შესახებ ჰეგელი არქიდეტა-ლურად ლეჰავს იმ აზრს, რომ სოფისტიკაში არისო ელემენტი, რომელიც საერთოა ყოველი განათლებისათვის (Bildung) საზოგადოდ, მათ შორის ჩვენი განათლებისთვისაც, სახელდობრ წამოყენება საბუთებისა (Gründe) და Gegengründe *, — „მარეფლექსირებელი რეზონირება“, — აღმოჩენა ყოველივეში მრავალგვარი თვალსაზრისისა; ((სუბიექტივიზმი — ობიექტივიზმის უქონლობა)). ლაპარაკობს რა პროტაგორაზე და მის ცნობილ თეზისზე (ადამიანი არის ყველა ნივთის საზომი), ჰეგელი აახლოებს მასთან კანტს.

...«ადამიანი არის ყოველივეს საზომი, — ადამიანი, მაშასადამე, სუბიექტია საერთოდ; მყოფი, მაშასადამე, არსებობს არა იზოლირებულად, არამედ არის ჩემი ცოდნისათვის; — ცნობიერება თავისი არსებით არის ის, რაც საგნობრივში წარმოქმნის შინაარსს, სუბიექტური აზროვნება ამაში ყველაზე არსებით მონაწილეობას ღებულობს. და ეს არის ის, რაც უახლეს ფილოსოფიამდე აღწევს. კანტი ამბობს, რომ ჩვენ ვიცით მხოლოდ მოვლენები, ე. ი. რომ ის, რაც ჩვენ წარმოგვიდგება როგორც ობიექტური, როგორც რეალობა, უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მის მიმართე-

პროტაგორა
და
კანტი

* — საწინააღმდეგო საბუთებისა. რ ე ღ.

ბაში ცნობიერებასთან და არ არსებობს ამ მიმართების გარეშე... (31) * [25] **

მეორე „მომენტი“ არისო ობიექტივიზმი (das Allgemeine ***), «იგი დადგენილია ჩემ მიერ, მაგრამ იგი აგრეთვე თავისთვისაც ობიექტურად საყოველთაოა, ჩემგან დაუდგენლადაც»... (32) [25]

Diese „Relativität“ **** (32) «ყოველივეს აქვს მხოლოდ შეფარდებითი ჰერმარიტება» (33) [25] პროტაგორას მიხედვით.

...«კანტის მოვლენა სხვა არაფერია, თუ არა ბიძგი გარედან, რაღაც X, უცნობი, ის, რაც განსაზღვრას პირველად ჩვენი გრძნობის მეშვეობით, ჩვენი ღებულობს. თუმცა არის ობიექტური საფუძველიც იმისა, რომ ჩვენ ამას ვუწოდებთ ცივს, იმას კი — თბილს, ასე რომ, მართალია ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უნდა შეიცავდნენ ერთის განსხვავებას მეორისაგან, მაგრამ სითბო და სიცივე მხოლოდ ჩვენს შეგრძნებაშია, სწორედ ისევე როგორც ნივთებიც არის და ა. შ. ... ამრიგად, ცდას დაერქვა მოვლენა». (34) [27]

«სამყარო არის მოვლენა არა იმიტომ, რომ იგი არსებობს ცნობიერებისათვის, ე. ი. რომ მისი ყოფიერება მხოლოდ შეფარდებითია ცნობიერებისათვის, არამედ ამგვარადვე იგი მოვლენაა თავისთავად». (35) [28]

...«გაცილებით უფრო მეტ სიღრმეს მიღწია ამ სკეპტიციზმმა გორგიასთან»... (35) [28]

...«მისი დიალექტიკა»... გორგიასი, სოფისტის მრავალჯერ: გვ. 36 [28], id. გვ. 37 [29].

ტიდემანმა თქვა, რომ გორგია უფრო შორს წავიდა, ვიდრე ადამიანის „ჯანსაღი (სალი) აზრი“. და ჰეგელი იცინის: ყოველი ფილოსო-

სოფისტის
რელატივიზმი

კანტი
და
სოფისტები
და ფენომენო-
ლოგიზმი ⁹⁵
à la *****
მახი
NB

არა მარტო
რელატივიზმი

სკეპტიციზმი

NB

ჰეგელი „სალი
აზრის“ შე-
სახებ

- Hegel. Werke, Bd. XIV, Berlin, 1833. რ ე დ.
- Гегель, Сочинения, т. X, М., 1932. რ ე დ.
- — ზოგადი, საყოველთაო. რ ე დ.
- — ეს «ფარდობითობა». რ ე დ.
- — მსგავსად. რ ე დ.

ფია მიდის „სად აზრზე“ უფრო შორს, რადგან სალი აზრი არ არის ფილოსოფია. კონსპექტამდე სალი აზრის წინააღმდეგ იქნებოდა იმის ლაპარაკი, რომ მიწა ტრიალეზო. (36) [29]

«ეს» (der gesunde Menschenverstand *) «არის რომელიმე ეპოქის აზროვნების ისეთი წესი, რომელიც მოცემული დროის ყველა ცრურწმენას შეიცავს». (36) [29]

გორგია (გვ. 37 [29—30]): 1) არაფერი არ არსებობს. არაფერი არ არის.

2) კიდევ რომ იყოს, შეუცნობადია.

3) კიდევ რომ შეცნობადი იყოს, ცნობება შეცნობილის შესახებ შეუძლებელია.

...«გორგიას შეგნებული აქვს მათ შესახებ» (მათი, ყოფიერებისა და არყოფიერების, შესახებ, მათი ურთიერთმოსპობის შესახებ), «რომ ეს არის გაქრობადი მომენტები; არაცნობიერ წარმოდგენასაც აქვს აგრეთვე ეს ჭეშმარიტება, მაგრამ არაფერი იცის მის შესახებ»... (40) [32]

„გაქრობადი მომენტები“ = ყოფიერება და არყოფიერება. ეს არის დიალექტიკის შესანიშნავი განსაზღვრა!

...«გორგია ა) მართებულად ეკამათება აბსოლუტურ რეალიზმს, რომელიც, გააჩნია რა წარმოდგენები, ფიქრობს, რომ მას აქვს თვით საგანი, სინამდვილეში კი აქვს მხოლოდ შეფარდებითი; ბ) ვარდება ახალი დროის ცუდი იდეალიზმში: «გააზრებული მუდამ სუბიექტურია, მაშასადამე, იგი არ არის არსებული, აზროვნების მეშვეობით ჩვენ არსებულს ვაქცევთ გააზრებულად»... (41) [32—33]

სალი აზრი =
= თავისი
დროის ცრურწმენანი

გორგია,
„აბსოლუტური რეალიზმი“
(და კანტი)

* — ადამიანის სალი აზრი. რ ე დ.

(და ქვემოთ (გვ. 41 i. f. [33]) კ ა ნ ტ ი დასახელებულია ერთხელ კიდევ).

დიალექტიკა თვით საგანში

დაემატოს გორგიას შესახებ*: იგი აყენებს „ან—ან“ ძირითადი საკითხების მიმართ. «მაგრამ ეს არაა ჭეშმარიტი დიალექტიკა; აუცილებელი იქნებოდა იმის დამტკიცება, რომ საგანი მუდამ არის ხოლმე აუცილებლად რაიმე ერთ განსაზღვრაში, და არა თავისთავად და თავისთვის. საგანი მხოლოდ ასეთ განსაზღვრებებად დაიშლება; მაგრამ აქედან თვით საგნის ბუნების წინააღმდეგ არაფერი არ გამოძლინარეობს». (39) [31]

NB

კიდევ დაემატოს გორგიას შესახებ**:
გადმოგვცემს რა მის შეხედულებას, რომ შეუძლებელია გადავცეთ, ვამცნოთ არსებული:

«მეტყველება. რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს ცნობება იმის შესახებ, რაც არის, არ წარმოადგენს იმას, რაც არის, — ის, რასაც გვამცნობენ, არ არის თვით საგანი, არამედ მხოლოდ მეტყველება» (Sextus Empiricus. Adversus Mathematicos. VII. § 83—84)—გვ. 41 [33]—ჰეგელი წერს: «არსებული გაგებული ხდება აგრეთვე არა როგორც არსებული, არამედ მისი გაგება არის მისი გადაქცევა საყოველთაოდ». (42) [33]

შეად. ფოიერბახი⁹⁶

...«ამ ცალკეულის გამოთქმა სრულიად შეუძლებელია»... (42) [33]

ყოველი სიტყვა (მეტყველება) უკვე განზოგადებს შეად. ფოიერბახი⁹⁷

გრძნობები გვიჩვენებენ რეალობას; აზრი და სიტყვა — ზოგადს.

* ეს ამონაწერი ვ. ი. ლენინს გაუკეთებია ცოტა მოგვიანებით, სოკრატეს ფილოსოფიის დაქონსპექტებისას (ჰეგელის წიგნის გვ. 43—44; იხ. ამ ტომის გვ. 279) რე დ.

** ეს ამონაწერი ვ. ი. ლენინს გაუკეთებია სოკრატეს ფილოსოფიის დაქონსპექტებისას (ჰეგელის წიგნის გვ. 69, იხ. ამ ტომის გვ. 280—281) რე დ.

ფ-ის დასკვნითი სიტყვები სოფისტებზე: «მაშასადამე, სოფისტები აგრეთვე დიალექტიკასაც, ზოგად ფილოსოფიას თავიანთი განხილვის საგნად ხდიდნენ; ისინი იყვნენ ღრმა მოაზროვნენი»... (42) [33]

სოკრატეს ფილოსოფია

სოკრატე — «მსოფლიო-ისტორიული პიროვნებაა» (42) [34], „უაღრესად საინტერესო“ (ib.) უძველეს ფილოსოფიაში — „აზროვნების სუბიექტურობა“ (42) [33] „თვითცნობიერების თავისუფლება“ (44) [35].

«ამაშია დიალექტიკისა და სოფისტიკის ორაზროვნება; ობიექტური ქრება» (43) [34]: შემთხვევითია თუ არა სუბიექტური თუ მასში („an ihm selbst“ *) არის ობიექტური და საყოველთაო? (43) [34] **

«ქეშმარიტი აზროვნება აზროვნებს ისე, რომ მისი შინაარსი ამასთანავე არ არის სუბიექტური, არამედ ობიექტურია» (44) [35] — სოკრატესთანაც და პლატონთანაც ჩვენ ვხედავთ არა მარტო სუბიექტურობას («გადაწყვეტის დაყვანა ცნობიერებამდე საერთო აქვს მას» — სოკრატეს — «სოფისტებთან»), — არამედ ობიექტურობასაც.

«ობიექტურობას აქვს აქ» (სოკრატესთან) «აზრი თავისთავად და თავისთვის არსებული საყოველთაობის და არა გარეგანი ობიექტურობისა» (45) [35] — id. 46 [36]: «არა გარეგანი ობიექტურობა, არამედ სულიერი საყოველთაობა»...

და ორი სტრიქონის შემდეგ:

«კანტისეული იდეალი არის მოვლენა, რომელიც თავისთვის არაა ობიექტური»... (46) [36]

სოკრატე თავის მეთოდს უწოდებდა Hebammenkunst-ს*** — (გვ. 64 [48]) (დე-

NB

კანტი

გონება-

* — „თვით მასში“. რ ე დ.

** ხელნაწერში, ამ აბზაცის მიყოლებით, მისგან ორი სწორი ხაზით გამოყოფილი, მოთავსებულია ამონაწერი გორგიას ფილოსოფიის შესახებ (იხ. ამ ტომის გვ. 278) რ ე დ.

*** — ბ ე ბ ი ა ქ ა ლ ი ს ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს. რ ე დ.

დიდანო), ((სოკრატეს დედა = ბებიაქალი)) — დავებმართო აზრს დაბადებაში.

ჰეგელის მაგალითი: ყველამ იცისო, რა არის Werden, მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს, თუ ანალიზის დროს (reflektierend), ვნახულობთ, რომ «იგი არის ყოფიერება და ამასთანავე არყოფიერება» — «ესოდენ დიდი განსხვავება». (67) [50]

მენონმა („Meno“ Plato's)⁹⁸ სოკრატე შეადარა ელექტრონიან გველთევზას (Zitterraal), რომელიც „narkotisch“^{**} ხდის მას, რაც მას მიეკარება (69) [51]: და მეც „narkotisch“ ვარ და პასუხის გაცემა არ შემიძლიაო^{***}.

...«ის, რაც ჩემთვის უნდა იყოს ჰუმბარტიება, სამართლიანობა, არის სული ჩემი სულიდან. მაგრამ ის, რასაც სული ამგვარად ქმნის თავის თავიდან, რაც მას ასეთად მიაჩნია, უნდა წარმოიქმნას მისგან, როგორც საყოველთაოდან, როგორც საყოველთაოს სახით მოქმედი სულისაგან, და არა მისი ვნებებიდან, ინტერესებიდან, ყინიდან, კაპრიზებიდან, მიზნებიდან, მიდრეკილებებიდან და ა. შ. უკანასკნელი, მართალია, წარმოადგენს აგრეთვე შინაგანს, «ბუნებისაგან ჩვენში ჩანერგილს», მაგრამ ის არის ჩვენი საკუთარი მხოლოდ ბუნებითი სახე»... (74—75) [56]

მახვილადა!

Werden =
Nichtsein
und Sein *

très bien
dit!! ****

ჰკვიანი იდეალიზმი უფრო ახლოსაა
ჰკვიან მატერიალიზმთან, ვიდრე
უჰკუო მატერიალიზმი.

დიალექტიკური იდეალიზმი
ჰკვიანურის ნაცვლად; მეტაფი-
ზიკური, განუვითარებელი,
მკვდარი, უხეში, უძრავი უჰკუ-
ოს ნაცვლად.

* — ქმნალობა = არყოფიერება და ყოფიერება. რ ე ღ.

** — «გაბრუებულს». რ ე ღ.

*** ხელნაწერში, ამ აბზაცს მისდევს, მისგან ორი სწორი ხაზით გამოყოფილი ამონაწერი გორგიას ფილოსოფიის შესახებ (იხ. ამ ტომის გვ. 278). რ ე ღ.

**** — ძალიან კარგადაა ნათქვამი!! რ ე ღ.

პროტავორა: „ადამიანი ყველა საგნის საზომია“. სოკრატე: „ადამიანი, როგორც მოაზროვნე, ყველა საგნის საზომია“. (75) [56]

ელფერი!

ქსენოფონტმა „Memorabilien“-ში * უკეთესად, უფრო ზუსტად და უფრო სწორად დაგვიხატა სოკრატე, ვიდრე პლატონმა. (გვ. 80—81) [59]

სოკრატელები

სოფიზმების — „გროვა“ და „მელოტი“ — შესახებ ჰეგელი იმეორებს რაოდენობის გადასვლას თვისებრიობაში და პირუკუ: დიალექტიკა. (გვ. 139—140 [101—102])

რატომ არ შეიძლება დავასახელოთ ცალკეული? მოცემული გვარის (მაგიდების) ერთი საგანთაგანი განსხვავდება სწორედ დანარჩენებისაგან ამით და ამით.

143—144 [104]: დაწვრილებით იმის შესახებ, რომ «საერთოდ ენა არსებითად მხოლოდ ზოგადს გამოხატავს; მაგრამ ის, რასაც ფიქრობენ, არის განსაკუთრებული, ცალკეული. ამიტომ არ შეიძლება გამოვხატოთ ენით ის, რასაც ფიქრობენ». („ეს“? ყველაზე ზოგადი სიტყვაა)

NB
ენაში არის
მხოლოდ
ზოგადი

ვინ ეს? მე. ყველა ადამიანი მეა. Das Sinnliche? ** ეს არის ზოგადი etc. etc. „ეს“? ყოველი არის „ეს“.

დამუშავდეს:

პლენანოვმა დაწერა ფილოსოფიაზე (დიალექტიკაზე), ალბათ, 1 000 გვერდამდე (ბელტოვი + ბაგდანოვის წინააღმდეგ + კანტელთა წინააღმდეგ + ძირითადი საკითხები etc. etc.)⁹⁹. მათგან დიდ ლოგიკაზე, მის შესახებ, მისი აზრის შესახებ (ე. ი. საკუთრივ დიალექტიკა, როგორც ფილოსოფიური მეცნიერება) nil!! ***

NB

* — «მოგონებებში». რ ე დ.

** — გრძნობადი. რ ე დ.

*** — არაფერი!! რ ე დ.

«საერთოდ ის გარემოება, რომ ფილოსოფოსობის დროს მნიშვნელობას ღებულობს საყოველთაო, და იმდენადაც კი, რომ მხოლოდ საყოველთაო შეიძლება გამოთქმულ იქნეს, ხოლო «ამის», ნაგულისხმევის, გამოთქმა სრულიად არ შეიძლება, — ეს ისეთი ცნობიერება და აზრია, რომლისთვისაც ჩვენი დროის ფილოსოფიურ განათლებას ჯერ კიდევ სრულიად არ მიუღწევია». (143) [104]

მათ აკუთვნებს ჰეგელი „უახლესი დროის სკეპტიციზმსაც“ (143) [104] — კანტს? და იმათ, ვინც ამბობს, რომ «გრძნობად უტყუარობას ჭეშმარიტება აქვს». (143) [104]

ვინაიდან *das Sinnliche* «არის რაღაც საყოველთაო». (143) [104]

NB

ამით ჰეგელი ამარცხებს ყოველგვარ მატერიალიზმს გარდა დიალექტიკურისა.

NB

დავასახელოთ სახელი? — მაგრამ სახელი — შემთხვევითობაა, და *Sache selbst** არ გამოხატავს (როგორ გამოხატოთ ცალკეული?) (144) [105]

ჰეგელი
და
დიალექტიკური
მატერიალიზმი

ჰეგელს სერიოზულად „სწამდა“, იგი ფიქრობდა, რომ მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფია, შეუძლებელიაო, რადგან ფილოსოფია არის მეცნიერება აზროვნების შესახებ, ზოგადის შესახებ, ზოგადი კი არის აზრი. აქ ის იმეორებდა სწორედ იმ სუბიექტური იდეალიზმის შეცდომას, რომელსაც იგი ყოველთვის „ცუდ“ იდეალიზმს უწოდებდა. ობიექტური (და კიდევ უფრო მეტად აბსოლუტური) იდეალიზმი ზიგზაგით (და ყირამალა) მჭიდროდ მიადგა მატერიალიზმს, ნაწილობრივ კიდევ გადაიქცა იმად.

* — თვით ნივთის დედააარსს. რედ.

კირენეელებს¹⁰⁰ მიაჩნდათ, რომ ჰეშმარი-
ტია შეგრძნება, «არა ის, რა ც მასშია, არა
შინაარსი შეგრძნებისა, არამედ თვით იგი,
როგორც შეგრძნება». (151) [110]

შეგრძნება
კირენეელთა
შემეცნების
თეორიაში

«კირენეელთა სკოლის მთავარი პრინციპი
არის, მაშასადამე, შეგრძნება, რომელიც უნ-
და იყოს ჰეშმარიტებისა და სიკეთის კრიტი-
რიუმში...» (153)

«შეგრძნება არის გაურკვეველად ცალკეუ-
ლი» (154), ხოლო თუ ჩავუერთავთ აზროვნე-
ბასო, მაშინ გვევლინება ზოგადი და ქრება
«მარტივი სუბიექტურობა».

(ფენომენოლოგები à la ** მახისა და
კომპანიისა საკითხზე ზოგადის შესა-
ხებ, „კანონის“, „აუცილებლობის“ შესახებ
etc. გარდაუვალად იდეალისტები
ხდებიან.)

NB *
კირენეელები
და მახი კომ-
პანიითურთ

მეორე კირენეელმა, Hegesias-მა***,
«შეიცნო» «სწორედ ეს შეუსაბამობა შე-
გრძნებასა და საყოველთაობას შორის»...
(155) [113]

ერთმანეთში ურევენ შეგრძნებას რო-
გორც შემეცნების თეორიის პრინციპს და
როგორც ეთიკის პრინციპს. ეს NB. მაგრამ
ჰეგელმა გამოჰყო შემეცნების თეო-
რია.

პლატონის ფილოსოფია

პლატონის გეგმის შესახებ, რომ ფილოსო-
ფოსები უნდა მართავდნენ სახელმწიფოს:

* შიად. Ueberweg — Heinze, § 38, გვ. 122 (მე-10 გამოცემა) — და
მათზევე პლატონის თეეტეტში¹⁰¹. მათი სექციციზმი და სუბიექტივიზმი
(კირენეელებისა).

** — მსგავსად. რ ე დ.

*** — ჰეგესიამ. რ ე დ.

კერძო მიზნები ისტორიაში ქმნიან „იდეას“ (ისტორიის კანონი)

„სიწმინდე“ (=მკვლარობა?) ზოგადი ცნებებისა

...«ისტორიის ნიადაგი სულ სხვაა, ვიდრე ფილოსოფიის ნიადაგი»...

...«უნდა ვიცოდეთ, რა არის მოქმედება: მოქმედება არის საქმიანობა სუბიექტისა, როგორც ასეთისა, განსაკუთრებული მიზნებისათვის. ყველა ეს მიზანი მხოლოდ იდეის განმანხორციელებელი საშუალებაა, რადგან იდეა აბსოლუტური ძალაა». (193) [143]

იდეათა შესახებ პლატონის მოძღვრებისათვის:

...«იმიტომ რომ გრძნობადი განჭვრეტა არაფერს არ გვიჩვენებს წმინდა სახით, იმ სახით, როგორც ის არის თავისთავად» (Phaedo *) — გვ. 213 [158], — ამიტომო სხეული ხელს უშლის სულს.

NB
შემეცნების დიალექტიკა
NB

ზოგადის მნიშვნელობა წინააღმდეგობრივია: იგი მკვლარია, იგი არაა წმინდა, არაა სრული etc. etc, მაგრამ სწორედ იგია მხოლოდ საფეხური კონკრეტულის შეცნობისაკენ, რადგან ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიცნობთ კონკრეტულს მთლიანად. ზოგადი ცნებების, კანონების etc. უსასრულო ჯამი იძლევა კონკრეტულს მის სისრულეში.

NB

შემეცნების მოძრაობა ობიექტისაკენ მუდამ შეიძლება მიდიოდეს მხოლოდ დიალექტიკურად: დაიხიო, რათა უფრო უცილობლად მოხვდე — reculer pour mieux sauter (savoir?) **. კრებადი და განშლადი ხაზები: წრეები, რომლებიც ერთიმეორეს ეხებიან. Knotenpunkt *** = ადამიანისა და ადამიანთა ისტორიის პრაქტიკა.
(კრიტიკიუმი (პრაქტიკა =) რეა-ლურის ერთ-ერთი უსასრულო მხარის დამთხვევისა.)

• — ფელონი. რ ე დ.
•• — დაიხიო, რათა უკეთესად გადახტე (შეიცნო?). რ ე დ.
••• — საკვანძო პუნქტი. რ ე დ.

ეს Knotenpunkte წარმოადგენენ წინააღმდეგობათა ერთიანობას, როცა ყოფიერება და არყოფიერება, როგორც გაქრობადი მომენტები, ერთხვევიან ერთმანეთს ერთი მომენტი, მოძრაობის (= ტექნიკის, ისტორიის etc.) მოცემულ მომენტებში.

პლატონის დიალექტიკის გარჩევისას ჰეგელი ერთხელ კიდევ ცდილობს გვიჩვენოს განსხვავება სუბიექტური, სოფისტიკური დიალექტიკისა ობიექტურისაგან:

«რომ ყოველივე ერთია, ვამბობთ ჩვენ თვითულ ნივთზე: «ეს ნივთი — ერთია და ერთდროულად ვუჩვენებთ ჩვენ მასში სიმრავლეს. მრავალ ნაწილსა და თვისებას», — მაგრამ ამასთან ნათქვამია: «ეს არის ერთიანი სრულიად სხვა მიმართებით, ვიდრე მრავალი»; — ჩვენ არ ვაერთებთ ამ აზრებს. ამრიგად, წარმოადგენა და მეტყველება მიმოდინ იქით-აქეთ ერთიდან მეორისაკენ. თუ ეს გადასვლები იქით-აქეთ შეგნებულად ხდება, მაშინ ეს ცარიელი დიალექტიკაა, რომელიც ვერ აერთიანებს დაპირისპირებულებებს და ვერ მიდის ერთიანობამდე». (232) [177]

„ცარიელი
დიალექტიკა“
ჰეგელთან

NB

„ცარიელი
დიალექტიკა“

პ ლ ა ტ ო ნ ი „სოფისტში“:

«ძნელი და ჭეშმარიტი იმაში მდგომარეობს, რომ ცხადვყოთ: ის, რაც სხვა არის, იგივეა, — ხოლო ის, რაც იგივეა, სხვა არის და სწორედ ერთი და იმავე მიმართებით». (233) [177]

«მაგრამ ჩვენ ანგარიში უნდა მივცეთ ჩვენს თავს იმის შესახებ, რომ სწორედ ცნება არ წარმოადგენს მხოლოდ უშუალოს ჭეშმარიტებაში, თუმცადა ის მარტივია, — არამედ იგი ასეთია სულიერი სიმარტივის გამო, არის არსებითად აზრი, რომელიც თავის თავს დაუბრუნდა (უშუალო არის მხოლოდ ეს წითელი და ა. შ.); მეორე მხრივ — ცნება არ წარმოა-

NB

NB
ობიექტივიზმი

დგენს ისეთ რამეს, რაც მხოლოდ თვით თავის თავშია მარეფლექსირებელი, არ წარმოადგენს ნივთს მხოლოდ ცნობიერებაში; არამედ იგი არსებობს აგრეთვე თავისთვისაც, ე. ი. არის საგნობრივი არსება»... (245)

ცნება არ არის რალაც უშუალო (თუმცა ცნება არის „მარტივი“ ნივთი, მაგრამ ეს სიმარტივეა „სულიერი“, სიმარტივე იდეისა) — უშუალოა მხოლოდ შეგრძნება „წითელისა“ („ეს — წითელია“) და მისთანანი. ცნება არ არის „მხოლოდ ნივთი ცნობიერებისა“, არამედ ცნება არის საგნის არსება (gegenständliches Wesen), არის რალაც An sich, „თავისთავად“.

...«ეს აზრი ცნების ბუნების შესახებ პლატონს არ გამოუთქვამს ესოდენ გარკვეულად»... (245)

დაწვრილებით აბრტყელებს ჰეგელი პლატონის „ნატურფილოსოფიას“, იდეათა არქისულელურ მისტიკას, იმის მსგავსად, რომ «გრძნობადი ნივთების არსება სამკუთხედებია» (265) [197], და მისთ. მისტიკური სისულელე. ეს მეტად დამახასიათებელია! მისტიკოსი = იდეალისტ-სპირიტუალისტი ჰეგელი (ისევე როგორც ჩვენი დროის მთელი კაზიოხური, ხუცურ-იდეალისტური ფილოსოფია) აქებ-ადიდებს და ღეჭავს მისტიკას — იდეალიზმს ფილოსოფიის ისტორიაში, უგულვებელყოფს და დაუდევრად აბუჩად იგდებს რა მატერიალიზმს. შეად. ჰეგელი დემოკრიტეს შესახებ — nil!! პლატონის შესახებ უამრავი მისტიკური დონდლო.

იდეალიზმი
და მისტიკა
ჰეგელთან
(და პლატონთან)

ლაპარაკობს რა პლატონის რესპუბლიკაზე და გავრცელებულ შეხედულებაზე, რომ ეს ქიმერააო, ჰეგელი იმეორებს თავის სანუკვარ აზრს:

...«რაც ნამდვილია, ის გონივრულია. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, განვასხვავებდეთ, რაც მართლა ნამდვილია; ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველივე ნამდვილია, მაგრამ არსებობს განსხვავება მოვლენათა სამყაროსა და ნამდვილობას შორის»... (274) [204]

ნამდვილი
გონივრულია

არისტოტელეს ფილოსოფია

არ არისო სწორი გავრცელებული შეხედულება, რომ არისტოტელეს ფილოსოფია არის „რეალიზმი“ (299) [225], id. გვ. 311 [237] „ემპირიზმი“ განსხვავებით პლატონის იდეალიზმისაგან. ((აქ კვლავ ჰეგელი აშკარად ბევრ რამეს ძალდატანებით იდეალიზმად აქცევს)).

გადმოგვცემს რა არისტოტელეს პოლემიკას, რომელიც მიმართულია იდეების შესახებ პლატონის მოძღვრების წინააღმდეგ, ჰეგელმა მალავს მის მატერიალისტურ ნიშნებს. (შეად. 3 2 2—3 2 3 [244—245] და სხვ.)

NB

NB

წამოსცდა: «განდიდება ალექსანდრესი» (ალექსანდრე მაკედონელის, არისტოტელეს მოწაფის) ...«როგორც ღმერთისა არ არის გასაკვირველი... ღმერთი და ადამიანი საერთოდ არც იმდენად არიან ერთმანეთს დაშორებული»... (305) [231]

((მხოლოდ შემოვებრუნოთ))
სწორედ!

არისტოტელეს იდეალიზმს ჰეგელი ხედავს მის ღმერთის იდეაში. (326) [247] ((რა თქმა უნდა, ეს იდეალიზმია, მაგრამ იგი უფრო ობიექტურია და უფრო დაშორებული, უფრო ზოგადი, ვიდრე პლატონის იდეალიზმი, ამიტომაც ნატურფილოსოფიაში უფრო ხშირად მატერიალიზმს)).

ჰეგელმა საე-
სებით მიაფუ-
ჩეჩა არისტო-
ტელეს კრი-
ტიკა პლატო-
ნური „იდე-
ებისა“.

პლატონის „იდეათა“ კრიტიკა არისტოტელეს მიერ არის კრიტიკა იდეალიზმისა, როგორც იდეალიზმისა საერთოდ:

NB

როცა ერთი იდეალისტი მეორე იდეალისტის იდეალიზმის საფუძვლებს აკრიტიკებს, ამით მუდამ მო-

ვინაიდან საიდანაც ცნებები, აბსტრაქციები აიღება, იქიდანვე გამოდის „კანონი“ და „აუცილებლობა“ etc. იდეალისტმა ჰეგელმა მშისაზრად აუარა გვერდი არისტოტელეს მიერ (პლატონის იდეათა მის კრიტიკაში) იდეალიზმის საფუძვლების ძირგამოთხრას.

გებული რჩება მატერიალიზმი. შეად. არისტოტელე versus პლატონი etc. ჰეგელი versus კანტი etc.

«ლევკიპე და პლატონი ამბობენ, მოძრაობა მარადიულიაო, მაგრამ ისინი არ ამბობენ რატომ» (Aristoteles. *Metaphysik* *. XII, 6 და 7) — გვ. 328 [248].

არისტოტელეს ასე უბადრუკად გამოჰყავს ღმერთი მატერიალისტ ლევკიპესა და იდეალისტ პლატონის წინააღმდეგ. არისტოტელესთან აქ ვხედავთ ეკლექტიზმს. ჰეგელი კი ჩქმალავს სისუსტეს მისტიკის გულისათვის!

დიალექტიკურია არა მხოლოდ გადასვლა მატერიიდან ცნობიერებაზე, არამედ შეგრძნებდანაც აზრზე etc.

NB:

დიალექტიკის მომხრემ, ჰეგელმა, ვერ შეძლო გაეგო დიალექტიკური გადასვლა მატერიიდან მოძრაობაზე, მატერიიდან ცნობიერებაზე — მეორე განსაკუთრებით. მარქსმა გაასწორა მისტიკოსის შეცდომა (თუ სისუსტე?).

რით განსხვავდება დიალექტიკური გადასვლა არადიალექტიკურისაგან? ნახტომით. წინააღმდეგობრიობით. თანდათანობის შეწყვეტით. ყოფიერებისა და არყოფიერების ერთიანობით (იგივეობით).

* — არისტოტელე. მეტაფიზიკა. რეღ.

შემდეგი ადგილი განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ფარავს ჰეგელი არისტოტელეს იდეალიზმის სუსტ მხარეებს.

«არისტოტელე გაიზარებს საგნებს, და გამოდიან რა ეს უკანასკნელნი აზრების სახით, ისინი გამოდიან თავიანთ ჰეგემარიტებაში; ეს არის მათი მშაჲ*.

ეს არ ნიშნავს, რომ ბუნების საგნები ამის გამო თვით არიან მოაზროვნე არსებანი. საგნებს ვაზროვნებ მე სუბიექტურად; მაშინ ჩემი აზრი არის აგრეთვე ნივთის ცნება და ეს უკანასკნელი არის ნივთის სუბსტანცია. ბუნებაში ცნება არსებობს არა როგორც აზრი ამ თავისუფლებაში, არამედ მას აქვს ხორცი და სისხლი; მაგრამ ხორცსა და სისხლს აქვს სული, და ეს სული არის მისი ცნება. არისტოტელეს ესმის, რა არის ნივთები თავისთავად და თავისთვის; და ეს არის სწორედ მათი მშაჲ. ცნება არ არსებობს თვით თავის თავისთვის. იგი შემოსაზღვრულია გარეგნობით. ჰეგემარიტების ჩვეულებრივი განსაზღვრა ასეთია: «ჰეგემარიტება არის წარმოდგენის დამთხვევა საგანთან». მაგრამ თვით წარმოდგენა არის მხოლოდ ერთი რომელიმე წარმოდგენა, მე ჩემს წარმოდგენას (მის შინაარსს) სრულიადაც არ დავემთხვევი: მე წარმოვიდგენ სახლს, მორს, მაგრამ მე თვითონ არ ვარ ისინი, — მე და წარმოდგენა სახლზე სხვა რამ არის. მხოლოდ აზროვნებაშია მოცემული ობიექტურისა და სუბიექტურის ჰეგემარიტი დამთხვევა. ეს მე ვარ (ხაზგასმა ჰეგელისაა). არისტოტელე, მაშასადამე, უმაღლეს თვალსაზრისზე დგას; არც შეიძლება ვისურვოთ უფრო ღრმა რამის შეცნობა». (332—333) [252—253]

გულუბრ-
ყვილოა!!

„ბუნებაში“ არ არსებობს ცნებები „ამ თავისუფლებაში“ (ა დ ა მ ი ა ნ ი ს აზრისა და ფანტაზიის თავისუფლებაში!). „ბუნებაში“ მათ, ცნებებს, აქვთ „სისხლი და ხორცი“. — ეს შესანიშნავია! მაგრამ ეს

* — არსება, სუბსტანცია. რ ე დ.

არის სწორედ მატერიალიზმი. ადამიანის ცნებები ბუნების სულა — ეს მხოლოდ მისტიკური გადმოცემაა იმისა, რომ ადამიანის ცნებებში თავისებურად (ეს NB: თავისებურად და დიალექტიკურად!) აისახება ბუნება.

გვ. 318—337 [241—255] მხოლოდ არისტოტელეს მეტაფიზიკის შესახებ!! ყველაფერი დამალულია, რაც კი პლატონის იდეალიზმის წინააღმდეგ ლაპარაკობს არსებითად!! განსაკუთრებით დამალულია საკითხი ადამიანისა და კაცობრიობის გარეშე არსებობის შესახებ!!! =საკითხი მატერიალიზმის შესახებ!

შედ. ფოი-
ერბახი:
გრძნობათა სა-
ხარება წავი-
კითხოთ კავ-
შირში = ვი-
ზროვნოთ ¹⁰²

არისტოტელე ემპირიკოსია, მაგრამ მოაზროვნე. (340) «ემპირიული, გაგებული მის სინთეზში, არის სპეკულაციური ცნება»... (341) (ხაზგასმა ჰეგელისა).

NB

ცნებათა დამთხვევა ემპირიის, შეგრძნებათა, გრძნობათა „სინთეზთან“. ჯამთან, კრებსთან უეჭველია ყველა მიმართულების ფილოსოფოსთათვის. საიდანაა ეს დამთხვევა? ღმერთიდან (მე, იდეა, აზრი etc. etc.) თუ ბუნებიდან? ენგელსი მართალია თავის საკითხის დაყენებაში ¹⁰³.

კანტი

...«სუბიექტური ფორმა შეადგენს კანტის ფილოსოფიის არსებას»... (341)

„მიზანი“ და მიზეზი, კანონი, კავშირი, გონება

არისტოტელეს ტელეოლოგიის შესახებ: ...«ბუნებას აქვს საშუალებანი თვით თავის თავში, და ეს საშუალებანი აგრეთვე მიზანია. ეს მიზანი ბუნებაში არის მისი λήγει*, ჰეგმა-რიტად გონივრული». (349) [263]

* — ლოგოსი. რედ.

...«განსჯა — ეს არ არის მარტო აზროვნება ცნობიერებითურთ. აქ მოცემულია მთლიანი, ჰეგელიანური, ღრმა ცნება ბუნებისა, ცხოველ-მყოფელობისა»... (348)

გონება (განსჯა), აზრი, ცნობიერება ბუნების გარეშე, მასთან შესაბამობის გარეშე არის სიყალბე. = მატერიალიზმი!

საძაგელი წასაკითხია, თუ როგორ აქებ-ადიდებს ჰეგელი არისტოტელეს „wahrhaft spekulative Begriffe«-სთვის* (373 [283] „სულის“ შესახებ და მრავალი სხვა). აბრტყელებს რა აშკარა იდეალისტურ (=მისტიკურ) სისულელეს.

დამალულია ყველა პუნქტი არისტოტელეს მერყეობისა იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის!!!

„სულზე“ არისტოტელეს შეხედულებათა შესახებ ჰეგელი წერს:

«ნამდვილად ყოველივე საყოველთაო რეალურია როგორც განსაკუთრებული, ცალკეული, როგორც სხვისთვის არსებული» (375) [284] — სხვანაირად, სული.

Aristoteles. „De anima“ ** II, 5:

«განსხვავება» (Empfinden-სა და Erkennen-ს*** შორის) «იმაშია, რომ ის, რაც შეგრძნებას წარმოქმნის, იმყოფება გარეთ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ შეგრძნების მოქმედება მიმართულია ცალკეულისაკენ, მაშინ როდესაც შემეცნება, პირიქით, მიმართულია საყოველთაოსაკენ; ეს უკანასკნელი კი გარკვეული აზრით თვით სულში იმყოფება სუბსტანციის სახით. ამიტომ აზროვნება შეუძლია ყოველ ადამიანს, თუ მას სურს... შეგრძნება კი არაა მასზე დამოკიდებული — ამისათვის აუცილებ-

წამოსცდა
„რეალიზმის“
შესახებ

შეგრძნება
და შემეცნება

არისტოტელე
ძლიერ ახლოს

* — ჰეგელიანურად სპეკულაციური ცნებები». რ ე დ.

** — არისტოტელე. «სულის შესახებ». რ ე დ.

*** — შეგრძნებასა და შიშისაგან. რ ე დ.

მიდის მატერიალიზმთან || ბელია, რომ არსებობდეს შეგრძნების ობიექტი». (377) [286]

აქ ღერძია — „außen ist“ * — ადამიანის გარე შე, მისგან დამოუკიდებლად. ეს მატერიალიზმია. და სწორედ მატერიალიზმის ამ საფუძვლის, ბაზის, დედაარსის wegschwätzen-ს ** იწყებს ჰეგელი:

NB!!

«ასეთია შეგრძნების სავსებით სწორი თვალსაზრისი», წერს ჰეგელი და გვიხსნის, რომ „პასიურობა“ უექველად არის შეგრძნებაშიო, «სულ ერთია, სუბიექტურად თუ ობიექტურად, — ერთშიც და მეორეშიც არის პასიურობის მომენტი... არისტოტელე პასიურობის ამ მომენტით არ ჩამორჩება იდეალიზმს; შეგრძნება ყოველთვის ერთი მხრიდან არის პასიური. ცუდია ის იდეალიზმი, რომელიც ფიქრობს, რომ სულის პასიურობა და სპონტანობა დამოკიდებულია იმაზე, არის მოცემული გარკვეულობა შინაგანი თუ გარეგანი, — თითქოს თავისუფლება შეგრძნებაში იყოს; შეგრძნება არის შეზღუდულობის სფერო!!... (377—378) [286]

მახეში გაება იდეალისტი!

((იდეალისტი გლესს იმ ხვრელს, რომელსაც მატერიალიზმისაკენ მივყავართ. არა, ეს არ არის gleichgültig***, გარეთ თუ შიგნით. ამაშია სწორედ დედაარსი! „გარეთ“ ეს არის მატერიალიზმი. „შიგნით“ = იდეალიზმი. და სიტყვით „პასიურობა“ და არისტოტელეს სიტყვის („გარეთ“) მიჩქმალვით ჰეგელმა სხვაგვარად აგვიწერა იგივე გარეთ. პასიურობა — ეს არის სწორედ გარეთ!! შეგრძნების იდეალიზმს ჰეგელი სცვლის აზრის იდეალიზმით, მაგრამ აგრეთვე იდეალიზმით.))

NB

• — «არის გარეთ». რ ე დ.
** — ყბედობის საშუალებით მოსპობას. რ ე დ.
*** — სულ ერთი. რ ე დ.

...«სუბიექტური იდეალიზმი ლაპარაკობს: არ არის არავითარი გარესაგნები, ისინი ჩვენი თვითობის გარკვეულობაა. შეგრძნების მიმართ ამას შეიძლება დავეთანხმოთ. მე პასიური ვარ შეგრძნებაში, შეგრძნება სუბიექტურია; ჩემში არის ყოფიერება, მდგომარეობა, გარკვეულობა და არა თავისუფლება. იმყოფება შეგრძნება ჩემს გარეთ თუ ჩემში, ეს სულ ერთია, იგი არის...» (378) [278]

შემდეგ მოდის ცნობილი შედარება სული-სა ცვილთან, რაც ჰეგელს აიძულებს ეშმაკივით იტრიალოს ცისკრის ლოცვის წინ და იყვიროს „გაუგებრობაზე, რასაც ხშირად წარმოშობს“ ეს შედარება. (378—379) [287]

არისტოტელე ამბობს (De anima, II, 12):

«შეგრძნება არის შეგრძნებადი ფორმების აღქმა უმატერიოდ... «მსგავსად ცვილისა, რომელიც ღებულობს ბეჭდიანი ოქროს რგოლის მხოლოდ ნიშანს და არა თვით ოქროს, — მარტოოდენ მის წმინდა ფორმას».

ჰეგელი წერს: ...«შეგრძნებაში ჩვენამდე აღწევს მხოლოდ ფორმა, უმატერიოდ. სულ სხვაა, როცა ჩვენ პრაქტიკულად ვმოქმედებთ, — როცა ვჭამთ ან ვსვამთ. პრაქტიკულ დარგში ჩვენ საერთოდ გამოვდივართ როგორც ცალკეული ინდივიდები, და თანაც როგორც ცალკეული ინდივიდები ერთგვარ იქყოფნაში, წარმოვიდგენთ რა თვითონ ასეთ მატერიალურ იქყოფნას, და მატერიის მიმართ თავი გვიჭირავს აგრეთვე მატერიალურად. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ მატერიალურნი ვართ, ჩვენ შეგვიძლია ასე თავის დაჭერა; საჭმე. ისაა, რომ ჩვენი მატერიალური არსებობა მოქმედებას იწყებს». (379) [287]

((მჭიდროდ მისვლაა მატერიალიზმთან — და მელაკუდობა.))

„ცვილის“ შესახებ ჰეგელი წყრება და ილანძღება, რომ „ეს ყველას ესმის“ (380) [288], «მეტად უხეშად ჩერდებიან შედარების უხეშ მხარეზე». (379) [288] etc.

NB

თავის დაღწე-
ვა მატერიალიზ-
მისაგან

NB

სული =
= ცვილი

„სხვაგვარა-
და“ პრაქტი-
კაში

მხდალი თავის
დაღწევა მატერიალიზ-
მისაგან

NB

ჰა-ჰა!!

«არავითარ შემთხვევაში სული არ უნდა იყოს პასიური ცვილი და გარედან არ უნდა ლებულობდეს განსაზღვრებებს»... (380) [289]

...«იგი» (die Seele *) «გარესხეულის ფორმას თავის საკუთარ ფორმად აქცევს»... (381) [289]

Aristoteles. „De anima“, III, 2:

არისტოტელე

...«შეგრძნებადისა და შეგრძნების მოქმედება ერთი და იგივე და ერთიანია; მაგრამ მათი ყოფიერება არაა ერთი და იგივე»... (381) [289]... და ჰეგელი კომენტარს უკეთებს:

ჰეგელი

ჩქმალავს

იდეალიზმის

სუსტ მხარეებს

«...არის სხეული, რომელიც უღერს, და სუბიექტი, რომელიც გაიგონებს. ყოფიერება ორგვარია»... (382) [290]

მაგრამ საკითხს ადამიანის გარეშე ყოფიერების შესახებ განზე ტოვებს!!! სოფისტიკური თავის დაღწევაა მატერიალიზმის აგან!

ლაპარაკობს რა აზროვნებაზე, გონებაზე (სიმე), არისტოტელე ამბობს („De anima“, III, 4):

tabula rasa**

...«არ არის შეგრძნება სხეულის გარეშე, სიმე კი მოცილებადია სხეულისაგან»... (385) [292]... «სიმე წააგავს წიგნს, რომლის ფურცლებზეც სინამდვილეში არაფერია დაწერილი» (386) [293] — და ჰეგელი კვლავ წყურება:

ჰა-ჰა!

«მეორე ყბადაღებული მაგალითი» (386) [293], არისტოტელეს მიაწერენ მისი აზრის პირდაპირ საწინააღმდეგოსო etc. etc. ((და საკითხი გონებისაგან და ადამიანისაგან დამოუკიდებლად ყოფიერების შესახებ გადამალულია!)) — ყოველივე იმისთვისაა, რომ

ჰა-ჰა!
ეშინია!!

დაამტკიცოს: «არისტოტელე, ამრიგად, არ არის რეალისტი». (389) [295]

* — სული. რ ე დ.

** — წმინდა ღაფა. რ ე დ.

არისტოტელე:

«ამიტომ ის, ვინც არ შეიგრძნობს, ვერაფერს შეიძნობს და ვერაფერს გაიგებს; თუ იგი რაიმეს შეიძნობს (μᾶλλον*), მაშინ აუცილებელია, რომ მან ეს შეიძნოს აგრეთვე წარმოდგენის სახით: რადგან წარმოდგენანი იგივეა, რაც შეგრძნებანი, მხოლოდ უმატერიოდ... (389) [295]

არისტოტელე
და მატერიალიზმი

...«საკითხი იმის შესახებ, შეიძნობს თუ არა განსჯა ნამდვილ საგნებს, როცა ყოველი მატერიისაგან აბსტრაჰირებას ახდენს, ჯერ კიდევ საგანგებოდ განსახილველია»... (389) [295] და ჰეგელი ამოფხანის არისტოტელედან, რომ სიმდე* და სიჟუს*** ერთი და იგივეა»-ო (390) [296] etc. იდეალისტის იდეალისტურ ნაძალადევე მტკიცებათა ნიშუში! გაყალბება არისტოტელესი XVII—XIX საუკუნის იდეალისტისნაირ ფილოსოფოსად!!

არისტოტელეს გაყალბება

სტოელთა ფილოსოფია 104

სტოელთა „ჭეშმარიტების კრიტიკრიუმის“ შესახებ — „გაგებული წარმოდგენა“ (444—446) [338—340] — ჰეგელი ამბობს, რომ ცნობიერება ადარებს მხოლოდ წარმოდგენებს წარმოდგენასვე (არასაგანს— (446) [339]: „ჭეშმარიტება არის თანხმობა საგნისა შემეცნებასთან“ = „ჭეშმარიტების ცნობილი განსაზღვრა“) და, მასასადამე, მთელი საქმე «ობიექტურ ლოგოსშია, სამყაროს გონიერულობაში». (446) [339]

«აზროვნებას არაფერი მოაქვს თან, გარდა საყოველთაობის ფორმისა და იგივეობისა თავის-თავთან; ამრიგად, ჩემს აზროვნებასთან ყველაფრის შეთანხმება შეიძლება». (449) [342]

ჰეგელი
სტოელთა და მათი კრიტიკრიუმის წინააღმდეგ

* — განჭვრეტს. რ ე დ.

** — გონება. რ ე დ.

*** — გონებით მისაწვდომი. რ ე დ.

„საბუთები“
არის ყველა-
ფრისათვის

«საფუძვლები, ეს არის რაღაც ნებისმიერი; ყველაფრისათვის შეიძლება კარგი საფუძვლის გამონახვა»... (469) [357] «საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი საფუძვლები უნდა ჩაითვალოს კარგ საფუძვლებად, დამოკიდებულია მიზანდასახულობაზე, ინტერესზე»... (ib.) [357—358]

ეპიკურეს ფილოსოფია

როცა ეპიკურეზე (342—271 ქრ. დაბ-მდე) ლაპარაკობს, ჰეგელი მაშინვე (შეხედულებათა გადმოცემამდე) იკავებს საბრძოლო პოზიციას მატერიალიზმის წინააღმდეგ და აცხადებს:

ცილისწამებანი მატერიალიზმის მიმართ

რატომ??

«ამასთანავე უკვე (!! თავისთავად (!! ნათელია, რომ თუ ჰეშმარიტად მივიჩნევთ შეგრძნებად ყოფიერებას, მაშინ ამით საერთოდ ისპობა ცნების აუცილებლობა, ყველაფერი იშლება ყოველგვარი სპეკულაციური ინტერესის გარეშე და, პირიქით, მკვიდრდება ობიექტული შეხედულება საგნებზე; და მართლაც, ამასთან არ არის არავითარი ამაღლება ობიექტული საღი აზრის თვალსაზრისზე ზევით, ანდა, უფრო სწორად, ყოველივე დაბლა იწევს ობიექტული საღი აზრის დონემდე»!! (473—474) [362]

NB

ცილისწამებანი მატერიალიზმის მიმართ!! „ცნების აუცილებლობა“ ერთი ბეწოთიც კი არ „ისპობა“ მოძღვრებით შემეცნებისა და ცნების წყაროზე!! უთანხმოება „საღ აზრთან“ იდეალისტის დამყაყებულის ახირებულობაა.

მოძღვრებას ჰეშმარიტების შემეცნებასა და კრიტიკიუზზე ეპიკურე უწოდებდა *Κανονική**. გადმოგვცემს რა მას მოკლედ, ჰეგელი წერს:

* ხელნაწერში სიტყვა «*Kanonik*» შეერთებულია ისრით სიტყვასთან „იგი“ მომღვწო აბზაცის დასაწყისში. რ ე დ.

«იგი ისე მარტივია, რომ არ შეიძლება უფრო მარტივი რამ არსებობდეს, — იგი აბსტრაქტულია, მაგრამ უაღრესად ტრივიალურიც — მეტ-ნაკლებად ჩვეულებრივი ცნობიერების დონეზე, რომელიც იწყებს ფიქრს. ეს არის ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური წარმოდგენანი; ისინი სავსებით სწორია. შეგრძნებათაგან ჩვენ ვქმნით ჩვენთვის წარმოდგენებს როგორც საყოველთაოს, — ამის მეოხებით ეს უკანასკნელი ხდება მყარი. წარმოდგენანი თვითონ (bei der *ბეძა, Meinung* *) მოწმდებიან შეგრძნებათა შემწეობით, არიან ისინი მდგრადი თუ არა, მეორდებიან თუ არა. ეს საერთოდ სწორია, მაგრამ სავსებით ზერელე; ეს არის პირველი საწყისი, მექანიკა წარმოდგენისა პირველ აღქმათა მიმართ... (483) [369]

!!!!

!!!

„პირველი საწყისი“ დავიწყებული და დამახინჯებულია იდეალიზმის მიერ. დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ მ ა მ ა ტერიალიზმმა კი ერთადერთმა და ა ა კ ა ვ შ ი რ ა „საწყისი“ გაგრძელებასთან და დასასრულთან.

NB: გვ. 481 [367] — ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს მნიშვნელობაზე ეპიკურეს მიხედვით:

«ყოველი საგანი ლებულობს პირველად მისთვის მიკუთვნებული სახელწოდების მეოხებით თავის სიცხადეს, სიაშკარავეს, მკაფიოობას» (ეპიკურე: **Diogenes Laertius**, X, § 33). და ჰეგელი: «სახელწოდება არის რალაც საყოველთაო, ეკუთვნის აზროვნებას, მრავალსახოვანს მარტივს ხდის». (481) [367]

«იმის შესახებ, თუ საერთოდ როგორ შედის ჩვენში ობიექტური წესით ის, რაც ჩვენს გარეშე იმყოფება — საგნისადმი თვით ჩვენი მიმართების შესახებ, რომლის მეოხებითაც წარმოიშვებიან სწორედ წარმოდგენანი, — ამის შესახებ ეპიკურემ წამოაყენა შემდეგი მეტაფიზიკური მოსაზრებანი:

ეპიკურე:
საგნები
ჩვენს გარეშე

* — შეხედულებაში. რ ე დ.

NB
 ეპიკურეს
 შემეცნების
 თეორია...

«საგნების ზედაპირიდან, მომდინარეობს უწყვეტი ნაკადი, რომელიც შეგრძნებისათვის შეუმჩნეველია; ეს ხდება საპირისპირო შევსების გამო, ვინაიდან თვით საგანი ჯერ კიდევ განაგრძობს შევსებულად ყოფნას, და შევსებულობა მყარ გარემოში დიდხანს ინახავს ატომების წესრიგსა და განლაგებას. ამ ჩამოშორებულ ზედაპირთა მოძრაობა უდიდესი სისწრაფით ხდება ჰაერში, რადგან არ არის აუცილებელი, რომ ჩამოშორებულს ჰქონდეს სიღრმე». «შეგრძნება არ ეწინააღმდეგება ასეთ წარმოდგენას, თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას» (zusehe), «თუ როგორ ახდენენ თავიანთ ზემოქმედებას გამოსახულებანი; მათ მოაქვთ ჩვენთვის ერთგვარი შეთანხმებულობა, გარესამყაროს ერთგვარი სიმპათიური კავშირი ჩვენთან. მაშასადამე, მათგან გადმოდის რაღაც ისეთი, რაც ჩვენში წარმოადგენს რაიმე ისეთნაირს, როგორიც გარეგნულია». «და იმის გამო, რომ გამოდენა შემოდის ჩვენში, ჩვენ ვიცით ამა თუ იმ შეგრძნების გარკვეულობის შესახებ, გარკვეული იმყოფება საგნებში და გადმომდინარეობს ამრიგად ჩვენში» (გვ. 484—485 [370], Diogenes Laertius, X, § 48—49).

ეპიკურეს (300 წელი ქრისტეს დაბადებამდე; — ე. ი. 2000 წელზე მეტი ჰეგელამდე) გენიალური მიხვედრა, მაგალითად, შუქისა და მისი სისწრაფის შესახებ.

სრულიად დამალა (NB) ჰეგელმა მთავარი: (NB) ნივთთა ყოფიერება ადამიანის ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად.

— ყოველივე ამას ჰეგელი მალავს და ამბობს მხოლოდ:

...«ასეთი წესით შეგრძნების წარმოდგენა უალრესად ტრივიალურია. ეპიკურემ აირჩია ყველაზე იოლი და ამყამად ჯერ კიდევ ჩვეულებრივი კრიტიკიუმში ჰეშმარიტისა, რამდენადაც ამ უკანასკნელს ვერ აღიქვამს მხედვე-

ლობა, სახელდობრ: მას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, რაც გვესმის და ა. შ. ვინაიდან მართლაც აზრის ისეთი პროდუქტები, როგორცაა ატომები, ზედპირთა გამოყოფა და ა. შ., არ შეიძლება დავინახოთ და მოვისმინოთ; [შეიძლება, რა თქმა უნდა, დავინახოთ და მოვისმინოთ სხვა რაიმე]*; მაგრამ ხილვადი — ერთი მხრივ, და წარმოსადგენი და წარმოსახვითი — მეორე მხრივ, ჩინებულად თავსდებათ ერთიმეორის გვერდით. ისინი, თუ მათ იზოლირებული სახით დავტოვებთ, არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს; რადგან წინააღმდეგობა ვლინდება მხოლოდ იქ, სადაც მიმართებაა»... (485—486) [370—371]

იდეალისტის მიერ მატერიალიზმის დამახინჯებისა და მისთვის ცილის დაწამების ნიმუში.

ამრიგად, ჰეგელმა გვერდი აუარა ეპიკურეს და ლაპარაკი დაიწყო სხვა რამეზე, რასაც ეპიკურე აქ არ ეხება და რაც შეთავსებადია მატერიალიზმთან!!

გვ. (486) [371]:

შეცდომას, ეპიკურეს მიხედვით, წარმოშობს შეწყვეტა მოძრაობაში (მოძრაობაში საგნიდან ჩვენკენ, შეგრძნებისაკენ თუ წარმოდგენისაკენ?).

«შეუძლებელია კაცს გქონდეს — წერს ჰეგელი — უფრო ღარიბი (შემეცნების თეორია)». (486) [371]

ყველაფერი იქნება dürftig **, თუ დაამახინჯებ და გაქურდავ

სული, ეპიკურეს მიხედვით, ატომების „გარაკვეული“ კრებულია. „ეს თქვა აგრეთვე (!!)

ეს auch *** საუცხოოა!!!

* — სწორკუთხოვან ბრჭყალებში მოთავსებული სიტყვა-ბი ვ. ი. ლენინის კონსპექტში გამოტოვებულია. რ ე დ.

** — ღ ა რ ი ბ ი. რ ე დ.

*** — ა გ რ ე თ ვ ე. რ ე დ.

ეპიკურე
(341—270
ქრისტ. დაბ-
მდე), ლოკი
(1632—1704)
Differenz * =
2 000 წელს

ლოკმა... ყოველივე ეს ცარიელი სიტყვე-
ბია»... (488) [372—373] ((არა, ეს გენიალური
მიხვედრები და გზის მითითება ა
მეცნიერებისათვის და არა ხუცო-
ბისათვის)).

ხოლო ელექ-
ტრონები?

NB. NB (489) [373] id. (490) [374]:
ეპიკურე ატომებს მიაწერს „krumm-
linigte“ Bewegung-ს**, ეს არისო
„თვითნებობა და მოწყენილობა“ (488) [373]
ეპიკურესთან — ((მერეღა „ღმერთი“ იდე-
ალისტებთან???)

სისულელე!
სიცრუე!
ცილისწამება!

«ანდა ეპიკურე უარყოფს საერთოდ ყო-
ველგვარ ცნებას და საყოველთაოს როგორც
არსებას»... (490) [374] თუმცაო მის ატომებს
«თვით აქვთ აზრების სწორედ ეს ბუნება»...
«ემპირიკოსთა მთელი ეს თანამიმდევრულო-
ბა»... (491) [375]

NB

ამით გვერდავლილი რჩე-
ბა მატერიალიზმისა და მა-
ტერიალისტური დიალექტიკის დე-
დაარსი.

ღმერთი
ეცოდებათ!!
იდეალისტური
არაშხადა!!

«ეპიკურეს არა აქვს... სამყაროს საბოლოო
მიზანი, შემოქმედის სიბრძნე. არ არის არაფე-
რი, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც განი-
საზღვრება ატომების შეხამებათა შემთხვევი-
თი (??) გარეგანი (??) შეჯახებით»... (491)
[374]

!!

და ჰეგელი პირდაპირ აგინებს ეპიკურე-
რეს: «მისი აზრები ბუნების ცალკეულ მხარე-
თა შესახებ — თავისთავად უბადრუკია»...
(492) [375]

ბუნების მეც-
ნიერებათა

და მაშინვე პოლემიკა „Naturwissen-
schaft“-თან heute***, რომელიცო, ისე რო-
გორც ეპიკურე, მსჯელობს «ანალოგიით»,

* — სხვაობა. რედ.

** — «მრუდწირული» მოძრაობა. რედ.

*** — «ბუნებათმეცნიერებასთან» დღეს. რედ.

„განმარტავს“ (492) [375—376] — მაგალითად, სინათლეს «როგორც ეთერის რხევას»... «ეს მთლად ეპიკურეს ანალოგიის მანერაა»... (493) [376]

„მანერაც“!
მათი წარმა-
ტებაც!!

((თანამედროვე ბუნებისმეტყველება versus * ეპიკურე ჰეგელის წინააღმდეგ (NB).))

ეპიკურესათვის «საგანი, პრინციპი სხვა არაფერია, თუ არა პრინციპი ჩვენი ჩვეულებრივი ბუნებისმეტყველებისა... (495) ეს მთლად იგივე მანერაა, რომელიც ჩვენს ბუნებისმეტყველებას საფუძვლად უდევს»... (496) [378]

ეპიკურე და თანამედროვე ბუნებისმეტყველება

სწორია მხოლოდ მითითება საერთოდ დიალექტიკისა და ცნებათა დიალექტიკის უცოდინარობაზე. მაგრამ მატერიალიზმის კრიტიკა ცუდია.

საერთოდ ამ მანერის (ეპიკურეს ფილოსოფიის) შესახებ უნდა ითქვას, რომ მისაც აქვს აგრეთვე მხარე, საიდანაც მას გარკვეული ღირებულება უნდა მიენიჭოს. არისტოტელე და უფრო ძველი მოაზროვნენი აპრიორულად გამოდიოდნენ საყოველთაო აზრიდან ნატურფილოსოფიაში და იქიდან განავითარეს ცნება. ეს არის ერთი მხარე; მეორე მხარე, ეს არის აუცილებლობა იმისა, რომ ცდა ავიყვანოთ საყოველთაობამდე, მოვანახოთ კანონები; ეს ნიშნავს, რომ ის, რაც აბსტრაქტული იდეიდან გამომდინარეობს, უნდა დაემთხვეს საყოველთაო წარმოდგენას, რადაც გადაქცეულია ცდა და დაკვირვება. არისტოტელესთან, მაგალითად, აპრიორული მხარე შესანიშნავია, მაგრამ იგი არასაკმარისია, იმიტომ რომ მას აკლია მხარე შეერთებისა, კავშირისა ცდასთან, დაკვირვებასთან. ეს აყვანა განსაკუთრებულისა საყოველთაომდე არის კანონების, ბუნებრივი ძალების და სხვ. პოვნა. (ამრიგად,

!NB!

NB!!

NB

NB
NB

* — მიმართ. რ ე დ.

NB

შეიძლება ითქვას, რომ ეპიკურემ აღმოაჩინა ემპირიული ბუნებისმეტყველება, ემპირიული ფსიქოლოგია. სტოელთა მიზნებს, განსჯის ცნებებს დაუპირისპირდა ცდა, გრძნობადი მყოფობა. იქ არის აბსტრაქტული შეზღუდული განსჯა შინაგანი სიმართლის გარეშე, მაშასადამე, ბუნების თანაყოფისა და ნამდვილობის გარეშე; აქ — პირიქით, მოცემულია ბუნება: ბუნების გრძნობა უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ის ჰიპოთეზები». (496—497) [378—379]

NB

NB

(ეს თითქმის მჭიდროდ მისვლია დიალექტიკურ მატერიალიზმთან).

ჰეგელი
მატერიალიზმის
კლუსების
შესახებ

ეპიკურეს მნიშვნელობა — ბრძოლა ბერძენთა და რომაელებთა (— და თანამედროვე ხუცების?) *Aberglauben*-თან * (498) [379].

ყველაფერი ეს სისულელეაო, გზაზე ხომ არ გადაუბრუნია კურდღელს (498) [379] და ა. შ. (მერე ღმერთი?).

NB

«იქიდან» (ეპიკურეს ფილოსოფიიდან) «უმავერესად გამომდინარეობდნენ ის წარმოდგენანი, რომლებიც სრულიად უარყოფდნენ ზეგრძნობადს». (498) [379—380]

რისთვის აფასებდნენ (კლასიკოსები) იდეალიზმს??

|| მაგრამ ეს კარგიაო მხოლოდ „endlich“ **... «ინგრევა ცრუმორწმუნეობა, მაგრამ მასთან ერთად ინგრევა აგრეთვე შინაგანად დასაბუთებული კავშირი და სამყარო იდეალურისა». (499) [380]

ეს **NOTA BENE**.

ჰეგელისათვის „სული“ არის აგრეთვე ცრურწმენა

გვ. 499 [380]: ეპიკურე სულის შესახებ: უფრო წვრილი (NB) ატომები, მათი უფრო სწრაფი (NB) მოძრაობა, მათი კავშირი (NB) etc. etc. სხეულთან (*Diogenes Laertius*, X, § 66; 63—64) — მეტად გულუბრყვილო და კარგია! — ჰეგელი კი წყრება, ილანძღება: «ლაყბობა», «ცარიელი სიტყვებია», «აზრთა უქონლობა». (500) [381]

ღმერთები, ეპიკურეს მიხედვით, არიან „das Allgemeine» * (506) [385] საერთოდ — „ისინი ნაწილობრივ არიან რიცხვში“ როგორც რიცხვი, ე. ი. აბსტრაქტია გრძობადიდან...

«ნაწილობრივ ისინი» (ღმერთები) არიან «სრულქმნილება, ადამიანის მსგავსი, რომელიც წარმოიქმნება გამოსახულებათა მსგავსების შემწეობით მსგავს გამოსახულებათა ერთსა და იმავედ განუწყვეტელი შეერთებიდან». (507) [385]

N B
ღმერთები =
= სრულქმნი-
ლება, ადამიანის
მსგავსი,
შეად. ფოი-
ერბახი¹⁰⁹

სკეპტიკოსთა ფილოსოფია¹⁰⁶

ლაპარაკობს რა სკეპტიციზმზე, ჰეგელი მიუთითებს მის მოჩვენებით „უძლეველობაზე“ (Unbezwinglichkeit) (538) [407]:

«მართლაც, ადამიანი, რომელსაც სურს აუცილებლად სკეპტიკოსი იყოს, შეუძლებელია გადაარწმუნო ანდა მიაღებინო პოზიტიური ფილოსოფია, — სწორედ ისევე როგორც შეუძლებელია აიძულო ზეზე იდგეს ადამიანი, რომელიც თავიდან ფეხებამდე დადამბლავებულია». (539) [407]

N B

Bien dit!! **

«პოზიტიურ ფილოსოფიას შეიძლება მის მიმართ» (den denkenden Skeptizismus ***) «ჰქონდეს შემდეგი ცნობიერება: იგი შეიცავს სკეპტიციზმის უარყოფითს მომენტს, სკეპტიციზმი არ არის მისდამი დაპირისპირებული, არ იმყოფება მის გარეშე, არამედ მასშია მოქცეული მომენტის სახით; მაგრამ იგი შეიცავს უარყოფას მის ჭეშმარიტობაში, რაც სკეპტიციზმს არა აქვს». (539) [408]

(ფილოსოფიის მიმართება სკეპტიციზმისადმი:)

«ფილოსოფია დიალექტიკურია, ეს დიალექტიკა არის ცვლილება; იდეა, როგორც აბსტრაქტული იდეა, არის ინერტული არსებული, მაგრამ იგი ჭეშმარიტია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი აღიქვამს თავის

* — «საყოველთაო». რ ე დ.
** — «არგადაა ნათქვამი!!» რ ე დ.
*** — მოზროვნე სკეპტიციზმის მიმართ. რ ე დ.

NB
სკეპტიციზმის
ღიალექტიკა
„შემთხვე-
ვითია“

თავს როგორც ცოცხალს; მისი შინაგანი დიალექტიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოხსნის თავის სიმშვიდეს, თავის ინერტულობას. ამრიგად, ფილოსოფიური იდეა დიალექტიკური თავის შიგნით და არა შემთხვევითობის გამო; პირიქით, სკეპტიციზმი სარგებლობს თავის დიალექტიკით შემთხვევით, — წააწყდება რა ამა თუ იმ მასალას, ამა თუ იმ შინაარსს, იგი გვიჩვენებს, რომ ისინი უარყოფითნი არიან თავის შიგნით»... (540) [408—409]

დროგადასული (ძველი) სკეპტიციზმი უნდა განვასხვაოთ ახლისაგან (დასახელებულია მხოლოდ შულცე გეტინგენში). (540) [409]

Ataraxie (უშფოთველობა?) როგორც იდეალი სკეპტიკოსებისა:

კარგი ანეგ-
დოტია სკეპ-
ტიკოსების
შესახებ

«ასე, მაგალითად, ერთხელ პირონმა გემზე ქარტეხილის დროს, მიუთითა რა თავის შემკრთალ მგზავრებს ღორზე, რომელიც სრულ გულგრილობას ინარჩუნებდა და მშვიდად განაგრძობდა საკვების სანსვლას, უთხრა: აი ასეთ ატარაქსიაში უნდა იმყოფებოდეს ბრძენიო» (Diogenes Laertius, IX, 68) — გვ. 551—552 [419].

NB
სკეპტიციზმი
არ არის
ეჭვი

«სკეპტიციზმი არ არის ეჭვი. ეჭვი არის პირდაპირი დაპირისპირებულობა სიმშვიდისა, რომელიც სკეპტიციზმის შედეგია». (552)

...«პირიქით, სკეპტიციზმი გულგრილია როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ»... (553)

შულცე-ენეზიდემი სკეპტიციზმად ასაღებს — რომ ყოველივე გრძნობადი ჭეშმარიტებააო (557) [409], მაგრამ სკეპტიკოსები იმას როდი ამბობდნენ: საჭიროაო sich danach richten*, შეწყობა გრძნობადთან, მაგრამ ეს ჭეშმარიტება არააო. ახალი სკეპტიციზმი არ არის დაეჭვებული საგანთა რეალობაში. ძველ სკეპტიციზმს ეჭვი ეპარება საგანთა რეალობაში.

NB

* — შეწყობა მასთან. რ ე დ.

სკეპტიკოსთა ტროპები (კონსტრუქციები, არგუმენტები etc.):

ყველაფერი
აქვს სექტოს
ემპირი-
კოსს (მე-2
საუკუნე
ქრისტ. დაბ.
შემდ.)

a. ცხოველთა ორგანიზაციის სხვაობა. (558) [423]

სხვადასხვა შეგრძნებანი: ზაფრიანს (dem Gelbsüchtigen) თეთრი ეჩვენება ყვითლად და ა. შ.

b. ადამიანთა სხვაობა. „იდიოსინკრაზია“. (559) [424]

ვის ვერწმუნოთ? უმრავლესობას? სისულელეა: შეუძლებელია დაკითხვა. (560) [425]

ფილოსოფიათა სხვაობა: დამოწმება უაზროა, აღშფოთებულია ჰეგელი: ...«ასეთი ადამიანები ყველაფერს ხედავენ ფილოსოფიაში, მხოლოდ სწორედ მას — ფილოსოფიას — ვერ ამჩნევენ»... «რავინდ განსხვავებულნიც იყვნენ ერთმანეთისაგან ფილოსოფიური სისტემები, მათი სხვაობა არაა ისე დიდი, როგორც სხვაობა თეთრსა და გემრიელს შორის, მწვანესა და მაგარს შორის; ისინი შეთანხმებულნი არიან იმაში, რომ ყველანი ფილოსოფიური სისტემებია, და ეს არის სწორედ ის, რასაც მხედველობიდან უშვებენ». (561) [426]

NB

... «ყველა ტროპი მიმართულია წინააღმდეგ სიტყვისა არის; მაგრამ ჭეშმარიტება არცაა ეს მშრალი არის, — იგი არსებითად პროცესს წარმოადგენს»... (562) [426]

NB

NB

c. გრძნობათა იარაღების ორგანიზაციის სხვაობა: გრძნობათა სხვადასხვა ორგანო სხვადასხვანაირად აღიქვამს (შეღებულ დაფაზე თვალს რაღაც ეჩვენება erhaben*, შეგრძნებას კი — არა).

* — ამალღებულად. რ ე დ.

- d. გარემოებათა სხვაობა სუბიექტში (ვნება, სიმშვიდე etc.)
 e. მანძილის სხვაობა etc.

დედამიწა მზის გარშემო etc. ან vice versa *

- f. შერევა (სუნი ძლიერი მზის დროს და უიმისოდ და ა. შ.).
 g. საგანთა შედგენილობა (მინა — გატეხილი გაუმჭვირია etc.).
 h. „საგანთა ფარდობითობა“ („რ ე ლ ა ტ ი უ რ ო ბ ა“).
 i. მოვლენათა სიხშირე, იშვიათობა etc.; ჩვეულება.
 k. ზნე-ჩვეულებანი, კანონები etc. მათი სხვაობა...

[(10) ეს ყველაფერი ძველი ტროპებია!

და ჰეგელი: ყოველივე ეს „ემპირიულია“ — «უარის თქმა ცნებაზე გადასვლაზე»... (566) ეს არისო „ტრივიალური“, მაგრამ...

«მაგრამ, მართლაც, ობიექტელური საღი აზრის დოგმატიზმის წინააღმდეგ ისინი მეტად მოხდენილია»... (567) [431]

5 ახალი ტროპი (უკვეო გაცილებით უფრო მაღალი, ისინი შეიცავენ დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა ს, ეხებიან ც ნ ე ბ ე ბ ს) — ასევე სექსტოსის მიხედვით.

- a. ფილოსოფოსების... აზრთა სხვაობა...
 b. შედინება უსასრულობაში (ერთი დამოკიდებულია მეორეზე და ა. შ. უსასრულოდ).
 c. რელატიურობა (წანამძღვრებისა).
 d. ვარაუდი. დოგმატიკოსები აყენებენ დაუმტკიცებელ ვარაუდებს.
 e. თანაზიარობა. წრე (მანკიერი)...

«ეს სკეპტიკური ტროპები ნამდვილად ეხება იმას, რასაც დოგმატური ფილოსო-

ფია ეწოდება (ეს ფილოსოფია თავისი ბუნებით იძულებულია ამ ფორმებში იტრიალოს) არა იმ აზრით, რომ მას აქვს დადებითი შინაარსი, არამედ იმ აზრით, რომ იგი რაღაც გარკვეულს განამტკიცებს როგორც აბსოლუტურს». (575) [438]

NB

აბსოლუტის წინააღმდეგ ჰეგელი! აი სადაა დიალექტიკური მატერიალიზმის ჩანასახი.

NB

«კრიტიციზმისათვის, რომელმაც საერთოდ არ იცის არაფერი თავისთავად, არაფერი (არა nichts) (sic!!)* აბსოლუტური, ყოველივე ცოდნა ყოფიერებაზე თავისთავად როგორც ასეთზე არის დოგმატიზმი; ნამდვილად კი იგი თვით არის სწორედ ყველაზე მდარე დოგმატიზმი, რადგან ამტკიცებს, რომ «მე», თვითცნობიერების ერთიანობა, დაპირისპირებული ყოფიერებისადმი, არსებობს თავისთავად და თავისთვის, და მის გარეშე სწორედ ასევე არსებობს რაღაც «თავისთავად», ამასთან მათ აბსოლუტურად არ შეუძლიათ ერთმანეთს შეხვდნენ». (576) [438]

„კრიტიციზმი“
არის უმდა-
რესი დოგმა-
ტიზმი

«ეს ტროპები ხვდება დოგმატურ ფილოსოფიას, რომელსაც სჩვევია ასეთი მანერა: წამოაყენოს როგორც გარკვეულობა ესა თუ ის პრინციპი, გამოთქვამს რა მას რომელიმე გარკვეული დებულების სახით. ასეთი პრინციპი მუდამ გაპირობებულია, რის გამოც მას აქვს დიალექტიკა, დანგრევა თავის თავში თავისივე თავისა». (577) «ეს ტროპები საუცხოო იარაღია განსჯითი ფილოსოფიის წინააღმდეგ» (ib.) [438].

Bien
dit!!!

დიალექტიკა =
„დანგრევა
თავისივე
თავისა“

მაგალითადო სექსტოსი ამყლავნებს წერტილის (der Punkt) ცნების დიალექტიკას. წერტილს არა აქვს განზომილება? მაშასადამე, იგი სივრცის გარეშე ა! იგი არის სივრ-

* ვ. ი. ლენინის შენიშვნა გამოწვეულია იმით, რომ გერმანულ ტექსტში სიტყვა „აბსოლუტურის“ წინ იყო უარყოფა nicht (არ) ნაცვლად nichts (არაფერი). რედ.

NB ||| ცის საზღვარი სივრცეში, უარყოფა სივრცისა და იმავე დროს «თანამონაწილე სივრცისა» — «არის სწორედ ამით დიალექტიკური თავის შიგნით». (579) [440]

NB ||| «ეს ტროპები... უძლურნი არიან სპეკულაციური იდეების წინააღმდეგ, რადგან ისინი თვით შეიცავენ დიალექტიკურ მომენტს და სასრულის მოხსნას». (580)

XIV ტომის დასასრული (გვ. 586 [447]).

XV ტომი. ფილოსოფიის ისტორიის მესამე ტომი

(ბერძნული ფილოსოფიის დასასრული, შუა საუკუნეებისა და ახალი ფილოსოფია უელინგამდე, გვ. 1 — 692)

(ბერლინი, 1836)

ახალპლატონელიები¹⁰⁷

... „დაბრუნება ღმერთთან“... (5) * [13] **, „თვითცნობიერება არის აბსოლუტური არსება“... (7) [14], „მსოფლიო სული“... (7) [14], „ქრისტიანული რელიგია“... (8) [15] და უამრავი სიტყვის გაბრტყელება ღმერთის შესახებ... (8—18) [15—22]

მაგრამ ეს ფილოსოფიური იდეალიზმი, რომელსაც აშკარად, „სერიოზულად“ მიეყავართ ღმერთთან, უფრო პატიოსანია, ვიდრე თანამედროვე აგნოსტიციზმი მისი ფარისევლობითა და სიმხდალით.

A. ფილონი — (დაახლოებით ქრ. დაბ.) სწავლული ებრაელი, მისტიკოსი, „პლატონის პოულობს მოსეში“ (19) [22] etc. „ღმერთის შემეცნება“ (21) [23] არის მთავარი etc. ღმერთი არის ლეიფს **, „ყველა იდეის ჯამი“, „წმინდა ყოფიერება“ (22) [24] („პლატონის მიხედვით)... (22) [25]. იდეები „ანგელოზებია“ (მახარობელნი ღმერთისა)... (24) [25] გრძნობადი სამყარო კი, ისე როგორც პლატონთან“ = = ბეჰ ზე *** = არყოფიერება. (25) [26]

იდეები
(პლატონისა)
და ღმერთი

* Hegel. Werke. Bd. XV. Berlin, 1836. რედ.

** — Гегель. Сочинения, т. XI, М.—Л., 1935. რედ.

*** — ლოგოსი. რედ.

**** — არ არსებული. რედ.

B. კ ა ბ ა ლ ა ¹⁰⁸, გნოსტიკოსები ¹⁰⁹ — — —
idem...

C. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი უ ლ ი ფ ი ლ ო ს ო -
ფ ი ა — (= ეკლექტიციზმი ¹¹⁰ — (33) [33])
(= პლატონელები, პითაგორელები, არი-
სტოტელელები). (35) [35]

ეკლექტიკოსებს — ან გაუნათლებელ ადა-
მიანებს, ან ეშმაკთ (die klugen Leute * (33)
[33]) — ყველგან აქვთ კარგი, მაგრამ... —

ეკლექტიკოსე-
ბის შესახებ...

|| აგროვებენ ყოველგვარ სიკეთეს «მხოლოდ არ
გააჩნიათ აზროვნების თანამიმდევრობა და, მა-
შასადამე, თვით აზროვნება». (33) [33]

განავითარეს პლატონი...

პლატონის
იდევბი და
ღმერთი

|| «პლატონური საყოველთაობა, რომელსაც
აზროვნება შეიცავს, ღებულობს ამიტომ იმ
მნიშვნელობას, რომ როგორც ასეთი იგი თვით
არის აბსოლუტური არსება». (33) [34]

ჰეგელი პლატონის დიალოგების შესახებ **

გვ.		
(230) ***	[175]	**** სოფისტი
(238)	[181]	ფილები
(240)	[171]	პ ა რ მ ე ნ ი დ ე
(ტიმეოსი) (248)	[184]	

* — ჰეგელიანი ადამიანები. რ ე დ.

** ეს ჩანაწერი ვ. ი. ლენინს გაუკეთებია გერმანულ ენაზე იმ რვეუ-
ლის გარეკანის უკანა გვერდზე, სადაც მოცემულია კონსპექტი ჰეგელის
წიგნისა «ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე». რ ე დ.

*** — Hegel. Werke, Bd. XIV, Berlin, 1833. რ ე დ.

**** — Гегель. Сочинения, т. X, 1932. რ ე დ.

კონსპექტი ჰეგელის წიგნისა
«ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე»¹¹¹

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ჰეგელი. თხზულებანი, ტ. IX

(ბერლინი, 1837).

ლექციები ისტორიის
ფილოსოფიაზე

(ე. ჰანსის გამოცემა)

მასალები: 1822—1831 წწ. ლექციათა ჩანაწერები. ჰეგელის ხელნაწერი 73 გვერდამდე etc.

გვ. 5 * [4] **... «სიტყვები... ადამიანებს შორის წარმოებული მოქმედებანია»... (მაშასადამე, ეს სიტყვები ლაყბობა როდია).

7 [6] — ფრანგები და ინგლისელები უფრო განათლებული არიან («აქვთ უფრო მეტი... ეროვნული განათლება»), — ჩვენ კი. გერმანელები, უფრო მეტად ძალას ვატანთ ჭკუას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვწეროთ ისტორია, ვიდრე ვწერთ მას.

9 [7—8] — ისტორია გვასწავლის. „რომ ხალხებმა და მთავრობებმა ვერასოდეს ვერაფერი ისწავლეს ისტორიიდან; ყოველი დრო ამისათვის მეტად ინდივიდუალურია“:

გონებამახვი-
ლური და
ჭკვიანურია!

ძალიან ჭკვიან-
ურია!

«მაგრამ გამოცდილება და ისტორია გვასწავლის, რომ ხალხებმა და მთავრობებმა ვერასდროს ვერაფერი ისწავ-

NB

* — Hegel. Werke, Bd. IX. Berlin, 1837, რ. ე. დ.

** — Гегель. Сочинения, т. VIII. М.—Л., 1935. რ. ე. დ.

NB

ლეს ისტორიიდან და ვერ მოქმედებდნენ იმ გაკვეთილების შესაბამისად, რომელთა მიღებაც მისგან შეიძლებოდა. თვითეულ ეპოქას იმდენად თავისებური გარემოებანი ახასიათებს, იგი იმდენად ინდივიდუალურ მდგომარეობას წარმოადგენს, რომ მხოლოდ თვით ამ მდგომარეობიდან გამოსულნი, მასზე დაყრდნობით, უნდა ვმსჯელობდეთ და ერთადერთი შესაძლებლობა გვაქვს ვიმსჯელოთ მის შესახებ».

NB

გვ. 12 [10]—„გონება მართავს სამყაროს“...

არ ვარგა!

- 20 [17]: სუბსტანცია მატერიისა — სიმძიმე.
 „ სულისა — თავისუფლება.
- 22 [19]. „მსოფლიო ისტორია არის პროგრესი თავისუფლების შეგნებაში, პროგრესი, რომელიც ჩვენ უნდა შევიცნოთ მის აუცილებლობაში“...
- 24 [20] — (მისვლა ისტორიულ მატერიალიზმთან). რით ხელმძღვანელობენ ადამიანები? ყველაზე მეტია „Selbstsucht“ *, — სიყვარულის მოტივები etc. უფრო იშვიათია და მათი წრე უფრო ვიწრო. რაღა გამოდის ვნებათა etc. ამ გადახლართვიდან? მოთხოვნილებათა etc. ამ გადახლართვიდან?
- 28 [23—24] „არაფერი დიადი არ ხდება ქვეყნად ვნების გარეშე... ვნება არის სუბიექტური, «ამდენად ფორმალური მხარე ენერჯიისა»...
- 28 i. f. ** [24] — ისტორია არ იწყება შეგნებული მიზნიდან... მნიშვნელოვანია ის, რაც
- 29 [25] ...გვევლინება შეუგნებლად ადამიანთა თვის მათი მოქმედების შედეგად...

29 [25] ...ამ აზრით „გონება მართავს სამყაროს“.

30 [27] ...ისტორიაში ადამიანთა მოქმედების მეოხებით ხდება «კიდევ (მიიღება) რაიმე სხვა, გარდა იმისა, რასაც ისინი ესწრაფვიან და აღწევენ, გარდა იმისა, რაც მათ უშუალოდ იციან და სურთ».

30 [27]

30 [27] ...«ისინი» (die Menschen *) «ახორციელებენ თავიანთ ინტერესს, მაგრამ ამით ხორციელდება კიდევ რაღაც უფრო შორეული, რასაც ეს ინტერესი თუმცაღა შეიცავს კიდევ შინაგანად, მაგრამ რასაც არ შეიცავს მათი ცნობიერება და მათი განზრახვა».

NB
(შეად.
ენგელსი¹¹²)

32 [29] ...«დიდი ადამიანები ისტორიაში—ეს ისინი არიან, რომელთა პირადი, კერძო მიზნები შეიცავენ სუბსტანციურს, რომელიც მსოფლიო სულის ნებას წარმოადგენს»...

„დიდი ადამიანები“

36 [36] — მეტად პატივსაცემია მორწმუნეობა და სათნოება მწყემსისა, გლეხისა etc. (მაგალითები!! NB), მაგრამ... «მსოფლიო სულის სამართალი ყველა კერძო სამართალზე უფრო მაღლა დგას»...

აქ ჰეგელი ხშირად ღმერთზე, რელიგიაზე, ზნეობაზე საერთოდ — არჩიუხამს იდეალისტურ სისულელეს ამბობს.

97 [94]: „მონობის თანდათანობითი გაუქმება უკეთესია უეცარ გაუქმებაზე“...

50 [44]. სახელმწიფოს კონსტიტუცია მის რელიგიასთან... ფილოსოფიასთან, აზრებთან, განათლებასთან, „გარეგან ძალებთან“ (პავა, ადამიანები...) ერთად შეადგენენ „ერთ სუბსტანციას, ერთ სულს“...

51 [51] ბუნებაში მოძრაობა მხოლოდ წრეშია (!!) — ისტორიაში იქმნება ახალი...

* — ადამიანები. რ ე დ.

?

62 [60]. ენა უფრო მდიდარია ხალხთა განუვითარებელ. პირველყოფილ მდგომარეობაში, — ენა ღარიბდება ცივილიზაციასთან და გრამატიკის წარმოქმნასთან ერთად.

67 [64]: „მსოფლიო ისტორია უფრო მაღალ ნიადაგზე მოძრაობს, ვიდრე ის ნიადაგი, რომლის ადგილსაც (Stätte) წარმოადგენს მორალი“...

ძალიან
კარგია

73 [69]: ისტორიის შესანიშნავი სურათი: ჯამი ინდივიდუალურ ვნებათა, მოქმედებათა etc. («ყველგან შეგვეხება ჩვენ და ამიტომ ყველგან აღიძვრის ჩვენი ინტერესი მათ სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ»), ხან მრავალი საერთო ინტერესი, ხან ურიცხვი „წვრილი ძალები“ («უსასრულო დაძაბულობა მცირე ძალებისა, რომელნიც იმიდან, რაც უმნიშვნელოდ გვეჩვენება, გრანდიოზულ რამეს წარმოშობენ»).

Sehr wichtig! *
იხ. ქვემოთ
უფრო
სრულად
ეს ადგილი **

შედეგი? შედეგი — „დაქანცულობა“. გვ. 74 [75] — შესავლის დასასრული.

გვ. 75 [76] — «მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული საფუძველი» (დამახასიათებელი სათაური): (75—101) [76—97].

NB
შეაღ. პლენარ-
ნოვი ¹¹³

75 [76] — «იონიის რბილი ცის ქვეშ უფრო ადვილად შეიძლებოდა წარმოშობილიყო ჰომეროსი, — მაგრამ არა მარტო ეს მიზეზი. — „არა თურქეთის ბატონობის ქვეშ“ etc.

!!!

82 [82] — იმიგრაცია ამერიკაში სპობს „უკმაყოფილებას“ «და გარანტირებული ხდება თანამედროვე სამოქალაქო წესწყობილების შემდგომი არსებობა»... (ეს Zustand *** კი — არის „სიმდიდრე და სიღარიბე“ 81 [82])...

82 [82]. ევროპაში არ არის ეს წაზღვავება: გერმანიაში რომ ტყეები ყოფილიყო, საფრანგეთის რევოლუცია არ მოხდებოდა.

* — ძალიან მნიშვნელოვანია! რ ე დ.
** იხ. ეს ტომი, გვ. 322. რ ე დ.
*** — წესწყობილება. რ ე დ.

102 [99]: მსოფლიო ისტორიის სამი ფორმა:
1) დესპოტიზმი, 2) დემოკრატია და არისტოკრატია, 3) მონარქია.

დაყოფა: აღმოსავლური ქვეყანა — ბერძნული — რომაული — გერმანული ქვეყანა. უაღრესად ცარიელი რახარუხი ზნეობაზე etc. etc.

ჩინეთი. I თავი (113 — 139-მდე) [111—131].
აღწერა ჩინური ხ ა ს ი ა თ ი ს ა, დაწესებულებებისა etc. etc. Nil, nil, nil! *

ინდოეთი — 176 [162]-მ დ ე — ...მდე

სპარსეთი (და ეგვიპტე) 231 [207]-მდე. რატომ დაეცა სპარსეთის სამეფო (იმპერია), ხოლო ჩინეთი და ინდოეთი არა? Dauer ** ჯერ კიდევ არ არის vortreffliches *** (229) [206] — «მარადიულ მთებს არა აქვთ უპირატესობა ვარდის წინაშე, ფოთლები რომ სწრაფად ცვივა და წუთიერი სიცოცხლე რომ გააჩნია». (229) [206] სპარსეთი დაეცა, რადგან იქ დაიწყო «სულიერი ჰერეტიკა» 230 [206], ბერძნები კი აღმოჩნდნენ უფრო მაღლა, «უფრო მაღალი პრინციპი» ორგანიზაციისა, «თავისი თავის შემგნები თავისუფლებისა». (231)

[206—207]

232 [211]: «ბერძენთა ქვეყანა»... „წმინდა ინდივიდუალობის“ პრინციპი — მისი განვითარების, აყვავებისა და დაქვეითების პერიოდი, «შ ე ხ ვ ე დ რ ა მ ს ო ფ ლ ი ო ის ტ ო რ ი ის უ ფ რ ო გ ვ ი ა ხ დ ე ლ ო რ გ ა ნ ო ს თ ა ნ» (233) [212] — რომი მისი „სუბსტანციით“ (ib.).

234 [213]: საბერძნეთის გეოგრაფიული პირობები: ბუნების მრავალფეროვნება (განსხვავებით აღმოსავლეთის ერთფეროვნებისაგან).

მსოფლიო ისტორია, როგორც მთელი, და ცალკეული ხალხები — მისი „ორგანოები“

* — არაფერი, არაფერი, არაფერი! რ ე დ.

** — ხანგრძლიობა. ო ე დ.

*** — ჩინებული. რ ე დ.

სიმდიდრე
და სიღარიბე

ჰეგელი და
ფოიერბახი¹¹⁴

ჰეგელს აქვს
ისტორიული
მატერიალიზ-
მის ჩანასახები

ჰეგელი
და
მარქსი

??

ჰეგელი და
„წინააღმ-

242 [220]—კოლონიები საბერძნეთში. სიმდი-
დრის დაგროვება. მასთან „მუღამ“ დაკავ-
შირებულია გაჭირვება და სიღარიბე...

246 [224]. «ის ბუნებრივი, რომელიც ადამიან-
ებით აიხსნება, შინაგანი, არსებითი მას-
ში, არის საწყისი ღვთაებრივისა საერ-
თოდ» (ბერძენთა მითოლოგიის გამო).

251 [227]: «ადამიანი თავისი მოთხოვნილებე-
ბით გარეშე ბუნებას პრაქტიკულად
ეპყრობა; იკმაყოფილებს რა თავის მო-
თხოვნილებებს ბუნების შემწეობით, იგი
სძლევს ბუნებას, მოქმედებს რა ამასთან
შუამავლის სახით. საქმე ისაა, რომ ბუნე-
ბის საგნები მძლავრნი არიან და ყოველ-
გვარ წინააღმდეგობას გვიწევენ. რათა
ისინი დაიმორჩილოს, ადამიანი მათ შო-
რის ჩაურთავს ბუნების სხვა საგნებს,
წარმართავს, ამრიგად, ბუნებას თვით ბუ-
ნების წინააღმდეგ და გამოიგონებს ამ
მიზნისათვის იარაღებს. ადამიანის ეს გა-
მოგონებანი ეკუთვნის სულს, და ასეთი
იარაღი უფრო მაღლა უნდა იყოს დაყენე-
ბული, ვიდრე ბუნების საგანი... სახელი
ადამიანის გამოგონებისა, რომელსაც მიზ-
ნად ბუნების დამორჩილება აქვს, მიეწე-
რება ღმერთებს» (ბერძნებთან).

264 [240]: დემოკრატია საბერძნეთში დაკავ-
შირებული იყო სახელმწიფოთა მცირე
მოცულობასთან. მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, ცო-
ცხალი მეტყველება აკავშირებდა მოქალა-
ქეებს, ქმნიდა *Erwärmung**-ს.

„ამიტომ“ საფრანგეთის რევოლუციის
არასდროს არ ყოფილა რესპუბლიკური
კონსტიტუცია.

322—323 [295]. «მან» (Cäsar **) «მოიშორა
შინაგანი წინააღმდეგობა» (მოიშორა რა
რესპუბლიკა, რომელიც უკვე „ჩრდილს“
წარმოადგენდა), «და გამოიწვია ახალი.
ვინაიდან მსოფლიო ბატონობა აქამდე

* — მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე ბ ა ს. რ ე დ.

** — კეისარი. რ ე დ.

მხოლოდ ალბების მწვერვალებს აღწევდა, კეისარმა კი ახალი სარბიელი გახსნა: მან შექმნა ის ასპარეზი, რომელიც ამიერიდან მსოფლიო ისტორიის ცენტრი უნდა გამხდარიყო».

დეგობანი“
ისტორიაში

და შემდეგ კეისრის მკვლელობის შესახებ:

...«საერთოდ სახელმწიფოებრივი გადართილება თითქოს სანქციას ღებულობს ადამიანთა შეხედულებაში, თუ იგი მეორდება» (ნაპოლეონი, ბურბონები)... «ის, რაც დასაწყისში მხოლოდ შემთხვევითად და შესაძლებლად გვეჩვენებოდა, განმეორების გამო, რაღაც ნამდვილი და დადასტურებული ხდება». (323) [296]

შესაძლებელი-
სა და შემთხვე-
ვითის კატე-
გორიები
versus *
სინამდვილე
და დადასტუ-
რება ისტო-
რიაში

„ქრისტიანობა“. (328—346) [301—316].
უხამსი-ხუცური იდეალისტური ლაყბობა ქრისტიანობის სიდიადის შესახებ (სახარებიდან აღებული ციტატებით!) საზიზღარია, მყრალი!

420—421 [391—392]: რატომ შემოისაზღვრა რეფორმაცია რამდენიმე ერთ? სხვათა შორის — „სლავური ერები მიწათმოქმედი ერები იყვნენ“, (421) [391], ამას კი თან სდევს „ბატონებისა და მონების ურთიერთობანი“, ნაკლები „Betriebsamkeit ** etc. მაგრამ რომანული ერები რატომ? მათი ხასიათი (Grundcharakter *** 421 i. f. [393]).

429 [399]: ...«პოლონური თავისუფლებაც აგრეთვე სხვა არაფერი იყო, აუ არა თავისუფლება ბარონებისა მონარქის მიმართ... ამრიგად, ხალხს ისეთივე ინტერესი ჰქონდა ბარონების მიმართ, როგორც მეფეებსაც... როცა თავისუფლებაზე ლაპარაკობენ, მუდამ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, ხომ არ არის, საკუთრივ, ლაპარაკი კერძო ინტერესებზე». (430) [399]

NB
კლასობრი-
ვი ურთი-
ერთობანი

* — მიმართ. რედ.

** — «მუყაითობა». რედ.

*** — ძირითადი ხასიათი. რედ.

439 [411—412]: საფრანგეთის რევოლუციის შესახებ... რატომ გადავიდნენ ფრანგები „sogleich vom Theoretischen zum Praktischen“ *, ხოლო გერმანელები არა? გერმანელებთან რეფორმაციამ „schon Alles gebessert“ **, მოიშორა „das unsägliche Unrecht“ *** etc.

441 [413—414]: ადამიანი პირველად (საფრანგეთის რევოლუციაში) მივიდა იქამდე, რომ «ადამიანი დგება თავზე, ე. ი. აზრზე, და სინამდვილეს ამ აზრის თანახმად აშენებს»... «ეს იყო... მზის დიადი ამოსვლა»...

განიხილავს რა შემდეგ „რევოლუციის მსვლელობას საფრანგეთში“ (441) [414], ჰეგელი ხაზს უსვამს თავისუფლებაში საერთოდ — ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს, მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს თავისუფლებას (ib.).

...კანონების გამოცემა? ნებაა ყველა ის... «ცოტანი უნდა იყვნენ მრავალთა წარმომადგენელი, მაგრამ ხშირად ისინი მხოლოდ მათი დამთრგუნველები ხდებიან»... (442) [415] «სავსებით ასევე უმრავლესობის ბატონობა უმცირესობაზე უდიდესი არათანამიმდევრულობაა» (ib.).

444 [418]: ...«თავისი შინაარსით ამ მოვლენას» (საფრანგეთის რევოლუციას) «მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს»... „ლიბერალიზმი“ (444) [418], „ლიბერალური დაწესებულებანი“ (443) [417] გავრცელდა ევროპაში.

446 [422]: «მსოფლიო ისტორია სხვა არაფერია, თუ არა განვითარება თავისუფლების ცნებისა»...

!!

შეად. Marx
und
Engels ¹¹⁵

?

საერთოდ, ისტორიის ფილოსოფია ძლიერ და ძლიერ ცოტას იძლევა — ეს გასაგებია, რადგან სწორედ აქ, სწორედ ამ დარგში, ამ მეცნიერებაში მარქსმა და ენგელსმა უდიდესი ნაბიჯი გადადგეს წინ. აქ ჰეგელი ყველაზე უფრო მოძველდა და ანტიკვირებულა.

(იხ. მომდევნო გვერდი)

NB:
ყველაზე მნიშვნელოვანია
Einleitung *,
სადაც ბევრი
რამ საუცხოოა
საკითხის
დაუქნებაში.

* — შესავალი. რ ე დ.

ჰეგელი მსოფლიო ისტორიის შესახებ

«თუ ჩვენ, დასასრულ, მსოფლიო ისტორიას იმ კატეგორიის თვალსაზრისით განვიხილავთ, რომლითაც ის განხილულ უნდა იქნეს, ჩვენს წინაშე გადაიშლება უსასრულო სურათი ადამიანის ცხოვრებისა, მოღვაწეობისა უაღრესად სხვადასხვანაირ პირობებში, მრავალნაირი მიზნებითა და ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული შემთხვევებითა და ბედით. ყველა ამ მოვლენასა და შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ პირველ რიგში ადამიანის საქმესა და სწრაფვას; ყველგან ვხედავთ მას, რაც ჩვენ გვებება და ამიტომ ჩვენს ინტერესს აღძრავს თავის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. ხან იგი მიგვიზიდავს ჩვენ სილამაზით, თავისუფლებით, სიმდიდრით, ხან ენერგიით, ხან მანკსაც კი შეუძლია გამოვიდეს რაიმე მნიშვნელოვანის სახით. ხშირად ვხედავთ უამრავი რაოდენობით რომელიმე საერთო ინტერესს, რომელიც მძიმედ მიდის წინ, უფრო ხშირად კი იმ მცირე ძალების უსასრულო დაძაბულობას, რომელნიც იმიდან, რაც უმნიშვნელოდ გვეჩვენება, რაღაც გრანდიოზულს წარმოშობენ; ყველგან ვხედავთ ჭრელ სანახაობას, და საკმარისია ერთი რომელიმე გაქრეს, რათა მისი ადგილი სხვამ დაიკავოს.

«მაგრამ უახლოესი შედეგი ასეთი განხილვისა, მიუხედავად მთელი მისი მიმზიდველობისა, არის დაქანცულობა, რომელიც იწყება მაშინვე, როგორც კი გაივლის ჯადოსნური ფარნის სურათების მრავალნაირი სანა-

ხაობა, და თუმცა ჩვენ ვაღიარებთ, რომ ყოველ ცალკეულ წარმოდგენას თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც გვებადება საკითხი: როგორიღაა ყველა ამ ცალკეული მოვლენის საბოლოო მიზანი, ამოიწურება თუ არა თვითელი მათგანი თავისი განსაკუთრებული მიზნით, თუ, პირიქით, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ ყველა ამ შემთხვევის ერთი საბოლოო მიზანი; ხომ არ წარმოებს ამ ზედაპირის ხმამაღალი ხმაურით მუშაობა და შექმნა რაიმე ნაწარმოებისა, შინაგანი, ჩუმი საიდუმლო ნაწარმოებისა, რომელშიც შენახულია ყველა ამ წარმავალი მოვლენის არსებითი ძალა? მაგრამ თუ არ შევიტანთ მსოფლიო ისტორიაში თავიდანვე აზრს, გონების შემეცნებას, მაშინ მას უნდა მივუდგეთ, ყოველ შემთხვევაში, იმის მტკიცე ურყევი რწმენით, რომ მასში არის გონება, ანდა იმის რწმენით მაინც, რომ ინტელექტისა და თვითშემგნები ნების სამყარო არ წარმოადგენს შემთხვევის მსხვერპლს; არამედ იგი უნდა მქლავნდებოდეს თავისი თავის მცოდნე იდეის სინათლეზე». (73—74)* [69] **

((NB: წინასიტყვაობაში, გვ. XVIII, გამომცემელს, ე. ი. რედაქტორ Ed. Gans-ს *** მითითებული აქვს, რომ 73 გვერდამდე დაწერილია ჰეგელის მიერ 1830 წელს, ხელნაწერი — „Ausarbeitung“ ****)).

* Hegel. Werke, Bd. IX, Berlin, 1837. ტ. 9 დ.

** — Гегель. Сочинения, т. VIII, М.—Л., 1935. ტ. 9 დ.

*** — ედ. ჰანსს. რ. ე. დ.

**** — «დამუშავება». რ. ე. დ.

ჰეგელის დიალექტიკის (ლოგიკის) გეგმა ¹¹⁶

[მცირე ლოგიკის (ენციკლოპედიის) სარჩევი]

I. მოძღვრება ყოფიერებაზე.

- | | |
|-----------------|-------------------------|
| A) თვისებრიობა. | a) ყოფიერება; |
| | b) იქყოფნა; |
| | c) თავისთვის ყოფიერება. |
| B) რაოდენობა. | a) წმინდა რაოდენობა; |
| | b) ოდენობა (Quantum); |
| | c) ხარისხი. |

C) ზომა.

II. მოძღვრება არსებაზე.

- A) არსება, როგორც არსებობის საფუძველი.
- a) იგივეობა — სხვაობა — საფუძველი;
 - b) არსებობა;
 - c) ნივთი.
- B) მოვლენა.
- a) მოვლენის სამყარო;
 - b) შინაარსი და ფორმა;
 - c) მიმართება.
- C) ნამდვილობა.
- a) მიმართება სუბსტანციურობისა;
 - b) » » კაუზალობისა;
 - c) ურთიერთმოქმედება.

III. მოძღვრება ცნებაზე.

- A) სუბიექტური ცნება.
- a) ცნება;
 - b) მსჯელობა;
 - c) დასკვნა.
- B) ობიექტი.
- a) მექანიზმი;

- b) ქიმიზმი;
- c) ტელეოლოგია.
- C) იდეა.
 - a) სიცოცხლე;
 - b) შემეცნება;
 - c) აბსოლუტური იდეა.

ცნება (შემეცნება) ყოფიერებაში (უშუალო მოვლენებში) აღმოაჩენს არსებას (მიზეზის კანონს, იგივეობას, სხვაობას etc.)— ასეთია ზოგადი მსვლელობა ადამიანის მთელი შემეცნებისა (მთელი მეცნიერებისა) საერთოდ. ასეთია მსვლელობა ბუნების მეტყველებისა ც, პოლიტიკური ეკონომიისა ც [ისტორიისა ც]. ამდენად, ჰეგელის დიალექტიკა არის აზრის ისტორიის განზოგადება. უაღრესად მაღლიერად გვეჩვენება ის ამოცანა, რომ კვალდაკვალ მივყვეთ ამას უფრო კონკრეტულად, უფრო დაწვრილებით, ცალკეულ მეცნიერებათა ისტორიის მიხედვით. ლოგიკაში აზრის ისტორია, საერთოდ და მთლიანად, უნდა ემთხვეოდეს აზროვნების კანონებს.

თვალში გეცემათ, რომ ზოგჯერ ჰეგელი მიდის აბსტრაქტულიდან კონკრეტულსაკენ (Sein * (აბსტრაქტული)—Dasein ** (კონკრეტული) — Fürsichsein ***), — ზოგჯერ პირიქით (სუბიექტური ცნება — ობიექტი — ჰეგემარიტება (აბსოლუტური იდეა)). ხომ არ არის ეს იდეალისტის არათანამიმდევრულობა (ის, რასაც მარქსი Ideenmystik-ს **** უწოდებდა ჰეგელთან)? თუ არის უფრო ღრმა საბუთები? (მაგალითად, ყოფიერება = = არ არა — ქმნადობის, განვითარების

აბსტრაქტული „Sein“ მხოლოდ როგორც მომენტის πάντα ῥεῖ-ში *****

- * --- ყოფიერება. რ ე დ.
- ** --- იქ ყოფნა. რ ე დ.
- *** --- თავისთვის ყოფიერება. რ ე დ.
- **** --- იდეათა მისტიკას. რ ე დ.
- ***** --- ყოველივე მიმდინარეობს. რ ე დ.

იდეა). ჯერ გამოკრთებიან შთაბეჭდილებანი, შემდეგ გამოიყოფა რაღაც, — შემდეგ ვითარდება ცნებები თვისებრიობისა (ნივთის ან მოვლენის გარკვეულობანი) და რაოდენობისა. შემდეგ შესწავლა და აზრება წარმართავენ აზრს იქითკენ, რომ შეიცნოს იგივეობა — სხვაობა — საფუძველი — არსება versus * მოვლენისა, — მიზეზობრიობა etc. შემეცნების ყველა ეს მომენტი (ნაბიჯები, საფეხურები, პროცესები) მიემართებიან სუბიექტიდან ობიექტისაკენ, მოწმდებიან რა პრაქტიკით და მიდიან რა ამ შემოწმების გზით ჭეშმარიტებამდე (= აბსოლუტურ იდეამდე).

თვისებრიობა და შეგრძნება (Empfindung) ერთი და იგივეაო, ამბობს ფოიერბახი. ყველაზე პირველი და ყველაზე დასაბამითი არის შეგრძნება, მასში კი გარდაუვალად თვისებრიობაც...

თუ მარქსმა არ დატოვა „ლოგიკა“ (ასომთავრულით), სამაგიეროდ მან დატოვა „კაპიტალის“ ლოგიკა, და საჭიროა ამის განსაკუთრებით გამოყენება მოცემული საკითხის მიმართ. V „კაპიტალში“ გამოყენებულია ერთი მეცნიერების მიმართ ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია მატერიალიზმისა [არაა საჭირო სამი სიტყვა: ეს ერთი და იგივეა], რომელმაც ყოველივე ძვირფასი ჭეგელისაგან აიღო და ეს ძვირფასი წინ წასწია.

საქონელი — ფული — კაპიტალი

წარმოება აბსოლუტური Mehrwert-ისა **

წარმოება შეფარდებითი Mehrwert-ისა

* — მიმართ. რ ე დ.

** — ზედმეტი ღირებულებისა. რ ე დ.

კაპიტალიზმის ისტორია და ანალიზი
ცნებებისა, რომელნიც ამ ისტორიას
რეზიუმეს უკეთებენ.

დასაწყისი — ყველაზე მარტივი, ჩვეულებრივი, მასობრივად თვალსაჩინო, უშუალო „ყოფიერება“: ცალკეული საქონელი („Sein“ პოლიტიკურ ეკონომიაში). ანალიზი მისი როგორც სოციალური ურთიერთობისა. ანალიზი ორგვარი, დედუქციური და ინდუქციური, — ლოგიკური და ისტორიული (ღირებულების ფორმები).

შემოწმება ფაქტებით respective * პრაქტიკით აქ არის ანალიზის ყოველნაბიჯში.

შეად. არსების საკითხისათვის versus მოვლენა

- ფასი და ღირებულება
- მოთხოვნა და მიწოდება versus Wert (=krystallisierte Arbeit) **
- ხელფასი და სამუშაო ძალის ფასი.

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — შესაბამისად. რ ე დ.

** — ღირებულება (=დაკრისტალეული შრომა). რ ე დ.

ჟორჟ სოელი: ჰეგელის ლოგიკა

პარიზი, 1897¹¹⁷

Bibliothèque de Genève, Ca, 1219

იბეჭდებოდა სტატიებად „Revue de Métaphysique et de Morale“-ში; რედაქცია Xavier Léon-ისა**.

ავტორი იდეალისტია და თანაც წევრილი. ჰეგელის მოყოლა, მისი დაცვა „თანამედროვე ფილოსოფოსებისაგან“, შედარება კანტთან etc. არაა საინტერესო. არაა ღრმა. არც ერთი სიტყვა არაა მატერიალისტურ დიალექტიკაზე: ავტორს, ალბათ, წარმოდგენა არა აქვს მასზე.

უნდა აღინიშნოს ჰეგელის ტერმინების თარგმანი:

Etre [ყოფიერება]*** — *Essence* [არსება] — *Notion* [ცნება]. (*Measure* etc. [ზომა]).

Devenir (*das Gewordene*) [ქცეული].

L'être déterminé (*Dasein*) [გარკვეული ყოფიერება: იქყოფნა].

Être pour un autre (*Sein-für-anderes*) [ყოფიერება სხვისთვის].

Quelque chose (*Etwas*) [რაღაც].

Limite (*Grenze*) [საზღვარი]

Borne (*Schranke*) [ზღუდე].

Devoir être (*Sollen*) [ჯერარსობა].

Être pour soi (*Für-sich-Sein*) [თავისთვის ყოფიერება].

* — «მეტაფიზიკისა და მორალის საკითხების მიმოხილვა». რ ე დ.

** — ქსავიე ლეონისა. რ ე დ.

*** — ფრანგული ტერმინები ვ. ი. ლენინს რუსულად არ უთარგმნია. მათი თარგმანი, კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული, ამ ტომის რუსული გამოცემის რედაქციას ეკუთვნის. ვიძლევი ამ ტერმინების სათანადო ქართულ თარგმანს, ქ ა რ თ. რ ე დ.

Existence hors de soi (Außer-sich-Sein)
 [თავის გარეშე ყოფიერება].
 La connaissance (das Erkennen) [შემე-
 ცნება]
 Actualité (Wirklichkeit) [სინამდვილე].
 Apparence (Schein) [მოჩვენებითობა].
 Être posé (Das Gesetzsein) [დადგენილი
 ყოფიერება].
 Position (setzende Reflexion) [დამდგენი
 რეფლექსია].
 Fondement ou raison d'être (Grund)
 [საფუძველი].
 L'universel (das Allgemeine) [საყოველ-
 თაო].
 Particulier (das Besondere) [განსაკუთ-
 რებული].
 Jugement (das Urteil) [მსჯელობა].
 Raisonnement ou Syllogisme (Schluß) [და-
 ნასკვი ანუ სილოგიზმი (დასკვნა)].

აღინიშნოს კიდევ ავტორის სასაცილო ცდებში გაამართლოს as it were * ჰეგელი „რეალიზმის“ (წაიკითხე: მატერიალიზმის) ბრალდებათაგან. ჰეგელისათვის «ფილოსოფია მთლიანად სილოგიზმს წარმოადგენს. და ამ სილოგიზმში ლოგიკა არის საყოველთაო, ბუნება — განსაკუთრებული, სული კი — ინდივიდუალური» (გვ. 123). ავტორი „აჩრჩევს“ (=ღუჭუჭის) ლოგიკის უკანასკნელ ფრაზებს იდეიდან ბუნებაზე გადასვლის შესახებ. გამოდის რომ გონება ბუნების მეშვეობით (ბუნებაში) შეიცნობს იდეას = კანონზომიერებას. აბსტრაქციებს etc... მიშველეთ, თითქმის მატერიალიზმია!...

«განიხილო ბუნება თავისთავად, ისე, რომ სულისაგან აბსტრაქცირება მოახდინო, — ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ამით ყველაზე გულუბრყვილო რეალიზმს დაუბრუნდე?» (გვ. 129).

«მართალია, როცა ჰეგელი ლოგიკასა და სულის ფილოსოფიას შორის ბუნების ფილო-

NB!

- NB სოფიას ურთავს, ამით იგი რეალიზმის თვალსაზრისზე დგება; მაგრამ აქ არავითარი არათანმიმდევრულობა არ არის მისი მხრით... ჰეგელის რეალიზმი მხოლოდ გარდამავალი საფეხურია. ეს არის თვალსაზრისი, რომელიც დაძლეულ უნდა იქნეს». (129)
- NB «რეალიზმი რომ შეფარდებითს ჰეგმარტიკებას შეიცავს, — ეს უდავოა. ესოდენ ბუნებრივი და საყოველთაო თვალსაზრისი შეუძლებელია ადამიანის სულის შემთხვევითი ცდომილება იყოს... რათა რეალიზმი დასძლიოს, მან» (la dialéctique *) «ჯერ უნდა მისცეს მას სრული განვითარება, და მხოლოდ ამნაირად დაამტკიცებს იდეალიზმის აუცილებლობას. აი რატომ მიაჩნია ჰეგელს დრო და სივრცე ბუნების ზოგად განსაზღვრებებად და არა გონების ფორმებად. მგონი, რომ ამ პუნქტში არ ეთანხმება იგი კანტს, მაგრამ ეს — მხოლოდ შესახედავად და სიტყვით...
- ...«ეს იძლევა იმის ახსნას, თუ რატომ ლაპარაკობს იგი» (ჰეგელი) «გრძნობად თვისებებზე, თითქოს ისინი რეალურად დამახასიათებელი იყვნენ სხეულისათვის. საკვირველია, რომ ბ-ნი ვუნდტი ამის გამო ბრალსა სდებს მას უვიცობაში. ნუთუ სწავლული ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ჰეგელს არასოდეს არ წაუყიობავს დეკარტი, ლოკი ანდა კანტიც კი? თუ იგი რეალისტია, ეს არის არა უვიცობის გამო, არა უთანამიმდევრობის გამო, არამედ მხოლოდ გარდამავალი მდგომარეობის სახით და მეთოდს რომ მისდევს». (130)
- NB ადარებს რა ჰეგელს სპინოზას, ავტორი ამბობს: «ამრიგად, ჰეგელი და სპინოზა ერთნაირად უქვემდებარებენ ბუნებას ლოგიკას» (გვ. 140), მაგრამ ჰეგელისათვისო ლოგიკა არის ლოგიკა არა მათემატიკური, არამედ ლოგიკა წინააღმდეგობათა, გადასვლისა „წმინდა აბსტრაქციიდან რეალობაზე“ (etc.). სპინოზასთანო «მასთან» (Spinosა) «ჩვენ აღმოვჩნდებით იდეალიზმის ანტიპოდებთან»
- ??!!
- NB ჰეგელი = „რეალისტი“
- NB

* — დიალექტიკა. რ ე დ.

(138); ვინაიდან «სულთა სამყარო» (სპინოზას თანახმად) «სხეულთა სამყაროზე ზევით კი არ დგას, არამედ ამ სამყაროს გვერდით იმყოფება»...

...«განვითარების იდეა, ესოდენ დამახასიათებელი პეგელელობისათვის, მოკლებულია აზრს სპინოზასათვის»... (138)

პეგელი ავითარებს პლატონის დიალექტიკას («პლატონთან ერთად აღიარებს დაპირისპირებულობათა აუცილებელ თანაარსებობას» 140) — პეგელთან ახლოსაა ლაიბნიცი. (141)

ნოელი იცავს პეგელს პანთეიზმში ბრალის დადებისაგან... (აი როგორაა დასაბუთებული ეს ბრალდებაო):

...«რა არის აბსოლუტური სული, — ეს მწვერვალი მისი» (პეგელისეული) «დიალექტიკისა, — თუ არა იდეალიზებული და გაღმერთებული ადამიანის სული? არსებობს კი მისი ღმერთი სადმე, გარდა ბუნებისა და კაცობრიობისა?» (142)

ნოელის „დაცვა“ მდგომარეობს იმის ხაზგასმით აღნიშვნაში (დალექვაში), რომ პეგელი იდეალისტია.

„დოგმატიკოსი“ ხომ არაა პეგელი? (თავი VI: «პეგელის დოგმატიზმი»). დიახ, არ ასკეპტიციზმის აზრით, ძველები აზრით (გვ. 147). მაგრამ კანტთან ეს = შეცნობადობა „ნივთებისა თავისთავად“. პეგელი (როგორც ფიხტეც) უარყოფს ნივთებს თავისთავად.

კანტს აქვს „აგნოსტიკური რეალიზმი“ (გვ. 148 i. f.).

...«კანტი განსაზღვრავს დოგმატიზმს აგნოსტიციზმის თვალსაზრისით. დოგმატიკოსია ის, ვისაც შესაძლებლად მიაჩნია განსაზღვროს ნივთი თავისთავად, შეიცნოს შეუცნობადი. სხვათა შორის, დოგმატიზმს შეუძლია ორგვარი ფორმა მიიღოს»... (149) ან მისტიციზმიო, ანღაო

პეგელი არაა „სკეპტიკოსი“

NB

კანტი აგნოსტიკოსი

NB
მატერიალის-
ტები = „დოგ-
მატიკოსები“

...«მას შეუძლია აგრეთვე გულუბრყვი-
ლოდ აღიაროს გრძნობადი სინამდვილე
აბსოლუტურ სინამდვილედ, გააიგივოს
ფენომენი და ნოუმენი. მაშინ ჩვენ საქმე
გვაქვს ემპირიულ დოგმატიზმთან, იმ
ობივატელთა და სწავლულთა დოგმა-
ტიზმთან, რომელნიც უცხონი არიან
ფილოსოფიისათვის. მატერიალისტები
უშვებენ ამ მეორე შეცდომას; პირველი
შეცდომა, — ეს არის პლატონის, დეკარ-
ტისა და მათი მოწაფეების შეცდომა»...

ჰეგელს დოგმატიზმის ნიშანკვალიც კი არა
აქვსო, რადგან «მას, რა თქმა უნდა, ვერ დას-
დებენ ბრალად იმას, რომ იგი არ აღიარებს
ნივთების ფარდობითობას აზრთან, ვინაიდან
მთელი მისი სისტემა ამ პრინციპზეა დამყარე-
ბული. ვერ დასდებენ მას ბრალად აგრეთვე
იმასაც, რომ იგი კატეგორიებს განურჩევლად
და უკრიტიკოდ იყენებს. განა მისი ლოგიკა
სწორედ კატეგორიათა კრიტიკა არაა, — კრი-
ტიკა, გაცილებით უფრო ღრმა, ვიდრე კანტის
კრიტიკა?» (150)

NB

...«ცხადია, უარყოფს რა ნოუმენებს, იგი»
(Hegel) «ამით სინამდვილეს ათავსებს ფენო-
მენში¹¹⁸, მაგრამ ეს სინამდვილე ფენომენში
როგორც ასეთში — არის მხოლოდ უშუალო
სინამდვილე, მაშასადამე, შეფარდებითი და
შინაგანად არასრული. ჰეგელი სინამდვი-
ლეს იგი წარმოადგენს მხოლოდ ნაგულისხმე-
ვი აზრით და თავისი შემდგომი განვითარების
პირობებში»... (151)

არა უშავს რა!

...«თუმცაღა, გონებით საწვდომსა და
გრძნობადს შორის არ არის აბსოლუტური და-
პირისპირებულობა, არ არის გათიშვა, არ არის
გაუშვალი უფსკრული. გრძნობადი არის გონე-
ბით საწვდომი, რომელიც გრძნობითაა წინას-
წარ შეტყობინებული, გონებით საწვდომი
არის გაგებული გრძნობადი»... (152)

(შენც კი, უხამსო იდეალისტო, ჰეგელი ზოგ
რამეში გამოგადგა!)

...«გრძნობადი ყოფიერება, თავისი აზრის

მიხედვით, შეიცავს აბსოლუტურს, და ჩვენც უწყვეტი თანდათანობის მეშვეობით ავდივართ პირველიდან მეორეზე». (153)

...«ამრიგად, რაც არ უნდა ილაპარაკონ, კანტის ფილოსოფიას ახასიათებს მისტიკური დოგმატიზმის ძირითადი მანკი. ჩვენ ვპოულობთ მასში ამ დოქტრინის ორ დამახასიათებელ ნიშანს: გრძნობადისა და ზეგრძნობადის აბსოლუტურ დაპირისპირებას და უშუალო გადასვლას ერთიდან მეორეზე». (156)

VII თავში: «ჰეგელი და თანამედროვე აზრი» ნოელი იღებს ოგიუსტ კონტის (Konté) პოზიტივიზმს და, არჩევს რა ამ უკანასკნელს, მას «აგნოსტიკურ სისტემას» უწოდებს. (166)

(I d. 169: «პოზიტივისტური აგნოსტიციზმი»)

აკრიტიკებს რა პოზიტივიზმს, როგორც აგნოსტიციზმს, ავტორი ზოგჯერ გვარიანად სცხებს მას ნახევრულობისათვის, — ამბობს რა, მაგალითად, რომ კანონების წყაროს საკითხს ანუ ფაქტებში „მუდმივობას“ („des faits permanents“ *, 170) თავიდან ვერ აცილებო.

...«იმისდა მიხედვით, აღიარებ მათ» (les faits permanents) «შეუცნობად თუ შეცნობად ფაქტებად, მიდიხარ ან აგნოსტიციზმამდე ან დოგმატურ ფილოსოფიამდე»... (170 i. f.)

ბ-ნ Renouvier-ის ** ნეოკრიტიციზმი არისო ეკლექტიზმი, საშუალო «პოზიტივისტურ ფენომენალიზმსა და საკუთრივ კანტელობას შორის». (175)

ლაყბობს რა მორალზე, თავისუფლებაზე etc., ნოელი, ჰეგელის გამაუხამსებელი, სრულიად არაფერს არ ლაპარაკობს თავისუფლებაზე როგორც აუცილებლობის გაგებაზე.

პოზიტივიზმი = აგნოსტიციზმი

ჰეგელის ფრანგული თარგმანები: Véra *: ლოგია, სულის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, ბუნების ფილოსოფია;

Ch. Bénard **. ესთეტიკა და პოეტიკა.

თხზულებანი ჰეგელიზმის შესახებ:

E. Beaussire: Antécédents de l'hégélianisme ***.

P. Janet: La dialectique dans Hégel et dans Platon****. 1860.

Mariano: La Philosophie contemporaine en Italie*****.

Véra: Introduction à la Philosophie de Hegel*****.

დაწერილია 1915 წელს

პირველად დაბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — ვერა. რედ.

** — შ. ბენარდი. რედ.

*** — ე. ბოსიარი: ჰეგელელობის წინამორბედნი. რედ.

**** — პ. ჟანე: დიალექტიკა ჰეგელთან და პლატონთან. რედ.

***** — მარიანო: თანამედროვე ფილოსოფია იტალიაში.

რედ.

***** — ვერა: ჰეგელის ფილოსოფიის შესავალი. რედ.

**ჟ. პერენი. «ტრაქტატი ფიზიკური ქიმიის
შესახებ. პრინციპები»**

პარიზი, 1908 119

აღნიშნოს J. Perrin: „Traité de chimie physique. Les principes“ (300 გვ.). პარიზი, 1903. აბელ რეის რეცენზია „Revue Philosophique“-ში*, 1904, 1, სათაურით: «ფიზიკური ქიმიის ფილოსოფიური პრინციპები». (პერენი განიხილავს ძალის etc., მიზეზის etc., ენერჯიის etc. ცნებებს — წინააღმდეგია იმისა, რომ «ენერჯია იღუმალ არსებად მივიჩნიოთ» (401 გვ.)... აბელ რეი პერენს უწოდებს «ნეოსკეპტიკურ სისტემათა» მოწინააღმდეგეს).

დაწერილია 1914 წელს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — «ფილოსოფიურ მიმოხილვაში». რ ე დ.

PETER GENOFF. «FEUERBACHS
ERKENNTNISTHEORIE UND METAPHYSIK»
ZÜRICH. 1911 (BERNER DISSERTATION) (S. 89)

Landesbibliothek

ეს, წმინდა მოწაფური, ნაშრომი შედგება თითქმის მართოდენ ციტატებისაგან, რომლებიც აღებულია ფოიერბახის თხზულებებიდან [იოდლის გამოცემის მიხედვით]. იგი შეიძლება სასარგებლო იყოს მხოლოდ როგორც ციტატების კრებული, და ისიც არა სრული.

თემა ავტორს სრულიადაც არა აქვს დამუშავებული

უმაჯობესად ავტორს ციტატები მოჰყავს II ტომიდან განსაკუთრებით Thesen und Grundsätze, შემდეგ Wider den Dualismus.

X, განსაკუთრებით Über Spiritualismus und Materialismus.

N B V I I I, Vorlesungen über das Wesen der Religion (ფოიერბახი თვითონ წერდა 1848 წელს, რომ ეს უფრო მომწიფებული ნაშრომია მისი, ვიდრე „ქრისტიანობის არსება“, რომელიც გამოვიდა 1841 წელს) [VIII, SS. 26, 29; 102—109; 288; 329 და სხვ.]

VII. Das Wesen der Religion (1845: ფოიერბახს მიაჩნია, რომ იგი მნიშვნელოვანია).

IV. „Leibniz“ 1847 წ. შენიშვნებით. (N B) [IV. SS. 261; 197; 190—191; 274].

VII. დამატებანი შრომისადმი Wesen des Christentums.

ავტორს ციტატები მოჰყავს (ფოიერბახის შესაფერისად):
Ebbinghaus: Experimentale Psychologie, SS. 110
und 45.

Fr. Jodl: Lehrbuch der Psychologie, S. 403.

A. Forel: Gehirn und Seele, X Auflage, S. 14.

**კატრა გენოვი. «ფოიერბახის უმეცნეობის
თეორია და მატაფიზიკა»**

ციურხის. 1911 (გარეული დისკრატია) (89 გვ.)¹²⁰

Landesbibliothek

ეს, წმინდა მოწაფური, ნაშრომი შედგება თითქმის მარტოოდენ ციტატებისაგან, რომლებიც აღებულია ფოიერბახის თხზულებებიდან [იოდლის გამოცემის მიხედვით]. იგი შეიძლება სასარგებლო იყოს მხოლოდ როგორც ციტატების კრებული, და ისიც არა სრული.

[თემა ავტორს სრულიადაც არა აქვს დამუშავებული]

უმთავრესად ავტორს მოჰყავს ციტატები

II ტომიდან განსაკუთრებით თეზისები და პრინციპები, შემდეგ დუალიზმის წინააღმდეგ¹²¹.

X, განსაკუთრებით სპირიტუალიზმისა და მატერიალიზმის შესახებ.

N B VIII. ლექციები რელიგიის არსების შესახებ (ფოიერბახი თვითონ წერდა 1848 წელს, რომ ეს არის მისი უფრო მომწიფებული ნაშრომი, ვიდრე „ქრისტიანობის არსება“, რომელიც 1841 წელს გამოვიდა) [VIII, გვ. 26, 29; 102—109; 288; 329 და სხვ.].

VII. რელიგიის არსება (1845: ფოიერბახს მიანიხნია, რომ იგი მნიშვნელოვანია).

IV. «ლაიბნიცი» 1847 წლის შენიშვნებით. (N B) [IV, გვ. 261; 197; 190—191; 274].

VII. დამატებანი ქრისტიანობის არსების აღმ.

ავტორს ციტატები მოჰყავს (ფოიერბახის შესაფერისად) ბინგჰაუზი: ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, გვ. 110 და 45.

ფრ. იოდლი: ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო, გვ. 403.

ა. ფორელი: ტვინი და სული, X გამოცემა, გვ. 14.

Lange (II Buch, S. 104) ფოიერბახის წინააღმდეგ აშკარად არაა მართალი (S. 83 და 88), ამახინჯებს (და უარყოფს) რა ფოიერბახის მატერიალიზმს.

დასაწყისში ავტორი იძლევა ნარკვევს ფოიერბახის ფილოსოფიური განვითარებიდან, — „Todesgedanken“ (1830) — ჯერ კიდევ ჰეგელელი; „Der Schriftsteller und der Mensch“* (1834) — განხეთქილების დასაწყისი; „Kritik des Antihegel“ (1835) — ჰეგელის მტრების წინააღმდეგ, მაგრამ არა ჰეგელის დასაცავად (შეადარეთო Grün, Bd. II, 409; I, 390 და 398). — ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა** (1839). — „ქრისტიანობის არსება“ (1841) — განხეთქილება — „მომავლის ფილოსოფიის თეზისები და პრინციპები“ (1842 და 1843). — რელიგიის არსება (1845). — ლექციები რელიგიის არსების შესახებ (1847).

* აქ ავტორი იყო „არა პანთეისტი, არამედ პოლითეისტი“ (გვ. 15); „უფრო ლაიბნიცელი, ვიდრე ჰეგელელი“ (გვ. 15).

** ფოიერბახის წიგნების გერმანული სახელწოდებანი: «Kritik der Hegelschen Philosophie»; «Wesen des Christentums»; «Vorläufige Thesen zur Reform der Philosophie»; «Grundsätze der Philosophie der Zukunft»; «Wesen der Religion»; «Vorlesungen über das Wesen der Religion». რ ე დ.

ლანგე¹²² (II წიგნი, გვ. 104) ფოიერბახის წინააღმდეგ აშკარად არაა მართალი (გვ. 83 და 88), ამახინჯებს (და უარყოფს) რა ფოიერბახის მატერიალიზმს.

დასაწყისში ავტორი იძლევა ნარკვევს ფოიერბახის ფილოსოფიური განვითარებიდან, — «ფიქრები სიკვდილზე» (1830)— ჯერ კიდევ ჰეგელელი; «მწერალი და ადამიანი» * (1834)— განხეთქილების დასაწყისი; «კრიტიკა ანტი-ჰეგელისა» (1835)— ჰეგელის მტრების წინააღმდეგ, მაგრამ არა ჰეგელის დასაცავად (შეადარეთო გრიუნი¹²³, ტომი II, 409; I, 390 და 398). — ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა (1839). «ქრისტიანობის არსება» (1841) — განხეთქილება — «მომავლის ფილოსოფიის თეზისები და პრინციპები» (1842 და 1843). — რელიგიის არსება (1845). — ლექციები რელიგიის არსების შესახებ (1847).

დაწერილია 1914 წლის 29—30 დეკემბერს

პარველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* აქ ავტორი იყო „არა პანთეისტი, არამედ პოლითეისტი“ (გვ. 15); „უფრო ლაიბნიცელი, ვიდრე ჰეგელელი“ (გვ. 15).

პაულ ფოლკმანი.
«ბუნების მეცნიერებათა თეორიულ-შემეცნებითი
საფუძვლები»

«მეცნიერება და ჰიპოთეზა», IX) 82-2 გამოცემა. ლაიპციგი, 1910 124

(Nat. IV. 171 ბერნის ბიბლიოთეკაში)

ავტორი ეკლექტიკოსი და უხამსია ფილოსოფიაში, განსაკუთრებით, როცა ლაპარაკობს ჰეგელის წინააღმდეგ, ბოკლის შესახებ etc. etc. მაგრამ გადახრა მაინც მატერიალისტურია, მაგალითად, გვ. 35 * [40] ** — «საკითხი, ჩვენ მივაწერთ ბუნებას ცნებებს თუ ბუნება მოგვაწერს ჩვენ» — ორივე თვალსაზრისის შეერთებააო. მ ა ხ ი მართალიაო (გვ. 38 [43]), მაგრამ მე ვუპირისპირებ მას (მახის თვალსაზრისს) „ობიექტურ“ თვალსაზრისს:

«ამრიგად, მე მიმაჩნია, რომ ლოგიკას ჩვენში აქვს თავისი ამოსავალი საწყისი ჩვენს გარეშე საგანთა კანონზომიერ დინებაში, რომ ბუნების პროცესების გარეგანი აუცილებლობა არის პირველი და ყველაზე ნამდვილი ჩვენი მასწავლებელი» (გვ. 39 [43]).

ილაშქრებს ფენომენოლოგიისა და თანამედროვე მონიზმის წინააღმდეგ, — მაგრამ სრულიად არ ესმის მატერიალისტური და იდეალისტური ფილოსოფიის დ ე დ ა ა რ ს ი. არსებითად, საქმე დაჰყავს ბუნებისმეტყველების „მეთოდებამდე“ ზოგად-პოზიტივისტური მიმართულებით. ისიც კი არ შეუძლია, რომ დააყენოს საკითხი კაცობრიობის ცნობიერების (და შეგრძნებათა) გ ა რ ე შ ე ბუნების ობიექტური რეალობის შესახებ.

დაწერილია 1915 წელს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
 ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* *Volkman, P.* Erkenntnistheoretische Grundzüge der Naturwissenschaften. Leipzig -- Berlin, 1910. რ ე დ.

** *Фолькман, П.* Теория познания естественных наук. СПб. 1911. რ ე დ.

მაქს შერპორნი. «ბიოგენური ჰიპოთეზა»

იანა, 1903 125

(Med. 5218)

ავტორი ავითარებს სპეციალურ თემას „ცოცხალი სუბსტანციის“ შესახებ და მასში ნივთიერებათა ქიმიური ცვლის შესახებ. სპეციალური თემა.

შედ. გვ. 9*,
განსაზღვრა
სიტყვისა
„Enzyme“ 128

არის ამ საკითხზე ლიტერატურის საძიებელი.

გვ. 112 — „სამუშაო ჰიპოთეზა“ ამაშია დედარსიო. მაგალითად, XIX საუკუნის მატერიალიზმმა დიდი სარგებლობა მოუტანა ბუნების მეცნიერებას, — მაგრამ ამჟამად «არც ერთი ფილოსოფოსი-ბუნებისმეტყველი აღარ ჩათვლის უკვე მატერიალისტურ გაგებას შესაფერისად». (112) მარადიული ჭეშმარიტებანი არ არის. იდეათა მნიშვნელობა, მათი Fruchtbarkeit **, როლი მათი როგორც „ფერმენტისა“, — «რომელიც ქმნის და მოქმედებს». (113)

[დამახასიათებელია აქ გულუბრყვილო გამოხატვა იმ შეხედულებისა, რომ „მატერიალიზმი“ ხელს გვიშლის! არავითარი წარმოდგენა დიალექტიკურ მატერიალიზმზე და სრული უუნარობა იმისა, რომ განასხვავოს მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფია, — მოცემული დროის იმობივატელთა ცალკეულ, დახვედრებულ შეხედულებათაგან, რომელნიც თავიანთ თავს მატერიალისტებს უწოდებენ].

* Verworn, M. Die Biogenhypothese. Jena, 1903. რ ე დ.

** — ნაყოფიერება. რ ე დ.

ავტორის მიზანია — «სიცოცხლის მოვლენათა მექანიკური ანალიზი» (გვ. 1, წინასიტყვაობა) — მითითება „Allgemeine Physiologie“-ს * უკანასკნელ თავზე.

«ცოცხალი ცილის» (გვ. 25) ნაცვლად — ბუნდოვანი ცნებაო, ნაცვლად «ცოცხალი ცილოვანი მოლეკულისა» («რადგან მოლეკულა არ შეიძლება ცოცხალი იყოს») ავტორი წინადადებას იძლევა ვილაპარაკოთ «ბიოგენმოლეკულაზე». (25)

გარდაქმნა ქიმიურისა სასიცოცხლო რაიმედ — აი, ჩანს, რაშია დედაარსი. იმისათვის, რომ უფრო თავისუფლად ვიმოძრაოთ ამ ახალში, ჯერ კიდევ ბურუსით მოცულში, ჰიპოთეზურში, ძირს „მატერიალიზმი“, ძირს დამაკავშირებელი ძველი იდეები („მოლეკულა“), ვუწოდოთ ახლებურად (ბიოგენი), რათა უფრო თავისუფლად ვეძიოთ ახალი ცოდნა! N B. ფიზიკაში და ბუნებისმეტყველებაში საერთოდ თანამედროვე იდეალიზმის წყაროებისა და ცხოველმყოფელი მამოძრავებელი მოტივების საკითხისათვის.

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — «ზოგადი ფიზიოლოგიის». რ ე დ.

ფრ. დანემანი. «როგორ იქმნებოდა სამყაროს ჩვენი სურათი?»

(კოსმოსი). შტუტგარტი, 1912 127

(Nat. XII. 456)

ავტორი ამ ბროშურაში რეზიუმესავით უკეთებს თავის
* ტომიან ნაშრომს: *Naturwissenschaften in ihrer Entwicklung und in ihrem Zusammenhange* *..... ((ბევრი პოპულარობა ნაა...))

ძველი ეგვიპტიდან ჩვენს დრომდე კულტურის განვითარების დაახლოებით 5 000 წელია. ჰომეროსის მიხედვით, დედამიწა — ეს არის ხმელთაშუა ზღვა და ირგვლივმდებარე ქვეყნები, მხოლოდ. (გვ. 8) **

ეგვიპტეში ნათელი ღამეები აადვილებდა ასტრონომიაზე მუშაობას. აკვირდებოდნენ ვარსკვლავებს და მათ მოძრაობას, მთვარეს etc.

თავდაპირველად თვეს ითვლიდნენ 30 დღით, წელიწადს 360-ით (გვ. 31 [19] ***). ძველი ეგვიპტელები წელიწადს უკვე 365 დღით განსაზღვრავდნენ. (გვ. 32 [19]) ერატოსთენე (276 ქრ. დაბ-მდე) დედამიწის წრეწირს განსაზღვრავდა 250 000 „სტადიით“ = 45 000 კილომეტრი (ნაცვლად 40 000-ისა).

არისტარქე მიმხვდარი იყო, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს, გვ. 37 [23] (1800 წელი კოპერნიკამდე, 1473—1543). (III საუკ. ქრ. დაბ-მდე). მას მიაჩნდა, რომ მთვარე 30-ჯერ (ნაცვლად 48-ისა) უფრო პატარაა დედამიწაზე, მზე კი 300-ჯერ (ნაცვლად 1 300 000-ისა) უფრო დიდია დედამიწაზე...

ავტორი დაუდევრად, მედიდურად, ფელეტონურად მოხაზავს ფილოსოფიურ საკითხებს, უხამსია.

წიგნაკი არც ძმარია, არც წყალი: ფილოსოფიური წიგნისათვის დაუდევრადაა, სიტყვების რაზარუხნია, წვრილმანია, უხამსია; — პოპულარულისთვის პრეტენციოზუ-ლია.

* — «ბუნების მეცნიერებანი მათს განვითარებასა და ურთაერთკავშირში». რედ.

** D annemann, Fr. *Wie unser Weltbild entstand?* Stuttgart, 1912. რედ.

*** Даннеман. фр. как создавалась наша картина мира. Петроград. 1920. რედ.

პტოლომეს სისტემა (II
საუკ. ქრ. დაბ. შემდეგ.)

XV საუკ.: ასტრონომიის
გამოცოცხლება — კავშირი
ზღვაოსნობასთან.

კოპერნიკი (1473—1543):
ჰელიოცენტრული სისტემა.
წრეები (არა ელიფსები).

((მხოლოდ XIX საუკ. 1/2-
ში გაუმჯობესებულმა სა-
ზომმა ხელსაწყოებმა დაამ-
ტკიცა უმოძრაო ვარსკვლავ-
თა სახის შეცვლა))

გალილეი — (1564—1642).

კეპლერი — (1571—1630).

ნიუტონი — (1643—1727).

ტელესკოპი დედამიწის
და ა. შ. ჩაზნექილობა
(20 მილიონ პოლუსებთან
ვარსკვლავზე 1/229 დიამეტ-
რის აღმოჩენა etc.))
რით ნაცვლად
1/299-ისა]

პითაგორა (VI საუკ.
ქრისტ. დაბ-მდე) სამყაროს
მართავს რიცხვი და ზომა...

4 ელემენტი, ნივთიერება
ძველ ფილოსოფოსებთან:
დედამიწა, ცეცხლი, წყალი,
ჰაერი...

დემოკრიტე (V საუკ.
ქრისტ. დაბ-მდე):

ატომები...

XVII საუკუნე: ქიმიური
ელემენტები.

სპექტრალური ანალიზი
(1860)

ელექტრობა etc.

ძალის მუდმივობის კა-
ნონი.

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ლუდვიგ ღარმუტაღტარი. «ბუნების მეცნიერებათა
და ტექნიკის ისტორიის სახელმძღვანელო»

ბერლინი, 1908, მე-2 გამოცემა 128

(Leseaal in der Landesbibliothek)

სინათლის სისწრაფის განსაზღვრა:

1676: Olaf Rømer* (იუპიტერის დაბნელებათა მიხედვით): 40000 გეოგრ. მილი (ნაკლები . . . 300 000 კმ.) 1 სეკუნდში (ნაკლები . . . 298 000 კმ.)			
1849: Fizeau** (კბილანა თვლები და სარკეები): 42 219 გეოგრ. მილი = 313 000 > — > —			
1854: Foucault*** (2 ტრიალა სარკე etc.): 40 160 გეოგრ. მილი = 298 000 > — > —			
1874: Alfred Cornu (à la Fizeau)**** eau)**** { 300 400 > — > — 300 330 > — > —			
1902: Perrotin***** (id.) 299 900 (± 80 მ.) > —			

დაწერილია 1915 წელს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — ოლაფ რემერი. რ ე დ.

** — ფიზო. რ ე დ.

*** — ფუკო. რ ე დ.

**** — ალფრედ კორნიუ (ფიზოს სისტემის მიხედვით). რ ე დ.

***** — პეროტენი. რ ე დ.

ნაკოლეონი. «აზრები»

პარიზი, 1918, მინიატურული ბიბლიოთეკა № 14 129

(Landesbibliothek)

NB

«ზარბაზანმა მოკლა ფეოდალიზმი. მელანი მოკლავს ახლანდელ საზოგადოებრივ წყობილებას (გვ. 43)...

— — — ყოველ ბრძოლაში არის ხოლმე მომენტი, როცა ყველაზე მამაცი ჯარისკაცები, უდიდესი დაცხების შემდეგ, გაქცევის სურვილს გრძნობენ; ამ პანიკას წარმოშობს თავისი ვაჟკაცობისადმი რწმენის უქონლობა; უმნიშვნელო შემთხვევა, რაიმე საბაბი საკმარისია, რათა მათ ეს რწმენა დავუბრუნოთ: მაღალი ხელოვნება იმაშია, რომ შევქმნათ ასეთი შემთხვევები» (გვ. 79—80).

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვითა

**არტურ ერის ჰაასი. «ელინიზმის სული
თანამედროვე ფიზიკაში»**

ლაიპციგი, 1914 (32 გვ.) (შაიტი და კოპა.) 130

რეცენზია «Kant-Studien»-ში, 1914 № 3 (ტ. XIX),
გვ. 391—392, ავტორიო ფიზიკის ისტორიის პროფესორი (ამ
ისტორიას P. Volkmann * ყურადღებას აქცევს განსაკუთრე-
ბით) ხაზს უსვამსო ჰერაკლიტესა და Thomson'-ის ** განსა-
კუთრებულ კავშირს etc. etc.

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს აბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
ლენინის XII კრებულში

* — პ. ფოლკმანი. რ ე დ.

** — ტომსონის. რ ე დ.

**თეოდორე ლიკსი: «ბუნებრივმატყველება
და მსოფლმხედველობა»¹³¹**

(სიტყვა, წარმოთქმული ვერმანელ ბუნებრივმატყველთა 78-ე
ყრილობაზე შტუტგარტში)
ჰაიდელბერგი, 1906

(ბერნის ბიბლიოთეკა. Nat. Varia. 160)

კანტიანურ-ფიხტეანური ყაიდის იდეალისტი, რომელიც
ზაზვასმით აღნიშნავს, რომ იდეალიზმის სულისკვეთების შე-
საფერისად მუშაობს ფენომენოლოგიაც. (უახლესი — «მხო-
ლოდ მოვლენები». გვ. 40), ენერგეტიკაც და ვიტალიზმიც (ib.).

მატერია — x

«მატერიალურობა» — «გამოხატვის პირობითი საშუალე-
ბა»... (გვ. 35)

«ბუნება არის სულის პროდუქტი» (37) etc.

«ერთი სიტყვით, მატერიალიზმი, უწინარეს ყოვლისა, სხვა
არაფერია, თუ არა ახალი სახელწოდება ბუნებისმეტყველების
ამოცანისათვის». (32)

დაწერილია 1915 წელს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კონსპექტი ლასალის წიგნისა
«ეფესელი ჰერაკლიტი ბნელის
ფილოსოფია»¹³²

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XLI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ფ. ლასალი. «ეფესელი ჰერაკლიტი ბნელის
ფილოსოფია» 2 ტომი. ბერლინი, 1858 (გვ. 379+479)
(Bern: Log. 119. 1)

ეპიგრაფში, სხვათა შორის, მო-
ყვანილია სიტყვები ჰეგელიდან —
მისი ფილოსოფიის ისტორიი-
დან — რომ არ არის ჰერაკლიტეს
არც ერთი დებულება, რომელიც
მას არ შეეტანოს თავის ლოგიკაში.

ჰეგელი. თხზულებანი, ტომი
XIII, გვ. 328 * [246] **.
ჩემი ციტატი Vorlesungen
über die Geschichte der Phi-
losophie ***.

გასაგებია, თუ რატომ უწოდა მარქსმა ლა-
სალის ამ თხზულებას „მოწაფური“ (იხ. წერი-
ლი ენგელსისადმი...¹³³): ლასალი უბრალოდ
იმეორებს ჰეგელს, გადმოსწერს
მას, მილიონჯერ გადადევნებს ჰერაკლი-
ტეს ცალკეული ადგილების შესახებ, ავსებს
რა თავის შრომას აუარება უადრესად სწავ-
ლული, გელერტერული-არქი. ბალასტით.

განსხვავება Marx'-ისაგან: Marx'-ს აქვს
აუარება ახალი და მას აინტერესებს მხო-
ლოდ წინსვლა ჰეგელიდან და ფოიერბახიდან
უფრო შორს, იდეალისტური დიალექტი-
კიდან მატერიალისტურისაკენ. ლასალს აქვს

* Hegel. Werke, Bd. XIII, Berlin, 1833. რ. ე. დ.

** Гегель. Сочинения, т. IX, Партиздат, 1932. რ. ე. დ.

*** იგულისხმება კონსპექტი ჰეგელის შრომისა «ლექციები ფილოსო-
ფიის ისტორიაზე», სადაც ვ. ი. ლენინს ეს ციტატი მოჰყავს. (იხ. ეს ტომი,
გვ. 266). რ. ე. დ.

ჰეგელის გადაღეჭვა აღებულ კერძო თემაზე: არსებითად, ჰეგელის გადმოწერა ჰერაკლიტედან და ჰერაკლიტეს გარშემო ციტატების შესახებ.

ლასალმა თავისი შრომა ორ ნაწილად გაყო: «ზოგადი ნაწილი. შესავალი» (ტ. I, გვ. 1—68) და «ისტორიული ნაწილი. ფრაგმენტები და დამოწმებანი» (დანარჩენი). თავი III ზოგად ნაწილში: «ჰერაკლიტეს სისტემის მოკლე ლოგიკური განვითარება» (45—68 გვ.) — იძლევა ლასალის მეთოდის — დასკვნების კვინტესენციას. ეს თავი — წმინდა გადმოწერაა, მონური განმეორებაა ჰეგელისა ჰერაკლიტეს შესახებ! სწავლულობა აქაც (და კიდევ უფრო მეტად ისტორიულ ნაწილში) უამრავია, მაგრამ ეს სწავლულობა დაბალი ხარისხისაა: ამოცანა მისცეს — გამოძებნოს ჰეგელისეული ჰერაკლიტეში. Strebsamer* მოსწავლე „ბრწყინვალედ“ ასრულებს მას, გადაიკითხა რა ყველა ძველ (და ახალ) მწერლებთან ყველაფერი ჰერაკლიტეს შესახებ და განმარტავს რა ყველაფერს ჰეგელისნაირად.

Marx-ი 1844—1847 წლებში წავიდა ჰეგელიდან ფოიერბახისაკენ და ფოიერბახზე უფრო შორს ისტორიული (და დიალექტიკური) მატერიალიზმისაკენ. ლასალმა 1846 წელს დაიწყო (წინასიტყვაობა, გვ. III), 1855 წელს განაახლა და 1857 წლის VIII-ში (წინასიტყვაობა, XV) დაამთავრა ჰეგელელობის შიშველ, ცარიელ, უმაქნის, გელერტერულ გადაღეჭვან მუშაობა!

II ნაწილის ცალკეული თავები საინტერესოა და საკმაოდ სასარგებლო მხოლოდ ჰერაკლიტედან ამოღებული ნაწყვეტების თარგმანებისა და ჰეგელის პოპულარიზაციის გამო, მაგრამ ეს როდი სპობს ყველა აღნიშნულ ნაკლს.

ზოგჯერ პირდაპირ საუცხოოა თავისი ბავშვური გულუბრყვილობით ძველებისა

* — მუყაითი რ ე დ.

და ჰერაკლიტეს ფილოსოფია, მაგალითად, გვ. 162 — «რით აიხსნება, რომ იმათ შარდს, ვინც ნიორი ჭამა *, ნივრის სუნი უდის?»

და პასუხი:

«იმით ხომ არა, რომ, როგორც ჰერაკლიტეს ზოგიერთი მიმდევარი ამბობს, გარდაქმნის ერთი და იგივე ცეცხლოვანი პროცესი ხდება როგორც სამყაროში, ისე (ორგანულ) სხეულებშიც, ხოლო გაცივების შემდეგ იქ (სამყაროში) გამოდის როგორც სინოტივე, აქ კი ღებულობს შარდის ფორმას, ხოლო გარდაქმნა ($\alpha\nu\alpha\theta\upsilon\mu\iota\text{-}\alpha\sigma\iota\varsigma^*$) საჭმლიდან იმის სუნს აძლევს, რისგანაც იგი მასთან შერევის შედეგად წარმოიშვა?»... (162—163)

221 ff. *** გვერდებზე ლასალს ციტატები მოჰყავს პლუტარქედან, რომელიც ჰერაკლიტეზე ლაპარაკობს: ...«როგორც ცეცხლიდან ყველაფერი იქმნება გარდაქმნის გზით, ასევე ცეცხლიც იქმნება ყველაფრიდან, მსგავსად იმისა, როგორც ოქროში ვლებულობთ ნივთებს, ნივთებში კი — ოქროს»...

ჰერაკლიტე
ოქროსა და
საქონლის
შესახებ

ამის გამო ლასალი ლაპარაკობს ღირებულებაზე (Werth) (გვ. 223 NB) და Function des Geldes **** შესახებ, ავითარებს რა მას ჰეგელისებურად (როგორც «გამოყოფილ აბსტრაქტულ ერთიანობას») და უმატებს რა: ...«რომ ეს ერთიანობა, ფული, არ წარმოადგენს რაიმე ნამდვილს, არამედ რაღაც მხოლოდ იდეალური (ხაზგასმა ლასალისაა), ჩანს იქიდან“ etc. ...

არაა სწორი
(ლასალის
იდეალიზმი)

(მაგრამ მაინც NB, რომ ეს წერია წიგნში, რომელიც 1858 წელს გამოვიდა, წინასიტყვაობა დათარიღებულია 1857 წლის აგვისტოთი).

მე-3 შენიშვნაში 224 გვერდზე (224—

* სიტყვა ნიორი ვ. ი. ლენინს დაწერილი აქვს სიტყვა «Knoblauch»-ის ხეობით. რ ე დ.

** — აორთქლება. რ ე დ.

*** — und folgende — და შემდგომ. რ ე დ.

**** — ფულის ფუნქციის. რ ე დ.

225 გვ.) ლასალი კიდევ უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს ფულზე, რომ ჰერაკლიტე არ იყო „ნაციონალ-ეკონომისტი“, რომ ფული არისო ((მხოლოდ (?))) Wertzeichen * etc. etc. («ყოველი ფული მხოლოდ იდეალური ერთიანობაა ან გამოხატულება მიმოქცევაში მყოფი ყველა რეალური პროდუქტის ღირებულებისა») (224) etc.

რადგან ლასალი აქ ბუნდოვნად ლაპარაკობს moderne Entdeckungen-ზე auf diesem Gebiet **—ღირებულებისა და ფულის თეორიის დარგში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას მხედველობაში აქვს სწორედ მარქსის საუბრები და წერილები.

გვ. 225—228. ლასალს მოჰყავს დიდი ნაწყვეტი პლუტარქედან, ამტკიცებს რა შემდეგ (დამაჯერებლად), რომ ლაპარაკია სწორედ ჰერაკლიტეზე, რომ პლუტარქე აქ გადმოგვცემს «ძირითად ხაზებში ჰერაკლიტეს სპეკულაციურ თეოლოგიას» (გვ. 228).

ნაწყვეტი კარგია: გადმოგვცემს ბერძნული ფილოსოფიის სულს, გულუბრყვილობას, სიღრმეს, გადასვლა-გადაღინებას¹³⁴.

ლასალი ჰერაკლიტესთან ამოიკითხავს თეოლოგიის მთელ სისტემასაც და „ობიექტურ ლოგიკასაც“ (sic!) და ა. შ. — ერთი სიტყვით, ჰეგელი ჰერაკლიტეს „შესახებ“!!

დაუსრულებლად (ჰეშმარიტად მოსაწყენად) უსვამს ხაზს და ღეჭავს ლასალი, რომ ჰერაკლიტე არა მარტო აღიარებს ყველაფერში მოძრაობას, რომ მისი პრინციპია მოძრაობა ან ქმნადობა (Werden), არამედ რომ სწორედ მთელი საქმე „უეჭველ

* — ღირებულების ნიშანი. რ. ე. დ.

** — თანამედროვე აღმოჩენებზე ამ დარგში. რ. ე. დ.

(schlechthin) დაპირისპირებულობათა განვითარებადი იგივეობის“ გაგებაშიაო (გვ. 289 და მრავალი სხვა). ლასალი, ასე ვთქვათ, საბეგველით უჭედავს მკითხველს თავში იმ ჰეგელისეულ აზრს, რომ აბსტრაქტულ ცნებებში (და მათს სისტემაში) მ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა სხვაგვარად გამოვხატოთ მოძრაობის პრინციპი, თუ არა დაპირისპირებულობათა იგივეობის პრინციპით. მოძრაობა და Werden, საერთოდ რომ ვთქვათ, შეიძლება იყოს ისე, რომ არ გამეორდეს, არ დაუბრუნდეს ამოსავალ წერტილს, და მაშინ ასეთი მოძრაობა არ იქნებოდა „დაპირისპირებულობათა იგივეობა“. მაგრამ როგორც ასტრონომიული, ისე მექანიკური (დედამიწაზე) მოძრაობაც და სიცოცხლევც მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანისა — ყოველივე ეს კაცობრიობას უჭედავდა თავში არა მარტო მოძრაობის იდეას, არამედ სწორედ ისეთი მოძრაობის იდეას, რომელიც უბრუნდება ამოსავალ წერტილებს, ე. ი. უნერგავდა დიალექტიკური მოძრაობის იდეას.

გულუბრყვილოდ და მშვენივრად არის ეს გამოხატული ჰერაკლიტეს ცნობილი ფორმულით (ან გამონათქვამით): „არ შეიძლება ორჯერ შესვლა ერთსა და იმავე მდინარეში“ — არსებითად კი (როგორც უკვე თქვა კრატილემ — ჰერაკლიტეს მოწაფემ) ერთხელაც არ შეიძლება (რადგან სანამ მთელი სხეული წყალში ჩაეშვებოდეს, წყალი უკვე აღარ იქნება წინანდელი).

(NB: ამ კრატილეს ჰერაკლიტეს დიალექტიკა დაჰყავდა სოფისტიკამდე, გვ. 294—295 და მრავალი სხვა, ამბობდა რა: არაფერი არაა ჰეშმარიტი, არაფრის თქმა არაფერზე არ შეიძლება. უარყოფითი (და მხოლოდ უარყოფითი) დასკვნა დიალექტიკიდან. ჰერაკლიტეს კი, პირიქით, ჰქონდა პრინციპი: „ყოველივე ჰეშმარიტია“. ყველაფერში არის

ჭეშმარიტების (წილი). კრატილე მხოლოდ „თითს ანძრევდა“ ყველაფერზე საპასუხოდ, აღნიშნავდა რა, რომ ყველაფერი მოძრაობს; არაფრის თქმა არაფერზე არ შეიძლებაო.

ლასალს სრულიად არა აქვს ზომიერების გრძობა ამ თხზულებაში, პირდაპირ ახრჩობს რა ჰერაკლიტეს ჰეგელში. ეს სამწუხაროა. ჰერაკლიტე ზომიერად, როგორც დიალექტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, უაღრესად სასარგებლო იქნებოდა: ლასალის 850 გვერდიდან უნდა გაკეთდეს 85 გვერდი კვინტესენცია და ითარგმნოს რუსულად: „ჰერაკლიტე, როგორც დიალექტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი (ლასალის მიხედვით)“. მაშინ სასარგებლო რამ გამოვიდოდა!

სამყაროს ძირითადი კანონი, ჰერაკლიტეს მიხედვით, (ἀρχή*, ზოგჯერ εἰσαρχμή**)

არის „დაპირისპირებულად გადაქცევის კანონი“ (გვ. 327) (= ἐναντιοτροπή, ἐναντιοδρομία).

ლასალი გადმოგვცემს εἰσαρχμή-ს აზრს როგორც „განვითარების კანონს“ (გვ. 333), მოჰყავს რა, სხვათა შორის,

Nemesius-ის*** სიტყვები: «დემოკრიტე, ჰერაკლიტე და ეპიკურე ფიქრობენ, რომ არც საყოველთაოსთვის, არც ცალკეულისათვის არ არსებობს განგება» (ib.).

და ჰერაკლიტეს სიტყვები: «სამყარო არ შეუქმნია არავის ღმერთთაგან და არავის ადამიანთაგან, მაგრამ იგი არის მარად ცოცხალი და მუდამ იქნება ასეთი». (ibid.).

უცნაურია, რომ ჰერაკლიტეს რელიგიური ფილოსოფიის გადაღეჭვის დროს ლა-

* — ლოგოსი. რ ე დ.
 ** — აუცილებლობა. რ ე დ.
 *** — ნემესიოსის. რ ე დ.

სალს ერთხელაც არ მოჰყავს ციტატი ფოიერბახიდან და არც ასახელებს მას! როგორ ექცევა საერთოდ ლასალი ფოიერბახს? როგორც იდეალისტი-ჰეგელი?

ამიტომაც თქვა ფილონმა (Philo) ჰერაკლიტეს მოძღვრებაზე,

...«რომ მას» (die Lehre *), «მსგავსად სტოელთა მოძღვრებისა, ყველაფერი გამოჰყავს სამყაროდან და სამყაროში, მაგრამ არ სწამს, რომ რაიმე წარმომდგარიყო ღმერთისაგან». (334) ჰეგელისნაირად „გამოყვანის“ მაგალითი:

ჰერაკლიტეს ცნობილ ნაწყვეტს (Stobaeus-ის** მიხედვით) „(Das) Eine Weise“-ს*** შესახებ (ἓν σφόν) ლასალი თარგმნის:

«რამდენი მსჯელობაც არ გამიგონია, არაფერ მისულა იმის შემეცნებამდე, რომ ბრძნული არის ყოველივეს (ე. ი. ყოველივე არსებულს) ჩამოშორებული» (344) — მიაჩნია რა სიტყვები „მხეცი თუ ღმერთი“ ჩანართად, უარყოფს რა თარგმანებს რიტერისას («სიბრძნე შორსაა ყველასაგან») (344) და შლაიერმახერისას „ბრძნული განცალკევებულია ყოველივესაგან“ კერძობათა ცოდნისაგან განსხვავებულის „შემეცნების“ აზრით.

ლასალის მიხედვით ამის აზრი ასეთია:

რომ «აბსოლუტური (ბრძნული) უცხოა ყოველი გრძობადი იქყოფნისათვის, რომ იგი უარყოფითია» (349) — ე. ი. Negative**** = უარყოფის პრინციპი, მოძრაობის პრინციპი. აშკარად ყალბი გამოყვანაა ჰეგელად! ჰეგელის მოთავსებაა ჰერაკლიტეში.

* — მოძღვრება. რ ე დ.

** — სტოზელი. რ ე დ.

*** — «ერთიანი ბრძნული». რ ე დ.

**** — უარყოფითი. რ ე დ.

NB

უამრავი წვრილმანი ჰერაკლიტეს
აკვშირზე (გარეგნულზე) სპარსულ
თეოლოგიასთან, თრმუზდ — არიმა-
ნი¹³⁵, მაგიის მოძღვრებასთან etc.
etc. etc.

ჰერაკლიტემ თქვა: „ღრო არის სხეული“
(გვ. 358)... ეს ყოფიერებისა და არარას ერ-
თიანობის აზრით. ღრო არის ყოფიერებისა
და არყოფიერების წმინდა ერთიანობა და
ა. შ.!

ც ე ც ხ ლ ი ჰერაკლიტესთანო = მოძრაო-
ბის პრინციპი [და არა უბრალოდ ცეცხლი],
რაც მსგავსი სპარსული ფილოსოფიის
(და რელიგიის) მოძღვრებაში! (362)

თუკი ჰერაკლიტემ პირველმა იხმა-
რათ ტერმინი ლეიფ („სიტყვა“) თბიექტური
(კანონი) აზრით, მაშინ ესეც სპარსული რელი-
გიიდან არის აღებული... (364)

— ციტატი ზენდ-ავესტიდან¹³⁶. (367)

§ 17-ში Δία -ს εἰμαρμένη * -სადმი მიმარ-
თების შესახებ ლასალი ჰერაკლიტეს ამ იდე-
ებს განმარტავს „აუცილებლობის“,
„აკვშირის“ აზრით. (376).

NB: „აკვშირი ყოველივესი“ (δυσίος ἀνά-
γκη) (გვ. 379)

პლატონი (Theaetetes-ში **) ჰერაკლი-
ტეს ფილოსოფიას გამოხატავს, როცა ამ-
ბობს:

„აუცილებლობა აკვშირებს ყოფიერების
არსებობას...“

„ჰერაკლიტე სტოელთათვის იმ ჩვეულე-
ბრივი წარმოდგენის წყაროა, რომ εἰμαρμένη,
rerum omnium necessitas ***, გამოხატავს

- — სამართლიანობა. რ ე დ.
- — თეეტეტში. რ ე დ.
- — ყველა საგნის აუცილებლობა. რ ე დ.

კავშირს და გადაბმულობას, *illigatio*»... (376) Gicero*:

«ბედისწერას მე ვუწოდებ იმას, რასაც ბერძნები უწოდებენ *εμαρτυρη*-ს, ე. ი. მიზეზთა წესს და თანმიმდევრობას, როცა ერთი მიზეზი, მეორესთან დაკავშირებული, თავის თავიდან მოვლენას წარმოშობს» (გვ. 377).

ათასეულმა წლებმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩაისახა იდეა „ყოველივეს კავშირისა“, „მიზეზთა ჯაჭვისა“. შედარება იმისა, თუ როგორ ესმოდათ ადამიანის აზრის ისტორიაში ეს მიზეზები, მოგვცემდა უდავოდ დამამტკიცებელ შემეცნების თეორიას.

ტომი II.

„ცეცხლზე“ მსჯელობისას ლასალი, იმეორებს რა ერთსა და იმავეს 1 000-ჯერ, ამტკიცებს, რომ ეს ჰერაკლიტესთან „პრინციპია“. დაჟინებით იცავს განსაკუთრებით ჰერაკლიტეს იდეალიზმს (გვ. 25 — რომ განვითარების, *des Werdens*** პრინციპი ჰერაკლიტესთან არის *logisch-präexistent****, რომ მისი ფილოსოფია = *Idealphilosophie*****. Sic!) (გვ. 25). ((პეგელისადმი ძალდატანებითი მიმსგავსება!))

ჰერაკლიტე იღებდა «წმინდა და აბსოლუტურად არამატერიალურ ცეცხლს» (გვ. 28. *Timaeus*, *Heracleitos****** შესახებ)...

56 გვერდზე (ტ. II) ლასალს მოჰყავს ციტატი *Clemens Al.*-დან ***** *Stromata* ***** V; თავი 14| ჰერაკლიტეს შესახებ,

* — ციცირონი. რ ე დ.

** — ქმნადობის. რ ე დ.

*** — ლოგიკურად-წინამავეალი. რ ე დ.

**** — იდეალიზტური ფილოსოფია. რ ე დ.

***** — ტიმეოსი, ჰერაკლიტეს შესახებ, რ ე დ.

***** — კლიმენტი ალექსანდრიელიდან. რ ე დ.

***** — ნოზები. (გადატანითი მნიშვნელობით სასაცილო შინაარსის წიგნები.) რ ე დ.

NB

რომელიც (სიტყვასიტყვით თარგმნილი) ამბობს:

«სამყარო, ერთიანი ყოველივესაგან, არ შეუქმნია არავის ღმერთთაგან და არავის ადამიანთაგან, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება»... დიალექტიკური მატერიალიზმის საწყისების ძალიან კარგი გადმოცემაა. მაგრამ 58 გვერდზე ლასალი იძლევა ამ ნაწყვეტის ასეთ „freie Übersetzung“-ს*:

«სამყარო — — იყო, არის და იქნება უწყვეტი ქმნადობა, მუდამ, მაგრამ მონაცვლეობით, გადადის რა ყოფიერებიდან (დენად) არყოფიერებაში, და უკანასკნელიდან (დენად) ყოფიერებაში».

შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ როგორ verballhornt** ჰერაკლიტეს ჰეგელის შესაფერისად, აფუჭებს ჰერაკლიტეს სიცხოველეს, სიახლეს, გულუბრყვილობას, ისტორიულ მთლიანობას იმით, რომ ძალდატანებით ამგვანებს მას ჰეგელს (ამ ნაძალადევ ძალდატანებათათვის ლასალი ათეული ფურცლობით ღეჭავს ჰეგელს).

II ნაწილის II განყოფილება („ფიზიკა“, II ტომის გვ. 1—262!!!) სრულიად აუტანელია. ჰერაკლიტე აქ ერთი გროშისაა, ჰეგელის ღეჭვა და ძალდატანებანი — ერთი მანეთისა. ეს შეიძლება მხოლოდ გადაფურცლოთ — რათა მათ უთხრათ, რომ ამის წაკითხვა არაა საჭირო!

III განყოფილებიდან («მოდერება შემეცნებაზე») ციტატი ფილონიდან:

NB

«ვინაიდან ერთიანია ის, რაც შედგება ორი დაპირისპირებულობისაგან, ასე რომ შუაზე გაჭრისას ეს დაპირისპირებულობანი მყლავნდება. განა ეს დებულება არ დაუდო საფუძვლად, ელინელთა თქმით, მათმა დიდმა და სახელოვანმა ჰერაკლიტემ თავის ფილოსო-

* — «თავისუფალი თარგმანი». რ ე დ.

** — ასწორებს (ირონიულად). რ ე დ.

ფიას და ამაყობდა იმით როგორც ახალი აღ-
მოჩენით... ((265))

NB

და შემდეგი ციტატიც ფილონიდან:

...«სავსებით ასევე სამყაროს ნაწილებიც
გაყოფილია შუაზე და ერთი მეორისადმი და-
პირისპირებული: დედამიწა — მთებად და ბა-
რად, წყალი — მტკნარ და მლაშედ... ასევე
ატმოსფეროც — ზამთრად და ზაფხულად,
აგრეთვე — გაზაფხულად და შემოდგომად...
სწორედ ეს გამოადგა კიდევ ჰერაკლიტეს მა-
სალად ბუნების შესახებ მისი თხზულებები-
სათვის; ისეხსა რა ჩვენი თეოლოგისაგან და-
პირისპირებულობათა იდეა, მან მრავალრი-
ცხოვანი და გულდასმით დამუშავებული მა-
გალითებით (Belege) მოახდინა ამ იდეის
ილუსტრირება» (გვ. 267).

NB

ჰეშმარიტების კრიტერიუმია, ჰერაკლიტეს
მიხედვით, არა consensus omnium, არა თან-
ხმობა ყველასი (გვ. 285) — იგი იქნებოდა მა-
შინ subjectiver Empiriker* (გვ. 284). არა,
იგი objectiver Idealist-ია**.
(285) ჰეშმარიტების კრიტერიუმი მისთვის,
ყველა ადამიანის სუბიექტური შეხედუ-
ლების მიუხედავად, არის თანხმობა ყოფიე-
რებისა და არყოფიერების იგივეობის იდე-
ალურ კანონთან. (285)

აი სადაა ნათელი, რომ ლასალი არის
ძველი ტიპის ჰეგელელი, იდეალისტი.

შეად. Marx 1845 თეზისებში ფოიერბა-
ხის შესახებ! ¹³⁷ ლასალი აქ რეაქციულია.

337 გვერდზე, მოჰყავს რა, სხვათა შო-
რის, ციტატები ბიუხნერიდან (შენიშვნა 1),
ლასალი ამბობს, რომ ჰერაკლიტე „სწო-
რედ იმავე აზრს“ გამოთქვამდა à priori,
როგორსაც „თანამედროვე ფიზიოლოგია“
(«აზრი არის მატერიის მოძრაობა»).

* — სუბიექტური ემპირიკოსი. რ ე დ.
** — ობიექტური იდეალისტი. რ ე დ.

აშკარა ძალდატანებაა. ციტატებში ჰერაკლიტეს შესახებ ნათქვამია მხოლოდ, რომ სულიც აგრეთვე გარდაქმნის პროცესია — მოძრავს შეიცნობს მოძრავი.

ციტატი Chalcidius-იდან (in Timaeus)*: ...«ჰერაკლიტე კი აკავშირებს ჩვენს გონებას ღვთაებრივ გონებასთან, რომელიც მართავს და ხელმძღვანელობს სამყაროს, და ამბობს, რომ უცვლელი თანხლების გამო მას აქვს გონების უფლებამოსილი ბრძანებულების ცოდნა, და როცა სული გრძნობათა მოქმედებისაგან ისვენებს, იგი მომავალს წინასწარმეტყველებს» (გვ. 342).

Clemens-იდან (Stromata. V.):

...«თავისი დაუჯერებლობის გამო უსხლტება (სწორედ ჰეშმარიტება) იმას, რომ შეცნობილ იქნეს»... (347)

ჰერაკლიტე არისო „ობიექტური ლოგიკის მამა“ (გვ. 351), ვინაიდან მასთან „ნატურფილოსოფია“ umschlägt** აზრის ფილოსოფიად, „აზრი აღიარებულია ყოფიერების პრინციპად“ (350) etc. etc. à la Hegel***... ჰერაკლიტეს სუბიექტურობის მიმენტი აკლიაო...

§ 36. «პლატონის კრატის-
ლე»¹³⁸, გვ. 373—396

§-ში „კრატისეს“ შესახებ ლასალი ამტკიცებს, რომ პლატონის ამ დიალოგში კრატისე გამოყვანილია (ჯერ კიდევ არა როგორც სოფისტი და სუბიექტივისტი, რადაც იგი შემდეგში იქცა, არამედ) როგორც ჰერაკლიტეს ერთგული მოწაფე, რომელიც გადმოგვცემს ნამდვილად მის, ჰერაკლიტეს, თეორიას სიტყვებისა და ენის არსებისა და წარმოშობის,

* — ქალკიდა (ტიმეუსში). რ ე დ.
** — გარდაქმნება. რ ე დ.
*** — ჰეგელის მსგავსად. რ ე დ.

როგორც ბუნების მიბაძვის შესახებ («ნიეთთა არსების მიბაძვა», გვ. 388), ნიეთთა არსების მიბაძვისა, «ღმერთის მიბაძვა და მისი გამოსახვა», «ღმერთისა და სამყაროს მიბაძვა» (ibid.).

ფილოსოფიის ისტორია, *ERGO**:

kurz **. შემეცნების ისტორია საერთოდ

ცოდნის მთელი დარგი

ბერძნულმა ფილოსოფიამ დასახა ყველა ეს მომენტები

- > ცალკეულ მეცნიერებათა
- > ბავშვის გონებრივი განვითარებისა
- > ცხოველთა
- > ენისა NB:
 - + ფსიქოლოგია
 - + გრძნობათა ორგანობის ფიზიოლოგია

აი ცოდნის ის დარგები, რომლებიდანაც უნდა ჩამოქალიბდეს შემეცნების თეორია და დიალექტიკა

...«ჩვენ ვუჩვენეთ, — ამბობს ლასალი, — რომ ის» (ზემოაღნიშნული) «იგივეობა ცნებაში (სწორედ იგივეობა და არა მხოლოდ ანალოგია) სიტყვასა, სახელსა და კანონს შორის ყოველ მხრივ პერაკლიტეს ფილოსოფიის პრინციპული შეხედულება და მასში უაღრესად დიდ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს»... (393)

...«სახელები მისთვის» (პერაკლიტესათვის) «ყოფიერების კანონებია, ისინი მისთვის არის საერთო ნივთებისა, როგორც კანონები მისთვის — «საერთო ყოველივესი»... (394)

ჰიპოკრატეც სწორედ პერაკლიტესეულ არსებს გამოხატავს, როცა ამბობს: «სახელები ბუნების კანონებია».

NB

მეტად მნიშვნელოვანია! NB

* — მაშასადამე. რედ.
 ** — მოკლედ. რედ.

«ვინაიდან როგორც კანონები, ისე სახელე-
ბიც ეთესელისათვის... თანაბრად საყოველთა-
ოს პროდუქტები და განხორციელებაა მხო-
ლოდ, ერთიც და მეორეც მისთვის არის მიღ-
წეული წმინდა საყოველთაო, იდეალური ყო-
ფიერება, განთავისუფლებული გრძნობადი
სინამდვილის ჭუჭყისაგან»... (394)

პლატონი განიხილავს და უარყოფს ჰერა-
კლიტეს ფილოსოფიას „კ რ ა ტ ი ლ ე შ ი“ და
„თ ე ე ტ ე ტ შ ი“, ამასთან (განსაკუთრებით
უკანასკნელში) ჰერაკლიტეს (ობიექტურ
იდეალისტსა და დიალექტიკოსს) ურევს სუ-
ბიექტურ იდეალისტსა და სოფისტ პროტაგო-
რაში (ადამიანი ყველა ნივთის საზომია). და
ლასალი ამტკიცებს, რომ იდეათა განვითარე-
ბაში მართლა გამომდინარეობდა (1) სოფის-
ტიკა (პროტაგორა) და (2) პლატონიზმი, „იდე-
ები“ (ობიექტური იდეალიზმი).

შთაბეჭდილება იქმნება ისეთი,
რომ იდეალისტმა ლასალმა ჩრდილ-
ში დატოვა მატერიალიზმი ანუ მატე-
რიალისტური ტენდენციები ჰერა-
კლიტესი, როცა იგი ნაძალადევად
მოარგო ჰეგელს.

(IV. Ethik, გვ. 427—462.)

განყოფილებაში ეთიკის შესახებ — nil *,
458—459 გვერდზე ლასალი ლაპარაკობს.
რომ Nemesios ამბობდა, ჰერაკლიტე და
დემოკრიტე განგებას (πεισιαια) უარყოფ-
დნენო. ც ი ც ე რ ო ნ ი კ ი (de fato **) ამ-
ბობს, რომ ჰერაკლიტე, როგორც დემოკრი-
ტეც და სხვ. (არისტოტელეც), აღიარებს ფა-
ტუმს — აუცილებლობას.

Naturnotwen-
digkeit ***
ლასალთან

...«ეს ბედისწერა უნდა ნიშნავდეს მხოლოდ
საგნის საკუთარ ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ბ უ ნ ე -
ბ რ ი ვ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს, მის ბუნე-
ბრივ კანონს»... (459)

* — არაფერია. რ ე დ.

** — ბედისწერაზე. რ ე დ.

*** — ბუნებრივი აუცილებლობა. რ ე დ.

(სტოელეზმა, ლასალის მიხედვით, ყველაფერი აიღეს ჰერაკლიტესაგან, გააუხანძეს რა იგი, გახადეს რა ცალმხრივი, გვ. 461)

ლასალის წიგნის საძიებელი შედგენილია სწავლულად, გელერტირულად, მაგრამ უთავბოლოდ: ანტიკური ძეგლების უამრავი სახელი etc. etc.

საერთოდ, **ΣΣ*** სწორია მარქსის შეფასება. ლასალის წიგნის წაკითხვა არა ღირს.

* — summa summarum -- საბოლოო ანგარიშით. რ ე დ.

ღიალექტიკის საკითხისათვის ¹³⁹

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაბეჭდა 1925 წელს
ჟურნალ „ბოლშევიკში“ № 5—6

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დიალექტიკის საკითხისათვის

ერთიანის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნება (იხ. ციტატი ფილონიდან ჰერაკლიტეს შესახებ ლასალისეული ჰერაკლიტეს * III ნაწილის („შემეცნების შესახებ“) დასაწყისში) არის დიალექტიკის დედაარსი (ერთ-ერთი „არსება“, ერთ-ერთი ძირითადი, თუ ძირითადი არა, თავისებურება ანუ ნიშანი). სწორედ ასე აყენებს საკითხს ჰეგელიც (არისტოტელე თავის „მეტაფიზიკაში“ მუდამ თავს იმტვრევს ამის გარშემო და ებრძვის ჰერაკლიტეს resp. ** ჰერაკლიტესეულ იდეებს).

დიალექტიკის შინაარსის ამ მხარის სისწორე უნდა შეამოწმოს მეცნიერების ისტორიამ. დიალექტიკის ამ მხარეს ჩვეულებრივ (მაგალითად, პლენხანოვთან) არასაკმარის ყურადღებას აქცევენ: დაპირისპირებულობათა იგივეობა აღებულია როგორც მაგალითების ჯამი |„მაგალითად, მარცვალი“; „მაგალითად, პირველყოფილი კომუნიზმი“. იგივეა ენგელსთან. მაგრამ ეს არის „პოპულარობისათვის“...| და არა როგორც შემეცნების კანონი (და ობიექტური სამყაროს კანონი).

მათემატიკაში + და —. დიფერენციალი და ინტეგრალი.

მექანიკაში ქმედება და უკუქმედება.

ფიზიკაში დადებითი და უარყოფითი ელექტრობა.

ქიმიკაში ატომების შეერთება და დისოციაცია.

საზოგადოებრივ მეცნიერებაში კლასობრივი ბრძოლა.

დაპირისპირებულობათა იგივეობა (შეიძლება, უფრო სწორია ვთქვათ: მათი „ერთიანობა“? თუშკა ტერმინების — იგივეობისა და ერთიანობის — სხვაობა აქ არაა განსაკუთრებულად არსებითი. გარკვეული აზრით ორივე სწორია) არის წინააღმდე-

* — იხ. ეს ტომი, გვ. 360—361 რ. 2.

** — respectiva — შესაბამისად. ი. გ. მ.

გობრივი, ურთიერთგამომრიცხველი, დაპირისპირებული ტენდენციების აღიარება (აღმოჩენა) ბუნების ყველა მოვლენასა და პროცესში (მათრიცხვში აგრეთვე სულისა და საზოგადოებისაშიც). პირობა სამყაროს ყველა პროცესის შემეცნებისა მათს „თვითმოძრაობაში“ მათს სპონტანურ განვითარებაში, მათს ცოცხალ სიცოცხლეში, არის შემეცნება მათი როგორც დაპირისპირებულობათა ერთიანობისა. განვითარება არის დაპირისპირებულობათა „ბრძოლა“. განვითარების (ევოლუციის) ორი ძირითადი (თუ ორი შესაძლებელი? თუ ორი ისტორიაში შესამჩნევი?) კონცეფცია არის: განვითარება როგორც შემცირება და გადიდება, როგორც განმეორება, და განვითარება როგორც დაპირისპირებულობათა ერთიანობა (ერთიანის გაორება ურთიერთგამომრიცხველ დაპირისპირებებად და ურთიერთობა მათ შორის).

მოძრაობის პირველი კონცეფციის დროს ჩრდილში რჩება თვით მოძრაობა, მისი მამოძრავებელი ძალა, მისი წყარო, მისი მოტივი (ან ეს წყარო გადაიტანება გარეთ — ღმერთი, სუბიექტი etc.). მეორე კონცეფციის დროს მთავარი ყურადღება მიპყრობილია სწორედ „თვით“-მოძრაობის წყაროს შემეცნებაზე.

პირველი კონცეფცია არის მკვდარი, მკრთალი, მშრალი. მეორე — ცხოველმყოფელი. მხოლოდ მეორე იძლევა ყოველივე არსებულის „თვითმოძრაობის“ გასაღებს; მხოლოდ იგი იძლევა „ნახტომების“, „თანდათანობის შეწყვეტის“. „დაპირისპირებულობად გადაქცევის“, ძველის მოსპობისა და ახლის წარმოშობის გასაღებს.

დაპირისპირებულობათა ერთიანობა (დამთხვევა, იგივეობა, ტოლქმედება) პირობითი, დროებითი, წარმავალი, რელატიური, ურთიერთგამომრიცხველ დაპირისპირებულობათა ბრძოლა აბსოლუტურია, როგორც აბსოლუტურია განვითარება, მოძრაობა.

NB: სუბიექტივიზმის (სკეპტიციზმისა და სოფისტიკის etc.) განსხვავება დიალექტიკისაგან, სხვათა შორის, ისაა, რომ (ობიექტურ) დიალექტიკაში შეფარდებითია (რელატიურია) განსხვავებაც რელატიურსა და აბსოლუტურს შორის. ობიექტური დიალექტიკისათვის რელატიურში არის აბსოლუტური. სუბიექტივიზმისა და სოფისტიკისათვის რელატიური მხოლოდ რელატიურია და აბსოლუტურს გამოირიცხავს.

მარქსი „კაპიტალში“ თავდაპირველად ანალიზს უკეთებს ბურჟუაზიული (სასაქონლო) საზოგადოების ყველაზე მარტივ, ჩვეულებრივ, ძირითად. ყველაზე მასობრივად თვალსაჩინო, ყველაზე ყოველდღიურ ურთიერთობას, მილიარდჯერ რომ გვხვდება: საქონელთა გაცვლას. ამ უმარტივეს მოვლენაში (ბურჟუაზიული საზოგადოების ამ „უჯრედში“) ანალიზი ამჟღავნებს თანამედროვე საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას (resp. ყველა წინააღმდეგობის ჩანასახებს). შემდგომი გადმოცემა გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობათა და ამ საზოგადოების განვითარებას (ზრდასაც და მოძრაობასაც), მისი ცალკეული ნაწილების „X“-ში, მისი დასაწყისიდან მის დასასრულამდე.

ასეთივე უნდა იყოს საერთოდ დიალექტიკის გადმოცემის (resp. შესწავლის) მეთოდი (ვინაიდან ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსისათვის დიალექტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევაა). დავიწყოთ ყველაზე მარტივით, ჩვეულებრივით მასობრივად თვალსაჩინოთა etc.. რომელიც გინდა წინადადებათ: ხის ფოთლები მწვანეა; ივანე ადამიანია; ცუგა ძაღლია და მისთ. უკვე აქ (როგორც ჰეგელმა გენიალურად შენიშნა) არის დიალექტიკა: ცალკეული არის ზოგადი (შეად. Aristoteles, Metaphysik **, თარგმანი შეეგლერისა. Bd. II, S. 40, 3 Buch, 4 Kapitel. 8—9 ***: „denn natürlich kann man nicht der Meinung sein, daß es ein Haus — სახლი საერთოდ — gebe außer den sichtbaren Häusern“, „ის ყაპ ან მანჰუსეივიანი რეა იხილავი პარა რად რად იხილავი***). მაშასადამე, დაპირისპირებულობანი (ცალკეული დაპირისპირებულობა ზოგადისადმი) იგივე რი არიან: ცალკეული არ არსებობს სხვანაირად, თუ არა იმ კავშირში, რომელსაც ზოგადისაკენ მიეყვარათ. ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით. ყოველი ცალკეული არის (ასე თუ ისე) ზოგადი. ყოველი ზოგადი არის ცალკეულის (ნაწილაკი ან მხარე, ანდა არსება). ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში და ა. შ. და ა. შ. ყოველი ცალკეული ათასობით გადასასვლელითაა დაკავშირებული

..
 • — ჯამში. რ ე დ.
 •• — არისტოტელე. მეტაფიზიკა. რ ე დ.
 ••• — ტ. II, გვ. 40, მე-3 წიგნი, მე-4 თავი. 8—9. რ ე დ.
 •••• — ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ეთიქროთ. რომ არსებობს რაღაც სახლი (საერთოდ). გარდა ხილული სახლებისა. რ ე დ.

ლი სხვაგვარ ცალკეულებთან (ნივთებთან, მოვლენებთან, პროცესებთან) და ა. შ. უკვე აქ არის ელემენტები, ჩანასახები, ცნებები აუცილებლობისა, ბუნების ობიექტური კავშირისა etc. შემთხვევითი და აუცილებელი, მოვლენა და არსება უკვე არის აქ, რადგან როცა ვამბობთ: ივანე კაცია, ცუგა ძაღლია, ეს ხის ფოთოლია და ა. შ., ჩვენ უკვე ვაგდებთ მთელ რიგ ნიშნებს, როგორც შემთხვევითს. ჩვენ გამოვყოფთ არსებობის მოვლინებადისაგან და ერთიმეორეს ვუპირისპირებთ.

ამრიგად, ყოველ წინადადებაში, როგორც „უჯრედში“ („უჯრულში“) შეიძლება (და უნდა) გამოვამქლავნოთ დიალექტიკის ყველა ელემენტის ჩანასახები და ამრიგად ცხადვყოთ, რომ ადამიანის მთელ შემეცნებას საერთოდ დიალექტიკა ახასიათებს. ბუნებისმეტყველება კი გვიჩვენებს (ესეც კვლავ საჭიროა ყოველგვარ უმარტივეს მაგალითზე ცხადვყოთ) ობიექტურ ბუნებას მის იმავე თვისებებში, გარდაქმნას ცალკეულისას ზოგადად, შემთხვევითისას აუცილებლად, დაპირისპირებულობათა გადასვლებს, გადაღინებას, ურთიერთკავშირს. დიალექტიკა არის სწორედ (ჰეგელისა და) მარქსიზმის შემეცნების თეორია: აი საქმის რა „მხარეს“ (ეს საქმის „მხარე“ კი არაა, არამედ საქმის დედაარსია) არ მიაქცია ყურადღება პლუხანოვმა, სხვა მარქსისტებზე რომ აღარა ვთქვათ რა.



შემეცნება წრეების მწკრივის სახით წარმოდგენილი აქვს ჰეგელსაც (იხ. ლოგიკა) — და ბუნებისმეტყველების თანამედროვე „გნოსეოლოგს“, ეკლექტიკოსს, ჰეგელელობის (რომელიც მან ვერ გაიგო!) მტერს Paul Volkmann-საც (იხ. მისი Erkenntnistheoretische Grundzüge *, S.).

წრეები ფილოსოფიაში: |სწავლდებულა თუ არა ქრონოლოგია პიროვნებათა შესახებ? არა|
 ანტიკური: დემოკრიტედან პლატონამდე და ჰერაკლიტეს დიალექტიკამდე.
 აღორძინება: დეკარტი versus ** Gassendi (Spinoza?).

* P. Volkmann. Erkenntnistheoretische Grundzüge der Naturwissenschaften. Leipzig-Berlin, 1910, 33. 35. რ ე დ.

II. Философия. Теория познания естественных наук. СПБ., 1911, 33. 40. რ ე დ.

** — მიმართ. რ ე დ.

ახალი: პოლბახი — ჰეგელი (ბერკლსი, ჰიუმის, კანტის გზით).

ჰეგელი — ფოიერბახი — მარქსი.

დიალექტიკა როგორც ცოცხალი, მრავალმხრივი (მხარეთა მარად მზარდი რიცხვის პირობებში) შემეცნება სინამდვილესთან ყოველი მისვლის, მიახლოების უამრავი ელფერი (ფილოსოფიური სისტემით, რომელიც ყოველი ელფერიდან მთელად იზრდება) — აი განუზომლად მდიდარი შინაარსი შედარებით „მეტაფიზიკურ“ მატერიალიზმთან, რომლის ძირითადი უბედურება ისაა, რომ მას არ შეუძლია გამოიყენოს დიალექტიკა Bildertheorie-ის * მიმართ, შემეცნების პროცესისა და განვითარების მიმართ.

ფილოსოფიური იდეალიზმი მხოლოდ სისულელეა უხეში, მარტივი, მეტაფიზიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით. პირიქით, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით ფილოსოფიური იდეალიზმი არის ცალმხრივი, გაზვიადებული, überschwengliches (Dietzgen)¹⁴⁰ განვითარება (გაბერვა, გაფუება) შემეცნების ერთ-ერთი ნიშნისა, მხარისა, მიჯნისა აბსოლუტად, რომელიც მოწყვეტილია მატერიას, ბუნებას, გაღმერთებულია. იდეალიზმი არის ხუცობა. სწორია. მაგრამ იდეალიზმი ფილოსოფიური არის („უფრო სწორად“ და „გარდა ამისა“) გზა ხუცობისაკენ ადამიანის უსასრულოდ რთული შემეცნების (დიალექტიკური შემეცნების) ერთ-ერთი ელფერის მეშვეობით.

ადამიანის შემეცნება არ არის პირდაპირი ხაზი (resp. არ მიდის პირდაპირი ხაზით), არამედ მრუდე ხაზია, რომელიც უსასრულოდ უახლოვდება წრეთა მწყობრს, სპირალს. ამ მრუდე ხაზის ყოველი ნაწყვეტი, ნატეხი, ნაჭერი შეიძლება გადავაქციოთ (ცალმხრივად გადავაქციოთ) დამოუკიდებელ, მთელ, პირდაპირ ხაზად, რომელსაც (თუ რიყებზე ქვას ვერ დავინახავთ) შევყავართ მაშინ ჭაობში, ხუცობაში (სადაც მას გაბატონებული კლასების კლასობრივი ინტერესი ამავრებს. სწორხაზოვნება და ცალმხრივობა, გაშეშებულობა და გაქვავებულობა, სუბიექტივიზმი და სუბიექტური სიბრძავე voilà ** იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვები. ხუცობას კი (=ფილოსოფიურ იდეალიზმს), რა თქმა უნდა, აქვს გნოსეოლოგიური ფესვები, იგი არაა უნიკალური, იგი გუ-

* — ასახვის თეორიის. რ ე დ.

** — აი. რ ე დ.

დაფუტაა, უდავოდ, მაგრამ გუდაფუტა. რომელიც ცოცხალი, ნაყოფიერი. კემარიტი. მალაერი, ყოვლისშემძლე, ობიექტური, აბსოლუტური. ადამიანური შემეცნების ცოცხალ ხეზე იზრდება.

დაწერილია 1915 წელს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ჟურნალ „პოლშევიში“ № 5-6

დაცემულია ხელნაწერის მიხედვით

კონსეპტი არისტოტელეს წიგნისა
«მეტაფიზიკა» 141

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

არისტოტელე. «მეტაფიზიკა»
თარგმანი შვებლერისა. ორი ტომი

ბიუბინგენი, 1847

იხ. ზემოთ ციტიტი „ნაწლის“ შესახებ*.

ბევრი რამაა უალრესად საინტერესო, ცოცხალი, გულუბრყვილო (ანალი), რასაც ფილოსოფიაში შეეყავართ და რასაც გადმოცემებში ცვლიან სქოლასტიკით, უმოძრაო შედეგით etc.

ხუცობამ ჩაკლა არისტოტელეში ცოცხალი და უკვდავეო მკვდარი.

«ადამიანი და ცხენი და მისთ. არსებობენ ცალკეულ ეგზემპლარებად, საყოველთაო თავისთავად არ არსებობს ცალკეული სუბსტანციის სახით, არამედ იგი არსებობს მხოლოდ როგორც მთელი, შედგენილი გარკვეული ცნებისაგან და ფარკვეული მატერიისაგან» (გვ. 125, მე-7 წიგნი, მე-10 თავი, 27—28).

Ibidem, გვ. 126, §32—33:

...«მატერია თავისთავად შეუცნობადია. მას ნაწილობრივ გრძნობით აღვიქვამთ, ნაწილობრივ გონებით მივწვდებით. გრძნობადად აღვიქვამთ მას როგორც ლითონს, ხეს — ერთი სიტყვით, როგორც მოძრაობის უნარმქონე მატერიას, გონებით კი მივწვდებით, როცა იგი იმყოფება გრძნობადად აღქმადში, მაგრამ არა ისე, რომ იგი აღქმადია გრძნობადად, — მაშასადამე, ისე, — როგორც, მაგალითად, მათემატიკური»...

ძლიერ დამახასიათებელი და მეტად საინ-

ხშირად
ფილოსოფია
სიტყვების
განსახ-
ზღვრებე-
ბად იქცევა
etc.
ენება ყვე-
ლაფერს,
ყველა
კატეგორიას

* იხ. ეს ტომი, გვ. 373. რ ე დ.

ტერესთა (მეტაფიზიკის დასაწყისში) პოლემიკა პლატონთან და „გოცებულა“, გულუბრყვილობით საუცხოო. საკითხები და Bedenken* იდეალიზმის სისულელის შესახებ. და ყოველივე ეს ძირითადის, ცნებისა და ცალკეულის ვარშემო უაღრესად უმწეო ანეულობის პირობებში.

NB: მეტაფიზიკის დასაწყისში მეტად შეუპოვარი ბრძოლა პერაკლიტესთან. ყოფიერებისა და არყოფიერების იგივეობის იდეასთან (ამ იდეასთან მივიდნენ ბერძენი ფილოსოფოსები. მაგრამ ვერ გააოთვეს თავი მას. დიალექტიკას). ფრიად დამახასიათებელია საერთოდ მთელ წიგნში, passim**, დიალექტიკის ცოცხალი ჩანასახები და მოთხოვნები იღებანი...

არისტოტელეს ობიექტური ლოგიკა ყველგან არეული აქვს სუბიექტურში და თანაც ისე, რომ ყველგან მოჩანს ობიექტური. არ არის ეჭვი შემეცნების ობიექტურობაში. გონების ძალის, შემეცნების ძალის. სიძლიერის, ობიექტური ჰემმარიტობის გულუბრყვილო რწმენა. და გულუბრყვილო გაუგნებლობა, უმწეო-უბადრუკი გაუგნებლობა ზოგადისა და ცალკეულის — ცნებისა და ცალკეული საგნის, ნივთის, მოვლენის გრძნობადად აღქმადი რეალობის დიალექტიკაში.

სქოლასტიკამ და ხუცობამ აიღეს არისტოტელედან მკვდარი და არა ცოცხალი: მოთხოვნილებანი, ძიებანი, ლაბირინტი, გზა აერია ადამიანს.

არისტოტელეს ლოგიკა არის-მოთხოვნილება, ძიება, მისვლა-ჰეგელის ლოგიკასთან, — მისგან კი, არისტოტელეს ლოგიკიდან (რომელიც ყველგან, ყოველ ნაბიჯზე სვამს საკითხს სწორედ დიალექტიკის შესახებ), შექმნეს მკვდარი სქოლასტიკა და უკუაგდეს ყოველივე ძიება, ყოყმანი, ხერ-

* — დაეკვებანი. რ ე დ.

** — ყველგან. რ ე დ.

ბი საკითხების დაყენებისა. სწორედ საკითხების დაყენების ხერხები, თითქოს სასიწქო სისტემები ჰქონდათ ბერძნებს. გულუბრყვილო უთანხმოება, რასაც საუცხოოდ ასახავს არისტოტელე.

...«აქედან გამომდინარეობს, რომ საყოველთაო არ არსებობს ცალკეულის გვერდით და მისგან განცალკევებით. ამდენად მართალნი არიან იდეათა შესახებ მოძღვრების მიმდევარნი, როცა ისინი ამ იდეებს დამოუკიდებელ არსებობას მიაწერენ, ვინაიდან იდეები — ეს ხომ ცალკეული სუბსტანციებია; მაგრამ შეცდომაა ერთიანი ბევრში იდეად ჩავთვალოთ. მაგრამ ამას ისინი იმიტომ აკეთებენ, რომ არ შეუძლიათ გვიჩვენონ, რას უნდა წარმოადგინდნენ ეს წარუვალი სუბსტანციები გრძნობადად აღქმადი ცალკეული ნივთების გვერდით და მათს გარეშე. აი რატომ უთანაბრებენ ისინი იდეებს იმ წარმავალ საგნებს. რომელნიც ჩვენ ვიცით, და ამბობენ: ადამიანი თავისთავად, ცხენი თავისთავად, უმატებენ რა გრძნობად საგნებს სიტყვას: თავისთავად # (გვ. 136, წიგნი 7, თავი 16, § 8—12) #. და მიუხედავად ამისა, თუნდაც რომ ჩვენ ვერასდროს ვერ დავინახოთ ციური მნათობები. მაინც იარსებებდნენ მარადიული სუბსტანციები, გარდა იმათისა, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ. თუკი ვერ შევძლებდით აგრეთვე გვეჩვენებინა, რას წარმოადგენენ ისინი, მაინც აუცილებელია, რომ ისინი არიან. ამრიგად. ნათელია, რომ არაფერი, ზოგადად გამოხატული, არ არის ცალკეული სუბსტანცია და რომ არც ერთი ცალკეული სუბსტანცია არ შედგება ცალკეული სუბსტანციებისაგან (ისთქმ.)» (— § 13 თავის დასასრული).

საუცხოოა! ეჭვი არაა გარესამყაროს რეალობაში. იბნევა ადამიანი სწორედ ზოგადისა და ცალკეულის, ცნებისა და შეგრძნების etc., არსებისა და მოვლენის etc. დიალექტიკაში.

(გვ. 146, წიგნი 8 — არა მგონია, რომ შემდეგში ჩამატებული არ იყოს — თავი 5, § 2—3).

NB

...«ძნელია საკითხი (*ἀπορία*) იმის შესახებ, თუ რა მიმართებაშია ამა თუ იმ ნივთის მატერია დაპირისპირებულთან. მაგალითად, თუ რომელიმე სხეული თავისი პოტენციით (*δυναμει*) ჯანსაღია, ჯანსაღობას კი ავადმყოფობა უპირისპირდება, მაშინ წარმოადგენს თუ არა სხეული ერთსაც და მეორესაც შესაძლებლობაში?...»

...შემდეგ, არის თუ არა ცოცხალი ადამიანი შესაძლებლობაში (*δυναμει*) მკვდარი?»

(გვ. 181), წიგნი 11, თავი 1, § 12—14:

...«მათემატიკურს ისინი» (ფილოსოფოსები) «ათავსებენ იდეებსა და გრძნობადად აღქმადს შორის რაღაც მესამის სახით, რომელიც იდეებისა და ამქვეყნიური სამყაროს გარეშე არსებობს. და მიუხედავად ამისა არ არსებობს კიდევ მესამე ადამიანი და მესამე ცხენი, გარდა ადამიანისა თავისთავად (ან ცხენისა თავისთავად) და ცალკეული ადამიანისა ან ცხენისა. მაგრამ თუ საქმის ვითარება ისე არაა, როგორც ისინი ლაპარაკობენ, მაშინ რაღაზე მოუხდება მუშაობა მათემატიკოსს? ყოველ შემთხვევაში არა ამქვეყნიურზე, რადგან ამ უკანასკნელში არაფერი არსებობს ისე, როგორც მას მათემატიკური მეცნიერებანი ეძებენ»...

Ibidem, თავი 2, § 21—23:

...«შემდეგ, ისმება საკითხი, არსებობს რაიმე გარდა კონკრეტულისა, თუ არა? კონკრეტულს მე ვუწოდებ მატერიას და ყოველივე მატერიალურს. თუ არ არსებობს, მაშინ ყველაფერი წარმავალია, რადგან ყოველივე მატერიალური ყოველ შემთხვევაში წარმავალია. ხოლო თუ რაიმე არსებობს, გარდა კონკრეტულისა, ეს არის, როგორც ჩანს, ფორმ. და სახე. მაგრამ ამ უკანასკნელთა შესახებ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რომელ ნივთებში არიან ისინი და რომელში არა»...

გვ. 185—186, წიგნი 11, თავი 3, § 12 — მათემატიკოსი განზე ტოვებს სითბოს, სიმძიმეს და სხვა «გრძნობად წინააღმდეგობებს» და მხედველობაში აქვს «მხოლოდ რაოდენობრივი»... «ასეთივეა საქმის ვითარება არსებულის მიმართაც».

აქ არის დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისი, მაგრამ შემთხვევით, არა მტკიცედ, განუვითარებლად, წუთიერად.

Windelband-ი * ნარკვევში ძველი ფილოსოფიის ისტორიიდან (Müller's Handbuch der Klassischen Altertums-Wissenschaft**, V. I, S. 265) («სამკითხველო დარბაზი ბერნის ბიბლიოთეკაში») ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არისტოტელეს ლოგიკაში (die Logik) «ყველაზე ზოგად წინამძღვრად აქვს აზროვნების ფორმათა და ყოფიერების ფორმათა იგივეობა» და ციტატი მოჰყავს მეტაფიზიკიდან V, 7: «ἴσχυράς ἐστι, τοσαυτὰς τὸ εἶναι: σημαίνεαι***. ეს § 4. შეველური თარგმნის: Denn so vielfach die Kategorien ausgesagt werden, so vielfach bezeichnen sie ein Sein****. თარგმანი ცუდია! მისვლა ღმერთთან:

წიგნი 12, თავი 6, § 10—11:

...«ვინაიდან როგორ შეიძლება მოძრაობა ხდებოდეს, თუ არაფერი ქმედითი არ წარმოადგენს მიზეზს? მატერიას ხომ არ შეუძლია თვით იმოძრაოს, იგი მოძრაობაში მოჰყავს სამშენებლო ხელოვნებას; სწორედ ასევე არ შეუძლიათ თვითონ იმოძრაონ თვითურსა და დედამიწას. — ისინი მოძრაობაში მოჰყავს თესლსა და განაყოფიერებას»...

* — ვინდელბანდი. რ ე დ.

** კლასიკური სიძველის ისტორიის ცნობარი მიულერისა. რ ე დ.

*** — რამდენი წესითაც ეს სხვადასხვა გამონათქვამი კეთდება, იმდენივე ზნით ისინი აღნიშნავენ ყოფიერებას. რ ე დ.

**** — ვინაიდან იმდენჯერვე, რამდენჯერაც კატეგორიები გამოითქმის, იმდენჯერვე ისინი აღნიშნავენ ყოფიერებას. რ ე დ.

Leukipp* (id., § 14) ლებულობს მარადიულ მოძრაობას, მაგრამ არ განმარტავს, რატომ (§ 11).

თავი 7, § 11—19 — ღმერთი (გვ. 213).

...«მარადიული მოძრაობა უნდა გამოძინარეობდეს რაიმე... მარადიულიდან» (თავი 8, § 4)...

წიგნი 12, თავი 10 — ხელახლა ფილოსოფიის ძირითადი საკითხების „გადარჩევა“, „ნიშნები საკითხისა“ ასე ვთქვათ. მეტად ახალი, გულუბრყვილო, დაეჭვებული გადმოცემა (უფრო ხშირად გადაკვრით თქმა) სხვადასხვა თვალსაზრისისა.

მე-13 წიგნში არისტოტელე კვლავ უბრუნდება და აკრიტიკებს პითაგორას მოძღვრებას რიცხვებზე (და პლატონისას იდეებზე), რომლებიც განცალკევებულია გრძნობადი ნივთებისაგან.

||იდეალიზმი პირველყოფილი: ზოგადი (ცნება, იდეა) არის ცალკეული არსებები. ეს გვეჩვენება უცნაურ, საოცარ (უფრო სწორად: ბავშვურ) სისულელედ. მაგრამ განა ამგვარივე არაა (სავსებით ამგვარივე) თანამედროვე იდეალიზმი, კანტი, ჰეგელი, ღმერთის იდეა? მაგიდები, სკამები და მაგიდისა და სკამის იდეებზე, სამყარო და სამყაროს იდეა (ღმერთი); ნივთი და „ნუმენი“, შეუცნობადი „ნივთი თავისთავად“; კავშირი დედამიწისა და მზისა, ბუნებისა საერთოდ — და კანონი, ლეჯიზმ**, ღმერთი. ადამიანის შემეცნების გაორება და იდეალიზმის (=რელიგიის) შესაძლებლობა მოცემულია უკვე პირველ, ელემენტარულ აბსტრაქციიში

||„სახლი“ საერთოდ და ცალკეული სახლები

მისვლა (ადამიანის) გონებისა ცალკეულ ნივთთან, მოხსნა ამ ნივთისგან ტვიფარისა

* — ლევიპე. რედ.
** — ლოგოსი. რედ.

NB

NB

= ცნებისა) არ არის მარტივი, უშუალო, სარკისებრ-მკვდარი აქტი, არამედ იგი რთულია, გაორებული, ზიგზაგისებრი, რომელიც შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის მოწყდომის შესაძლებლობას; კიდევ მეტიც: შეიცავს აბსტრაქტული ცნების, იდეის ფანტაზიად (in letzter Instanz* = დმერთად) გადაქცევის (თანაც ადამიანისაგან შეუმჩნეველი, შეუცნობელი გადაქცევის) შესაძლებლობას. ვინაიდან ყველაზე მარტივ განზოგადებაშიც კი, ყველაზე ელემენტარულ ზოგად იდეაში („მაგიდა“ საერთოდ) არის ფანტაზიის გარკვეული ნაწყვეტი. (Vice versa**): უაზრობაა უარყოფა ფანტაზიის როლისა ყველაზე ზუსტ მეცნიერებაშიც კი: შეად. პისარევი სასარგებლო ოცნებაზე, როგორც მუშაობის სტიმულზე, და ცარიელ მეოცნებეობაზე¹⁴²).

გულუბრყვილო გამოხატვა „სიძნელებისა“ „მათემატიკის ფილოსოფიის“ შესახებ (თანადროულად რომ ვთქვათ): წიგნი 13, თავი 2, § 23:

...«შემდეგ, სხეული არის სუბსტანცია, რადგან მას გააჩნია გარკვეული დასრულებულობა. მაგრამ როგორ შეეძლოთ სუბსტანციებად ყოფნა ხაზებს? მათ არ შეეძლოთ ასეთებად ყოფნა არც ფორმისა და გამოსახულების მნიშვნელობით, მსგავსად, მაგალითად, აულისა, არც მატერიის მნიშვნელობით, მსგავსად სხეულისა: ვინაიდან ნათელია, რომ არათერს არ შეუძლია შედგებოდეს ხაზებისაგან, ან სიბრტყეთაგან, ანდა წერტილებისაგან»... (გვ. 224)...

წიგნი 13, თავი 3 ამ სიძნელეთა გადაწყვეტას იძლევა საუცხოოდ, მკაფიოდ, ნათლად, მატერიალისტურად (მათემატიკა და სხვა მეცნიერებანი ახდენენ სხეულის, მოვლენის, ცხოვრების

* — საბოლოო ანგარიშით. რ ე დ.

** — პირიქით. რ ე დ.

ერ-თ-ერთი მხარის აბსტრაქტირებას). მაგრამ ავტორი ბოლომდე ვერ იცავს თანამიმდევრულად ამ თვალსაზრისს.

NB

შვეგლერი თავის კომენტარებში (ტ. IV, გვ. 303) ამბობს: არისტოტელე აქ პოზიტიურად გადმოგვცემს «თავის შეხედულებას მათემატიკურზე: მათემატიკური არის რაღაც განყენებული გრძნობადისაგან».

წიგნი 13, თავი 10 ეხება საკითხს, რომელიც უკეთესად აქვს გადმოცემული შვეგლერს კომენტარებში (დაკავშირებით Metaphysik-თან VII, 13, 5): მეცნიერება ეხება მხოლოდ ზოგადს (შეად. წიგნი 13, თავი 10, § 6), ნამდვილი კი (სუბსტანციური) მხოლოდ ცალკეულია. მაშასადამე, უფსკრული მეცნიერებასა და რეალობას შორის? მაშასადამე, ყოფიერება და აზროვნება უთანაზომონი არიან? „ნამდვილის ჰეგემონია შეემცნება შეუძლებელია?“ (შვეგლერი, ტ. IV, გვ. 338). არისტოტელე უპასუხებს: პოტენციურად ცოდნა მიმართულია ზოგადისაკენ, აქტუალურად — განსაკუთრებულისაკენ.

#

NB?

შვეგლერი (ib.) უწოდებს höchst beachtenswert* **F. Fischer**-ის თხზულებას: „Die Metaphysik, von empirischem Standpunkte aus dargestellt**“ [გამოცემის წელი (1847)], სადაც ავტორი არისტოტელეს „რეალიზმზე“ ლაპარაკობს.

წიგნი 14, თავი 3, § 7: ...«თუ გრძნობად ნივთებში სრულიად არ არის მათემატიკური, მაშინ რატომღაა, რომ გრძნობადი ნივთების დამახასიათებელია მათემატიკურის თვისებანი?»... (გვ. 254).

(იგივე აზრია წიგნის უკანასკნელი ფრაზისა, წიგნი 14, თავი 6, § 21).

„მეტაფიზიკის“ დასასრული.

* — უაღრესად მნიშვნელოვან. რ ე დ.

** — ფ. ფიშერის: «მეტაფიზიკა, გადმოცემული ემპირიული თვალსაზრისით». რ ე დ.

Friedrich Fischer* (1801—1853), ფილოსოფიის პროფესორი ბაზელში. მის შესახებ Prantl'-ის სტატიაში (Allgemeine Deutsche Biographie**, ტ. 7, გვ. 67) მოცემულია მისი უგულვებელმყოფელი შეფასება და ნათქვამია, რომ იგი, «იმის გამო, რომ მისთვის სრულიად მიუღებელი იყო სუბიექტური იდეალიზმი, კინაღამ საპირისპირო უკიდურესობაში — იდეალურს მოკლებულ ემპირიზმში არ გადაეარდაო».

#

ჰა-ჰა!!!

* — ფრიდრიხ ფიშერი. რ ე დ.

** — პრანტლის (საყოველთაო გერმანული ბიოგრაფია). რ ე დ.

**ჩანაწერი ფოიერბახისა და ჰეგელის
თხზულებათა ტომების შესახებ ***

LOG. 536

ფოიერბახის თხზულებანი, ბოლინის გამოცემა

- ტ. I. აზრები სიკვდილისა და უკვდავების შესახებ
- II. ფილოსოფიური კრიტიკული შენიშვნები და ძირითადი დებულებანი
- III. ახალი ფილოსოფიის ისტორია
- IV. ლაიბნიცის ფილოსოფია
- V. პიერ ბეილი
- VI. ქრისტიანობის არსება
- VII. ამ წიგნის განმარტებანი და დამატებანი
- VIII. ლექციები რელიგიის არსების შესახებ
- IX. თეოგონია
- X. წერილები ეთიკის შესახებ და სიკვდილის შემდგომ გამოცემული აფორიზმები.

Log. I. 175

ჰეგელის თხზულებანი

III, IV და V. ლოგიკა

XIX, 1 და 2 — ჰეგელის წერილები.

დაწერილია 1914 წ. სექტემბერ—
დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში,
გვ. 24

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კონსპექტი ფორიერბახის წიგნისა
«ლაიბნიცის ფილოსოფიის გადმოცემა,
ანალიზი და კრიტიკა»¹⁴³

დაწერილია 1914 წლის
ჟანვარულს ან 1915 წლის იანვარს
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ლ. ფოიერბახი. თხზულებათა კრებული,
ტ. IV, 1910. ლაიბნიცი

და ა. შ.

ლაიბნიცის ბრწყინვალე გადმოცემაში უნდა აღინიშნოს ზოგიერთი განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი (ეს იოლი როდია, რადგან ყველაფერი — ე. ი. პირველი ნაწილი (§ 1—13) საუცხოო რამაა), შემდეგ

1847 წ. დამატებანი

(ფოიერბახმა ლაიბნიცი დაწერა 1836 წელს, როცა იგი ჯერ კიდევ იდეალისტი იყო)

§ 20

1847

§ 21

და ცალკეული ადგილები

გვ. 27 — სპინოზასაგან ლაიბნიცის განმასხვავებელი ნიშანი: ლაიბნიცის მიხედვით, სუბსტანციის ცნებას ემატება ძალის «და თანაც მოქმედი ძალის» ცნება... «თვითმოქმედების» პრინციპი (29) —

Ergo *, ლაიბნიცი თეოლოგიის გზით უახლოვდებოდა მატერიისა და მოძრაობის განუწყვეტელი (და უნივერსალური, აბსოლუტური) კავშირის პრინციპს. ასე, თითქოს, უნდა გავიგოთ ფოიერბახი?

გვ. 32: «სპინოზას არსება — ერთიანობა, ლაიბნიცის არსება — სხვაობა, განსხვავება».

გვ. 34: სპინოზას ფილოსოფია ტელეკოპი, ლაიბნიცისა — მიკროსკოპი¹⁴⁴.

* — მაშასადამე. რ ე დ.

«სპინოზას სამყარო არის აქრომატული მი-
ნა, გარემო, რომლიდანაც ჩვენ ვერაფერს ვხე-
დავთ, გარდა ერთიანი სუბსტანციის ციური
სინათლისა, რომელიც არაფრით არაა შეფე-
რადებული; ლაიბნიცის სამყარო — ეს არის
ნაირფეროვანი კრისტალი, ბრილიანტი, რო-
მელიც თავისი თავისებური არსების მეოხე-
ბით სუბსტანციის მარტივ სინათლეს გადა-
აქცევს საღებავთა უსასრულოდ მრავალფე-
როვან სიმდიდრედ და ამასთანავე დააბნე-
ლებს მას» (Sic!)

გვ. 40: «მაშასადამე, სხეულებრივი სუბსტან-
ცია ლაიბნიცისათვის არის უკვე არა მხო-
ლოდ განფენილი, მკვდარი, გარედან ამო-
ძრავებული მასა, როგორც ეს დეკარტეს-
თანაა. არამედ, როგორც სუ-
ბსტანციას, მას აქვს მოქმედი ძალა,
მოქმედების პრინციპი, რომელმაც მყუდ-
როება არ იცის».

ამისათვის, ალბათ, აფასებდა კიდეც
მარქსი ლაიბნიცს¹⁴⁵, მიუხედავად
იმისა, რომ მას, ლაიბნიცს, ჰქონდა
„ლასალისეული“ თვისებები და შე-
პარიგებლური მისწრაფებანი პოლი-
ტიკასა და რელიგიაში.

მონადა ლაიბნიცის ფილოსოფიის პრინცი-
პია. ინდივიდუალობა, მოძრაობა, სული (გან-
საკუთრებული სახის). არა მკვდარი ატომები,
არამედ ცოცხალი, მოძრავი, თავის თავში მთე-
ლი სამყაროს ამსახველნი, რომელთაც შეს-
წევთ (ბუნდოვანი) უნარი (თავისებური სუ-
ლის) მონადის წარმოდგენისა, აი „უკა-
ნასკნელი ელემენტები“ (გვ. 45).

თვითეული მონადა განსხვავდება მეორე-
საგან.

NB

«...ბუნების სილამაზის, წესრიგისა და გო-
ნების სრულიად საწინააღმდეგო იქნებოდა,
თუ სიცოცხლის ან შინაგან, საკუთარ მოქმე-
დებათა პრინციპი დაკავშირებული იქნებოდა

მატერიის მხოლოდ მცირე ან განსაკუთრებული ნაწილთან» (Leibniz — გვ. 45).

«ამიტომ მთელი ბუნება გავსებულია სულებით, როგორც სწორად მიაჩნდათ უკვე ძველ ფილოსოფოსებს, ანდა სულების ანალიტიკური არსებებით. ვინაიდან მიკროსკოპი იძლევა იმაში დარწმუნების შესაძლებლობას, რომ მოიპოვება თვალისათვის მიუწვდომელი უამრავი ცოცხალი არსება, და რომ არსებობს ქვიშის მარცვალსა და ატომებზე უფრო მეტი სული» (Leibniz — გვ. 45).

შეად. ელექტრონები!

მონადის თვისება: Vorstellung, Repräsentation*.

«თვით წარმოდგენა კი სხვა არაფერია, თუ არა რეპრეზენტაცია (კვლავწარმოქმნა და გამოსახვა) რთულისა ან გარეგნულისა, ე. ი. სიმრავლისა მარტივში»... ანდა... «წარმავალი მდგომარეობა, რომელიც ერთიანობაში, ანუ მარტივ სუბსტანციაში. შეიცავს და კვლავ წარმოქმნის სიმრავლეს» (გვ. 49, **ლაიბნიცი**) — verworrene** (გვ. 50) (confuse*** გვ. 52) Vorstellung აქვს მონადას — (აღამიანსაც ბევრი აქვსო შეუგნებელი, verworrene, გრძნობა etc.).

ყოველი მონადა არის «სამყარო თავისთვის, ყოველი მონადა წარმოადგენს თვითკმარ ერთიანობას» (ლაიბნიცი, გვ. 55).

«ბუნდოვან წარმოდგენათა ნარევი — აი რას წარმოადგენენ გრძნობები, აი რა არის მატერია» (ლაიბნიცი — გვ. 58)... «ამიტომ მატერია არის მონადათა კავშირი» (ib.)...

ჩემი თავისუფალი გადმოცემა:
მონადები = თავისებური სახის სულები. ლაიბნიცი = იდეალისტი. მატერია კი რალაც სულის ან ტლაპოს

- * — წარმოდგენა, რეპრეზენტაცია. რ ე დ.
- ** — არეული. რ ე დ.
- *** — ბუნდოვანი. რ ე დ.

სხვადყოფიერების მსგავსია, რომელიც მათ ამქვეყნიური, ხორციელი კავშირით აკავშირებს.

«აბსოლუტური რეალობა მხოლოდ მონადებსა და მათს წარმოდგენებში იმყოფება»... (ლაიბნიცი, გვ. 60). მატერია მხოლოდ ფენომენია.

«სიცხადე არის მხოლოდ სული» (გვ. 62)... მატერია კი არის «ბუნდოვანობა და უთავისუფლობა». (64)

სივრცე «თავისთავად რაღაც იდეალურია» (ლაიბნიცი, გვ. 70—71).

...«მატერიის ნაირსახეობის მატერიალური პრინციპი არის მოძრაობა»... (72)

«სავსებით ასევე, ნიუტონისა და მის მიმდევართა შეხედულების წინააღმდეგ, მატერიალურ ბუნებაში ცარიელი სივრცე არ არის. ჰაერტუმბო სრულიადაც არ ამტკიცებს სიცარიელის არსებობას, რადგან მინას აქვს სვრეტები, საიდანაც ყოველი სახეობის ფაქიზ მატერიას შეუძლია შეაღწიოს» (ლაიბნიცი, გვ. 76—77).

«მატერია არის ფენომენი» (ლაიბნიცი, 78). «თავისთვის ყოფიერება მონადისა არის მისი სული, მისი ყოფიერება სხვისთვის — მატერია» (ფოიერბახი, 78). ადამიანის სული არის ცენტრალური, უმაღლესი მონადა, ენტელექტია 146 etc. etc.

«ამიტომ ყოველ სხეულს ეხება ყველაფერი, რაც კი სამყაროში ხდება» (ლაიბნიცი, 83).

«მონადა წარმოადგენს მთელ სამყაროს» (ლაიბნიცი, 83).

«მონადას, მიუხედავად თავისი განუყოფლობისა, აქვს რთული მიდრეკილება, ე. ი. უამრავი წარმოდგენა, რომელთაგანაც თვითიული თავის განსაკუთრებულ ცვლილებებს ესწრაფვის და რომელნიც, ყველა სხვა საგანთან თავიანთი არსებითი კავშირის გამო, იმავე დროს მასში იმყოფებიან»... «ინდივიდუალობა შეიცავს, თითქოს, ჩანასახში უსასრულოს» (ლაიბნიცი, 84).

NB

ლაიბნიცი
ცნობრბდა
1646—1716

აქ თავისებური დიალექტიკაა და მეტად ღრმა, იდეალიზმისა და ხეცობის მიუხედავად.

«ყველაფერი ბუნებაში ანალოგიურია» (ლაიბნიცი, 86).

«საერთოდ, ბუნებაში არაფერია აბსოლუტურად წყვეტილი; ყველა დაპირისპირებულობა, ყველა საზღვარი სივრცისა და დროისა, ასევე თავისებურებანიც, ქრება აბსოლუტური უწყვეტობის წინაშე, სამყაროს უსასრულო კავშირის წინაშე» (ფოიერბახი, 87).

«თუმცა მონადას, მისი იმ განსაკუთრებული ბუნების გამო, რომელიც შედგება მარტონერვებისაგან და არა ხორცისა და სისხლისაგან, ეხება და ააგზნებს ყველაფერი, რაც კი ბუნებაში ხდება»... მაგრამ მაინც «იგი არ არის თანამოქმედი პირი, არამედ მსოფლიო დრამის მხოლოდ მაყურებელია. და სწორედ ამაშია მონადების მთავარი ნაკლი» (ფოიერბახი, 90).

სულისა და სხეულის თანხმობა — *harmonie préétablie* * ღმერთისაგან.

„ლაიბნიცის სუსტი მხარე“ (ფოიერბახი, 95) ¹⁴⁷.

«სული — თავისებური სახის სულიერი ავტომატი» (ლაიბნიცი, 98). (თვით ლაიბნიციც ამბობს ერთხელ, რომ მის ფილოსოფიაზე ადვილია ოკაზიონალიზმიდან გადასვლა ¹⁴⁸, ფოიერბახი, 100). მაგრამ ლაიბნიცთან ეს „სულის ბუნებიდან“... გამოიყვანება... (101)

„თეოდიცეაში“ ¹⁴⁹ (§ 17) ლაიბნიცი იმეორებს არსებითად ონტოლოგიურ საბუთს ¹⁵⁰ ღმერთის ყოფიერების სასარგებლოდ.

ლაიბნიცი აკრიტიკებდა ლოკის ემპირიზმს თავის *Nouveaux essais sur l'entendement*-ში ¹⁵¹ — როცა ამბობდა: *nihil est in intel-*

* — წინასწარ დაწესებული ჰარმონია. რ ე დ.

lectu etc. nisi intellectus ipse*
(I) (152).

(ფოიერბახიც პირველ გამოცემაში იდეალისტურად აკრიტიკებს ლოკს¹⁵²).

„ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა თ ა“
პრინციპი ძევს „ჩ ვ ე ნ შ ი“ (ლაიბნიცი, 148).

შეად. ა გ რ ე თ ვ ე კ ა ნ ტ ი

ჩვენში ძევს იდეები სუბსტანციისა, ცვლილებისა და სხვ. (ლაიბნიცი, 150).

«გონების შემწეობით მიიღო განსაზღვრა საუკეთესოს მიმართულებით — აი თავისუფლების უმაღლესი ხარისხი» (ლაიბნიცი, 154).

«ლაიბნიცის ფილოსოფია არის იდეალ ი ზ მ ი» (ფოიერბახი, 160) და ა. შ. და ა. შ.

გადასვლა
კანტზე

...«ლაიბნიცის მონადოლოგიის ხალისიანი, სიცოცხლით სავსე პოლითეიზმი გადავიდა «ტრანსცენდენტალური იდეალიზმის» მკაცრ, მაგრამ სწორედ ამის გამო უფრო სულიერ და ინტენსიურ მონოთეიზმში». (ფოიერბახი, 188).

[გვ. 188—220: 1847 წლის დამატებანი.]

გვ. 188: «იდეალისტური, აპრიორული ფილოსოფია»...

კანტის
დაცინვა

«მაგრამ, რასაკვირველია, ის, რაც ადამიანი-სათვის ა პ ო ს ტ ე რ ი ო რ უ ლ ი ა, ფილოსოფოსისათვის ა პ რ ი ო რ უ ლ ი ა; ვინაიდან რაკი ადამიანმა ცდის მონაცემები შეაგროვა და ისინი ზოგად ცნებებად გააერთიანა, მას, ბუნებრივია, შეუძლია გამოთქვას «სინთეზური მსჯელობანი à priori». ამიტომ ის, რაც უფრო აღრინდელი დროისათვის ც დ ის ს ა ქ მ ე ი ყო, უფრო მოგვიანო ხანაში გონების ს ა ქ მ ე დ ი ქ ც ე ვ ა... ასე, მაგალითად, ელემენტრობაც და მაგნეტიზმიც უწინ

* — არაფერია ინტელექტში და ა. შ., გარდა თვით ინტელექტისა. რ ე დ.

მხოლოდ ემპირიული იყო, ეს ნიშნავს აქ — შემთხვევითი, ცალკეულ სხეულებში აღქმული თვისებები, ახლა კი, მრავალრიცხოვანი დაკვირვების შედეგად, ისინი გახდნენ ყველა სხეულის თვისებანი, გახდნენ საერთოდ სხეულის არსებითი თვისებანი... ამრიგად, მხოლოდ კაცობრიობის ისტორიის თვალსაზრისით შეიძლება დადებითი პასუხი გაეცეს კითხვას იდეათა წარმოშობის შესახებ»... (191—192)

სული არ არის ცვილი, არ არის *tabula rasa* *... «წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებლად საჭიროა საგნისაგან რაიმე განსხვავებულის შემატება გარედან, და ნამდვილი სისულელე იქნებოდა, თუ მე მოვიზიდომებდი ეს განსხვავებული, რომელიც წარმოდგენის თვით დედაარსს ასაბუთებს, საგნიდან გამომეყვანა. მაგრამ რა უნდა იყოს ეს? საყოველთაობის ფორმა; ვინაიდან ინდივიდუალური იდეაც კი, ანდა წარმოდგენა — ყოველ შემთხვევაში ნამდვილ, ინდივიდუალურ საგანთან შედარებით — თავდაპირველად არის, როგორც ლაიბნიცი შენიშნავს, რაღაც ზოგადი, ე. ი. მოცემულ შემთხვევაში გაურკვეველი, განსხვავებათა წამშლელი, მომსპობი. გრძნობადობა არის მასიური, არაკრიტიკული, მდიდრული, მაშინ როდესაც იდეა, წარმოდგენა, ზოგადით და აუცილებელით შემოისაზღვრება». (192)

«ამრიგად, „Nouveaux essais sur l'entendement humain“-ის ძირითადი აზრი — მსგავსად „Der Kritik der reinen Vernunft“-ის ძირითადი აზრისა — ის არის, რომ **საყოველთაობა** და მისგან **განუყრელი** აუცილებლობა გამოხატავენ გონების ან არსების საკუთარ ბუნებას, არსებისა, რომელსაც წარმოდგენის უნარი გააჩნია, რის გამოც მათ არ შეუძლიათ თავის წყაროდ ჰქონდეთ გრძნობათა ორგანოები, ანუ ცდა, ე. ი. არ ძალუძთ გარედან მოსვლა»... (193)

ლაიბნიცი
და კანტი

აუცილებლობა განუყრელია საყოველთაობისაგან

NB

* — შმინდა დაფა. რ ე დ.

კანტელობა
= ძველი
ხარახურა

ეს იდეა უკვე აქვთ კარტეზიელებს — ფოიერბახს ციტატები მოჰყავს *Clauberger*-იდან * 1852 წ. 153

«უეჭველია, ეს აქსიომა» (რომ მთელი მეტია ნაწილზე) თავის უტყუარობას უნდა უმაღლოდეს არა ინდუქციას, არამედ გონებას, რადგან გონებას საერთოდ არა აქვს სხვა მიზანი და სხვა დანიშნულება, გარდა იმისა, რომ განაზოგადოს გრძნობათა მონაცემები, რათა გაგვათავისუფლოს განმეორების თავშემაწყენელი შრომისაგან, რათა წინასწარ გაითვალისწინოს, შეცვალოს, დაზოგოს გრძნობადი ცდა და გრძნობადი ჰერეტი. მაგრამ განა გონება აკეთებს ამას სრულიად დამოუკიდებლად, ისე, რომ არ ჰქონდეს ამის საფუძველი გრძნობაში? განა ესა თუ ის ცალკეული შემთხვევა, ჩემ მიერ გრძნობით აღქმული, ცალკეულია აბსტრაქციაში? განა იგი თვისებრივად გარკვეული შემთხვევა არ არის? მაგრამ განა ამ თვისებრიობაში არ არის თუნდაც ცალკეულ შემთხვევათა გრძნობით აღქმადი იგივეობა?... განა მე მარტო ფოთლებსა ვხედავ და არა ხეებს აგრეთვე? განა არ არის იგივეობის, ერთნაირობისა და სხვაობის გრძნობა? განა ჩემი გრძნობის ორგანოებისათვის არ არის განსხვავება შავსა და თეთრს შორის, დღესა და ღამეს შორის, ხესა და რკინას შორის? განა გრძნობადი აღქმა აუცილებელი დადასტურება არაა იმისა, რაც არსებობს? მაშასადამე, განა აზროვნების უმაღლესი კანონი, იგივეობის კანონი, იმავე დროს გრძნობადობის კანონი არ არის, განა აზროვნების ეს კანონი, ბოლოს და ბოლოს, გრძნობადი ჰერეტის ჭეშმარიტობას არ ემყარება?»... (193—194)

Leibniz Nouveaux essais-ში: «ერთობა ცალკეულ საგანთა მსგავსებაშია, და ეს მსგავსება რეალობაა» (წიგნი III, თავი 3, § 11). «მაგრამ განა ეს მსგავსება გრძნობადი ჭეშმა-

NB

* — კლავტერგიდან. რედ.

რიტება არაა? განა არსებანი, რომელთაც გონება მიაკუთვნებს ერთ კლასს, ერთ გვარეობას, ერთნაირად არ ახდენენ ზეგავლენას ჩემს გრძნობის ორგანოებზე?... განა ჩემი სქესობრივი გრძნობისათვის — გრძნობისათვის, რომელსაც აგრეთვე უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ჩვეულებრივ უყურადღებოდაც რჩება ხოლმე მოძღვრებაში გრძნობათა ორგანოებზე — არავითარი განსხვავება არაა ქალსა და დედალ ცხოველს შორის? ასეთ შემთხვევაში რალა განსხვავებაა გონებასა და გრძნობას ან შეგრძნებათა უნარს შორის? გრძნობადი აღქმა იძლევა საგანს, გონება — სახელწოდებას მისთვის. გონებაში არ არის ისეთი რამ, რაც გრძნობად აღქმაში არ იყოს, მაგრამ ის, რაც გრძნობად აღქმაში ფაქტიურად იმყოფება, იგი გონებაში იმყოფება ნომინალურად, სახელწოდებით. გონება არის უმაღლესი არსება, სამყაროს მმართველი; მაგრამ მხოლოდ სახელწოდებით და არა სინამდვილეში. რა არის სახელწოდება? განმასხვავებელი ნიშანი, რომელიმე ნიშანი, თვალში რომ გეცემა, ნიშანი, რომელსაც საგნის წარმომადგენლად, დამახასიათებლად ვხედი, რათა ეს საგანი მის ტოტალობაში წარმოვიდგინო. (195)

...«გრძნობა, სავსებით ისევე, როგორც გონებაც, მეუბნება, რომ მთელი მეტია ნაწილზე; მაგრამ იგი ამას მეუბნება არა სიტყვებით, არამედ მაგალითებით, მაგალითად, იმით, რომ თითი ხელზე უფრო პატარაა... (196—197)

...«ამიტომ, დარწმუნება იმაში, რომ მთელი ნაწილზე მეტია, დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, არა გრძნობად ცდაზე. მაშ რაზე? სიტყვაზე: მთელი. დებულებაში: მთელი მეტია ნაწილზე, არაფერი იმაზე მეტი არაა ნათქვამი, რასაც სიტყვა: მთელი ამბობს თავისთავად... (197)

bien dit! *

NB

bien dit!

...«ლაიბნიცი, პირიქით, როგორც იდეალისტი თუ სპირიტუალისტი, საშუალებას აქცევს მიზნად, გრძნობადობის უარყოფას სულის არსებად... (198)

...«ის, რაც თვით შეიცნობს თავის თავს, არსებობს და არის, და ეწოდება სული. მაშასადამე, ჩვენ ჩვენი სულის არსებობაში უფრო მალე ვრწმუნდებით, ვიდრე ჩვენი სხეულის არსებობაში. უეჭველია, რომ ცნობიერება პირველადია; მაგრამ იგი პირველადია მხოლოდ ჩემთვის და არა თავისთავად. ჩემი ცნობიერებისათვის მე ვარსებობ, იმიტომ რომ მე შევიცნობ ჩემ თავს; მაგრამ სიცოცხლის თვალსაზრისით მე შევიცნობ ჩემ თავს, იმიტომ რომ ვარსებობ. რომელია მათგან მართალი? სხეული, ე. ი. ბუნება, თუ ცნობიერება, ე. ი. მემ? რა თქმა უნდა, მემ; ვინაიდან შემძლია თუ არა ვალია, რომ მე მართალი არა ვარ? მაგრამ შემძლია თუ არა მე ნამდვილად ჩამოვაცილო ცნობიერება ჩემ სხეულს და ვიპოვო თვისთავად... (201)

...«სამყარო არის გრძნობათა ობიექტი და აზროვნების ობიექტი. (204)

«გრძნობად საგანში ადამიანი განასხვავებს არსებას, როგორც ის სინამდვილეშია, როგორც ის გრძნობადი აღქმის საგანია, იმისაგან, რაც მასში გრძნობადობისაგან აბსტრაქირებული აზრითი არსების სახითაა. პირველს იგი უწოდებს არსებობას ან აგრეთვე ინდივიდუუმს, მეორეს — არსებას ან გვარს. არსებას ადამიანი განსაზღვრავს როგორც რაიმე აუცილებელს და მარადიულს, — რადგან იმ შემთხვევაშიც კი, როცა გრძნობადი სამყაროდან ესა თუ ის გრძნობადი საგანი ქრება, იგი მაინც რჩება აზროვნების ან წარმოდგენის ობიექტად — არსებობას კი იგი განსაზღვრავს როგორც შემთხვევითსა და წარმავალ რამეს... (205)

...«ლაიბნიცი ნახევრად ქრისტიანია, იგი თეისტია, ანუ ქრისტიანი და ნატურა-

ლისტი. იგი ღმერთის სიკეთესა და ყოვლად-
შემძლეობას შემოსაზღვრავს სიბრძნით, გო-
ნებით. მაგრამ ეს გონება სხვა არაფერია, თუ
არა საბუნებისმეტყველო-მეცნიერული კაბი-
ნეტი, წარმოდგენა ბუნების ყველა ნაწილის
კავშირზე, მთლიან სამყაროზე. მაშასადამე,
იგი შემოფარგლავს თავის თეიზმს ნ ა-
ტ უ რ ა ლ ი ზ მ ი თ; იგი ამტკიცებს, იგი
იტყვის თეიზმს იმით, რაც მას მოხსნის...
(215)

NB

გვ. 274 (1847 წლის დამატებიდან):

«როგორ ბევრს მსჯელობდნენ გრძნობათა
მატყუარობაზე, როგორ ცოტას ენის მატყუ-
არობაზე, რომლისაგანაც ხომ განუყოფელია
აზროვნება! მაგრამ როგორ, ბოლოს, უხეშია
გრძნობათა მცდარობა, როგორ ნატიფია ენის
მცდარობა! როგორ დიდხანს მატყუებდა გო-
ნების საყოველთაობა, ფიხტესეული და ჰეგე-
ლისეული მმ-ს საყოველთაობა, სანამ, ბო-
ლოს, ჩემი ხუთი გრძნობათა ორგანოს შემწე-
ობით არ გავიგე ჩემი სულის საცხონებლად,
რომ ყველა სიძნელე და საიდუმლოება ლო-
გოსისა, გონების მნიშვნელობით, გადაწყვე-
ტას პოულობს სიტყვის მნიშვნელობაში! აი
რატომაა, რომ ჰა ი მ ი ს სიტყვები: «გონე-
ბის კრიტიკა ენის კრიტიკად უნდა გადაიქ-
ცეს»-ო თეორიულად ესოდენ მახლობლად
მეჩვენება. — რაც შეეხება დაპირისპირებუ-
ლობას ჩემსა, როგორც შემგრძნებსა და პი-
როვნულ არსებასა, და ჩემს, როგორც მოა-
ზროვნე არსებას შორის, იგი ამ შენიშვნისა
და ციტირებული დისერტაციის» (თვით ფოი-
ერბახის დისერტაციის) ¹⁵⁴ «აზრის მიხედვით
დაყვანილია მკვეთრ დაპირისპირებულობამ-
დე: შეგრძნებაში მე წარმოვადგენ ცალკე-
ულს, აზროვნებაში — ზოგადს. მაგრამ შე-
გრძნებაში მე არა ნაკლებად ზოგადი ვარ, ვი-
დრე აზროვნებაში ცალკეული. შეთანხმე-
ბულობა აზროვნებაში დაფუძნებულია მხო-
ლოდ შეთანხმებულობაზე შეგრძნებაში».
(274)

...«ადამიანთა ყოველი ურთიერთობა ადა-
ჰიანთა შეგვრძნების ერთგვარობის წანამ-
ძღვარზეა დამყარებული». (274)

Spinoza და Herbart* (1836)¹⁵⁵. გვ. 400
ff. სპინოზას და ცვა „მორალისტ“ Her-
bart'-ის უხამსი თავდასხმებისაგან.

ხაზგასმულია სპინოზას ობიექტივიზმი etc.
NB.

Verhältnis zu Hegel (1840 და später).
S. 417 ff. **

არც ძალიან ნათელია, ნაწყვეტ-
ნაწყვეტადაა ხაზგასმული, რომ ჰეგელ-
ლის მოწაფე იყო.

შენიშვნებიდან:

«რას წარმოადგენს დიალექტიკა, რომელიც
წინააღმდეგობაში იმყოფება ბუნებრივ წარ-
მომობასა და განვითარებასთან? რაშია მისი
აუცილებლობა?».. (431)

Herr von Schelling*** (1843)
წერილი Marx'-ისადმი (434 ff.). შაუდ ნაწე-
რის მიხედვით. შელინგის განადგურება

IV ტომის დასასრული.

* — სპინოზა და ჰერბარტი. რ ე დ.

** — დამოკიდებულება ჰეგელთან (1840 და უფრო გვიან). გვ. 417
და შემდ. რ ე დ.

*** — ბატონი ფონ შელინგი. რ ე დ.

დ-რი იოჰან პლენზე. «მარქსი და ჰეგელი»

ბიუბინგენი. 1911¹⁵⁷

პლენზეს არ შეუძლია გაიგოს, თუ როგორ თავსდება „მატერიალიზმი“ რევოლუციურობასთან (უწოდებს რა ამ უკანასკნელს „იდეალიზმს“ და ა. შ.) და ბრაზობს თავის გაუგებლობაზე!!!

ყოვლად უხამსი!

{ კარგი ნიმუშია იმისა, თუ როგორ აუხამსებენ ბურჟუაზიული პროფესორები მარქსიზმის საფუძვლებს, მის თეორიულ საფუძვლებს!! იმპერიალისტური ეკონომისტებისა¹⁵⁸ და კომპ-ის Ad notam*!! }

პრეტენციოზული წინასიტყვაობის შემდეგ, როგორც, მაგალითად, მე, მე, მე „წამიკითხავს“ ჰეგელი და მარქსიო — მოდის ნარკვევი ჰეგელის „მოდღვრებიდან“, უაღრესად ზერელე (იდეალიზმი არაა გამოყოფილი „სპეკულაციისაგან“, გაგებულია მეტად და მეტად ცოტა; მაგრამ მაინც ამ ნარკვევში არის ზოგი რამ კარგი შედარებით კანტელობასთან etc.) — შემდეგ მარქსის შესახებ უკვე პირდაპირ მოჩმანხული „კრიტიკაა“.

ღიალექტიკის თეორიული მხარე შეუმჩნეველია!!

მარქსს სწამებენ „წმინდა იდეოლოგიას“, როცა იგი „ნამდვილ“ პროლეტარად კლასის წარმომადგენელს გულისხმობს. (82)

მარქსი = „იდეოლოგი“...

«ხან უხეში ენა განდგომილისა, რომელმაც გადაჭრით უარყო ყოველგვარი იდეალიზმი... ხან იდეალური მოთხოვნა პოლიტიკური ენთუზიასტისა: ასეთია კარლ მარქსის სინამდვილე». (81—82)

!

• — საყურადღებოდ. რ ე დ.

„nur“ *!!

მარქსმა!!

„ვერ

გაიგო“

ჰეგელი

97 და სხვ.

«საკმაოდ უცნაურია, რომ ამ რადიკალურ-მა ებრაელმა დოქტორმა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ერთი უნივერსალური საშუალება იცოდა ყველა საზოგადოებრივი ფორმისათვის, რომელთაც მკურნალობა ესაჭიროებოდა: კრიტიკა და პოლიტიკური ბრძოლა». (56)

... მარქსის ისტორიული მატერიალიზმი სინამდვილეში «სხვა არაფერია, თუ არა პათეტიკური უესტი», «უაღრესად რაციონალისტური მოძღვრება», «თავის უღრმეს საფუძველში საზოგადოების იდეალისტური განხილვა etc. etc. ... (83)

...«ავიტატორული მოტივები»... (84) (id. 86, 92 და სხვ.) (115 და სხვ.)

მარქსმა გადმოიღო «ეს საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ემპირიზმი» (88). «მარქსი ანატურალიზებს მეცნიერებას საზოგადოების შესახებ» (ib.).

...«მისი» (Marx'-ის) «გზა მოაზროვნის გზა კი არაა, არამედ ... თავისუფლების წინასწარმეტყველისა»... !!! (94—95)

სოციალისტური რევოლუცია = სუბიექტური იმედი გაასაღონ იგი „ობიექტურად მეცნიერულ შემეცნებად“ «არის შარლატნობად გადაგვარებული ილუზია ექსტაზის მდგომარეობაში მყოფი მეოცნებისა» (გვ. 110).

...«მარქსში... სჭარბობდა თავისუფლების რადიკალური მოციქულის მგზნებარე ნებისყოფა»... (111)

!!

!!

inde ira!!**

მარქსი, «ავიტატორულად რომ აღვივებს სიძულვილის ყველა ინსტინქტს»... (115)

«მარქსიზმი... ხდება აბსტრაქტულ-უარყოფითი, ფანატიკური ენთუზიაზმის ეთიკა» (როგორც მაჰმადიანობა ჰეგელის მიხედვით!)... (120)

...მარქსის „ფანატიკური ტემპერამენტი“ (და მისი «ფიცხი თავი») — აი რაშია დედაარსი. (120)

და ა. შ. უხამსი ლაქლაქაა!
საიდანაა ეს ციტატი? ავტორმა
არ აღნიშნა.

«ურევოლუციოდ სოციალიზმი ვერ გან-
ხორციელდება. სოციალიზმი საჭიროებს
ამ პოლიტიკურ აქტს, რამდენადაც იგი სა-
ჭიროებს დანგრევას და დაშლას. მაგრამ
იქ, სადაც მისი ორგანული მოქმედება
იწყება, სადაც მისი თვითმიზანი მის სულს
ამყვანებს, იქ სოციალიზმი უკუაგდება
პოლიტიკურ გარსს».

NB

NB

— მოჰყავს რა ეს ციტატი, წყაროს დაუსა-
ხელებლად, პლენგე განაგრძობს: «პოლიტი-
კური გარსი, რომელსაც უკუაგდებენ, არის,
რა თქმა უნდა, მთელი მარქსიზმი». (129)

როგორ ნახულობს პლენგე „წინააღმდე-
გობებს“: Marx-ი Rheinische Zeitung-
ში¹⁵⁹ წერდაო: ««იგივე სული, რომელიც
მრეწველობის ხელებით რკინიგზებს აშე-
ნებს, ფილოსოფოსის ტვინში ფილოსო-
ფიურ სისტემებს აგებს» (გვ. 143). შემდეგ
კი ეს წარმოების საშუალებანი თავისუფ-
ლდებიან სულისაგან, რომელმაც ისინი
შექმნა, და თავის მხრივ სუვერენულად
განსაზღვრავენ სულს».

„ჭკუის-
კოლოფი“

Mehrwertstheorie-ს * კრიტიკის ნიმუში
პლენგესთან:

«თავისი უხეში გადაჭარბებით იგი უდიდე-
სი ამაგზნებელი სიცხადით უსვამს ხაზს კაპი-
ტალიზმის იმ ულმობელ ფაქტს, რომ მოგე-
ბისადმი სწრაფვა ამცირებს ხელფასს და აუ-
არესებს შრომის პირობებს. მაგრამ სამაგიე-
როდ მას ახასიათებს ცნებათა გაორების ელე-
მენტარული შეცდომა, გაორებისა, რომელიც
დაჩრდილულია გამოყენებული ტერმინოლო-
გიით»... (157)

!!

* — ზედმეტი ღირებულების თეორიის. რ ე დ.

...«აგიტატორული მოთხოვნების გამო
ხედმეტი ღირებულების ამაგზნებელი თეო-
რია მთელ სისტემაში ყველაზე თვალსაჩინო
ადგილას თავსდება»... (164)

მარგალიტი!!

...«მარქსი — XIX საუკუნის რევოლუციო-
ნერი ებრაელია, რომელმაც ჩვენი დიადი
ფილოსოფიის ნასესხები სამოსელი ხელახლა
გამოჭრა თავისი მიზნებისათვის». (171)

(ყოველად უხამსია ეს პლენგე, მისი უხეირო)
წიგნის მეცნიერული ფასია O.

დაწერილია არა უგვიანეს
1916 წლის ივნისისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ზენიზვნები წიგნების შესახებ

. . .
F. Raab. Die Philosophie von R. Avenarius. Systematische Darstellung und immanente Kritik. Leipzig. 1912 (164 p.). 5 Mk.*

Perrin. Les atomes. Paris (Alcan)** 160.

. . .

დაწერილია არა უადრეს
 1912 წლისა

პირველად დაბეჭდა 1938 წელს
 ლენინის XXXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — ფ. რააბი. რ. ავენარიუსის ფილოსოფია. სისტემატური გადა-
 მოცემა და იმანენტური კრიტიკა. ლაიპციგი, 1912 (164 გვ.). 5 მარკა.
 რ ე დ.

** — პ ე რ ე ნ ი. ატომები. პარიზი. (ალკანი). რ ე დ.

ციურისის კანტონური ბიბლიოთეკის
ფილოსოფიური წიგნებიდან¹⁶¹

*Gideon Spicker. Über das Verhältnis der Naturwissenschaft zur Philosophie** (განსაკუთრებით კანტისა და ლანგეს მატერიალიზმის ისტორიის versus). 8°. Berlin, 1874. *IV. W. 57 K.*

Hegel. Phänomenologie (hrs. Bolland. 1907)**. *IV. W. 165 g.*

დაწერილია 1915 წელს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — გიდეონ სპიკერი. ფილოსოფიისადმი ბუნებისმეტყველების დამოკიდებულების შესახებ. რედ.

** — ჰეგელი. ფენომენოგია (ბოლანდის გამოცემა, 1907). რედ.

(«კანტონური ბიბლიოთეკა ციურისში»¹⁶²)

(Signatur: *K. b i.*)

Flugschriften des deutschen Monistenbundes. Heft 3:
Albrecht Rau. „Fr. Paulsen über E. Haeckel“. 2-te
Aufl. Brackwede. 1907 (48 SS.)*

NB ((პაულსენის მეტად მკვახე კრიტიკაა ფოიერბახის მსოფლ-
მხედველობის თვალსაზრისით. ბურჟუაზიული განმანათ-
ლებლობის „მოჭიკანი“!))

დაწერილია 1915 წელს
პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის XXII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — მონისტების გერმანული კავშირის ფურცლები. რვეული 3:
ალბრეხტ რაუ. «ფ. პაულსენი ე. ჰეკელის შესახებ». მე-2 გა-
მოს. ბრაკვედესი. 1907 (48 გვ.). რ ე დ.

III განყოფილება. («ზოგადსაგანმანათლებლო და მეცნიერული ხასიათის თხზულებანი») ¹⁶³:

მოდერნებანი წარმოშობის შესახებ... 1914

(თანამედროვე კულტურა III, IV.)

E. Haeckel. Gott-Natur. Leipzig, 1914... Sch. 480 N 24.*

...

*Uhde. Feuerbach. Leipzig, 1914**... XVI. 906.*

...

*A. Zart. Bausteine des Weltalls: Atome, Moleküle... Stuttgart, 1913***.*

დაწერილია 1916 წელს
პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — ე. ჰეკელი. ლმერთი-ბუნება. ლაიპციგი, 1914. რ ე დ.

** — უ დ ე. ფოიერბახი. ლაიპციგი, 1914. რ ე დ.

*** — ა. ცარტი. სამყაროს საფუძვლები: ატომები. მოლექულე-ბი... შტუტგარტი, 1913. რ ე დ.

. . .

Ruttmann. Die Hauptergebnisse der modernen Psychologie*. *Pe.* VII. 3551.

. . .

Suter. Die Philosophie von Richard Avenarius. 1910 (Diss.)**. *St. Bro.* 11. 341.

დაწერილია 1916 წელს
პირველად დაიბეჭდა 1936 წელს
ლენინის XXIX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.

* — რუტმანი. თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი შედეგები. რედ.

** — სუტერი. რიხარდ ავენარიუსის ფალოსოფია. 1910. (დისერტაცია). რედ.

**შენიშვნა იოჰ. პლენგეს წიგნის — «მარქსი
და ჰეგელი» — რეცენზიის შესახებ** ¹⁶⁴

Joh. Plenge. Marx und Hegel. Tübingen, 1911.
(184 SS.) (Mk. 4)*.

{ ი. ბაუერის უარყოფითი რეცენზია „Archiv für Geschichte }
{ des Sozialismus“-ის ** III ტომში, მე-3 ნაკვეთში. }

დაწერილია 1913 წელს
პირველად დაიბეჭდა 1938 წელს
ლენინის XXXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — ი. პ. პლენგე. მარქსი და ჰეგელი. ტიუბინგენი, 1911.
(184 გვ.) (4 მარკა). რ. ე. დ.

** — «სოციალიზმის ისტორიის არქივი». რ. ე. დ.

შენიშვნები რ. ზ. პერის წიგნის — «თანამედროვე
ფილოსოფიური ტენდენციები» — რეცენზიის
შესახებ ¹⁶⁵

Mind. 1913. აპრილი. რეცენზია. F. C. S. Schiller⁷-ისა
Ralph Barton Perry-ს წიგნზე: Present Philosophical Ten-
dencies: a critical survey of Naturalism, Idealism, Prag-
matism & Realism, together with a Synopsis of the Phi-
losophy of William James. London & New York. (Long-
mans & Co). 1912. Pages. 383*.

შილერი პერის „რეალიზმის“ წინააღმდეგია და პერის ბრა-
ლად სდებს იმას, რომ «მისი აზრი ისე დაკავებულია იდეალიზ-
მისადმი რეალიზმის მეტაფიზიკური დაპირისპირებით, რომ
იგი ყოველთვის ცდილობს ყველა სხვა პრობლემა ამაზე დაი-
ყვანოს».

უნდა აღინიშნოს, რომ შილერს მოჰყავს შემდეგი ადგილი
პერიდან: «ორგანიზმი შეესაბამება გარემოს, საიდანაც ის გან-
ვითარდა და რომელზეც ის მოქმედებს. ცნობიერება არის
ამორჩევითი პასუხი გარემოზე, რომელიც მასზე უწინ არსე-
ბობდა და არსებობს მისგან დამოუკიდებლად. უნდა იყოს რაი-
მე, რითაც გამოწვეულია პასუხი, თუ არის რაიმე პასუხი»
(გვ. 323 პერისთან). და შილერი ეკამათება:

«თუ რწმენით არ გადავწყვეტთ საკითხს «დამოუკი-
დებლად არსებული გარემოს შესახებ» (ხაზგასმა შილე-
რისაა), «მაშინ არაფერი არაა აქ დამტკიცებული, გარდა თა-
ნაფარდობისა აზრსა და მის «გარემოს» შორის»...
(გვ. 284).

დამა-
ხასი-
ათე-
ბე-
ლია!!

დაწერილია 1913 წელზე
უფრო გვიან

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს
ლენინის XXXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — რალფ ბარტონ პერი: «თანამედროვე ფილოსოფიური ტენდენ-
ციები: ნატურალიზმის, იდეალიზმის, პრაგმატიზმის და რეალიზმის კრი-
ტიკული მიმოხილვა, უილიამ ჯეიმსის ფილოსოფიის ნაკვეთთან ერთად».
ლონდონი და ნიუ-იორკი. (ლონგმენსი და კოპპ.). 1912. გვ. 383. რ ე ღ.

**ზენიზვნები ა. ალიოტას წიგნის — «იდეალისტური
რეაქცია მეცნიერების წინააღმდეგ» — რეცენზიის
შესახებ** ¹⁶⁶

Antonio Aliotta: La reazione idealistica contro la scienza. 1 volume. 8°. XVI + 526 p. Palerme. Casa editrice Optima. 1912*.

რეცენზია „Revue Philosophique“-ში** (Ribot***). პარიზი 1912, № 12, გვ. 644—646, ბ-ნ J. Segond-ისა****, რომელიც ამბობს, რომ

«იგი» (Aliotta) «გვიჩვენებს აგნოსტიციზმში თანამედროვე რეაქციის ყველა უახლეს წყაროს; იგი გვიჩვენებს, რომ ეს რეაქცია ვითარდება გერმანული (რილი) და ფრანგული (რენუვიე) ნეოკრიტიციზმის მეშვეობით, მახისა და ავენარიუსის ემპირიოკრიტიციზმის მეშვეობით, ინგლისური ნეოპეგელელობის მეშვეობით; იგი აგვიწერს და ამჟღავნებს ბერგსონისა და შმიტის ინტუიტივიზმს, უ. ჯემსის, დიუისა და შილერის ანგლო-ამერიკულ პრაგმატიზმს, რიკერტის, კროჩეს, მიუნსტერბერგისა და როისის ღირებულებათა ფილოსოფიას და ისტორიზმს» და ა. შ. (645) და ა. შ. შუბემდე, კოპენაჰდე ***** და სხვებისას.

მეორე ნაწილში ავტორი არჩევს ოსტვალდის ენერგეტიკასაც, დიუპემის „des qualités ***** ახალ ფიზიკასაც“, ჰერცის, მაქსველის და Pastore-ის ***** „მოდელების თეორია-

* — ანტონიო ალიოტა: იდეალისტური რეაქცია მეცნიერებას წინააღმდეგ. 1 ტომი. 8°. XVI + 526 გვ. პალერმო. ოპტიმას გამომცემლობა. 1912. რ ე დ.

** — «ფილოსოფიურ მიმოხილვაში». რ ე დ.

*** — რიბო. რ ე დ.

**** — ჟ. სეგონისა. რ ე დ.

***** — შუბემდე, კოპენაჰდე. რ ე დ.

***** — თვისებათა. რ ე დ.

***** — პასტორეს. რ ე დ.

საც“. ავტორს განსაკუთრებით სძულსო მისტიციზმი (მათ შორის ბერგსონის) და ა. შ.

ავტორის თვალსაზრისი არისო «ჭეშმარიტად რაციონალური ინტელექტუალიზმის საშუალო ხაზის სულისკვეთება, — ბ-ნ ალიოტას და ბ-ნ კიაპელის სულისკვეთება». (645)

დაწერილია 1913 წელს

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს
ლენინის XXXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები
ჰილფერდინგის გამონათქვამებზე მახის შესახებ
(წიგნში: «ფინანსური კაპიტალი»¹⁶⁷)

ჰილფერდინგი: „ფინანსური კაპიტალი“.
 („უახლესი ფაზა კაპიტალიზმის განვითარებაში“). მ. 1912

გერმანულ ენაზე გამოვიდა 1910 წელს (III Band Marx-Studien)

- | | |
|---------------------------|---|
| დომხალი... | გვ. 13 — „ე. მახის მიხედვით“. „„შე“ არის მხოლოდ ის ფოკუსი, რომელშიც უფრო მჭიდროდ ხვდებიან ერთმანეთს შეგრძნებათა უსასრულო ძაფები... საესებით ასევე ფული წარმოადგენს კვანძს საზოგადოებრივ კავშირთა ქსელში“... |
| არაა სწორი
არა „ასევე“ | გვ. 71 შენიშვნა. „მხოლოდ ჩვენი ჰერეტიკ ანიჭებს ნივთებს სივრცის ფორმას“ (კანტილი). |

დაწერილია არა უგვიანეს,
1916 წლისა.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები წიგნებზე

ბ. ვ. კლუხანოვი. «მარქსიზმის ძირითადი საკითხები»

С П Б., 1908

[23]... იდეალისტები ჯერ გადააქცევენ აზროვნებას თვითმყოფ, ადამიანისაგან დამოუკიდებელ არსებად («სუბიექტად თავისთვის»), შემდეგ კი აცხადებენ, რომ მასში, ამ არსებაში, გადაწყდება წინააღმდეგობა ყოფიერებასა და აზროვნებას შორის. ეს სწორედ იმიტომ, რომ მას, მატერიისაგან დამოუკიდებელ არსებას, ახასიათებს ცალკეული, დამოუკიდებელი ყოფიერება. და წინააღმდეგობა ნამდვილად გადაწყდება მასში, რადგან რაღა არის ეს არსება? აზროვნება. და ეს აზროვნება არსებობს, — არის, — სხვა რაიმესაგან დამოუკიდებლად. მაგრამ წინააღმდეგობის ეს გადაწყვეტა არის მისი წმინდა ფორმალური გადაწყვეტა. მას მხოლოდ იმით მიაღწევენ, რომ, — როგორც უკვე ზემოთ ვამბობდით. თავიდან იშორებენ მის ერთ-ერთ ელემენტს: სახელდობრ, აზროვნებისაგან და-

მოუკიდებელ ყოფიერებას. ირკვევა, რომ ყოფიერება

არის აზროვნების მარტივი თვისება, და როცა ვამბობთ, რომ მოცემული საგანი არსებობს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი არსებობს აზროვნებაში.

[24]... ყოფნა არ ნიშნავს არსებობას აზრში. ამ მხრივ ფიქრებახის ფილოსოფია გაცილებით უფრო ნათელია ი. დიკენის ფილოსოფიაზე. «დაამტკიცო, რომ რაიმე არსებობს, — შენიშნავს ფიქრებახი. — ნიშნავს დაამტკიცო, რომ იგი არსებობს არა მარტო აზრში» *...

[28 — 29]... ისტორიის მატერიალისტურ ახსნას უწინარეს ყოვლისა მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს შესანიშნავად ესმოდა ენგელსს. როცა წერდა: «ჩვენ გვესაჭიროება არა იმდენად შიშველი შედეგები, რამდენადაც შესწავლა (das Studium): შედეგები — არაფერია, თუ მათ იმ განვითარებისაგან დამოუკიდებლად ავიღებთ, რომელსაც მათთან მიყვართ» **...

* Werke. X. 187.

** Nachlass, I, 477.

NB

[29 — 30]... საერთოდ მარქსისა და ენგელსის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება მატერიალიზმის წინაშე ისაა, რომ მათ გამოიმუშავეს სწორი მეთოდი. მონადობა რა თავისი ძალღონე ჰეგელის ფილოსოფიაში არსებული სპექულაციური ელემენტის წინააღმდეგ ბრძოლას, ფოიერბახმა ნაკლებად შეაფასა და გამოიყენა ამ ფილოსოფიის დიალექტიკური ელემენტი. იგი ამბობს: «ჰეგელიანიტი დიალექტიკა სრულიადაც არაა განმარტოებული მოაზროვნის დიალოგი თავის თავთან; ის არის დიალოგი მე-სა და შენ-ს შორის». მაგრამ, ჯერ ერთი, ჰეგელისთვისაც დიალექტიკას არ ჰქონდა მნიშვნელობა «განმარტოებული მოაზროვნის დიალოგისა თავის თავთან», მეორე, ფოიერბახის შენიშვნა სწორად განსაზღვრავს ფილოსოფიის ამოსავალ წერტილს, მაგრამ არა მის მეთოდს. ეს ხარვეზი შეაფასეს მარქსმა და ენგელსმა, რომლებმაც გაიგეს, რომ შეცდომა იქნებოდა ჰეგელის სპექულაციური ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მისი დიალექტიკის იგნორირება...

[31]... დიალექტიკას ბევრნი უჩვენენ მოძღვრებაში განვითარების შესახებ, და იგი, მართლაც, ასეთი მოძღვრებაა.

მაგრამ დიალექტიკა არსებითად განსხვავდება ევოლუციის ვულგარული «თეორიისაგან», რომელიც მთლიანად აგებულია იმ პრინციპზე, რომ არც ბუნება, არც ისტორია ნახტომებს არ აკეთებენ და რომ ყველა ცვლილება სამყაროში მხოლოდ თანდათანობით ხდება. ჯერ კიდევ ჰეგელმა გვიჩვენა, რომ ამგვარად გაგებული მოძღვრება განვითარების შესახებ სასაცილო და უსუსურია...

[33]... საერთოდ დიალექტიკური აზროვნების უფლებანი დასტურდება მასთან** ყოფიერების დიალექტიკური თვისებებით. ყოფიერება აქაც განაპირობებს აზროვნებას...

[39]... ამრიგად, გეოგრაფიული გაჩემოს თვისებები განაპირობებენ მწარმოებლური ძალების განვითარებას; მწარმოებლური ძალების განვითარება კი განაპირობებს ეკონომიურს, ხოლო მის მიყოლებით აგრეთვე ყველა სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასაც...

[42]... მწარმოებლური ძალების განვითარების ყოველ მოცემულ საფეხურს შეესაბამება გარკვეული ხასიათი შეიარაღებისა, სამხედრო ხელოვნებისა, და ბოლოს, საერთაშორისო...

* Werke, II, 345.

** ენგელსთან. რედ.

უფრო ზუსტად: საზოგადოებათშორისო, ე. ი. სხვათა შორის აგრეთვე ტომთაშორისო, — სამართლისა. მონადირე ტომებს არ შეუძლიათ შექმნან მსხვილი პოლიტიკური ორგანიზაციები სწორედ იმიტომ, რომ მათი მწარმოებლური ძალების დაბალი დონე აიძულებს მათ, ძველი რუსული ხატოვანი გამოთქმით, გაიფანტონ ცალცალკე, პატარ-პატარა საზოგადოებრივ ჯგუფებად, საარსებო საშუალებათა ძებნაში...

[46 — 47]... მარქსის მიხედვით, გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს ადამიანზე იმ წარმოებითი ურთიერთობის მეშვეობით, რომელიც მოცემულ ადგილას მოცემული მწარმოებლური ძალების საფუძველზე წარმოიქმნება, ძალებისა, რომელთა განვითარების პირველ პირობას ამ გარემოს თვისებები წარმოადგენენ...

[65 — 66]... „ეკონომიური სტრუქტურის“ ხასიათი და ის მიმართულება, რა მიმართულებითაც ეს ხასიათი იცვლება. დამოკიდებულია არა ადამიანთა ნებაზე, არამედ მწარმოებლური ძალების მდგომარეობაზე და იმაზე, თუ ნამდვილად რა ცვლილებები წარმოიქმნება წარმოებით ურთიერთობაში და საჭირო ხდება საზოგადოებისათვის ამ ძალების შემდგომი განვითარების შედეგად. ენგელსი ამას შემდეგი სიტყვებით განმარტავს: «ადამიანები თვით ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ დღემდე ისინი მას ქმნიდნენ, — ცალკეულ საზოგადოებათა შიგნითაც კი, — არა საერთო ნებისა და არა საერთო გეგმის მიხედვით. წარმოებდა მათი მისწრაფებების ურთიერთ გადაჯვარედინება, და სწორედ ამიტომ ყველა ასეთ საზოგადოებაში ბატონობს აუცილებლობა. რომლის შევსებასა და გამოვლინების გარეგან ფორმასაც შემთხვევითობა წარმოადგენს». თვით ადამიანის მოქმედება განისაზღვრება აქ არა როგორც თავისუფალი, არამედ როგორც აუცილებელი, ე. ი. როგორც კანონისაბამისი, ე. ი. როგორც ისეთი, რომელიც შეიძლება გახდეს მეცნიერული გამოკვლევის ობიექტი. ამრიგად, ისტორიული მატერიალიზმი, მიგვითითებს რა გამუდმებით იმაზე, რომ გარემოებებს ადამიანები ცვლიან, იმავე დროს პირველად გვაძლევს ჩვენ იმის შესაძლებლობას, რომ ამ ცვლილების პროცესის მეცნიერების თვალსაზრისით შევხედოთ. და აი რატომა გვაქვს ჩვენ სრული უფლება ვთქვათ, რომ ისტორიის მატერიალისტური ახსნა აუცილებელ პროლოგომენტებს იძლევა ადამიანთა საზოგადოების შესახებ ყოველი ისეთი მოძღვრებისათვის, რომელიც მეცნიერების სახით გამოხსვლას მოინდობებს...

[68]... პირველყოფილ საზოგადოებაში, რომელიც კლასებად დაყოფას არ იცნობს, ადამიანის მწარმოებლური საქმიანობა უშუალოდ ახდენს გავლენას მის მსოფლმპყვრეტელობაზე და მის ესთეტიკურ გემოვნებაზე...

[81 — 82]... თუ მოვისურვებდით მოკლედ გამოგვეხატა მარქსის — ენგელსის შეხედულება ამჟამად განთქმული «საფუძვლის» დამოკიდებულებაზე არა ნაკლებად განთქმული «ზედნაშენისადმი», ჩვენ მივიღებდით აი რას:

1) მწარმოებლური ძალების მდგომარეობა;

2) მათ მიერ ვაპირობებული ეკონომიური რთიერება;

3) მოცემულ ეკონომიურ «საფუძველზე» აღმოცენებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება;

4) საზოგადოებრივი ადამიანის ფსიქიკა, რომელსაც განსაზღვრავს ნაწილობრივ უშუალოდ ეკონომიკა, ნაწილობრივ კი მასზე აღმოცენებული მთელი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება;

5) განსხვავებული იდეოლოგიები, რომლებიც ამ ფსიქიკის თვისებებს ასახავენ...

[98]... ავიღოთ მაგალითისათვის ჩვენი თანამედროვე აგრარული საკითხი. ჰკვიან მემამულეს — კადეტს «მიწის იძულებითი გასხვისება» შეიძლება მოეჩვენოს ცოტად თუ ბევრად, — ე. ი. «სამართლიანი გასამრჯელოს» ოდენობის უკუპროპორციულად, — სამწუხარო ისტორიულ აუცილებლობად. გლენსკი, რომელიც «მიწის» შოვნას ესწრაფვის, პირიქით, ცოტად თუ ბევრად სავალალო აუცილებლობად მოეჩვენება მხოლოდ ეს «სამართლიანი გასამრჯელო», ხოლო თვით «იძულებითი გასხვისება» მას უთუოდ მისი თავისუფალი ნების გამოხატულებად და მისი თავისუფლების ყველაზე ძვირფას უზრუნველყოფად მოეჩვენება.

როცა ამას ვლამბარაკობთ, ჩვენ, შესაძლოა, თავისუფლებაზე მომღვრების ყველაზე მთავარ პუნქტს ვებზრობდეთ, პუნქტს, რომელსაც ენგელსი, რა თქმა უნდა, არ იხსენიებს მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანისთვის, რომელსაც ჰეგელის სკოლა გაუვლია, ეს პუნქტი ყოველგვარ განმარტებათა გარეშეც გასაგებია...

ფოთიერბაზი და დიცგენი. 24*.

შენიშვნები დაწერილია არა

ჟადრეს 1908 წლის მაისისა

ნაწილობრივ დაიბეჭდა 1933 წელს

ლენინის XXV კრებულში

მთლიანად იბეჭდება პირველად

იბეჭდება დედნის მიხედვით

* იგულისხმება პლენანოვის წიგნის 24 გვ. (იხ. ეს ტომი, გვ. 419). რ. ე. დ.

აბელ რეი. «თანამედროვე ფილოსოფია»

პარიზი, 1908¹⁶⁸

წ ი ნ ა ს ი ტ უ ყ ვ ა ო ბ ა

[6] *... მეცნიერება, შემეცნებისა და გონების ნა-
ყოფი, იმას ემსახურება მხოლოდ, რომ უზრუნველყოს
ჩვენი ნამდვილი ბატონობა ბუნებაზე. იგი მხოლოდ
იმას გვეუბნება, თუ როგორ გამოვიყენოთ ნივთები,
მაგრამ არაფერს გვეუბნება მათს არსებაზე...

[7]... ამრიგად, ჩემი მთავარი ამოცანა ამ შრომაში
ის იყო, რომ დამეპირისპირებინა ორი თვალსაზრისი:
დადებითი, «მეცნიერებისმაგვარი» და «პრაგმატიკუ-
ლი». ამასთან მე ვცდილობდი ვყოფილიყავი, შეძლე-
ბისამებრ, მიუდგომელი ორივე ამ თვალსაზრისის გად-
მოცემაში: რადგან კარგად ვიკა ვესამე, სერიოზული
საშიშროება ასეთი სახის შრომებში — არ მიუხლო
შენს მოწინააღმდეგეთ ის, რაც მათ კანონით ეკუ-
თვნით. მე არ ვიმედოვნებ სხვათა შორის, რომ ჩემს
მოზანს მთლიანად მივადწიე. ასეთი სრულყოფილი
«ნეიტრალიზება» შეუძლებელია.

NB

თ ა ვ ი

**ფილოსოფიურ დისკუსიათა
თანამედროვე ცენტრი**

§ 5. თანამედროვე ფილოსოფიური აზრის
ძირითადი წინააღმდეგობა

[28 — 29]... მაგრამ თანამედროვე ფილოსოფიური
სისტემებიც ჯერ კიდევ ერთიმეორის წინააღმდეგ გა-

* Rey, A. La Philosophie Moderne. Paris, 1908.
რ ე დ.

მოდიან, იბრძვიან ერთი ძირითადი წინააღმდეგობის ირგვლივ, რომელიც იმ წესიდან გამომდინარეობს, რა წესითაც ფილოსოფიური პრობლემა დაისმის ჩვენს ეპოქაში. ამრიგად, ანტითეზა არის ამასთანავე ის ფორმა, რასაც ფილოსოფიურ შეხედულებათა შეცვლა ლებულობს სხვადასხვა მომენტში, და ფორმა, რომელსაც ლებულობენ ერთსა და იმავე დროს გამოთქმული შეხედულებანი.

როგორიღაა, ზოგადი ფილოსოფიური პრობლემის თანამედროვე დასმის პირობებში, შესაძლებელი ალტერნატივები? ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, ვინაიდან მთელი საქმე ისაა, რომ შევინარჩუნოთ რაც შეიძლება უფრო მჭიდრო ერთიანობაში მეცნიერება და პრაქტიკული მოქმედება, შევინარჩუნოთ ისე, რომ არ გავწიროთ ერთიმეორის გულისათვის, არ დავუპირისპიროთ ისინი ერთმანეთს. მაშასადამე, ან პრაქტიკული მოქმედება გამოიყვანება მეცნიერებიდან, ანდა, პირიქით, მეცნიერება პრაქტიკული მოქმედებიდან. პირველ შემთხვევაში მეცნიერება დაფარავს პრაქტიკულ მოქმედებას; მეორე შემთხვევაში — პრაქტიკული მოქმედება დაფარავს მეცნიერებას. ლოგიკური კავშირი ორივე წევრს შორის შენარჩუნებული უნდა იყოს და მისი ვარირება შეიძლება მხოლოდ ამ წევრების შენაცვლებით, ჩავთვლით რა ხან პირველს მეორეზე დამოკიდებულად, ხან მეორეს პირველზე დამოკიდებულად. ერთ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ რაციონალისტურ, ინტელექტუალისტურ და პოზიტივისტურ სისტემებს — მეცნიერების დოგმატიზმს. მეორე შემთხვევაში მივიღებთ პრაგმატიზმის, ფიდეიზმის ან აქტიური ინტუიციის (ბერგსონისნაირის) სისტემებს — მოქმედების დოგმატიზმს. პირველი სისტემების თანახმად საჭიროა იცოდე, რომ იმოქმედო: შემეცნება წარმოქმნის მოქმედებას. მეორე სისტემების თანახმად ცოდნა ხელმძღვანელობს მოქმედების მოთხოვნილებებით: მოქმედება წარმოქმნის შემეცნებას.

მაგრამ მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ამ უკანასკნელ სისტემებს სურთ აღადგინონ მეცნიერებისადმი სიძულვილი და უვიციობის ფილოსოფია. არა, მხოლოდ სერიოზული გამოკვლევის შემდეგ, მეცნიერული, ხშირად უჩინებულესი ერულიციის საფუძველზე, მეცნიერების შესახებ დრმა კრიტიკული ფიქრისა და თვით ენერგიული, — როგორც ამ ფილოსოფოსთანაგან ზოგს ამის თქმა უყვარს, — «მეცნიერების აზრით შესისხლბორცების» საფუძველზე, მიდიან ისინი იმ დასკვნამდე, რომ მეცნიერება პრაქტიკიდან გამოიყვანონ. თუ ისინი ამით მეცნიერებას ამცირებენ, ეს წინასწარი განზრახვით როდი ხდება; პირიქით, ბევრი მათგანი ამ გზით ფიქრობს გამოავლინოს მეცნიერების მთელი ღირებულება...

NB

NB

§ 6. თანამედროვე ფილოსოფიური

პაპაძრობათა ინტერესი

[33 — 35]... მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ პრაგმატიზმის თეზისი სწორია და რომ მეცნიერება არის მხოლოდ განსაკუთრებული ხელოვნება, ტექნიკური საშუალება გარკვეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. რა გამოვა მაშინ?

უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტება ცარიელ სიტყვაედე დავა. ჭეშმარიტი დებულება აღმოჩნდება რეცეპტი წარმატებითი ხელოვნური ხერხისათვის. და რადგან არსებობს რამდენიმე ხერხი, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ჩვენთვის წარმატება ერთსა და იმავე გარემოებებში, რადგან სხვადასხვა ინდივიდს შეტად სხვადასხვა მოთხოვნილება აქვს, ჩვენც იძულებულად ვიქნებით მივიღოთ პრაგმატიზმის თეზისი: ყველა წინადადება და მსჯელობა, რომელთაც ჩვენ ერთსა და იმავე პრაქტიკულ შედეგებამდე მივყავართ, ტოლფასოვანნი და თანაბრად ჭეშმარიტნი არიან, ყველა აზრი, პრაქტიკულ შედეგს რომ იძლევა, თანაბრად კანონიერია. სიტყვა «ჭეშმარიტების» ამ ახალი აზრიდან ის გამომდინარეობს, რომ ჩვენი მეცნიერებანი წმინდა შემთხვევითი აზრთწყობანია, რომ ისინი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ სულ სხვაგვარი და მაინც იმდენადვე ჭეშმარიტნი, ე. ი. იმდენადვე გამოსადეგნი, როგორც მოქმედების იარაღი.

გაკოტრება მეცნიერებისა, როგორც ცოდნის რეალური ფორმისა, როგორც ჭეშმარიტების წყაროსი, — (1)
აი პირველი დასკვნა. კანონიერება სხვა მეთოდებისა, რომელნიც ფრიად განსხვავდებიან ინტელექტისა და გონების მეთოდებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, მისტიკური გრძნობა, აი მეორე დასკვნა. (2)
არსებობს სწორედ ამ დასკვნების გულისათვის იქნა აგებული მთელი ეს ფილოსოფია, რომელსაც ეს დასკვნები მოჩვენებითად აგვირგვინებენ...

რა ადვილია ასეთ შემთხვევაში ამ თავისუფალმოაზროვნეთა წინააღმდეგ მათივე საკუთარი იარაღის მიბრუნება. მეცნიერული ჭეშმარიტებანი! მაგრამ ეს ხომ ჭეშმარიტებანია მხოლოდ სახელწოდებით. ესენიც რწმენაა, და თანაც უმადარესი ხარისხის რწმენა, რწმენა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მატერიალური მოქმედებისათვის; მას მხოლოდ ტექნიკური იარაღის ღირებულება აქვს. რწმენა რწმენისათვის, რელიგიური დოგმატი, მეტაფიზიკური ან მორალური იდეოლოგია მათზე გაცილებით უფრო მაღლა დგას.

ყოველ შემთხვევაში მათ არაფერი აქვთ მოსარიდებელი მეცნიერების წინაშე, რადგან ამ უკანასკნელის პრივილეგირებული მდგომარეობა დაიმსხვრა.

NB

NB

NB

და მართლაც, პრაგმატიკების უმრავლესობა იჩქარის ალაღინოს მის უფლებებში, მეცნიერული ცდის საპირისპიროდ, მორალური ცდა, ცდა მეტაფიზიკური და განსაკუთრებით კი ცდა რელიგიური. ცდის ყველა ეს სახეობა ერთიმეორის გვერდით ვითარდება და მათ არასგზით არ შეუძლიათ ერთიმეორეს ხელი შეუშალონ, იმიტომ რომ ისინი მიმართულია სხვადასხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, პრაქტიკის სრულიად სხვადასხვა მხარისაკენ (მატერიალურ მოთხოვნებთან, ზნეობრივი ცნობიერების თუ რელიგიური გარემოს დაკმაყოფილებისაკენ), და სხვადასხვა დროებულ ებას ქმნიან.

[37]... მეტაფიზიკოსებისათვის ეს ნამდვილი მონაპოვარია. რელიგიის რესტავრაციასთან ერთად პრაგმატიკაში ხელს უწყობს მეტაფიზიკის რესტავრაციას. კანტისა და კანტის შემდეგ პოზიტივიზმმა თანდათანობით დაიპყრო XIX საუკუნის განმავლობაში თითქმის მთელი შემეცნების დარგი...

[39 — 40]... ამრიგად, პრაგმატიკულ პოზიციას, ისევე როგორც სხვა პოზიციებსაც, რომლებსაც, არ წარმოადგენენ რა ამდენადვე ფილოსოფიურ, ორიგინალურ და საინტერესო პოზიციებს, მაინც მსგავს დასკვნებამდე მივყავართ, ყოველთვის შედეგად მოსდევს რეაბილიტაცია ადამიანის აზრის დრომოჭმული ნორმატიული ფორმებისა, რომელთაც XVIII საუკუნის შუახანიდან დაწყებული ძლევამოსილად აძევებდა მეცნიერული პოზიტივიზმი, — რეაბილიტაცია რელიგიისა, მეტაფიზიკისა, მორალური დოგმატიზმისა, ე. ი. არსებითად სოციალური ავტორიტარიზმისა. აი რატომ არის ეს ერთ-ერთი იმ ორი პოლუსთაგანი, რომელთა შორისაც მთელი თანამედროვე აზროვნება, მთელი თანამედროვე ფილოსოფია მერყეობს. ეს არის პოლუსი დოგმატიკური რეაქციისა, ავტორიტარულობის სულისა. ყველა მისი ფორმით, და ეს პოზიცია მით უფრო საშიშია, რომ იგი წარმოვედგება თავდაპირველად, და სწორედ მის ყველაზე უფრო დიდ მიმდევრებთან, როგორც თავისუფალი სულის ყველაზე გაბედული და უკანასკნელი ამბოხება, როგორც ამბოხება იმ ერთადერთი ზღუდის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ იყო დარჩენილი და აქამდე მის საყრდენს წარმოადგენდა ყველა დანარჩენის დასათრგუნავად, — მეცნიერებისა და მეცნიერული ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

პირიქით, უახლესი ფილოსოფიური აზრის საპირისპირო პოლუსს, წმინდა მეცნიერულ პოზიციას, რომელსაც პრაქტიკა ცოდნიდან გამოჰყავს და ამიტომ ყველაფერს მეცნიერებას უმორჩილებს, ანასიათებს უმთავრესად ემანსიპაციისა და განთავისუფლებისადმი მისწრაფება. სწორედ აქ ვხვდებით ჩვენ ნოვატორებს. ისინი რენესანსის სულისკვეთების მემკვიდრენი არიან;

მათი მამები და უშუალო აღმზრდელგებია განსაკუთრებით ფილოსოფოსნი და სწავლულნი XVIII საუკუნისა, განთავისუფლების დიადი საუკუნისა, რომლის შესახებაც ასე მართებულად ამბობს მან: «იგი, ვინაც კი თუნდაც მხოლოდ ლიტერატურის მიხედვით ჰქონდა შესაძლებლობა ამ აღმავლობასა და განთავისუფლებას ზიარებოდა, სამუდამოდ შეინარჩუნებს XVIII საუკუნის მიმართ მელანქოლიური სინანულის გრძობას». ამ ტიპის მოაზროვნეთათვის ახსებობს ჭეშმარიტება, მართალია არა უცვლელი, მაგრამ ისეთი, რომელსაც შესაძლებელია განუწყვეტლოვ ვუანლოვდებოდეთ. მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ მეცნიერული მეთოდების შემწეობით, და მისი პოვნა მეცნიერების გარეშე არსად არ შეიძლება; ჭეშმარიტება, მეცნიერება — ადამიანის ყოველგვარი მოღვაწეობის აუცილებელი და საკმარისი პირობებია... !!?

§ 8. მეთოდი. — რეზიუმე და დასკვნები

[48—49]... ლაპარაკია მისი [მეცნიერების] ობიექტ-

ტურ მნიშვნელობაზე. ერთნი იფიქრებენ, რომ იგი უძლურია ამოსწუროს მთელი რეალობა, რომელიც მის ობიექტს შეადგენს, თუნდაც რომ ისინი ვარაუდობდნენ კიდევ, გარკვეული თვალსაზრისით, მის აუცილებლობას...

თ ა ვ ი II

რიცხვისა და განწმენილობის

პრობლემა. მატერიის რაოდენობრივი

თვისებაანი

§ 2. ძველი დავა ემპირიზმსა და აპრიორიზმს შორის

[55]... მაგრამ ყოველგვარი ემპირიული ელემენტის გამორიცხვა ხომ არ არის აგრეთვე მიუწვდომელი ზღვრული შემთხვევა? მათემატიკოსს, შენიშნავენ რაციონალისტები, შეეძლო უწინდებურად გაემარავლებია თავისი მეცნიერების სიმდიდრენი, თუნდაც რომ უეცრად გაქრეს მატერიალური სამყარო. დიან, უდავოდ, იგი რომ ახლა გაქრეს; მაგრამ შეეძლო თუ არა ნას შეექმნა მათემატიკა, მატერიალური სამყარო რომ არასდროს არ არსებულებოდა?...

§ 3. რიცხვისა და განწმენილობის ფილოსოფიური პრობლემის თანამედროვე ფორმა. «ნომინალისტური» და «პრაგმატული» კოზიციები

[61]... ბერგსონი, რომელიც, შეიძლება, სხვებზე

უფრო მეტად უწყობდა ხელს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ იდეათა გავრცელებას, არ მიიღებდა

დაუთქმელად გამოთქმას «ხელოვნური ფანდი». მის თვალში მეცნიერება არის რალაც უფრო მეტი და უფრო მაღალი, ვიდრე უბრალოდ ფანდი, მატერიის მიმართ. მაგრამ მატერია მისთვის არ არის ქვეშაირი

რეალობა; ეს არის რეალობა შებღალული, რეგრესული და მკვდარი. ქვეშაირი რეალობის, ცოცხალი, სულიერი და შემოქმედებითი რეალობის მიმართ კი მათემატიკას და მეცნიერებას საერთოდ უკვე არ შეუძლიათ ჰქონდეთ სხვა ხასიათი, გარდა ხელოვნურისა და სიმბოლურისა. ყოველ შემთხვევაში ძალაში რჩება, რომ ზემოქმედება მატერიაზე, და არა შემეცნება მისი არსებისა, იყო ის მიზანი, რომლისთვისაც მათემატიკა შექმნა ინტელექტმა, ამ პირველმა იარაღმა, რომელიც გამოკვეთილ იქნა მატერიის წინაშე პრაქტიკულ მოთხოვნილებათა ზეგაულებით...

[62]... განა მათემატიკა არაა, რომ ყველა სხვა მეცნიერებაზე უფრო ძლიერად იწვევს ჩვენი დროის ზოგიერთი მოახროენის გადახრას პრაგმატიზმისაკენ, პრაგმატიზმის ისეთი სოფისტიკისაკენ, როგორც მეცნიერული აგნოსტიციზმი? მართლაც, სწორედ მათემატიკაში ვგრძნობთ თავს ისე, რომ ყველაზე დაშორებული ვართ კონკრეტულსა და ზეალურს, ყველაზე ახლოს ვართ ფორმულებითა და სიმბოლოებით ნებისმიერ თამაშთან, ისეთ აბსტრაქტულ თამაშთან, რომ იგი ცარიელი გვეჩვენება...

[62 — 63]... ყველა ის ქვეშაირიტება, უფრო ფარდობითი და ნაკლებად ზუსტი ქვეშაირიტებანი, რომელთა მათემატიკურად გამოხატვას სხვა მეცნიერებანი ცდილობენ და რომლებითაც ეს უკანასკნელნი მათემატიკის შევსებას ლაშობენ, მიისწრაფვიან ამ აბსოლუტურისაკენ, როგორც პლანეტები მიისწრაფვიან მზისაკენ.

§ 4. რაციონალიზმი, ლოგიციზმი, ინტელექტუალიზმი

[65]... გეომეტრიის გაყინული და ერთგვაროვანი სივრცე არაა საკმარისი; საჭიროა კიდევ ფიზიკოსის მოძრავი და სხვადასხვაგვარი სივრცე. ბუნების უნივერსალური მექანიზმი არ ნიშნავს, რომ მატერიაში არაფერია, გარდა გეომეტრიისა. თანამედროვე ჰიპოთეზების თანახმად, იგი შეიძლება აგრეთვე იმას ნიშნავდეს, რომ არსებობს კიდევ ენერჯის განთავისუფლება ან გარდაქმნა ანდა ელექტრული მასების მოძრაობა...

NB

§ 5. რადიკალიზმის პრობლემის ზოგადი მნიშვნელობა: თავის საფუძველში ეს არის გონების პრობლემა

[74]... უწინარეს ყოვლისა, ექვს გარეშეა, რომ გონებას, რაგინდ უანგაროც იყოს იგი, უტილიტარული

ფუნქცია აქვს. სწავლულნი არც მანდარინები არიან და არც დილექტანტები. პრაგმატიზმიც მართალია, როცა იგი ხაზგასმით აღნიშნავს გონების მარგებლობას, მის განსაკუთრებულად მალალ მარგებლობას. მაგრამ ხომ არა სცდება იგი, როცა ამტკიცებს, გონებას სხვა ფუნქცია, გარდა უტილიტარულია, არა აქვსო. შეუძლიათ თუ არა რაციონალისტებს საესებით მართებულად შემოგვედონ, რომ გონების მარგებლობა სწორედ იმით აიხსნება, რომ როცა გონებას წინადადებანი წინადადებებიდან გამოჰყავს, მას ამასთანავე, ერთიმეორისაგან გამოჰყავს მიმართებანი ბუნების ფაქტებს შორის? იგი შესაძლებლობას გვაძლევს ამით ზემოქმედება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე; მაგრამ ის კი არაა, რომ ეს შეადგენდეს მის მიზანს, არამედ ეს გამომდინარეობს მისგან როგორც შედეგი. ლოგიკა და მეცნიერება რაოდენობის შესახებ, რომელთაც გონება ქმნის, რამდენადაც იგი უბრალოდ ანალიზს უკეთებს მის მიერ აღქმულ მიმართებებს, თავიანთ ბატონობას ავრცელებენ თვით ნივთებზე, ჩადგან რაოდენობრივი მიმართებანი იმავდროულად ნივთებისა და გონების კანონებია. თუ ცოდნა შეძლებას ნიშნავს, ეს არა იმიტომ, როგორც პრაგმატიკები ფიქრობენ, რომ მეცნიერება შეიქმნა ჩვენი პრაქტიკული მოთხოვნილებების გამო და მათი გულისათვის, ასე რომ გონების მთელი დირექტულება მხოლოდ მის სარგებლობაშია, — არამედ იმიტომ, რომ ჩვენი გონება, სწავლობს რა ნივთების შემეცნებას, ხელში გვაძლევს იარაღს მათზე ზემოქმედებისათვის...

NB

NB

§ 6. მათემატიკოსს კუანაპარეს იღებები

[75—76] დიდი მათემატიკოსი პუანკარე * განსაკუთრებით მტკიცედ იცავს მათემატიკის ამ ნებისმიერ ხასიათს.

NB

რასაკვირველია, ჩვენი მათემატიკა საესებით შეესაბამება რეალობას — იმ აზრით, რომ იგი შეგუებულია რეალურში არსებულ გარკვეულ თანაფარდობათა სიმბოლურ გამოსახულებასთან; იგი არ შთაუგონებია ჩვენთვის, ზუსტად რომ ვთქვათ, ცდას, ცდა გამოადგა გონებას მხოლოდ მათემატიკის შექმნის საბაბად. მაგრამ ჩვენი მათემატიკა, იმ სახით, როგორც იგი თანდათანობით შეიქმნა იმის მოხერხებული გამოხატვისათვის, რაც ჩვენ უნდა გამოგვეხატა, არის მხოლოდ ერთი მათემატიკათაგანი უსასრულოდ მრავალი შესაძლებელი მათემატიკიდან ან, უფრო სწორად, კერძო შემთხვევაა რომელიღაც გაცილებით უფრო ზოგადი

* Poincaré: La Science et l'Hypothèse, livre I (Paris, Flammarion).

პუნკარე

მათემატიკისა, რომლის დონემდე ამოღებასაც XIX საუკუნის მეცნიერნი ცდილობდნენ. შევიგნეთ რა ეს ნათლად, ჩვენ მაშინვე გავარკვიეთ ის, რომ მათემატიკა, თავისი არსებისა და ბუნების მიხედვით, აბსოლუტურად დამოუკიდებელია იმ გამოყენებისაგან, რომელსაც იგი ცდაში ღებულობს, და, მაშასადამე, აბსოლუტურად დამოუკიდებელია ცდისაგან. იგი — გონების თავისუფალი ქმნილებაა, მისი საკუთარი შემოქმედებითი ძალის ყველაზე მკაფიო გამოვლენაა.

აქსიომები, პოსტულატები, განსაზღვრანი, შეთანხმებანი — ყოველივე ეს არსებითად სინონიმებია. ამიტომ რომელიც გინდათ შესაძლებელ მათემატიკას ძალუძს მიგვიყვანოს დასკვნებამდე, რომლებიც, შეთანხმებათა შესაფერისი სისტემის შეშვებით სათანადოდ გამოხატულნი, სავესებით ასევე გამოიყენებოდნენ რეალურის მიმართ...

[77 — 79]... ეს თეორია მართებულად აკრიტიკებს აბსოლუტურ რაციონალიზმს და კანტის შერბილებულ რაციონალიზმსაც კი. იგი გვიჩვენებს, რომ გონებას სრულიად არ უნდა დაემუშავებინა გარდუვალი აუცილებლობით სწორედ ის მათემატიკა, რომელიც ასე კარგადაა მომარჯვებული ჩვენი ცდის გადასაცემად. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათემატიკა არ არის სინამდვილის რომელიმე საყოველთაო კანონის გამოხატულება, სულ ერთია, გავიგებთ ჩვენ სინამდვილეს (რა თქმა უნდა, იმ სინამდვილეს, რომელიც ჩვენ მოცემული გვაქვს) დეკარტისებურად, კანტისებურად თუ კიდევ როგორმე სხვანაირად. მაგრამ პუნკარესთან ამ დასკვნას სრულიად სხვა აზრი აქვს, ვიდრე პრაგმატიზმი.

ზოგიერთმა პრაგმატიკოსმა და პუნკარეს ყველა კომენტატორმაც კი, რომელთა წაითხვაც მე მომიხდა, სრულიად ვერ გაიგეს, ჩემი შეხედულებით, მისი თეორია. ეს არის ინტერპრეტატორული დამახინჯების საუცხოო მაგალითი. მათ პუნკარე განაღდეს — ამ პუნქტში, ისე როგორც სხვებშიც, სადაც მათი შეცდომა კიდევ უფრო ღრმავა, — დაუსახელებელ პრაგმატიკოსად. მაგრამ ვინ არ ხედავს, რომ ნამდვილი პრაგმატიკოსი მათემატიკას არაპირდაპირად ცდაზე დამოკიდებულს ხდის? მათემატიკის დეკრეტირება ხდება მასთან გონებით, როგორც პუნკარესთანაც, მაგრამ ეს არის გონების დეკრეტი, მიმართული პრაქტიკული მოქმედებისაკენ, მოქმედი აზრის თავისუფალი ნებისაკენ, როგორც ეს ახალ ფილოსოფიას ესმის. პრაგმატიკოსისათვის არ არსებობს წმინდა ჰერეტიკითი და უანგარო აზრი, არ არსებობს წმინდა გონება. არის მხოლოდ აზრი, რომელსაც სურს დაეუფლოს ნივთებს და

ამ მიზნით იგი ამახინჯებს თავის წარმოდგენას მათზე რაც შეიძლება მეტი მოხერხებულობისათვის. მეცნიერება და გონება — პრაქტიკის მსახურებია. პუანკარეს კი, პირიქით, აზრი აღებული აქვს ამ სიტყვის რამდენადმე არისტოტელესებური გაგებით. აზრი აზროვნებს, გონება ფიქრობს თავისი საკუთარი დაკმაყოფილებისათვის; შემდეგ კი უკვე გარდა ამისა ირკვევა, რომ მისი უზრეტი შემოქმედების ზოგიერთი შედეგი შეიძლება ჩვენთვის სასარგებლო იყოს სხვა მიზნებისათვისაც, გარდა წმინდა სულიერი დაკმაყოფილებისა. მაგრამ პრაქტიკა ამ შემთხვევაში მსახურია მეცნიერებისა და გონებისა, რომელნიც შორს სცილდებიან მარგებლობის საზღვრებს. «აზრი მხოლოდ ელვას, მაგრამ ეს ელვა ყველაფერია»*.

შეიძლება არ მივიღოთ მთლიანად პუანკარეს თეორია; მაგრამ არ უნდა დავამახინჯოთ იგი, რათა შემდეგ მისი ავტორიტეტი დავიმოწმოთ. საკმაო ყურადღება ვერ მიაქციეს ამ თეორიის კავშირს კანტელობასთან, საიდანაც მას მთლიანად ნასესხები აქვს თეორია სინთეზურ მსჯელობათა à priori, მხოლოდ იმ დანათქმით (აქ კანტისეული რაციონალიზმი პუანკარეს ჯერ კიდევ მეტად გაყინული სახით წარმოუდგება), რომ ეს სინთეზური მსჯელობანი à priori, რომელსაც მთელი ჩვენი მათემატიკა (ეგკლიდესეული) ეყარება. არ უნდა იფიქრობოდნენ რაციონალური მათემატიკის ერთადერთ შესაძლებელ და აუცილებელ პოსტულატებად...

§ 7. მათემატიკურ მაცნიერებათა და ბუნების შესახებ სხვა მაცნიერებათა თანაფარდობა

[80]... ანიჭებს თუ არა პუანკარეს თეორია ცდას იმ მნიშვნელობას, რაც მას, როგორც ჩანს, ეკუთვნის? უცნაური ამბავია! მე მინდოდა მეთქვა პრაგმატიკობისათვის, რომლებიც მუდამ მიმართავდნენ ხოლმე ამ თეორიას თავიანთი მიზნებისათვის და იყენებდნენ მისი ავტორის სახელს, როგორც არტილერიის იარაღს, რომ მე მასში ძლიერ ცოტა პრაგმატულს ვხედავ...

§ 8. მითითებული მაცნიერული მეთოდისა და ცოდნის ზოგად ეპოლუტიაზე

[87]... და თუ მეცნიერება ვითარდება შემდეგ თავისი მატერიალური მარგებლობის წყალობით, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ მხოლოდ გონების მიმართ თავისი მარგებლობის გამო და გონების უანგარო დაკმაყოფი-

პუანკარე
და კანტი

NB

* Poincaré: La Valeur de la Science (conclusion).

ლებისათვის, გონებისა, რომელიც ნივთების შეცნობას ესწრაფვის, მეცნიერება განთავისუფლდა თავისი ჩასახვის დროს უზეში ემპირიზმისაგან, გახდა რა, ამრიგად, უეშმარტი მეცნიერება. იგი ჯერ გვაძლევს ჩვენ სინამდვილის შემეცნებას და უკვე მხოლოდ შემდეგ გვაძლევს ამ სინამდვილეზე ზემოქმედების საშუალებას. და მან უეჭველად უნდა მოგვცეს ჯერ შემეცნება, რათა შემდეგ მოქმედების საშუალება მოგვცეს...

§ 9. მახის იდეები,
გონება და აზრის შებუბება

[90—91]... გვაძლევს თუ არა ეს ჩვენ ძვირფას მითითებას ლოგიკისა და რაციონალური აზრის არსებასა და მნიშვნელობაზე, რომელთა წმინდა ემანაციად მუდამ მათემატიკა ითვლებოდა? და, შესაძლოა, აგრეთვე გონების არსებასა და მნიშვნელობაზე? ჩვენ აქ ახლოს ვართ მახის აზრთან, რომელსაც აგრეთვე ხშირად აცხადებდნენ დაუსახელებელ პრაგმატიკოსად.

ჩვენ ისე წარმოგვიდგება, რომ მახი გაცილებით უფრო ახლოსაა რაციონალიზმთან — იმ აზრით, რა აზრით, ჩვენი შეხედულებით, საჭიროა ამეორიდან მიღებული ვაკუუმით ამ ტერმინს, — რაციონალიზმთან, რომელიც სულაც არ გამოიხატავს გონების ფსიქოლოგიურ ისტორიას მისი მიხვეულ-მოხვეული გზებით, რაც მთავარია, სრულიად არ ამცირებს ცდის როლს, რამდენადაც გონება არის მხოლოდ კოდირებული ცვა და ანასთანავე ყოველი ცდის აუცილებელი და საყოველთაო კოდექსი, ასე რომ, საჭიროა ერთსა და იმავე დროს გავითვალისწინოთ ევოლუციის მომენტიც და ადამიანის ფსიქოლოგიური ორგანიზაციაც...

[93—94]... ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გონებას, რომელმაც აბსტრაქტული ანალიზი განიცადა გონიერი არსების ცნობიერებაში, შესწევს იმის უნარი, რომ მასში აღმოჩენილი პრინციპებისა და მათი იდეალური განვითარების შემწეობით შეეთანხმოს გარემოს კანონებს და გამოხატოს ისინი. ჩვენ ვხედავთ შემდეგ, რომ, ჩვენი მე-სა და გარემოს მოცემული თვისებების პირობებში, გონება არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა ის, რაც იგი არის: მაშასადამე, მას მართლა გააჩნია, როგორც რაციონალისტები ამტკიცებენ, აუცილებლობა და საყოველთაობა. იგი გარკვეული აზრით აბსოლუტურიც არის, მხოლოდ არა იმ გაგებით, როგორც ეს სიტყვა ტრადიციულ რაციონალიზმს ესმის. ამ უკანასკნელისათვის იგი ნიშნავს, რომ ნივთები არსებობენ ისე, როგორც ისინი გონებას ესმის. ჩვენი თვალსაზრისით კი, პირიქით, ჩვენთვის უცნობია, როგორ არსებ-

ბოზენ თავისთავად ნივთები, და რამდენადაც კანტი-
სეული ანუ პოზიტივისტური რელატივიზმი ამას ამტკი-
ციებს, იგი თავისებურად მართალია. მაგრამ ჩვენ უფლ-
ბა გვაქვს ვთქვათ, რომ თუ სხვა რომელიმე არსები-
სათვის, რომელსაც სულ სხვა ორგანიზაცია აქვს, ევო-
ლუციის მოთხოვნილებანი დაამყარებდნენ გარემოს-
თან სხვა შესაბამობას, განსხვავებულს სხვა შესაბამო-
ბისაგან (რადგან მაშინ ამ შესაბამობის ორი ფაქტო-
რიდან ერთი სხვა იქნებოდა), მაშინ ყოველთვის იქნე-
ბოდა შესაძლებელი დაგვედგინა გადათარგმნის ისეთი
სისტემა, რომ შესაბამისობის ეს ორი ფორმა დამთხვე-
ოდა ერთიმეორეს. ამ ჰიპოთეზაში აბსურდული არაფე-
რია. იმიტომ რომ რამდენადმე ეს კიდევ უნდა ხდებოდეს
მოშინაურებულ ცხოველებსა და ჩვენს შორის...
 [95—96]... რიცხვი და განფენილობა, მათი განყე-
 ნებულობის მიუხედავად, რეალურის ბუნებიდან გა-
 მომდინარეობენ, იმიტომ რომ რეალობა არის სიმარე-
 ლე და განფენილობა და იმიტომ რომ მიმართებანი
 ნივთებს შორის რ ე ა ლ უ რ ი მიმართებანია, რომლე-
 ბიც ნივთთა ბუნებიდან გამომდინარეობენ.

!!

NB

შეადარე
93—94

ხომ არ გვეჩვენება ასეთ შემთხვევაში, რომ ამ პირ-
 ელი წინადადებებიდან შეიძლება გავაკეთოთ მთელი
 რიგი ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნები? მეცნიერული
 ანსტრაქცია ხშირად არარეალობის სინონიმად მიიჩნ-
 დათ, ფიქრობდნენ, რომ ანსტრაქციის ზრდა ნიშნავს
 შეუჩერებელ მოძრაობას რეალურის საზღვრებს იქით,
 სულ უფრო მეტ დაშორებას მისაგან. სწორია თუ
 არა ეს?

მაგრამ მათემატიკა, შორდება რა თანდათან გრძნო-
 ბადი ალქმისათვის მისაწვდომ სივრცეებს და მალღე-
 ბა რა გეომეტრიულ სივრცემდე, არ შორდება რეა-
 ლურ სივრცეს, ე. ი. ჭეშმარიტ მიმართებებს ნივთებს
 შორის. იგი, პირიქით, უფრო უახლოვდება მათ. თა-

ნამედროვე ფსიქოლოგიის მონაცემების თანახმად,
 თვითეული ჩვენი გრძნობათაგანი გვაძლევს ჩვენ, რო-
 გორც ჩანს, განფენილობას და ხანგრძლიობას (ე. ი.
 რეალურის გარკვეულ კავშირსა და თანაფარდობას)
 თავის საკუთარ ყაიდაზე. ალქმა იწყებს
 ამ სუბიექტური მომენტის ელიმინირებას, მომენტისა,
 რომელიც დამოკიდებულია ინდივიდზე ან სახეობითი
 სტრუქტურის. შემთხვევით თავისებურებებზე: იგი
 აგებს ერთგვაროვან და ერთიან სივრცეს და თანაბარ-
 ზომიერ ხანგრძლიობას. ამ სინთეზებს, რომლებშიც
 ერთიანდება ყველა ჩვენი სხვადასხვანაირი გრძნობადი
 წარმოდგენა განფენილისა და დენადის შესახებ. რა-
 ტომ არ უნდა განაგრძოს მეცნიერულმა მუშაობამ
 ეს მოძრაობა ობიექტურობის მიმართულებით? ყო-

NB

ველ შემთხვევაში მისი სიმკაცრე, მისი სიზუსტე, მისი საყოველთაობა (ანუ აუცილებლობა, რაც ერთი და იგივეა) მოწმობს მისი შედეგების ობიექტურობის სა-

სარგებლოდ. მაშასადამე, რიცხვი, რიგი, განფენილობა, წინააღმდეგ აზრის ჩვენი კრიტიკისტული და სუბიექტივისტური ჩვევებისა, შეიძლება განხილულ იქნან როგორც ნივთთა თვისებანი, ე. ი. რეალური მიმართებანი, — და მით უფრო რეალური, რომ მათ თანდათანობით ათავისუფლებს მეცნიერება იმ ინდივიდუალურ და სუბიექტურ დამახინჯებათაგან, რომლებითაც ისინი მოცემული გვექონდა ჩვენ თავდაპირველად უშუალო კონკრეტულ შეგრძნებებში. ის, რაც ყველა ამ აბსტრაქციის შემდეგ რჩება, უნდა ჩაითვალოს თუ არა ასეთ შემთხვევაში სრული უფლებით იმ რეალურ და უცვლელ შინაარსად, რაც ყოველი სახის არსებას თანაბარი აუცილებლობით აეკიდება ხოლმე, იმიტომ

NB

რომ იგი არ არის დამოკიდებული არც ინდივიდზე, არც დროის მომენტზე, არც თვალსაზრისზე?..

§ 10. რას გვასწავლის ჩვენ მათემატიკა

შეგრძნება
= უკანას-
კნელი

[97]... ფსიქოლოგია გვიჩვენებს თავის მხრივ, რომ ყველა ჩვენს შეგრძნებას (ცდის ამ უშუალო და უკანასკნელ მონაცემებს) გააჩნია ერთი თვისება: ექს-

ტენსიურობა ანუ განფენილობა. ეს თვისება სრულიად არა ჰგავს გეომეტრიულ განფენილობას, განსაკუთრებით თუ ყველაზე აფექტურ შეგრძნებებს ავიღებთ.

[98]... გეომეტრიული სივრცე შედგება ოპტიკური სივრცის აბსტრაქტული ინტერპრეტაციისა, რომელიც აცლის ინდივიდუალურ თვისებებს, აზოგადებს და გონებისათვის უფრო მისაწვდომს ხდის მიმართებებს, რომელთაც ეს ოპტიკური სივრცე შეიცავს. ჩვენ სია-

მახი + ობი-
ექტურობა

მოვნებით შეეავსებდით მახის აზრს იმის მტკიცებით, რომ ამ ოპერაციის მიზანია — მივცეთ ამ მიმართებებს ყველაზე უფრო გამოკვეთილი და ზუსტი, საყოველთაო და აუცილებელი, მაშასადამე, ობიექტური გამოხატულება. ამგვარად გამოდის, რომ გეომეტრიული სივრცე არის საბოლოო შედეგი ევოლუციისა, რომელიც სულ უფრო უკეთესად უგუებდა ჩვენს აზრს გარემოს ზოგიერთ თვისებებს. ეს იყო ხანგრძლივი და უწყვეტი ცდა, რომლის კარგი შედეგები მუდამ განამტკიცებდნენ აზრის იმ ჩვევებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენს გეომეტრიას...

[100]... ამრიგად, მათემატიკა გვიმჟღავნებს ჩვენს მიმართებებს ნივთებს შორის რიგის, რიცხვისა და განფენილობის თვალსაზრისით.

უკეთებს რა ანალიზს ნივთებს შორის არსებულ რეალურ მიმართებებს, ჩვენი გონება, ბუნებრივია, იძენს იმის უნარს, რომ მსგავსების ასოციაციის მეოხებით ანალოგიური მიმართებანი წარმოქმნას. ამიტომ მას შეუძლია გამოიგონოს ისეთი კომბინაციებიც, რომლებიც სინამდვილეში არ გვხვდება, გამოვა რა იმ კომბინაციებიდან, რომლებიც მასში გვხვდება. შევქმნით რა ჯერ წარმოდგენებს, რომლებიც რეალურის ასლებს

წარმოდგენენ, ჩვენ შეგვიძლია შემდეგ შევქმნათ ისეთები, რომლებიც ნიმუშებს წარმოდგენენ, როგორც ამას ტენი ამბობს რამდენადმე სხვა აზრით.

!!!

§ 11. რეაქციები და დასკვნები

[103—105]... აბსოლუტურ რაციონალიზმს თითქოს სრული საფუძველი აქვს ამტკიცოს, დადგება რა თავისებური სახის იდეალისტური რეალიზმის ნიადაგზე, რომ გონების კანონები ნივთთა კანონებს ემთხვევიან. მაგრამ ზომ არ ცდება იგი, როცა გონებას ნივთებს აშორებს და ფიქრობს, რომ მარტო თავის თავიდან, საუცხოო მარტოობაში, იღებს გონება იმ კანონების ცოდნას. რომლებიც ნივთებს განაგებენ? მაშინ მოგვიხდებოდა იმის ვარაუდი, რომ რაღაც შეთანხმებულობის თუ სასწაულებრივი მადლის ძალით ჩვენ ვატარებთ ჩვენში ჩანასახის სახით მინც, ამ კანონების ინტუიციას. ასეთი განახლებული სახით პლატონისეული მითი ანემნეზისის (მოგონების) შესახებ მეტად თვითნებურ და მეტად არაეკონომიურ ჰიპოთეზად წარმოგვიდგება.

NB

დიახ. გონების ანალიზი ემთხვევა თავისი მოცულობით ბუნების ანალიზს. დიახ, მათემატიკა, მუშაობს რა პირველზე, ამასთანავე მუშაობს მეორეზეც ანდა, თუ გნებავთ. იძლევა ზოგიერთ ელემენტებს, რომლებიც აუცილებელია მეორისათვის. მაგრამ განა უფრო მარტივი არაა აიხსნათ ეს იმით. რომ ჩვენი ფსიქიკური მოქმედება წარმოიქმნება იმ გარემოსთან და იმ პრაქტიკულ პირობებთან შეგუებით, რომლებშიც იგი უნდა ვლინდებოდეს?..

NB

ამიტომ თუ არსებობს დიდი სხვაობა აბსოლუტურ რაციონალიზმსა და მათემატიკურ ცნებათა გენეზისის საკითხზე ზემოთ მოხაზულ თეორიას შორის, მაშინ ჩვენ მივდივართ, პირიქით. მეტად მსგავს დასკვნებაზე მათემატიკის ღირებულებისა და კომპეტენციის საკითხში: ეს ღირებულება და ეს კომპეტენცია აბსოლუტურია, სიტყვის ადამიანური აზრით.



რაც შეეხება ზეადამიანურ აზრს და რაღაც ტრანსცენდენტალურ თვალსაზრისს, ვალიარებ. რომ მე ჯერ

საშუალო
გეზი!

კიდევ ვერ ჩაეწვდი მის საიდუმლოებას და ძალიან ნაკლებად ვესწრაფვი ამას. თუ შესაძლებელია მივიღწიოთ ნივთთა ადამიანურ გაგებას, მოვანდინოთ მათი უტყუარი გადატანა ადამიანის ენაზე, ჩემგან ეს საკმაოდია...

არის თუ არა ეს დასკვნა ზერელე და მეტისმეტად წერილმანი? პრაგმატიზმი ვარდება, ჩემი შეხედულებით, მეორე უკიდურესობაში, რომელიც დამეტრიალურად საპირისპიროა იმ უკიდურესობისა, რომელშიც ტრადიციული რაციონალიზმი ჩაეარდა. ამ უკანასკნელმა საბოლოო პუნქტი ამოსავალ პუნქტად მიიჩნია და შედეგის თვისებები საწყისზე გადაიტანა. პრაგმატიზმი კი, პირიქით, საბოლოო პუნქტს უახლოებს ამოსავალს მათს სრულ შეერთებამდე და საწყისის თვისებებს შედეგს მიაწერს. განა უფრო გონივრული არაა ვიფიქროთ, რომ მათემატიკამ, წარმოიშვა რა იგი უტილიტარული ანტროპომორფიზმის ნიადაგზე, თანდათანობით თავი დააღწია ამ თავისი პირველი პორიზონტის ვიწრო საზღვრებს? თავისი ანალიზის განუწყვეტელი გაუმჯობესებით იგი მივიდა ნივთთა ზოგიერთ რეალურ, ობიექტურ, საყოველთაო და აუცილებელ თანაფარობამდე.

[107]... მას თავისი საფუძველი აქვს ნივთთა ბუნებაში, საესებით ისევე, როგორც ჩვენს გონებასა და ლოგიკას, რომელთა კერძო გამოყენებასაც იგი წარმოადგენს და რომელნიც არსებითად ანალოგიური წესით წარმოიქმნენ.

განა სულ ერთი არაა, რა გზით მივედით ჩვენ სინამდვილესთან, თუკი, ვიკვლევ რა მას თანდათანობით, საბოლოოდ მას ყოველი მხრიდან ვწვდებით.

თ ა ვ ი III

მატერიის პრობლემა

§ 1. მატერიის პრობლემის ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვე მდგომარეობა

[109 — 110]... უწინარეს ყოვლისა ფილოსოფიის «ფიზიკოსების» მარცხის შემდეგ, ბერძენთა დიოსოფიურ ტრადიციას ელეატთა და პლატონის მეთაურობით, ექვი შეაქვს თვით მატერიის არსებობაში. მატერია არის მხოლოდ მოჩვენებითობა ან, ყოველ შემთხვევაში, არსებობის ზღვრული მინიმუმი; მეცნიერება მატერიალური ნივთების შესახებ შეიძლება იყოს, თავის მხრივ, მხოლოდ წმინდა შეფარდებითი მეცნიერება, კუმშარტი მეცნიერება არსებობს მხოლოდ სულიერი ნივთების შესახებ. ამრიგად, მატერიის პრობლემის გადაწყვეტა იწყება თვით ამ პრობ-

NB

ლემის უკუგდების გზით. მატერია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც სულის გაურკვეველი საზღვაო და სულის ფუნქციები, და ყოველივე, რაც მატერიას ეკუთვნის, დაბალი რიგის ყოფიერებაა...

NB

[111]... ამრიგად, ღვთა გარესამყაროს რეალობის შესახებ, იდეალიზმის, სპირიტუალიზმის, მატერიალიზმის, მექანიზმის, დინამიზმის შესახებ, სულ უფრო და უფრო მოძველებული და უნაყოფო თამაშის შთაბეჭდილებას ახდენს, თამაშისა, რომელიც უნდა დაეუთმოს კლასიკურ ფილოსოფიას, გავიგებთ რა ამ გამოთქმას იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი ტენს ესმოდა, — გიმნაზიის უფროსი კლასებისათვის განკუთვნილი ფილოსოფიის მნიშვნელობით...

[113]... ვულგარული მატერიალიზმი სესხულობს მისგან [ფიზიკისაგან] ყოველივე იმასაც, რაც მასში საფუძვლიანია და ყოველივე იმასაც, რაც მასში გადაჭარბებული და საოცარია. როგორი მონაპოვარია ეს რელიგიური სულისათვის, თუ იგი შეძლებს დაამტკიცოს, რომ ფიზიკამ არაფერი არ იცის ნივთების შესახებ, რომლებზედაც ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობასაც ჩვენ იგი გვაძლევს, და რომ მისი განმარტებანი სულაც არაა განმარტებანი!

NB

NB

§ 2. ფიზიკის კრიზისი XIX საუკუნის დასასრულს: ენერგეტიკული ფიზიკა

და მართლაც, იმ დროს, როდესაც ეს ფილოსოფიური იმედი ჩაისახა და მან განმტკიცება იწყო განათლებულ და გულწრფელ მორწმუნეთა გონებაში, ფიზიკაში ყველაფერი თითქოს ისე ყალიბდებოდა, რომ ხელი უნდა შეეწყო მისი გამართლებისა და განხორციელებისათვის...

NB

[114].. ამ ტრადიციული მექანიკური ფიზიკის წინააღმდეგ გამოდის ახალი ფიზიკა, ფიზიკა ენერგეტიკული. — «გამოდის წინააღმდეგ» — სწორია თუ არა ეს გამოთქმა? ფიზიკოსთა დიდი რიცხვის მიმართ, მგონი უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა: «იხმარება ანუ რჩება» (საჭიროებისა და მიხედვით) მექანიკურ მეთოდთან ერთად.

[115—116] ენერგია, მართლაც, სხვა არაფერია, თუ არა უნაჩი მუშაობის წარმოებისა, ეს არის ცნება მექანიკური, რომელიც ყოველთვის შეიძლება აღირიცხოს მექანიკურად, ე. ი. მოძრაობის შემწეობით და მოძრაობის შესახებ არსებული მეცნიერებით. ჰელ-ჰოლცს, ჰიბსს და ბეერ სხვას სულაც არ გაუწყვეტიათ კავშირი მექანიკურ ტრადიციასთან, უმატებ-

NB

NB

დნენ რა მექანიკას ახალ თავს, რომელიც განაზოგადებდა მას ფიზიკურ რეალობათა მიმართ მის გამოყენებაში. მათ არაფერი სხვა არ სურდათ და ფაქტიურად სხვა არაფერი არ გაუქმებიათ, გარდა მექანიკური კონცეფციის შესწორებისა და შემდგომი განვითარებისა ფიზიკის წარმატებათა შესაბამისად, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდნენ გალილეისა და დეკარტის დროიდან მოყოლებული. მექანიკის პრინციპების გვერდით, და სინამდვილის მექანიკური ახსნის ფარგლებში, მათ დააყენეს ძალის ანუ ენერჯის მუდმივობის პრინციპი, კარნოს პრინციპი და უმციურესი მოქმედების პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჯერ კიდევ მოპერტიუა დროიდან.

ამრიგად, გამოთქმას «ენერჯეტიკა» აქვს, ჯერ ერთი, ისეთი აზრი, რომლის თანახმად იგი შეადგენს ფიზიკის ნაწილს, როგორც ეს მეცნიერება აღიარებულა ყველა მეცნიერის მიერ — დავუმატებთ, რომ დაფრანკეთში ფიზიკის ამ ნაწილს უფრო ხშირად ეწოდება თერმოდინამიკა, და თუმცა ეს სიტყვა თავისი ეტიმოლოგიური შედგენილობათ ძალზე ვიწროა იმ შინაარსისათვის, რომელსაც იგი აღნიშნავს, მას ის უპირატესობა აქვს, რომ სპობს ყველა გაუგებრობას, რომელთაც სიტყვა «ენერჯეტიკის» მრავალმნიშვნელობიანობა იწვევს.

მეორე მნიშვნელობა, რომლითაც ეს სიტყვა იხმარება, ეკუთვნის უკვე არა ფიზიკის ერთ რომელიმე ნაწილს, არამედ მთლიანად აღებულ ფიზიკის ზოგად თეორიას...

[117]... ეს კანონი არ იყო შეუთავსებადი მექანიკურ კონცეფციასთან. უკანასკნელს სრული საფუძვლით შეეძლო ემტკიცებინა, რომ ენერჯის განსხვავებული გამოვლენანი — ეს არსებითად მხოლოდ განსხვავებული მოვლენებია, გამოწვეული ერთი და იმავე ძირითადი რეალობის — მოძრაობის მიერ...

[120 — 121]... მაგრამ თუ ყველაფერი კლასიკური მექანიკის პრინციპებამდე დაიყვანება, მაშინ ენერჯეტის სიძველის აზრით შეუძლებელია ავხსნათ ძალის ეს მზარდი გაუფასურება, გამოყენებადი ენერჯის ეს კლება. ბუნებას უნდა შეეძლოს მაშინ, თითქოს, უკან დაბრუნება და გარდაქმნათა იმავე ციკლის მარად ხელახლა დაწყება; ვინაიდან კლასიკური მექანიკა თავისი დედარსის მიხედვით არის მეცნიერება შექცევადი გარდაქმნების შესახებ, რომლებისთვისაც დროს მნიშვნელობა არ აქვს და რომლებმაც, ბედნიერი ხალხების მსგავსად, არ იციან ისტორია. მაგრამ სინამდვილეში სისტემები არ არიან ხალხებზე უფრო ბედნიერნი. მათ მაინც აქვთ ისტორია. ამიტომაც ზოგიერთმა ფიზიკოსმა უარი თქვა იმაზე, რომ ფიზიკაში დაენახა კლასიკური მექანიკის მხოლოდ უბრალო გაგრძელება.

მათ მოინდომეს ტრადიციის უღლის გადაგდება, მიიჩნიეს რა ეს ტრადიცია, როგორც ამას ყველა ნამდვილი რევოლუციონერი აკეთებს, მეტისმეტად ვიწრო და მეტისმეტად ტრანშულ ტრადიციად. აქედან წარმოდგა წვრილმანი კრიტიკა და შემდეგ რევიზია მექანიკის ძირითადი პრინციპებისა. ამ ძალვათაგან წარმოიშვა ფიზიკის ახალი გაგება, რომელიც, შესაძლოა, არც თუ იმდენად უპირისპირდება წინანდელ გაგებას, როგორც ამას ზოგჯერ ამტკიცებდნენ, მაგრამ რომელსაც ყოველ შემთხვევაში ღრმა ცვლილებები შეაქვს მასში.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მიიჩნია რა კლასიკური მექანიკა არასაკმაო ბაზად ფიზიკისათვის, მან [ფიზიკამ] ველარ დინახა ფიზიკურ მოვლენებში ის, რასაც მათში ხედავდნენ ყოველთვის მანამდე: მოძრაობის სხვადასხვა წესები, რომელნიც სწორედ კლასიკური მექანიკის შესწავლის საგანს შეადგენენ. დღემდე ფიზიკური მოვლენის ახსნა, მისი შესწავლა, ნიშნავდა მის დაყვანას მოძრაობის ფორმებამდე: მატერიალურ მასათა, ატომთა მოძრაობამდე ან სამყაროს გადაძვეში გარემოს — ეთერის რხევამდე. ამრიგად,

ყოველი ფიზიკური ახსნა შეიძლება გადამოგვეცა სქემატურად მოძრაობის გეომეტრიის საშუალებით.

ახალი კონცეფცია, რომლითაც ახლა წინანდელი კონცეფციის შეცვლა მოისურვებს, უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ საცხებით უარი თქვეს ყველა ხატოვან წარმოდგენაზე, იმ «მექანიკურ მოდელებზე», როგორც ინგლისელები ამბობენ, ურომლისოდაც ოდესღაც არ არსებობდა ნამდვილი ფიზიკა. მახი მკაცრად უწოდებს მათ უბრალოდ «მითოლოგიას».

როგორც ყოველი მითოლოგია, იგი რალაც ბავშვურადაა არის; იგი შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო მაშინ, როცა ჩვენ არ შეგვეძლო ნივთებისათვის პირდაპირ გვეცქირა; მაგრამ ვისაც თვითონ შეუძლია სიარული, იგი ყავარჯნებს არ გამოიყენებს. მოვიშორეთ ატომიზმის ყავარჯნები და ეთერული გრიგალი.

მოწიფებულ ასაკს მიღწეული ფიზიკა უკვე აღარ საჭიროებს უხეშ გამონახატულებებს თავისი ღმერთების დაყვანისსაცემად. მათემატიკის აბსტრაქტულ ენას მხოლოდ ერთადერთს შეუძლია შესაფერი წესით გამოხატოს ცდის შედეგები. მარტო მას შეუძლია გვაუწყოს ის, რაც არის, — არც რაიმე დაუმატოს და არც დააკლოს უაღრესი სიზუსტით. სიდიდენი, განსაზღვრულნი ალგებრულად და არა გეომეტრიულად, და უკვე მით უმეტეს არა მექანიკურად; რიცხვითი მნიშვნელობების ვარირება, რომელიც პირობითი სკალის საშუალებით იზომება, და არა გრძნობით: აღქმადი ცვლილებანი, რომლებიც განიზომებიან გადაადგილებით სივრცეში რომელიმე საწყისი წერტილის მი-



NB

NB



!!

NB ||| მართ, — ასეთია ახალი ფიზიკის მასალები: ეს არის ცნებათა ფიზიკა წინააღმდეგ მექანიკური ან ხატოვანი ფიზიკისა...

NB ||| [123]... ფიზიკის ეს ახალი ზოგადი თეორია, რომელიც უკვე მხედველობაში ჰქონდა რანკინს 1855 წელს, განსაკუთრებით დაამუშავეს მახზა, ოსტვალდმა და დიუგემმა. «ყოველი მეცნიერების მიზანია — შეცვალოს ცდა რაც შეიძლება უფრო მოკლე გონებრივი ოპერაციებით», — ამბობს მახი; ეს ფორმულა შეიძლება ეპიგრაფად გაუკეთდეს მეცნიერულ ენერგეტიკას...

§ 3. მნერბატიკის ფილოსოფიური ინტერპრეტაცია

NB ||| [127]... ცხადია, თუ როგორ შეძლებდა ფილოსოფია, რომელსაც სურს არარად აქციოს მეცნიერებიდან ამოკრეფილი არგუმენტები ზოგიერთი განსაზღვრული დოგმატის წინააღმდეგ და საერთოდ რელიგიური პოზიციის წინააღმდეგ, ამ გონებამახვილი ინტერპრეტაციის გამოყენებას. თქვენ აყენებთ გარკვეულ ფიზიკურ ქეშმარიტებებს გარკვეულ რწმენათა წინააღმდეგ? მაგრამ ახალი ფიზიკა ხომ მხოლოდ ერთს ესწრაფვის — მას სურს დაუბრუნდეს რწმენის დიადი ეპოქის წარმოდგენებს. სამი საუკუნის მძაფრი იერიშის შემდეგ იგი ბრუნდება, როგორც უძღები შეილი, ყველაზე ორთოდოქსალური ტომიზმის წიაღში.

და, რაც უფრო უარესია, გამოჩენილმა მეცნიერმა, რომელიც ცნობილია თავისი ნაშრომების მათემატიკური სიზუსტითა და მათემატიკური მოხდენილობით, ცნობილია განსაკუთრებით ახალი ფიზიკის იდეათა თავისი აქტიური პროპაგანდით, განსაცვიფრებლად ნათელი, წმინდა ფრანგული ფორმით, რომლითაც იგი მათ გადმოგვცემს, და საუცხოო განზოგადებებით ენერგეტიკული მექანიკის დარგში, — ამ მეცნიერმა თვით მიიჩნია შესაძლებლად ის, რომ ახალ მეცნიერულ თეორიათა ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას მიმხრობოდა. ჩვენ ვლაპარაკობთ დიუგემის შესახებ. რა თქმა უნდა, იგი შეეცადა ამასთან ზუსტად გაემიჯნა თავისი მეცნიერული შეხედულებანი თავის მეტაფიზიკურ წარმოდგენათაგან...

NB ||| [130]... ავითარებდა რა ამ თვალსაზრისს, ახალ ფილოსოფიას შეეძლო თითქმის ერთბაშად გამოეყვანა ფიზიკის რეფორმის თანამედროვე ცდებიდან ამ ფიზიკის წმინდა აღწერილობითი ხასიათი, რომელსაც არავითარი ახსნის პრეტენზია არა აქვს. მაგრამ სწორედ ესაა ხელსაყრელი «ფილდეიზმისათვის». მეცნიერ-

რება უძლურია გასცილდეს თვისებრიობათა საზღვრებს; მაშასადამე, იგი უნდა დაკმაყოფილდეს მათი აღწერით. იგი უნდა იყოს შეგარბნებათა უბრალო ანალიზი, თუ ვისარგებლებთ მახის გამოთქმით, რომელის შესახებ, მართალია, ეშინია ჩვენს ახალ ფილოსოფიას მისი იმ ნამდვილი მნიშვნელობით,

რასაც სავესებით «მეცნიერისებური» ხასიათი აქვს.

[131 — 134]... თანამედროვე ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად შეიძლება შეხვდეთ — ხარისხის მიხედვით უარესად სხვადასხვა გადმოცემებში — ამგვარ მოსაზრებებს: მეცნიერებანი მატერიის შესახებ არაფერს გვეუბნებიან რეალურის შესახებ, რადგან მატერია, როგორც მათ ეს ესმით, თვით მატერია, სიტყვის ვულგარული მნიშვნელობით, არ აჩვენებს.

NB

უკვე მარტივი ყოველდღიური აღქმა ამხინჯებს გარეგან რეალობას. იგი ააგებს მას მთლიანად ჩვენი მოქმედების მოთხოვნილებათა შესაბამისად. მეცნიერება ახდენს შემდეგ ამ ნედლი მასალის ვადამუშავებას. ის, რასაც იგი ჩვენ მატერიის სახელწოდების სახით გვიჩვენებს, მხოლოდ უხეში სქემაა. რომელშიც რეალურის მთელი ცოცხალი იმპლიტე მეცნიერული კანონების ცხრილითაა გაცხრილული, ანდა სხვადასხვაგვარი ნარევი აბსტრაქტული ელემენტებისა, რომლებიც ნებისმიერად იზოლირებული ან შეხამებული არიან და მთლიანად ჩვენგანვე გამოგონილი. ამით თავისუფლდება გზა იდეალიზმის ყველაზე მისტიკურ ფორმების გასამართლებლად...

არ შევჩერდებით რა ამ უკიდურეს შეცდომებზე, მაინც შეიძლება შევამჩნიოთ, რომ სერიოზულ და განათლებულ მოაზროვნეებსაც კი აქვთ მისწრაფება მიუღწევენ ფიზიკურ მეცნიერებებს იმდაგვარი კრიტიკით, როგორითაც პუანკარემ, წინააღმდეგ მისი საკუთარი ენერგიული რწმუნებისა მათემატიკური მეცნიერებანი გააკრიტიკა. ამ თვალსაზრისით ფიზიკა წარმოადგენს. მათემატიკის მსგავსად, სიმბოლურ ენას,

NB

რომლის მიზანიც მხოლოდ ისაა, რომ გახადოს ნივთები უფრო გასაგები იმით, რომ გახადოს ისინი უფრო მარტივი და ნათელი, უფრო მისაწვდომი გადაცემისათვის და, რაც მთავარია, უფრო ადვილად დასაყოლიებელი პრაქტიკაში. გაეხადოთ გასაგები ნიშნავს, მაშასადამე, სისტემატურად ვამახინჯოთ თვალსაჩინო წარმოდგენანი, რომლებსაც ჩვენ უშუალოდ ვღებულობთ სინამდვილისაგან, რათა უკეთესად გამოვიყენოთ ეს უკანასკნელი ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

NB

გასაგებობას, რაციონალობას არაფერი აქვთ საერთო
ნივთთა ბუნებასთან; ეს მხოლოდ მოქმედების იაჩა-
 ლებია. ამიტომაც ყოველი ახალი აღმოჩენა პირველი
 შეხედვით პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს გონებას,
 რადგან იგი არღვევს ჩვენს ძველ ჩვევებს. გონება ჯერ
 უნდა შეეგუოს მას (როგორც სხეულმა ჯერ უნდა
 ისწავლოს ველოსიპედით ტარება), რათა ახალი კა-
 ნონი, თავის მხრივ, წარმოუდგეს მას რაციონალურ,
 გაგების ჩვენი მოჩვენებითი მოთხოვნილებიდან გამომ-
 დინარე კანონად. ჩვენ სასტიკად ვტყუვდებით, როცა
 ვფიქრობთ, რომ ეს ნებისმიერი სიმბოლიზში გვაძლევს
 ისეთ რაიმეს, რასაც შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი
 წმინდა ცოდნისმოყვარეობა, ჩვენი მოთხოვნილება
 უანგარო ცოდნისა. ცოდნისათვის, შემეცნებისათვის, ამ
 სიტყვის სრული მნიშვნელობით, უნდა მივმართოთ
 სხვა წყაროს.

§ 4. ფიზიკის თანამედროვე კრიტიკის კრიტიკა

NB

ფიზიკური მეცნიერების ეს განმარტება, მიუხედავად
 იმისა, რომ ფიზიკოსების დიდი უმრავლესობა მას მღუ-
 მარე ზიზლით მოექცა, შეუძლებელია უყურადღებოდ
 დატოვოს ფილოსოფიურმა კრიტიკამ. თუ მეცნიერებს
 უფლება აქვთ სთქვან: ძალი ყვეს, ქაჩავანი მიღის,
 მაშინ ფილოსოფიური კრიტიკა, რომელსაც ძალაუნე-
 ბურად აინტერესებს დოქტრინათა სოციალური და
 აღმზრდელიობითი მნიშვნელობა, იძულებულია აქ შე-
 ჩერდეს.

NB

[136 — 138]... ახალი ფილოსოფიის მომხრეთა უმრავ-
ლესობა მხოლოდ იმ მეცნიერებს მიმართავს, რომლე-
ბიც მხარს უჭერენ ენერგეტიკულ ფიზიკას და გადაჭ-
რით უარყოფენ მექანიკურ ფიზიკას. მაგრამ ენერ-
 გეტიკული ფიზიკის უციდურესი მომხრენი ფიზიკოსებს
 შორის საერთოდ მეტად უმნიშვნელო უმცირესობას
 შეადგენენ. მეტწილად ფიზიკოსები მექანიკებად რჩე-
 ბიან; ისინი, რა თქმა უნდა, სახეს უცვლიან მექანიკურ
 წარმოდგენებს, რათა ეს წარმოდგენანი ახალ აღმოჩე-
 ნებს შეუთანხმონ, ვინაიდან ისინი ხომ სქოლასტიკო-
 სები არ არიან. მაგრამ ისინი ყოველთვის ცდილობენ
 გამოხატონ და ახსნან ფიზიკური მოვლენები ისეთ
 მოძრაობათა შემწეობით, რომლებიც მისაწვდომია
 გრძნობადი აღქმისათვის.



მეორე მხრივ, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ თუ
 ენერგეტიკამ კიდევ მოგვცა მთელი რიგი მოხდენილი
 თეორიები და გადმოცემანი, სამაგიეროდ უკანასკნელი
 დროის თითქმის ყველა დიდ აღმოჩენას ჩვენ უნდა
ვუმაღლოდეთ ფიზიკოს-მექანიკებს, ყველა ეს აღ-
 მოჩენა დაკავშირებულია იმის ცდასთან, რომ წარმო-

გვიდგინონ მოვლენათა მატერიალური აგებულება. სა-
ჭიროა ამ გარემოებას ჩავუფიქრდეთ.

ესწრაფოდა რა იმას, რომ თეორიული ფიზიკისა-
თვის გეომეტრიული სიზუსტე მიეცა, ენერგეტიკამ
გადაწყვიტა გადაქცევა იგი უბრალოდ ექსპერიმენტუ-
ლი მონაცემების უფრო შეკუმშულ და ეკონომიურ
გადმოცემად, — მაგრამ შეიძლება თუ არა ფიზიკის



თეორიის დაყვანა ეკონომიური გადმოცემის მარტივ
იარაღამდე? შეუძლია თუ არა მას სრულიად განდევ-
ნოს ჰიპოთეზა მეცნიერებიდან, რომელსაც მუდამ
ჰიპოთეზა ანაყოფიერებდა? უნდა ჰქონდეს თუ არა
მას მუდამ ორიენტაცია იმაზე, რომ თეორიების დახ-
მარებით აღმოაჩინოს რეალური, თეორიებისა, რომელ-
ნიც, როგორც ჩვენ ამას მექანიკური თეორიების მა-
გალითზე ვხედავთ, მუდამ წარმოადგენენ ცდის წინას-
წარ განჭვრეტას, იმის ცდას, რომ თვალსაჩინოდ წარ-
მოვიდგინოთ რეალური?

გამომდინარეობს თუ არა აქედან ის, რომ ფიზიკის
ფილოსოფიის აგება მარტოოდენ წმინდა ენერგეტიკოს-
ფიზიკოსებზე დაყრდნობით ნიშნავს იმ ბაზის გაუგებ-
რად შევიწროებას, რომელზეც ამ ფილოსოფიის აშე-
ნება უნდა ხდებოდეს? ახალი ფილოსოფია თავისი
იდევების დასადასტურებლად არსებითად მხოლოდ ამათ
მიმართავს, ვისაც შეუძლია მის სასარგებლოდ იყოს
განწყობილი, ასეთები კი უმნიშვნელო უმცირესობას
შეადგენენ. ეს, რასაკვირველია, მოხერხებული ფანდია,
მაგრამ ფანდი.

და არიან კი ისინი მის სასარგებლოდ ისე განწყობი-
ლი, როგორც მას წარმოუდგენია?

ეს შეტად საეჭვოა. თითქმის ყველა მეცნიერი, ვისაც
კი პრაგმატიზმი ან ეგრეთწოდებული ნომინალიზმი
იმოწმებს, გაემიჯნა მას სერიოზული შენიშვნებით, მათ
შორის პუანკარეც. მივმართოთ ახლა ამ მეცნიერებს.

§ 5. რას ფიქრობენ თანამედროვე ფიზიკოსები

[138]... ფიზიკა არის, ამრიგად, მეცნიერება რეალუ-
რის შესახებ, და თუ ის იმას ესწრაფვის, რომ ეს რეა-
ლური «მოხერხებული» საშუალებით გამოხატოს, მა-
შინაც ხომ იგი კვლავ თვით რეალურს გამოხატავს.
«მოხერხებულობა» მხოლოდ გამოხატვის საშუალებებ-
ში მდგომარეობს. მაგრამ ის, რაც ამ საშუალებათა

იქით იმალება, რომელთა ვარირებაც უკეთეს საშუალებ-
ათა ძიებაში გონებას შეუძლია, არის ბუნების კანონ-
ების «აუცილებლობა». ამ აუცილებლობას გონების

თავისუფალი ნება როდი ამყარებს. პირიქით, აუცილებლობა ბოჰავს გონებას, ვიწრო ჩარჩოებში ათავსებს მისი გამოხატვის საშუალებებს. ცდისეული მონაცემების ცდომილებათა და იმ მცირე განსხვავებათა სიზუსტით, რომლებიც მუდამ არსებობენ ერთი და იმავე კანონისადმი დაქვემდებარებულ ფიზიკურ მოვლენებს შორის, იმიტომ რომ ისინი არასდროს არ არიან იგივეტრი, არამედ მხოლოდ მსგავსნი არიან, — ამ სიზუსტით გვეკარნახობენ ჩვენ ბუნების კანონს გარედან და მას გვეკარნახობენ თვით ნივთები: იგი გამოხატავს რეალურ მიმართებას ნივთებს შორის.



[139]... დიუგემი იტყვის კიდევ, ფიზიკოსის ცდა არ შეიძლება რეალობის ნატენად ჩაითვალოსო. ყოველი ფიზიკური ცდა მდგომარეობს გამოკვლევაში, გამოკვლა კი უამრავ შეთანხმებასა და თეორიას გულისხმობს...

[140]... ამ ჰეშმარიტებას დიუგემი ვერასოდეს ვერ წაართმევს ფიზიკურ თეორემებს: ეს თეორემები წარმოადგენენ რეალურის აღწერას. კიდევ მეტი, ფიზიკური თეორია იძლევა არა მარტო რეალურის ზუსტ აღწერას, იგი წარმოადგენს მის მოწესრიგებულ აღწერას, ვინაიდან იგი მუდამ ესწრაფვის ფიზიკურ მოვლენათა ბუნებრივ კლასიფიკაციას — ე. ი. ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც კვლავ ალაღვიანს ბუნების წესრიგს. არც ერთი დოგმატიკოსი, იყო იგი დეკარტი. ნიუტონი თუ ჰეგელი, არასდროს მეტს არ მოითხოვდა...

პა-პა!!

[141]... ესეც კია, თუ ამ უკანასკნელს [დიუგემს] სწამს კიდევ მეტაფიზიკის აუცილებლობა მეცნიერებასთან ერთად, მაშინ რატომ ემხრობა იგი უეჭველად ტომისტურ მეტაფიზიკას? იმიტომ, რომ მას ჰგონია, ეს მეტაფიზიკა უკეთესად ეთანხმება ფიზიკის დასკვნებს...



[142—143]... ოსტეალდის «სციენტისმი» ძლიერ ახლოსაა დიდი ვენელი მექანიკოსის მახის პოზიციასთან, რომელიც ამ საფუძვლით უარსაც კი ამბობს ფილოსოფოსის სახელწოდებაზე.

NB

შეგრძნება არის აბსოლუტური. ჩვენი შეგრძნებების საშუალებით ჩვენ შევიცნობთ სინამდვილეს. მაგრამ მეცნიერება არის ჩვენი შეგრძნებების ანალიზი. ანალიზი გავუკეთოთ შეგრძნებებს — ნიშნავს აღმოვაჩინოთ ზუსტი მიმართებანი მათ შორის, აღმოვაჩინოთ ბუნების წესრიგი, თუ ამ გამოთქმას ვიხმართ მისი ყველაზე უფრო ობიექტური მნიშვნელობით, რადგან

NB

ყველაზე უფრო ობიექტური მნიშვნელობით, რადგან

ბუნების წესრიგი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი შეგონებების წესრიგი.

[144]... კრიტიკულ წერილებში, მახის წინააღმდეგ რომ რაციონალისტებმა დაწერეს, მახს ზოგჯერ უსაყვედურებდნენ პრაგმატიზმისადმი ტენდენციას. მას ბრალს სდებდნენ სკეპტიკურ რელატივიზმში. იმიტომ ხომ არა, რომ მეცნიერების ეს შესანიშნავი ისტორიკოსი ხშირად გვისურათებს ჩვენ მის პირველ მცირე ჩანასახებს ჩვენი წინაპრების პრიმიტიულ ხელოვნებებში? მაგრამ ეს ხომ მხოლოდ პირველი ცდებია შეგუებისადმი. ისინი რომ მართებულად შევაფასოთ, საჭიროა გადავხედოთ შედეგს, გზის საბოლოო პუნქტს. თუ ამის მიზეზია მისი ბიოლოგიური თეორია მეცნიერებისა, რომელიც ჭეშმარიტებას ადამიანურ ჭეშმარიტებად აქცევს? მაგრამ ადამიანური ჭეშმარიტება მინც ჭეშმარიტებად რჩება, კიდევ მეტი—ეს ერთადერთი ჭეშმარიტებაა ადამიანისათვის. შეგრძნება არის, ცხადია, რალაც ადამიანური. მიუხედავად ამისა იგი აბსოლუტურია, და ადამიანური ჭეშმარიტება აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, იმიტომ რომ იგი ადამიანისათვისაა—

NB

სრული და ერთადერთი ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება აუცილებელი. ადამიანისა და სამყაროს მოცემულ თვისებათა პირობებში იგი დამყარებულია ნივთთა ბუნებაზე. იგი შეიცავს თავის თავში, ადამიანურ ტერმინებში, ყოველივე არსებულის შემეცნებას...

[147]... შეიძლება ვივარაუდოთ მიკრობების არსებობა, თუნდაც რომ ისინი უხილავი იყვნენ თვით იმ მომენტამდე, როცა მათ გამოამჟღავნებს რომელიმე რეაქტივი. რატომ არა გვაქვს ჩვენ უფლება ვივარაუდოთ მატერიის რაიმე სტრუქტურა, რომლის გამოამჟღავნებასაც ოდესმე შეძლებს ცდა?

§ 6. მატერია თანამედროვე ფიზიკის

თხალსაზრისით:

ზოგადი მიმოხილვა

[148]... რა აზრი აქვს ასეთ შემთხვევაში ლაშქრობას, დაწყებულს ბრიუნეტერის მიერ და განგრძობილს რელიგიურად განწყობილი მოაზროვნეების მიერ, რომლებიც, მართალია, გულწრფელნი არიან, მაგრამ რომელთაც სურთ მოსპონ ყველაფერი, რაც შეიძლებოდა შებრკოლებას ლოდი გამხდარიყო მათთვის, — რა აზრი აქვს ამ ლაშქრობას, რომელსაც თუ პრაგმატიზმამდე წაა, ყოველ შემთხვევაში პრაგმატიზმის ერთგვარ, ვარკვეულ სახეობამდე მინც მივყავართ?...

[149—150]... მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ მათე-მატიკაში რიგის, რიცხვისა და სივრცის ტერმინებით აღნიშნავთ მიმართებათა გარკვეულ ჯგუფებს, რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი შეგრძნებანი, და მსგავსად იმისა, როგორც მათემატიკურ მეცნიერებებს თავიანთ საგნად ეს მიმართებანი აქვთ, — ასევე ჩვენ აღნიშნავთ შემდეგ მეტად ზოგადი სახელწოდებით მატერია სხვა, გაცილებით უფრო რთულ, მიმართებათა უდიდეს რიცხვს, რომლებზეც აგრეთვე დამოკიდებულია ჩვენი შეგრძნებანი. ფიზიკა შეისწავლის ამ მიმართებებს. სწორედ ეს გვინდა ჩვენ გამოვხატოთ, როცა ვამბობთ, რომ ფიზიკა არის მეცნიერება მატერიის შესახებ...

NB

[152]... ბევრს ბუნებრივად მოეჩვენებოდა ის აზრი, რომ ფიზიკის ობიექტს შეადგენენ ელემენტები, რომლებიც შეიძლება მოიცივან ამ მიმართებებში. მისცემენ რა მათ რეალურ შინაარსს და თითქოს შეავსებენ რა მათ. სწორედ ასეთი იყო სპენსერის აზრი მის მეცნიერებათა კლასიფიკაციაში. მაგრამ ეს აზრი არ შეიძლება მოსწრებულ აზრად მივიჩნიოთ. სინამდვილის ელემენტების კონსტატირებას ჩვენ ვახდენთ პირდაპირ. უშუალოდ, როგორც ისეთი რაიმეს კონსტატირებას. რაც შეუძლებელია არ იყოს.

მათი არსებობა არ საჭიროებს გამართლებას. შეუძლებელია ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა, რომ ისინი სხვა რაიმე იყვნენ, და არა ის, რაც არიან. ამის მტკიცება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ალგევდგინა ძველი მეტაფიზიკური კერპი ნივთისა თავისთავად, ე. ი. ალგევდგინა არსებითად უქმი ვეჩბალიზმი ამა თუ იმ ფორმით. ცდა უნდა პირდაპირ მივიღოთ. იგი თვით წარმოადგენს თავისი თავის გამართლებას, რადგან დალებითი გონებისათვის იგი მართლაც წარმოადგენს, მეცნიერულ სფეროში, ყოველგვარი მტკიცების გამართლებას.

NB
რეის
აგნოსტი-
ციზმის
დედაარსი

[154 — 155]... მაშასადამე, მეცნიერების აგნოსტიკური კრიტიკა შინც სამართლიანია? და არსებობს რაღაც ნივთი თავისთავად. მეცნიერებისათვის მიუწვდომელი? და ა. შ. და ა. შ. ჩვენ წინაშეა კვლავ მეტაფიზიკა სიტყვათა მისი გარღვეული თამაში! შევეცდებით ამ საკითხში რაც შეიძლება ნათლად გავერკვეთ.

NB

თუ ფარდობითი ნიშნავს იმას, რასაც საქმე აქვს მიმართებასთან, მაშინ ფიზიკა ფარდობითია. მაგრამ თუ ფარდობითი იმას აღნიშნავს, რასაც არ შესწევს ძალა ჩასწვდეს ნივთთა საფუძველს, მაშინ ფიზიკა, როგორც ჩვენ იგი გვესმის, უკვე აღარაა ფარდობითი, არამედ აბსოლუტურია, იმიტომ რომ ნივთთა საფუძველს, მას, რასაც ანალიზი გარღვეულად აღწევს მათი ახსნის დროს, შეადგენენ მიმართებანი ანუ, უფრო სწორად, მიმართებათა სისტემა, რომლებზეც დამოკი-

დებულება ჩვენი შეგარძნებანი. შეგარძნებანი, მოცემული, ალბეჟდილია სუბიექტურობის მიერ: ეს სწრაფ-წარმავალი აგზნებანი ისაა, რადაც მათ ხდის მიმართებათა სისტემა, რომელიც, ალბათ, უკვე არასოდეს აღარ გამოვრდება ზუსტად იმავე ფორმით და რომლითაც განისაზღვრება ჩემი მდგომარეობა და გარემოს მდგომარეობა იმ მომენტში, რომელსაც განვიხილავთ. მაგრამ აქ გვევლინება მეცნიერი და გამოპოფუს საყოველთაოს, რომელიც შედის ამ ინდივიდუალური მომენტის შემადგენლობაში, იმ კანონებს, რომელთა რთულ გამოხატულებასაც ის წარმოადგენს, იმ მიმართებებს, რომლებმაც იგი იმად გახადეს, რაც იგი არის. ყველა მეცნიერული კანონი არსებითად იმას გვეუბნება, თუ რატომ და როგორ არის მოცემული ისეთი. როგორიც იგი არის, რით არის იგი გაპირობებული და შექმნილი, იმითომ რომ ეს კანონები ანალიზს უკეთებენ იმ მიმართებებს, რომლებზეც ეს მოცემული დამოკიდებულია. და ისინი გავიხსნიან ა ბ ს ო ლ უ-ტ უ რ ა დ ა მ ი ა ნ უ რ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს, როცა ეს ანალიზი იქნება სრული, თუ იგი საერთოდ შეიძლება ასეთი იყოს.

§ 7. თანამედროვე ფიზიკის კონკრეტული მონაცემები

[156 — 157]... ყველა მიმართება, რომლებზეც დამოკიდებულია გარდაქმნები, დეგრადაცია, ენერჯის გაფრქვევა ან გაფანტვა, თავმოყრილია ზოგად ფიზიკურ თეორიაში, რომელსაც ენერგეტიკას უწოდებენ.

ეს თეორია არაფერს გვეუბნება განსახილველ ენერჯიათა ბუნების შესახებ, მაშასადამე, ფიზიკურ-ქიმიური მოვლენების ბუნების შესახებაც. იგი უბრალოდ აგვიწერს, რის ხარჯზე, როგორ და რა მიმართულებით ხდება მოცემული სხეულის მდგომარეობის ფიზიკური ან ქიმიური ცვლილება.

ფიზიკოს-ენერგეტიკოსები ამტკიცებენ, რომ უფრო შორს წასვლა შეუძლებელია, რომ ენერგეტიკა გვაძლევს ჩვენ მატერიალურ მოვლენათა სრულ, აუცილებელ და საკმაო ახსნას, ე. ი. ყველა იმ მიმართების ერთობლობას, რომლებზეც ისინი აჩიან დამოკიდებული. რათა თავიანთ შეხედულებას მეტი ობიექტურობა მისცენ, ზოგიერთები ენერჯიას ერთგვარ სუბსტანციადაც კი აღიარებენ, რომელიც ვითომდა მართლაც არის ნამდვილი მატერიალური სუბსტანცია, ყველა ჩვენი შეგარძნების რეალური მოქმედი მიზეზი,

2

2

3ა-3ა!

NB

გამართობია ეს „პოზიტისტი“

|| ის საზღ. რომლის მიხედვითაც ჩვენ უნდა მაგვბდეთ
ჩვენს წარმოდგენას ბუნებაზე.

ენერგია აქ ატომისტურ თეორიათა კორპუსკულების
შემცველია. იგი ისეთსავე როლს ასრულებს და მას
იმგვარივე ყოფიერება აქვს: ის არის ნივთთა საფუ-
ძველი. მათი უკანასკნელი ბუნება, აბსოლუტური.

ოსტვალდის მიხედვით, მაგალითად, ენერგიის გარდა-
ქმნათა აღწერა გვაძლევს ჩვენ მატერიალური სამყა-
როს აბსოლუტურ ცოდნას. როცა თქვენ ჯოხს გი-
ტყამენ, რას შეიგრძნობთ: ჯოხს თუ შის ენერგიას? —
ენერგია — აი სუბსტანციური სინამდვილე, რომელიც
მატერიალურ მოვლენებში იმალება...

მექანიკები
versus ენერ-
გეტიკა. NB.
Plus loin *,
ვიდრე მატე-
რიალისტუ-
რად განმარ-
ტებული (გვ.
157) ენერგე-
ტიკა!

[158]... მექანიკები ამტკიცებენ, პირიქით, რომ შე-
საძლებელია უფრო შორს წასვლა. ენერგეტიკა რჩება,
მათი აზრით, თითქოს ნივთების ზედაპირზე, და მისი
კანონები ან უნდა დაიყვანონ სხვა უფრო ღრმა კანო-
ნებამდე, ანდა ყოველ შემთხვევაში შეავსონ ისინი,
იკლუცხმებენ რა მათ თავის საფუძველში.

მექანიკურ სკოლას ეკუთვნის, როგორც უკვე ნა-
თქამში იყო. დიდი უმრავლესობა ფიზიკოსებისა და
განსაკუთრებით ფიზიკოს-ექსპერიმენტატორებისა, რომ-
ლებსაც ფიზიკა თავის უახლეს წარმატებებს უნდა
უმაღლოდეს.

ამ სკოლის მომხრენი აკრიტიკებენ, უწინააღეს ყოფ-
ლისა, ენერგიის ცნებას და გვიჩვენებენ, რომ შეუძ-
ლებელია მისი აღიარება, როგორც ამას ზოგიერთები
შვრებიან, რაიმე ფიზიკურ თუ მეტაფიზიკურ არსებად.

რომელიმე სისტემის ენერგია ნიშნავს მხოლოდ იმას,
რომ ამ სისტემას შესწევს უნარი აწარმოოს მუშაობა:
იგი პოტენციურია, როცა მუშაობა, რომელიც წარ-
მოებს, შეუძლებელია გამოყვანვებულ იქნეს, წინა-
აღმდეგ შემთხვევაში იგი აქტუალური ან კინეტიკუ-
რია. მაშასადამე, ენერგიის ცნება თანაფარდია მუ-
შაობის ცნებისა, ეს უკანასკნელი კი არის მექანიკური
ცნება. ამრიგად, ენერგიას, ცხადია, ვერ მივიღებთ
ცდაში, თუ არ მივმართეთ მექანიკას ან მოძრაობას.
მაგრამ ასეთ შემთხვევაში ენერგეტიკა, თუ მას სურს
ფიზიკურ-ქიმიური მოვლენების დამაჯერებელი ახსნა
მოკვცეს, ხომ არ უნდა შეუერთდეს მექანიკას, ხომ არ
უნდა ხდებოდეს ენერგეტიკის გაღმოცემა მასთან თან-

მომდევრულ კავშირში და, მაშასადამე, მისი შეთავსება მექანიკურ წარმოდგენათა განხილვასთან?..

[159 — 161]... მექანიკა, ფიზიკა და ქიმია ქმნიან ამ თვალსაზრისით ვრცელ თეორიულ სისტემას, და მექანიკა შეადგენს ამ სისტემის ფუნდამენტალურ საფუძველს, ისევე როგორც მოძრაობა შეადგენს ფიზიკურ-ქიმიურ მოვლენათა უკანასკნელ არსებას.

თანამედროვე მექანიკები, რა თქმა უნდა, უკვე აღარ ამტკიცებენ, რომ ახლანდელმა მექანიკამ, ისევე როგორც კანონებმა, რომლებიც ენერჯის გარდაქმნას განაგებენ, თავის საბოლოო ფორმას მიაღწიეს, რომ მეცნიერებამ თავისი ურყევი საფუძვლები პპოვა. შეხედნენ რა ენერგეტიკულ კრიტიკას, — ამ წარმატებას უახლესი მეცნიერება უექველად მას უნდა უმადლოდეს, — მათ უარი თქვეს ძველ მექანიკურ და ატომისტურ შეხედულებათა ვიწრო დოგმატიზმზე. ისინი ფიქრობენ, რომ ახლამ აღმოჩენებმა უნდა გააფართოონ მეცნიერული პორიზონტი და განუწყვეტელი ცვლილებები უნდა შეიტანონ გარესამყაროს წარმოდგენაში. ხომ არ ვართ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე კლასიკური მექანიკის გარდაქმნის, მისი თითქმის დამზობის მოწამენი? ძველი ხარაჩოები გაარღვია უწინარეს ყოვლისა ენერჯის მუდმივობის პრინციპმა (ჰელმჰოლცი) და კარნოს პრინციპმა. რადიოაქტიურობის მოვლენებმა შეგვაძლებინეს უფრო ღრმად ჩავწვდომოდით ატომის ბუნებას, და იმ აზრამდე მოგვიყვანეს, რომ შესაძლებელია მატერიის ელექტრული აღნაგობა და აუცილებელია კლასიკური მექანიკის პრინციპების შევსება ელექტრომაგნეტიზმის პრინციპებით.

და მართლაც, მექანიკური შეხედულება ახლა ესწრაფვის მიიღოს ის ფორმა, რომელიც აღინიშნება როგორც ელექტრული თეორია. ელექტრონები — ეს

არის ყოველი ფიზიკური რეალობის უკანასკნელი ელემენტები. ეს მარტივი ელექტრული მუხტები ანდა ეთერის მოდიფიკაციები, სიმეტრიულად განაწილებულნი ერთი წერტილის ირგვლივ, სრულყოფილად წარმოადგენენ, ელექტრომაგნეტიური არის კანონების ძალით, ინერჯიას, ე. ი. მატერიის ძირითად თვისებას. ამრიგად, მატერია სხვა არაფერია, თუ არა ელექტრონების სისტემა. ეთერის მოდიფიკაციების (ჯერ კიდევ უცნობი მოდიფიკაციების) ხასიათის მიხედვით ელექტრონები არის დადებითი და უარყოფითი; მატერიალური ატომი შედგენილია ერთისგანაც და მეორისგანაც თანაბარი რაოდენობით ანდა, ყოველ შემთხვევაში, იგი შეიცავს სიდიდის მიხედვით ერთნაირ დადებით და უარყოფით მუხტებს, ამასთან დადებითი მუხტი, რო-

NB

ელექტრო-
ნული თეო-
რია = „მექა-
ნიზმი“

გორც ჩანს, სისტემის ცენტრში იმყოფება. უარყოფითი ელექტრონები ანდა, შესაძლოა, არა ყველა ისინი, არამედ მხოლოდ მათი ნაწილი, მოძრაობენ დანარჩენების გარშემო, როგორც პლანეტები მოძრაობენ მზის გარშემო. ამრიგად, მოლეკულური და ატომისტური ძალები მხოლოდ გამოვლენაა ელექტრონების მოძრაობისა, ისევე როგორც ენერჯის განსხვავებული ფორმებიც (სინათლე, ელექტრობა, სითბო).

აქედან გამომდინარეობს შესანიშნავი დასკვნა: მასის (ან მატერიის რაოდენობის) მუდმივოდენობის ცნება, რომელიც ენერჯის ცნებასთან ერთად საფუძვლად ედო შექანისას, როგორც ჩანს, არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს ელექტრომაგნიტურ მექანიკაში: ამ უკანასკნელში წონადი მასა მუდმივი რჩება მხოლოდ საშუალო სიჩქარეთა დროს, რომლებიც სინათლის სიჩქარის ერთ მეათედზე უფრო მცირეა; მაგრამ, წარმოადგენს რა სიჩქარის ფუნქციას, იგი მატულობს მასთან ერთად მით უფრო სწრაფად, რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ჩვენ სინათლის სიჩქარეს. ეს ჰიპოთეზა იმას გულისხმობს, რომ არსებობს ან სხვადასხვა სახელწოდების ელექტრული მუხტი და ეთერი, ანდა მართლედნ ეთერი, რომლის მართვი მოდიფიკაციადაც ელექტრონი წარმოადგენს.

დასასრულ, ჩვენს დროში დოქტორ ლემონისა* და

ზოგიერთი ინგლისელი ფიზიკოსის შრომები შესაძლებლობას იძლევიან, როგორც ჩანს, დეფსკვნათ, რომ არც მატერიის რაოდენობა, არც თვით ენერჯის რაოდენობა არ რჩება მუდმივი. ერთი და მეორეც წარმოადგენენ მხოლოდ მიმართებებს, რომლებიც დამოკიდებულია ეთერის მდგომარეობაზე და მის მოძრაობაზე**.

[163—171]... ჩვენს დროში არაფერი არ რჩება და არც უნდა დარჩეს ამ წარმოდგენიდან. ჩვენ მივფიქრობთ ლიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებამდე. ყველა ფიზიკოსი მზადაა გადასინჯოს თავისი მეცნიერების ძირითადი პრინციპები ან შეზღუდოს მათი გამოყენება, როგორც კი ეს აუცილებელი ხდება ახალი ცდისეული მონაცემების გამოჩენის გამო.

* — Gustave Le Bon: L'Évolution de la Matière — L'Évolution des Forces. (Flammarion, éditeur)

** როგორც ჩანს, წარმოებს გადაქცევა მატერიის ენერჯიად და ენერჯისა — მატერიად. მატერიად, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმობთ მხოლოდ წონადი მატერია, ხოლო ენერ-

ჯიად — მხოლოდ უნარი იმ მუშაობის წარმოებისა. რომლის გამოვლენაც შესაძლებელია თუკი მატერიად ვიგულისხმებთ ნივთთა უცნობ საფუძველს, რომლიდანაც ყოველივე წარმოიშობება და რომელიც ყოველივე უკანვე ბრუნდება. მაგალითად, ეთერს. ანდა რომელიმე სხვა თავდაპირველ არსებას, მაშინ ლემონის დასკვნები სრულიადაც არ უარყოფენ ზის მარადისობას და მუდმივობას; მათ არ მიუყვართ არც რაიმეს შექმნაშივე არაფრისაგან, არც აბსოლუტურ მოსობამდე.

NB

ექსპერიმენტული მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ კერძო ფაქტებიდან უნდა ავლიოდეთ ზოგად კანონებადმდე, ხოლო ამ უკანასკნელთაგან — კიდევ უფრო ზოგად კანონებადმდე, განუწყვეტლად გავაღრმავებთ რა მოცემულის ბუნებას ამ აღმავალი მოძრაობით. მას გამოპყავს კერძო კანონები ზოგადი კანონებიდან მასისტემატულ თავის თეორიებში მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი ამ ზოგად კანონებს თავის გზაზე ხედება; ხედება კი მათ იგი კერძო ცდებისა და ჰიპოთეზების მეშვეობით, რომელთა შემოწმებასაც იგი ამ ცდებისაგან მოითხოვს.

ხომ არ უნდა დაეასკვნათ აქედან, რომ ფიზიკოსები იმედს კარგავენ ჩასწვდნენ ძირითად პრინციპებს და

სულ უფრო ღრმა ელემენტებს, რომელთა მეოხებით

შესაძლებელი ხდება ავხსნათ და მოვიცვათ მოცემულის

სულ უფრო და უფრო ვრცელი ნაწილი? ასეთი და-

სკვნა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უპირობად კი-

დეც ძველი მექანიკების შეცდომას, არა ნაკლებ სა-

შიში შეცდომა იქნებოდა. ფიზიკურ-ქიმიურ მეცნი-

ერებათა ახლანდელი სულსკვეთება, თანამედროვე

მეცნიერული სულსკვეთება ისეთი არაა, რომ უცხო-

ბის წინაშე დაიხიოს. იგი სულ უფრო გაბედულად მი-

დის წინ მის დასაპყრობად, მაგრამ სულ უფრო სა-

იმედო ხერხებით. ფიზიკის პრინციპების სიმყარე უზ-

რუნველყოფილი იქნება მხოლოდ დაეაღების დასას-

რულს. აი რატომაა, რომ ჩვენ ვართ და კიდევ არა-

ერთხელ ვიქნებით მოწმენი ესოდენ ბევრი გადატრი-

ალებისა, რაც წინანდელ და მომავალ იდეებში ხდებო-

და მოულოდნელი აღმოჩენებით, რომლებმაც უკვე გა-

გვიანათეს გზა, ანდა რომლებიც გაგვიანათებენ მას მო-

მავალში. მოწინავე ფიზიკოსებს უკვე აღარ ეშინიათ,

როგორც დაეინახეთ, ეპქემეშ დააყენონ მასის ან წონა-

დი მატერიის მუდმივოდენობის პრინციპები.

კემმარტება მზად მოცემული ზოდა; იგი ყოველ-

დლიურად სულ უფრო და უფრო ყალიბდება. აი

დასკვნა, რომელსაც შეუნელებლივ უნდა ვიმეორებ-

დეთ. მეცნიერული მუშაობის მეოხებით ჩვენი სული

დლითი დღე სულ უფრო ახლოს ეგუება თავის ობი-

ექტს და სულ უფრო ღრმად იჭრება მასში. მტკიცებანი,

რომლებიც, როგორც ჩვენ გვეგონა, შეგვეძლო წამო-

გვეყენებია მათემატიკურ მეცნიერებათა შესწავლის

შედეგად, აქაც წარმოგვიდგება აუცილებელი და, სულ

ცოტა, მეტად ბუნებრივი სახით. მეცნიერული პროგ-

რესი ყოველ წამს ამყარებს ნივთებსა და ჩვენს შო-

რის შესაბამისობას ერთსა და იმავე დროს უფრო



აგნოსტი-
ციზმი = მორ-
ცხვი მატე-
რიალიზმი¹⁶⁹

მკირღოსაც და უფრო ღრმასაც. ჩვენ უკეთესადაც

ვიგებთ და უფრო მეტსაც. და უცვლელად ვხედავთ ჩვენ, რომ რომელიმე შედეგი, მეცნიერული ცდათ დადგენილი, ე. ი. მეთოდურად ჩატარებული, ახალი შედეგების თვალსაზრისით თუმცა შეიძლება არ იყოს იმავე მნიშვნელობის მქონე, მაგრამ მაინც განაგრძობდეს თავისთვის არსებობას ხელშეუხებლობასა და წარუხრცევლობაში, მარადიული, როგორც ქეშმარიტება, რადგან იგი ქეშმარიტებაა. მეტად კადნიერი და წინასწარ უარყოფილი იქნება ყოველივე იმის მიერ, რასაც ჩვენ მეცნიერების ისტორია გადაგვიშლის, ის, ვინც დაიწყებდა და მტკიცებას, რომ ეს ცდა უნაყოფოა, ანდა რომ იგი მუდამ იქნება მხოლოდ ვიწროდ შეზღუდული. დავა ენერგეტისტებსა და მექანიკისტებს შორის,

დავა, ხშირად ფრიად გაცხოველებული, განსაკუთრებით ენერგეტისტების მხრივ, არსებითად ფიზიკა-ქიმიის მეცნიერებათა პროგრესის მომენტია მხოლოდ, თანაც

აუცილებელი მომენტი. სრულიად არ ამსხერვეს რა განვითარების ერთიანობას, აღნიშნულს ამ მეცნიერებებში ყველა ისტორიკოსის მიერ, იგი, უფრო უმაღლესი მგონი, თავის ბუნებრივ ადგილს პოულობს იქ, ისე როგორც ძველი დისკუსიები კარტეზიელებსა და ატომისტებს შორის, კარტეზიელებსა და ნიუტონელებს ანდა ლაიბნიცელებს შორის, კინეტიკისტებსა და დინამისტებს შორის. და იმგვარადვე, როგორც ძველ თეორიულ დავაში, შეჯახება ორ დიდ თანამედროვე თეორიას შორის ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მათი პარალელური განვითარება, უფრო ნაყოფიერ შედეგებს იძლეოდა. იგი ხელს უწყობდა მეცნიერების წინსვლითს მსვლელობას.

უწინარეს ყოვლისა, ენერგეტიკა გვაფრთხილებდა ზოგიერთ შემთხვევაში ბოროტად არ გამოგვეყენებინა მექანიკური მოდელები, არ შევმცდარიყავით და ეს

მოდელები ობიექტურ რეალობად არ მიგველით. შემდეგ

მან გააღრმავა თერმოდინამიკა და კარგად გვიჩვენა უნივერსალური მნიშვნელობა თავისი ძირითადი კანონებისა, რომელთაც, ნაცვლად იმისა, რომ დაკმაყოფილდნენ გამოკვლევებით, რომლებიც სითბოს შეეხება; კანონიერი და აუცილებელი გამოყენება აქვთ ფიზიკურ-ქიმიურ მეცნიერებათა მიმართ სრული მოცულობით. ამ კანონების მნიშვნელობის გაფართოებით ენერგეტიკამ დიდად შეუწყო ხელი მათი ფორმულიზების დაზუსტებას. კიდევ მეტი: თუ აღმოჩენათა თვალსაზრისით ენერგეტიკამ თავისი თავი ნაკლებნაყოფიერად დაგვანახვა, ვიდრე მექანიციზმმა, იგი მაინც წარმოგვიდგება გადმოცემის შესანიშნავ იარაღად — გონივრულ, ლაზათიან და ლოგიკურ იარაღად. დასასრულს, და ეს განსაკუთრებით იმჩნევათ ქიმიკოსებს, როგორცაა ვანტ ჰოფი, ვან დერ-ვაალსი და ნერნსტი,

მაგრამ უფრო ხშირად ვხედავთ აგრეთვე ფიზიკოსებთანაც, რომ ო.ჩივე ეს თეორია სრულიად მისაღებად მიაჩნიათ, ამასთან თვითეულ შემთხვევაში ამოირჩევიან იმას, რომელიც ყველაზე უკეთ ექვემდებარება გამოკვლევას. მათ იყენებენ ერთად; გამოდის მიქანის სწავლის განტოლებიდან, ან თერმოდინამიკის განტოლებებიდან, იმისდა მიხედვით, ეჩვენებათ ამ წესით არჩეული გზა უფრო მარტივ და უფრო მოხერხებულ გზად, თუ არა. საქმე იმაშია, რომ ფიზიკური თეორიები არსებითად ჰიპოთეზებია, გამოკვლევის და ვადმოცემის ანდა ორგანიზაციის იარაღია. ისინი ფორმებია, ჩაჩოები, რომლებიც ცდის შედეგებმა უნდა შეაფასონ. და მხოლოდ ეს ცდის შედეგები შეადგენენ სწორედ ფიზიკურ მეცნიერებათა ჰემარიტ, ნამდვილ შინაარსს.

სწორედ ამაზე თანხმდება ყველა ფიზიკოსი და მათი განუწყვეტლივ მზარდი რაოდენობა, სულ უფრო ჰარმონიული და უფრო თანამთხვევი, ახალიათებს, რასაკვირველია, ფიზიკის პროგრესს, მის ერთიანობას და მის ხანგრძლიობას. ისინი — სასინჯი ქვა თეორიებისა, ჰიპოთეზებისა, რომლებმაც სამსახური გაუწიეს მათ აღმოჩენას და რომლებიც ესწრაფვიან მათ ორგანიზებას, არ ეხებიან რა მათს ნამდვილ თვისობას, კვლავ აღადგენენ რა რაც შეიძლება ზუს-

ტად ბუნების წყობილებას. და მაინც ეს თეორიები,

თუცა ისინი მუდამ ჰიპოთეზური არიან და, მაშასადამე, მუდამ რალაცას — ზოგჯერ კი ბევრსაც — ჰკარგავენ იმდენად, რამდენადაც ცდას ჩვენთვის ახალი აღმოჩენები მოაქვს, არასოდეს არ კვდებიან საბოლოოდ. ისინი ერთდებიან, გარდაიქმნებიან რა ახალ, უფრო ყოვლისმომცველ და უფრო ადეკვატურ თეორიებად. ასე მოუვიდა დეკარტის თეორიას და ატომისტურ თეორიას, და მათგან — ნიუტონის თეორიას. ეტყობა, ასევე დაემართება ენერგეტიკას და ძველებურ მექანიციკსაც. და ხომ არ ამზადებენ ამ შიგითებს და ამ შერიგებას თანამედროვე კინეტიკური ჰიპოთეზები?

«მემატიანემ უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ ფიზიკური ქიმიის დაჯგუფი თანამედროვე შედეგებას უმარაგელსობა მიღწეულ იქნა მოლეკულური თეორიის შეხედულებებთან თერმოდინამიკური მეთოდების მოხერხებული შეხამების გზით, სრულიად ისევე, როგორც სიტბოს თანამედროვე თეორიის შემქმნელნიც იმავე დროს თავიანთ საუკეთესო ძალონის ატომისტისკის, კერძოდ კინეტიკური თეორიის განვითარებას ანდომებდნენ.

«... ამ უკანასკნელის უდიდეს შედეგად უნდა ჩავთვალოთ ატომისტისკის გადატანა ელექტრობის მექანიერებაში... თავისი ჰოზონტის ამ შესანიშნავი გა-

ფართობით ატომისტიკამ სრულიად ახალი შუქი მოჰქონა მთელ რიგ ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებს...» *.

§ 8. რეზიუმე და დასკვნები

თუ უცნობი უსაზღვროა, მინც უმართებულო იქნებოდა ჩვენს დროში გვეწოდებინა მისთვის „უუცნობადი, როგორც ეს ჰაიპარად ხდებოდა რამდენიმე წლის წინათ.

მეტაფიზიკური ცდების განმეორებითმა და გაუსწორებელმა ფიასკომ აიძულა ფიზიკა ჩამოყალიბებულიყო მეცნიერებად მატერიის პრობლემის გადაწყვეტი გამორიცხვის გზით. ამიერიდან იგი მხოლოდ კერძო მოვლენათა კანონებს ეძებდა. ეს იყო „ფიზიკა უმატერიოდ“. მაგრამ წარმატებანი, რომლებიც ამ ახალ მეთოდის შემწეობით იზრდება, შესაძლებლობას გვაძლევენ, მგონი, ვამტკიცოთ აქემად, ოგიუსტ კონტის პოზიტივიზმის მსგავსი მეტად ვიწრო პოზიტივიზმის საწინააღმდეგოდ, რომ ფიზიკამ გამოცვალა მხოლოდ მეთოდი და არა საგანი და არა მნიშვნელობა ფიზიკისა. ნაცვლად იმისა, რომ მატერიის საკითხს მთელი მისი ზოგადობით და ყველაზე ძნელი და ღრმა მხარეებიდან მიდგომოდა, იგი ამ საკითხს, პირიქით, ზედპირული დეტალების გზით და ყველაზე მისაწვდომი მხრიდან მიუღდა. ეს იყო ამაყი შემართების შეცვლა სალი აზრით. სალი აზრი დაჯილდოებულ იქნა, ვინაიდან ჩვენ ახლა ვიწყებთ პრობლემის ჩაწვდომას, მთელ რიგ მიდგომათა გამო, მთელი მისი ზოგადობითა და სიღრმით.

ისტორიის შესაბამისად, რომელსაც უცვლელად იმეორებს ადამიანის გონება იმ დროიდან მოკიდებული, რა დროიდანაც იგი ცდილობს შეიცნოს ნივთები, მეცნიერება მეტაფიზიკურ ქიმიკათა სამყაროსაგან ღებულს შესწავლის ახალ საგანს. მატერიის ბუნება უკვე აღარაა მეტაფიზიკური პრობლემა, იმიტომ რომ იგი ექსპერიმენტული და პოზიტიური წყობის პრობლემად იქცევა. მართალია, ეს პრობლემა არაა მეცნიერულად გადაწყვეტილი; ჯერ კიდევ რჩება ადგილი მრავალი მოულოდნელობისათვის; მაგრამ ერთი რამ შეიძლება ამიერიდან მიღწეულად მოგვეჩვენოს: მას გადაწყვეტს მეცნიერება და არა მეტაფიზიკა.

თუმცაღა მე ვფიქრობ, და ვცდილობდი კიდევ ეს სხვა ადგილას მეჩვენებინა, რომ კინეტიკური წარმოდგენანი მუდამ იქნება მჭიდროდ დაკავშირებული ფა-

* W. Nernst. Revue générale des Sciences,

15 mars 1908.

[ვ. ნერნსტი. მეცნიერებათა ზოგადი მიმოხილვა, 1908 წ. 15 მარტი.]

NB

ზიკის პროგრესთან, იმიტომ რომ ისინი წარმოადგენენ აღმოჩენათა თუ არა აუცილებელ, განსაკუთრებულად სასარგებლო იარაღს მაინც, და ეს იმიტომ, რომ ისინი უკეთესად არიან შეგუებულნი ჩვენი შემიცნების პირობებთან. აი რატომ ვხედავ მე ფიზიკის მო-

NB

მავალს მექანიკურ თეორიათა გაგრძელებაში. და აი რატომ ვთქვი მე ახლახან, რომ ენერგეტიკული თეორია, ალბათ, გაითქვიფება, როგორც მოძველებული მექანიზმიც, კინეტიკაში, რომელიც უფრო მოქნილი და უფრო მკაცრია ჰიპოთეზის დაშვების თვალსაზრისით. მაგრამ მექანიკური ჰიპოთეზები, წინააღმდეგ იმ სიძულელიისა, რასაც მათ მიმართ განიცდიან აბსტრაქტული მოაზროვნენი, რომლებიც უზომოდ გაიტაცა მათემატიკურმა სიზუსტემ, ალბათ, მუდამ აუცილებელი იქნებიან ფიზიკის პროგრესისათვის, იმიტომ რომ ისინი — ჰიპოთეზებია, მაშინ როდესაც ენერგეტიკული თეორიის განზრახვი მიზანი ჰიპოთეზის თავიდან მოცილებაა. კიდევ მეტიც: ეს არის ჰიპოთეზები, რომელთაც უწინარეს ყოვლისა, ჩანს, შესწევთ იმის უნარი, რომ გახდნენ ცდის საგანი, იმიტომ რომ ისინი გამოხატულნი არიან ობიექტური ტერმინებით, თუ არა ნამდვილ აღქმათა, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელ აღქმათა ტერმინებით მაინც. ერთი სიტყვით, წარმმართველ ჰიპოთეზებს მეცნიერება ვერ შეეღევა.

თ ა ვ ი IV

სიცოცხლის პრობლემა

§ 1. ისტორიული შესავალი

[173 — 174] სიცოცხლის პრობლემას ჩვენ მივყავართ იმ ძირითად უთანხმოებამდე, რომელსაც შეუძლია გაჰყოს ფილოსოფია და მეცნიერება. დღემდე დაჟა, შეიძლება ითქვას, უმთავრესად თეორიული იყო. უმრავლესობა ფილოსოფოსებისა, რომლებიც ამ სახელწოდებას იმსახურებენ, ვარაუდობს, რომ პრაქტიკულად მეცნიერული შედეგები ნამდვილია მატერიისათვის. თუ გონებაჰერეტიკითი თვალსაზრისით ფილოსოფოსებს შეეძლოთ წამოეყენებიათ ესა თუ ის შეპასულება ამ მათი სინამდვილის წინააღმდეგ, ისინი მაინც აღიარებენ, რომ ყველაფერი ისე ხდება, თითქოს მეცნიერების დასკვნები დასაბუთებული იყოს თუ მართებულად არა, ყოველ შემთხვევაში ისე მაინც, რომ ფაქტურად შეიძლებოდეს მათი გამოყენება მატერიალური სინამდვილის მიმართ. ეს უკანასკნელი

NB

რამდენადმე შეიძლება გამოიხატოს მათემატიკური, მექანიკური და ფიზიკური-ქიმიური მიმართებებით. მაშასადამე, გეომეტრიკში და მექანიკში რჩება მატერიის შესწავლის კარგ ფორმულად...

[177] ა ნ ი მ ი ზ მ ს, რომელსაც ოდესღაც ნაწილობრივ მხარს უჭერდნენ პლატონი და არისტოტელი, მი-

აჩნია, რომ სიცოცხლის ყველა მოვლენას განაპირობებს გონიერი ძალა, მაშასადამე, სული. წინააღმდეგ საბერძნეთის ექიმებისა, რომლებიც დაკვირვების მონაცემებში ეძებდნენ ჯანმრთელობის ან ავადმყოფობის მიზეზებს (გუმორების ან ტენის თეორია), წინააღმდეგ დეკარტისა, რომელიც სრულიად გამოყოფს მოაზროვნე სულს ორგანული და მატერიალური ფაქტებისაგან, ლაიბნიცი, განსაკუთრებით კი შტალი, ამტკიცებენ, რომ შინაგანი სასიცოცხლო პროცესები, თუმცაღა მათ საერთო არაფერი აქვთ შეგნებულ და გონიერულ მოქმედებებთან, მაინც სულის გამოვლენას წარმოადგენს.

ბარტეზი და მონპელიეს სკოლა, რომელთაც ურყევად სწამთ, რომ სიცოცხლის მოვლენები შეიძლება გაპირობებულ იქნან მხოლოდ სპეციალური მიზეზით, მიაკუთვნებენ მათ სასიცოცხლო ძალას, რომელიც

განსხვავებულია მატერიალური ძალებისგანაც და სულისაგანაც: სწორედ აქედან წარმოიშვა ვიტალიზმის სახელწოდება, რომელიც ამ თეორიას მიეცა...

§ 3. დემარკაციული ხაზი მემპანიზმსა და

ნეოვიტალიზმს შორის

[189—190] თუ შევეცდებით ერთგვარად სინთეზი გავუქეთოთ ნეოვიტალიზმს მისი მთავარი წარმომადგენლების, სწავლულებისა ან ფილოსოფოსების მიხედვით, ჩვენ მივალთ, მგონი, აი რა დასკვნამდე: კრიტიკა, რომელსაც ნეოვიტალისტები ბიოლოგიურ მექანიზმს უწევენ, მჭიდროდ ენასკიება იმ კრიტიკას, რომელსაც პრაგმატული, ანტიინტელექტუალისტური ან აგნოსტიკური ფილოსოფია უწევდა მათემატიკურ და ფიზიკურ-ქიმიურ მეცნიერებებს. ჩვენ გვგონია, რომ პრობლემას ვცვლით, როცა მატერიიდან სიცოცხლეზე გადავდივართ. არსებითად კი ჩვენ, როგორც დასაწყისში გაკვრით ვთქვით, კვლავ იმავე ძირითადი პრობლემის წინაშე ვდგავართ, და ეს პრობლემა — ისევ იგივე პრობლემაა მეცნიერების ღირებულებისა, რამდენადაც მეცნიერება ცოდნაა. იცვლება მხოლოდ კერძო ტერმინები, რომლებშიც იგი ისმის არსებითად.

მართლაც, რას უსაყვედურებდა მათემატიკურ ან ფიზიკურ-ქიმიურ მეცნიერებებს ახალი ფილოსოფია? იმას, რომ ისინი არიან ნებისმიერი და უტილიტარული სიმბოლიზმი, შექმნილი ჩვენი ჰქუის, ჩვენი გონების ისეთ პრაქტიკულ საჭიროებათათვის, როგორცაა მოქმედების უნარი და არა შემეცნების უნარი. ამრიგად, როცა ჩვენ ბიოლოგიურ ფაქტებზე ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდი გადაგვაქვს, ჩვენ, რა თქმა

NB

NB

უნდა, გადაგვაქვს ის შედეგებიც, რომელთა მიღწევის შესაძლებლობასაც იგი ჩვენ გვაძლევს, ის შედეგები, რომლებსაც იგი გულისხმობს ამ შედეგების ღირებულების მხრივ. მაშასადამე, ფიზიკურ-ქიმიური მექანიციკში იქნება საუცხოო ფორმულა, რომელიც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სასიცოცხლო ნივთებს პრაქტიკულად მიეწოდეთ; იგი სრულიად უღონო იქნება გავანათლოს ჩვენ იმის შესახებ, თუ რა არის სიცოცხლე. როგორც ფიზიკურ-ქიმიური მეცნიერებანი მატერიის დარგში, ფიზიკურ-ქიმიური მექანიციკში სიცოცხლის დარგში იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ვიმოქმედოთ, მაგრამ არასოდეს — იმისას, რომ ვიცოდეთ...

[192 — 194]... ნეოტომისტები მკვდრებით ალაღვენენ მატერიაში ძალას, სწრაფვას, სურვილს, კვლავ უბრუნებენ მას სიცოცხლეს, თუმცაღა, გილოზოიზმის იმ წარმართული სუნიტებით, რომელზეც სრულიად უარისთქმა ბერძნებს, კერძოდ კი არისტოტელეს, მგონი, არასდროს არ შეეძლოთ. სხვათა შორის, ისინი ამახინჯებენ ელინურ დოქტრინას. მათთვის მატერიაა სხვა აქტიურობა არა აქვს, გარდა იმ ძალისა, რაც მასში შემოქმედმა ჩაღო: სამახსოვრო, ასე ვთქვათ, მისი შექმნადობისა და მისი წარუხოცელი ნიშანი, რომელსაც იგი ატარებს. მაშასადამე, მისი მოქმედება არაა მისი დამახასიათებელი, იგი შემოქმედებითა მხოლოდ რწმუნებით. მაგრამ სწორედ ამიტომაც ვერ უსხლტდება იგი მექანიციკზმის მიერ სრულ დაპყრობას. ნომინალისტებიც, რომლებიც მეტად ახლო მათესათაში არიან ამ ნეოსქოლასტიკურ მოძრაობასთან*, პრაგმატიკებიც, ეკველუცებოდნენ რა ზოგჯერ რწმე-

* — ნეოსქოლასტიკოსები და ნეოტომისტები განსაკუთრებით ცდილობენ რეაბილიტაცია უფრო არისტოტელიზმის სქოლასტიკურ ინტერპრეტაციებს. მაშასადამე — შემთხვევით ფილოსოფიურ დოქტრინებს. ნომინალისტები დაჟინებით იცავენ მეცნიერების სიმბოლურ, ხელოვნურ და აბსტრაქტულ ხასიათს, იმ უდიდეს უფსკრულს, რომელიც არსებობს სინაფილიკისა და მის ფორმულურ შორის პრაგმატიკურად აქვთ მსგავსი დოქტრინა, მაგრამ იგი უფრო ზოგად მეტაფიზიკას ეყრდნობა ყოველი შექცევა მითართულია მოქმედებისკენ; მაშასადამე, ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რაც აინტერესებს ჩვენს მოქმედების წესს ყოველ ადამიანსა და ანგოსტიკურია იმ გაგებით, რომ ისინი უარყოფენ ჩვენს იმ იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენი გარებრივი რეალის საზოგადოებით მივადწიოთ სინამდვილის ადვანტურ და რესტრუქციონის. იტოვ-

NB

სონი, მიუხედავად იქისა, რომ იმისაყალიბა მეტაფიზიკა ძოვიანად პრაგმატიკურია — და მასზე უწინ, — გაცილებით უფრო ნაკლებ პრაგმატიკურ დასკვნებამდე მივიღო. მეცნიერება გულისხმობს ადვანტიზმ რეალურის ნაწილს. იმ ნაწილს. რაჟილიც შეიძლება დაყვანილ იქნას სრულ დეტერმინიზმამდე და რაჟელიც შესაძლებლობას იძლევა მთლიანად გამოვხატოთ სივრცობრივი სიმბოლურის ფარებით, ერთი სიტყვით, იმ ნაწილს, რომელიც მათემატიკურად დავიხიურ — ქიმიურ ჩეიურიებათა საგანს წარმოადგენს. იტყვიან, რომ გონება და მეცნიერება მხოლოდ დანარჩენისათვის აღმოჩნდება არასაკმაო და საჭიროა მათი შევსება ინტუიციითა და ფილოსოფიით — ესეც კია, რომ ყველა ეს დოქტრინა მეტად გაურკვეველია და მათი ნათლად განსახლება ძალიან ძნელია.

ნის ამ ფილოსოფიებს (ძალიან ხშირად გვეპირდებო ჩვენ მათ უფრო მორწმუნეთა ფილოსოფიები ვუწოდოთ), უფლებას აძლევდნენ თავის თავს ეთქვათ, რომ მატერიის შესახებ მეცნიერებებით არ ამოწურება მათი საგნის შინაარსი. რათა ქვეშარიტად ვიცოდეთ, საჭიროა «უფრო შორს წასვლა». მით უმეტეს, ნუთუ ისინი დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ როცა ჩვენ სიცოცხლისთან ახლოს მივდივართ, მეცნიერების საზღვრები კიდევ უფრო მეტად ვიწროვდება? ფიზიკურ-ქიმიური მექანიციზმი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სიცოცხლის მატერიალური პირობების მიმართ, მაგრამ არა თვით სიცოცხლის მიმართ.

საერთოდ, ბერკსონის წმინდა მიმდევართა თანახმად, მექანიზმი შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ სიცოცხლის ყველა მატერიალურ პირობას, მაგრამ სწორედ რომ ყველას. სხვების თანახმად კი, ეს არც კი იქნება სიცოცხლის ყველა მატერიალური პირობა, მაგრამ, რამდენადაც მატერია უკვე რამდენადმე ცოცხალია და აღბეჭდილია მიზანშეწონილობით, ეს იქნება მხოლოდ ის, რომ ჩვენ შეგვიძლია მასში მოვახდინოთ მექანიკურისა და ინერტიის აბსტრაქტირება, მხოლოდ ის, რაც ჩვენ შეგვიძლია მისგან ჩვენს პრაქტიკულ მოთხოვნილებებს შევუკოთ. და ამ ფორმულებს შეუძლიათ უკვე გამოგვადგენენ პასუხად ჩვენ მიერ დასმულ კითხვავზე და დააზუსტონ ვიტალიზმის წილი მექანიზმში.

არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს უფრო გამომსახველი ფორმულა გამოჩნასთ? ვიტალიზმისათვის სიცოცხლე ასრულებს შემოქმედის ძალის როლს; მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი დამოკიდებულია, გარდა ამისა, მატერიალურ პირობებზე, იგი სრულიადაც არაა ქმნილება არაფრისაგან. თავისი მოქმედების შედეგად, იგი მოგვცემს, რა თქმა უნდა, რაიმე ახალს და გაუთვალისწინებელს, მაგრამ იმისათვის, რომ აქამდე მივიდეს, მან უნდა იმოქმედოს წინამაჟღელ ელემენტებზე, რომელთა კომბინირებასაც იგი მოახდენს, განსაკუთრებით კი დაწყებული წინა არსებული ელემენტებით, რომლებსაც იგი თავისას დაუმატებს. მოუტარიებო. რომლივსაც ავიჩიოებთა ბოტანიკოსი დე თარიზი (რომილიც, როგორც მექანიკი,

NB

თვითონ სხვაგვარაო ხსნის მათ). აქ იქნებოდა ამ შემოქმედი დამატებების გამოვლენა და დამტკიცებაც კი.

§ 4. ნეოვიტალიზმსა და მიქანიზმს განსხვავებენ მხოლოდ მეცნიერების შემავსებელი ჰიპოთეზები

[204]... მაგრამ ვიტალიზტურ მეთოდში ენტილექიებისა და დომინანტებს არაფერი აქვთ საერთო გამოსახატავ ქარაგმულ ელემენტებთან: მიზნების გამოხატვა არ შეიძლება, იმიტომ რომ ისინი არ არსებობენ მატერიალურად — ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ არ-

წამოსცდა!

სებობენ, რადგან ისინი იმყოფებიან ქმნადობის პროცესში, თანდათანობითი განხორციელების პროცესში.

მათი გავლენა შეუმჩნეველია გრძნობებისათვის. აი რატომაა, რომ მეცნიერებაში უფრო საშიშია მიემართოს მათ, ვიდრე მექანიკურ მოდელებს — და ამას ამტკიცებს ყველა მეცნიერების ისტორია. ტელეოლოგიური ჰიპოთეზები თვით თავიანთი ხასიათის მიხედვით მხედველობიდან ეპარება ექსპერიმენტულ კონტროლს, და თუ ისინი ქიმერული არიან, მათ შეუძლიათ მხოლოდ ვნების მოტანა.

§ 6. მიქანიზმიც აბრეთვე მხოლოდ ჰიპოთეზაა

[216 — 218]... მაგრამ ცდის ყველა გაკვეთილის საწინააღმდეგო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სასიცოცხლო მოვლენებში ყველაფერი შეიძლება დაყვანილ იქნეს ფიზიკურ-ქიმიურ კანონებამდე, და რომ მექანიციზმი შემოწმებულ იქნა ექსპერიმენტულად მთელი მისი მოცულობით. ჩვენ, პირიქით, ძლიერ ცოტა რამ ვიცით სიცოცხლის შესახებ. ექსპერიმენტულ ბიოლოგიას თავის აქტივში აქვს გარკვეული რაოდენობა მნიშვნელოვანი შედეგებისა, თუ ისინი განხილული იქნება თავისთავად, მაგრამ მეტად უმნიშვნელო შედეგებისა, თუ მათ შევადარებთ იმ შედეგებს, რომელთაც ჩვენ ჯერ კიდევ უნდა მივაღწიოთ.

რისთვის უნდა ვაჯახიროთ, ასეთ შემთხვევაში, მექანიკური თეორიები, დაგებადება კაცს აზრი? ხომ არ უნდა განვდევნოთ მეცნიერებიდან ეს მეტად ზოგადი ჰიპოთეზები, რომელთა შემოწმებაც მეცნიერების სრულ დამთავრებას გულისხმობს? ჩვენ აქ კვლავ ვხვდებით შეხედულებას, რომელსაც აღიარებს, როგორც უკვე დავინახეთ, ფიზიკოსთა გარკვეული რაოდენობა ფიზიკის შესახებ და ფიზიკაში სწორედ მექანიკური თეორიების შესახებ. გავიხსენოთ, რომ ენერგეტისტიებიდან ზოგიერთებს სურდათ განედევნათ ფიზიკიდან მექანიკური ჰიპოთეზები, როგორც განზოგადებანი, რომელთა შემოწმებაც შეუძლებელია, როგორც უსარგებლო და საშიშარიც კი. ბიოლოგებს შორისაც ჩვენ გვხვდება ზოგიერთი მეცნიერი, რომელსაც იგივე პოზიცია უკავია და რომელიც უშუალოდ ემხრობა ამ ფიზიკოს-ენერგეტისტიებს. მათი აზრით,

ბიოლოგია უნდა კმაყოფილდებოდეს სიცოცხლის მოვლენათა აღწერით და არ უნდა სცოდნებოდეს მას, რისი მტკიცების შესაძლებლობასაც ჩვენ ცდა გვაძლევს. ისარგებლებს რა ენერგეტიკული სქემით, იგო, როცა თავისი კანონების სისტემატიზაციისათვის ზო-

NB

გადი ფორმულების ძებნას დაიწყებს, დაკმაყოფილდება ორგანიზმსა და მის გარემოს შორის ენერჯის ცვლათა გაზომვით, სხვადასხვა ორგანული ფუნქციის შესრულების დროს, და ამ ცვლათა კანონების გადმოცემით.

un aspect
timide du
mécanisme*

მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს უკვე იმის აღიარებას, რომ ფიზიკურ-ქიმიურ მეცნიერებებსა და ბიოლოგიას შორის არსებობს ძირეული ანალოგია, ყოველ შემთხვევაში, ფაქტების აღწერისა და ექსპერიმენტული კონსტატირების თვალსაზრისით? ბიოლოგიაში ენერგეტიკული სკოლა უფრო ნაკლებ მკაფიოდ განსხვავდება მექანიკური სკოლისაგან, ვიდრე ფიზიკაში. იგი უფრო წარმოადგენს მექანიზმის მხლალ შეხედულებას, რადგან უპირისპირდება ტელეოლოგიას და პოსტულატად იღებს სიცოცხლის მოვლენათა და ორგანულ მოვლენათა შესაბამისობას.

ამას კი კვლავ ჩვენს წინანდელ დასკვნებამდე მივყავართ: ყოველთვის, როცა კი შესაძლებელი აღმოჩნდება ბიოლოგიური მოვლენის მეცნიერული ანალიზი მოვალდებით, ჩვენ ისევ წავაწყდებით ბიოლოგიურ მოქმედებასა და ფიზიკურ-ქიმიურ მოქმედებას შორის არსებულ მიმართებას. ყველაფერი ისე ხდება, მაშასადამე, თითქოს ამ ფაქტებთან დაკავშირებით მექანიკური პიპოთეზა ანდა, ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლის ფიზიკურ-ქიმიური თეორია ნაწილობრივ შემოწმებული იყოს...

§ 7. ზოგადი დასკვნები

[223 — 224]... ცოცხალი მატერია აშკარად ამჟღავნებს ჩვეულებასთან და მემკვიდრეობითობასთან დაკავშირებულ თვისებებს: ყველაფერი ხდება ისე, თითქოს მას ყველა თავისი წინამაჯალი მდგომარეობა ახსოვდეს. მაშინ როდესაც უსულო მატერია, ამბობენ, არასოდეს ამ თვისებას არ ამჟღავნებსო. რაიმე მსგავსის წარმოდგენა წინააღმდეგობაც კი იქნებოდა. ყველა მატერიალური მოვლენა შექცევადია. ყველა ბიოლოგიური მოვლენა შეუქცევადია.

ამ დასკვნებში ივიწყებენ, რომ თერმოდინამიკის მეორე პრინციპს შეიძლება ეწოდოს ევოლუციის ან მემკვიდრეობის პრინციპი*. ივიწყებენ «ნარჩენი» ელექტრობისა და პისტერეზისის ყველა მოვლენას. ივიწყებენ, რომ ფიზიკა არ იხვევს ასეთი დასკვნის წინაშეც კი: სინამდვილის არავითარი მოვლენა არ არის აბსოლუტურად შექცევადი, რაც ხელს არ უშლის, სხვათა შორის, იმას, რომ ნაწილობრივი სისტემების

* — მექანიზმის მხლალ შეხედულება. რ ე დ.

** — კლაუზიუსმა ამას ენთროპიის პრინციპი უწოდა, რაც ზუსტად შეესაბამება სიტყვას მემკვიდრეობა, მაგრამ ნასესხებებს არა ლათინურიდან, არამედ ბერძნულიდან.

NB

ეს შეუქცევადობა, გადატანილი დროისა და სივრცის უსასრულობაში, ე. ი. მთელს სამყაროში, გაპირობებული იყოს შექცევადი მოვლენების მიერ, — სწორედ ისევე როგორც შემთხვევითობა და დამთხვევა, ალბათ, იმის ნიშანია მხოლოდ, რომ ჩვენ არ ვიცნობთ აუცილებელ მეტად რთულ კანონებს. როგორც არ უნდა იყოს და რა მხრიდანაც არ უნდა განვიხილავდეთ შეუქცევადობას, მემკვიდრეობა არ შეიძლება წარმოადგენდეს ბიოლოგ-მექანიკებისათვის დაუძლეველ დაბრკოლებას.

[227]... მეცნიერული დისციპლინა ჯერ იმას ცდილობს, რომ მოჩვენებითობაში, რასაც ჩვენ გვაძლევს საგნებისა და ცოცხალ არსებათა უშუალო შეგრძნება, გამოავლინოს მიმართებანი, რომლებიც მათ ერთმანეთთან აერთებენ, დამოკიდებულების კავშირი, რომელიც გვიხსნის მათ წარმოშობას, ან მათ გაქრობას, ანდა მათ ცვლილებას. ევოლუციის მექანიკური თეორია სხვა არაფერია, თუ არა მონდომება იმისა, რომ განვსაზღვროთ დამოკიდებულების ეს მიმართებანი სახის, ფორმების, ნიშნების მიხედვით, რომლებშიც ჩვენ სიცოცხლე და ცოცხალი არსებანი გვევლინებიან.

შემდეგ მეცნიერული დისციპლინა ცდილობს მის მიერ შესასწავლი თვითეული სპეციალური დარგი დაუკავშიროს სხვა დარგებს, რომლებშიც მას მუშაობა უხდება. მეცნიერება ვერ ბედავს ერთხელ და სამუდამოდ იზოლირებულად მიიჩნიოს იმ ფაქტების სხვადასხვა თანრიგი, რომელთა გულისთვისაც იგი განსაკუთრებულ მეცნიერებებად დაიყო. ამ დაყოფას სავსებით სუბიექტური და ანტროპომორფული მიზეზები აქვს. მას წარმოშობენ მხოლოდ გამოკვლევის ის მოთხოვნებიანი, რომელნიც გვაძლვებენ საკითხები დავალაგოთ მწკრივებად, ყურადღება მივაპყროთ თვითეულ მათგანს ცალ-ცალკე, დავიწყოთ კერძოდან, რათა მივიღეთ ზოგადამღე. ბუნება თავისთავად არის მთელი.

მიხსლოება
დიალექტიკურ
მატერიალიზმთან

NB

თ ა ვ ი V

სულის პრობლემა

§ 2. ძველებური ემპირიზმი და ძველებური
ანტიმეტაფიზიკური კონცეფციები:
ფსიქოფიზიოლოგიური პარალელიზმი

[242 — 243] თუმცა მეტაფიზიკური რაციონალიზმი დიდ ფილოსოფიურ ტრადიციას შეადგენს, მაგრამ მის ძველებურ მტკიცებებს აპრიორულად არ შეეძლოთ არ გამოეწყიათ კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანთა შეკამათებანი. მართლაცდა, ყველა დროში ვხვდავთ ჩვენ ფილოსოფოსებს, რომლებიც ცდილობენ წინა-

აღმდგეობა გაუწიონ რაციონალისტურ და მეტაფიზიკურ მიმდინარებებს. ესენი არიან უწინარეს ყოვლისა სენსუალისტები და მატერიალისტები, შემდეგ ასოციაციონისტები და ფენომენისტები. ზოგადი აზრით მათ შეიძლება ეწოდოს ემპირიკოსები.

ნაცვლად იმისა, რომ სული ბუნებას დაუპირისპირონ, ისინი ცდილობენ კვლავ მოათავსონ სული ბუნებაში.

მაგრამ მხოლოდ ისინი განაგრძობენ სულის გაგებას ისე გამარტივებულად და ინტელექტუალისტურად, როგორც ისინიც, ვისაც ისინი აკრიტიკებენ...

[244]... ემპირიულ თეორიას წარმოდგენილი ჰქონდა სული იმგვარადვე, როგორც ატომიზმი მატერიას გვიხატავს. ეს არის ფსიქოლოგიური ატომიზმი, რომელშიც ატომები შეცვლილია ცნობიერების სხვადასხვა მდგომარეობით: შეგრძნებებით, წარმოდგენებით, გრძობებით, ემოციებით, სიამოვნებისა და ტანჯვის შეგრძნებით, მოძრაობით, ნებისმიერი მდგომარეობით და ა. შ...

[245 — 246]... ამრიგად, ჩვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობანი მხოლოდ ერთობლიობაა ატომების შესაბამისი იმ ელემენტარული ცნობიერებებისა, რომლებიდანაც შედგენილია ჩვენი ნერვული ცენტრები. სული მატერიის პარალელურია. იგი გამოხატავს მისთვის დამახასიათებელი ფორმით, თავისი ენით იმას, რასაც მატერია გამოხატავს, თავის მხრივ, მისთვის დამახასიათებელი ფორმით და სხვა ენით. სული, ერთი მხრივ, მატერია, მეორე მხრივ, ერთი და იმავე ტექსტის ორი ურთიერთშებრუნებული თარგმანია.

იდეალისტებისათვის თავდაპირველ ტექსტს წარმოადგენს სული; მატერიალისტებისათვის ეს არის მატერია; სპირიტუალისტ-დუალისტებისათვის ორივე ტექსტი ერთნაირად თავდაპირველია, რადგან ბუნება ერთსა და იმავე დროს ორივე ვნაზე იწერება; წმინდა მონისტებისათვის ჩვენ უნდა შევასრულოთ ორი თარგმანი თავდაპირველი ტექსტისა, რომელიც ჩვენ ხელიდან გვისხლტება...

§ 3. პარალელიზმის თანამედროვე კრიტიკა

[248—249]... როცა ამბობენ, რომ ცნობიერება ერთიანი და უწყვეტია, საჭიროა ვერიდოთ აზრს, თითქოს ამით აღიღვინება «მეს» ერთიანობისა და იგივეობის თეორია, რომელიც ძველებური რაციონალიზმის ქვაკუთხედს შეადგენდა. ცნობიერება ერთიანია, მაგრამ იგი არ რჩება მუდამ იგივეური თავის თავის მიმართ, როგორც, სხვათა შორის, ყოველი ცოცხალი არსებაც. იგი მუდამ იცვლება არა როგორც ნივთი, რომელიც შექმნილია ერთხელ და სამუდამოდ და რომელიც რჩება თავისთავად, არამედ

როგორც არსება, რომელიც მუდამ იქმნება: ევოლუცია შემოქმედებითია. იგივეობისა და მულტიპლობის ცნება დაგვეჩრდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა რეალურ ხილვადობათა მოსაპოვებლად საჭირო იქნებოდა მოგვეჩინა სინთეზისა და ერთიანობის კავშირი იმ ნაირსახივან მდგომარეობათათვის, რომლებიც მქლავნიდგა, როგორც გვეგონია, ამ ხილვადობათა სახით. მაგრამ თუ ვიგულისხმებთ, რომ სინამდვილე არსებითად უწყვეტია და რომ ხარვეზები, რომლებსაც მასში ეპოულობთ, ხელოვნურია, მაშინ ერთიანობისა და მულტიპლობის პრინციპისადმი აპელაციის საჭიროება მოიხსნება.

ანგლო-ამერიკული პრაგმატიზმის თეორიები უაღ-

რესად ენათესავენ ამ ზემოაწერილ თეორიებს. ეს

თეორიები მეტად სხვადასხვაგვარია, განსაკუთრებით მორალურ და ლოგიკურ გამოყენებათა მხრივ, რომელთა გამოყვანასაც მათგან ცდილობდნენ. მაგრამ ის, რაც მათ ერთიანობას შეადგენს და რაც საშუალებას გვაძლევს დავაჯგუფოთ ისინი ერთად, სწორედ იმ გადაწყვეტის ზოგად ხაზებში მდგომარეობს, რომელიც ამ თეორიებმა ცნობიერების პრობლემას მისცეს. უ. ჯემსმა, პრაგმატიზმის უდიდესმა ფსიქოლოგმა, ამ გადაწყვეტას მისი ყველაზე მკაფიო და ყველაზე დასრულებული ფორმა მისცა. მისი კონცეფცია ერთსა და იმავე დროს ეწინააღმდეგება, და თითქმის ერთნაირი საფუძვლით, მეტაფიზიკური რაციონალიზმის კონცეფციასაც და ემპირიზმის კონცეფციასაც.

[251—252]... უ. ჯემსი ამტკიცებს, რომ იგი ამ თეორიამდე მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ ზღვრული სიზუსტით იცავდა ცდის წესებს: და იგი უწოდებს მას «რადიკალური ემპირიზმის თეორიას» ანუ «წმინდა ცდის თეორიას». მისთვის ძველებური ემპირი-

რიზმი რჩებოდა მეტაფიზიკური და რაციონალისტური ილუზიებით გაქვნილი. იგი ცდილობდა ამ ილუზიებისაგან მის მთლიანად განთავისუფლებას.

ცნობიერების ამ ახალმა თეორიებმა უდავოდ ფრიალ მოაღებ ვადაში დიდი სიმპათიები მოიპოვეს: ინგლისელები — შილერი, პირსი, ამერიკელები — დიუი და როისი, საფრანგეთსა და გერმანიაში — პუანკარეს, პეტრის, მახის, ოსტვალდის მსგავსი მეცნიერები, ხოლო, მეორე მხრივ, თითქმის ყველა ისინი, ვისაც სუტს განაახლოს კათოლიციზმი, თანაც შეინარჩუნოს მისდამი ერთგულება, შეიძლება ასოციაციით დაკავშირებულ იქნენ იმ იდეურ მიმართულებასთან, რომლის ყველაზე უფრო სისტემატური გადმოკვმაც ბერგსონმა და ჯემსმა მოაღვიეს. უდავოა, გარდა ამისა, რომ ეს სიმპათიები მეტწილად დამსახურებულ სიმპათიებად გვეჩვენება...

ჯემსის
«ცდის თეორია»

NB

ჯემსი, მახი
და ხუცები

[254 — 255]... მართალია, რაციონალიზმი ამტკიცებდა, რომ ემპირიზმი, ე. ი. სულის პროგრესის ახსნა მარტოოდენ ცდით, ამსხვრევს ყოველგვარ მეცნიერებას ანუ, თუ გნებავთ, ყოველგვარ ქეშმარიტებასო. თანშობილი ანუ აპრიორული გონების თეორია განსაკუთრებით აკანონებდა მეცნიერების უფლებებს. ჩვენ დავინახავთ, შემეცნებისა და ქეშმარიტების პრობლემასთან დაკავშირებით, რომ პრაგმატიზმი მართლაც ხშირად მიდიოდა სკეპტიკურ დასკვნებამდე, მაგრამ ეს დასკვნები სრულიადაც არაა აუცილებელი. თვითაც მსმამ, რომელიც სხვა მომენტებში სკეპტიკურ ირაციონალიზმთან მეტად ახლომდგომი გვიჩვენება, შენიშნა როგორღაც, რომ ცდის ზუსტი განმარტების დროს არ უნდა მივიჩნიოთ, თითქოს ცდას შეუძლია მოგვეცეს ჩვენ ცნება მხოლოდ იზოლირებული ფაქტების შესახებ, არამედ იგი იძლევა კიდევ, და განსაკუთრებულადაც იძლევა, ცნებას ფაქტებს შორის არსებულ მიმართებათა შესახებ.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვკარგავთ თუ არა ჩვენ შესაძლებლობას ვილაპარაკოთ რაციონალისტებთან ერთად, რომ არაფერი არ აძლევს ემპირიკოსებს იმის გარანტიას, რომ ზვალინდელი ცდა გუშინდელი ცდის იგივეური იქნება, სხვანაირად რომ ვთქვათ, რომ მოვლენები მუდამ მისდევენ ერთიმეორეს ერთი და იმავე რიგით, იმიტომ რომ სწორედ მოვლენათა რიგი შეადგენს ცდის საგანს? როცა ჩვენ ბუნებასთან კავშირში შევდივართ, სინამდვილეში გონება აღიქვამს არა იზოლირებულ მოვლენებს, წვერებს, ზომელთა შორისაც იგი მოგვიანებით დაამყარებს ამა თუ იმ მიმართებას, არამედ აღიქვამს თვით მიმართებებს, გარკვეულ უწყვეტობას, რომელშიც ჩვენ შემდეგ ნებისმიერად გამოვყოფთ თვით წვერებს, დაანლოებით ისე, როგორც ჩვენ წერტილებს აღვნიშნავთ ხაზზე.

ამრიგად, ახალი ორიენტაცია, რომელიც ფილოსოფიაში გამოვლინდა და რომელმაც პრაგმატიზმის სახელწოდება მიიღო, აღნიშნავს, როგორც ჩანს, უდავო პროგრესს სულის მეცნიერულ და ფილოსოფიურ კონცეფციებში.

§ 4. ფსიქოლოგიური მოქმედების ზოგადი კონცეფცია

[256 — 258]... ახლა მოგვიხსენებოდა იმის დაზუსტება, თუ რაში მდგომარეობს მიმართებანი. რომლებიც ფსიქოლოგიურ სამყაროს ქმნიან, და როგორ განსხვავდებიან ისინი იმ მიმართებათაგან, რომლებიც დანარჩენ ბუნებასა და ცდას შეადგენენ. ამ საგანზე ვენელმა ფიზიკოსმა მანმა, მგონი, ყველაზე ნათელი მითითებანი მოგვცა*. ყოველ ცდაში ის, რაც მოცემულია,

* Année psychologique 1906. XIIe année. (Paris, Schleicher).

დამოკიდებულია მრავალ მიმართებაზე, რომლებიც უწინარეს ყოვლისა, იყოფა ორ ჯგუფად: მიმართებანი, რომლებიც იგივეურად შემოწმებული არიან ყველა ორგანიზმის მიერ, რომლებიც გარეგნულად ჩვენი ორგანიზმის ანალოგიური არიან, ე. ი. შემოწმებული ყველა მოწმის მიერ; და მიმართებანი, რომლებიც განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ როგორია მოწმე. ფსიქოლოგიას თავის საგნად აქვს ეს უკანასკნელი და მათი ერთობლიობა ქმნის იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ფსიქოლოგიურ მოქმედებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — პირველი არ არიან დამოკიდებული ჩვენს ორგანიზმზე და ბიოლოგიურ მოქმედებაზე. მეორე

დამოკიდებული არიან მათზე ინტიმურად და გარღვევალად.

თუ ჩვენ მოცემული გვაქვს გოგირდის ნატეხი, მაშინ გეომეტრიული, მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებანი ჩვენი ორგანიზმისაგან დამოუკიდებელი მიმართებანი არიან. ფსიქოლოგიას აქ არაფერი ესაქმება. თუ საქმე ცოცხალ არსებას შეეხება, წინანდელ მიმართებებს მიემატება ახალი: ბიოლოგიური თვისებანი, რომლებიც თავის მხრივ არ არიან დამოკიდებული ჩვენს ორგანიზმზე. თუკი საქმე თვით ჩვენს ორგანიზმს შეეხებოდა, — მასაც გააჩნია თვისებები, ჩამდენადმე დამოუკიდებელი იმ პირობებისაგან, რა პირობებშიც იგი ჩვენი მოცემული გვაქვს ცდაში; ეს არის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები. მათემატიკა, მექანიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია — ყველა ეს მეცნიერებანია, რომლებიდანაც თვითელი გამოჰყოფს მიმართებათა ჯგუფს მოცემულში მოთავსებულ მიმართებათა ერთობლიობიდან, და რომელიც დამოუკიდებელი არიან და უნდა განიხილად. ჩვენს ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად. ეს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მიმართებანია, საგანი ბუნებრივ შესახებ მეცნიერებისა, რომლის იდეალიც ისაა, რომ გამორიცხოს მოცემულიდან ყველა მიმართება, რაც ამ მოცემულს ჩვენს ორგანიზმზე დამოკიდებულს ხდის...

[259 — 261] ცდა გვიჩვენებს ბიოლოგიულისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთგავლენას, მათ შორის არსებულ მიმართებათა სისტემას. რატომ არ უნდა განვიხილოთ ფაქტების ამ ორი რიგიდან თვითელი, როგორც ორი რიგი ბუნების ფაქტებისა. რომლებიც მოქმედებენ ერთმანეთზე და ეხმარებიან ერთიმეორეს, როგორც ბუნებრივი ფაქტების ყველა სხვა რიგი: სიბოროს მოვლენები, ელექტრული, ოპტიკური, ქიმიური და სხვა მოვლენები? ყველა ამ რიგს შორის განსხვავება არც მეთია და არც ნაკლები, ვიდრე ბიოლოგიურ რიგსა და ფსიქოლოგიურ რიგს შორის. ყველა მოვლენა უნდა განიხილებოდეს ერთი და იმავე მიმარ-

თულებით და ყველანი უნდა ითვლებოდნენ ისეთ მოვლენებად, რომლებსაც შეუძლიათ ერთიმეორე განაპირობონ.

უშეშვლია, ამ კონცეფციის წინააღმდეგ წამოაყენებენ იმ საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომ იგი ვერ იძლევა იმის ახსნა-განმარტებას, თუ რატომ არსებობს ცლა და ამ ცდის ცოდნა ორგანიზმის მიერ. მაგრამ ხომ არ გვგონია, რომ შეიძლებოდა და უნდა გვეპასუხნა კიდევ, რომ ეს საკითხი, ისე როგორც ყველა მეტაფიზიკური საკითხი, არის საკითხი ცუდად დაყენებული, არარსებული? იგი გამომდინარეობს იმ ანთროპომორფული ილუზიიდან, რომელიც სულს მუდამ უპირობობს სამყაროს. არ შეიძლება იმის თქმა, თუ რატომ არის ცლა, რადგან ცლა არის ფაქტი და ძალით აგვეცილება როგორც ასეთი.

„ცლა არის ფაქტი“

იმისათვის, რომ თავი დავანებოთ აბსტრაქციებსა და ზოგად ადგილებს, შევეცდებით უფრო კონკრეტულ ფორმაში განვავითაროთ ჩვენ მიერ ახლანაჲ მოხაზული ფსიქოლოგიის განსაზღვრება, რომელიც ამასთან ყველაზე მარტივ და მეცნიერულ განსაზღვრებად გვეჩვენება. შევეცდებით წარმოვიდგინოთ ზოგადი კონცეფცია ფსიქოლოგიური მოქმედებისა, რომელთანაც ჩვენ მას მივყავართ.

ცლა, ანუ, თუ ნაკლებად ორაზროვან ტერმინს ავიღებთ, მოცემული, აქამდე ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ

იგი დამოკიდებულია მათემატიკურ, მექანიკურ, ფიზიკურ და სხვა მიმართებებზე. როცა ჩვენ ამ პირობებს ანალიზს ვუკეთებთ. ისე გვეჩვენება, რომ იგი დამოკიდებულია, გარდა ამისა, ზოგიერთ მიმართებებზე, რომელთა შესახებ საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ისინი მას ამახინჯებენ, იმ ინდივიდუუმისდა მიხედვით, რომელსაც იგი მოკეიფული აქვს: ეს დამახინჯებანი შეადგენენ სუბიექტურს, ფსიქოლოგიურს. შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავადგინოთ, — რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მეტად უჩემად და შორიდან, — ამ ახალ მიმართებათა, ამ დამახინჯებათა ზოგადი აზრი, ე. ი. მიმართულება, რომლითაც მეცნიერული ანალიზი, წინ მიდის რა საუკუნეების მანძილზე, გამბედაობას იჩენს გამომყდვენოს მის მიერ ნაგულისხმევი ყველაზე ზოგადი (პრინციპები)?

სხვა სიტყვებით, რატომაა, რომ მოცემული, ნაცვლად იმისა, რომ იგივეური იყოს ყველა ინდივიდისათვის; ნაცვლად იმისა, რომ უშუალოდ იყოს მოცემული, რომელიც მხოლოდ ერთ მთელს შეადგენს იმ ცოდნასთან ერთად, რომელიც მის შესახებ აქვთ, — სუბიექტურად მახინჯდება? მახინჯდება იმდენად, რომ ფილოსოფოსთა საკმაოდ დიდი რაოდენობა და საღი აზრი იქამდე მივიდა, რომ მათ დაშალეს ცდის ერთიანობა და წამოაყენეს ნივთთა და სულის უძლევი დუალიზმი,

რაც სხვა არაფერია, თუ არა დუალიზმი ცდისა, როგორც ეს უკანასკნელი მოვპოვება ყველას, იმ ზომით, რა ზომითაც მას მეცნიერებანი ასწორებენ, და ცდისა, როგორც იგი დამახინჯებულა კერძო ცნობიერებაში...

სოციალურად ორგანიზებულ ინდივიდთა ცდა

[271 — 272]... გამოსახულებანი არაა იგივეური შეგრძნებებისა, როგორც ამას ამტკიცებდა სუბიექტივიზმი, თუ ამ სიტყვას, რომელიც ორანზოგანია თავისი ფართო მნიშვნელობის გამო, უშუალო განცდათა აზრს მიეცემთ. ამ პუნქტში ბერგსონის ანალიზი სრულიადაც არ იყო უნაყოფო. გამოსახულება არის შედეგი გარკვეული მიმართებებისა, რომლებსაც უკვე შეიცავს უშუალოდ ცდა, ე. ი. შეგრძნება. მაგრამ ეს უკანასკნელი ბევრ სხვა რამესაც შეიცავს. დაეცემული იყოს მხოლოდ მიმართებანი, რომლებიც შეადგენენ «გამოსახულების» სისტემას (სისტემა ნაწილობრივი, თუ მას შევადარებთ შეგრძნებისა და უშუალო ცდის მთელ სისტემას),—უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაეცემული იყოს მთელი სისტემის მიმართებათაგან მხოლოდ ისინი, რომლებსაც თან მოსდევს მოცემული სათვის დამოკიდებულება ორგანიზმზე, და მაშინ ჩვენ მივიღებთ სწორედ გამოსახულებას, მოგონებას.

მოგონების ასეთი განსაზღვრით ჩვენ მხოლოდ ავსახეთ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის უახლესი შედეგები და იმავე საღი აზრის უძველესი იდეები: მოგონება არის ორგანული ჩვევა. მოგონებას პრიმიტიული შეგრძნებასთან საერთო აქვს მხოლოდ ორგანული პირობები. მას აკლია შეგრძნებაში მოთავსებული ყველა არაორგანული მიმართება მასთან, რასაც ჩვენ გარემოს გულისხმობთ.

NB

გამოსახულების ეს სრული დამოკიდებულება და შეგრძნების ეს ნაწილობრივი დამოკიდებულება ორგანულ პირობებზე შესაძლებლობას გვაძლევს აგრეთვე გავივით ილუზია, გრძნობათა მკადრობა, სიზმარი და ჰალუცინაცია, როცა მიმართებანი გარემოსთან რამდენადმე არანორმალურად შეწყვიტილი არის ხოლმე, და ინდივიდისათვის ცდა აღმოჩნდება იმამდე დაყვანილი, რაც მის ორგანიზმში ხდება. ე. ი. მიმართებებამდე, რომლებიც დამოკიდებულია ორგანიზმზე, მაშასადამე, წმინდა ფსიქოლოგიურამდე, წმინდა სუბიექტურამდე დაყვანილი...

NB

§ 5. არაცნობიერი პრობლემა

[280]... ჩვენი სიცოცხლე, სავსებით შეგნებულა, შეადგენს ჩვენი ფსიქოლოგიური მოქმედების მთელი ერთობლიობის მხოლოდ მეტად მცირე ნაწილს. იგი თითქოს ცენტრია სინათლის პროექციისა, რომლის

გარემოც ლაგდება უფრო ფართო არე ნახევარჩრდილისა, რომელიც თანდათან აბსოლუტურ წყვილიდში გადადის. ძველებური ფსიქოლოგია ძალიან დიდ შეცდომას უშვებდა, როცა ფსიქოლოგიურ მოქმედებად მხოლოდ სახეებით ცნობიერი მოქმედება მიაჩნდა.

მაგრამ თუ ძნელია იმ მოცულობის გაზვიადება, რომელიც არაცნობიერს ჩვენს ორგანიზაციაში უკავია, მაშინ არ უნდა ყოფილიყო გაზვიადებული, როგორც ამას ხშირად აკეთებდა ზოგიერთი პრაგმატიკული ფსიქოლოგია, ამ არაცნობიერის თვისებრივი მნიშვნელობა.

ზოგიერთი პრაგმატიკის თანახმად, ნათელი ცნობიერება, ინტელექტუალური და გონიერი ცნობიერება ჩვენი მოქმედების ყველაზე ზერელე და ყველაზე უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს...

§ 6. ფსიქოლოგია და მიზანსწრაფვის ცნება

[285—286]... უშუალო და ზერელე დაკვირვებას უმადლესი ფსიქოლოგიური ცხოვრება, რასაკვირველია, მთლიანად მიზანსწრაფვით აღბეჭდილად ეჩვენება. განვზოგადებთ რა ცნობილი ხერხით ცნობილიდან უცნობისაკენ, ჩვენ ვხედავთ, რომ უძველესი დროიდან იყო აგრეთვე იმის ცდები, რომ მთელ დაბალ ფსიქოლოგიურ ცხოვრებას თელეოლოგიური განმარტებაც მისცემოდა. უმარტივესი რეფლექსი, როგორც მაგალითად, თვალთ ხამხამი ძლიერ კამეზა სინათლის დროს, უმარტივესი ფიზიკური სიამოვნებანი და ტანჯვანი, პრიმიტიული ემოციები — ხომ არ გვიჩვენება, რომ ყველა ეს ფაქტი ნაკარნახევია სახეობის შენარჩუნებისა და პროგრესის ინტერესით, ანდა ინდივიდის შენარჩუნებითა და მისი პროგრესით? დაწყებული ამებიდან, პროტოპლაზმის ამ ჩანასახოვანი პაწაწა გუნდათი, რომელიც სინათლის ზოგიერთი გამოსხივებისაკენ მიისწრაფვის და სხვების აცლენას კიდობს, — ხომ არ მიეკუთვნება მთელი მოქმედება, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნიათ ცნობიერი უწოდონ მუდამ მიდრეკილების კატეგორიას, ხოლო მიდრეკილება ხომ არ არის მიზანსწრაფვა მოქმედებაში? არ უნდა გაგვიკვირდეს აგრეთვე, რომ ჯემსი, ტარლი

NB

და ბევრი სხვა ამ ფაქტებიდან იმას დაასკვნიან, რომ ფსიქოლოგიური კანონები სრულიად სხვა ხასიათს ატარებენ, ვიდრე ბუნების სხვა კანონები. ეს არის თელეოლოგიური კანონები...

ფსიქოლოგიური კანონის თელეოლოგიური კონკრეტია არსებითად სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერული მოპირკეთება, რაც გაუკეთეს მეტაფიზიკურ კონკრეტებს, რომლებსაც მიდრეკილებიდან, სიცოცხლის

სურვილიდან, ინსტიქტიდან, ნებისყოფიდან და მოქმედებიდან ყოველივე არსებულის საფუძველი გამოჰყავთ. ამასთან იგი ათვისებულ, განმარტებულ და განვითარებულ იქნა პრაგმატიკების მიერ, მოქმედების პრიმატის მომხრეების მიერ. მათთვის ფუნქციური ფსიქოლოგია და ფინალისტური ფსიქოლოგია ერთმნიშვნელობიანი ტერმინებია...

NB

§ 7. უკვდავების პრობლემა

[294 — 296]... ერთი მხრივ, ანტითეზა მოქმედებისა, სინამდვილისა, რომლებიც ანალიზს არ ემორჩილებიან, მეორე მხრივ, მიმართებანი, არარად იქცევა, და როგორც სულის, ისე მატერიის მიმართ მოძველებული მეტაფიზიკის ხარახურის კატეგორიას უნდა ჩაბარდეს. ყოველივე მოცემული არის მხოლოდ სინთეზი, რომლის ანალიზზეც მუშაობს მეცნიერება, რომელიც მას აღადგენს მის პირობებში და, შემდეგში, დაშლის მას მიმართებებად.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში, რა დაემართება სულის უკვდავებას, განსაკუთრებით მის პირად უკვდავებას, ვინაიდან, აი უკვე ორი ათასი წელია, რაც ჩვენთვის ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. არ მივსდით საგანთა კანონს, არ მივსდით ყველა მცხოვრებთა კანონს, არ გავჭრით, არ მოვისპოთ სხეში! გავწიოთ ეს შესანიშნავი რისკი, დაგვიანებით გამოგონილი ცუდი მოთამაშის მიერ, როგორცაა ადამიანი, ცუდი მოთამაშის მიერ, რომელსაც სწადია მოიგოს ტურფა და მოითხოვს, რომ მის სასარგებლოდ ყალბად ჩააწყონ კოჭები!

უკველია, რომ მიმართებათა სისტემა ძნელად თუ შეიძლება მოგვეჩვენოს მარადიულ და უკვდავ სისტემად. თუმცა, ამაში არაფერია ისეთი, რაც აბსოლუტური შეუძლებლობა იყოს. დაუჯერებელია — კი! შეუძლებელია — არა! მაგრამ საჭირო იქნებოდა მხოლოდ, რომ იმ ნიადაგზე, რომელზეც ჩვენ ვდგავართ, (ცდამ დაარღვიოს დაუჯერებლობა ანდა, ყოველ შემთხვევაში, გადააქციოს იგი მოსალოდნელობად.

საჭირო იქნებოდა, რომ მან გვაძიქლოს გამოვამყლანოთ სუბიექტურის უკან პირობები. რომლებიც იარსებებდნენ ორგანიზმის გაქრობის შემდეგ, მიმართებანი. რომლებიც გახდიდნენ მას ნაწილობრივ დამოკიდებულად სხვა რაიმეზე, ვიდრე ეს ორგანიზმია. ეს უნდა გადაწყვიტოს (ცდამ). მხოლოდ მას შეუძლია მოგვაშოროს ეჭვები. აპრიორულად რომ ვილაპარაკოთ. არაფერი არ უშლის ხელს იმას, რომ გამომყლანებულ იქნეს გარკვეული პირობები, გარკვეული მიმართებანი. რომლებსაც თან მოჰყვებოდა — ნაწილობრივ მაინც — დაურღვევლობა მოცემულის ერთი ნაწილისა, მაგალითად, ცნობიერებისა.

მაგრამ საჭიროა თუ არა ამაზე ლაპარაკი? (ცდამ) ჯერ არასოდეს არ უჩვენებია ჩვენთვის რაიმე მსგავ-

სი. ჩემთვის უცნობი არაა, რომ სპირიტები საწინა-
აღმდეგოს ამტკიცებენ. მაგრამ ეს მხოლოდ მტკიცებაა,
 მათ ცდებს — ისეთებს მაინც, რომლებიც არაა აგე-
 ბული ფანდებსა და მოტყუებაზე (ასეთები კი განა
 უმცირესობაა?) — არსებულ ვითარებაში შეიუძლიათ,
 სულ დიდი, ჩაგვაგონონ ის აზრი, რომ არსებობს ბუ-
 ნების გარკვეული ძალები, გარკვეული ძეკანიკური
 მოძრაობანი, რომელთა გამოვლენანიც ჩვენ ძლიერ
 ცუდად ვიცით, ხოლო პირობები და კანონები — კი-
 დევ უფრო ცუდად. სარწმუნოდაც კი წარმოგიდგება,
 რომ ისინი დამოკიდებული არიან ადამიანის ორგა-
 ნიზზე და ეკუთვნიან მარტივად ორგანიზმის არაცნო-
 ბიერ ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ მოქმედებას.
 და საიქიო ცხოვრების ვითომდა ექსპერიმენტულ
 შემოწმებათა უბადარუკობის წინაშე სულის უკვდავე-
 ბის თეორიას შეუძლია შეინარჩუნოს მხოლოდ ფორ-
 მას, რომელიც მას უკვებ სოკრატემ და პლატონმა მის-
 კეს: ეს არის რისკი, რომელიც ჩვენ იძულებული
 ვართ გავწიოთ, — ეს არის მოწოდება უცნობისაკენ,
 და თანაც ისეთი მოწოდება, რომელზეც ცოტა შან-
 სები გვაქვს ოდესმე პასუხი მივიღოთ...

უკვდავება და
 რეის აგნო-
 სტიციზმი

თ ა ვ ი VI

მორალის პრობლემა

§ 1. ირაციონალური მორალი:
 მისტიციზმი ან ტრადიციონალიზმი

[301—302]... მაშასადამე, ახალი ფილოსოფიები,
 უწინარეს ყოვლისა, მორალური მოძღვრებანია. და,
 მგონი, ეს მოძღვრებანი შეიძლება ასე განისაზღვროს:
მოქმედების მისტიციზმი. ეს პოზიცია ახა-
 ლი როდია. იგი იყო სოფისტების პოზიცია, რომლები-
 სთვისაც აგრეთვე არ არსებობდა არც ქემპარიტება,
 არც ცდომილება, არამედ არსებობდა მხოლოდ წარმა-
 ტება. იგი იყო არისტოტელეს შემდგომდროინდელი
 პრობაბილისტებისა და სკეპტიკოსების პოზიცია, პო-
 ზიცია ზოგიერთი ნომინალისტისა სქოლასტიკის ხანაში,
 XVIII საუკუნის სუბიექტივისტების, სახელდობრ —
ბერკლის პოზიცია.

NB

NB

დოქტრინები ინტელიგენტური ანარქისტებისა, რო-
 გორიც შტიინერი და ნიცშეა, იმავე წანამდგრებს
 ემყარება.
ამრიგად, ახლანდელი ნომინალიზმისა და პრაგმა-
 ტიზმის რეკვიზიტში სიტყვები უფრო ახალია ნივ-
 თებთან შედარებით...

[303]... როცა ზოგიერთი მოდერნისტი, როგორც ლე რუა, პრაგმატიზმში კათოლიციზმის გამართლებას პოულობს, იგი იქ ვერ ხედავს, მგონი, იმას, რისი მიღებაც ზოგ ფილოსოფოსებს — პრაგმატიზმის დამაარსებელთ — იქიდან სურდათ. მაგრამ მათ გამოაქვთ იქიდან დასკვნები, რომელნიც შეიძლება მისგან კანონიერად წესით გამოვიყვანოთ და რომელნიც, სხვათა შორის, კიდევ გამოიყვანეს, ანდა თითქმის გამოიყვანეს, გამოჩენილმა პრაგმატიკებმა, როგორცია უ. ჯემსი და ჩიკაგოს სკოლის ფილოსოფოსები. მგონი, მე ამაზე მეტის თქმაც კი შემიძლია. მე ვფიქრობ, რომ ლე რუა აკეთებს ერთადერთ დასკვნებს. რომლებიც კანონიერი წესით უნდა გაკეთებულიყო ახრთა ამ წყობილებიდან.

[304]... პრაგმატიზმისათვის დამახასიათებელია ის, რომ ჰემმარიტია ყოველივე, რაც ხერხდება და რაც ასე თუ ისე შეგუებულია მომენტთან: მეცნიერება, რელიგია, მორალი, ტრადიცია, ჩვეულება, რუტინა. ყოველივე სერიოზულად უნდა იქნეს მიღებული. და სერიოზულად უნდა იქნეს მიღებული ის, რაც ახორციელებს მიზანს და შესაძლებლობას გვაძლევს ვიმოქმედოთ...

[305 — 306]... რა არღვევდა დღემდე ტრადიციებსა და დოგმებს? მეცნიერება, ანუ, თუ ნაწარმთან შედარებით იარაღს ვამჯობინებთ, გონება. მეცნიერება ცოცხლობს თავისუფლებით; გონება, ბოლოს და ბოლოს, სხვა არაფერია, თუ არა განსჯის თავისუფლება. ამასთან მეცნიერება და გონება, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციურია. და მათზე აგებული ბერძნულ-დასავლური ცივილიზაცია იყო, არის და იქნება მემამბოხეთა ცივილიზაცია. ამბობება დღემდე იყო განთავისუფლები ჩვენი ერთადერთი საშუალება და ერთადერთი ფორმა, რომელშიც შეგვეძლო თავისუფლების შეიძლევა. მე მხედველობაში მაქვს სულიერი ამბობება გონებისა, რომელიც თავის თავზე ბატონობს, და არა უხეში ამბობება. რომელიც მხოლოდ გარსი იყო — ხშირად სასარგებლო, ზოგჯერ აუცილებელი — იმ ძვირფასი ლითონისა, რასაც პირველი წარმოადგენს.

ამრიგად, მთავარ დახმარებას, რომელიც შეიძლება აღმოუჩინოთ ტრადიციას, ძველ მორალურ დირექტივებსა და შენარჩუნებას, თუ მოდურ ტერმინს ვიხმართ. წარმოადგინს მეცნიერების გაოფასურება. აი რატომ უნდა ჰქონოდა პრაგმატიზმს, ნომინალიზმს ლოგიკურ შედეგად, როგორც ამას ძალიან კარგად ხედავდა იმათი უმრავლესობა, ვინც მანამხრობოდა, საქმის გონივრული გაგების პირობებში

NB

გამართლება მოქმედების ზოგიერთი მოტივებისა—რელიგიური, სანტიმენტალური, ინსტიქტური, ტრადიციული მოტივებისა, იმავე მიმართებით, როგორც მოქმედების მოტივებს, შეძენილ შეცნიერულ შემეცნიერების გზით, ანდა, კიდევ უფრო ლოგიკურად, უფრო მაღალი გავებით, რადგან მეცნიერებას მხოლოდ სამრეწველო მოქმედება აქვს მხედველობაში, ანალ ფილოსოფიას უნდა გამოეწვია ირაციონალური მორალის დაკანონება: გულისთქმა ან ავტორიტეტისადმი დამორჩილება, მისტიციზმი ან ტრადიციონალიზმი. ტრადიციონალიზმი ზოგჯერ ისე შორსაც კი მიდის, რომ ზოგიერთები (უ. ჯემსი, მაგალითად) არ ყოყმანობენ დაუბრუნდნენ მორალში მორალის რაციონალისტურ თეორიათა აბსოლუტურს...

§ 4. მეცნიერება ზნე-ჩვეულებების შესახებ

[314]... იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ეს კონცეფცია მორალისა, როგორც რაციონალური ხელაწიებისა, აშკარად აუცილებელია, რომ შესაძლებელი იყოს მეცნიერება ზნე-ჩვეულებათა შესახებ. სწორედ აქაა, რომ მეტაფიზიკა კვლავ იმედის ფრთებს ისხამს. მართლაც, სოციოლოგია, რომლის მხოლოდ უზანს წარმოადგენს ეს მეცნიერება ზნე-ჩვეულებათა შესახებ, ეს-ეს არის წარმოიშვა. იგი ჯერ კიდევ იმყოფება, როგორც ფსიქოლოგიაც, მაგრამ მასზე გაცილებით ნაკლებად წინწასული, ისეთ პერიოდში, როცა საჭიროა შევედევოთ მეტაფიზიკოსებს მეთოდის საკითხში. მეცნიერების საგნისა და ამ მეცნიერების არსებობის უფლების საკითხში. თუმცა კი, გვგონია, რომ საკითხი აქ, ისე როგორც სხვა ადგილასაც, საბოლოოდ მეცნიერული ძალვის სასარგებლოდ გადაწყდება. არ შეიძლება ხელი შევეშალოთ მეტაფიზიკოსების ლაყბობას, მაგრამ შეიძლება თავისუფლება მივცეთ სიტყვებსა და მოქმედებებს. და აი სოციოლოგიაც, დიურკჰაიმისა და მისი სკოლის შრომების მეოხებით, მუშაობდა და მოქმედებდა...

თ ა ვ ი VII

შემეცნიერებისა და ჭეშმარიტების პრობლემა

§ 1. ტრადიციული გადაწყვეტანი

[325—326]... მეცნიერნი, ნამდვილად მეცნიერნი. სიმართლე რომ ვთქვათ, ძალიან ცოტას მუშაობენ ამ საკითხზე ჭეშმარიტების შესახებ. მათთვის საკმარისია იმ მტკიცებამდე მისვლა, რომელიც საყოველთაო თანხმობას ღებულობს და, მაშასადამე, წარმოგვიდგება

როგორც აუცილებელი. მათთვის ყოველი ცდა, მეთოდურად ჩატარებული და სათანადოდ შემოწმებული, ჭეშმარიტია. ექსპერიმენტული შემოწმება — აი, ამბობენ ისინი, ჭეშმარიტების კრიტერიუმით. და მეცნიერნი სავსებით მართალნი არიან, რადგან პრაქტიკა მუდამ ამართლებდა ამ პოზიციას. ვარაუდი იმისა, რომ იგი ყოველთვის არ გაამართლებს მას. იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ წარმოგვედგინა უაზრო რამ, დავეძვებულყავით ეჭვით დატკობის გულისათვის...

NB

[328 — 332]... თანამედროვე რაციონალისტები ენერგიულად იცავდნენ თავს პრაგმატიზმის თავდასხმებისაგან. როცა იგი ამტკიცებდა, რომ რაციონალისტებს გონებას საბოლოო ანგარიშით შედეგად მოჰყვება ჩვენი სულისათვის სინამდვილის უტყუარი ასლი უზრუნველყოფა. და მართლაც, პრაგმატიზმი უსაყვედურებდა რაციონალიზმს იმას, რომ იგი აორაღებს შედეგებს ორ სინქრონიკულ ნაწილად: საგნებად ან ნივთებად თავისთავად — და წარმოდგენებად, რომლებსაც მათ შესახებ სული ქმნის...

NB

§ 2. პრაგმატიზმის კრიტიკა

XIX საუკუნის რაციონალიზმში, ისე როგორც ევოლუციონისტურ ემპირიზმშიც, და აგრეთვე თანამედროვე რაციონალისტებთან, ჩვენ, რა თქმა უნდა, უკვე ეპოულობთ იმ აზრს, რომ სული არ არის სარკე, ხოლო ჭეშმარიტება არ არის ნივთთა ნამდვილი გამოსახლება. ჩვეულებრივ ამტკიცებენ, ჭეშმარიტება ნივთებზე გონების მეშაობის შედეგიაო. მაგრამ ეს კვლავ იმას ნიშნავს, რომ ნივთები გონებას დევპირისპირობთ. პრაგმატიზმი უფრო შორს მიდის.

ყოველი ცდა, ყოველი შემეცნება იმავე დროს მოქმედებაც არის: სიცოცხლე ნიშნავს მოქმედებას და მხოლოდ მოქმედებას. აქედან კი ის გამომდინარეობს — და ეს იყო საბაზი იმისა, რომ ამ სისტემისათვის მიეცათ მისი სახელწოდება პრაგმატიზმისა. რაც არსებითად განსაზღვრავს მას საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, — რომ ჭეშმარიტება განისაზღვრება მოქმედების ფუნქციით. ე. ი. ამ მოქმედების პრაქტიკული შედეგების ფუნქციით. ეს არის წარმატება. ყოველი ცდა, რომელიც ხერხდება, ე. ი. რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მივალწიოთ მოსალოდნელ შედეგს, განსაზღვრავს ჭეშმარიტებას. რათა ფილოსოფიური აბსტრაქციებიდან გამოვიდეთ. შევნიშნავთ, რომ ეს დასკვნა საბოლოო ანგარიშით მხოლოდ განზოგადებული გადატანაა მეცნიერთა რწმენისა ექსპერიმენტირებაში. რომელ მომენტში ამბობს მეცნიერი,

რომ მის მიერ გამოთქმული დებულება ჰეშმარიტია? იმ მომენტში, როცა შედეგი, რომლის დანახვასაც ის მოელოდა მის მიერ წამოყვებულ ოპერაციაში, ნამდვილად ვლინდება. რადგან ეს ოპერაცია შეესაბამება წინადადებას, ან, უფრო სწორად, იმ წინადადებათა ჯაჭვს, რომელიც მას ვონებაში ჰქონდა, გამოვლენილი შედეგი კი შეესაბამება წინადადებათა ამ ჯაჭვიდან გამოყვანილ დასკვნას, ამიტომ მისი აზრი სწორი აღმოჩნდა: იგი შემოწმებულია ცდის მიერ.

უმაველია, რომ თუ წარმატებას და ექსპერიმენტულ შემოწმებას გავაიგივებთ, მაშინ პრაგმატიკული წინადადება აღმოჩნდება სწორი: იგი გადმოგვიცემს მხოლოდ ექსპერიმენტული მეთოდის დედაარსს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სიტყვა წარმატება, შემთხვევისა და ფილოსოფოსისა მიხედვით, ხან აღემატება ამ შეზღუდული გავებით, ხან კი თავისი ფართო და ვულგარული მნიშვნელობით. ეს ძალიან გამჩნევა განსაკუთრებით უ. ჯემსს. ჯემსი ამტკიცებს, რომ ჰეშმარიტია ყოველივე, რაც ცდით შემოწმებული აღმოჩნდება, სხვა მომენტებში კი ყოველივე ის, რაც, ჩვენი მოქმედების ამა თუ იმ წარმატებას უზრუნველყოფს. და თუ ამ უკანასკნელ წინადადებას მივიღებთ, მაშინ თითქმის გარდუვალად დაგვებადება აზრი, რომ ჰეშმარიტება უკვე არ არსებობს. ვინაიდან ის, რაც დღეს ხერხდება, შეიძლება ხვალ აღარ მოხერხდეს; შემთხვევა, რომელიც ხშირია პრაქტიკაში, როგორც ამას ამტკიცებენ კანონების და სამართლის, ზნეობრივი წესებისა და რელიგიური რწმენათა, მეცნიერული აზრების ცვლილებანი. ახლანდელი ჰეშმარიტება — ხვალანდელი ცდომილებაა; ჰეშმარიტება პირენის მეთების ამ მხარეს — ცდომილებაა იმ მხარეს. თემა ბანალურია. და ეს დასკვნები, რომლებიც პრაგმატიკის დამაარსებელმა პირსმა გადაპრით მოიშორა

თავიდან და რომელთაც იგი ებრძოდა, რომლებსაც დიდი პრაგმატული ფილოსოფია, განსაკუთრებით ჯემსი.

ცდილობდა მეტად მოხერხებული თანდების საშუალებით გარიდებოდა, — ის დასკვნებია, რომლებიც ძირითადად მიღებულია ეპიკონთა უმრავლესობის მიერ. გარდა ამისა, ჰეშმარიტების პრობლემათა დაკავშირებით პრაგმატიკაში სკეპტიციზმის სინონიმი გახდა, ისე როგორც მორალის ან რწმენის ნაწილში იგი ირაციონალური ტრადიციონალიზმის სინონიმი გახდა.

და მაინც, როგორც ყოველ კრიტიკაში, რა თქმა უნდა, სიმართლის ნაწილი არის იმ კრიტიკაშიც, რომელსაც პრაგმატიკაში რაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართავს. მის შესახებ შეიძლება ითქვას ის, რის თქმაც ხშირად გვიხდება კრიტიკული თეორიის შესახებ: გამანადგურებელი ნაწილი საუკუნოა, შემოქმედებით

ნაწილს კი ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. უჩვეილია, რომ სულის — ნივთების სარკის და ჭეშმარიტების — ასლის თეორია უხეშად ზერელეა. ამას ამტკიცებს მეცნიერულ ჭეშმარიტებათა ევოლუცია ყველა იმ ცდის მეოხებით, რომლებითაც მოფენილია მეცნიერების გზა.

sic!

ჰა!

მეორე მხრივ, როცა ჩვენ განვიხილავთ ჩვენს თავს როგორც ორგანიზმს, რომელიც სამყაროს გარემოში მოქმედებს, სწორია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია პრაქტიკის დარგი ჭეშმარიტების დარგს ჩამოვაშოროთ, რადგან ყოველივე იმის მიხედვით, რასაც ჩვენ წინათ ვლაპარაკობდით, და მეცნიერების ყველა გაჟვეთილის შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვაშოროთ ჭეშმარიტება ექსპერიმენტულ შემოწმებას. ჭეშმარიტია მხოლოდ ის კონცეფციები, რომლებსაც წარმატება აქვთ. მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა გავიგოთ, ჭეშმარიტი არიან ისინი იმიტომ, რომ წარმატება აქვთ, თუ მათ წარმატება აქვთ იმიტომ, რომ ჭეშმარიტი არიან. პრაგმატიზმი მუდამ იმის მომხრეა, რომ ალტერნატივა გადაწყვეტოს პირველი მნიშვნელობით. საღ აზრს, როგორც ჩანს, მისი გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ მეორით...

§ 3. არაპირდაპირი მითითება ჭეშმარიტების პრობლემის გადაწყვეტაზე

[332 — 334]... მოცემული ცდა — ეს, როგორც ჩანს, ის არის, რაც ცნობილია. მაშასადამე, ჩვენთვის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სრული ერთიანობა მოცემულსა და იმ ხერხს შორის, რომლითაც მისი შემეცნება ხდება, უნდა გადაჭრით უკუვაგდოთ ყოველგვარი დუალიზმი ამოსავალ წერტილში — მაგრამ მხოლოდ ამოსავალ წერტილში. ეს მნიშვნელოვანი შეზღუდვაა. ხომ არ იძლევა იგი უკვე მართლაც ჭეშმარიტების პრობლემის გადაწყვეტის გასაღებს?

ამოსავალ წერტილში შემეცნების ერთადერთ შესაძლო მეთოდს, ე. ი. აღმოჩენის ერთადერთ მეთოდს, წარმოადგენს ექსპერიმენტული მეთოდი, აცილება ყოველგვარი აპრიორული მეთოდისა, ყოველგვარი დიალექტიკური მსჯელობისა.

თანამედროვე მეცნიერება აბსოლუტურად ამართლებს ამ დებულებას და ამით პოსტულატად მიიჩნევა პირველ მტკიცებას, რომელიც ჩვენ ეს-ის არის წამოვყავნით. თვით მათემატიკურ მეცნიერებებს ამოსავალ წერტილად აქვთ ცდა, მსჯელობა მოდის, როგორც დავინახეთ, შემდეგ, და მუდამ რჩება რამდენადმე ცოლისადმი დაქვემდებარებული.

მაგრამ ცდა არ არის მოცემულის მხოლოდ უშუალო ცდა, იგი მოიცავს აგრეთვე, და ეს ჩვენ ჯემსის

დიდ ფილოსოფიურ სიახლედ გვეჩვენება, მიმართებებს, რომლებიც მოთავსებულია მოკემულში და შეადგენენ მაგარ ქსოვილს ყოველ უშუალო ცდასა და წარსულ ან მომავალ ცდას შორის. ცდა რომ მხოლოდ უახლოეს ცდაში მდგომარეობდეს, მაშინ ჩვენ გვეჩვენება, არ გვეჩვენებოდა ალქმანიცი კი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მეცნიერების საჯანი და ალქმისაცი კი ის არის, რომ ზუსტად გავაანალიზოთ უშუალო ცდა იმ ცდის მისაღწევად, რომელმაც იგი მოამზადა. ან რომელიც მას განაგრძობს. ალქმა და განსაკუთრებით შემჩნევა, ყურადღების მიქცევა და მოფიქრება — აი ამ ხანგრძლივი ცდის დასაწყისი.

ამ მეორე შენიშვნიდან ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ყველა ცოდნა, რასაც ცდა გვაძლევს, დაკავშირებულია ერთმანეთთან და სისტემაში მოიყვანება. მაგრამ ეს ცოდნა სისტემაში მოიყვანება არა ისე, როგორც რაციონალიზმში, მოქმედების ქაღალდი, რომელიც მასზე მალა დგას და რომელიც თავს მოახვევდა მას თავის ფორმებს. ამ კონცეფციას, რომელსაც სურს მეცნიერების სიმყარე უზრუნველყოს. პირიქით, სკეპტიციზმამდე მივყავართ, ჩადგან იგი შემეცნებიდან ქმნის სულის საქმეს, ეს დუალიზმი კი აუცილებლობით სევამ საკითხს იმის შესახებ, ამახინჯებს თუ არა მოკემულს სულის ეს ქმნილება, შემეცნება. აქ პირიქით. ჩვენი ცოდნა სისტემაში მოიყვანება სრულიად იმგვარად, როგორც ჩვენ იგი გვიძლევა და მოკემულის მიმართებებს იგივე ღირებულება აქვთ, რაც თვით მოკემულს. სინამდვილეში უშუალო მოკემული და მიმართებანი, რომელთაც იგი შეიცავს, შეადგენენ ერთიან მთლიანობას და მათი დაყოფა შეუძლებელია. შემეცნების ყველა აქტს ერთი და იგივე ბუნება და ერთნაირი ღირებულება აქვს...

§ 4. ცდომილების პრობლემა

réalisme
absolu *

(= ისტორიული მატერიალიზმი)

[336—347]... „აბსოლუტურ რეალიზმში“, რომელ-

შიც ჩვენ ვმოდრობთ აქამდე, მგონი, ცდომილებისათვის ადგილი არაა. მაგრამ გაიხსენოთ, რომ ცდაა და ცოდნას ჩვენ ვაიგივებდით მხოლოდ ამოსივალ წერტილში. დროა ვუჩვენოთ, რას ნიშნავს ეს შეზღუდვა.

ფაქტია, ცდის მიერ დადგენილი. — რომ სხვადასხვა ინდივიდთა შემეცნებანი არ არიან ზუსტად ერთნაირნი. ეს შეიძლება ორნაირად ავხსნათ: ან იმდენი სხვადასხვე სინამდვილე არსებობს, რამდენიც ინდივიდია (რაც უაზრობაა: ჩვენ ჩავარდებოდით სუბიექტივიზმში). —

* — აბსოლუტური რეალიზმი

ანდა, და ჩვენ იძულებულნი ვართ, მაშასადამე, ამ ალტერნატივას მივემხროთ, რამდენადაც მოცემული X
ერთადერთია და ერთი და იგივე ყველასათვის, ამდენად სხვაობას იმ შემეცნებათა შორის, რომელთაც ინდივიდები ამ მოცემულის შესახებ იძენენ, წარმოშობენ ის პირობები, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ და იმყოფებიან, სხვანაირად რომ ვთქვათ; წარმოშობს ის ზოგიერთი ინდივიდუალური მიმართება, რაც მათსა და მოცემულს შორის არსებობს, და რის გამოვლენაც მეცნიერულ ანალიზს შეუძლია. ეს ას დასკვნაა, რომელთანაც ჩვენ მიგვიყვანა სხვა მოსაზრებებმა ცნობიერების პრობლემის განხილვისას. ჩვენ დაეინახეთ, რომ მოცემული შეიცავდა შემეცნებელი ინდივიდისაგან დამოუკიდებელ მიმართებებს — ობი-

ექტურ მიმართებებს. — და მიმართებებს, რომელია

მიხედვით მოცემული დამოკიდებულია შემეცნებელ ობიექტზე, — სუბიექტურ მიმართებებს.

დავუშვიტ რა ეს, ჩვენ ვხედავთ, რომ ცდაში, და

უკვე არა ამოსავალ წერტილში, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვანალიზებთ მას ჩვენ, ხდება გაორება შემეცნების ფაქტორსა და შემეცნების ობიექტს შო-

რის. ამ მიმართებას, თანახმად ჩვენი ნათქვამისა, იგავე ღირებულება აქვს, რაც თვით მოცემულს. იგი იმავე უფლებით გვეჩვენებება, როგორცაც მოცემული; აქედან გამომდინარეობს, რომ სხვაობა სულსა და საგანს შორის არ უნდა კეთდებოდეს, როგორც რაღაც თავდაპირველი, არამედ როგორც პროდუქტი ანალიზისა, როგორც ორი მეტად ზოგადი მიმართება, რომელთაც ანალიზი აღმოაჩენს მოცემულში (უ. ჯემსი); და ეს სხვაობა თავის ღირებულებას იღებს იმ ღირებულებიდან, რაც იმავეთვე მინიჭებული აქვს ცდას, მთლიანად აღებულს. ერთიან და განუყოფელ ცდას.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში მარცხი და ცდომილება ღებულობენ ყველაზე ბუნებრივ ახსნას: ისინი არიან ცვლილებები, დამახინჯებანი, რომლებიც დამოკიდებულია შემეცნების ინდივიდუალურ და სუბიექტურ პირობებზე. მეცნიერებამ, რომელიც ცდის მეოხებით მოცემულის სულ უფრო სრულ ანალიზს აწარმოებს, ის უნდა ქნას, რომ, რაგინდ ხანგრძლივი და მძიმეც არ უნდა იყოს ეს მუშაობა, თანდათანობით გამორიცხოს ყველა ეს «პირადი გათანაბრება». გაცილებით უფრო რთულნი, ვიდრე ისინი, რომელთაც ასტრონომები უშეიბენ თვითიული დამკვირვებლის მხედველობით აღქმებისათვის. იგი უნდა ახდენდეს დაყოფას ობიექტურ და სუბიექტურ მიმართებებს შორის. სწორედ ამისთვის იყო კიდევ იგი შექმნილი.

NB

რეის შეშეც-
ნების თეო-
რია = მორცხ-
ვი მატერია-
ლიზმი

ხომ არ მივყავართ ჩვენ ამ მოსაზრებებს ჭეშმარი-
ტების მოხერხებული და პრაქტიკული განსაზღვრისა-
კენ? ჭეშმარიტება — ესაა ობიექტური. ობიექტური —

ესაა ერთობლიობა იმ მიმართებათა, რომლებიც არაა
დამოკიდებული დამკვირვებელზე. პრაქტიკულად ეს

ის არის, რასაც ყველა აღიარებს, რაც შეადგენს სა-
ყოველთაო ცდის, საყოველთაო თანხმობის საფაის, თუ
ამ სიტყვებს მეცნიერული აზრით გავიგებთ. ვახდენთ
რა ამ საყოველთაო თანხმობის პირობათა ანალიზს,
ვეძებთ რა ამ ფაქტორის იქით თუ ფლუდს, რომელ-
საც იგი დაეძებს, მიზეზს, რომელიც მას ასაბუთებს,
ჩვენ მივდივართ შეშეცდის დასკვნამდე: მეცნიერულ მუ-
შაობას მიზნად აქვს ცდის «განსუბიექტივირება», გა-
უპირობებება, სკიმაგის და აგრძელების რა მას მეთო-
დურად. მაშასადამე, მეცნიერული ცდა აგრძელებს
უხეშ ცდას, და მეცნიერულ ფაქტსა და უხეშ ფაქტს
შორის არ არსებობს სხვაობანი მათი ხასიათის მი-
ხედვით.

ზოგჯერ ამბობდნენ, მეცნიერული ჭეშმარიტება
მხოლოდ აბსტრაქცია არისო. რა თქმა უნდა, იგი
მხოლოდ აბსტრაქციაა, თუ განვიხილავთ უხეშ ცდას,
ე. ი. სუბიექტურს და ინდივიდუალურს, ვინაიდან
იგი გამორიცხავს ამ ცდიდან ყველაფერს, რაც დამო-
კიდებულია მხოლოდ ინდივიდზე, რომელიც ცდის
საშუალებით შეიცნობს. მაგრამ ამ აბსტრაქციას, პე-
რიქით, მიზნად აქვს კვლავ მოიპოვოს მოცემული იმ
სახით, როგორც ის არის ინდივიდთა და გარემოებათა
მიუხედავად, რომლებიც მას ცვლიან, ამმოაჩინოს

NB

ობიექტური, უპირატესად კონკრეტული, რეალური.

საინტერესო იქნებოდა, თუ შევეცდებოდით ამ ზო-
გადი თეორიის გასინჯვას ზოგიერთი ცნობილი ცდო-
მილების ანალიზის გზით. მაგალითად, პტოლომეს სის-
ტემა გვიჩვენებს ჩვენ ცდას, დატვირთულს ინდივი-
დუალური წარმოდგენებით, რომლებიც დამოკიდე-
ბულია ასტრონომიული დაკვირვების მიწისიერ პი-
რობებზე: ეს არის ვარსკვლავთა სისტემა, როგორც
იგი დედამიწიდან ჩანს. კოპერნიკ-გალილეის სისტემა
გაცილებით უფრო ობიექტურია, რადგან იგი აუქმებს

იმ ფაქტზე დამოკიდებულ პირობებს, რომ დამკვირ-
ბელი მოთაყვებელია დედამიწაზე. უფრო ზოგადი
აზრით პენლეიკიმ გააკეთა შენიშვნა, რომ მიზეზობ-
რიობა მექანიკაში, ალორძინების ეპოქის მეცნიერებასა
და ჩვენი დროის მეცნიერებაში, მოიცავდა ფენომენის
გამოჩენის პირობებს, დამოუკიდებელი სივრცისა და
დროისაგან. მაგრამ საქმე ისაა, რომ სივრცისა და
დროში მდებარეობის პირობები მოიცავენ, განსაკუთ-
რებით მექანიკაში, თითქმის მთელ ერთობლიობას იმ

სუბიექტური პირობებისას, რომელნიც უკვე არასაკმა-
რისად უხეშნი არიან იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ
ისინი გამარტივებული მოსაზრებებით.

მნიშვნელოვანი დასკვნა: ცდომილება არ არის ჰემ-
მარიტების აბსოლუტური ანტითეზა. როგორც ამას
ბევრი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, იგი არ ატარებს
დადებით ხასიათს, იგი უფრო ნეგატიური და ნაწი-
ლობრივია, ერთგვარი აზრით იგი ნაკლები ჰემმარი-
ტებია. ვაშიშვლებთ რა მას, ცდის შემწიობით, მის
მიერ ნაგულისხმევი სუბიექტურისაგან, ჩვენ თანდა-
თანობით მიედივართ ჰემმარიტებასთან. ჰემმარიტება

კი, სიტყვის სრული მნიშვნელობით, რაკი უკვე მიღ-
წეულია, წარმოდგენს აბსოლუტურს და საზღვარს,


რადგან იგი არის ობიექტური, აუცილებელი და სა-
ყოველთაო. მხოლოდ ეს ზღვარი ძალიან შორსაა ჩიენ-
გან თითქმის ყველა შემთხვევაში. იგი წარმოადგენს
თითქმის მათემატიკურ ზღვარად, რომელსაც ჩვენ სულ

უფრო ვუახლოვდებით, არა გვაქვს რა შესაძლებლობა
არასოდეს მას მივალწიოთ. ამასთან მეცნიერებმა
ისტორია გვიჩვენებს ჩვენ ჰემმარიტებას განვითარების
ქმნადობაში; ჰემმარიტება არ ჩამო-
ყალიბებულია, მაგრამ იგი ყალიბ-
დება. შესაძლოა იგი არასოდეს არ ჩამოყალიბ-
დეს, მაგრამ იგი ჩამოყალიბდება სულ უფრო მეტად
და მეტად.

უკანასკნელად შეიძლება დაისვას კიდევ ერთი სა-
კითხი — ხომ არა ვართ ჯერ კიდევ შეპყრობილი, —
ნაცვლად იმისა, რომ ვკმაყოფილდებოდეთ იმით, რაც
არის, — იმავე ძველი მეტაფიზიკური ილუზიით, რო-
შელიც იმის მისწრაფებაში მდგომარეობს, რომ გავი-
გოთ, რატომ არსებობს ნივთები. რატომ აქვს ცდა
სუბიექტური პირობები? რატომ არ არის მისი შე-
მეცნება ყველასთვის უშუალოდ ერთიანი და იგივე-
რი? ჩვენ, თითქოს, უფლება გვაქვს უარი ვთქვათ
პასუხზე; მაგრამ აქ, ფსიქოლოგიის შემწიობით შეიქ-
ლებოდა, მგონი, დადებითი მითითება მიგვეცა. სრულ
ცდას რომ რამდენადმე მაინც ჰქონოდა ცოდნა თავისი
თავის შესახებ, როგორც პანთეისტების ღმერთს, ეს
ცოდნა მართლა იქნებოდა უშუალოდ ერთიანი და
იგივეური. მაგრამ ცდაში, როგორც იგი ჩვენ წარმო-
გვიდგება, ცდის ცოდნა გვეძლევა ნაწილობრივად,
და მხოლოდ ცდის ამ ნაწილებებისათვის ჩვენ წარმო-
ვადგენთ თავისთავს.

(ბიოლოგია და ფსიქოლოგია გეასწავლის, რომ ჩვენ
ჩამოყალიბდით ან, უფრო სწორად, ვყალიბდებით
იმად, რაც არის, გარემოსთან შეგუების, მასთან გა-

ჰემმარიტე-
ბა და ცდო-
მილება (მიან-
ლოება დია-
ლექტიკურ
მატერია-
ლიზმთან)



ენათმრეშო-
ბა „ცდის“
გარშემო

„ცდა“

l'expérience =
le milieu? *

ნუწყვეტილი წონასწორობის გზით. საიდანაც შეიძლება საერთოდ დავასკვნათ. რომ ჩვენი შემეცნება უნდა ეზმურებოდეს, უწინარეს ყოვლისა, ორგანული ცხოვრების მოთხოვნილებებს. გარდა ამისა, დასაწყისში იგი არის ხოლმე შეზღუდული, ბუნდოვანი, უაღრესად სუბიექტური, როგორც ინსტიტუტურ სიცოცხლეში. მაგრამ რაკი ცნობიერება მსოფლიო ენერჯითა თამაშში წარმოიშვა, იგი არსებობს და ძლიერდება თავისი პრაქტიკული სარგებლიანობის მიზეზით. ევოლუციას განიცდიან და სულ უფრო და უფრო ვითარდებიან ოთული არსებანი. ცნობიერება ხდება უფრო ზუსტა, უფრო გარკვეული. იგი იქცევა გონებად და განსჯად. და ამასთანავე უფრო (სრული ხდება შეგუება ცდას-
ლან.) მასთან შესატყვისობა. მეცნიერება—ეს ამ

პროცესის მხოლოდ უმაღლესი ფორმაა. მას უფლება აქვს იქონიოს შემეცნების იმედი, მაშინაც კი, თუ იგი მას ვერასდროს ვერ აღწევს, შემეცნებისა, რომელიც უკვე შეადგენს მხოლოდ ერთ მთელს მოცემულთან, საგნის აბსოლუტურად ადეკვატურთან: ობიექტურს,

აუცილებელს და საყოველთაოს, თეორიულად მისი

პრეტენზია გამართლებულია, იმიტომ რომ იგი მდებარეობს იმ ევოლუციის მიმართულებით, რომელიც დღემდე ხდება. პრაქტიკულად კი ეს პრეტენზია, ალბათ, არასოდეს არ იქნება დაკმაყოფილებული, რადგან იგი აღნიშნავს ევოლუციის ზღვარს, და იმისათვის, რომ მას მივალწიოთ, საჭირო იქნებოდა სამყაროს მდგომარეობა, სრულიად განსხვავებული ახლანდელი მდგომარეობისაგან, და ერთგვარი სახე გაიგივებისა სამყაროსა და შემეცნების ცდას შორის.

ყოველ შემთხვევაში, გვიბადება ასეთი დასკვნა: სკეპტიციზმი მეცნიერების მიმართ ფარავს ყველაზე სრულსა და ყველაზე წმინდა მეტაფიზიკურ ილუზიას. რომელთაც კი ოდესმე ფილოსოფიური აზრი მოუტყუებიათ. იგი იმაში მდგომარეობს, რომ არარსებულ პრობლემებს აქენებს, ცდილობს სინამდვილის იქით არასებულ სინამდვილე გამოიხატოს, პირველას ახსნის მიზნით. იგი შედეგია დუალისტური აბსტრაქციებისა, რომლებსაც ფილოსოფია მუდამ დიდი სიამოვნებით მიმართავდა.

კერძოდ, ვაღვიძებამი მყოფი ცნობიერების ჩანასახოვან და ინსტიტუტურ, ბუნდოვან, თითქმის მთლიანად სუბიექტურ და წუთიერ შემეცნებაში თავდაპირველი და რეალური ცდის დანახვა, რასაც ბერგსონი, ლე რუა და ზოგიერთი პრაგმატიკოსი ეთანხმებიან. — ეს ხომ არ ნიშნავს მთელი ცდის პირველ დამხობას. პრიმიტიული ცდა, მთლიანად ალბეჭდილი სუბიექტურობით — დიახ, მაგრამ ასევე მთლიანად ალბეჭდილი

* — ცდა=გარემო? რედ.

ცდომილებით და არარეალობით. ეს გაურკვეველი და ბუნდოვანი ცდა არის მხოლოდ ცდის გარსი. რეალურის ჭეშმარიტი ცდა, პირიქით, იმყოფება სულ უფრო ნათელ ზღვაში, რომლისკენაც ადამიანის სული მიისწრაფვის, და სულ უფრო რაციონალურ ფორმაში, რომლის მიღებასაც იგი ესწრაფვის, განსჯაში. ყველა აბსტრაქციიდან ყველაზე უფრო ხელოვნურია ის, რომელიც გამოირიცხავს ცდიდან გონივრული შრომის შედეგებს და ევოლუციის წარმატებებს.

ეს ევოლუცია გარკვევით წარმართებოდა პრაქტიკის მიერ და პრაქტიკისაკენ, ვინაიდან მისი გადაცემა და განხორციელება იმის მეოხებით ხდება, რომ არსება განუწყვეტლივ ეგუება თავის გარემოს. ვინ დაწყებდა ამის უარყოფას ჩვენს დროში? ეს ხომ პრაგმატიზმის ერთ-ერთი გადამწყვეტი გამარჯვებაა ამერიკიდან ნამარხ რაციონალიზმზე. მაგრამ იგი არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი სარგებლიანობისა და წარმატების ფუნქციით განისაზღვრება. იგი, პირიქით, ნიშნავს, რომ სასარგებლო, წარმატება ჭეშმარიტების

ფლობის შედეგია. რატომ და როგორ გამოვლინდა შემეცნება ბუნებაში? იმიტომ რომ ზოგიერთ არსებას არ შეეძლო ბრმად მოქმედება. მათთვის საჭირო იყო სკოდნოლათ თავიანთი მოქმედების გარემოებანი. და აი ის, რაშიც — ავიღეთ რა პრაგმატიზმისაგან ყოველივე, რაც საუკეთესოდ მოგვეჩვენა მის ძველებურ მეტაფიზიკათა კრიტიკაში, — გადაჭრით ვაქცევთ მას ზურგს აბსოლუტური პოზიტივიზმის გულისათვის.

იმისათვის, რომ აზრიანად და ზუსტად გამოვხატოთ პრაქტიკისა და ჭეშმარიტების თანაფარდობანი, ჩანს, საჭირო იქნებოდა, ამრიგად, გვეთქვა არა ეს: ჭეშმარიტია ის, რაც ხერხდება, არამედ—ხერხდება ის, რაც ჭეშმარიტია, ე. ი. ის, რაც სინამდვილის შესაბამისია, რამდენადაც საქმე ეხება მოქმედების ცდას. პირდაპირი მოქმედება არის იმ რეალობათა ზუსტი ცოდნის შედეგი, რომელთა გარემოშიც ეს მოქმედება წარმოებს. ჩვენ ვიქცევით სწორად ჩვენი ნამდვილი ცოდნის შესაბამისად.

მორცხვი მატერიალიზმი

§ 5. შიშვენიერის თეორია

ყველა დაგვეთანხმება, ვფიქრობ, რომ ჩვენ ვამტყიცებთ ჭეშმარიტისა და ობიექტურის სახით იმას, რაც არ არის დამოკიდებული ინდივიდუალურ კოეფიციენტზე, რომელიც გვხვდება თვითეული ინდივიდის შემეცნების აქტში. მაგრამ იქ, სადაც განსხვავებულობა შეღავნდება, ჩვენ მოგვიხდება იმის თქმა, თუ რო-

მელ მომენტში ქრება ინდივიდუალური კოეფიციენტი. შემძლია თუ არა მე, რომელიმე ექსპერიმენტული მტკიცების წინაშე, მოვახდინო დაყოფა საყოველთაო წესით დადასტურებულსა და მხოლოდ ჩემ მიერ დადასტურებულს შორის?

ჩვენ ვლავარაკობდით, ზოგადი აზრით, რომ მეცნიერება სწორედ ყველა შემთხვევაში ცდილობდა ეს დაყოფა მოეხდინა. არსებითად მეცნიერებას სხვა მიზანი არა აქვს. მას შეეძლო თავისი თავი ამ ნიშნით განესაზღვრა. პრაქტიკულად კი ჩვენ უკვე გვაქვს პირველი წესი იმისათვის, რომ განვასხვაოთ ის, რაც ჰუმანიტარი და ობიექტურია, იმისაგან, რაც სუბიექტურია და ილუზორულია. ჰუმანიტარი იქნება ის, რასაც მივიღებთ ზუსტად გამოყენებული მეცნიერული მეთოდების საშუალებით. მეცნიერებს დაკისრებული აქვთ ის ამოცანა, რომ გამოიმუშაონ, დააზუსტონ და განსაზღვრონ ეს მეთოდები. ეს პირველი კრიტერიუმი უფრო ზუსტია იმ მეტად ბუნდოვან წესზე, რომელსაც ჩვენ დღემდე ვიძლეოდით: საყოველთაო თანხმობაზე. ეს იმიტომ, რომ საყოველთაო თანხმობა შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო ცრურწმენა.

ურევს

და აპრიორულად არაფერი არ გვიკრძალავს ჩვენ დავუშვათ ჰიპოთეზა, რომ ასეთ ცრურწმენას შეუძლია მოცემული პერიოდის განმავლობაში იარსებოს ჰუმანიტარულად უნივერსალური სახით, თუმცა ჩვენ ასეთ ცრურწმენას ბევრს ვერ დავასახელებთ. მაგრამ თუ გამოთქმას «საყოველთაო თანხმობა» ჩვენ შევცვლით გამოთქმით მეცნიერული კონტროლი, მაშინ საწინააღმდეგო აზრი მოიხსნება, რადგან, რამდენადაც საქმე ცრურწმენას ეხება, ჩვენ არ შეგვიძლია ვუჩვენოთ მისი დამასაბუთებელი მიზეზები, მაშინ როდესაც მეცნიერული კონტროლი მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, როცა ეს მიზეზები ამყარა. რა თქმა უნდა, მეცნიერულ კონტროლს ჩვენ მხოლოდ იქ ვხვდავთ, სადაც ჰიპოთეზები გამოირიცხებოდა, და ჩვენ ვუშვებთ, რომ მას ისევე კარგად შეუძლია დაადგინოს მიახლოების საზღვრები, როგორც უაღრესად ზუსტ ჰუმანიტარულსაც.

თუმცა, მეცნიერები არც დაიწყებენ სხვა კრიტერიუმის ძებნას. და პრაქტიკული თვალსაზრისით ისინი ამაში სრულიად მართალნი არიან. მაგრამ გონება-ჰუმანიტარი და თეორიული თვალსაზრისით შეიძლება ვხანოთ — და ასეთია ყველა მეტაფიზიკოსის აზრი, რომელიც შემეცნების თეორიის შექმნაზე მოუშობდნენ, — რომ აღნიშნული კრიტერიუმი არაა საკმარისი. გავუკეთოთ რეზიუმე უაღრესად უხეშ ფორმაში ყველა იმ საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელთა წამოყენებაც შესაძლებელია ამ ახალი თვალსაზრისით: ხომ არ არის თავის მხრივ მთელი მეცნიერება, მისი მეთოდები და მისი კონტროლი საყოველთაო ცრურწმენა და, ბეკონის გამოთქმას თუ გავიმეორებთ,

idola tribus? * მართლაც, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ, როგორც არ უნდა იყოს ჩვენი ძალვა მოვახდინოთ დაყოფა სუბიექტურსა და ობიექტურს შორის, ჩვენ მუდამ ვრჩებით სუბიექტურში მოქცეულნი, ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე მაინც. ჩვენი შემეცნება მუდამ დამოკიდებული იქნებოდა ჩვენს ინდივიდუალურ აგებულებაზე და, მაშასადამე, ასევე მუდამ დამახინჯებდა თავის საგანს. ავიღებთ რა ფსიქოლოგიურ პიპოთეზას, რომელიც ჩვენ წამოვადგინებთ ცნობიერების შესახებ, შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ რადგანაც შემეცნება არის შედეგი ჩვენი არსების შეგუებისა იმ მოქმედებებისადმი, რომლებიც მან უნდა აწარმოოს თავის გარემოში, ამიტომ ყოველი შემეცნება მუდამ იქნება, და ამაში ჩვენ ვერ გვიცემთ ჩვენს თავს ანგარიშს, ერთგვარი დამახინჯება გარემოსი ადამიანთა მოდგმის წყობის შესაბამისად, და ამ მოდგმის მოთხოვნილებათათვის?

მგონი, შეიძლება სავსებით ვუპასუხოთ: კი. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიშში მივცეთ ჩვენს თავს ამაში, პრობლემა რჩება გადაუწყვეტელი და უქმი. საჭიროა შეეთანხმდეთ: ქეშ-მარიტება, რომლის მიღწევიც ადამიანს შეუძლია,

არის ადამიანური ქეშმარიტება. ამ სიტყვით ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ იგი რელატიურია სიტყვის სკეპტიკური მნიშვნელობით. მაგრამ ჩვენ გვინ-

და ვთქვათ, რომ იგი დამოკიდებულია ადამიანთა სახეობის აგებულებაზე, და ნამოილია მხოლოდ ამ სახეობისათვის. აქ იძულებული ვართ გავიმეოროთ, შესწორებებით, გორგის ცნობილი სიტყვები: ჩვენ ანაფრე არ ვიცით, რაც ადამიანური არ არის. ჩვენ რომ შემთხვევით გვცოდნოდა რაიმე, რაც ადამიანს სრულიად არ ახასიათებს, ჩვენ არ შეგვიძლო ანგარიში მიგვეცა ჩვენი თავისათვის ამის შესახებ; ხოლო თუ ჩვენ, რაც შეუძლებელია, ანგარიშს მივცემდით ჩვენს თავს ამის შესახებ, მაშინ სხვებისთვის მის გადაცემას ვერ შევძლებდით. მაშასადამე, როცა ადამიანთა გამოვლინებით ქეშმარიტების ნიშანი და განსაზღვრა, საქმე ეხება არა იმას, რომ მოვნახოთ ნიშანი და განსაზღვრა, რომლებიც იქნებოდა ნამდვილი სხვაგვარად. ვიდრე ადამიანთა მოდგმისათვის არის, არამედ საქმე ეხება უბრალოდ ნიშანს და განსაზღვრას, რომლებიც იჩენბოდნენ აბსოლუტურად და იგივე რად ნამდვილნი ადამიანთა მოდგმის ყველა წარმომადგენლისათვის. ამ აზრით კრიტიკიუმი, რომელზეც ჩვენ მავთუთივით, — მეცნიერული კონტროლი — საკმარისია.

სხვათა შორის, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვლოს ზოგიერთ სოფიზმს: ქეშმარიტება, რომე-

X
რელატიურია სკეპტიკური აზრით!!!

3ა!!

* — გვარის კერპები? რ ე დ.

ლიც ნამდვილია ადამიანთა მთელი მოღგმისათვის, ადამიანური ჰუმანიტება, ადამიანისათვის აბსოლუტურ ჰუმანიტებას წარმოადგენს, ვინაიდან, თუ ვიგულისხმებთ, როგორც ამას აკეთებენ არაადამიანური აბსოლუტურის მომხრენი, რომ იგი არ არის სინამდვილის ანაბეჭდი, იგი, ყოველ შემთხვევაში ადამიანისთვის, მინც ერთადერთი შესაძლებელი ზუსტი თარგმანია, აბსოლუტური ეკვივალენტია მისი...

[351]... შესაძლოა, ისინი, ვინც ცდილობს მეცნიერულ შედეგებში დაეჭვების მიზეზები მონახოს, იტყვიან კიდევ: ჩვენ მზად ვართ დავეშვათ, რომ სათანადოდ შემოწმებული ცლა გვაძლევს ჩვენ ნამდვილი და სრული სახით მიზეზის გადაქცევას მოცემულ შედეგად და, მაშასადამე, პირობის უმჯობელ მიმართებას განპირობებულისადმი. მაგრამ რა დაგვიმტკიცებებს, რომ ეს მიმართება გაჩნდება იგივეური წესით ცლაში მეორეჯერ? ლაიბნიცი ამტკიცებდა, რომ ფაქტები ყველანი, თუნდაც ცოტაოდნად, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იმიტომ რომ ჩვენ შეგვიძლია განვასხვაოთ ისინი ერთმანეთისაგან (განუსხვავებელთა პრინციპი: დედამიწის ყველა ტყეში არ მოიქმნება ორი ერთი და იგივე ფოთოლი). ერთი თანამედროვე მეცნიერი, პუანკარე, ამტკიცებდა აგრეთვე, რომ ფიზიკას არასოდეს არა აქვს საქმე იგივეურ ფაქტებთან, არამედ მას საქმე აქვს უბრალოდ იმ ფაქტებთან, რომელნიც ძლიერ წააგავან ერთიმეორეს. ასეთ შემთხვევაში, რისთვის გვინდა ჩვენ მეცნიერება, რადგან, თუ მას სურს იყოს უაღრესად ზუსტი, მაშინ ხომ ყოველი ახალი ფაქტი ახალ კანონს მოითხოვს?

ეს შეპასუხება იმავე ხასიათს ატარებს, რასაც შემდეგი: ყოველი ფაქტი მოიცავს უსასრულოს, მაშასადამე, ჩვენთვის საჭირო იქნებოდა სრული მეცნიერება, რათა უმცირეს საგანზე უმცირესი ზუსტი ცოდნა გვექონდეს. ამ შეპასუხების გადაწყვეტა ხდება იმავე წესით და თითქმის თავისთავად...

[352]... ჯამში — მოცემული არის მეცნიერულაობიექტი, რადგან იგი ექვემდებარება ანალიზს, და ეს ანალიზი გადაგვიშლის ჩვენ მისი არსებობის პირობებს. მეცნიერება უტყუარია იმიტომ, რომ ყოველ ანალიზს, რომელსაც იგი აწარმოებს, თანდათან მივყავართ ჩვენ ექსპერიმენტულ ინტუიციებამდე, რომელთაც იგივე ღირებულება აქვთ, რაც მოცემულს; ასე რომ მეცნიერებას უტყუარობის იგივე ხარისხი

ფინალი = მორცხვი მატერიალიზმი

აქვს, რაც მის მიერ ასახსნელი სამყაროს არსებობას და ჩემს საკუთარ არსებობას, რომელსაც მე აგრეთვე ექსპერიმენტული ინტუიციით შევიმეცნებ.

თ ა ბ ი VIII

ზოგადი დასკვნა: ცდის ფილოსოფია

[353 — 357]... ფილოსოფია ღღემღე იყო, განსაკუთრებით, თუ მოდურ გამოთქმას ვინმართ, დირეზულე ბათა სისტემა. იგი ესწრაფოდა მოეხდინა ნივთების იერარქია და გამოეცა კანონები სიკეთის, ქეშმარიტისა და მშვენიერის შესახებ ამ იერარქიის გულისათვის. ზოგადი აზრით შეიძლება ითქვას, რომ იგი არასოდეს არ ჩასწვდომია ბუნებრივ ფაქტებს ერთი და იმავე თვალსაზრისით, თანაც მიუდგომლად და ობიექტურად; არამედ, პირიქით, ათავსებდა მათ სხვადასხვა სიბრტყეზე სრულიად სუბიექტურ პირად უპირატესობათა, ანა კოლექტიურ ცრურწმენათა გულისათვის, რომელნიც, რათქმაუნდა, ადამიანური იყვნენ, მაგრამ ამის გამო არა ნაკლებ სუბიექტურნიც.

მთელი ბერძნული ფილოსოფია და სქოლასტიკა, მემკვიდრე არისტოტელელობისა, წარმოგვიდგენს თვით ტიპს ამ მასშტაბებისას, რომლებითაც იზომება ნივთთა ღირებულება. აღორძინების ფილოსოფიაც, მთელი თანამედროვე ფილოსოფიაც, მიუხედავად, ვთქვათ, სპინოზას იზოლირებული მისწრაფებისა, ერთი და იმავე ფორმით ჩამოყალიბდა. სპინოზას სისტემა რომ კიდევ განზე დავტოვოთ, ვინაიდან იგი წარმოადგენს იმის შესანიშნავ ცდას, რომ ჩაეწვდეთ ნივთებს, შეძლებისამებრ, ცოტა ადამიანური და ობიექტური თვალსაზრისით, ჩვენ ძალიან ხშირად ელინური ფილოსოფიური აზრის დასაწყისიდანვე, ვხვდებით მეტაფიზიკური სულის იმავე ორ ან სამ ზოგად ორიენტაციას. ეს ის ორიენტაციებია, რომელთა მიხედვითაც ყველა სახელმძღვანელო ჩვეულებრივ ჯერ კიდევ ახდენს ფილოსოფიური სისტემების კლასიფიკაციას მატერიალიზმის, სპირიტუალიზმისა და იდეალიზმის სახელწოდებებით.

არსებითად—თუ ნივთებს იმ მეტად ზოგადი თვალსაზრისით განვიხილავთ, რომელსაც ჩვენ აქ ვაღგებთ, ე. ი. «ღირებულებათა განსაკუთრებული სკალის» თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ გვაძლევს თვითიული ამ ორიენტაციათაგანი — რამდენადაც სპირიტუალიზმი და იდეალიზმი ხშირად წარმოადგენენ ყველაზე მახლოებელ ანალოგიებს, შეიძლება ითქვას, რომ მეტაფიზიკა ყოველთვის გვაყენებდა ჩვენ ორი დიდი ღირებულების მქონე სკალის — მატერიალისტური სკალისა და იდეალისტურ-სპირიტუალისტური სკალის — წინაშე. ეს ორი სკალა ურთიერთდაპირისპირებულია და თვითიული თითქმის მეორის გადაბრუნებულ გამოჩახულებას წარმოადგენს.

NB

მსჯელობა
იდეალიზმი-
სა და მატე-
რიალიზმის
შესახებ

სისულელეა!

იდეალისტურ-სპირიტუალისტურ სკალაში კიბის ზე-
მოთ იმყოფება სული. იგია სწორედ აზრსა და ლი-
რებულებას რომ ანიჭებს ყოველივე დანარჩენს, ან
იმით, რომ იდეალიზმთან ერთად წარმოადგენს ერ-
თადერთ რეალობას, რადგან მატერიალური მოჩვე-
ნებითობანი იქმნება მის მიერ ან არსებობენ მხოლოდ
მისთვის, ანდა იმით, რომ სპირიტუალიზმთან ერთად
ავლენს, გარდა მატერიალური სინამდვილისა, რომე-
ლიც შეადგენს მხოლოდ მის საყრდენს ან მის გარე-
მოცვას, — უმადლეს სინამდვილეს, რომელშიც ბუნება
მთავრდება და რომლითაც იგი აიხსნება. — მატერია-

ლისტურ სკალაში, პირიქით, ყოველივეს საწყისია მა-
ტერია და ყოველივე უბრუნდება მას. იგი — მარადიუ-
ლი და შუცველი შემოქმედია სამყაროს ყველა
სანახაობისა, როგორც სიცოცხლის სანახაობის, ისე
ცნობიერების სანახაობის ჩათვლით. სიცოცხლე — ეს
არის მხოლოდ განსაკუთრებული — სხვა უსასრულოდ
მრავალთა შორის — სახეობა კომბინაციებისა, რომ-
ელთაც ბრმა შემთხვევა პირველადი მატერიიდან
იღებს. ცნობიერება, აზრი მხოლოდ მოიქმნება სი-
ცოცხლისა; ტვინი გამოჰყოფს მათ ისე, როგორც
ღვიძლი გამოჰყოფს ნაღველს. არსებითად ყველა მოვ-
ლენა, რომელთა კონსტატირებაც ჩვენ შეგვიძლია:
გიშერი, რომელიც დაეღუპტროებას განიცდის, რკინა,
რომელიც ხურდება, ორთქლი, რომელიც სქილდება,
შუქი და ბგერა, სიცოცხლე თუ აზრი — ყველა ისინი
მოჩვენებითობაა, შელამაზებული იმ ერთგვაროვანი
სითხის გრიგალთა მრავალნაირი კომბინაციით, რომ-
ელიც მთელ სივრცეს ავსებს, ანდა იმ ატომთა კომ-
ბინაციით, რომელნიც ერთმანეთს ეჯახებიან უსა-
რულო სივარდიელში.

მე მგონია, რომ თითქმის ასევე შეიძლება წარმო-
ვიდგინოთ სპირიტუალიზმისა და იდეალიზმის მსჯე-
ლობის წესი: მოძრაობა მიუწყდომელია იმ ძალის გა-
რეშე, რომელიც მოძრავ სხეულს ასულდგმულებს. ძა-
ლა გაუგებარია სხვანაირად, თუ არა იმ ძალისადმი
მიმართებაში, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს თავში,
კუნთოვან მოძრაობაში, სასიცოცხლო ტენდენციაში;
მაშასადამე, ძალვა გულისხმობს სიცოცხლეს. მაგრამ
სასიცოცხლო ძალვა, თავის მხრივ, ყოველთვის მიმარ-
თულია მიზნისაკენ; მას, მიზანსწრაფვით აღბეჭდილს,
ჩაწყდება მხოლოდ ცნობიერება, რომელიც მას ხელ-
მძღვანელობს. მაშასადამე, აზრი ანდა, უარეს შემ-
თხვევაში, რაიმე არამატერიალური და თავისუფალი
სულის რიგიდან აუცილებელია როგორც ახსნის უმაღ-
ლესი პრინციპიც და როგორც ყოფიერებისა და ქმნი-
ლების არსებითი საწყისიც. სცანით სული, და ბუნე-
ბაში ყველაფერი გასაგები გახდება. მოსპეთ იგი, და

ბუნება გაუფგებარი გახდება. იგი არარად იქცევა-
მატერიალიზმი, პირიქით, ამტკიცებს — თუ ნებას

მომცემთ გამოვიყენო იგივე გამარტივებული ხერხი,—
რომ ყოველ ცდას, რომელიც განმარტავს ფსიქოლო-
გიურ აქტს, ეს უკანასკნელი დაჰყავს ორგანულ ფაქ-
ტებამდე. ორგანული მატერია თანდათანობით დაიყვა-
ნება არაორგანულ მატერიაზე. ძალა სხვა არაფერია,
თუ არა სტიმული ბიძგისადმი; ეს მოძრაობაა, შეყავ-

შირებული სხვასთან. მაშასადამე, ნივთთა საფუძველ-
ში ვერ ვპოულობთ მხოლოდ უხეშ და ბრმა მოძრაო-
ბას.

და აი მალე უკვე სამიათასი წელი იქნება, რაც ამ
ღირებულების მქონე სისტემებს ხელს სჭიდებს ყოვე-
ლი თაობა, ავითარებს, ზოგჯერ აზუსტებს, ძალიან
ხშირად კი აბუნდოვანებს აზრის ხრიკებით, აზრისა,
რომელსაც არასგზით არ სურს ალიაროს თავისი თა-
ვი დამარცხებულად. ჩვენ კი თითქმის ისევ ისე
ცოტათი წავიწიეთ წინ, როგორც სულ დასაწყისში.

ნიშნავს თუ არა ეს, ასეთ შემთხვევაში, რომ სა-
კითხებზე, რომელთა შესახებ ეს წინააღმდეგობრივი სის-
ტემები კამათობენ, უქმია და ცუდადაა დასმული?
სურვილი იმისა, რომ ნივთებს შორის ახსნა-განმარტი-
ვითი იერარქია დავამყაროთ, განა სავსებით ანტრო-
პომორფული ცრურწმენა არ არის? და ეკუთვნის თუ
არა ეს ცრურწმენა გაცილებით უფრო მეტად ინდი-
ვიდუალური გრძნობის მისწრაფებებს, ვიდრე რაციო-
ნალურ დისკუსიას? არსებითად ეს სისტემები ისმება
და უპირისპირდება ერთიმეორეს იმ მიზნით, რომე-
ლიც ძლიერ განსხვავდება ობიექტური შემეცნებისა-

გან, და მათზე ზრუნვას არაფერი აქვს საერთო ჩემ-
მართების მიუდგომელ ძიებასთან. და რადგან მათ
პოზიტიურ დისკუსიასთან კავშირი არა აქვთ, აღარ
გაიაგრძილებ უკვე მათზე მსჯელობას.

ან მე ძლიერ ვცდები, ანდა თანამედროვე ფილოსო-
ფია თავის ცოცხალსა და მძლავრ მიმართულებებში,
როგორცაა პოზიტივიზმი და პრაგმატიზმი, ამ დას-
კვნის მომხრეა *...

[358 — 362]... ამრიგად, ყოველივე ზემოაღმოსკვე-
მული თითქოს გვიჩვენებს არა მარტო იმას, რომ თა-

იდეალიზმი-
სა და მატე-
რიალიზმის
3000 წელი



3ა!

* — უ. ჯემსი, განმარტავს რა პრაგმატიზმს, დაუნივბით იცავს

იმ აზრს, რომ ეს არის სისტემა, რომელიც ზურგს აქცევს აპარ-
თულ ახსნა-განმარტებებს, დიალექტიკას და მეტაფიზიკას,
რათა მუდამ მიმართოს ფაქტებსა და ცდას.

W. James
პრაგმატიზ-
მის შესახებ

ნამედროვე ფილოსოფია სულ უფრო უახლოვდება მეცნიერებას და მის სულ უფრო საუკეთესო ნაწილს შეადგენს, არამედ იმასაც, რომ შესაძლებელია მივიღოთ ფილოსოფიის მეცნიერულ კონცეფციამდე: იგი იქნებოდა მხოლოდ მეცნიერების აუცილებელი დამატება. მიატოვებდა რა ინდივიდუალური წარმოსახვის მეტაფიზიკურ პოემებს, იგი განდებოდა მეცნიერთა, ისტორიკოსთა და კრიტიკოსთა კოლექტიურ თანამშრომლობად.

ყველა ფაქტი მეცნიერულად უნდა აიხსნას; არც ერთი მათგანის შეცნობა არ შეიძლება ობიექტურად, ე. ი. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ, სხვაგვარად, თუ არა მეცნიერულ დისციპლინათა შემწეობით. ცხადია, მეცნიერება ჯერ კიდევ ძლიერ შეზღუდულია და ძლიერ ზერელეა, მაგრამ მხოლოდ მისი განვითარება შეუძლია კიდევ თვითუფს, რომელსაც სურს შეიცნოს; მის გარეშე ყოველგვარი გონებითი ჰერეტა უნაყოფოა.

მაშასადამე, ფილოსოფია განწირულია? განა იგი უბრალოდ სიტყვა არაა, რომელსაც დაკარგული აქვს აზრი და შინაარსი? რამდენიმე წლის წინათ ამის მტკიცებას ბევრი მეცნიერი დაიწყებდა. და მართალი რომ ვთქვათ, თუ ფილოსოფიად ვიგულისხმებთ იმ სპეკულაციებს, რომელნიც ცდის გაღმა თუ გამოღმა მხარეზე ეძებენ ნივთთა საწყისს, დასასრულს და ბუნებას, მეცნიერებისა და მოქმედების უსარგებლო საფუძვლებს, ამძიმებენ რა იმას, რაც პირდაპირ ცნობილია, შეუცნობადით, რამაც იგი უნდა გაამართლოს, თუ, ერთი სიტყვით, ვიგულისხმებთ ძველებურ და-

ლექტიკებს, სულ ერთია იქნებიან ისინი რაციონალისტური თუ სკეპტიკური, იდეალისტური თუ მატერიალისტური, ინდივიდუალისტური თუ პანთეისტური, — ამ მეცნიერებმა, მგონი გამარჯვება მოიპოვეს.

ყველა ამ მეტაფიზიკას აქვს უკვე მხოლოდ ერთი ესთეტიკური ინტერესი, რომელიც, თუმცაღა, შეიძლება წარმტაცციკი იყოს მათთვის, ვისაც მათდამი ძლიერი მიდრეკილება აქვს: ეს არის ამალღებულ და ნაკლებად პრაქტიკულ მოაზროვნეთა ინდივიდუალური ოცნებანი.

მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს ფილოსოფია სულ უფრო ნაკლებ მომხრეებს პოულობდა, მეცნიერები მისგან ქმნიდნენ ერთგვარად სხვა ფილოსოფიას, და უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ყველაზე ყურადსაღები ფაქტი ფილოსოფიური შემეცნების დარგში იყო დიდი რაოდენობით ფილოსოფიათა წარმოშობა, რომელთაც მეცნიერები მოხაზავდნენ თავიანთი მეცნიერების გამო, ამ მეცნიერებასთან ერთად და მისთვის. რა თქმა უნდა, უკვე წინათაც არსებობდნენ სწავლული ფილოსოფოსები. ფილოსოფიის თითქმის ყველა დიდი სისტემა მათი ქმნილებაა. მაგრამ ეს სისტემები თავისი მეთოდებითა და დასკვნებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ, სცილდებოდნენ

თავიანთი ავტორების მეცნიერულ შრომებს. თანამედროვე მეცნიერები, პირიქით, ნაცვლად იმისა, რომ სამყაროს ზოგადი კონცეფცია ეძებონ, იმას ესწრაფვიან, რომ უბრალოდ შეავსონ ან გააშუქონ მეცნიერების ცდა ნაწილობრივი ჰიპოთეზებით, რომლებიც გაცილებით უფრო ზუსტნი არიან და უფრო მკიდროვლად კავშირებულნი ამ ცდასთან.

ასე რომ სხვა სახით, მაგრამ თითქმის იგივეური შედეგების მისაღწევად, მართლდება კანტის აზრა: კოლექტიურად ყალიბდება მეცნიერული მეშაობის უბანი, რომელსაც მიზნად აქვს მეცნიერული განზოგადებანი და მეცნიერებათა სინთეზი.

წესი, რომლითაც მეცნიერული მუშაობა წარიმართება, აშუქებს და აზუსტებს ფილოსოფიის ამ კონცეფციას. მეცნიერებანი ყალიბდებიან ერთსა და იმავე დროს ზოგიერთი ექსპერიმენტული შედეგების ერთობლიობისაგან და მთელის, ერთობლიობის თეორიათაგან, რომელნიც ყოველთვის რომელიმე მხრივ ჰიპოთეზებს წარმოადგენენ. მაგრამ ეს ჰიპოთეზები აუცილებელია მეცნიერებისათვის, რადგან, წინასწარ ეჭვრეტთ რა მომავალ ცდას და უცნობს, სწორედ მათ უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენ მეცნიერების წარმატებებს. მათ სისტემაში მოჰყავთ ყოველივე უცნობი ისე, რომ თავისი შუქი მოჰფინონ უცნობს. რატომ არ არ უნდა იყოს ფილოსოფია, ამ გვარადვე, ზოგადი სინთეზი ყველა მეცნიერული ცოდნისა, ცდა იმისა, რომ წარმოადგინოს უცნობი ნაცნობის ფუნქციით, რათა დაეხმაროს მის აღმოჩენას და ხელი შეუწყოს მეცნიერულ სულს მის ნამდვილ ორიენტირებაში? იგი განსხვავებული იქნებოდა მეცნიერებისაგან ჰიპოთეზის მხოლოდ უფრო მეტი ზოგადობით; ფილოსოფიური თეორია, ნაცვლად იმისა, რომ იზოლირებული და კარგად გამოიჯნული ფაქტების ჯგუფის თეორია იყოს, იმ ფაქტების ერთობლიობის თეორია იქნებოდა, რომელთაც ბუნება ავლენს, იქნებოდა ბუნების სისტემა, როგორც XVIII საუკუნეში ამბობდნენ, ანდა ყოველ შემთხვევაში შენაძენი ასეთი სახის თეორიაში.

ფილოსოფიური თვალსაზრისი არ უპირისპირდება მეცნიერულ თვალსაზრისს; ხდება პირველის შედარება მეორესთან. მაშინაც კი, როცა მეცნიერი მთელ ძალღონეს იმას ახმარს, რომ პოზიტიურობას მიაღწიოს, იგი ფილოსოფოსია, რადგან თვით პოზიტიურობა არის ფილოსოფია...

მეცნიერება არ უნდა განსხვავდებოდეს ფილოსოფიისაგან არც საგნით (ეს უკანასკნელი ერთი და იგივეა: შეიკვანებინოს ცდა), არც მეთოდით (იგი უნდა იყოს იგივე, რადგან მეცნიერული დისციპლინა თავისივე განმარტების მიხედვით ერთადერთი დისციპლინაა, რომლითაც ჩვენს გონებას შეეძლო დაკმაყოფილებულყო). არა, მათ შორის სხვაობაა მხოლოდ

მოლაყბე!

სულელი!

ჰაი, ჰუი!

ოპ!

თვალსაზრისში, განასხვავებს კ, და ერთადერთი უნდა განასხვავებდეს კიდევ, მეცნიერულ თვალსაზრისს ფილოსოფიური თვალსაზრისისაგან ისე რომ უკანასკნელი გაცილებით უფრო ზოგადია და ოდნავ ავანტიურის სახით წარმოგვიდგება...

დაცვა მატერიალიზმისაგან



[364 — 369]... ისტორია გვიჩვენებს, რომ როცა მეცნიერება ძლიერ შორდება ყველაზე ზოგად ადამიანურ ზრუნვას, რაც ფილოსოფიურ პრობლემათა დედაარსს შეადგენს, როცა ამ ზრუნვაზე პასუხის გაცემის სიმძიმეს იგი უტოვებს სხვა სპეკულაციებსა და ტრადიციულ რწმენას აუცილებლობის ან ზედმეტ კეთილგონიერების გამო, იგი იყიბება ან დაქვეითებას განიცდის. საჭიროა, მაშასადამე, და აუცილებლად საჭირო, რომ მეცნიერებისა და მეცნიერული სულის მონაპოვარნი დაკული იყოს, საჭიროების შემთხვევაში

თვით მათივე წინააღმდეგ, მეტისმეტი თავდაჯერებულობისაგან ან ავანტიურისაგან, როცა ისინი თავიანთ უფლებებს გადაამეტებენ. ეს კი იმიტომ, რომ მეტისმეტი სითამამე — რასაც გვიმჟღავნებს ჩვენ, მაგალითად, ზოგიერთი მატერიალისტური განზოგადება —

ჯანსაღი და პირდაპირი მოაზროვნეებისა არა ნაკლებ საშიშია მეცნიერებისათვის, ვიდრე მდებიო ხალხის მოკრძალება და ფრთხილი გონება. მაშასადამე, ფილოსოფიის ერთ-ერთი არსებითი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მხარი დაუჭიროს საერთო ატმოსფეროს, რომელიც აუცილებელია მეცნიერების განვითარებისათვის, მეცნიერული სულის ნორმალური შენარჩუნებისა და გავრცელებისათვის...

მაგრამ, რასაკვირველია, ფილოსოფია შეძლებს შეასრულოს ორმაგი მისია, რომლისთვისაც იგი ჩვენ მოწოდებული გვეჩვენება მოახდინოს მეცნიერთა ძალღონის კოორდინაცია და ემსახუროს აღმოჩენებს შთამაგონებელი პირობებით, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, შექმნას მეცნიერების პროგრესისათვის აუცილებელი ატმოსფერო, — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფილოსოფიას მისწრაფება ექნება იყოს მარტოოდენ მარტოგანიზებული სინთეზი მეცნიერებათა, რომლებიც განიხილება და გაიგება ისე, როგორც მას ხედავენ და იგი ესმით მეცნიერებს, ერთი სიტყვით, იყოს სინთეზი, მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული სულისკვეთებით გაკეთებულ.

მაგრამ ხომ სასიამოვნოა, როცა ვხედავთ, ნაკლები ოდენობით, რა თქმა უნდა, პრაგმატიზმში, მაგრამ მინც კიდევ საკმაოდ დიდი ოდენობით, რომ ახლანდელი ფილოსოფიური კვლევა-ძიებანი, გადაჭრით წყვეტენ რა კავშირს წინამავალი პერიოდის მეტაფიზიკურ ზეტიალთან, მეტად კეთილსინდისიერად არიან ინფორმირებული მეცნიერული სამუშაოების შესახებ,

ცდილობენ შეეგუონ ამ სამუშაოებს და მათგან იღებენ თავიანთ შთაგონებას.

უდავოა, რომ ჩვენს დროში ყალიბდება მეტად ცოცხალი და მეტად მკაფიო მეცნიერული გრძნობა, რომელიც ზოგს უფეთარდება რელიგიური ან მორალური გრძნობის პარალელურად და თითქოს სხვა მიმართებით, სადაც შეჯახება შეუძლებელია, და რომელმაც ზოგიერთებს შეუძვალა ეს რელიგიური გრძნობა და მათი მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას ემსახურება. ამით, ჩვენანის შესანიშნავი გამოთქმით, მეცნიერებამ მოგვცა სიმბოლო და კანონი. მათ დაიკავეს ქეშმარიტად პოზიტიური პოზიცია, რომელმაც შეინარჩუნა ძველებური რაციონალიზმიდან მისი ურყევი რწმენა ადამიანის გონებისადმი,

ათვისეს რა ამასთანავე ექსპერიმენტული მეთოდის უცილობელი ტრიუმფისაგან ის უდავო შედეგი, რომ გონება არის მხოლოდ უწყვეტი ძალვა სულსა შეეგუოს ცდას და სულ უფრო ღრმად შეიცნოს იგი, არის ობიექტური სინამდვილისა და სუბიექტური აზრის ურთიერთშედწევა.

მე მგონია, რომ ფილოსოფიის მომავალი ძეგს ამ მხარეზე, ვინაიდან ამ მხარეზე იმყოფება ჭეშმარიტება. ისე როგორც ყველა წინასწარმეტყველებაში, აქ არის მხოლოდ რწმენის აქტი. გამართლდება თუ არა იგი, ამას მომავალი გვეტყვის. და რადგან ეს რწმენის აქტი, ამიტომ მე კანონიერად მიმაჩნია რწმენის ყველა სხვა აქტი, იმ პირობით, რომ ისინი, ვინც მათ ასრულებს, ასევე იქცევიან ჩემს მიმართ. მე ბედნიერებადაც კი მიმაჩნია, რომ ერთ იდეურ მიმართულებას წინ უდგას საპირისპირო იდეათა ნაკადი; იგი ფაქიზდება, ვითარდება, სწორდება და ზუსტდება მოწინააღმდეგეთა კრიტიკის მეოხებით.

ფილოსოფიური პოზიციისათვის, რომელიც მოხაზული იყო ამ მოკლე ნარკვევების მანძილზე, შეიძლება გვეწოდებინა რაციონალისტური პოზიტივიზმი, აბსოლუტური პოზიტივიზმი ან სციენტრიზმი. ყოველგვარი ორაზროვნობის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება, უკეთესი იქნებოდა გვეწოდებინა მისთვის ექსპერიმენტალიზმი, რაც იმავე დროს იმასაც აღნიშნავ-

!!
პოზიტივიზმი, ექსპერიმენტალიზმი, რეალიზმი = „პოზიტივიზმი აბსოლუტური ან რაციონალისტური“

და, რომ იგი მთლიანად ემყარება ცდას — მაგრამ, ძველებური ემპირიზმის საწინააღმდეგოდ, კონტროლდაქვემდებარებულ ცდას, რომელიც მეცნიერული ექსპერიმენტირების ნაყოფია, — და აღნიშნავდა იმასაც, რომ იგი უარს ამბობს გასცილდეს ცდის საზღვრებს

თავის აბსოლუტურ რეალიზმსა და თავის ექსპერიმენტულ მონიშმში.

ცლა = შეგრძნება-თაშ *

ცლა — ეს არის უწინარეს ყოვლისა და უშუალოდ ჩვენი შეგრძნებების ერთობლიობა, ის, რასაც ჩვენ მოვლენებს ვუწოდებთ. მაგრამ იგი იწყება თავისი თავის ანალიზით, როგორც კი ის განხილვა საგანი ყურადღებისა, გააზრებისა, რადგან შეგრძნებათა ეს ერთობლიობა არის მხოლოდ უხეში და მეტად ზერელე ხილვა მოცემულისა. თითქმის მაშინვე მასში და ქვეშ გამოიკნობა ზოგიერთი იმ მიმართებათაგან, რომლებსაც ის შეიცავს და რომელნიც მის ჭეშმარიტ დედაარსს შეადგენენ. მეცნიერება ცდილობს თანდათან აწარმოოს ეს ანალიზი, რომელიც სულ უფრო ღრმად ჩასწვდება მოცემულის ბუნებას. თუ სურთ უშუალოდ მოცემული წარმოდგინონ წერტილად, მაშინ იმისათვის, რომ რეალური მოცემულის გამოსახულება მიიღონ, უნდა წარმოიდგინონ, რომ ეს წერტილი მხოლოდ პროექციაა წრფისა, რომელიც მის იქით გრძელ-

„chose en soi“? **

დება. ეს წრფე შეიძლება დაიყოს ჩამდენიმე მონაკვეთად, რომელთაგანაც თვითიული მოიცავს, თუ მათ შორის გაუმჭვალავი ზღუდეები არ არის, იმ მიმართებათა ოჯახებს, რომლებზეც დამოკიდებულია უშუალოდ მოცემული. თვითიული ამ ოჯახთაგანი წარმოიქმნება იმ განმარტების ძალით, რომელიც დაეყრდნობა ბუნებრივ თვისობას, რომლითაც ეს მი-

მართებანი ურთიერთ შორის გაერთიანებულნი არიან. ეს იქნება რიცხვისა და მდებარეობის მიმართებანი, მიმართებანი მექანიკური, ფიზიკური და ა. შ., და, ბოლოს, მიმართებანი ფსიქოლოგიური, რომელნიც განისაზღვრებიან თავიანთი დამოკიდებულებით ორგანიზმზე, რომელსაც მოცემული ეკუთვნის. ჩამდენიც მიმართებათა ასეთი ჯგუფებია, იმდენივეა განცალკევებული მეცნიერებანიც.

ფილოსოფია, პირიქით, ცდილობს წარმოიდგინოს წრფე მთელ მის სიგრძეზე და მთელ მის უწყვეტობაში. მაგრამ ხაზი მთელს მის ერთობლიობაში, როგორც წერტილიც, რომლის შემწვობით იგი თავის თავს აპროექციებს, უშუალოდ მოცემული, როგორც მიმართებანიც, რომელნიც მას ავსებენ ანალიზისა და მიხედვით, ერთი და იმავე ხასიათის არიან.

2

ეს ცდის მონაცემებია. და მათი ერთობლიობა შეადგენს ერთსა და იმავე ცდას: ადამიანურ ცდას. ის არის ჩვენი ფსიქოლოგიური კონსტიტუცია და არანავითთა ბუნება, ქვეყნიერებას რომ აღქმისაგან განას-

* — ჯამი. რ ე დ.
** — «ნივთი თავისთავად»? რ ე დ.

ხვალებს, სამყაროს — მეცნიერებისაგან; და ეს განსხვავება დროებითი და შემთხვევითია.

მაშასადამე, ცდა საჭიროებს მხოლოდ ახსნა-განმარტებას. ავხსნათ იგი — ეს ნიშნავს უბრალოდ გადმოვცეთ ის მიმართებანი, რომელთაც იგი შეიცავს, და რომელნიც მას თვით თავისით დაჰყავს ჩვენს ცნობამდე, თუ ჩვენ შეგვიძლია ავითვისოთ მისი გაქვეითილები. მეცნიერება კი ხელს ჰკიდებს მათ დამუშავებას. მაგრამ, წარმოადგენს რა მთელ სინამდვილეს, ||

ცდა არ საჭიროებს გამართლებას: იგი არსებობს.

დასასრული

ზინაარსი *

— § 6. მათემატიკოს პუანკარეს იდეები. პუ ა ნ კ ა რ ე.

გვ. 6 — 7; 28 — 9 = ორი ხაზი

33 = ჰეშმარიტება = ? პრაგმატიზმისათვის და 35

49 = მეცნიერების ობიექტური ღირებულება = ცენტრი
მათემატიკა და პრაგმატიზმი — 62

80: პრაგმატიკოსები თავისკენ ექაჩებოდნენ პუანკარეს,
და მახი 90

რეი = წმინდა აგნოსტიკოსი 94 (93)

98: მახი + ობიექტურობა = რეი?!

100: ცნებები = რეალობის ასლები

ობიექტურობა 105

113: ვულგარული მატერიალიზმი

შენიშვნები დაწერილია 1909 წელს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
«ფილოსოფიურ რვეულებში»

იბეჭდება ლენინის
მიხედვით

* დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ ა. რეის წიგნის გარეკანზე. რ ე დ.

ა. ლეგორინი. «ღიალექტიკური მატერიალიზმი» 170

[39]... როგორც მსოფლმხედველობა, დიალექტიკური მატერიალიზმი იძლევა პასუხს—არა აბსოლუტურს, რა თქმა უნდა—კითხვაზე მატერიის, სამყაროს აღნაგობის შესახებ; იგი წარმოადგენს ყველაზე ბრწყინვალე ისტორიული თეორიის საფუძველს; დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე პოლიტიკა და მორალი იქცევა გარკვეული აზრით ზუსტ მეცნიერებად. დიალექტიკურ მატერიალიზმს—სწორად გაგებულს, რასაკვირველია,—ყველგან შეაქვს თეორიულ-მეცნიერებითი კრიტიციზმის ახალი ნაკადი, ვინაიდან იგი მოკლებულია ყოველგვარ დოგმატიზმს.

[40]... ამ სტატიაში ჩვენ განზრახვა გვაქვს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ დიალექტიკური მატერიალიზმის მხოლოდ |თეორიულ-მეცნიერების| მხარეზე. დიალექტიკური მატერიალიზმისა, რომელიც ამ შემთხვევაში, როგორც მეთოდი, როგორც წარმმართველი პრინციპი გამოკვლევისა, პრობლემათა აბსოლუტურ გადაწყვეტას კი არ იძლევა, არამედ ხელს უწყობს, უწინარეს ყოვლისა, მათ სწორ დაყენებას. დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც შემეცნების თეორია, დაიყოფა ფორმალურ ანუ ლოგიკურ

- 1) და რეალურ ანუ მატერიალურ ნაწილებად.

პირველყოფილი, პრიმიტიული შემეცნებისათვის გაცდა იგივეა, რაც განცდის საგანი, მოვლენა იგივეა, რაც ყოფიერება, რაც ნიეთი თავისთავად.

- 2) შინაგანი განცდების სამყარო შეადგენს |პირველყოფილი ადამიანისათვის| ნიეთა სამყაროსაც. მან არ იციის სხვაობა შინაგან სამყაროსა და გარესამყაროს შორის. შემეცნების ეს პრიმიტიული ფორმა კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წინააღმდეგობაში ვარდება ბუნების ძალთა დაუფლებიანადმი ადამიანის მისწრაფებასთან, კულტურის ახალ უმაღლეს

არაზუსტია

არაა საჭირო
„სხვისი“
სიტყვების
ხმარება!

საფეხურთან. ადამიანის მოთხოვნილებათა გაფართოებასთან, ცდისეული მასალის გაღივებასა და დაგროვებასთან ერთად, შეგრძნებებსა და გარესამყაროს შორის შეჯახებათა გახშირებასთან ერთად სულ უფრო მეტად შეღავნდება კონტრასტი შეგრძნებებსა და საგნებს შორის, შინაგან განცდათა სამყაროსა და საგანთა სამყაროს შორის. აი მაშინ მწიფდება ახალი შემეცნებითი ფორმების აუცილებლობა. ... უშუალოდ ჩვენ გვიინტერესებს ის ლოგიკური პროცესი, რომელმაც უახლეს ფილოსოფიაში დიალექტიკურ მატერიალიზმამდე მიგვიყვანა. — იუმის, ბერკლისა და სხვათა

? ფსიქოლოგიზმი იყენებს, უმთავრესად, ფსიქიკურად — გრძნობადს სამყაროს. გრძნობადი სახეები შემეცნების საგნებია. შედეგი, რომელიც ინგლისური ემპირიზმის განვითარებამ მოგვცა, გვაუწყებს: Esse=percipi, — არსებობს ის, რაც მოცემულია აღქმაში, და ყოველივეს, რაც მოცემულია აღქმაში, აქვს ობიექტური ყოფიერება, არსებობს.

[41]... კანტმა გაიგო, რომ ჭეშმარიტად მეცნიერული შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ «მათემატიკური ჭკერების» მეშვეობით. გრძნობადი ჭკერტა არ შეიცავს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია საყოველთაოდ სავალდებულო შემეცნებისათვის. გრძნობადს სახეებს არ ძალუძთ მოიცვან შესამეცნებელ მოვლენათა მთელი ერთობლიობა. და კანტი ახდენს

? გადასვლას ფსიქოლოგიზმიდან ტრანსცენდენტალზმამდე...

W

[43]... ჰეგელის ფილოსოფია ამ ჯაჭვის უკანასკნელი და დასკვნითი რგოლია. ჩვენ დავინახეთ, რომ იუმი, კანტი, ფიხტე სუბიექტს ობიექტზე მალდა აყენებდნენ, ობიექტი გამოცხადებული იყო ისეთ რამედ, რაც არ გამოიყოფა სუბიექტისაგან...

[48]... კატეგორიები, ე. ი. წმინდა უნივერსალური ცნებები, როგორიცაა დრო, სივრცე, მიზეზობრიობა, არის დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ლოგიკური გარკვეულობანი, მეორე მხრივ, ნივთთა რეალური ფორმები...

[49]... ტრანსცენდენტალიზმის შეზღუდულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ავრცელებს თავის უფლებებს საგანთა რეალურ სფეროზე და კატეგორიები მიაჩნია მხოლოდ ცნობიერების სუბიექტურ, და თანაც კიდევ აპრიორულ, ფორმებად. ფენომენებს კი ტრანსცენდენტალიზმი მოიცავს კატეგორიალური, ე. ი. ლოგიკურად-საყოველთაო ფორმებით, რომელნიც შესაძლებლობას გვაძლევენ დაგაფორმოლოთ ბუნების ზუსტად მათემატიკური კანონები, მივანიჭოთ მათ უნივერსალური ხასიათი. მაგრამ ტრანსცენდენტალიზმს, ისევე როგორც სენსუალისტურ ფე-

ნომენალოზმს, საქმე აქვთ მხოლოდ მოვლენებთან. მათთვის ყოფიერება, ნივთები საივითავედ მიუწევდომელია...

დახეთ მას!

[50].. შემეცნების «უთუობას» და საყოველთაობას დიალექტიკური მატერიალიზმი იმით აღწევს, რომ ფორმებს იგი აცხადებს უნივერსალურ, ობიექტურად-რეალურ «ჭვრეტად». ამაზეა

დამყარებული სინამდვილის მათემატიკური ან, თუ გნებავთ, «გეომეტრიული», ე. ი. ზუსტი შემეცნების შესაძლებლობა. «გეომეტრიული» სივრცე და «წმინდა დრო» უნივერსალურად-რეალური ჭვრეტა

და ისინი გრძნობადი სამყაროს «მათემატიკური» შემეცნების წანამძღვარს წარმოადგენენ.

[51]... მაგრამ ამასთანავე დიალექტიკური ცნობიერება ამჟღავნებს იმას, რომ მას შესწევს უნარი ამაღლდეს ბუნების, როგორც «მთელის», «ჭვრეტამდე», ბუნების უნივერსალური წესრიგის აუცილებლობის, შინაგანი შეპირებულობის ჭვრეტამდე...

[52]... ადამიანი შეიმეცნებს იმ ზომით, რა ზომითაც იგი მოქმედებს და რა ზომითაც თვით განიცდის გარესამყაროს ზემოქმედებას. დიალექტიკური მატერიალიზმი გვესწავლის, რომ ადამიანს გააზრების იმპულსი ეძლევა უმთავრესად იმ შეგრძნებებით, რომელთაც იგი განიცდის გარესამყაროზე თავისი ზემოქმედების პროცესში... დიალექტიკური მატერიალიზმი გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ ბუნებაზე ბატონობა შესაძლებელია მხოლოდ მისადმი დამორჩილებით, იმას გვიწესებს, რომ ჩვენი მოქმედება შევთანხმობთ ბუნების უნივერსალურ კანონებთან, ნივთთა აუცილებელ წესრიგთან, სამყაროს განვითარების საყოველთაო კანონებთან...

[53]... ამრიგად, პარმენიდე ნივთთა ნამდვილ არსებას («ერთიანს») ხედავდა იმაში, რის შეცნობაც აზროვნებითა და გონებით შესაძლებელია და რაც დენადი და ცვალებადი მოვლენების უკან ძვეს. ამით მან გრძნობადი შეგრძნებანი მოსწყობა მათს საფუძველს, ფენომენალური სამყარო — მეტაფენომენალისტურს...

მპ!

[54]... თუ მეტაფიზიკოს-რაციონალისტებისათვის ქეშმარიტი რეალობა მოცემულია ცნებაში, სამაგიეროდ სენსუალისტებისათვის | რეალურია ის, რაც მო-

ცემულია გრძნობადს აღქმაში ანუ ჭვრეტაში. ის, რაც გრძნობათა ფარგლებს იქით ძვეს, მიუწევდომელია შემეცნებისათვის. შემეცნების საგანია ფენომენები, რომლებიც აღიარებულია აბსოლუტურ სინამდვილედ. ემპირიული ცნობიერების შინაარსი ცვალებადი და დე-

ნადია. თვისებრიობათა რეალური სუბსტრატი უარყოფილია ფენომენალიზმის მიერ. მოცემულია მოვლენათა სხვადასხვაგვარობა, მაგრამ არ არის სუბსტანციური ერთიანობა...

2 [55]... კანტმა მოახერხა შეეხამებინა ფენომენალიზმის მოძღვრება თავისთვის არსებული ნივთების შეუცნობადობის შესახებ რაციონალისტ-მეტაფიზიკოსების მოძღვრებასთან აბსოლუტურად-რეალური ყოფიერების, «თავისთავადი ნივთების» არსებობის შესახებ.

2 [56]... ფრანგი მატერიალისტები ჰოლბახის მეთაურობით ბუნებას, როგორც ნივთის მეტაფიზიკურ არსებას, უპირისპირებდნენ მის თვისებებს. ეს დაპირისპირება ნიშნავს გარკვეული აზრით იმავე დუალიზმს, რაც «ნივთისა თავისთავად» და «მოვლენებს» შორის არის კანტთან...

სიცრუეა!

nec plus ultra * — მღეუხეშია!

[57]... მაგრამ ჩვენ უსამართლობას გამოვიჩენდით ფრანგული მატერიალიზმის მიმართ, თუ მას გავაიგივებდით კანტელობასთან. მეუვრამეტე საუკუნის მატერიალიზმი ხომ მაინც აღიარებს ნივთთა არსების შეფარდებითს შეცნობადობასაც კი...

ეს—დომბალია

ფრანგული მატერიალიზმი, გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ ჩვენს გარეგან გრძნობებზე მატერია მოქმედებს, აღიარებს, მაინც, რომ თავისთვის არსებული ნივთების ზოგიერთი თვისება შეუცნობადია. მაგრამ ფრანგული მატერიალიზმი აცდის საკმაოდ თანმიმდევრული, რამდენადაც იგი გვასწავლის, რომ შეცნობადია ნივთთა მხოლოდ ზოგიერთი თვისება, მაშინ როდესაც თვით მათი «არსება» თუ «ბუნება» დამალულია ჩვენგან და არც მთლად შეცნობადია.

[58]... ნივთთა თვისებების ეს დაპირისპირება მათი «ბუნებისადმი» კანტს გადმოღებული აქვს აგნოსტიკოსებისაგან ფენომენალისტ-სენსუალისტებისაგან (ჟოშუალოდ იუმისაგან)...

ფენომენალიზმისა და სენსუალიზმის საწინააღმდეგოდ მატერიალიზმი შთაბეჭდილებებს, რომელთაც ჩვენ თავისთვის არსებული ნივთებიდან ეღებულობთ, განიხილავს როგორც ობიექტური მნიშვნელობის მქონე შთაბეჭდილებებს. მაშინ როდესაც ფენომენალიზმი (და კანტიანიზმიც) ვერაფრითარ შეჩების წერტილებს ვერ ხედავს ნივთთა თვისებებსა და მათს «ბუნებას», ე. ი. გარესამყაროს შორის, ფრანგი მატერიალისტები უკვე გარკვევით აღნიშნავენ ხაზგასმით,

* — უკიდურესობაზედ. რ ე დ.

რომ ნივთები თავისთვის, ნაწილობრივ მაინც, შეცნობაღია სწორედ იმ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, რასაც ისინი ჩვენზე ახდენენ, რომ ნივთთა თვისებები რამდენადმე ობიექტურად — რეალურია.



[60]... ღიალექტიკური მატერიალიზმი ყოფიერებას საფუძვლად უღებს მატერიალურ სუბსტანციას, რეალურ სუბსტრატს. ღიალექტიკურმა მატერიალიზმმა სამყაროს შეხედა როგორც პროცესს, როგორც ნივთიერებას, რომელიც განუწყვეტელ განვითარებაში იმყოფება» (ენგელსი). მეტაფიზიკოსების უცვლელი და უთუთო ყოფიერება იქცევა ცვალებად ყოფიერებად. სუბსტანციური რეალობა აღიარებულია ცვალებად რეალობად; ცვლილებანი და მოძრაობანი — ყოფიერების რეალურ ფორმებად. ღიალექტიკური მატერიალიზმი სძლევეს «ყოფიერებისა» და «არყოფიერების» დუალიზმს, მეტაფიზიკურ-აბსოლუტურ დაპარისპირებას «იმანენტურისას» ტრანსცენდენტური-საღმი», ნივთთა თვისებებისას თვით ნივთისაღმი. ღიალექტიკური მატერიალიზმის ნიადაგზე იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მეცნიერულად დაკავშირდეთ ნივთი თავისთავად ფენომენებთან, იმანენტური — ტრანსცენდენტურთან და დავძლიოთ, ერთი მხრივ, შეუცნობადობა ნივთებისა თავისთავად და თვისებრიობათა «სუბიექტივიზმი» — მეორე მხრივ, რადგან «ნივთის ბუნება, როგორც სავსებით სამართლიანად შენიშნავს პლენანოვი, სწორედ მის თვისებებში მქლავნდება». სწორედ იმ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, რასაც ჩვენ თავისთვის არსებული ნივთებისაგან ვღებულოთ, გვეძლევა შესაძლებლობა ვიმსჯელოთ თავისთვის არსებული ნივთების თვისებებზე, ობიექტურად-რეალურ ყოფიერებაზე...



NB

[60—61]... «იმანენტური» იძენს ობიექტურად-რეალურ ხასიათს; ტრანსცენდენტური, რომელიც ფენომენების მიღმა «შეუცნობადის» სფეროში ძეკვს, გადაიქცევა ჩვენი გრძნობებისათვის მიუწვდომელი იღუმალი არსებდან ჩვენი ცნობიერების «იმანენტურა» შინაარსად, გრძნობადი აღქმის საგნად. იმანენტურა იქცევა ტრანსცენდენტურად, რამდენადაც იგი იძენს ობიექტურად-რეალურ მნიშვნელობას, რამდენადაც იგი შესაძლებლობას გვაძლევს შთაბეჭდილებათა მიხედვით ვიმსჯელოთ ნივთთა თვისებებზე. ტრანსცენდენტური იქცევა იმანენტურად, რამდენადაც იგი გამოცხადებულია შეცნობადის სფეროში მღებარედ, თუმცაღა სუბიექტის მიღმა... ასეთსავე აზრს გამოთქვამს ბელტოვიც. ამ თეორიის თანახმად, ამბობს იგი, ბუნება არის, უწინარეს ყოღლისა,

NB

NB
სწორი ჰეშმა-რიტებანი გაღმოცემულია საშინლად-იჩხიბი, abstrus* სახით. რატომ ენგელსი არ წერღა ასეთი აუღამური ენით?

* — ბუნღოვანი. რ ე დ.

მოვლენათა ერთობლიობა. მაგრამ რადგანაც ნივთები თავისთავად მოვლენათა აუცილებელ პირობას შეადგენენ, სხვა სიტყვებით, რადგან მოვლენებს იწვევს ობიექტის მოქმედება სუბიექტზე, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ბუნების კანონებს აქვთ ანა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური მნიშვნელობაც, ე. ი. რომ იდეათა ურთიერთ მიმართება სუბიექტში შეესაბამება, როცა აღამიან არ სცდებია, — ნივთთა ურთიერთმიმართებას მის გარეშე*.

ასე წყდება ერთადერთი სწორი და მეცნიერული წესით მოვლენათა და თავისთავადი ნივთების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი — შეცვლების ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ასე იმტვერვდნენ თავს კანტი, მეჩაფიზიკოსები და ფენომენალისტები...

NB

[62]... ყოფიერებისა და არყოფიერების ერთიანობა არის ქმნადობაო — გვასწავლის დიალექტიკა. კონკრეტულ მატერიალისტურ ენაზე გადატანილი, ეს დებულება ნიშნავს, რომ ყოველივე არსებულს საფუძვლად უდევს ნივთიერება, მატერია, რომელიც უწყვეტი განვითარების პროცესში იმყოფება...

[64]... სხეული, მაშასადამე, არ ამოიწურება მისი აღქმადობით, როგორც ფიქრობენ ფენომენალისტ-

სენსუალისტები, არამედ იგი არსებობს ჩვენი შეგრძნებებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, არსებობს «თავისთვის», «სუბიექტის» სახით. მაგრამ თუ სხეული ჩვენი შეგრძნებებისაგან დამოუკიდებლად

არსებობს, სამაგიეროდ შეგრძნებანი საესეებით დამოკიდებულია ჩვენზე მოქმედ სხეულზე. ამ უკანასკნელის გარეშე არ არის შეგრძნებანი, არ არის წარმოდგენანი, ცნებები და იდეები. ჩვენს აზროვნებას განსაზღვრავს ყოფიერება, ე. ი. ის შთაბეჭდილებანი, რომელთაც ჩვენ გარესამყაროსაგან ვღებულობთ. ამის გამო ჩვენს იდეებსაც და ცნებებსაც ობიექტური

NB

ადრეაღური მნიშვნელობა აქვთ.

[65]... სხეული, რომელიც ჩვენს გრძნობებზე მოქმედებს, განიხილება როგორც მიზნის მის მიერ წარმოებული მოქმედებისა, ე. ი. აღქმისა. ფენომენალისტები სადავოდ ხდიან საკითხის ასეთი დაცვების თვით შესაძლებლობას. გარესამყარო, ფიქრობენ იმანენტისკოსები, არა მარტო მიუწევდომე-

* — Н. Вельтов. «Критика наших критиков». стр. 100.

ღია ალქმისათვის, არამედ წარმოუდგენელიცაა, თუნ-
დაც რომ ასეთი სამყარო არსებობდეს...

[67]... გვიხდება აგრეთვე იმის დაშვება, რომ ჩვენი
ალქმანი, როგორც შედეგი ორი ფაქტორის — გარე-
სამყაროსი და ჩვენი «გრძნობადობის» მოქმედებისა,
შინაარსითაც არ არიან გარესამყაროს საგნების

NB
~

იგივენი, სამყაროსი, რომელიც უშუალოდ, ინტუი-
ციით * ჩვენთვის მიუწვდომელია...

[69]... ნივთი თავისთავად ღიალექტიური მატერია-
ლიზმის თვალსაზრისით შეადგენს საგანს, როგორც ის
არსებობს თავისთავად, «თავისთვის». ამ აზრით გან-
მარტავს სწორედ პლენანოვი მატერიას «როგორც თავ-
ვისთავად არსებული ნივთების ერთობლიობას, რამდენ-
ნადაც ეს ნივთები ჩვენი შეგრძნებების წყაროს წარ-
მოადგენენ» **. ეს ნივთი თავისთავად ანუ მატერია
არ არის განყენებული ცნება, რომელიც ნივთთა კონ-
კრეტული თვისებების უკან იმყოფება, არამედ «კონ-
კრეტული» ცნებაა. მატერიის ყოფიერება
განუყოფელია მისი არსებისაგან ანდა, პირიქით, მატე-
რიის არსება განუყოფელია მისი ყოფიერებისაგან.

[70]... საგანი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ
თვისებრიობას თუ თვისებას, არც კი შეიძლება წარ-
მოვიდგინოთ, მას არ შეუძლია არსებობა, არა აქვს
არავითარა ყოფიერება. გარესამყაროს

კონსტრუირე-

ბას ჩვენ ვახდენთ ჩვენი ალქმებისაგან, იმ შთა-
ბეჭდილებათა საფუძველზე, რომელთაც ჩვენში იწვე-
ვენ გარესამყარო, საგნები თავისთავად. გარესამყა-
როსა და შინაგან სამყაროს შორის არსებობს გარკვეუ-
ლი სხვაობა, მაგრამ ამასთანავე გარკვეული მსგავსე-

??

ბაც, ასე რომ გარესამყაროს შემეცნებაში ჩვენ მიე-
ღივართ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, მაგრამ სწო-
რედ იმ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, რომლებიც გა-
მოწვეულია გარესამყაროს საგნებით. საგნის ჩვენზე
მოქმედებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძ-
ველზე ჩვენ საგანს გარკვეულ თვისებებს მივაწერთ.
შთაბეჭდილება არის ორი ფაქტორის ტოლქმედი ძალა
და როგორც ასეთი აუცილებლად გაპირობებულია ამ
ორი ფაქტორის ბუნებით და ისეთ რამეს შეიცავს,
რაც ორივე ფაქტორის ბუნებას შეადგენს, რაც მათ
საერთო აქვთ...

* — ეს ნიშანი იმაზე მიგვითითებს, რომ გადასულია სიტ-
ყვები: «უშუალოდ, ინტუიციით». რ. ე. ღ.
** «Das Bild dieses Seins außer dem Denken ist die
Materie, das Substrat der Realität!», L. Feuerbach.
«Werke», Bd. 2, S. 280.

ულაზათო და უაზრო სიტყვა!

[71]... მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე, გარესამყაროს რომ აღიარებს, გვეძლევა შესაძლებლობა ავაგოთ შემეცნების წმინდა მეცნიერული თეორია. ვინც გარესამყაროს უარყოფს, ის უარყოფს აგრეთვე ჩვენი შეგრძნებების მიზეზსაც და იდეალიზმამდე მიდის—მაგრამ გარესამყარო შეადგენს

აგრეთვე კანონზომიერების პრინციპსაც და თუ ჩვენ ჩვენს აღქმებში თვალწინ გვაქვს გააკვირულად მოწესრიგებული მათი კავშირი. ეს მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ ჩვენი შეგრძნებების მიზეზი, ე. ი. გარესამყარო, ამ კანონზომიერი კავშირის საფუძველს შეადგენს...

[72]... თუ არ გვაქვს განჭვრეტის შესაძლებლობა, შეუძლებელია მეცნიერულად შევიმეცნოთ ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების მოვლენები. ...მაგრამ გარესამყაროს საგნები მიზეზობრივი კავშირის მიმართებაში არა მარტო ჩვენთან, არამედ ერთიმეორესთანაც, ე. ი. თვით გარესამყაროს საგნებს შორის არსებობს გარკვეული ურთიერთქმედება, რომლის პირობებაც ცოდნა კვლავ შესაძლებლობას გვაძლევს განჭვრეტით და ვიწინასწარმეტყველოთ არა მარტო მოქმედება საგნებისა ჩვენზე, არამედ მათი ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებელი, მიმართებანი და მოქმედებანი, ე. ი. ნივთთა ობიექტური თვისებები.

[73]... დიალექტიკური მატერიალიზმი სულაც არ წყვეტს წინასწარ მატერიის აგებულების საკითხს ატომისტური, ან კორპუსკულარული თეორიის, ანდა რომელიმე მესამე ჰიპოთეზის უეჭველი აღიარებას აზრით. და თუ გაიმარჯვებენ ახალი მოძღვრებანი ატომთა აგებულების შესახებ, მაშინ დიალექტიკური მატერიალიზმი არათუ არ დაინგრევა, არამედ, პირიქით, თავის ყველაზე ბრწყინვალე დადასტურებას მიიღებს. მართლაც, რაში მდგომარეობს რაობა ახალი მიმოინარეობისა ბუნებისმეტყველების დარგში? უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ ატომი, რომელიც ფიზიკოსებს წარმოედგინათ უცვლელ და ყველაზე მარტივ, მ. ი. ელემენტარულ და დაუშლელ სხეულად, აღმოჩნდა კიდევ უფრო ელემენტარულ ერთიანობათაგან, ან ნაწილაკებისაგან შემდგარი. ვარაუდობენ, რომ ელექტრონებში ჩვენ გვაქვს ყოფიერების უყანასკნელი ელემენტები. მაგრამ განა დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ ატომი ყოფიერების აბსოლუტური საზღვარია?...

აა!
პლენანოვი დუმს ამ „ახალი მიმდინარეობის“ შესახებ, არ იცნობს მას. დებორინს ბუნდოვნად წარმოუდგენია იგი. სწორია!

[74]... შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ჩვენი მახისტების მსგავსად, რომ ელექტრონული თეორიის აღიარებით ბათილდება მატერია როგორც რეალობა, ხოლო ამ უკანასკნელთან ერთად, ამრიგად, დიალექტიკური მატერიალიზმიც, რომელსაც მატერია მიაჩნია ერთადერთ რეალობად და ერთადერთ ვარგის იარაღად ცდის სისტემატიზაციისათვის... შედგება თუ არა ყველა ატომი ელექტრონებისაგან — ეს საკითხი გადაუწყვეტელია, ეს არის ჰიპოთეზა, რომელიც შეიძლება არც კი დადასტურდეს. მაგრამ გარდა ამისა, განა ელექტრონული თეორია აბათილებს ატომს; იგი მხოლოდ ამტკიცებს, რომ ატომი შეფარდებით მყარი, განუყოფადი და უცვლელია... მაგრამ ატომს, როგორც რეალურ სუბსტრატს, ელექტრონული თეორია არ უკუაგდებს.

ს უ ლ ე ლ უ -
რ ი ტ ე რ -
მ ი ნ ი ა !

[75]... შევაჯამოთ. ფორმალური მხრივ დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც დავინახეთ, საყოველთაოდ სავალდებულო და ობიექტური შემეცნების შესაძლებლობას იძლევა იმის მეოხებით, რომ ყოფიერების ფორმები მისი თვალსაზრისით აგრეთვე აზროვნების ფორმებიცაა, რომ ყოველ ცვლილებას ობიექტურ სამყაროში შეესაბამება ცვლილება აღქმათა სფეროში. რაც შეეხება მატერიალურ მომენტს, დიალექტიკური მატერიალიზმი იქიდან ამოდის, რომ აღიარებს ნივთებს თავისთავად ანუ გარესამყაროს, ანუ მატერიას. «ნივთები თავისთავად» შეცნობადია. უთუოსა და აბსოლუტურს დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს. ყოველივე ბუნებაში ცვლილებისა და მოძრაობის პროცესში იმყოფება და ამ ცვლილებასა და მოძრაობას საფუძვლად უდევს მატერიის გარკვეული შეხამებანი. ყოფიერების ერთი «სახეობა» გადადის მეორეში, დიალექტიკის თანახმად, ნანტომების მეშვეობით. უახლესი ფიზიკური თეორიები არათუ არ უარყოფენ, არამედ, პირიქით, საკვებით ადასტურებენ დიალექტიკური მატერიალიზმის სისწორეს.

შენიშვნები დაწერილია არა
უადრეს 1909 წლისა
ნაწილობრივ დაიბეჭდა
1930 წელს
ლენინის XII კრებულში
მთლიანად ქვეყნდება
პირველად

იბეჭდება დედნის მიხედვით

3. შულიატიკოვი. «კაკიბალიზმის გამართლება დასავლეთევროპულ ფილოსოფიაში. დეკარტედან ე. მახამდამდე»

მოსკოვი, 1908

sic!

[5] *... ინტელგენტურ წრეებში დამყარდა ტრადიციული დამოკიდებულება ფილოსოფიისადმი... ფილოსოფიური იდეები მათი წარმოდგენით მეტად მცირედ და მეტად სუსტადაა დაკავშირებული რაიმე კლასობრივ ქვენიადგთან...

ამავე შეხედულებას იცავს ფრიად და ფრიად ბევრი მარქსისტი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ პროლეტარული ავანგარდის რიგებში დასაშვებია ფილოსოფიურ შეხედულებათა აჭრელებული სხვადასხვაობა, რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, აღიარებენ პროლეტარიატის იდეოლოგიები მატერიალიზმს თუ ენერგეტიკას, ნეოკანტელობას თუ მახიზმს...

[6]... აღნიშნული შეხედულების გაზიარება ნიშნავს გულუბრყვილო, მეტად სამწუხარო შეცდომის დაშვებას. უკლებლივ ყველა ფილოსოფიური ტერმინი და ფორმულა, რომლებსაც იგი ** იყენებს, ... | მას | ემსახურება საზოგადოებრივი კლასების, ჯგუფების, უჯრედებისა და მათი ურთიერთობის აღსანიშნავად.

მცდარია V

როცა ამა თუ იმ ბურჟუაზიული მოაზროვნის ფილოსოფიურ სისტემასთან გვაქვს საქმე, ჩვენ საქმე გვაქვს საზოგადოების კლასობრივი აგებულების სურათთან, რომელიც დახატულია პირობითი ნიშნების დახმარებით და რომელიც აღადგენს გარკვეული ბურჟუაზიული ჯგუფის სოციალურ profession de foi-ს...

მცდარია!

[7]... არ შეიძლება მივიღოთ ეს სურათები ისეთ რამედ, რის უტილიზაცია და პროლეტარულ მსოფლმხედველობასთან შეთანხმებაც შესაძლებელი იქნებოდა.

* — ვ. შულიატიკოვის წიგნის გვერდები. რ ე დ.

** — ფილოსოფია. რ ე დ.

ბოდა. ეს იქნებოდა ოპორტუნისმში გადავარდნა, ცდა იმისა, რომ შეგვეთავსებინა შეუთავსებადი.

... მსგავსი გადაფასების პირველ, ბრწყინვალე ცდას

sic!

ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ. ა. ბოგდანოვის სტატია «ავტორიტარული აზროვნება»*, უეჭველია, ფილოსოფიის ისტორიაში ახალ ერას გადაგვიშლის: ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ სპეკულაციურმა ფილოსოფიამ დაჰკარგა თავისი ორი ძირითადი ცნების — «სულისა» და «სხეულის» გამოყენების უფლება; გამორკვეულ იქნა, რომ ეს ცნებებში ავტორიტარულ მიმართებათა ფონზე ჩამოყალიბდა და ანტითეზამ მათ შორის ასახა სოციალური ანტითეზა — მარგანიზებული «ზედაფენების» და შემსრულებელი «ქვედა ფენების» ანტითეზა. ბურჟუაზიულმა კრიტიკამ განსაცვიფრებელი თანამიმდევრობით მიაჩუმათა რუსი მარქსისტის ნაშრომი...

!!

რა სისულე-
ლეა!

[8]... ასეთ პირობებში ფილოსოფიური ცნებებისა და სისტემების სოციალურ-გენეტიკური ანალიზი არა მარტო სასურველი, არამედ პირდაპირ აუცილებელიცაა. ამოცანა უაღრესად ძნელი და რთული ამოცანათაგანია. თანამედროვე მოდური სისტემები, მაგალითად, ნეოკანტელობა ანუ მანხიზმი...

[9—10]... ჩვენი ნარკვევი არ არის განკუთვნილი სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის... ფილოსოფიისადმი ინტერესს იჩენს დემოსი... ჩვენი გადმოცემა რამდენადმე ელემენტარულ ხასიათს ატარებს... იმ თვალსაზრისის ათვისება, რომელსაც ჩვენ ვიცავთ... უფრო ადვილად შეიძლება, თუ იგი ილუსტრირებული იქნება არა გვებგირთელა, არამედ ეკონომიურად შეერჩეული მასალათ.

I

მარგანიზებული და საორგანიზებული «საწყისები»

[11]... გაჩნდა ეკონომიური უთანასწორობა: ორგანიზატორები თანდათან განდნენ მესაკუთრენი წარმოების იარაღებისა**, რომლებიც ოდესღაც საზოგადოებას ეკუთვნოდა...

* — მოთავსებულია მისი სტატიების კრებულში «На психологии общества».

** — ამ შემთხვევაში ჩვენ რამდენადმე ვცილდებით იმ ასხნა-განმარტებას, რაც ამხ. ბოგდანოვმა შემოგვთავაზა: ამხ. ბოგდანოვი უკანასკნელ გარემოებას არ აძლევს იმ მნიშვნელობას, რაც მას, უეჭველია, ჰქონდა, არც კი ასახელებს მას. ამ საკითხზე ჩვენ შემთხვევა გვეზიდა გველაპარაკება სხვა ადგილას: ჟღასობრივი ბრძოლის ისტორიიდან და პრაქტიკიდან (მბრძანებელი კლასების გენეზისისადმი მიძღვნილ თავებში). ს. დოროვატსკისა და ა. ჩარუშნიკოვის გამოცემა

[99]

აი სისულე-
ლეც ცხადია!!

ბელეტრის-
ტიკა და შიშ-
ველი ფრაზა.
მეტისმეტად
„ზოგადია“!!
ფრაზები.
ველური და
პირველყო-
ფილი კომუ-
ნიზმი მიფუ-
ჩეჩებულა.
ასევე მატე-
რიალიზმი და
იდეალიზმი
საბერძნეთში

მხოლოდ
იდეალიზმი!

ასე, ასე.
და ბერძნუ-
ლი მატე-
რიალიზმი?

[11—12]... «ავტორიტარული» საზოგადოების წარ-
მოებითი ურთიერთობანი... პირველყოფილი ველუ-
რი ყველგან ხედავს ორგანიზატორული ნების გა-
მოვლენას. «...შემსრულებელი მისაწვდომია გარე-
გარმნობებისათვის — ეს არის ფიზიოლოგიური ორგა-
ნიზმი, სხეული; ორგანიზატორი მათთვის მიუწვდომე-
ლია, იგი ხაგულისხმევია სხეულის შიგნით; ეს არას
სულეერი პიროვნება...»

[13]... სულის ცნება სულ უფრო განყენებულ ხა-
სიათს ღებულობს.

[14]... ზოცა ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაში

დაისვა ცნობილი საკითხი: როგორაა შესაძლებელი, რომ წმინდა, უცვლელი, არამატერიალური სუბსტან-
ციიდან გამომდინარეობდეს მატერიალური სამყაროს წარმავალ მოვლენათა მრავალნაირობა? რა მიმართე-
ბაშია «ყოფიერება» «ქმნადობასთან»? — ეს არ იყო, წინააღმდეგ ფილოსოფიის ყოველგვარი ისტორიო-
გრაფების რწმუნებისა, ადამიანის კეთილშობილო აზრის უმაღლესი აღმაფრენა, უაღრესად უანგარო ძალა, მიმართული იმისაკენ, რომ გამოეცნოთ სამყაროს უდიდესი საიდუმლოება და ამით სამარადისოდ გაეხედნიერებინათ ეს ადამიანთა მოდგმა. საქმის ვითარება გაცილებით უფრო მარტივი იყო საკითხის ამგვარი დაყენება სხვას არას ლაპარაკობდა, თუ არა იმას, რომ საბერძნეთის ქალაქებში საზოგადოების ფენებად დაყოფის პროცესი შორს წავიდა, რომ უფესკრული სოციალურ «ხედა ფენებსა» და «ქვედა ფენებს» შორის უფრო გაღრმავდა და ორგანიზატორთა

ძველმა იდეოლოგიამ, რომელიც ნაკლებად დიფერენცირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას შეეფერებოდა, დაკარგა თავისი არსებობის უფლება. უწინ, მიუხედავად სუბსტანციისა და მოვლენათა სამყაროს მთელი სხვაობისა, უშუალო კავშირი მათ შორის არ იწყვედა ექვს. ახლა ამ კავშირის არსებობას უარყოფენ. სუბსტანცია და მოვლენათა სამყარო გამოცხადებულია უთანაზომო სიდიდეებად. ურთიერთობა მათ შორის შესაძლებელია მხოლოდ შუალედური რგოლების მეშვეობით. ანდა, თუ უფრო ფილოსოფიური ენით ვიტყვი, მათი ურთიერთდამოკიდებულება ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ არც გრძნობათა საშუალებით, არც ჩვეულებრივი აზროვნების შემწეობით: ამისთვის საჭიროა რომელიმე განსაკუთრებული «იდეის», განსაკუთრებული ინტუიციის დახმარება.

სკეპტიკოსები??

II

მაცოცხლებელი და საცოცხლებელი «საწყისები» მანუფაქტურული წარმოების პერიოდში

[15]... ამავე საკითხს, — სულიერი და მატერიალური «საწყისების» საკითხს, მათ შორის უშუალო კავშირის უქონლობის საკითხს აყენებდნენ და წყვეტდნენ ახალი ფილოსოფიის პირველი მსწავლებლები...

[16]... რენესანსისა და მომდევნო ეპოქათა სპირიტუალისტურ სიმპათიებს ჩვეულებრივ გაკვრით იხსენიებენ, მაგრამ ისინი მეტად დამახასიათებელია *...

[17]... შუა საუკუნეების ხელოსანი, როცა იგი ორგანიზატორი იყო, შემსრულებლის ფუნქციებსაც ასრულებდა — თავის ქარგლებთან ერთად მუშაობდა. მანუფაქტურისტი-ბურჟუა იცნობს მხოლოდ ერთი ტიპის ფუნქციებს: იგი წმინდა წყლის ორგანიზატორია. პირველ შემთხვევაში ნიადაგი «ფაქტების წარმოდგენის» იმ დუალისტური «ხერხისათვის», რომელიც ამხ. ბოგდანოვმა გაარკვია, მართალია, მოცემულია, მაგრამ მაინც ორგანიზატორისა და შემსრულებლის ანტითეზა რამდენიმედ მიჩქმალულია, რის გამოც მისი შესაბამისი, იდეოლოგიის დარგში, ანტითეზა სულიერი და მატერიალური, აქტიური და პასიური საწყისისა ვერ მიიღებდა მკვეთრ ფორმას...

[17]... შუა საუკუნეების ხელოსნის სახელოსნოში არ

რა სისულელეა

* — მოგაგონებთ, რომ მარქსი «კაპიტალის» I ტომში და კ. კაუტსკი აღნიშნავენ დამოკიდებულებას აბსტრაქტულ რელიგიურ შეხედულებებსა და საქონელწარმოების განვითარებას შორის.

ეს იმ ყაიდაზე როდია, როგორც შენ გაქვს

მაგ., განსწავ-
ლულნი და
რომლებიც
მათთან სწავ-
ლობენ

იყო ადგილი ეგრეთწოდებულ განუსწავლელი, არა-
კვალიფიციური შრომის წარმომადგენელთათვის. მა-
ნუფაქტურულ სახელოსნოში მათთვის სამუშაო მოი-
პოვება. ისინი შეადგენენ «ქვედა ფენას». მათ შემოთ-
განეწყობიან სხვა ფენები, სხვა მუშათა ჯგუფები,
რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კვალი-
ფიკაციის დონით. უკვე მათ წრეში წარმოიქმნება ზო-
გიერთი ორგანიზატორული ფენა. ავდივართ რა შემ-

ფრა-
ზა

მე-19 გვერ-
დისადმი

დგ რგოლების აღმავალი კიბით, ჩვენ ვხედავთ სა-
წარმოს ტექნიკური დაყენების გამგეთა და ადმინის-
ტრატორთა ჯგუფებს. საწარმოს მფლობელი «განთა-
ვისუფლებულია», ამრიგად, არა მარტო ყოველგვარი
ფიზიკური შრომისაგან, არამედ ბევრი წმინდა ორგა-
ნიზატორული მოვალეობისაგანაც...

[19]... შუა საუკუნეების მოაზროვნეთა საპირისპი-
როდ ახალი ფილოსოფიის «მამები» თავიანთ სისტე-
მებში ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ წარმავალ
მოვლენათა სამყაროს, დაწვრილებით სწავლობენ მის
აღნაგობას, განვითარებას, მისი ნაწილების თანაფარ-
ლობას, ჰქმნიან ნატურფილოსოფიას. მანუფაქტურულ
საწარმოთა ხელმძღვანელების იმავე «ამაღლებულმა»
პოზიციამ, რამაც ახალი ფილოსოფიის მამებს ორგანი-
ზატორული ნების «წმინდა» იდეა შთააგონა, უპარანახა
მათ, ასევე, მატერიალური სინამდვილის პროცესებას
ახსნა-განმარტება, ე. ი. პროცესებისა, რომელთაც



ვინ? იხ.
გვ. 17.

ადგილი აქვთ საორგანიზებელ მასაში.
საქმე ისაა, რომ მანუფაქტურული საწარმოს ხელ-
მძღვანელი მხოლოდ ბოლო რგოლია ორგანიზატორუ-
ლი რგოლების საკმაოდ გრძელ ჯაჭვში. მის მიმართ
დანარჩენი ორგანიზატორები დაქვემდებარებულნი
არიან და, თავის მხრივ, უპირისპირდებიან მას, ჯო-
გორც საორგანიზებელნი. ...მაგრამ რამდენადაც მათა
როლი განსხვავებულია მთავარი ხელმძღვანელის რო-
ლისაგან, რამდენადაც ეს როლი დაყვანილია იმ ტექ-
ნიკურ მუშაობაში მონაწილეობამდე, რომლიდანაც
მთავარი ხელმძღვანელი «განთავისუფლდა», იმდენად
მათი «სულიერი» ხასიათი იჩრდილება, იმდენად მათი
მოქმედება ფასდება როგორც «მატერიის» მოქმედება...

სისულელეა!

[21 — 22]... ბურჟუაზიული სისტემა საერთოდ ორპი-
რი იანუსია... მართალია, დუალიზმის გადამწყვეტ და-
ფორმულებას ჩვენ ვპოულობთ მხოლოდ კარტეზიელო-
ბაში, — სისტემაში, რომელიც სწორედ ახალი სამეურ-
ნეო ერის გარიჟრაჟზე შეიქმნა; მართალია, შემდგომი
ფილოსოფიური სისტემები, დაწყებული სპინოზას
სისტემიდან, ლმერთისა და სამყაროს, სულისა და სხე-

ულის კარტეზიულ დაპირისპირებას აცხადებენ წინა-
აღმდეგობრივ დაპირისპირებად. ... დუალისტურ თვალ-
საზრისზე გამარჯვებას როდი მოწმობენ, თავის მხრივ,
ბურჟუაზიული ფილოსოფიის მატერიალისტური და
პოზიტიური სისტემები. განსხვავება ბურჟუაზიულ მე-
ტაფიზიკასა და ბურჟუაზიულ «დადებითს მსოფლმხედ-
ველობას» შორის არც ისე დიდია, როგორც ეს ერთი
შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ... იერიში მატერია-
ლიზმის მხრივ მიმართულია არა იმ ძირითადი წა-
ნამძღვრის წინააღმდეგ, რომელიც მეტაფიზიკამ წა-
მოაყენა: მორგანიზებელი ნების ცნება მატერიალიზმს
არ წაუშლია. იგი გამოდის მხოლოდ სხვა სა-
ხელწოდებებით: «სულს» შეენაცვლება, მაგალითად,
«ძალა»...

[22 — 23]... XVII საუკუნეში, თავის «მგზნებარე
მისწრაფებათა» დღეებში, ინგლისის ბურჟუაზია ქა-
დაგებდა მოძღვრებას, რომლის თანახმად სამყაროში
ყველაფერი უნდა აიხსნას როგორც მატერიალური ნა-
წილაკების მოძრაობა, რომელიც მექანიკური აუცი-
ლებლობით ხდება. ინგლისის ბურჟუაზია საძირკველს
უყრიდა მაშინ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობას..
მთელ სამყაროს ისინი გვიხატავდნენ ისეთი მატერია-
ლური ნაწილაკების ორგანიზაციის სახით, რო-
მელთა შეერთება იმანენტური კანონების თანახ-
მად ხდება...

[23 — 24]... ასეთივე ტრაქტატებით ავსებდა წიგნის
ბაზარს საფრანგეთის ბურჟუაზია XVIII საუკუნის მეო-
რე ნახევარში. ...და თუ რა არის საწარმოთა შინაგან-
აგებულება, ჩვენ ვიცით: ეს არის მატერიისა და მექა-
ნიკური პროცესების სამეფო. აქედან განზოგადება:
ადამიანი — ეს არის მანქანა, ბუნება — ეს არის მან-
ქანა...

... მატერიის მოძრაობას განაპირობებს თვით მატერია,
უფრო ზუსტად, მისი საკუთარი ძალა (პოლბახი). ორ-
განიზატორული ნება, როგორც ხედავთ, კვლავ უაღ-
რესად გარდაიქმნა, მაგრამ მისი არსებობა დასტურდ-
ება და აღიარებულია როგორც უთუოდ აუცილებელი.
... მანუფაქტურისტები | არ | გამოდიოდნენ რევოლუ-
ციური «შტურმ-უნდ-დრანგერების» სახით...

NB

ფილოსო-
ფიის ისტო-
რიის ამ გაუ-
ხამსებაში
სრულიად და-
ვიწყებულია
ბურჟუაზიის
ბრძოლა
ფეოდალიზმ-
თან.

არა აქედან

და მათი ბრძო-
ლა ხუცობას-
თან? შულია-
ტიკოვმა დაა-
მახინჯა ის-
ტორია!

?

III

კარტუზიელობა

|| [25]... საორგანიზებელნი საჭიროებენ ორგანიზატორს...

NB
რა სისულელა!
პროლეტარიატი
=მატერიალია.

[26]... შუალედურ ორგანიზატორულ რგოლებს — «ინდივიდუალურ სულებს» თავიანთი ორგანიზატორული როლის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ უმაღლესი ორგანიზატორული ცენტრი არსებობს. მხოლოდ ამ უკანასკნელის მეოხებით ხდება მათი შეხვედრა პროლეტარიატთან — «მატერიალთან» — ორგანიზებული მთელის, მანუფაქტურული სახელოსნოს ფარგლებში...

სისულელა



[27]... დეკარტის ცნება ადამიანის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა შემდგომი გავრცელება აზროვნების გარკვეული ფორმისა, «ფაქტების წარმოდგენის გარკვეული წესისა, ფსიქიკაში მათი შეერთების გარკვეული ტიპისა». ჩვენ დავინახეთ, რომ სამყარო, დეკარტის სისტემაში, ორგანიზებულია მანუფაქტურული საწარმოს ტიპის მიხედვით...

... ჩვენ საქმე გვაქვს გონებრივი შრომის კულტთან...



[28]... მე ვარ ორგანიზატორი და, როგორც ასეთს, შემძლია ვიარსებო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეეასრულებ ორგანიზატორულ და არა შემსრულებლობითს ფუნქციებს: აი რას ნიშნავს დეკარტის მტკიცება, თუ მას კლასობრივი ურთიერთობის ენაზე გადავიტანთ...

... ჩვეულებრივი, გულუბრყვილო შეხედულება გარესამყაროს წარმოიდგენს ისეთად, როგორც იგი მას ეხატება გრძნობათა პრიზმის გავლით...

პლატონის
„იდეები“ კი

[29]... მუშის — როგორც მხოლოდ სარაჯის ან როგორც მხოლოდ მეშპალერის — ცნება ადგილს უთმობს საერთოდ მუშის ცნებას. სამუშაო ძალის «არსების» პროფესია უკვე არ შეადგენს...

[31]... დრო, განმარტავს დეკარტი, არ შეიძლება მატერიის თვისებად ჩაითვალოს: ის არის «მოდუსი აზროვნებისა», გვაროვნული ცნება, რომელსაც უკანასკნელი ქმნის...

[32—33]... ფილოსოფია ამიერიდან კაპიტალის ერთგული მსახურია. ...ფილოსოფიურ ღირებულებათა გადაფასებას განსაზღვრავდა გადაადგილება ორგანიზატორულ ზედა ფენებში და საორგანიზებელ ქვედა

ფენებში. ახალი ორგანიზატორები, ახალი საორგანი-
ზებელი — ახალი ცნებანი ღმერთისა და სულის შე-
სახებ, ახალი ცნებანი მატერიის შესახებ...

IV

სპინოზა

[37]... სულისა და სხეულის ყოველგვარი ურთიერ-
ობა მხოლოდ ღმერთის მეშვეობითაა. შუალედური
ორგანიზატორული რგოლების ყოველგვარი ურთი-
ერთობა საორგანიზებელ მასასთან მხოლოდ უმაღლესი
ორგანიზატორის სანქციით ხდება!

... მატერიის მოძრაობა და სულის მოქმედება ერთი
და იმავე პროცესის მხოლოდ ორი მხარეა. არა-
ვითარ ურთიერთქმედებაზე სულსა და მატერიას შო-
რის ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

[41]... ცლა, გრძნობადი აღქმა მისთვის ნივთთა შე-
მეცნების აუცილებელი პირობაა...

[42]... მაგრამ... როცა სპინოზა გარდაიცვალა, რო-
გორც ცნობილია, სამგლოვიარო ეტლს, რომელსაც
მისი ნეშტი მიჰქონდა, დიდი ზარ-ზეიმით აცილებდა
ჰოლანდიის ბურჟუაზიის fine fleur. ხოლო თუ ჩვენ
უფრო ახლოს გავეცნობით მისი ნაცნობებისა და კო-
რესპონდენტების წრეს, კვლავ შევხვდებით არა მარტო
ჰოლანდიის, არამედ აგრეთვე მსოფლიო ბურჟუაზიის
fine fleur-საც. ...ბურჟუაზია პატივს სცემდა სპინო-
ზაში თავის მგოსანს.

სპინოზას მსოფლგაგება — ეს არის გამარჯვებული
კაპიტალის სიმღერა, — კაპიტალისა, რომელიც ყვე-
ლაფერს ნთქამს, ყველაფრის ცენტრალიზაციას ახ-
დენს. ერთიანი სუბსტანციის გარეშე არ არის ყოფიე-
რება, არ არის ნივთები: მსხვილი, მანუფაქტურული
საწარმოს გარეშე მწარმოებლებს არ შეუძლიათ არსე-
ბობა...

ბავშვობაა

V

ლაიბნიცი

[45] ლაიბნიცის ღმერთი — ეს არის სანიმუშოდ და-
ყენებული საწარმოს მესაკუთრე და თვითონ შესანიშ-
ნავი ორგანიზატორი...

რახარუხია

VI

ბერკლი

ახსნა რა!
მატერია-
ლიზმი პრიმი-
ტიული à la
Loria

[51]... ინგლისის კაპიტალისტური ბურჟუაზიის 1)
Sturm und Drang'-ის პერიოდს შეეფერებოდა ჰობსის
მატერიალიზმი. მანუფაქტურისათვის ნიადაგი გაწმენ-
დილია, მანუფაქტურისტიებისათვის დგება მშვიდობიანი
დრო: ჰობსის მატერიალიზმს ცვლის ლოკის ნახევარუ- 2)
ლი სისტემა. მანუფაქტურის პოზიციის შემდგომმა გან-
მტკიცებამ განაპირობა ანტიმატერიალისტურ გა- 3)
მოსვლათა შესაძლებლობა.

ბერძნების
რელატი-
ვიზმი კი

[56]... «მუშების მიზიდვა და უკუგდება უნდა წარ-
მოებდეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე». აღსა-
ქმნელ კომპლექსებში სრულიად არავეითარი აბსოლუ-
ტური ელემენტები არ არის. ყველაფერი შეფარდე-
ბითია.

VII

იუმი

ყრუ და არა-
ზუსტია

მიყარე ერთ
გროვში!
იდელიზ-
მიც, სკეპტი-
ციზმიც, ყვე-
ლაფერი „შე-
ეფერება“ მა-
ნუფაქტურ-
რას!

მარტივი,
ძლიერ მარ-
ტივია ამხ.
შულიატი-
კოვი.

[61]... მისი ნათესაობა კი ყველა იმ მოაზროვნესთან,
რომლებიც წინა თავებში მოხსენებულა, უეჭვე-
ლია...

ფილოსოფიური სკეპტიციზმის პოზიცია, რომელიც
იუმმა დაიკავა, შეეფერება სწორედ მსგავს წარმოდგე-
ნას კაპიტალისტურ ორგანიზმზე.

IX

ფიხტე, ფელინგი, ჰიბელი

? ფიხტე კი?

ფიხტე? X

[81]... ჩნდება ეგრეთწოდებული ობიექტური იდეა-
ლიზმის სისტემები...

[88]... ობიექტური იდეალისტები...

[94]... მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიული მსოფლგაგების ყველა სისტემაში «მატერია» ითვლება დაქვემდებარებულ საწყისად (მატერიალისტებთანაც კი, რომლებიც, ვიმეორებთ, აღნიშნავენ მის დაქვემდებარებულ მდგომარეობას, შემოაქვთ რა «ძალის» ცნება)...

სისულელეა „მოძრაობის“ ცნება კი?

[98]... ფიხტეს ანტითეზისური მეთოდიდან და პოტენციების შესახებ შელინგის მოძღვრებიდან ერთი ნაბიჯია ჰეგელის დიალექტიკამდე. და ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ თავში ანტითეზისურ მეთოდზე ითქვა, ჩვენ ისღა გვრჩება, რომ რამდენიმე დამატებითი შენიშვნა გავაკეთოთ ჰეგელის დიალექტიკის შესახებ. დიალექტიკის «რეალური სარჩული» ჩვენ უკვე გამოვარკვეეთ.

რა სისულელეა

ჰეგელმა მხოლოდ უფრო სრულად დასაბუთა «დაპირისპირებულობათა» გზით განვითარების თეორია, დასახული ორი სხვა ობიექტური იდეალისტის მიერ...

ფიხტე — ობიექტური იდეალისტი!!!

[98—99]... ჰეგელის მიერ ახალშემოღებული წესი ხაზს უსვამს შემდეგ ფაქტს «რეალური» ურთიერთობათა სფეროდან. ფუნქციებისა და როლების დიფერენციაცია მანუფაქტურაში თავის maximum-ს აღწევს. ხდება ყოველი ცალკეული შემსრულებლობითი და ყოველი ცალკეული ორგანიზატორული ჯგუფის [ფენებად დაშლა]. რომელიმე გარკვეული ჯგუფის კუთვნილი ფუნქციები ნაწილდება სხვადასხვა, ახლადშექმნილ ჯგუფებს შორის. თითოეული ჯგუფი ნაწევრდება, გამოყოფს თავისი წრიდან ახალ ჯგუფებს. და მანუფაქტურისტების იდეოლოგიც ითვალისწინებს დანაწევრების ამ პროცესს, როგორც ამა თუ იმ «საწყისის» შინაგანი განვითარების პროცესს...



რა სისულელეა!

X

«მანუფაქტურული» ფილოსოფიის აღმორძინება

[100]... ჰერეტიკი ფილოსოფია კარგავს ნდობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მართალია, ეს ერთბაშად არ ხდება. მაგრამ ერთბაშად მანქანასაც არ დაუპყრია მრეწველობის ტერიტორია...

რა სისულელეა!

[101]... რით აიხსნება ახალ იდეოლოგიურ სისტემათა დადებითი ხასიათი? კონტრასტების უბრალო კა-

- ნონით, უბრალო მისწრაფებით იმისადმი, რომ «გააკეთო» იმის «საწინააღმდეგო», რაც გუშინდელი დღის «სარწმუნოების სიმბოლოს» შეადგენდა?..
- გაინდივიდუალებული «კომპლექსები» — ივანე, პეტრე, იაკობი ქრება. მათ მაგივრად სახელოსნოებში ჩნდება მუშა საერთოდ. «მატერიას» უბრუნდება მისგან ექსპროპრიირებული «თვისებრიობანი»...
- რა სისულელეა!
- [102]... ხდება მატერიის რეაბილიტაცია. ბურჟუაზიულ საზოგადოებას შემოაქვს ახალი კერპის — «გარემოს» კულტი... მართალია, ამასთან მხედველობიდან არაა გაშვებული, რომ, ასე თუ ისე, მატერია ჩნდება მატერიად, ე. ი. საორგანიზებელ მასად, და როგორც ასეთს, «ხელმძღვანელის» გარეშე მას არსებობა არ შეუძლია და მატერიასთან სპეციალისტად ორგანიზატორულ მოვალეობათა ხაზით მივლინებულია «ძალა». იწერება ტრაქტატები Stoff und Kraft-ის შესახებ (მატერიისა და ძალის» შესახებ)...
- რა სისულელეა
- [104] ფაბრიკების უახლესი ორგანიზაციის შედარება მანუფაქტურის შინაგან აგებულებასთან უკვე a priori გვიკარნახობს პასუხს: ბურჟუაზიული მსოფლგაგების ახალი სახესხვაობა უნდა აღადგენდეს მანუფაქტურული ეპოქის მსოფლგაგების არსებით ნიშნებს...
- [106] ნეოკანტელობის შემცველად გამოდის «მობრუნება» «კანტამდელი» აზროვნების სისტემებისაკენ.

XI

3. ვუნდტი

NB

[108] «... ო ბ ი ე ქ ტ ს ვ ე რ ა ს დ რ ო ს ვ ე რ ჩ ა - მ ო ა შ ო რ ე ბ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს და წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს — ო ბ ი ე ქ ტ ს...»

[113]... მოყვანილი მსჯელობანი უკვე საკმაოდ ნათლად გვიხატავენ ვუნდტს როგორც ფილოსოფოსს, რომელიც ამოცანად ისახავს მატერიალიზმთან ბრძოლას ანდა, თუ მოდურ ტერმინს ვიხმართ «Überwindung des Materialismus», «მატერიალიზმის დაძლევის», — და თანაც არ აცხადებს, რომ იგი დგას იმ სკოლის მხარეზე, რომელიც მატერიალიზმის ტრადიციულ მოწინააღმდეგედ ითვლება...

[114]... ფილოსოფიის დარგში შუალედური ორგანიზატორული რგოლებისა და «ფიზიკური» შრომის წარმომადგენელთა, «დაბალ შემსრულებელთა» გათანაბრებაზე ლაპარაკობს სწორედ მისწრაფება იმისადმი, რომ დაეახსიანათთ «სუბიექტი» და «ობიექტი», «ფსიქიკური» და «ფიზიკური» როგორც ისეთი რამ, რაც შეადგენს «გ ა ნ უ ყ ო ფ ე ლ» მთელს, მისწრაფება იმისადმი, რომ ანტითეზა დასახელებულ მოვლენებს შორის შემეცნებითს ფიქციამდე დავიყვანოთ. ავენარიუზის მოძღვრება პრინციპული კოორდინაციის შესახებ, ერნსტ მახის მოძღვრება ფსიქიკურის ფიზიკურისადმი დამოკიდებულების შესახებ, ვუნდტის მოძღვრება წარმოდგენების — ობიექტების — შესახებ — ყოველივე ეს ერთი ხასიათის მოძღვრებანია...

სისულელა
ეს სწორია, მაგრამ ვერაა კარგად ნათქვამი

[116]... დღემდე არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ვუნდტის მონისტურ შეხედულებებს გარკვეული თანამიმდევრობა არა აქვთ. არ შეიძლება, ასევე, იდეალისტური სიმპათიები დასწამო მას...

ჰა-ჰა!
ეკლექტიკოსია ტყუილია

[118]... სწორედ ამგვარ ნახტომს აკეთებს ვუნდტე, რომელიც წარმოდგენებზე-ობიექტებზე მოძღვრების კვალდაკვალ აყენებს თავის მსჯელობას «ფსიქოფიზიკური პარალელიზმის» შესახებ...

[121]... «ატრიბუტები» გარდაიქმნება მწყერივებად, მაგრამ ეს არის რეფორმა, არსებითად, უფრო სიტყვიერი ხასიათისა...

||

[123]... სულიერ საწყისს ენიჭება პრიმატი...

X სწორია

[123—124]... ყოველივე სხეულებრივს უეშველად თავისი ფსიქიკური კორელატი აქვს. არც ერთ მუშას, რაგინდ მარტივ ფუნქციასაც ასრულებდეს იგი, არ შეუძლია არავითარი პროდუქტების წარმოება, არ შეუძლია გ-მოიყენოს თავისი სამუშაო ძალა. არ შეუძლია იარსებოს, თუ გარკვეული ორგანიზატორის უშუალო, დეტალური «ხელმძღვანელობის» ქვეშ არ იქნება...

?
?

... მაგრამ ფსიქიკური მწყრივი — ეს «ორგანიზატორებია», ხოლო უკანასკნელთა «თანხლება» ფიზიკური მწყრივისათვის — მუშებისათვის, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა დამოკიდებულებას...

?
?

[128]... ამრიგად, ფილოსოფიამ, ვუნდტის აზრით, უნდა გადალახოს ცდის საზღვრები. შეიქნას იგი. საჭიროა ფილოსოფიური ანალიზი განვადრძოთ მანამდე, სანამ არ მივიღებთ ერთიანობის იდეას, რომელიც მოიცავს ორივე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მწყრივს. გამოთქვა რა ამგვარი აზრი, ეუნდტი

ჩქარობს მყისვე გააკეთოს მისთვის მნიშვნელოვანი შენიშვნა: იგი აცხადებს, რომ სამყაროს ერთიანობა შეიძლება გავიზაროთ ჩვენ ან როგორც ერთიანობა მატერიალური ანდა როგორც ერთიანობა სულიერი: პრობლემის შესამე გადაწყვეტა არ არსებობს...

[129]... ვუნდტი უარს ამბობს იმაზე, რომ თავის საყოველთაო ერთიანობის იდეას სუბსტანცია უწოდოს. იგი განმარტავს მას, როგორც წმინდა გონების იდეას, ე. ი. კანტისეულ ყაიდაზე როგორც კანტისეული ღმერთი არის უმაღლესი «ჩამომყალიბებელი», არასუბსტანციური საწყისის იდეა, ისე ვუნდტისეული ყოვლად-ერთიანობა არის იდეა არასუბსტანციური მთელისა, რომლის მეოხებითაც ყველა მოვლენას სასიცოცხლო აზრი, გარღვეული ღირებულება ენიჭება. ამ იდეის თვალსაზრისით ქრება ის «ცარიელი და უნუგეშო» მსოფლმხედველობა, რომელიც მოვლენათა გარეგან განაწესში, მათს მექანიკურ კავშირში ხელახს ამ მოვლენათა ჰეგელიანურ არსებას. მის ნაცვლად ჩვენ ვითვისებთ შეხედულებას კონსმოსურ მექანიზმზე, როგორც სულიერი მოქმედებისა და შემოქმედების გარეგან გარსზე...

[130]... ამასთან ვუნდტი გაძლიერებით უსვამს ხაზს აქტუალობის ელემენტს. საყოველთაო ერთიანობის, «სამყაროს საფუძვლის» იდეა მას დაჰყავს საყოველთაო ნების იდეამდე...

[131]... ჩვენ არ შეგუდგებით იმ ფორმულირების დაწვრილებით განხილვას, რომელიც მან შემოგვთავაზა, არ შეგუდგებით «ვოლუნტარიზმის» შესახებ მისი თეორიის გარკვევას...

... მაშასადამე, კაპიტალისტური ბურჟუაზიის თანამედროვე ავანგარდის იდეოლოგიებს არ შეუძლიათ ილაპარაკონ რაიმე «მუდმივ» საორგანიზებელ საწყისებზე, არამედ ისინი უნდა ახასიათებდნენ ამ საწყისებს, როგორც ისეთ რამეს, რაც უაღრესად ცვალებადია, რაც მარად მოძრაობის მდგომარეობაში იმყოფება...

XII

ემპირიოკრიტიციზმი

[133]... ვუნდტის კრიტიკას არ ჰქონდა შემოუსვრელი ძალა, იგი უმიზნებდა წარმოსახვითს მიზანს. ვუნდტის გამოსვლა და ის პასუხი, რაც მას ავენარიუსის* მოწაფეთა ბანაკიდან მოჰყვა, არ მოასწავებდა ისეთ

* — პირველად უპასუხა კარსტანენმა.

სისულელეა!
შოპენჰაუერი კი?

შემდეგ Willy,
Petzoldt
(ორჯერ)
Kleinpeter.

მსოფლგაგებათა შეჯახებას, რომლებიც ეკუთვნოდა ორ სხვადასხვა კლასს ანდა ერთი და იმავე კლასის ორ დიდ ჯგუფს. აღნიშნული ფილოსოფიური შეჯიბრების სოციალურ-ეკონომიურ სარჩულს წარმოადგენდა, მოცემულ შემთხვევაში, შედარებით უმნიშვნელო განსხვავება უახლესი კაპიტალისტური ორგანიზაციების ყველაზე მოწინავე და რამდენადმე უფრო ნაკლებ მოწინავე ტიპებს შორის...

სწორია

[134]... ჩვენ კიდევ მეტი უნდა ვთქვათ: ემპირიოკრიტიკული ფილოსოფია უნდა გავიგოთ, უწინარეს ყოვლისა, როგორც აპოლოგია ხსენებული იდეისა. ფუნქციური დამოკიდებულების ცნება არის მიზეზობრივი დამოკიდებულების უარყოფა...

ეს ასეა ვითომ?

[135 — 136]... ჰეღლინგის დასკვნა უნდა მივიჩნიოთ, საერთოდ, მართებულ დასკვნად. უხეიროა მხოლოდ მისი მითითება «მიზანშეწონილობის მოტივებზე»: ეს მოტივები ბუნდოვანი და გაურკვეველია.

რა თქმა უნდა, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ფუნქციურობა არ შეიძლება იყოს მიზეზობრიობის სახეობა.

ავენარიუსი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ დათმობას აკეთებდა მატერიალისტური ფრაზეოლოგიის მიმართ, დათმობას, რომელიც შეპირობებული იყო მისი სოციალური პოზიციით. ...ვეულგარულ სპირიტუალიზმთან შედარებით «პარალელისტების» შეხედულებანი შეიძლება ბევრს მოჩვენებოდა მატერიალისტურ შეხედულებად. იგივე ითქმის ემპირიოკრიტიციზმის შეხედულებათა შესახებაც. მატერიალიზმთან მათი დაახლოების შესაძლებლობა განსაკუთრებით დიდია... მკითხველი საზოგადოების ფართო ფენებშიც გარკვეული აზრი შეიქმნა ემპირიოკრიტიციზმზე, როგორც მატერიალისტურ სკოლაზე. კიდევ მეტი, სპეციალისტი-ფილოსოფოსებიც კი მცდარად მსჯელობენ მის შესახებ: თვით უახლესი ფილოსოფიის პატრიარქმა, ვილჰელმ ვუნდტმა, მას «მატერიალიზმი» უწოდა. დასასრულს, რაც ყველაზე საინტერესოა, ემპირიოკრიტიკოსებიც, ემიჯნებიან რა მატერიალიზმს, იმავე დროს ზოგჯერ მისი ტერმინოლოგიით სარგებლობენ, ხოლო ზოგჯერ თითქოს მერყეობენ კიდევ თავიანთ ანტიმატერიალისტურ შეხედულებებში...

მართლა?

ჰმ?

სიცრუეა!

რატომ? ეს უნ ვერ გაიგე! აა!

[137]... ასეთია რეალური სარჩული, რამაც ემპირიოკრიტიციზმს უკანახა აზრი ადამიანის შემეცნების

კლასიფიკაციის შესახებ, აზრი, რომელიც «ბიოლოგიური» კლასიფიკაციის პრინციპს ემყარება. მაგრამ ამგვარ «ბიოლოგიას», ვიმეორებთ, საერთო არაფერი აქვს...

[138 — 139]... დუალიზმი — გვასწავლის ავენაროუსი — ჩვენი მიაბსტრაქტირებული აზროვნების — «ინტროექციის» გარკვეული პროცესის ნაყოფია...

მაგრამ «გარეგანი» და «შინაგანი» სამყაროს ანტიოთეზა ნამდვილი ფიქციაა.

ამ ანტიოთეზის ანალიზი უაღრესად მნიშვნელოვანია, მან უნდა მოგვეცეს მონისტური მსოფლმხედველობის დასაბუთება. ავენარიუსის ფილოსოფიური სისტემის კომენტატორები დაჟინებით უსვამენ ხაზს ამ გარემოებას. «ინტროექციის შეუძლებლობის გამომჟღავნებით — აცხადებს ერთი მათგანი*, მიღწეულია ორი მიზანი...»

[140]... დაქვემდებარებული ორგანიზატორის წინაშე, თუ მის «აბსოლუტურ» თვალსაზრისზე დავდგებით, ე. ი. თუ შევხედავთ მას როგორც ორგანიზატორს, რომელიც არაა დამოკიდებული მის მმართველ «ნებაზე», მუშების სახით არის აგრეთვე მხოლოდ «ნივთი» ანუ «სხეული». მაგრამ ავიღოთ მეორე შემთხვევა: დაქვემდებარებული ორგანიზატორი არის უზენაესი «ნებისათვის» არა მარტო საორგანიზებელი, არამედ მაორგანიზებელიც... ყოფილი «ობიექტი», ახლა «სუბიექტად» ქცეული, «აორგანიზებს» მატერიას: აღამიანი შეიცავს თავისში ხეს, მაგრამ გარდაქმნილ ხეს, «წარმოდგენას» ხეზე...

[141—142]... «აღამიანის ცდის სისრულეს» ამტკიცებს ავენარიუსის მოძღვრებაც პრინციპული კოორდინაციის შესახებ...

...ავენარიუსის, ისევე როგორც ვუნდტის, «მწკრივები», არსებითად «უთანაზომონი» აღმოჩნდებიან. და მატერიალისტური მსოფლგაგების ნაცვლად, რაც მოსალოდნელი იყო, თუ ანგარიშს გავუწევდით კატეგორიულ განცხადებებს «ცდის სისრულის» შესახებ, წინა რიგში წამოყენებულია შეხედულებანი, რომლებიც ემპირიოკრიტიციზმის იდეალისტურ სიმპათიებს მოწმობენ...

მაგრამ იდეალისტურ მსჯელობათა გზაზე ვუნდტი და ავენარიუსი სცილდებიან ერთიმეორეს. «ფილოსოფიის სისტემის» ავტორი ამჟღავნებს ძლიერ მიდრეკილებას «კანტისეული» მოტივებისადმი. «სამყაროს შეესახებ აღამიანური ცნების» ავტორი გამოთქვამს შეხედულებებს, რომლებიც აახლოებენ მას იმ პოზიციასთან, რაც ოდესღაც ბერკლის ეკავა.

ვჩქარობთ შევნიშნოთ. ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს განზრახვა ვამტკიცოთ, რომ კლონინის ეპისკოპოსის

* — რდულაფ ვლასაკი; ციტირებ. მახის «შეგრძნებათა ანალიზში», გვ. 52.

ოპ, საეჭვოა!
იაფთასიანი
ანსხა-გან-
მარტებანი
დღდაარსის
უანალიზოდ!

მართალია!

ნაწარმოებებმა განსაზღვრეს ავენარიუსის თვალსაზრისი, რომ მათ უშუალო გავლენა მოახდინეს ავენარიუსზე. მაგრამ ორივე ფილოსოფოსის იდეალისტურ პოზიციათა მსგავსება უქვეყლია. ამ მსგავსებაზე ლაპარაკობს ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული მოძღვრება პრინციპულ კოორდინაციაზე, მთლიანად აღებული.

ისეთივე პირდაპირობით, როგორც ბერკლიც, ავენარიუსი აყენებს თეზისს: სუბიექტის გარეშე არ არის ობიექტები. ყოველი «ნივთი» უქვეყლიად უნდა «მიმართებაში იყოს» ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან, რომელიც ფუნქციური ცენტრის როლს ასრულებს...

[144]... უმაღლესი «ხელმძღვანელი» არ გამოდის არც გონების კანტისეული იდეის, კანტისეული «ფორმის» სახით, არც ეუნდტისეული «საყოველთაო ერთიანობის» სახით. მაგრამ ის მაინც არის, მაინც ფილოსოფიური სისტემის მთავარი ელემენტია. ყველა მოვლენა განიხილება სწორედ მისი თვალსაზრისით. მისი «უხილავი» ყოფნის პოსტულირება ხდება ორგანიზატორული საწყისის არაჩვეულებრივად მაღალი შეფასებით, რასაც საორგანიზებელ ორგანიზატორებზე წარმოდგენასთან ერთად აყენებენ. და სამყაროს იმ საერთო სურათში, რომელსაც ავენარიუსის მსჯელობანი იძლევიან, პირველ პლანზე გამოდის სწორედ მარგანიზებელი ფაქტორების ორგანიზატორული ხასიათი...

ავენარიუსის მიხედვით სამყარო წარმოადგენს ცენტრალურ ნერვულ სისტემათა აგლომერატს. «მატერია» აბსოლუტურად მოკლებულია ყოველგვარ «თვისებრიობებს», როგორც «პირველადს», ისე «მეორადს», რომლებიც ოდესღაც მის აუცილებელ კოთენილებად ითვლებოდნენ. უკლებლივ ყველაფერს მატერიაში განსაზღვრავს «სული», ანუ «წმინდა ცდის კრიტიკის» ავტორის ტერმინოლოგიით, ცენტრალური ნერვული სისტემა...

[145] «წმინდა ცდის კრიტიკის» ავტორი დიდი თანამიმდევრობით ანორციელებს იდეალიზმის თვალსაზრისს ბერკლის სტილის ყაიდაზე...

[146]... მანის მოძღვრება «მე»-ზე, როგორც ლოგიკურ სიმბოლოზე...

ავენარიუსის მსგავსად, მანმა იცის ორი «მწყრივი» — ფსიქიკური და ფიზიკური (ელემენტთა შეხამებას ორი სახეობა). ისე როგორც ავენარიუსთან, ეს სისტემები უთანაზომოა და იმავე დროს სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი აზროვნების ფიქცია. შენაცვლებით წამოყენებულია ხან მონისტური, ხან დუალისტური თვალსაზრისი: შუალედური ორგანიზატორული რგოლები

მართალია!

აქ შულიტიკოვის გაუგებრობა აქვს.

bien! *

ჰმ? ჰმ?

გაუგებრობაა

NB

* — კარგია! რ ე დ.

გაუგებრობაა აა!

გაუგებრობაა

სისულელეა!

შენაცვლებით დახასიათებულია ხან როგორც საორგანიზებელი, ხან კი როგორც მორგანიზებელი საწყისი. და, ავენარიუსის მსგავსად, საბოლოო ჯამში, აღიარებულია «ორგანიზატორული ნების» დიქტატურა. დახატულია სამყაროს იდეალისტური სურათი: სამყარო — ეს არის «შეგრძნებათა» კომპლექსი.

[147]... მახის შეკამათებას არ შეიძლება ეწოდოს მოხერხებული. მისი ფილოსოფიური სისტემის ცენტრალური ცნება, ცნობილი «შეგრძნება» სულაც არაა უარყოფა არათუ ორგანიზატორული, არამედ უმაღლესი ორგანიზატორული საწყისისაც... «მე»-ზე წარმოდგენის კრიტიკა მახს უკარნახა შეხედულებამ დაქვემდებარებულ ორგანიზატორებზე, როგორც საორგანიზებელ «მასაზე».

NB



[148 — 149]... ეუნდტის, ავენარიუსის, მახის სპეკულაციურ მსჯელობებთან ერთად ჩვენ შეგვიძლო, მაგალითად, ანალიზი გაგვეკეთებინა უახლესი დასავლეთ-ევროპული ფილოსოფიის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელთა შეხედულებებისათვის, როგორიცაა რენე

ნევიე, ბჰედლი ან ბერგსონი...

ფილოსოფიის დარგი — ეს არის ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნამდვილი ბასტილია... აუცილებლად მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ, რომ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, თავის მხრივ, არ სძინავთ და თავიანთ პოზიციას განამტკიცებენ. ამჟამად ისინი იმის რწმენითაც კი იმსჯელებიან, რომ მათი პოზიცია საცესებით მიუდგომელია. მარქსიზმის დროშის ქვეშ მყოფი ზოგიერთი ლიტერატორის «იდეალისტური» სიმპათიები, თავის მხრივ, განსაკუთრებულად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიან ამგვარი რწმენისათვის.

დასათაურება

XI. ეუნდტი. ისტვალდი 107 წიგნში არ არის

მთელი წიგნი მატერიალიზმის უზომო გაუგვანობის მაგალითია. პერიოდების, ფორმაციათა, იდეოლოგიათა კონკრეტუ-

ლი ანალიზის ნაცვლად მოცემულია ცარიელი ფრაზა «ორგანიზატორების» შესახებ და უაღრესად ნაძალადევი, წარმოუდგენლად მცდარი შედარებანი.

მატერიალიზმის კარიკატურაა ისტორიაში.

სამწუხარო კია, რადგან არის მისწრაფება მატერიალიზმისადმი.

შენიშვნები დაწერილია არა უადრეს

1908 წლისა

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს

ქურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» იბეჭდება დედნის მიხედვით

№ 8

ბ. ბ. კლესანოვი. «ნ. ბ. ჩერნიშევსკი»

ბამოც. «ზიკოვნია». სპ., 1910 171

შესავალი

NB •

[51]... ყირიმის ომის უკუღმართმა დასასრულმა [52] მთავრობა აიძულა გაეკეთებინა რამდენიმე დათმობა განათლებული საზოგადოების მიმართ და მოეხდინა ყოველ შემთხვევაში, ყველაზე საჭირობო რეფორმები, რომელთა განხორციელებაც უკვე დიდი ხანაა აუცილებელი იყო. მალე დღის წესრიგში დაიბანა გლეხთა განთავისუფლების საკითხი, რომელიც სრულიად გარკვევით ენებოდა ყველა წოდების ინტერესებს. საჭიროა თუ არა ვილაპარაკოთ, რომ ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ვაცნარებით შეუდგა ამ საკითხის დამუშავებას? მისი შესანიშნავი წერილები გლეხების საქმეზე 1857 — 1858 წლებს ეკუთვნის. ახლა უკვე საკმაოდ კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებრივი ძალების ურთიერთობა ბატონყმობის მოსაბოძის ეპოქაში. ამიტომ მის შესახებ ჩვენ მხოლოდ გაკვრით ვილაპარაკებთ. რამდენადაც ეს საჭიროა იმ როლას გასარკვევად, რომელიც ამ საქმეში იკისრა ჩვენმა მოწინავე ლიბერალისტებმა. რომელსაც მაშინ სათავეში უდგა ნ. გ. ჩერნიშევსკი. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს ლიბერალისტიკა მხურვალედ იცავდა გლეხთა ინტერესებს. ჩვენი ავტორი ზედინზედ წერდა სტატიებს, სადაც იცავდა გლეხების განთავისუფლებას მიწის მიცემით და ამტკიცებდა, რომ ნადელის სახით გლეხებისათვის მთავრობილი მიწების გამოსყიდვა არავითარ სიმძნელეს მოფრობისათვის არ წარმოადგენსო. ამ დებულებას იგი ამტკიცებდა ზოგადი თეორიული მოსაზრებებითაც და უაღრესად დეტალური სანიშნურო გამოანგარიშებებითაც. «რანაირად შეიძლება, რომ მიწის გამოსყიდვა მართლაც ძნელი იყოს? როგორ შეიძლება ის ხალხის ძალღონეს აღემატებოდეს? ეს დაუგვირებელია, —

* — აქ და სხვა შემთხვევებშიც ხაზგასმამ NB ირიბი ხაზებით ნიშნავს, რომ NB დასმულია ვ. ი. ლენინის მიერ გვერდის აუთენეში და, ჩანს, მთელ გვერდს ეკუთვნის. ამიტომ ასეთ შემთხვევებში გადმოტანილია მოცემული გვერდის მთელი ტექსტი. რ ე დ.

წერდა ის წერილში «ძნელია თუ არა მიწის გამოსყიდვა?» — ეს ეწინააღმდეგება სახალხო მეურნეობის ძირითად ცნებებს. პოლიტიკური ეკონომია პირდაპირ ამბობს, რომ ყველა ის მატერიალური კაპიტალი, რაც გარკვეულ თაობას წინა თაობებისაგან წილად ხვდება, არც ისე მნიშვნელოვან ღირებულებას შეადგენს ღირებულებათა იმ მასასთან შედარებით, რომელსაც ამ თაობის შრომა აწარმოებს. მაგალითად, ფრანგი ხალხის კუთვნილი მთელი მიწა ყველა შემობითა და ყველაფრით, რაც ამ შენობებშია, ყველა გემით და ტვირთით, ყველა პირუტყვით და მთელი ფუთით და ყველა სხვა სიმდიდრით, რაც ამ ქვეყანას ეკუთვნის, საეჭვოა, რომ შეადგენდეს ასი მილიარდი ფრანკის ღირებულებას, ფრანგი ხალხის შრომა კი ყოველწლიურად აწარმოებს თხუთმეტი ან მეტი მილიარდი ფრანკის ღირებულებას, ე. ი. არა უმეტეს, ვიდრე ვიღი წლის განმავლობაში ფრანგი ხალხი აწარმოებს ღირებულებათა მასას, რომელიც უდრის იმ მთელი საფრანგეთის ღირებულებას, როგორც იგია ლა-მანშიდან პარეხებამდე. მაშასადამე, თუ ფრანგებს დასკვირვებულად ვინმესაგან მთელი საფრანგეთის გამოსყიდვა, მათ შეეძლოთ ეს გაეკეთებინათ ერთი [53] თაობის მანძილზე, მოახმარდნენ რა გამოსყიდვას თავიანთი შექმნილი მხოლოდ ერთ მეხუთედს. ჩვენთან კი რაზეა ლაპარაკი? განა ჩვენ მთელი რუსეთი უნდა გამოვიყიდოთ ყველა მისი სიმდიდრით? არა, უნდა გამოვიყიდოთ მხოლოდ მიწა. და განა რუსეთის მთელი მიწა? არა, გამოსყიდვა ეხება მარტო ევროპული რუსეთის მხოლოდ იმ გუბერნიებს, სადაც დამკვიდრდა ბატონყმური მდგომარეობა და ა. შ. ვვიჩვენა რა, შემდეგ, რომ გამოსასყიდი მიწები არ იქნებოდა იმ სივრცის ერთ მეექვსედზე მეტი, რომელიც ევროპულ რუსეთს უკავია, იგი გვთავაზობს გამოსასყიდი ოპერაციის მთელ რვა გვემას. მისი სიტყვების მიხედვით, მთავრობას შეეძლო, თუ იგი ერთ-ერთ ამ გვემას მიიღებდა, გამოეყიდა სანადელო მიწები ისე, რომ ეს გლეხებს არათუ დააწებოდა მძიმე ტვირთად, არამედ დიდად ხელსაყრელიც იქნებოდა სახელმწიფო ხაზინისათვის. ჩერნიშევსკის ყველა გვემას საფუძვლად ის მოსაზრება ედო, რომ «გამოსასყიდის ოდენობის განსაზღვრისას აუცილებელია რაც შეიძლება ზომიერი ფასების დაცვა». ჩვენ ვიცით ახლა, თუ რამდენად ითვალისწინებდა ჩვენი მთავრობა გლეხობის ინტერესებს ბატონყმობის მოსპობის დროს და რამდენად მისდია მან ჩერნიშევსკის რჩევას გამოსასყიდ გადასახდელთა განსაზღვრისას ზომიერების დაცვის შესახებ. თუ გლეხთა განთავისუფლებისას ჩვენს მთავრობას ერთი წუთითაც არ დაეწყებია სახელმწიფო ხაზინის სარგებლობა, სამაგიეროდ გლეხთა ინტერესებზე იგი ძლიერ ცოტას ფიქრობდა.

გამოსასყიდი ოპერაციის დროს მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ ფისკალური და მემამულეთა ინტერესები.

სოციალ-დემოკრატი № 1, გვ. 152.

NB

აქამდე სოციალ-დემოკრატი № 1, გვ. 152

...[57] მარტო ეკონომიური საკითხების შესახებ როდი უხდებოდა ჩერნიშევსკის ცხარე პოლემიკის წარმოება. თანაც მისი მოწინააღმდეგენი მარტო ლიბერალური ეკონომისტები როდი იყვნენ. რაც უფრო გავლენიანი ხდებოდა «სოვრემენიკის» წრე რუსულ ლიტერატურაში, მით უფრო მეტად სდებდნენ შარს სხვადასხვა [58] მხრიდან საერთოდ ამ წრესაც და კერძოდ ჩვენს ავტორსაც. «სოვრემენიკის» თანამშრომლები მიიჩნდათ საშიშ ადამიანებად, რომლებიც მზად იყვნენ დაემხოთ ყველა ყბადაღებული «საფუძველი». «ბელინსკის მეგობრებიდან» ზოგიერთებმა, რომლებსაც დასაწყისში ჯერ კიდევ შესაძლებლად მიაჩნდათ ჩერნიშევსკისთან და მის თანამოაზრეებთან ერთად სიარული, ზურგი შეაქციეს «სოვრემენიკს», როგორც «ინპლისტების» ორგანოს, და ყვირილი მორთეს, რომ ბელინსკი არასდროს არ მოიწონებდა ამ ორგანოს

მიერ მიღებულ მიმართულებასო. ასე მოიქცა ი. ს. ტურგენევი*. გერცენმაც კი დაიწყო ბურტყუნის «ჯამბაზების» შესახებ თავის «კოლოკოლში». იგი აფრთხილებდა მათ იმის შესახებ, რომ «აყრიან რა სიცილის მაშხილებელ ლიტერატურას, ჩვენს ყარგ ჯამბაზებს ავიწყლებათ, რომ ამ სახიფათო გზით შეიძლება «იმდენი ისტინო», რომ არა მარტო ბულგარინამდე და გრეჩამდე მიხვიდე, არამედ კისერზე სტანისლავიც ჩამოიკიდო. გერცენი ამტკიცებდა, რომ «მაშხილებელ ლიტერატურაში», რასაც «ჯამბაზები» დასცინოდნენ, ბევრი რამ იყო შესანიშნავი. «თქვენ გგონიათ, რომ შჩედრინის ყველა მოთხრობა და კიდევ სხვა ზოგიერთი შეიძლება ახლა უკვე მთლიანად გადავაჯდოთ კისერზე ჩამოკიდებული ობლომოვით წყალში? ნამეტან განცხრომას ეძლევით ბატონებო!»** შჩედრინზე მითითება მეტად უადგილო იყო, რადგან თვით ჩერნიშევსკი კარგად აფასებდა მის ნაწარმოებებს. საერთოდ, ყველაფრიდან ჩანს, რომ გერცენი შეცდომაში შეიყვანეს მისმა ლიბერალურმა, კაველინის მსგავსმა, მეგობრებმა. «ჯამბაზები», ანდა «მსტვინავეები», როგორც

NB

* — ჩერნიშევსკი გვიამბობს, რომ ტურგენევი მინც შეეძლო მისი რამდენადმე ატანა, მაგრამ საზოგადოებრივ უკვე სრულიად ვერ იტანდა დობროლიუბოვს. «თქვენ უბრალო გველი ხართ, დობროლიუბოვი კი — სათვალეზიანი» — ეუბნებოდა იგი ჩერნიშევსკის (იხ. უკვე ციტირებული წერილი «მადლობის გამოსაცხადებლად». თხზულ., ტ. IX, გვ. 103.)

** — წერილი «Very dangerous!» «კოლოკოლის» № 44-ში.

მათ რუსეთში უწოდებდნენ, — დასცინოდნენ არა მხილებებს, არამედ იმ გულუბრყვილო ადამიანებს, რომლებსაც არ შეეძლოთ და არც სურდათ გულუბრყვილო მხილებაზე უფრო შორს წასვლა, ივიწყებდნენ რა კრილოვის არაკის «კატა და მზარეულის» მორალს*.

თვით გერცენმა სულ მალე დაინახა, თუ რა ცუდი იყვნენ პოლიტიკური აზრით ის ლიბერალი მეგობრები, რომლებიც განიხილავდნენ მის ჟრთიერთობას ჩერნიშევსკისთან. როცა მას კ. დ. კაველინთან კავშირის გაწყვეტა მოუხდა, მან, შესაძლოა, თვითონაც უთხრა თავის თავს, რომ «ღვარძლიანები» სავესებით უმართლონი როდი იყვნენ** [59].

თუმცაღა სტატიების უმრავლესობა «სვისტოქში», რომელიც ზრდილი ლიბერალების განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა, ნ. გ. ჩერნიშევსკის როდი ეკუთვნოდა. იგი მხოლოდ იშვიათად იღებდა მასში მონაწილეობას, რადგან გადატვირთული იყო სხვა სამუშაოთი. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში იგი არათუ გულდასმით წერდა «სოვრემენიკის» ყოველი წიგნისათვის, არამედ უფრო ხშირად ყოველ წიგნში მისი რამდენიმე სტატია იყო. ჟურნალის სხვადასხვა განყოფილების მიხედვით მისი წერილები, ჩვეულებრივ, ასე ნაწილდებოდა: ის იძლეოდა, ჯერ-ერთი, წერილს რომელიმე ზოგად თეორიულ საკითხზე, შემდეგ წერდა პოლიტიკურ მიმოხილვას, განიხილავდა რამდენიმე ახალ წიგნს და, დასასრულ, ასე ვთქვათ, დასვენებისა და გართობის მიზნით, კიდევ პოლემიკურ თავდასხმებს ახდენდა თავის მოწინააღმდეგეებზე. 1861 წლის «სოვრემენიკი» განსაკუთრებით მდიდარია მისი პოლემიკური წერილებით. ამ წელს ეკუთვნის მისი ცნობილი «პოლემიკური მშვენიერებანი», «ეროვნული უტაქტობა» (ლვოვის «სლოვოს» წინააღმდეგ), «ხალხური უთავებოლობა» (აქსაკოვის «დნის» წინააღმდეგ; ამ სტატიაზე ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი) და ბევრი სხვა პოლემიკური შენიშვნა რუსული და უცხოური ლიტერატურის განყოფილებაში.

«პოლემიკური მშვენიერებებში» ახლა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ავტორის შეხედულება თავის საკუთარ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. მოვიყვანოთ აქ ამ შეხედულებას. ჩერნიშევსკიმ მშვენიერად იცის, რომ რუსულ ლიტერატურაში მან თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. მის მოწინააღმდეგეებს ძლიერ ეშინიათ მისი და ზოგჯერ მას კომპლიმენტებსაც კი ეუბნებიან. მაგრამ მას სრულიად არ ახარებს მისი

* — სტატიის -- «Verv danigerous» და მისი მეტ-ნაკლებად სათუო შედეგების შესახებ იხ. სხვათა შორის, ბ-ნ ვიტრინსკის წიგნში «გერცენი». სპბ., 1808 წ. გვ. 334.

** — ამ კავშირის გაწყვეტის ისტორიის კვლადაკვალ მიუღია შეიძლება ალ. ივ. გერცენისადმი კ. დიმ. კაველინისა და ივ. ს. ტურგენევის მიერ მიზანწერი წერილების მიხედვით; ეს წერილები გამოსცა ე. დრაგომანოვმა ჟენევაში 1892 წელს.

NB

NB

სახელგანთქმულობა. იგი იმდენად დაბლა აყენებს რუსულ ლიტერატურას, რომ იმ თვალსაჩინო ადგილს, რომელიც მას მასში უკავია, საპატიოდ არ თვლის. იგი «სავსებით მკვდარია თავისი ლიტერატურული რეპუტაციის მიმართ». მას მხოლოდ ერთი საკითხი აინტერესებს: შეძლებს თუ არა იგი შეინარჩუნოს აზრისა და გრძნობის სიახლე იმ საუკეთესო ხანაში, როცა ჩვენი ლიტერატურა ნამდვილად სასარგებლო გახდება საზოგადოებისათვის. «მე ვიცი, რომ დადგება საუკეთესო დრო ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, როცა ეს მოღვაწეობა საზოგადოებას ნამდვილ სარგებლობას მოუტანს, და როცა კეთილ სახელს ნამდვილად ის დაიმსახურებს, ვისაც ძალღონე შესწევს. და აი მე ვფიქრობ: შემარჩება თუ არა იმ დროისათვის იმის უნარი, რომ საზოგადოებას ვემსახურო როგორც საჭიროა? ამისთვის აუცილებელია ძალღონის სიახლე, რწმენის სიახლე. მე კი ვხედავ, რომ უკვე შევდივარ «პატივცემულ» მწერალთა რიცხვში, ესე იგი გამოფიტულ მწერალთა რიცხვში, რომლებიც ჩამორჩებიან საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მოძრაობას. მაგრამ რას იზამ? წლები თავისას შერება. ორჯერ ახალგაზრდა არ იქნები. [60]. მე შემიძლია მხოლოდ შური ვიგარძნო იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ჩემზე უფრო ახალგაზრდა და ნორჩი არიან»... *

[61] ამასობაში განწყობილება ძლიერდებოდა, ყოველ შემთხვევაში, რუსული «საზოგადოების» გარკვეულ ნაწილში. ღელავდა მოსწავლე ახალგაზრდობა, ჩნდებოდნენ საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ მოწოდებებსა და პროგრამებს ბეჭდავდნენ და გლეხობის მახლობელ აჯანყებას მოელოდნენ. ჩვენ ვიცით უკვე, რომ ჩერნიშევსკის სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა ის, რომ ჩუჩეთში დადგებოდა «სერიოზული დრო», და ჩვენ კიდევ დავინახავთ, რა ძლიერი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი განწყობილების აღმავლობამ მის პუბლიცისტურ მოღვაწეობაზე. მაგრამ ჰქონდა თუ არა მას რაიმე დამოკიდებულება საიდუმლო საზოგადოებებთან? ამ კითხვაზე დარწმუნებით პასუხის გაცემა ჯერ კიდევ არ შეიძლება, და ვინ იცის, გვექნება კი ოდესმე მონაცემები მის გადასაწყვეტად? ბ-ნ მ. ლემკის აზრით, რომელმაც მშვენივრად შეისწავლა ნ. გ. ჩერნიშევსკის საქმე, «შეიძლება ვივარაუდოთ (ყოჩსივი მისია), რომ ჩერნიშევსკიმ დაწერა ის «მოწოდება საბატონო გლეხებისადმი», რომლის შედგენაშიც სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო. ბ-ნი მ. ლემკე თავის ვარაუდს ადასტურებს ამ პროკლამაციის ენასა და შინაარსზე მითითებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მითითებანი არაა საფუძველს მოკლებული. მაგრამ ჩვენ ვჩქარობთ ბ-ნ ლემკესთან ერთად გავიმეოროთ, რომ

NB

* — Сочинения, т. VIII, стр. 281.

«ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად სააღბათო მოსაზრებანია და მეტი არაფერი»*. საქმალ საფუძვლიანად გვეჩვენება ჩვენ ბ-ნ ლემკეს ის მოსაზრებაც, რომ ცნობილი ფურცელი «ველიკორუსს» ნაწილობრივ ჩერნიშევსკის ნახელავი იყო. ბ-ნ ლემკე თავის ვარაუდს ამტკიცებს ბ-ნ სტახევიჩის სიტყვებით, რომელმაც ჩერნიშევსკისთან ერთად რამდენიმე წელი გაატარა ციმბირში და რომელიც წერს: «მე შევამჩნიე, რომ ჩერნიშევსკი აშკარა თანაგრძნობით ეკიდება ფურცლებს, რომლებიც განუსაზღვრელ ვადებში გამოდის და «ველიკორუსის» სათაურით; გამოვიდა, მაგონი, სამი ნომერი. როცა ნიკოლოზ გაბრიელისძის ლაპარაკს ვისმენდი, მე ზოგჯერ ვამჩნევდი, რომ აზრთა შინაარსიც და მათი გამოთქმის წესიც [62] ძალიან მაგონებდა ფურცელს — «ველიკორუსს», და ჩემთვის გადავწყვიტე, რომ იგი იყო ან ავტორი ანდა, ყოველ შემთხვევაში, თანაავტორი ამ ფურცლებისა, რომლებიც კონსტიტუციურ გარდაქმნათა აუცილებლობას ქადაგებდნენ**». ჩვენ სავსებით გეთანხმებით ბ-ნ სტახევიჩს: თავისი ენითა და შინაარსით «ველიკორუსი» მართლაც ძალიან მოგვაგონებს ჩერნიშევსკის პუბლიცისტურ წერილებს. და თუ ჩერნიშევსკი, მართლაც, მისი ავტორი იყო, ამით აიხსნება, რა ზეგავლენა იქნება, ის გარემოებაც, რომ «ველიკორუსი» იმ დროის სხვა მის მსგავს ფურცლებზე გაცილებით უფრო გონივრული და ტაქტიკური იყო.

რუსეთში უკიდურესი პარტიის ამოქმედებისთან ერთად იმავდროულად იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობაც პოლონეთში. იმყოფებოდა თუ არა ჩერნიშევსკი რაიმე ფორმალურ ურთიერთობაში პოლონელ რევოლუციონერებთან, რომლებიც იმ დროს ბლომად იყვნენ პეტერბურგში? ამის შესახებაც არ არის არავითარი მითითებანი. არ გვსურს რა ვარაუდებს მივყვეთ, პოლონეთის საქმისადმი ჩერნიშევსკის საერთო სიმპათიების გასარკვევად ჩვენ დავეყრდნობით იმ მონაცემებით, რომელთა მიღებაც მისი ნაწარმოებებიდან შეიძლება, მაგრამ ასეთი მონაცემებიც ცოტაა.

ცნობილია, რომ სლავიანოფილები ძალიან იწონებდნენ გალიციელი რუსინების ბრძოლას პოლონელების წინააღმდეგ. ჩერნიშევსკი ყოველთვის თანაუგრძნობდა მალოროსებს. იგი დიდ შეცდომას ხედავდა ახლად წარმოშობილი მალორუსული ლიტერატურისადმი ბელინსკის უარყოფით და მოკიდებულებაში. 1861 წლის «სუერემენიკის» იანვრის წიგნში მან მოათავსა დიდი თანაგრძნობით აღსავსე სტატია იმის გამო, რომ გამოვიდა მალორუსული ორგანო «ოსნოვა», მაგრამ იგი უთუო მოწონებით ვერ შეხედავდა რუსინების ბრძოლას

* — М. К. Лемке «Дело Н. Г. Чернышевского». Вып. 1, 1906 г. № 4, стр. 179.

** — М. К. Лемке «Процесс Великорусцев». Вып. 1, 1906 г. № 7, стр. 92. ბ-ნ სტახევიჩის წერილი მოთავსებულია «Закавказское Обозрение»-ში, 1906 г. № 143.

NB

სოციალ-დემოკრატი
№ 1, გვ. 157

პოლონელების წინააღმდეგ. მას არ მოსწონდა, ჯერ ერთი, რომ რუსინები დახმარებას ეძებდნენ ვენის მთავრობასთან. არ მოსწონდა მას აგრეთვე სამღვდელ-ლოების გავლენიანი როლიც გალიციელი რუსინების მოძრაობაში. «საერო საქმეებზე, — წერდა იგი, — უნდა ზრუნავდნენ ერისკაცები». ბოლოს, ჩერნიშევსკის არ მოსწონდა აგრეთვე მარტოოდენ ეროვნული დაყენება იმ საკითხისა, რომელშიც იგი, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიურ საკითხს ხედავდა. სტატიაში «ეროვნული უტაქტობა» (1861 წლის ივლისის «სოვრემენიკი»), რომელიც მიმართული იყო ლვოვის «სლოვოს» წინააღმდეგ, ჩერნიშევსკიმ [63] მკვეთრად გაილაშქრა ამ ორგანოს ზედმეტი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. «ფრიად შესაძლებელია, რომ ცოცხალი ურთიერთობის უზუსტესი განხილვისას, — წერდა იგი, — ლვოვის «სლოვო» საქმის საფუძველში დაინახავდა იმ საკითხს, რომელიც სრულიად არ არის ტომობრივი საკითხი, — წოდებრივ საკითხს. ფრიად შესაძლებელია, რომ იგი დაინახავდა როგორც ერთ მხარეზე, ისე მეორე მხარეზე რუსინებსაც, პოლონელებსაც — სხვადასხვა ტომის, მაგრამ ერთნაირი საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანებს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ პოლონელი გლეხი მტრულად იყოს განწყობილი რუსინელი გლეხების გადასახადებისა და საერთოდ ყოფაცხოვრების შემსუბუქების მიმართ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ რუსინული ტომის მიწათმფლობელების გრძნობები ამ საქმეში დიდად განსხვავდებოდეს პოლონელი მიწათმფლობელების გრძნობებისაგან. თუ არ ვცდებით, გალიციის საკითხის ფესვს წარმოადგენს წოდებრივი და არა ტომობრივი ურთიერთობა».

ავსტრიის შემადგენლობაში შემავალ ეროვნებათა ურთიერთშუღლი მით უფრო უტაქტოდ უნდა მოსჩვენებოდა ჩერნიშევსკის, რომ ვენის მთავრობა მავინ, ისევე როგორც უწინ, ამ შუღლიდან დიდ სარგებლობას ნახულობდა. «როცა კარგად უფიქრდები, არც გიკვირს ავსტრიის იმპერიის ხანგრძლივი არსებობა, — წერდა იგი «სოვრემენიკის» იმავე წიგნის პოლიტიკურ მიმოხილვაში, სადაც მოთავსებულია სტატია «ეროვნული უტაქტობა», — და რატომაც არ უნდა გაძლოს მან მისი საზღვრებით დაკავშირებულ ეროვნებათა ასეთი ჩინებული პოლიტიკური ტაქტის პირობებში». ავსტრიელი გერმანელები, ჩეხები, კროატები და, როგორც დავინახეთ, რუსინები. ერთნაირად ეჩვენებოდა ჩერნიშევსკის «მოუსაზრებელ» ადამიანებად. მას ეჩინოდა, რომ განსაკუთრებით 1848 — 1849 წლებში ნაცადი სლავური «მოუსაზრებლობა» კვლავ ძალიან შორს წავიდოდა. სამოციანი წლების დასაწყისში უნგრეთი შეუბოვარ ბრძოლას აწარმოებდა ვენელ რეაქციონერ ცენტრალისტებთან. უნგრელთა უკმაყოფილება იმ ზომამდე მივიდა, რომ ერთ დროს შეიძლებოდა აცეს მათს ქვეყანაში რევოლუციური აფეთქების მო-

ლოდინი ჰქონოდა. ჩვენს ავტორს არა ერთხელ გამოუთქვამს თავის პოლიტიკურ მიმოხილვებში შიში, რომ იმ შემთხვევაში, თუ უნგრეთში რევოლუციური მოძრაობა დაიწყება, ავსტრიელი სლავები კვლავ რეპრესიის მორჩილი იარაღი იქნებიანო. ავსტრიის ბევრი სლავური ტომის მაშინდელ ტაქტიკას შეეძლო მხოლოდ გაეძლიერებინა ასეთი შიში, რადგან ავსტრიელი სლავები ნებას აძლევდნენ თავის თავს ეტრამბანათ იმ სამარცხვინო როლით, რომელსაც ისინი ასრულებდნენ 1848—1849 წლების ამბებში. სასტიკად გამოხდა რა ამ ტაქტიკას, ჩერნიშევსკი ამტკიცებდა, რომ მათთვის, პირიქით, უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მხარი დაეჭირათ ვენის მთავრობის მტრებისათვის, რომელთა მხრივ მათ მეტად არსებითი დათმობების მიღება შეეძლოთ. ამას ამბობდა იგი უნგრელებისადმი კროატების დამოკიდებულების შესახებ, [64] ამასვე იგონებდა რუსინების მიმართაც. «რუსინებისადმი მტრულად განწყობილი წოდებრივი პარტია, — ვკითხულობთ ჩვენ სტატიაში «ეროვნული უტაქტობა», — მზადაა ახლა დათმობებზე წავიდეს. ურიგო არ იქნება სწორედ ამის შესახებ იფიქროს ლვოვის «სლოვომ»; შესაძლოა, დათმობანი, რომლებზეც მზად არიან წავიდნენ აღამიანები, მას რომ მტრებად ეჩვენებიან, შესაძლოა, ეს დათმობანი ისე დიდი იყოს, რომ ისინი სავესებით დაკმაყოფილებდნენ რუსინელ გლეხებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უეჭველია ის, რომ ეს დათმობანი იმაზე გაცილებით მეტი და გაცილებით მნიშვნელოვანია, რის მიღებაც რუსინელ გლეხებს ავსტრიელებისაგან შეუძლიათ...»

აქამდე სო-
ციალ-დემოკრატი № 1,
გვ. 158

[65]... დასასრულ, რომან «პროლოგის» პირველ ნაწილში გამოსახულია ვოლგინის მეგობრული დამოკიდებულება სოკოლოვსკისადმი (სერაკოვსკისადმი?). ვოლგინს მოსწონს, რომ სოკოლოვსკი თავდავიწყებით ერთგულია თავისი რწმენისა, რომ მას არ ახასიათებს თავკერძა წვრილმანობა, რომ მას აქვს თავის დაჭერის თუნარი, ნამდვილი აგიტატორის მგზნებარე სიტყვარისთან შეერთებული. ვოლგინი მას ნამდვილად ამიანს უწოდებს და ფიქრობს, რომ ჩვენს ლიბერალებს შეეძლოთ ბევრი რამ ესწავლათ მისგან.

NB

NB

ყველაფერი ეს ძლიერ საინტერესოა*, მაგრამ არც ეს ოდნავადაც არ განმარტავს ჩერნიშევსკის პრაქტიკულ დამოკიდებულებას პოლონეთის საქმისადმი.

ჩერნიშევსკი მაშინ დაახლოებით 34 წლის იყო. იგი იმყოფებოდა თავისი გონებრივი ძალების სრული გაფურჩქნის ხანაში, და, ვინ იცის რა სიმალლეს მიადღწევდა იგი თავის განვითარებაში! მაგრამ მის თა-

* — ვოლგინი განსაკუთრებით აფასებდა სოკოლოვსკი მის ერთგულებას, რაც იმით გამოწყდავანდა, რომ 1848 წლის მხოლოდ მას, ყველა სხვა მისი თანამოაზრიდან, არ აზნეოდა თავგზა და მან სრულიად დამზიდებით მოიფიტრა შვიანადმეზღო აჯანყების შანსები, რაც ნულს მიახლოებული აღმოჩნდა.

idem
სოციალ-დემოკრატი № 1,
გვ. 165—166

ვისუფალ ცხოვრებას სულ მალე ბოლო უნდა მოღებოდეს. ის იყო უკიდურესი პარტიის აღიარებული მეთაური, მატერიალიზმისა და სოციალიზმის უაღრესად გავლენიანი მქადაგებელი. იგი მიაჩნდათ რევოლუციური ანაღვარდობის «მოთავედ», მას ბრალს სდებდნენ ამ ანაღვარდობის ყველა ამბოხებასა და მღელვარებაში. როგორც ეს ყოველთვის ხდება ასეთ შემთხვევებში, დარჩეული ხმა აზვიადებდა საქმეს და ჩერნიშევსკის ისეთ განზრახვებსა და მოქმედებებსაც კი მიაწერდა, რაც მას არასოდეს არ ჰქონია. «პროლოგის პროლოგში» ჩერნიშევსკი თვით აგვიწერს იმ

თანამგაძნობ-ლიბერალურ ჯორებს, რომლებიც გავრცელებული იყო პეტერბურგში იმის შესახებ, ვითომ ვოლგინს (ე. ი. თვით მას) ურთიერთობა ჰქონდეს განდევნილი რუსების ლონდონის წრესთან. ეს ჯორები ვრცელდებოდა სხვადასხვა მეტად უმნიშვნელო საბაბით, რომელთაც სრულიად არაფერი საერთო არ ჰქონდათ პოლიტიკასთან. და, ჩვეულებისამებრ, საქმე ჯორებით როდი თავდებოდა. «კონსერვატორული» პრესა დიდი ხანია უკვე ეწეოდა ჩერნიშევსკის ლიტერატურულ დაბეზლებას. 1862 წელს «სოვრემენიკი» დროებით შეჩერებულ იქნა. შემდეგ გაჩნდა ანალიტიკურ-ატურული დაბეზლებანიც. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილების მმართველმა, ნათქაამია ჩერნიშევსკის საქმეზე შემდგარ საბრალმდებლო აქტში, — მიიღო უსახელო წერილი, სადაც მთავრობას გაფრთხილებას სახით მიუთითებენ ჩერნიშევსკიზე, «ანაღვარდების ამ მეთაურზე, გაიძევრა სოციალისტზე»; «მან თვითონ თქვა, რომ მას ვერასოდეს ვერ ამხილებენ»; მას მკვნე აგიტატორს უწოდებენ და ასეთი კაცისაგან ხსნას ითხოვენ; ჩერნიშევსკის ყველა ყოფილი მეგობარი, როცა დაინახეს, რომ მისი ტენდენციები გამოიხატებოდა არა მარტო სიტყვებით, არამედ მოქმედებითაც, ლიბერალი ადამიანები... ჩამოშორდნენ მას. თუ ჩერნიშევსკის თავიდან არ მოიშორებთ, წერს [67] წერილის ავტორი, უბედურება დატრიალდება, სისხლი დაიღვრება; ეს არის გაცოფებულ დემაგოგების — თავზეხელაღებულ ადამიანების ხროვა... შესაძლებელია, მათ ამოწყვეტენ, მაგრამ რამდენი უდანაშაულო სისხლი დაიღვრება მათი მიზეზით ვორონეჟში, სარატოვში, ტამბოვში — ყველგან არის მსგავსი სოციალისტების კომიტეტები, ყველგან ამხედრებენ ისინი ანაღვარდობას. ჩერნიშევსკი გააგზავნეთ, სადაც გნებავთ, მაგრამ რაც შეიძლება მალე წაართვით მას მოქმედების შესაძლებლობა... მოგვაშორეთ ჩერნიშევსკი საერთო სიმშვიდის გულისათვის.

[71]... რაში მდგომარეობდა «რა ვაკეთოთ»-ის არაჩვეულებრივი წარმატების საიდუმლოება? იმაში, რაშიც მდგომარეობს საერთოდ ლიტერატურული ნაწარმოებების წარმატების საიდუმლოება, იმაში, რომ

ეს რომანი ცოცხალ და ყველასათვის გასაგებ პასუხს იძლეოდა კითხვებზე, რომლებიც მეტად აინტერესებდა მკითხველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს. თავისთავად მასში გამოთქმული აზრები არ იყო ახალი; ჩერნიშევსკიმ ისინი მთლიანად დასავლეთეურთაშუალო ლიტერატურიდან აიღო. ქალისადმი მამაკაცის სიყვარულში თავისუფალ, და რაც მთავარია, გულწრფელ, პატიოსან ურთიერთობას მასზე გაცილებით უფრო ადრე ქადაგებდა ყორე ზანდი საფრანგეთში*. ლუკრეცია ფლორიანი არაფრით არ განსხვავდება ვერა პავლეს ასულ ლოპუხოვა-კირსანოვასაგან იმ ზნეობრივი მოთხოვნების საკითხში, რასაც იგი სიყვარულს უყენებდა. ხოლო რაც შეეხება რომანს «ჟაკა», სულ ადვილად [72] შეიძლება იქიდან საკმაოდ ბევრი ამონაწერის მოყვანა, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ რომანში «რა ვაკეთოთ?» ზოგჯერ თითქმის მთლიანად მეორდება ყორე ზანდის თავისუფლების მოყვარე და თავგანწირული გმირის აზრები და მსჯელობანი**. თე მარტო ყორე ზანდი როდი ქადაგებდა თავისუფლებას ამ სახის ურთიერთობაში. როგორც ცნობილია, მას ქადაგებდნენ რობერტ ოუენიც და ცურეიც, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა იქონიეს ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობაზე***. და ყველა ეს იდეა ჯერ

* — შევნიშნავთ, სხვათა შორის, რომ გოეთეს Wahlverwandschaft აზრთვე ასეთი ურთიერთობის დამკველ სიტყვას წარმოადგენს, ეს კარგად ესაიხს გერმანული ლიტერატურის ზოგიერთ ისტორიკოსს, რომელიც, ვერ ბედავს რა ასეთი ავტორიტეტული მწერლის ძაგებას, და იმავე დროს ვერც იმას ბედავს, რომ დაეთანხმოს მას თავისი ფილისტერული კეთილზნობის გამო, ჩვეულებრივ რაღაც სრულიად გაუგებარს ბუტბუტებს დიდი გერმანელის თითქოსდა უცნაური ძარდაოქების შ სახებ

** — თავის დღიურში ჩერნიშევსკიმ 1853 წლის 28 მარტს ჩაწერა შემდეგი საუბარი თავის საცოლესთან: «ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე გიდალატებო? — მე ამას არ ვფიქრობ, ამას არ მოველი, მაგრამ მე აა შემთხვევაზეც ვფიქრობდი». «რას იზაიდი თქვენ მაზინ?» — მე ვუპასუხე მას ყორე ზანდის ჟაკის შესახებ. «ნუთუ თქვენც თავს მოიკლავდით?» — «არა მგონია», — და მე ვუთხარი, რომ შევეცდებო ყორე ზანდი ვუშოვო (მას არ წაუკთხავს იგი, ანდა ყოველ შემთხვევაში არ ახსოვს მისი იდეები)» (თხზულებანი, ტ. X, ნაწ. 2, გვ. 78). ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ კიდევ ერთი ადგილი ჩერნიშევსკის საუბართან თავის საცოლესთან: «ხოლო თუ როგორი იქნება ეს ურთიერთობა — საცოლემ გუშინწინ მითხარა: ჩვენ გვექნება ცალკე ოთახები; და თქვენ არ უნდა შემოხვიდეთ ჩემთან უებართვოდ; მე თვითონ მიზად ასე მოწყოს, შესალოა, ამაზე მე უფრო სერიოზულად ვფიქრობ, ვიდრე იგი; — მას ესპის, ალბათ, მხალოდ ის, რომ არ სურს, რომ თავს ვაბუზრედდ, მე კი ეს ისე მესმის, რომ საერთოდ ყოველი ქაირი უნდა იყოს უაღრესად თავაზიანი თავს ცალკმრულ ურთიერთობაში მეუღლსთან» (იქვე, გვ. 82). თითქმის სიტყვასიტყვით ასეთივე საუბარი აქვს ვერა პავლეს ასულს ლოპუხოვთან რიზაში «რა ვაკეთოთ?».

*** — საბევრა, რომ საჭირო იყოს იპის გახსენება, თუ როგორ ემერგულად ქადაგებდა ამ მიზართულებით რობერტ ოუენი. რაც შეეხება ფურის, მოვიყვანთ აქ მის შემდეგ ღრჯახბროვან სიტყვებს: les coutumes en amour... ne sont que formes temporaires et variables, et non pas fond invariables (Oeuvres complètes de Ch. Fourier, t. IV, p. 84).

* — ეს ციფრები, რომლებიც ვ. ი. ლენინს აქვს აღნიშნული. შეესაბამება სტრიქონების რიგით ნომერს პლენარის წიგნის 72 პვერდზე. ო დ.

21*
22
23
25
30
35
40
41
42

NB

NB

კიდევ 40-იან წლებში პოულობდა ჩვენში მხურვალე თანაგრძნობას. ბელინსკის არა ერთგზის გამოუთქვამს აზრი თავის სტატიებში სამიჯნურო ურთიერთობაში თავისუფლებისა და გულწრფელობის სასარგებლოდ. მკითხველს ახსოვს, ჩასაკვირველია, თუ როგორ მწარედ უსაყვედურებდა «მძვინვარე ბესარიონი» პუშკინის ტატიანას იმას, რომ, უყვარდა რა ონეგინი, მაგრამ იმავე დროს, რაკი «სხვას ეკუთვნოდა», იგი არ აძყვა თავის გულისტქმას და თავის მოხუც ქმართან უსიყვარულოდ განაგრძობდა ცხოვრებას. «40-იან წლების» ადამიანთაგან საუკეთესონი ქალისადმი თავიანთ დამოკიდებულებაში იმავე პრინციპებს იცავდნენ, რასაც ლოპუხოვი და კირსანოვი. მაგრამ რომანის «რა ვაკეთოთ?» გამოსვლამდე ამ პრინციპებს მხოლოდ ერთი მუჟა «რჩეულები» იზიარებდნენ; მკითხველი საზოგადოების მასას კი ეს პრინციპები სრულიად არ ესმოდა. გერცენმაც კი ვერ გაბედა ამ პრინციპების მთელი სისრულითა და სიცხადით გამოთქმა თავის [73] რომანში «ვინაა დამნაშავე?». ა. დრუჟინინი კი თავის მოთხრობაში «პოლენკა საქსი» * უფრო გარკვევით წყვეტს საკითხს. მაგრამ ეს მოთხრობა მეტად უფერულია, ამასთან მისი მოქმედი პირები, რომლებიც ევგენიოვოდებულ უმაღლეს, — დიდჩინიან და ტრეტუნიან, — საზოგადოებას ეკუთვნოდნენ, სრულიად არ იყვნენ საინტერესო «რაზნოჩინეებისათვის», რომლებიც ნიკოლოზის რეჟიმის დამხობის შემდეგ მკითხველი საზოგადოების მემარცხენე ფრთას შეადგენდნენ. «რა ვაკეთოთ?»-ის გამოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი ნათელი, მკვეთრი და გარკვეული გახდა. არავითარ ეჭვს აღარ შეიძლებოდა უკვე ადგილი ჰქონოდა. მოაზროვნე ადამიანებს ისღა დარჩენოდათ: ან ეხელმძღვანელათ ლოპუხოვისა და კირსანოვის პრინციპებით სამიჯნურო საქმეში, ან მუხნიან მოედრიკათ ქორწინების სიწმინდის წინაშე და იმ შემთხვევაში, თუ ახალი გრძნობა დაებადებოდათ მიემართათ სიღრუშლო სატრფიალო თავგადასავალთა ძველი, ნაცადი საშუალებებისათვის, ანდა, ბოლოს, სავსებით ჩაეხშოთ ყოველგვარი სასიყვარულო გრძნობა, იმის გამო, რომ ისინი უკვე სხვას, ათვალწუნებულ ადამიანს ეკუთვნოდნენ. და არჩევანიც მათ სრულიად შეგნებულად უნდა მოეხდინათ. ჩერნიშევსკიმ ისე განმარტა ეს საკითხი, რომ სამიჯნურო ურთიერთობის წინათ ბუნებრივი მოუფიქრებლობა და უშუალობა სავსებით შეუძლებელი გახდა. სიყვარულზე გავრცელდა შეგნების კონტროლი, შეგნებული შეხედულება ქალისადმი მამაკაცის დამოკიდებულებაზე ფართო საზოგადოების კუთვნილებად იქცა. ეს კი ჩვენში სამოციანი წლების ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. რუსეთში მომხდარმა რე-

* — «Современник», 1847 წ., № 12.

ფორმებმა თავდაყირა დააყენა არა მარტო ჩვენი საზოგადოებრივი, არამედ ოჯახური ურთიერთობანიც. სინათლის სხივები შეიჭრა ისეთ მიყრუებულ ადგილებში, რომლებიც მანამდე სრული სიბნელით იყო მოცული. რუსი ადამიანები იძულებული იყვნენ შეეხადათ საკუთარი თავისთვის, ფხიზელი თვალი გადაევლოთ მახლობლებისადმი, საზოგადოებისა და ოჯახისადმი თავიანთი დამოკიდებულებისათვის. ოჯახურ ურთიერთობაში, სიყვარულსა და მეგობრობაში დიდ როლის შესრულება დაიწყო ახალმა ელემენტმა — რწმენამ, რაც უწინ «იდეალისტების» მხოლოდ მცირე ჯგუფს გააჩნდა. რწმენის განსხვავება მოულოდნელი განხეთქილების საბაბი გახდა, ქალი, რომელიც გარკვეულ ადამიანს «ეკუთვნოდა», ხშირად ელდანაკრავივით აღმოაჩენდა ხოლმე, რომ მისი კანონიერი «მფლობელი» ობსკურანტი, მექრთამე, უფროსების წინაშე მლიქვნელობს, მამაკაცი, რომელიც სიამოვნებით «ფლობდა» წინათ ტურფა ცოლს, და რომელსაც თვით მისთვის მოულოდნელად ახალი იდეათა ნაკადი შეეხო, ხშირად სასოწარკვეთილებით ხედავდა, რომ მის მშვენიერ სათამაშოს აინტერესებდა არა «ახალი ადამიანები» და არა «ახალი შეხედულებანი», არამედ ახალი მორთულობა და ცეკვები, და კიდევ [74] ქმრის ჩინი და ხელფასი...

[75]... ვერა პავლეს ასულის სიზმრებში ჩვენ ვხედავთ ჩერნიშევსკის სოციალისტურ შეხედულებათა ისეთ ნიშანს, რომელსაც, სამწუხაროდ, უკანასკნელ დრომდე საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ რუსი სოციალისტები. ამ სიზმრებში ჩვენს ყურადღებას იქცევს ჩერნიშევსკის მიერ სავსებით შეთვისებული შეგნება იმისა, რომ სოციალისტური წყობილება შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ იმას, რომ წარმოებას მიმართ ფართოდ იქნება გამოყენებული ბურჟუაზიული პერიოდის მიერ განვითარებული ტექნიკური ძალები.

ივრა პავლეს ასულის სიზმრებში შრომის დიდძალი არჩიები წარმოებას ეწვევიან ერთად, გადადიან რა შუა აზიიდან რუსეთში, ცხელი ჰავის ქვეყნებიდან ცივ ქვეყნებში. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა ფურიეს შემწეობითაც, მაგრამ რუსმა მკითხველმა საზოგადოებამ რომ ეს არ იცოდა, ეს ეგრეთწოდებული რუსული სოციალიზმის შემდგომი ისტორიიდანაც კი ჩანს. სოციალისტური საზოგადოების შესახებ თავიანთ წარმოდგენებში ჩვენი რევოლუციონერები ხშირად იქამდე მიდიოდნენ, რომ სოციალისტური საზოგადოება მათ ესახებოდათ გლახური თემების ფედერაციის სახით, თემებისა. რომლებიც თავიანთ მინდვრებს იმავე ადამისდროინდელ კავით ამუშავებენ, რითაც ისინი მიწას ჩიჩქნიდნენ ჯერ კიდევ ვასილი ბნელის დროს. მაგრამ თავის თავად ეხადია, რომ ასეთი «სოციალიზმი» სულაც არ შეიძლება აღიარებულ იქნას სოციალიზმად. პრო-

NB
შედ. სო-
ციალ-დე-
მოკრატს
№ 1

ლეტარიატის განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ გზით, რომ ადამიანი განთავისუფლდება «მისა» და საერთოდ ბუნების «ბატონობისაგან». ამ უკანასკნელი განთავისუფლებისათვის კი აუცილებლად საჭიროა შრომის ის [76] არმობი და წარმოების მიმართ თანამედროვე მწარმოებლური ძალების ის ფართო გამოყენება, რის შესახებაც ჩერნიშევსკი ვერა პავლეს ასულის სიზმრებში ლაპარაკობდა და რაც ჩვენ, «პრაქტიკულობისადმი» ჩვენს მისწრაფებაში, სრულად დაგვივიწყეთ.

ჩერნიშევსკი მოწამე იყო «ახალი ადამიანების» ახა-

1—«რევოლუციონერისა» სოციალ-დემოკრატში (№ 1, გვ. 173) 172

1
ლი ტიპის გაჩენისა. ეს ტიპი გამოიყვანა მან რახმეტოვის სახით. ჩვენი ავტორი სინარულით მიესალმა ამ ახალი ტიპის გაჩენას და ვერ შეეღია იმ სიამოვნებას, რომ დაეხატა ამ ტიპის თუნდაც გაურკვეველ პროფილი. იმავე დროს იგი ნაღვლიანად ითვალისწინებდა იმას, თუ რა დიდი წამებისა და ტანჯვის გადატანა მოუხდებოდა რუს რევოლუციონერს, რომლის სიცოცხლე მკაცრი ბრძოლისა და მძიმე თავგანწირვის სიცოცხლე უნდა ყოფილიყო და აი ჩერნიშევსკის გამოყავს ჩვენ თვალწინ რახმეტოვის სახით ნამდვილი ასკეტი. რახმეტოვი ნამდვილად აწამებს თავის თავს. იგი სავსებით «უწყალოა თავის თავისადმი», მისი ბინის დიასახლისის გამოთქმით იგი იმაზეც კი მიდის, რომ სინჯოს, შეძლებს თუ არა წამების ატანას, და ამ მიზნით მთელი ღამის განმავლობაში ლურსმებდარკობილ ქეჩაზე წევს. ბევრი, და მათ შორის პისარევი, ამაში უბრალო ახირებულობას ხედავდა. ჩვენ ვეთანხმებით იმას, რომ რახმეტოვის ხასიათის ზოგიერთი ნაკეთის დახატვა სხვაგვარადაც შეიძლებოდა. მაგრამ ხასიათის მთელი ერთობლიობა მაინც სავსებით შეფერება სინამდვილეს:

2—«რუსი რევოლუციონერებიდან»
3 — «უდიდესი» (სოციალ-დემოკრატი № 1, გვ. 174)

2
60-იანი და 70-იანი წლების ჩვენი გამოჩენილა
სოციალისტებიდან თითქმის თვითუღმში მოიბოვე-
3
ბოდა რახმეტოველობის არც თუ პატარა ნაწილი.

ვაშთავრებთ რა ჩვენს შესავალს, ვიტყვი, რომ ჩერნიშევსკის მნიშვნელობამ რუსულ ლიტერატურაში დღემდე სათანადო შეფასება ვერ ჰპოვა. თუ როგორ ცუდად ესმის იგი ჩვენში ბევრ მათგანსაც კი, ვინც მისდამი შეტად კეთილგანწყობილია, ამას გვიჩვენებს ვ. გ. კოროლენკოს მოგონება მასზე. ამ ნიჭიერმა და გონიერმა ავტორმა ჩერნიშევსკი დაგვიხატა რაღაც «რაციონალისტურ ეკონომისტად», რომელსაც ამას-

თან სწამს «მომწყობი გონების ძალა კონტის მიხედვით»*. თუკი სიტყვებს «მომწყობი გონების» შესახებ რაიმე აზრი აქვთ, მაშინ ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ჩერნიშევსკი საზოგადოებრივ მოვლენებს უყურებდა იმ იდეალისტური თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც მას უყურებდა თვით კონტიც. მაგრამ ადამიანს, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენებს იდეალისტის თვალსაზრისით უყურებს, არ შეიძლება ეწოდოს ეკონომისტი იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს სახელწოდება გამოიყენება, — თუმცა, სხვათა შორის, ასევე არა სავსებით მართებულად, — იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც მომწყობი გონების ძალა არა სწამთ [77], მაგრამ სწამთ ეკონომიკის მომწყობი ძალა. «ეკონომისტი», რომელსაც მომწყობი გონების ძალა სწამს, იმ დარვეინისტის მსგავსი იქნებოდა, რომელიც მოსეს კოსმოგონიას იზიარებს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი აქ ისაა, რომ ჩერნიშევსკის «ეკონომიზმს» ბ-ნი კოროლენკო უპირისპირებს ჩვენი «სუბიექტივისტების» სოციალ-გიურ შეხედულებებს. «მას შემდეგ, რაც «რაციონალისტური ეკონომისტები» აღარა ვართ, არც ჩვენ გავჩერებულვართ ერთ ადგილზე. წმინდა ეკონომიური სქემების ნაცვლად, ლიტერატურულმა მიმართულებამ, რომლის მთავარი წარმომადგენელი ნ. კ. მიხაილ-ოსკია, თვალწინ გადაგვიშალა ბიოლოგიური ხასიათის კანონებისა და პარალელების მთელი პერსპექტივა, ეკონომიური ინტერესების თამაშს კი დაეთმო დაქვემდებარებული ადგილი**.

NB

მართლაც, «არ გავჩერებულვართ ერთ ადგილზე!» «ბიოლოგიური ხასიათის კანონებისა და პარალელების პერსპექტივა», მიხაილ-ოსკიმ რომ გადაგვიშალა, უკან გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იყო ჩერნიშევსკის საზოგადოებრივ შეხედულებებთან შედარებით***. ნ. კ. მიხაილ-ოსკი იყო პ. ლავროვის მოწაფე; ლავროვი კი, — როგორც ეს ჩვენ ცხადვყავით წიგნში «ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის», — საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე თავისი შეხედულებებით ბრუნო ბაუერის მიმდევარი იყო. ამიტომ, ვისაც იმის გარკვევა სურს, თუ რა მიმართებაშია ნ. გ. ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობა ჩვენი «სუბიექტივისტების» მსოფლმხედველობასთან. უნდა შეეცადოს უწინარეს ყოვლისა იმის გაგებას, თუ როგორ მიმართებაშია ბრუნო ბაუერის შეხედულებებთან ფოიერბახის ფილოსოფია, რომელსაც ჩერნიშევსკი იზიარებდა. აქ კი საქმე ნათელი და მარტივია: ფოიერბახმა ბევრად გაუსწრო ბრუნო ბაუერს.

* — Короленко. «Отшедшие». Стр. 78.

** — Короленко. «Отшедшие». Стр. 79—80.

*** — საკვირველი არაა, რომ ჩერნიშევსკი, იპვევ ბ-ნი კოროლენკოს დამოწებით, სრულიად უარყოფითად უყურებდა ამ კანონებსა და პარალელებს.

NB

ჩერნიშევსკის შესახებ ჩვენი პირველი სტატიის ეპი-
გრაფად, სტატიისა, რომელიც მისი სიკვდილის შესა-
ხებ მიღებული ცნობის ახალი შთაბეჭდილებით დაი-
წერა და რომელიც მთლიანად გადამუშავებულია ამ
გამოცემაში, ჩვენ ავიღეთ შემდეგი სიტყვები ჩვენი
ავტორის წერილიდან თავისი მეუღლისადმი: «ჩემი
და შენი სიცოცხლე ისტორიას ეკუთვნის, გაივლის ასო-
ბით წლები და ჩვენი სახელები მაინც საყვარელი
იქნება ადამიანთათვის, და მათ მადლიერებით მოი-
გონებენ, როცა უკვე აღარ იქნებიან ისინი, ვინც
ჩვენს დროს ცხოვრობდა». ეს წერილი დაწერილა
1862 წლის 5 ოქტომბერს, ე. ი. იმ დროს, როცა
მისი ავტორი უკვე პატიმრობაში იმყოფებოდა.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ნ. გ. ჩერნიშევსკის
ფილოსოფიური, ისტორიული და
ლიტერატურული შეხედულებანი

ბანოფილიზა პირველი

ნ. გ. ჩერნიშევსკის ფილოსოფიური
შეხედულებანი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ჩერნიშევსკი და ფოიერბახი

[81]... ამ თხზულების პირველ გამოცემაში, — მისი პირველი სტატია, სადაც სხვათა შორის, ლაპარაკი იყო ჩერნიშევსკის ფილოსოფიურ შეხედულებებზე, დაიწერა 18|9 წლის დასასრულს, — ჩვენ ის რწმენა გამოვთქვით, რომ თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით ჩვენი ავტორი ფოიერბახის მიმდევარი იყო. ეს ჩვენი რწმენა, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა ემყარებოდა ფოიერბახის შეხედულებებთან ჩერნიშევსკის იმ აზრების შედარებას, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ ფილოსოფიასთან...

8

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

პოლემიკა იურკევიჩთან და სხვებთან

...[101] იურკევიჩი ჩერნიშევსკის იმ აზრს მიაწერს, რომ მატერიალურ და ფსიქიკურ მოვლენებს შორის არ არის არავითარი განსხვავება, და გამარჯვებული სახით კითხულობს, თუ როგორ ჩნდება ნერვის მოძრაობის შედეგად შეგრძნებანი. ეს ძველი სისულელეა, რომლითაც დიდხანია უკვე თავს აბეზრებენ მატერიალისტებს, და რომლიდანაც მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ადამიანები, რომლებსაც მატერიალიზმის «გაკრიტიკება» სურთ, მის ანბანსაც კი არ იცნობენ. ჩერნიშევსკი არსად არ ამბობს თავის სტატიაში, რომ არავითარი განსხვავება არა ეგრეთწოდებულ [102] ფიზიკურ მოვლენებსა, ერთი მხრივ, და ფსიქიკურ მოვლენებს შორის, მეორე მხრივ. პირიქით, იგი კატეგორიულად აღიარებს ამ განსხვავების არსებობას; მაგრამ ის ფიქრობს, რომ ეს განსხვავება არავითარ უფლებას არ იძლევა იმისათვის, რომ ფსიქიკური მოვლენები განსაკუთრებულ არამატერიალურ ფაქტორს მივაკუთვნოთ. ჩვენთვის უკვე ცნობა-

ლია მისი შენიშვნა, რომლის თანახმად ყოველ საგანში ბევრი სხვადასხვა თვისებრიობაა. ახლა ჩვენ მას უფრო დაწვრილებით ვადმოცემთ. «მაგალითად, — ამბობს ჩერნიშევსკი, — ხე იზრდება, იწვის; ჩვენ ვამბობთ, რომ მას აქვს ორი თვისებრიობა: იზრდება და ადვილად იწვის. რაშეა მსგავსება ამ ორ თვისებრიობას შორის? ისინი სრულიად განსხვავებულია; არ არის ისეთი ცნება, რომელშიც ორივე ამ თვისებრიობის მოთავსება შეიძლებოდეს, გარდა ზოგადი ცნებებისა — თვისებრიობა; არ არის ისეთი ცნება, რომელშიც შეიძლებოდა მოგვეთავსებინა ამ თვისებრიობათა შესაბამისი მოვლენების ორივე მწკრივი, გარდა ცნებისა — მოვლენა. ანდა, მაგალითად, ყინული მაგარი და მბრწყინავია; რა საერთოა სიმაგრესა და ბრწყინვას შორის? ლოგიკური მანძილი ერთი ამ თვისებრიობიდან მეორემდე უზომოდ დიდია, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, არ არის მათ შორის არავითარი, ახლო ან შორეული, ლოგიკური მანძილი, იმიტომ რომ მათ შორის არ არის არავითარი ლოგიკური მიმართება. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ სრულიად სხვადასხვაგვარ თვისებრიობათა შეერთება ერთ საგანში ნივთთა ზოგადი კანონია». ასევეა იმ თვისებრიობის მიმართ, რასაც ჩვენ შეგრძნებისა და აზროვნების უნარს ვუწოდებთ. მისი მანძილი ცოცხალი ორგანიზმის ეგზეტ-წოდებულ ფიზიკურ თვისებრიობათაგან უზომოდ

არა უზომოდ
(თუმცა ჩვენ
ჯერ კიდევ
არ ვიცით ეს
„ზომა“)

NB

დიდია. მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის იყოს იმავე ორგანიზმის თვისებრიობა, რომელსაც იმავე დროს გააჩნია განფენილობა და მოძრაობის უნარი...

[103]... ჯერ კიდევ ჯ. პრისტლი ამბობდა თავის «Disquisitions»-ში, რომ მატერიალური მოძღვრების დიდად ბოროტი გამოყენება იქნებოდა ის აზრი, რომ ტვინის ვიბრაციები ალქმის იგივეურია. «ადვილად შეიძლება, — ამბობდა იგი, — წარმოვიდგინოთ ვიბრაციები, რომლებსაც თან არ ახლავს ალქმა. მაგრამ ჩვენ ვვარაუდობთ (it is supposed), რომ ტვინს, გარდა იმისა, რომ ვიბრაციების უნარი აქვს, გააჩნია აგრეთვე ალქმის ან უგრძობის უნარი; ჩვენ სრულიად არ ვიცით, რატომ არ შეიძლებოდა მას ასეთი უნარი ჰქონოდა» *. სწორედ ეს არის თვალსაზრისი ახალი დროის ყველა გამოჩენილი მატერიალისტისა, რა თქმა უნდა, ფოიერბახისა და ჩერნიშევსკის ჩათვლით. მატერიალიზმის მოწინააღმდეგეებს — თანამედვერულ და არათანამედვერულ, შეგნებულ და შეუგნებელ იდეალისტებს — ამ მოძღვრების თავიანთი კრიტიკით უწინარეს ყოველისა უნდა დავერწმუნებინეთ, რომ მათ ამ მხრივ პრისტლზე მეტი იციან, და ეჩვენებინათ ჩვენთვის, სახელდობრ რა მოსაზრებება

* Disquisitions relating to Matter and Spirit. By Joseph Priestley. Vol. I. The second edition. Birmingham, MDCCLXXX, II. ტ. 121.

უშლის მათ ხელს პრისტლისთან ერთად აღიარონ, რომ ტვინს, გარდა ვიბრაციების უნარისა, შეუძლია ჰქონდეს ალქმის უნარიც. ასეთი მოსაზრებები მათ, უეჭველია, აქვთ. მაგრამ ეს მოსაზრებანი წარმოადგენენ იმ სპირიტუალისტურ ცაურწმენას, რომ მატერია თავისთავად, — ე. ი. თუ იგი სულის მიერ გაცხოველმყოფელად არ არის, — მკვდარია და არ შესწევს უნარი არა მარტო ალქმისა, არამედ მოძრაობისაც კი. მატერიალისტებთან დავაში მსგავს მოსაზრებებზე ანოთეზა იმას ნიშნავს, რომ დაუშვა აშკარად *petiti principii*, ე. ი. დაეყრდნო იმ ღებულებას, რომელიც სწორედ დამტკიცებას საჭიროებს. ცოტად თუ ბევრად ბუნდოვნად ამას თვით მატერიალიზმის მოწინააღმდეგენიც გრძნობენ. ამიტომ ისინი ჩვეულებრივ ძალიან ერიდებიან ისეთ მოსაზრებათა აშკარად წამოყენებას, რომელიც მათ ხელს უშლიან ალქმის უნარი მატერიის ერთ-ერთ თვისებად აღიარონ, და ამჯობინებენ უარყონ ის, რაც არც ერთ გამოჩენილ მატერიალისტს არ უთქვამს, ყოველ შემთხვევაში ახლდროში, ე. ი., რომ ალქმა იგივეა, რაც მოძრაობა*.

მკითხველისათვის მიგვინდვია თვითონ განსაჯოს ასეთი კრიტიკა, ამ კრიტიკას კი ჩვენში ამჟამად გასაყვლი აქვს უფრო მეტად, ვიდრე სადმე და ოდესმე ჰქონია...

[105]... «რა თქმა უნდა, — აღიარებს ჩერნიშევსკი, — როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სხეულთა მდგომარეობის სხვაობაზე ქიმიური პროცესის დროს და ისეთ დროს, როცა ისინი პროცესში არ იმყოფებიან, ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ რაოდენობრივ განსხვავებაზე პროცესის ძლიერ, ჩქარ მსვლელობასა და მის მეტად ნელ, სუსტ მსვლელობას შორის. კაცმა რომ თქვას, ყოველი სხეული მუდამ იმყოფება ქიმიური პროცესის მდგომარეობაში; მაგალითად, მორი, თუ მას არც ცეცხლს მოუკიდებენ, არც ლუმელში დაწვამენ, არამედ მშვიდად, თითქოსდა ყოველგვარი ცვლილების გარეშე, სახლის კედელში დადებენ, ოდესმე მაინც ისეთ დასასრულამდე მივა, რა დასასრულამდეც იგი წვას მიჰყავს: იგი თანდათანობით დალპება, და მისგან დარჩება მხოლოდ ფერფლი (მტვერი დამპალი ხისა, რომელიც, ბოლოს, თავის ნაცვლად დატოვებს მარტოდენ ფერფლის მინერალურ ნაწილაკებს). მაგრამ თუ ეს პროცესი, როგორც, მაგალითად, სახლის კედელში მორის ჩვეულებრივი ლპობისას, უაღრესად ნელა და სუსტად მიმდინარეობს, მაშინ პროცესში მყოფი იმ სხეულის დამახასიათებელი თვისებრიობანიც მიკროსკოპული სისუსტით მქლავნდება და ეს

* — ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ანტიკურ მატერიალისტებს, მაგალითად, დემოკრიტესა და ეპიკურეს, შესაძლოა გარკვეული ბუნდოვანება ემჩნეოდათ ამ საკითხში, თუცა ეს სულაც არაა დამტკიცებული: ხომ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მოაზროვნეთა შეხედულებებმა ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია.

სისუსტე ყოველდღიურ ყოფაში სრულიად შეუმჩნეველია. მაგალითად, კედელში მდებარე ხის ნელი ლპობისას ასევე ვითარდება სითბო, მაგრამ მისი ის რაოდენობა, რომელიც წვის დროს შეიკვრებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში, აქ გათხელდება (თუ შეიძლება ასე ითქვას) რამდენიმე ათეული წლის მახშილზე, ასე რომ ვერ აღწევს ვერავითარ შედეგს, რომელიც პრაქტიკაში ადვილშესამჩნევი იყოს: ამ სითბოს არსებობა უმნიშვნელოა პრაქტიკული მსჯელობისათვის. ეს იგივეა, რაც ლენინის გემო წყლის ტბორში, სადაც დაუმატეს ლენინის ერთი წვეთი: მეცნიერული თვალსაზრისით ეს ტბორი შეიცავს წყლის ნარეგს ლენინსთან; მაგრამ პრაქტიკულად უხდა ჩავთვალთ, რომ მასში ლენინი ვითომდა სრულებით არ არის».

[106] ეს შესანიშნავი სტოიკონები გვაფიქრებინებს, რომ ჩერნიშევსკისათვის ამ მხრივაც არ იყო არავითარი უფსკრული ორგანიზებულ მატერიასა, ერთი მხრივ, და არაორგანიზებულ მატერიას შორის—მეორე მხრივ. რასაკვირველია, ცხოველის, — განსაკუთრებით კი ზოოლოგიური კიბის მწვერვალზე მდგომი ცხოველის, — ადამიანის, — ორგანიზმი ამქალაქებს ჩვენთვის საინტერესო მხრივ ისეთ თვისებებს, რომელთაც არაორგანიზებული მატერია სავსებით მოკლებულია. მაგრამ ხის წვის პროცესსაც ხომ ბევრი ისეთი მოვლენა ახლავს თან, რაც მისი ნელი ლპობის პროცესისათვის დამახასიათებელი არაა. არსებითი განსხვავება კი ამ ორ პროცესს შორის არ არის. პირიქით, არსებითად ეს ერთი და იგივე პროცესია; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ის მიმდინარეობს ძლიერ ჩქარა, მეორეში კი — უაღრესად ნელა. ამიტომ ამ პროცესში მყოფი სხეულის დამახასიათებელ თვისებრიობებს პირველ შემთხვევაში დიდი ძალა აქვთ, მეორეში კი მათი განმასხვავებელია «მიკროსკოპული სისუსტე, რომელიც ყოველდღიურ ყოფაში სრულიად შეუმჩნეველია». ფსიქიკური მოვლენების საკითხის მიმართ ეს ნიშნავს, რომ მატერია არაორგანიზებული სახითაც არაა მოკლებული «შეგრძნების» იმ ძირითად უნარს, რომელიც ასეთ მდიდარ «სულიერ» ნაყოფს იძლევა უმაღლეს ცხოველებში. მაგრამ არაორგანიზებულ მატერიაში ეს უნარი უაღრესად სუსტადაა წარმოდგენილი. ამიტომ იგი სრულიად შეუმჩნეველია მკვლევარისათვის. და ჩვენ შეგვიძლია იგი ნულს გავუთანაბროთ, ისე რომ არ გავწიოთ რამდენადმე შესამჩნევი შეცდომის რისკი. მაგრამ მაინც არ უხდა დავავიწყდეს, რომ ეს უნარი საერთოდ დამახასიათებელია მატერიისათვის და რომ ამის გამო არა გვაქვს საფუძველი შევხედოთ მას როგორც რამიმ სასწაულს იქ, სადაც იგი განსაკუთრებული ძალით ელინდება, როგორც ამას ვხედავთ, მაგალითად, უმაღლეს ცხოველებში საერთოდ, უმთავრესად კი ადამ-

NB

მიანებში. გამოთქვამდა რა, — ჩვენი მაშინდელი ბეჭდვათი სიტყვის პირობებში აუცილებელი სიფრთხილით, — ასეთ აზრს, ჩერნიშევსკი უახლოვდებოდა ისეთ მატრიალისტებს, როგორც იყვნენ ლამეტრი და დიდრო, რომლებიც, თავის მხრივ, უსარგებლო თეოლოგიური დანამატისაგან განთავისუფლებული სპინოზიზმის თვალსაზრისზე იდგნენ...

[107]... იურკევიჩი ამტკიცებდა აგრეთვე, რომ რადენობრივი სხვაობანი გადაიქცევა თვისებრივ სხვაობებად არა თვით საგანში, არამედ მის მიმართებაში მგრძობობიარე სუბიექტისადმი. მაგრამ ეს მეტად უხეში ლოგიკური შეცდომაა. მგრძობობიარე სუბიექტისადმი თვის მიმართებაში რომ შეიცვალოს, ობიექტი

წინასწარ უნდა შეიცვალოს

თვით თავის თავში.

არა ლოგიკური, არამედ გნოსეოლოგიური

თუ ყინულს ჩვენთვის აქვს არა ის თვისებები, რაც წყლის ორთქლს გააჩნია, ეს იმით აიხსნება, რომ წყლის ნაწილაკების ურთიერთმიმართებანი პირველ შემთხვევაში სრულიად არაა ისეთი, როგორც მეორეში. მაგრამ კმარა ამაზე...

ცნობილია, როგორი ზიზღით მოეკიდა ჩერნიშევსკი იურკევიჩის არგუმენტებს. მან არ დაიწყო, — და ცენზურული პირობების გამო არც პქონდა ამის შესაძლებლობა, — ამ არგუმენტების განხილვა, არამედ უბრალოდ ისინი მოძველებულ და სრულიად არაღამაჯერებელ არგუმენტებად გამოაცხადა.

«მე თვითონ სემინარისტი ვარ, — წერდა იგი თავის «პროლეტკურ მშენიერებებში». — მე გამოცდილებით ვიცი იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებიც ისე იზრდებოდნენ, როგორც იურკევიჩი აღიზარდა. მე მინახავს ადამიანები, რომლებსაც ისეთი მდგომარეობა უჭირავთ, როგორც მას უკავია. ამიტომ მისი დაცინვა ჩემთვის მძიმეა: ეს იქნებოდა დაცინვა იმისა, რომ შესაძლებლობა არა გაქვს ხელთ გქონდეს წესიერი წიგნები, დაცინვა სრული უმწეობისა თავიანთი განვითარების საქმეში, იმ მდგომარეობისა, რომელიც ყოველმხრივ წარმოუდგენლად შეზღუდულია.

«მე არ ვიცი, რამდენი წლისაა ბ-ნი იურკევიჩი; თუ იგი უკვე ახალგაზრდა აღარ არის, მისთვის ზრუნვა გვიანაა. მაგრამ თუ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მე სიამოვნებით შევთავაზებ მას წიგნების იმ მცირე მარაგს, რომელიც ჩემს განკარგულებაშია».

ბ-ნ ვოლინსკის ასეთი პასუხი დღემდე მეტად [108] არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია. მას ჰგონია, რომ ჩერნიშევსკი ასე მხოლოდ იმიტომ უპასუხებდა, რომ უნარი არ შესწევდა საფუძვლიანად უარეყო იურკევიჩის არგუმენტები. როგორც ჩანს, ასევე მსჯელობდა ნი-იანი წლების დასაწყისის ზოგიერთი ჟურნალისტიც. აი, მაგალითად, დუდიშკინი «ოტჩესტვენე ზაპისკი»-ში, ჩამოთვლიდა რა მუხლობრივ იურკევი-

ჩის ვითომდა დაურღვეველ არგუმენტებს, მიმართავდა ჩერნიშევსკის და წერდა:

«მგონი, ნათელია; საქმე ეხება უკვე არა სხვა ვინმეს, არამედ თქვენ, არა ფილოსოფიას და ფიზიოლოგიას საერთოდ, არამედ იმას, რომ თქვენ ეს მეცნიერებანი არ იცით. რა საჭიროა აქ სემინარული ფილოსოფიის შესახებ მეხსარიდი? რატომ უნდა აურიოთ ერთმანეთში სრულიად განსხვავებული საგნები და ილაპარაკოთ, რომ თქვენ ყველაფერი ეს უკვე იცოდით სემინარიაში, და ახლაც კი ზეპირად განსოვთ?».

ამაზე ჩერნიშევსკი უპასუხებდა, რომ რაკი დუდიშკინი სემინარულ რვეულებს არ იცნობდა, მას არ შეეძლო გაეგო, რაში იყო საქმე. «თქვენ რომ გარჯილიყავით, და ეს რვეულები გადაგეთვალთქვინებინათ, — განაგრძობს იგი, — დაინახავდით, რომ ყველა იმ ნაკლს, რასაც ბ-ნი იურკევიჩი ჩემში ხედავს, ეს რვეულები ხელავენ არისტოტელეში, ბეკონში, გასენდიში, ლოკ-

NB

ში და ა. შ. და ა. შ., ყველა ფილოსოფოსში, ვინც კი იდეალისტი არ იყო. მაშასადამე, მე როგორც ცალკეულ მწერალს, ეს საყვედურები სრულიად არ შემეხება. ისინი შეეხება საკუთრივ ისეთ თეორიას, რომლის პოპულარიზაციაც მე სასარგებლო საქმედ მიმაჩნია. თუ არ გჯერათ, ჩაიხედეთ «ფილოსოფიურ ლექსიკონში», რომელიც იმავე მიმართულებას ეძღვნის, რომელსაც ბ-ნი იურკევიჩი ემხრობა, და რომელსაც ბ-ნი ს. გ. სცემს, თქვენ დაინახავთ, რომ იქ ყოველი არაიდეალისტის შესახებ ნათქვამია იგივე: მან არც ფსიქოლოგია იცის, მისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებანიც უცნობია, იგი შინაგან გამოცდილებასაც უარყოფს, იგი ფაქტების წინაშეც ქედს იხრის, იგი მეტაფიზიკასაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ურევს, იგი აღამიანსაც ამცირებს, და ა. შ., და ა. შ...

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

მოდკრება წინობაზე

[111]... საერთოდ, გონიერულ ეგოიზმზე ჩერნიშევსკის შეხედულებას ძლიერ ემჩნევა ყველა «საგანმანათლებლო პერიოდისათვის» (Aufklärungsperioden) დამახასიათებელი მისწრაფება იმისადმი, რომ განსჯაში ვეძიოთ დასაყრდენი ზნეობისათვის, ხოლო ცალკეული პირის ცოტად თუ ბევრად საფუძვლიან ყაიროთიანობაში მისი ხასიათისა და მისი საქციელის ახსნა-განმარტება. ზოგჯერ ჩერნიშევსკის მსჯელობანი ამ საკითხზე ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ჰელფეციუსისა და მის თანამოაზროვნეთა მსჯელობებს. თითქმის ასევე ძლიერად მოგვაგონებენ ისინი ძველ საბერძნეთში განმანათლებელთა ეპოქის ტიპიურად წარმომადგენლის, სოკრატეს, მსჯელობებს, რომელიც

მეგობრობის დამცველად გამოდიოდა და ამტკიცებდა, რომ მეგობრების ყოლა ხელსაყრელია, რადგან ისინი შეიძლება უბედურების დროს გამოვადგენო [112]. ასეთი უკიდურესობანი გონებითობისა

იმით აიხსნება, რომ განმანათლებელ ჩვეულებრივ არ შეეძლოთ დამდგარიყვენ განვითარების თვალსაზრისზე*.

ჩვენ ვიცით, რომ, ჩერნიშევსკის თეორიის თანახმად, ადამიანი თავისი ბუნებით არც კეთილია, არც ბოროტი, არამედ კეთილი ან ბოროტი ხდება იგა გარემოებათა მიხედვით**. თუ ჩვენ იმას ვაღიარებდით, რომ ადამიანი ყველა თავის საქციელში მუდამ ანგარიშით ხელმძღვანელობს, მაშინ ჩვენ სხვაგვარად უნდა დავგვეფორმულებინა ჩერნიშევსკის უბედურება ადამიანის ბუნებაზე: მაშინ ჩვენ უნდა გვეთქვა, რომ ადამიანი თავისი ბუნებით არც კეთილია და არც ბოროტი, არამედ მხოლოდ ანგარიშაინაა, ამასთან მისი ეს თვისება მეტ-ნაკლებად ძლიერდება გარემოებათა მიხედვით. მაგრამ საეჭვოა, რომ ჩვენს ავტორს ამგვარი დაფორმულება მოსწონებოდა.

რა არის სიკეთე, რა არის ბოროტება მისი თეორიის მიხედვით? ამ კითხვას უპასუხებს იგივე, — როგორც მეთხველი ხელავს, მეტად შინაარსიანი, — სტატია «ანტროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში». «ყალკეული ადამიანი, — ამბობს იქ ჩერნიშევსკი, — კეთილ საქციელს უწოდებს ადამიანთა იმ საქმიებს, რომლებიც სასარგებლოა მისთვის; საზოგადოებრივ აზრს კეთილად მიაჩნია ის, რაც სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის ან მის წევრთა უმრავლესობისათვის; დასასრულ, ადამიანები საერთოდ, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა, სიკეთეს უწოდებენ იმას, რაც სასარგებლოა ადამიანისთვის საერთოდ». ხშირად ხდება, რომ სხვადასხვა ერისა და წოდების ინტერესები ეწინააღმდეგება ერთიმეორეს ანდა ზოგადასაკაცობრიო ინტერესებს; ასევე ხშირად ხდება,

* უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენს წიგნში: «Beiträge zur Geschichte des Materialismus — Holbach Helvetis und Karl Marx». Stuttgart, 1896.

** — ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ უწინ ჩვენი ავტორი ადამიანის ბუნებაზე სულ სხვა შეხედულებას გამოთქვამდა ამ უბედურების თანახმად, ადამიანი არის — ღრსება, რომელსაც თავისი ბუნებით მიდრეკილება აქვს პატივი სცეს და უყარდეს სიპატიოდ და სიკეთე და ითაკლოს ყოველივე ცუდი. არსება, რომელსაც შეუძლია სიკეთისა და სიპატიოს კაიკები დაარღვიოს მხოლოდ უცოდინარობით. შეცდოხით ანდა მის ხასიათსა და გონებაზე ბევრად უფრო ძლიერ გარქოებათა ზეგავლენით, მაგრამ რომელსაც არასოდეს არ შეუძლია თავისი ნებათ და სურვილით ბოროტება სიკეთეს აჩვენოს» (იხ. სტატია შჩადრინის «საგუბერნიო სარკვევის» შესახებ, «სოვერეჟიკი», 1897 წ. № 6, გადაბეჭდილია «თხზულებათა სრულ კრებულში», ტ. III. ეტიმოლოგიური სტრუქტურები მოთავსებულია აქ ტ. III-ის 221 — 222 გვერდზე). ეს უფრო სოკრატეს წაგავს, ვიდრე განვითარების შესახებ არსებულ ახლანდელ მოძღვრებას.

NB

რომ ერთი წოდების ინტერესები ეწინააღმდეგება მთელი ერის ინტერესებს. როგორ გადაწყვიტოთ აქ, სად არის სიკეთე და სად ბოროტება?

ბ ა ნ ყ ო ზ ი ლ ე ბ ა II

6. ბ. ჩერნიშევსკის ისტორიული შეხედულებაანი

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მატერიალიზმი ჩერნიშევსკის
ისტორიულ შეხედულებაში

[159]... ჩერნიშევსკიმ ფოიერბახის შეხედულებანი გამოიყენა ესთეტიკის მიმართ და აქ მან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გარკვეული აზრით მეტად მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. მაგრამ აქაც მისი დასკვნები არ იყო მთლიანად დამაკმაყოფილებელი, იმიტომ რომ საესეებით სწორი შეხედულება კაცობრიობის ესთეტიკურ განვითარებაზე გულისხმობს ისტორიის ზოგადი ვაგების წინასწარ გამომუშავებას. რაც შეეხება ისტორიის ამ ზოგად ვაგებას, ჩერნიშევსკიმ შეძლო მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის — მართლაც მეტად უტყუარი ნაბიჯის — გადადგმა მისი გამომუშავების მიმართულებით. ასეთი ნაბიჯების მაგალითებად შეიძლება გამოვლენოთ ის ვრცელი ამონაწერები მისი თხზულებებიდან, რომლებიც ჩვენ ახლახან მოვიყვანეთ [160]...

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

იდეალიზმი ჩერნიშევსკის
ისტორიულ შეხედულებაში

აი რას ვკითხულობთ ჩვენ მის სტატიაში, რომელიც მიძღვნილი იყო ვ. პ. ბოტკინის წიგნისადმი: «წერილები ესპანეთის შესახებ» («სოვერემენიკი», 1857 წ., წიგ. მე-2):

«ხალხის დაყოფა მტრულად განწყობილ კასტებად ერთ-ერთი უძლიერესი დაბრკოლებაა მისი მომავლის გაუმჯობესების გზაზე, — ესპანეთში არ არის ეს დამლუპველი დაყოფა, არ არის შეუერივებელი მტრობა წოდებებს შორის, რომელთაგან თვითიეული მზად იყოს ყველაზე ძვირფასი ისტორიული მონაბოგარი მსხვერპლად გაიღოს მხოლოდ იმისათვის, რომ ზიანი მიაყენოს მეორე წოდებას, — ესპანეთში მთელი ერი ერთ მთელად გრძნობს თავის თავს. ეს თავისებურება ისე არაჩვეულებრივია დასავლეთ ევროპის ხალხებს შორის, რომ იგი უდიდეს ყურადღებას იმსახურებს, და უკვე მართლაც ეს, თავისთავად, შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის ბედნიერი მომავლის თავდებად» *.

* — Сочинения, т. III, стр. 88.

ეს არ არის კალმის შეცდომა, იმიტომ რომ რამდენიმე სტრუქტურით ქვემოთ იმავე სტატიის ჩერნიშევსკი ამბობს: «მეტწილ ცივილიზებულ ერებთან შედარებით ესპანელ ხალხს უღვაწე უპირატესობა აქვს ერთ, უღარესად მნიშვნელოვან რამეში: ესპანეთის [161] წოდებანი არ არიან დაყოფილი ერთმანეთს შორის არც ძვალ-რბილში გამჯდარი სიძულვილით, არც ინტერესთა არსებითი დაპირისპირებულობით; ისინი არ შეადგენენ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ კასტებს, როგორც ამას ვხედავთ ბევრ დასავლეთევროპულ ქვეყანაში; პირიქით, ესპანეთში ყველა წოდებას შეუძლია მეგობრულად ერთსა და იმავე მიზანს ესწრაფოდეს» *...

[163]... სოციალისტ-უტოპისტები იდეალისტური თვალსაზრისით უყურებდნენ მათი თანამედროვე საზოგადოების მთელ შემდგომ ბედ-იღბალს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ საზოგადოების ბედს გააღწევდნენ მისი წევრების «აზრით», ე. ი. შეხედულება საზოგადოებრივი გარდაქმნის იმ გეგმაზე, რომელსაც ესა თუ ის რეფორმატორი გვთავაზობს. ისინი არ ეკითხებოდნენ თავიანთ თავს, რაზეა დამოკიდებული ის, რომ მოცემულ საზოგადოებაში ბატონობენ ეს და არა სხვა შეხედულებანი. ამიტომ მათ არც იმის ხალისი ჰქონდათ, რომ შემდგომ დაემუშავებინათ ისტორიის მატერიალისტური გაგების ის ელემენტები, რომლებსაც უეჭველია, დიდი რაოდენობით შეიცავდა მათი მოძღვრებანი. პირიქით, მათში ფეხს იკიდებდა ის განწყობილება, რომ იდეალისტური თვალსაზრისით განეხილათ კაცობრიობის წარსული ისტორიაც. ამის გამო ჩვენ მათს მსჯელობებში ამ ისტორიის შესახებ ძალიან ხშირად წავაწყდებით ხოლმე ყველაზე უეჭველ და, თითქოს, ყველაზე აშკარა წინააღმდეგობებს: ფაქტები, რომელთაც, თითქოს, სავეებით მატერიალისტური აზრით განმარტავდნენ, უცებ სავეებით იდეალისტურ ახსნა-განმარტებას იღებენ; და პირიქით, იდეალისტური ახსნა-განმარტებანი ხშირად შეიცვლება ხოლმე სავეებით მატერიალისტური გადახვევებით. ეს მერყეობა, ეს მუდმივი, თანამედროვე მკითხველისათვის შესამჩნევი, მაგრამ ავტორისათვის შეუუმჩნეველი გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმზე იგრძნობა ჩერნიშევსკის ისტორიულ მსჯელობებშიც, და ამ მხრივ ჩერნიშევსკი მოგვაგონებს დასავლეთის დიდ უტოპისტებს, საბოლოო ანგარიშით იგი, ვიმეორებთ, მათსავე იდეალიზმისაკენ იხრება.

ეს კარგად ჩანს მისი საინტერესო სტატიიდან «რომის დაცემის მიზეზების შესახებ (მონტესკიეს მიზაძეა)», რომელიც 1861 წლის «სოვრემენიკში» დაბეჭდა (მე-5 წიგნი). ამ სტატიის იგი ენერგიულად ილაშქრებს იმ ძალიან გავრცელებული, აზრის წინააღმდეგ, რომ დასავლეთ [164] რომის იმპერია დაიღუპა იმის გამო, რომ მას არ გააჩნდა შემდგომი გან-

ვითარების უნარი, მაშინ როდესაც ბარბაროსებმა, რომლებმაც მის არსებობას ბოლო მოუღეს, თან მოიტანეს პროგრესის ახალი თესლი...

აქ ნახსენებიც არაა არც რომის შინაგანი სოციალური ურთიერთობა, რამაც მისი სისუსტე გამოიწვია და რაც ჯერ კიდევ გიზომ აღნიშნა თავის პირველ სტატიამი «Essais sur l'histoire de France», და არც საერთო ცხოვრების ის ფორმები, რომლებმაც განაპირობეს გერმანელი ბარბაროსების ძალა დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის ეპოქაში. ჩერნიშევსკის დაავიწყდა კიდევ მის მიერვე სხვა ადგილას ციტირებული პლინიუსის ცნობილი სიტყვები: *latifundia perdidere Italiam* (ლატიფუნდიებმა დაღუპეს იტალია). მის «პროგრესის ფორმულაში», — როგორც შევსდევნი ჩვენთან მას უწოდეს, — [165] არ აღმოჩნდა ადგილი მოცემული ქვეყნის შინაგანი ურთიერთობისათვის. მთელი საქმე გონებრივ განვითარებამდეა დაყვანილი. ჩერნიშევსკი გადაჭრით აცხადებს, რომ პროგრესი დამყარებულია გონებრივ განვითარებაზე, და რომ მის «ძიროთად მხარეს სწორედ ცოდნათა წარმატებანი და განვითარება შეადგენენ». მას აზრადაც კი არ მოსდის, რომ «ცოდნათა წარმატებანი და განვითარება» შეიძლება დამოკიდებული იყოს სოციალურ ურთიერთობაზე, რომელიც ერთ შემთხვევაში ხელს უწყობს ამ წარმატებასა და ამ განვითარებას, მეორე შემთხვევაში კი — ხელს უშლის მათ. სოციალური ურთიერთობა მას გამოჰყავს როგორც გარკვეული აზრების გაჯერებულ უბრალო შედეგი. ჩვენ ეს-ეს არის არის წყვილითხეთ: «მუშაიდება ისტორიული ცოდნა. ამით მცირდება ყალბი ცნებები, რომლებიც ადამიანებს ხელს უშლიან მოაწყონ თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრება, და ცხოვრებაც წინანდელზე უფრო წარმატებით ეწყობა». ეს ძალიან არა ჰგავს იმას, რასაც ჩვენი ავტორი ამბობდა სტატიაში რომეისის წიგნის შესახებ. იქ მას ისე გამოუდიოდა, გარდა ამისა, რომ შეუძლებელი და სასაცილოც კია ვიმსჯელოთ სწავლულებზე, როგორც მოწაფეებზე: არ იცოდა ესა თუ ის მეცნიერება და ამიტომ მცდარი შეხედულება შეიმუშავა, იქ მას ისე გამოუდიოდა, გარდა ამისა, რომ საქმე ის კი არაა, თუ რამდენი ცოდნა აქვს ამა თუ იმ მეცნიერს, არამედ, თუ როგორია იმ ჯგუფის ინტერესები, რომელსაც ეს მეცნიერი წარმოადგენს. ერთ სიტყვით, იქ ისე გამოდიოდა, რომ საზოგადოებრივ შეხედულებებს განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ინტერესები, საზოგადოებრივ აზრს კი — საზოგადოებრივი ცხოვრება. ახლა გამოდის პირიქით. ახლა ირკვევა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრი, და თუ საზოგადოებრივ წყობილებას გარკვეული ნაკლი აქვს, ეს იმის გამო ხდება, რომ საზოგადოება, ისე როგორც მოსწავლე, ცუდად და ცუტას სწავლობდა და ამიტომ მცდარი შეხედულებანი შეიმუშავა. შეუძლებელია უფრო გასაოცარი წინააღმდეგობის გამოგონება...

[170]... გერცენის შეხედულება «ძველ სამყაროს-თან» რუსეთის დამოკიდებულების შესახებ სლავიანოფილების ძლიერი ზეგავლენით შემუშავდა და მცდარი იყო. მაგრამ შეიძლება მცდარ შეხედულებამდე მივიდეთ, როცა ცოტად თუ ბევრად სწორ მეთოდს დავიცავთ, სრულიად ისევე, როგორც სწორი შეხედულება შეიძლება მივიღოთ იმის შედეგად, რომ ცოტად თუ ბევრად მცდარ მეთოდს ვინმართ. ამიტომ შეიძლება ვიკითხოთ, როგორ მიმართებაში იყო ის მეთოდი, რომლის შემწობითაც გერცენმა თავისი მცდარი შეხედულება გამოიმუშავა, იმ მეთოდთან, რომელმაც ჩერნიშევსკი ამ შეხედულების სრულიად დამსახურებულ უარყოფამდე და დაცინვამდე მიიყვანა...

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ჩერნიშევსკი და მარჰსი

[188]... შეიძლება მოგვაგონონ, რომ, ჩვენი შენიშვნის თანახმად, ჩერნიშევსკის რეცენზიები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, უკვე მას შემდეგ გამოქვეყნდა, რაც მარჰსისა და ენგელსის ისტორიული შეხედულებანი მწყობრ მთლიანობად ჩამოყალიბდა. ჩვენ არც ვიფიქრებთ ამას. მაგრამ ვფიქრობთ, რომ საქმე აქ უბრალო ქრონოლოგიური ცნობებით როდი წყდება. ლასალის მთავარი თხზულებებიც უკვე იმის შემდეგ გამოქვეყნდა, როცა მარჰსისა და ენგელსის ისტორიული შეხედულებებს მწყობრი სახე ჰქონდათ მიღებული, ნამდვილად კი, თავისი იდეური შინაარსით, ეს თხზულებანიც ისტორიული იდეალიზმიდან ისტორიულ მატერიალიზმზე გადასვლის ეპოქას ეკუთვნის. საქმე ის კი არაა, როდის გამოვიდა ესა თუ ის თხზულება, არამედ ის, თუ როგორი იყო მისი შინაარსი.

თუ წინა ისტორიულ ეპოქებში ცოდნათა პროგრესი შეპირობებული იყო ეკონომიური ურთიერთობის წყობით, სამაგიეროდ, ჩვენს ეპოქაზე გადასვლისას, ჩერნიშევსკი უნდა შეკითხებოდა თავის თავს, როგორია ამ ეპოქის ის ეკონომიური თავისებურებანი, რომლებმაც გამოიწვიეს სოციალური ჭეშმარიტების აღმოჩენა და უზრუნველყვეს მისი მომავალი განხორციელება ცხოვრებაში. მაგრამ იმისათვის, რომ მას ამ საკითხისათვის ხელი მოეკიდა, საჭირო იყო იდეალიზმიდან გადაქრით კავშირის გაწყვეტა და ორივე ფეხებით ისტორიის მატერიალისტური ახსნის ნიადაგზე დადგომა. ჩვენ აღარ გავიმეორებთ, რომ ჩერნიშევსკის ჯერ კიდევ ფიქრადაც არ მოსვლია იდეალიზმიდან კავშირის გაწყვეტა და რომ მისი წარმოდგენა საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ მსვლელობაზე საესებით იდეალისტური იყო. ჩვენ მხოლოდ მკითხველს ეთხოვთ დაიხსომოს, რომ ისტორიული მატერიალიზმი ჩერნიშევსკის აიძულებდა თავის მოსაზრებებში მომაკლარ შესახებ პირველი ადგილი დაეთმო «მოწინავე ადამიანებისათვის»—ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რო-

NB

გორც ახლა ჩვენში ამბობენ [189], რომლებმაც უნდა გაავრცელონ მასაში სოციალური კემპარტიტება, რაც, ბოლოს, აღმოჩენილ იქნა. მასას იგი უთმობს წინ მიმავალი არმიის ჩამორჩენილ ჯარისკაცთა როლს. რა თქმა უნდა, არც ერთი გონიერი მატერიალისტი არ დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს საშუალო მდებრივ ადამიანმა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მდაბიოა, ე. ო. «მასის კაცია», იცის იმდენი, რამდენიც საშუალო «ინტელიგენტმა». მან, რასაკვირველია, მასზე ნაკლები იცის. მაგრამ ლაპარაკია ხომ არა «მდაბიო ადამიანის» ცოდნაზე, არამედ მის საქციელზე. ადამიანთა საქციელი კი ყოველთვის არ განისაზღვრება მათი ცოდნით და ყოველთვის განისაზღვრება არა მარტო მათი ცოდნით, არამედ აგრეთვე — და უმთავრესად — მათი მდგომარეობით, რომელსაც მხოლოდ აშუქებს და გააზრებულს ხდის მათი დამახასიათებელი ცოდნა.

NB

აქ კვლავ უნდა გავიხსენოთ საერთოდ მატერიალიზმის და კერძოდ ისტორიის მატერიალისტური ახსნის ძირითადი დებულება: ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ყოფიერებას, არამედ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. «ინტელიგენციიდან» გამოსული ადამიანის «ცნობიერება» უფრო განვითარებულია, ვიდრე «მასიდან» გამოსული ადამიანის ცნობიერება. მაგრამ «ყოფიერება» მასიდან გამოსული ადამიანისა ამ უკანასკნელს უწყებს მოქმედების გაცილებით უფრო გარკვეულ წესს, ვიდრე ის წესია, რომელსაც ინტელიგენტს მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა უწყებს.

NB

აი რატომაა, რომ მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე შესაძლებლობას გვაძლევს მხოლოდ გარკვეული და თანაც მეტად შეზღუდული აზრით ვილაპარაკოთ «მასიდან» გამოსული ადამიანის ჩამორჩენილობაზე ინტელიგენციიდან გამოსულ ადამიანთან შედარებით: გარკვეული აზრით «მდაბიო ადამიანი» უეჭველია, ჩამორჩება «ინტელიგენტს», მეორე აზრით კი იგი, უეჭველია, უსწრებს მას. და სწორედ იმიტომ, რომ ეს ასეა, ისტორიის მატერიალისტური ახსნის მომხრე სრულიად არ იმეორებს იმ უაზრო თავდასხმებს ინტელიგენციაზე, რაც შავრაზმული და სინდიალისტური ბანაკიდან მომდინარეობს, და ამავე დროს არასოდეს არ დათანხმდება იმას, რომ ინტელიგენციას მიეკუთვნოს ისტორიის დემიურგის როლი, რასაც მას ჩვეულებრივ იდეალისტები აკუთვნებენ. არსებობს არისტოკრატიზმის სხვადასხვა სახეობა. ისტორიული იდეალიზმის ნაკლია «ცოდნის არისტოკრატიზმი». ის, რაც ჩერნიშევსკის ისტორიულ შეხედულებებში ფორმალურად იმეორებულია მატერიალიზმის დაუმუშავებლობით გამოწვეულ ნაკლს წარმოადგენდა, შემდეგში ჩვენი ნებური სუბიექტივიზმის საფუძველი გახდა, სუბიექ-

ტივიზმისა, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა მატერიალიზმთან და რომელიც ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებდა ანა მარტო ისტორიის დარგში, არამედ ასევე ფილოსოფიის დარგშიც. სუბიექტივისტები ტრიაზხით უწოდებდნენ თავის თავს ნო-იანი წლების საუკეთესო ტრადიციათა გამგრძელბლებს. სინამდვილეში ისინი ამ ეპოქის დამახასიათებელი მსოფლმჭვრეტელობის მხოლოდ სუსტ მხარეებს [190] აგრძელებდნენ...

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ჩერნიშევსკის უკანასკნელი ისტორიული
თხზულებები

[199]... ჩერნიშევსკის რომ თანამიმდევრულად განე-
ვითარებინა აქ გამოთქმული აზრი, იგი იძულებული
იქნებოდა სავსებით უარი ეთქვა იდეალისტურ შეხე-
დულებზე, რომელიც მან გამოხატა ჩვენთვის უკვე
ნაცნობ სტატიაში რომის დაცემის მიზეზების შესახებ.
მაგრამ საქმეც ისაა, რომ ასეთ აზრებს იგი მხოლოდ
გაკვრით გამოთქვამს და მათ შემდგომ არ ავითარებს.
როცა ამ აზრებს გამოთქვამს, იგი სულაც არ ხედავს
იმის საჭიროებას, რომ ხელი აიღოს ისტორიულ
იდეალიზმზე, და ეს იმიტომ როდი ხდება, რომ მას
აქვს ძლიერი მიდრეკილება იდეალიზმისადმი როგორც
ფილოსოფიური თეორიისადმი. ამ თეორიას ჩერნი-
შევსკი საერთოდ მეტად უარყოფითად უყურებს. გა-
მოთქვამს რა იდეალისტურ შეხედულებას ისტორიუ-
ლი განვითარების მსვლელობაზე. მას თავისი თავი
მინც თანამიმდევრულ მატერიალისტად მიაჩნია. ის
ცდება. მაგრამ მისი შეცდომის ფესვია ფოიერბახის
მატერიალისტური სისტემის ერთ-ერთი მთავარი ნაქ-
ლი. მარქსმა ძალიან კარგად შენიშნა: ფოიერბახს
სურს საქმე ჰქონდეს კონკრეტულ ობიექტებთან, რომ-
ლებიც ნამდვილად განსხვავდებიან მხოლოდ ჩვენს
აზრებში არსებული ობიექტებისაგან. მაგრამ იგი ვერ
შიდის იქამდე, რომ ადამიანის მოქმედება განიხილოს
როგორც საგნობრივი მოქმედება. აი რატომაა,
რომ «ქრისტიანობის არსებაში» იგი ნამდვილად ადა-
მიანურ მოქმედებად განიხილავს მხოლოდ თეორიულ
მოქმედებას*... თავისი მასწავლებლის მსგავსად, ჩერ-
ნიშევსკიც მთელ თავის ყურადღებას მიაპყრობს მარ-
ტოვდენ კაცობრიობის «თეორიულ» მოქმედებას, რის
გამოც გონებრივი განვითარება ხდება კიდეც მის
თვალში ისტორიული მოძრაობის ყველაზე ღრმა მი-
ზეზი...



ასეთივეა ნაქ-
ლი პლენარო-
ვის წიგნისა
ჩერნიშევს-
კის შესახებ



[205]... ჩერნიშევსკის ისე გამოუდის, რომ ისტო-
რიაში მანკი მუდამ დამსახურებულ სასჯელს იხდის.
სინამდვილეში, ჩვენთვის ცნობილი ისტორიული ფაქ-
ტები არავითარ საფუძველს არ იძლევიან ამ, შესაძ-

* — იხ. მისი თუხისები ფოიერბახის შესახებ, დაწერილი ჯერ
კიდევ 1845 წლის გაზაფხულზე.

ლოა, სასიხარულო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გულ-
უბრყვილო შეხედულებისათვის. ჩვენ მხოლოდ იმ სა-
კითხმა შეიძლება დაგვინტერესოს, თუ როგორ გა-
უჩნდა ეს შეხედულება ჩვენს ავტორს. ამ საკითხს კი
შეიძლება პასუხი გავცეთ იმ ეპოქაზე მითითებით,
როცა ჩერნიშევსკი ცხოვრობდა. ეს იყო საზოგადოებ-
რივი აღმავლობის ეპოქა, რომელსაც, შეიძლება
ითქვას, ასეთ შეხედულებათა ზნეობრივი მოთხოვნი-
ლება ჰქონდა, შეხედულებათა, რომელნიც განამტკი-
ცებდნენ ბოროტების გარდაუვალი დამარცხების რწმე-
ნას...

გ ა ნ ა ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

ნ. ბ. ჩერნიშევსკის

ლიტერატურული შეხედულებანი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობა.

[221]... შეხედულება ხელოვნებაზე, როგორც თა-
მ ა შ ხ ე, რომელსაც ავსებს შეხედულება თამაშზე.
როგორც «შრომის შეიღზე», განსაკუთრებულად ნა-
თელყოფს ხელოვნების რაობასა და ისტორიას. იგი
პირველად გვაძლევს საშუალებას მატერიალისტური
თვალსაზრისით შევხედოთ მათ. ჩვენ ვიცით, რომ
თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში
ვე, ჩერნიშევსკიმ მოახდინა მეტად მოხერხებული,
თავისებურად, ცდა ფოიერბახის მატერიალისტური
ფილოსოფიის გამოყენებისა ესთეტიკის მიმართ. მის
ამ ცდას ჩვენ მივუძღვენიტ განსაკუთრებული შირო-
მა*. ამიტომ აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ თუმცა კარ-
გადაც მოხერხდა, თავისებურად, ეს ცდა, მაგრამ მის-
ზე, სავსებით ისევე, როგორც ჩერნიშევსკის ისტო-
რიულ შეხედულებებზეც, გავლენა იქონია ფოიერბახის
ფილოსოფიის ძირითადმა ნაკლმა: მისი ისტორიული,
ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დიალექტიკური მხა-
რის დაუმუშავებლობამ. და მხოლოდ იმის გამო, რომ
ეს მხარე დაუმუშავებელი იყო მის მიერ ათვისებულ
ფილოსოფიაში, ჩერნიშევსკიმ ყურადღება არ მიაქ-
ცია იმას, თუ როგორ მნიშვნელოვანია თამაშის ცნება
ხელოვნების მატერიალისტური ახსნისათვის...

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ბელისკი, ჩერნიშევსკი, პისარევი

[236]... «მტკიცე სიტკობებს ადამიანს ანიჭებს მხო-
ლოდ სინამდვილე; სერიოზული მნიშვნელობა აქვთ
მხოლოდ იმ სურვილებს, რომლებსაც საფუძვლად სი-
ნამდვილე უდევს; წარმატებას შეიძლება [237] ველო-

* — იხ. სტატია: «ჩერნიშევსკის ესთეტიკური თეორია» კრე-
ბულში «38 двадцать лет».

NB

დოთ მხოლოდ იმ იმედებისაგან, რომელთაც სინამდვილე აღგვიძრავს, და მხოლოდ იმ საქმეთაგან, რომელნიც ხორციელდებიან სინამდვილის მიერ მოცემული ძალებისა და გარემოებების მეოხებით*.

ასეთი იყო «სინამდვილის» ახალი ცნება. როცა ჩერნიშევსკი ამბობდა, ეს ცნება თანამედროვე მოაზროვნეებმა ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის ბუნდოვანი გადაკრული სიტყვებიდან შეიმუშავესო, მას შეხედველობაში ჰყავდა ფოიერბახი. და მან სავსებით სწორად გადმოგვცა ფოიერბახის ცნება სინამდვილის შესახებ. ფოიერბახი ამბობდა, გრძნობადობა ანუ სინამდვილე ჭეშმარიტების იგივეურია, ე. ი. რომ საგანს მისი ჭეშმარიტი აზრით მხოლოდ შეგრძნება იძლევაო.

გონებაჰკრეტიით ფილოსოფია ფიჭრობდა, რომ წარმოდგენანი სავნებზე, დამყარებულნი მხოლოდ გრძნობად ცდაზე, არ შეესაბამებიან საგანთა ნამდვილ ბუნებას და მათი შემოწმება უნდა ხდებოდეს წმინდა აზროვნების, ე. ი. ისეთი აზროვნების შემწეობით, რომელიც გრძნობად ცდაზე არაა დამყარებული. ფოიერბახმა გადაჭრით გაილაშქრა ამ იდეალისტური შეხედულების წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ ჩვენს გრძნობად ცდაზე დამყარებული წარმოდგენანი სავნების შესახებ სავსებით შეესაბამებიან ამ საგანთა ბუნებას. უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ჩვენი ფანტაზია ხშირად ამახინჯებს ამ წარმოდგენებს, რომლებიც ამიტომ წინააღმდეგობაში ვარდებიან ჩვენს გრძნობად

ცდასთან. ფილოსოფიამ უნდა განდევნოს ჩვენი წარმოდგენებიდან მათი დამახინჯებელი ფანტასტიკური ელემენტი; მან უნდა მოიყვანოს ისინი თანხმობაში გრძნობად ცდასთან. მან უნდა დააბრუნოს კაცობრიობა ნამდვილი სავნების იმ ჰერეტიკსავე, რომელიც ძველ საბერძნეთში ზატონობდა და ფანტაზიისაგან დაუმახინჯებელი იყო. და ჩამდენადაც კაცობრიობა ასეთ ჰერეტაზე გადადის, იგი უბრუნდება თავის თავს, იმიტომ რომ ადამიანები, რომლებიც გამონაგონს ემორჩილებიან, თვით შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფანტასტიკური და არა ნამდვილი არსებანი. ფოიერბახის სიტყვებით, ადამიანის არსება გრძნობადობაა, ე. ი. სინამდვილეა და არა გამონაგონი და არა აბსტრაქცია. ფილოსოფიისა და მეცნიერების

ამოცანას საერთოდ სინამდვილის რეაბილიტაცია შეადგენს. მაგრამ თუ ეს ასეა, აქედან თავისთავად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ესთეტიკის როგორც მეცნიერების დარგის, ამოცანებსაც ასევე შეადგენს სინამდვილის რეაბილიტაცია და ბრძოლა ადამიანის წარმოდგენათა ფანტასტიკურ ელემენტთან. ფოიერბახის ფილოსოფიიდან გამომდინარე ამ დასკვნაზე იქნა სწორედ აგებული ჩერნიშევსკის ესთე-

* — Сочинения Н. Г. Чернышевского. Т. 11, стр. 208.

ტიკური შეხედულებანი; ეს დასკვნა შეადგენდა მისი დისერტაციის მთავარ აზრს. და უეჭველია, რომ იგივე დასკვნა ჰქონდა მხედველობაში ბელინსკის, როცა იგი თავის [238] წინარე უკანასკნელ წლიურ ლიტერატურულ მიმოხილვაში «სინამდვილის» ცნებას ახალ ცნებას უწოდებდა...

[242]... ყველასთვის ცნობილია, რომ 60-იანი წლების კრიტიკას, მაგალითად დობროლიუბოვის კრიტიკას, არაერთხელ მიუღია პუბლიცისტიკის ელფერა. ამიტომ, როცა ჩერნიშევსკიზე ვილაპარაკებთ, ჩვენ მოვიყვანთ არა იმდენად ამ აზრის დამამტკიცებელ საბუთებს, რამდენადაც მის ილუსტრაციებს. 1858 წელს «ათენის» № 3-ში კრიტიკის განყოფილებაში გამოქვეყნდა ჩერნიშევსკის სტატია «რუსი კაცი render-vous-ზე». ფიქრები ტურგენევის მოთხრობის «ასიას» შესახებ». ეს სტატია პუბლიცისტური კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ნიმუშია. ტურგენევის თვით ამ მოთხრობაზე, რომელსაც ჩერნიშევსკი «თითქმის ერთადერთ კარგ ახალ მოთხრობას» უწოდებს, სტატიაში ძალიან ცოტა რამ, თითქმის არაფერი ნათქვამი. ავტორი ყურადღებას აქცევს მხოლოდ იმ სცენას, მოთხრობის გმირი რომ სიყვარულს უხსნის ასიას, და ამ სცენის გამო «ფიქრებს» მიეცემა. მკითხველს ახსოვს, რასაკვირველია, რომ ვადაამწყვეტ წუთში ტურგენევის გმირი შეშინდა და უკან დაიხია. სწორედ ეს გარემოება აღუძრავს ჩერნიშევსკის მის «ფიქრებს». იგი შენიშნავს, რომ გაუბედაობა და სიმბლადე შეადგენს არა მარტო ამ გმირის, არამედ აგრეთვე ჩვენი საუკეთესო ბელეტრისტული ნაწარმოებების გმირთა უმრავლესობის განმასხვავებელ თვისებას. იგი იხსენებს რუდინს, ბელტოვს, ნეკრასოვის საშას განმავითარებელს და ყველაში იმავე თვისებას ხედავს. იგი არ აღანაშაულებს ამის გამო ბელეტრისტებს, რადგან ისინი მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რაც ყოველ ფეხის ვადადგამაზე გვხვდება სინამდვილეში. რუს ადამიანებში ვაჟკაცობა არაა, ამიტომ იგი არა აქვთ ბელეტრისტული ნაწარმოებების მოქმედ პირებსაც. ვაჟკაცობა კი რუს ადამიანებში იმიტომ არაა, რომ მათ არა აქვთ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის ჩვევები. «როცა საზოგადოებაში შევდივართ, ჩვენს გარშემო ვხედავთ ადამიანებს ფორმის ან სამოქალაქო სერთულებსა თუ ფრაკებში; ეს ადამიანები ხუთ ნახევარი, ექვსი ფუტი სიმაღლის არიან, ზოგიერთები კი — უფრო მაღალინი; ისინი მოუშვებენ ან იპარსავენ თმას ლოყებზე, ზედა ტუჩზე და [243] ნიკაპზე; და ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ ვხედავთ მამაკაცებს, ეს არის სრული შეცდომა, ოპტიკური ცთომილება, მალუცინაცია, და სხვა არაფერი. თუ არ შეიძინს სამოქალაქო საქმეებში თავისთავადი მონაწილეობის ჩვევას, თუ არ შეიძინს მოქალაქის გრძნობებს, მამრობითი სქესის ბავშვი გაიზრდება, გახდება მამრობითი სქესის არსება, შუა ხნის, შემდეგ კი ხანში შესული, მაგრამ მამაკაცი ვერ გახდება, ანდა

სოციალ-დემ -
მოკრატის № 1,
გვ. 143

ყოველ შემთხვევაში ვერ გახდება კეთილშობილი ხასიათის «მამაკაცი»*. ჰუმანურ და განათლებულ ადამიანთა კეთილშობილი ვაჟკაცობის ნაკლი უფრო აღდგინდა გვეცემა თვალში, ვიდრე უმეტარი უდამიანებისა, იმიტომ რომ ჰუმანურ და განათლებულ ადამიანს უყვარს მაღალ მატერიალზე ლაპარაკი. იგი გატაცებითა და მჭევრმეტყველებით ლაპარაკობს, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ ლაპარაკი დაიწყება სიტყვიდან საქმეზე გადასვლის შესახებ. «სანამ საქმეზე არაა ლაპარაკი, არამედ საჭიროა მხოლოდ შეავსოს უქმი დრო, უსაქმო თავი თუ უსაქმო გული ლაპარაკითა და ოცნებებით, გმირი მეტად ყოჩაღია; როცა კი საქმე იმას მოითხოვს, რომ პირდაპირ და ზუსტად გამოხატო გრძნობები, გმირების უმეტესი ნაწილი უკვე ყოყმანს იწყებს და გრძნობს, რომ ენა არ ემორჩილება. ზოგიერთნი, ყველაზე უფრო მამაცი როგორღაც კიდევ ასწრებენ მთელი თავიანთი ძალღონის მოკრებას და ბორძივი ენით ისეთი რამის გამოხატვას, რაც ბუნდოვან წარმოდგენას იძლევა მათი აზრების შესახებ. მაგრამ აბა ერთი ვინმემ მოიწადინოს ჩასწვდეს მათ სურვილებს და უთხრას მათ: თქვენ ესა და ეს გსურთ; ჩვენ ძლიერ მოხარულნი ვართ; დააწყეთ მოქმედება და ჩვენ მხარს დავიჭერთ, — ასეთი რეპლიკის დროს უმამაცეს გმირთა ერთ ნახევარს გული უღონდება, სხვები კი მეტად უხეშად გისაყვედურებენ იმის გამო, რომ თქვენ ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ, მოყვებიან ლაპარაკს, რომ თქვენგან ასეთ წინადადებებს არ მოელოდნენ, რომ მათ სავსებით თავგზა ებნევათ, არაფრის მოსაზრება აღარ შეუძლიათ, იმიტომ რომ როგორ შეიძლება ასე აჩქარება, თანაც ისინი ხომ პატიოსანი ადამიანები არიან, და არა მარტო პატიოსანი, არამედ მეტად მშვიდნი, მათ არ უნდათ თქვენ უსიამოვნება მოგაყენონ, და რომ საერთოდ განა შეიძლება მართლაც ყველაფერზე ვიზრუნოთ, რაზედაც ვლაპარაკობთ უსაქმობის გამო, და რომ ყველაფერზე უმჯობესია — არაფერს არ მოჰკიდო ხელი, იმიტომ რომ ყველაფერი დაკავშირებულია დავიდარაბასთან და უხერხულობასთან, და კარგი რამ ჯერჯერობით არაფერი არ შეიძლება იყოს, იმიტომ რომ, როგორც უკვე ითქვა, ისინი არასგზით არ ელოდნენ და არ მოელოდნენ და სხვა»**.

პორტრეტი დახატულია, შეიძლება ითქვას, ოსტატის ხელით. მაგრამ ოსტატი, ვინც იგი დახატა, იყო არა კრიტიკოსი, არამედ პუბლიცისტი.

[245]... დროის მოთხოვნები კი, მისი აზრით, ის იყო, რომ [246] გლეხობისათვის დათმობები გაეკეთებინათ. ჩერნიშევსკიმ სინდისზე შეაგდო «ფრიალ პატივემული» ბატონები სახარების სიტყვებით: «ეცადე შეურიგდე შენს მოწინააღმდეგეს, ვიდრე მასთან

სოციალ-დემოკრატი № 1,
გვ. 144 —
„რუსული
ლიბერალიზმის გეს-
ლიანი და მო-
სწრებული
დახასიათე-
ბა“ 173

NB

* — Сочинения, т. I, стр. 97 — 98.
** — იქვე, გვ. 90—91.

ერთად სასამართლომდე არ მისულხარ, თუ არადა მოწინააღმდეგე შენ გადაგცემს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლე გადაგცემს განაჩენთა აღმასრულებელს, ჩაგადღებენ საპყრობილეში და იქიდან ვერ გამოხვალ, სანამ პასუხს არ აგებ ყველაფრისათვის უკანასკნელ წერილმანამდე». (მათე, თავი V, ტაეპი 25 და 26)*.

NB X

განუმარტებლადაც ნათელია, რომ ყოველი თეორიული დასკვნა — აქვს თუ არა ამა თუ იმ საზოგადოებრივ კლასს ან ფენას გარკვეული პრაქტიკული მოქმედების უნარი, ყოველთვის საჭიროებს რამდენიმე ცდის საშუალებით შემოწმებას და რომ, ამის გამო, იგი შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად à priori მხოლოდ გარკვეულ, ცოტად თუ ბევრად ფართო, ფარგლებში.

ასე, მაგალითად, სრული უტყუარობით შეიძლებოდა იმის წინასწარმეტყველება, რომ თავადაზნაურობის უფრო განათლებული ნაწილიც კი არ დათანხმდებოდა იმას, რომ თავისი ინტერესები მსხვერპლად შეეწირა გლეხებისათვის. ასეთი წინასწარმეტყველება სრულიად არ საჭიროებდა პრაქტიკულ შემოწმებას. მაგრამ როცა საჭირო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად შეუძლია განათლებულ თავადაზნაურობას რაიმე დაუთმოს გლეხებს თავისი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, მაშინ უკვე არავის არ შეეძლო წინასწარ ეთქვა სრული უტყუარობით: ამ მიმართულებით თავადაზნაურობა ვერ გადალახავს ამა და ამ საზღვარს. აქ ყოველთვის შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ იგი გარკვეულ გარემოებებში რამდენიმე გასცდებოდა ამ საზღვარს და ამით გამოამჟღავნებდა საკუთარი სარგებლობის ცოტა არ იყოს უფრო სწორ გაგებას. ისეთ პრაქტიკოსს, როგორც ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ჩერნიშევსკი იყო, არა მარტო შეეძლო, არამედ კიდევაც უნდა ეცადნა დაერწმუნებინა თავადაზნაურები იმაში, რომ მათი საკუთარი ინტერესები მოითხოვს გარკვეულ დათმობებზე წასვლას განათავისუფლებული გლეხების სასარგებლოდ. ამრიგად, ის, რაც შეიძლებოდა მის წერილში წინააღმდეგობად მოკვჩვენებოდა, — კეთილგონიერი და ვადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის მოთხოვნა ისეთი ადამიანებისაგან, რომელთა გაბედულობისა და კეთილგონიერების უუნარობაც აქვე აღიარებული და განმარტებულია როგორც გარემოებათა აუცილებელი პრაქტიკა, — სინამდვილეში წინააღმდეგობას არ შეიცავდა. მსგავსი მოჩვენებითი წინააღმდეგობანი შეიძლება ვნახოთ აგრეთვე იმ ადამიანთა პოლიტიკურ პრაქტიკაშიც, რომლებიც ისტორიის მატერიალისტური ახსნის მტკიცე ნიადაგზე დგანან. მაგრამ აქ საჭიროა გავაკეთოთ მეტად არსებითი შენიშვნა. როცა მა-

NB

ტერიალისტი გარკვეული წინდახედულობით იყენებს პრაქტიკაში თავის თეორიულ დასკვნებს [247], მას მაინც შეუძლია იმის თავდებობა, რომ ამ დასკვნებში არის უცილობელი უტყუარობის გარკვეული ელემენტი. და ეს იმიტომ, რომ, როცა იგი ამბობს: «ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებებზე», მან იცის, რა მხრიდან უნდა მოველოდეთ ახალ გარემოებათა გამოჩენას, რომელნიც ადამიანთა ნებას მისთვის სასურველი მიმართულებით შეცვლიან; მან კარგად იცის, რომ ამ ახალ გარემოებებს, საბოლოო ანგარიშით, უნდა მოველოდეთ «ეკონომიკის» მხრიდან, და, რაც უფრო მართებულია მისი ანალიზი საზოგადოების საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრებისა, მით უფრო უტყუარია მისი წინასწარმეტყველება საზოგადოების მომავალი განვითარების შესახებ. ამას ვერ ვიტყვით იდეალისტზე, რომელიც დარწმუნებულია იმაში, რომ «სამყაროს განაგებენ აზრები». თუ «აზრები» საზოგადოებრივი მოძრაობის ყველაზე ღრმა მიზეზს წარმოადგენენ, მაშინ გარემოებებს, რომლებზეც დამოკიდებულია საზოგადოების შემდგომი განვითარება, უკავშირებენ უმთავრესად ადამიანთა შეგნებულ მოქმედებას, ამ მოქმედებაზე პრაქტიკული ზემოქმედების შესაძლებლობა კი გაპირობებულია იმით, თუ რამდენად შესწევთ ადამიანებს მეტ-ნაკლები ჟინარი ლოგიკური აზროვნებისა და იმ ახალ ჰემშარიტებათა ათვისებისა, რომელთაც ფილოსოფია ან მეცნიერება აღმოაჩენს. მაგრამ ეს უნარი თვით არის დამოკიდებული გარემოებებზე. ამრიგად, იდეალისტი, რომელმაც აღიარა მატერიალისტური ჰემშარიტება იმის შესახებ, რომ ადამიანის ხასიათი და აგრეთვე, რა თქმა უნდა, შეხედულებანიც დამოკიდებულია გარემოებებზე, მაგრამ ეს უნარი თვით არის დამოკიდებული გარემოებებზე. ამრიგად, იდეალისტი, რომელმაც აღიარა მატერიალისტური ჰემშარიტება იმის შესახებ, რომ ადამიანის ხასიათი და აგრეთვე, რა თქმა უნდა, შეხედულებანიც დამოკიდებულია გარემოებებზე, მაგრამ ეს უნარი თვით არის დამოკიდებული გარემოებებზე; გარემოებანი — შეხედულებებზე. ამ ჯადოსნურ წრეს ვერასოდეს თავი ვერ დააღწია «განმანათლებლის» აზრმა თეორიაში. პრაქტიკაში კი წინააღმდეგობის გადაწყვეტა ჩვეულებრივ იმ გზით ხდებოდა, რომ გაძლიერებულად მოუწოდებდნენ ყველა მოაზროვნე ადამიანს, მიუხედავად იმისა, თუ რა გარემოებებში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ასეთი ადამიანები. ის, რასაც ჩვენ ახლა ვამბობთ. შეიძლება მოგვეჩვენოს უსარგებლო და ამატომ მოსაწყენ გადახვევად. მაგრამ ნამდვილად ეს გადახვევა ჩვენთვის აუცილებელი იყო. იგი დაგვიხმარებდა ჩვენ 60-იანი წლების სოციალისტური კრიტიკის ხასიათის გაგებაში.

NB

NB

თუ «განმანათლებლის» პრაქტიკული იმედები უკავშირდება მოაზროვნე ადამიანთა, ე. ი. არსებითად, იმავე «განმანათლებელთა» გონებასა და კეთილ ნებას, მაშინ ცხადია, რომ კრიტიკა, რომელსაც სურს დახმარება გაუწიოს ამ ადამიანებს, მხატვრული ლიტერატურისაგან, უწინარეს ყოვლისა, იმას მოითხოვს,

რომ მან ზუსტად ასახოს საზოგადოებრივი ცხოვრება მთელი მისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, «დადებითი» და «უარყოფითი» მოვლენებით. ცხოვრების ყველა მხარის მხოლოდ ზუსტ ასახვას შეუძლია მისცეს «განმანათლებელს» აუცილებელი ფაქტობრივი მასალა იმისათვის, რომ განაჩენი გამოუტანოს ამ ცხოვრებას...

[253]... მაგრამ ნ. უსპენსკის უხეობოდა აზრის გამოთქმა კიდევ უფრო გადაჭრით. იგი წერდა, მაგალითად: «ახლანდელი გლეხებისაგან, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ბატონყმური მდგომარეობის მსხვერპლს წარმოადგენდნენ, არაფერს არ უნდა ველოდეთ: — ისინი ვერ აღდგებიან მკვლრებით! საეჭვოა, რომ ატროფიას ოდესმე მედიცინა უმკურნალეს, იმიტომ რომ ამ ავადმყოფობის საფუძველი ო რ გ ა ნ უ ლ ი დაზიანებაა*». «70-იანი წლების ადამიანები» ხომ ძნელად დაეთანხმებოდნენ ამას, სწორედ აქედან გამომდინარეობდა უმთავრესად ამ ეპოქის კრიტიკის არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება ნ. ვ. უსპენსკისადმი.

მკითხველი იკითხავს, ალბათ და განა ადვილი იყო «ახლანდელ გლეხებზე» ნ. ვ. უსპენსკის სრულიად უიმედო შეხედულების გაზიარება თვით ჩერნიშევსკისათვის, რომელსაც, ეტყობა, მაშინ შესაძლებლად

NB

მიაჩნდა ხალხის ფართო მოძრაობა, რადგან ეს უკანასკნელი უკმაყოფილო იყო ბატონყმობის გაუქმების პირობებით. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ, რა თქმა უნდა, ეს მისთვის ადვილი არ იქნებოდა, თუ იგი ვალდებულად ჩათვლიდა თავის თავს უემპევილად დათანხმებოდა ნ. ვ. უსპენსკის. მაგრამ საქმეც ისაა, რომ იგი უემპევილად როდი ეთანხმებოდა უსპენსკის. ნ. ვ. უსპენსკის ნარკვევები მას მართალ ნარკვევებად მიიჩნდა, მაგრამ ამ ნარკვევებიდან იგი არ აკეთებდა უიმედო დასკვნას. ის ამბობდა: «რუტინა ბატონობს რიგითი ადამიანების ცხოვრების ჩვეულებრივ მსვლელობაზე მდაბიო ხალხშიც. ისევე როგორც ყველა სხვა წოდებაში, მდაბიო ხალხში რუტინა ისევე ჩლუნგა, უგვანოა, როგორც ყველა სხვა წოდებაში. უსპენსკის დაშსახურება ისაა, რომ მან გაბედა ყოველივე დაფარვისა და შელამაზების გარეშე დაეხატა ჩვენთვის მდაბიო ადამიანთა რუტინული აზრები და საქციელი, გრძნობები და ზნე-ჩვეულებანი. სურათი გამოდის სრულიად არამიმზიდველი: ყოველ ნაბიჯზე სისულელი და სიბინძურე, წვრილმანობა და სიჩლუნგე.

«მაგრამ ნუ იჩქარით აქედან რაიმე დასკვნების გამოტანას იმის შესახებ, თუ რამდენად საფუძვლიანი ან უსაფუძვლოა თქვენი იმედები, როცა გასურთ ხალხის ბედობლის გაუმჯობესება, ანდა თქვენი შიში, როცა თქვენ დღემდე უკმაყოფილებას პოულობდით ხალხის სიჩლუნგესა და მოღუენებულობაში, აიღეთ ყველაზე

* — Сочинения Н. В. Успенского, т. II, 1884, стр. 202

ჩვეულებრივი, ყველაზე უფერული, სუსტი ხასიათის მქონე, უგვანო ადამიანი: რაგინდ აპათიურად და უმნიშვნელოდაც მიმდინარეობდეს მისი ცხოვრება, მაინც არის ხოლმე ამ ცხოვრებაში სრულიად სხვა [254] ელფრის წუთები, ენერგიულ ძალვათა, გაბედულ გადაწყვეტილებათა წუთები. იგივე გვხვდება ყოველი მოცემული ხალხის ისტორიაშიც*.

ვითარება, რაზეც საბოლოო ჯამში დამოკიდებულია ყველაფერი, შეიძლება ისეთი შეიქმნას, რომ აპათიურ მასასაც კი შესწევდეს ენერგიულ ძალვათა და გაბედულ გადაწყვეტილებათა უნარი. იმ მომენტის მოლოდინში კი, როცა ეს ვითარება ხელსაყრელად შეტრიალდება, საჭიროა ყურადღებით შევისწავლოთ ჩამორჩენილი მასა. გაბედულ გადაწყვეტილებათა ინიციატივა არასოდეს არ იქნება მდანიო ხალხის მასის კუთვნილება; მაგრამ აუცილებელია ვიცოდეთ ამ მასის შემადგენელ ადამიანთა თვისებები, «რათა ვიცოდეთ, რა სურვილებით შეუძლია ინიციატივას იმოქმედოს მათზე»**. და რაც უფრო ზუსტად ასახავს ბელეტრისტიკა ხალხის მასების თვისებებს, მით უფრო შეამსუბუქებს იგი იმ ადამიანთა მდგომარეობას, რომელთაც ხელსაყრელ ვითარებაში მოუხდებათ დაად გადაწყვეტილებათა ინიციატივის თავის თავზე აღება.

ახლა მკითხველს ვთხოვთ გაიხსენოს, რომ თავიიღი დისერტაციის ერთ-ერთ თეზისში ჩერნიშევსკი, მიუთითებს რა ცხოვრების ასახვაზე, როგორც ხელოვნების მთავარ ნიშანზე, დასძენს: «ხშირად ხელოვნების ნაწარმოებებს სხვა მნიშვნელობაც აქვთ — ცხოვრების ახსნა-განმარტება; ხშირად მათ აქვთ აგრეთვე ცხოვრების მოვლენებზე განაჩენის გამოტანის მნიშვნელობაც». ის, რაც ჩვენ მოვიყვანეთ, თუნდაც მხოლოდ ერთი სტატიიდან «ცვლილების დასაწყისი ხომ არაა», ნათლად გვიჩვენებს. თუ რამდენად ჰქონდა ლიტერატურულ კრიტიკას ჩერნიშევსკის სახით იმის მიდრეკილება, რომ დიდად დაეფასებინა ცხოვრების ასახვა უმთავრესად როგორც მასალა ამ ცხოვრების ახსნისათვის და მის შესახებ მსჯელობისათვის (ცხოვრების მოვლენათა შესახებ განაჩენის გამოტანისათვის). და ჩერნიშევსკის იგივე მიდრეკილება მკლავდებდა უკლებლად მის ყველა ლიტერატურულ სტატიას. აი რას ამბობს იგი, მაგალითად, ა. ნ. პლეშჩევის ლექსების კრებულის გამო დაწერილ რეცენზიაში («სოვრემენიკი», 1861 წ., № 3).

იგი უკმაყოფილებით იხსენებს იმ დროს, როცა ჩვენი კრიტიკა პლეშჩევის მიმართ უგულვებელმყოფელ და არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებასაც კი იჩენდა. «უცნაურია ახლა ამის გახსენება, — ამბობს იგი, — ნუთუ კეთილშობილი გრძნობები, კეთილშობილი აზრები, რომელთა სიოც ბ-ნ პლეშჩევის

* Соч. Н. Г. Чернышевского, т. VIII, стр. 357.

** იქვე, გვ. 346.

NB

NB

პატარა წიგნაკის ყოველი სტრიქონიდან ჰქროდა, ისეთი ყოველდღიური მოვლენა იყო მაშინდელ რუსულ პოეზიაში, რომ შეიძლებოდა მათი უგულვებელყოფა და მათთვის ზურგის შექცევა? და როდის არის ეს შესაძლებელი და დასაშვები?» პლეშჩეევს, მისი სიტყვების მიხედვით, არ გააჩნდა დიდი პოეტური ძალა და მისი მისწრაფებანი [255] და იმედები განირჩეოდა საკმაოდ დიდი გაურკვეველობით. მაგრამ მასში იყო ბევრი გულწრფელობა, თავისი იმედების დიდი სიზუსტით გამოხატვა კი მას არ შეეძლო მისგან დამოუკიდებელი პირობების გამო.

[262]... პისარევი უდიდესი ლიტერატურული ნიჭის პატრონი იყო. მაგრამ რაგინდ დიდიც იყოს ის სიამოვნება, რასაც უწინაზრახვო მკითხველს მისი სტატიების ბრწყინვალეობა ჰგვრიდა, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ «პისარეველობა» რაღაც ისეთი რამ იყო, რამაც ჩვენი «განმანათლებლების» იდეალიზმი აბსურდამდე მიიყვანა...

[266]... მიხაილოვსკის ზოგიერთი სოციოლოგიური სტატია თარგმნილია ამჟამად ფრანგულ და, თუ არ ვცდებით, გერმანულ ენაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სტატიები მას ევროპაში დიდ სახელს ვერასოდეს ვერ მოუხვეჭენ. მაგრამ საესეებით შესაძლებელია, რომ მათ ქების ღირსად გახდის ვინმე იმ ევროპელი მოაზროვნეებიდან, რომლებიც იხევენ «უკან კანტისაკენ!» მარქსიზმისადმი სიძულვილის გამო. ასეთ ქებაში, ლიტერატურის ჩვენი უახლესი ისტორიკოსის აზრის მიუხედავად, არ შეიძლება ჩაიხმე მოსაწონი იყო. მაგრამ მეტად საჭიროა აღინიშნოს ისტორიის ეს ირონია. ისტორიისა, რომელიც რეაქციის თეორიულ იარაღად აქცევს იმას, რაც გულუბრყვილო თეორიული შეცდომა იყო ცოტად თუ ბევრად პროგრესულ უტოპიზმში.

NB

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

ნ. გ. ჩერნიშევსკის
პოლიტიკური და პოლიტიკურ-
ეკონომიური შეხედულებანი

ბ ა ნ ა ო მ ვ ი ლ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ნ. გ. ჩერნიშევსკის
პოლიტიკური შეხედულებანი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

შტოპიური სოციალიზმი

[280]... შემდეგ მის სტატიაში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რა უცნაურ და ზოგჯერ სასაცილო საქციელამდე მიდიოდნენ სენ-სიმონისტები თავიანთი უკიდურესი ეგზალტაციით. იგი უწოდებს მათ სალონურ გმირებს, რომლებმაც ფილანთროპიზმის შეტევა განიცადეს. მაგრამ როცა მათ მიმართ ასეთი მკაცრი განაჩენი გამოაქვს, იგი შენიშვნას აკეთებს. სენ-სიმონისტური მოძრაობა იყო პირველი გამოვლენა აზრისა საზოგადოების გარდაქმნის შესახებ, და აზრის ამ პირველ გამოვლენას დიდი [281] ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი გვიჩვენებს, რომ უკვე დროა საზოგადოებამ ხელი მოჰკიდოს იმ რეფორმატორულ იდეებს, რომლებიც პირველად სენ-სიმონიზმის არადაამკმაყოფილებელი ფორმით მოგვევლინენ.

NB

დასასრულ ჩერნიშევსკი ამბობს რეფორმატორული იდეების შესახებ: «მალე დავინახავთ, რომ მათ უფრო გონივრულ ფორმებში გამოვლენა იწყებს და აღწევდნენ იმ აღამიანებამდე, რომლებბისთვისაც ისინი წარმოადგენენ უკვე არა აომოატროიანებელ გართობას, არამედ საკუთარი საქიროების საქმეს, და როცა თავის კეთილდღეობაზე გონივრულ ზრუნვას დაიწყებს ის კლასი, რომელთანაც სენ-სიმონისტებს თოჯინების კომედიის გათამაშება სურდათ, მაშინ, ალბათ, მას უკეთესი ცხოვრება ექნება ამ ქვეყნად, ვიდრე ახლა აქვს» *. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შენიშვნაა. იგი გვიჩვენებს, რომ დასავლეთევროპული სოციალიზმის მომავლის შესახებ მსჯელობაში ჩერნიშევსკი ძლიერ ახლოს მივიდა კლასთა ბრძოლის თეორიასთან. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა როლს ასრულებდა ეს თეო-

NB

* Соч. Н. Г. Чернышевского, т. VI, стр. 150.

რია მის ისტორიულ შეხედულებებში. ზოგჯერ ეს თეორია მას დახმარებას უწევდა ზოგიერთი ცალკეული ისტორიული მოვლენის მეტად მოხერხებულად ახსნაში; მაგრამ იგი მას უყურადღებოდ უფრო როგორც პროგრესის მეტად მნიშვნელოვან დაბრკოლებას, ვიდრე ამ პროგრესის აუცილებელ პირობას კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში. მეითვევს ახსოვს, რომ ესაახეთში კლასობრივი ბრძოლის სუსტად განვითარება ჩერნიშევსკის მიაჩნდა მომავალში ამ ქვეყნის პროგრესული განვითარების ერთერთ საწინდარად. თავის მსჯელობებში 1848 წლის საფრანგეთის მოვლენებზე, ისევე როგორც ახლანდელ ჩვენ მიერ დასახელებულ სტრიქონებში, იგი თითქოს იმ აზრს იზიარებს, რომ პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობა ამჟამად ევროპაში საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ხდება. მაგრამ ეს მისი აზრი რჩება როგორც ისტორიის მატერიალისტური ახსნის ერთერთ იმ ჩანასახთაგანად, რაზეც ჩვენ მკითხველის ყურადღება არაერთხელ მიგვიქცევია, როცა ჩვენი ავტორის ისტორიულ შეხედულებებზე ვლაპარაკობდით...

[282]... ევროპელი «მდაბიო ხალხის» ჩამორჩენილობას იგი იმით ხსნის, რომ ხალხამდე ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია გარკვეულ მეცნიერულ ცნებებს. როცა ისინი ხალხამდე მიაღწევენ, როცა «მდაბიო ადამიანები» გაეცნობიან «მათი მოთხოვნილებების შესაბამის» ფილოსოფიურ შეხედულებებს, მაშინ უკვე შორს აღარ იქნება დასავლეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი საწყისების გამარჯვების დღე*. ჩერნიშევსკი არ უსვამს თავის თავს კითხვას, არსებობენ თუ არა ამ ცხოვრებაში ისეთი მოვლენები, რომლებიც შეიძლება გამოდგებოდნენ იმის ობიექტურ თავდებად,

NB

რომ «მდაბიო ხალხამდე» მართლაც მიაღწევენ, ბოლოსდა-ბოლოს, ახალი ფილოსოფიური იდეები. მას არ სჭირდება ასეთი თავდება, იმიტომ რომ ახალი საწყისების გამარჯვების სავესებით საკმაო საწინდარს მის თვალში წარმოადგენს თვით ბუნება ამ საწყისებისა და აგრეთვე ადამიანის ბუნებაც.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

უტოპიური სოციალიზმი

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

[289]... სოციალიზმის საკითხს, ისევე როგორც ისტორიული განვითარების ყველა სხვა ზოგად საკითხსაც, ჩერნიშევსკი უყურებს იდეალიზმის თვალსაზრისით. და ეს იდეალისტური დამოკიდებულება უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები-

* Сочинения, т. VI, стр. 205—206.

სადმი დამახასიათებელი იყო ყველა ქვეყნის სოციალიზმისათვის მისი განვითარების უტოპიურ პერიოდში. უტოპიური სოციალიზმის ამ ნიშანს ისეთი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ აუცილებელია მასზე შეეჩერდეთ და არ მოვერიდოთ ზოგიერთ, ამ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელ, განმეორებებს.

მეტისმეტია!

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ჩერნიშევსკის «საბჭოთარი» გეგმა და სააღმდგომარეობო თემის საკითხი

[313]... «ვთქვათ, — ამბობს იგი, — მიმართავს რა «პარაბოლათა» მეშვეობით ახსნა-განმარტების თავის საყვარელ წესს — ვთქვათ, რომ მე დაინტერესებული ვიყავი მიმდლო ზომები იმ სურსათის შესახებ, რომლის მარაგიდანაც თქვენი სადილი მზადდება. თავისთავად ცხადია, რომ თუ მე ამას ვაკეთებდი საკუთრად თქვენდამი განწყობილების გამო, ჩემი გულმოდგინება ემყარებოდა იმ ვარაუდს, რომ სურსათი გეკუთვნოთ თქვენ და რომ მისგან დამზადებული სადილი ჯანსაღი და ხელსაყრელია თქვენთვის. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი გრძნობები, როცა ვაგვიგებ, რომ სურსათი სრულიად არ გეკუთვნიოთ თქვენ და ყოველი სადილისათვის, რომელიც მისგან მზადდება, თქვენგან იღებენ ფულს, რაც არათუ თვით სადილი არა ღირდა, არამედ რის გადახდაც თქვენ საერთოდ არ შეგიძლიათ, თუ უადრესად არ გაიჭირებთ. რა აზრები მომდის თავში ამ ესოდენ უცნაური აღმოჩენების დროს?.. როგორი სულელი ვიყავი, რომ ვზრუნავდი ისეთ საქმეზე, რომლის სარგებლობისთვისაც არაა უზრუნველყოფილი პირობები! გარდა სულელისა ვის შეუძლია იზრუნოს გარკვეული ადამიანის ხელში საკუთრების შენარჩუნებისათვის, თუ ჯერ არ დარწმუნდება იმაში, რომ საკუთრება ერგება ამ გარკვეულ ადამიანს და ერგება ხელსაყრელ პირობებში?.. უმჯობესია გაფუჭდეს მთელი ეს სურსათი, რომელსაც მხოლოდ ზიანი მოაქვს ჩემი საყვარელი ადამიანისათვის! უმჯობესია დაიღუპოს მთელი საქმე, რომელსაც თქვენთვის მხოლოდ გაკოტრება მოაქვს! გულის ჯავრი თქვენს გამო, სირცხვილი საკუთარი სისულელისა — აი ჩემი გრძნობები» *.

[315]... სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩერნიშევსკიმ უკვე თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისშივე თემის შესახებ მსჯელობაში გაცილებით უფრო მეტი დაკვირვებულობა გამოამჟღავნა, ვიდრე ბევრმა და ბევრმა «რუსმა სოციალისტმა» 90-იანი წლების შუა ხანაშიც კი, როცა უკვე, თითქოს, მხოლოდ ბრმას არ შეეძლო დაეინახა, რომ ჩვენი ყბადაღებული «ძველისძველი საფუძვლები» მთლად ინგრეოდა. უკვე 1857 წლის აპრილში იგი წერ-

* — Сочинения, т. IV, стр. 307.

და: მაგრამ «ვერ დაეუმაღავთ ჩვენს თავს, რომ რუსეთი, რომელიც დღემდე ეკონომიურ მოძრაობაში ნაკლებად მონაწილეობდა, სწრაფად ებმება ამ მოძრაობაში, და ჩვენი ყოფაცხოვრება, რომელიც დღემდე თითქმის არ განიცდიდა იმ ეკონომიური კანონების გავლენას, რომლებიც თავიანთ ძლევამოსილებას მხოლოდ ეკონომიური და საეკონომიური საქმიანობის გაძლიერებისას ამჟღავნებენ, სწრაფად ექვემდებარება ამ კანონების ძალას. მაღე ჩვენც, შესაძლოა, ჩავებმებით კონკურენტის კანონის სრული მოქმედების ფერხულში» *.

ეს სწორედ ისაა, რასაც მის შემდეგ ასე დიდხანს და გულმოდგინედ უმაღავდნენ თავის თავს და მკითხველებს ჩვენი ნაროდნიკობის თეორეტიკოსები. მართლს წერს საღვთო წერილი: ვარსკვლავი ვარსკვლავისაგან განსხვავდება დიდებით... დარწმუნდა რა იმაში, რომ ჩვენ არ გავაჩნია ის პირობები, რომლებიც თემურ მიწათმფლობელობას ხალხის კეთილდღეობის წყაროდ გახდიდნენ, ჩერნიშევსკის უნდა დაენახა, რომ მისი თანაგრძობით აღსაესე დამოკიდებულება თემისადმი სინამდვილეში ძალიან ცოტათი წააგავს თემისადმი სლავიანოფილების სიმპათიას. სტატიაში «რომის დაცემის მიზეზების შესახებ» ის ლაპარაკობს, რომ თუმცა თემს შეეძლო გარკვეული სარგებლობის მოტანა რუსეთის შემდგომ განვითარებაში, მაგრამ ამ თემით ამაყობა მაინც სასაცილოა, იმიტომ რომ [316] იგი მაინც ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობის ნიშანია. იგი იღებს მაგალითს: ევროპელი ინჟინრები, ამბობს იგი, ამაჟამად კიდული ხიდების ასაგებად გამოყენებითი მექანიკით სარგებლობენ. მაგრამ აი ირკვევა, რომ რომელიც, მას თვითონ კარგად აღარ ახსოვს რომელ, აზიის ჩამორჩენილ ქვეყანაში ადგილობრივი ინჟინრები უკვე დიდხანია ამენებდნენ კიდულ ხიდებს ამისათვის შესაფერის ადგილებში. განა ეს იმას ნიშნავს, რომ აზიური გამოყენებითი მექანიკა შეიძლება გავუთანატოლოთ ევროპულს? ხიდიც არის და ხიდიც, და აზიის ინჟინრების ხიდი უსასრულოდ ჩამორჩება ევროპულ კიდულ ხიდს. რა თქმა უნდა, როცა აზიურ ქვეყანაში, რომელიც ძველთაგან იცნობს კიდულ ხიდებს, გამოჩნდებიან ევროპელი ტექნიკოსები, მათთვის უფრო ადვილი იქნება ზოგიერთი მანდარინის დარწმუნება იმაში, რომ უახლესი კიდული ხიდები არ წარმოადგენენ უღმრთო განაზრახს. მაგრამ მეტი არაფერი. მიუხედავად თავისი კიდული ხიდებისა, აზიური ქვეყანა მაინც ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩება, ევროპა კი მაინც მისი მასწავლებელი იქნება. ასევე ითქმის რუსულ თემზეც. მან, შეიძლება, შეამსუბუქოს ჩვენი საშობლოს განვითარების საქმე; მაგრამ მთავარი ბიძგი მას მაინც ევროპიდან მოეღოს, და კაცობრიობის განახლება ჩვენ, თემის შემწეობითაც კი, მაინც არ შეგვეფერის...

* — Сочинения, т. III, стр. 185.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

სოციალიზმი და კოლიტიბა

[317]... ის, ვინც ჩერნიშევსკის თხზულებათა საფუძველზე ცდილობს გარკვეული წარმოდგენა მიიღოს მის პოლიტიკურ შეხედულებებზე, პირველად ერთგვარ უხერხულობას განიცდის, თუკი მხოლოდ იგი თვით არ არის გულგრილი [318] პოლიტიკის მიმართ. მართლაც, ადამიანი, რომელიც ბელინსკის შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში მოწინავე მისწრაფებათა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, პირველად პოლიტიკურ ინდიფერენტისტად გვეჩვენება. და ეს არა იმიტომ, რომ მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე უხეირო გამოთქმა; არა რაიმე კალმის შეცდომის გამო, არამედ იმ ზოგადი პრინციპების გამო, რომელთა საფუძველზეც იგი მსჯელობს ზოგჯერ დასაიღეთიეროპული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე. ამის დასამტკიცებლად დავიმოწმებთ წერილს «პარტიათა ბრძოლა საფრანგეთში ლუდოვიკო XVIII-სა და კარლოს X-ის დროს» («სოვრემენიკი», 1858 წ., №№ 8 და 9). იქ ჩვენ ვკითხულობთ:

«ლიბერალებსა და დემოკრატებს აქვთ არსებითად განსხვავებული მთავარი სურვილები, ძირითადი ზრახვები. დემოკრატებს მხედველობაში აქვთ, ერთი მხრივ, ის, რომ მოსპონ სახელმწიფოებრივ წყობილებაში მალაი კლასების ბატონობა დაბალ კლასებზე, შეამცირონ მალალ წოდებათა ძალა და სიმდიდრე, მეორე მხრივ კი — მეტი წონა და კეთილდღეობა მოუპოვონ დაბალ წოდებებს, თუ რა გზით შეიცვალოს ამ მიზანრთულებით კანონები და როგორ დაიცვათ საზოგადოების ახალი წყობილება, ეს მათთვის თითქმის სულ ერთია. პირიქით, ლიბერალები არასგზით არ დათანხმდებიან იმას, რომ უპირატესობა საზოგადოებაში მიენიჭოს დაბალ წოდებებს, იმიტომ რომ ეს წოდებები თავიანთი გაუნათლებლობისა და მატერიალური სიღარიბის გამო გულგრილად უცქერენ იმ ინტერესებს, რომლებიც ლიბერალური პარტიისათვის ყველაფერზე უფრო მალა დგას, სახელობრ, თავისუფალი სიტყვის უფლებას და კონსტიტუციურ წყობილებას. დემოკრატისათვის ჩვენი ციმბირი, სადაც მდებრიო ხალხი კეთილდღეობით სარგებლობს, გაცილებით უფრო მალა დგას, ვიდრე ინგლისი, სადაც ხალხის უმრავლესობა დიდ გავირებებს განიცდის. ყველა პოლიტიკური დაწესებულებიდან დემოკრატი შეუთრიგებლად მტრულადაა განწყობილი მხოლოდ ერთისადმი — არისტოკრატისადმი; ლიბერალი თითქმის ყოველთვის იმას ფიქრობს, რომ საზოგადოებას მხოლოდ არისტოკრატისადმი გარკვეული დონის პირობებში შეუძლია ლიბერალურ წყობილებას მიაღწიოს. ამიტომ ლიბერალები ჩვეულებრივ დემოკრატებისადმი საშინლად მტრულად არიან განწყობილი, ამ-

შეად.
სოციალ-
დემოკ-
რატი
№ 1,
გვ. 124

ბოზენ, რომ დემოკრატიზმი იწვევს დესპოტიზმს და დამლუპველია თავისუფლებისათვის» *...

[319]... შემდეგ ჩერნიშევსკი თავის აზრს ისეთი არ-გუმენტების საშუალებით განმარტავს, რომლებიც კიდევ უფრო მეტად ადასტურებენ ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ დემოკრატიზმად იგი სოციალისტებს გულისხმობს. ის ამბობს: «თეორიული მხრივ ლიბერალიზმი შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, რომ იგი მიმზიდველია ადამიანისათვის, რომელიც კარგმა ბედმა მატერიალური გაჭირვებისაგან გაათავისუფლა: თავისუფლება — მეტად სასიამოვნო ჩამაა. მაგრამ ლიბერალიზმს თავისუფლება ძალიან ვიწროდ, წმინდა ფორმალურად ესმის. იგი მისთვის წარმოადგენს განყენებულ უფლებას, ნებართვას ქაღალდზე, იურიდიული აკრძალვის არარსებობას. მას არ სურს გაიგოს, რომ იურიდიულ ნებართვას ადამიანისთვის მაშინ აქვს მხოლოდ ფასი, როცა ადამიანს ამ ნებართვით სარგებლობის მატერიალური საშუალებანი გააჩნია **.

ხალხს არა აქვს იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ პოლიტიკური თავისუფლებით ისარგებლოს. თითქმის ყველა ქვეყანაში ხალხის უმრავლესობა უწიგნურია. რატომ დააფასებს იგი თავისუფალი სიტყვის უფლებას? გაჭირვებამ და უვიცობამ მას არაგუნა სახელმწიფო საქმეების სრული [320] გაუგებლობა. მას რატომ დაინტერესდება იგი საპარლამენტო პაექრობით?» ჩერნიშევსკი კატეგორიულად ამბობს, რომ «არ არის ისეთი ევროპული ქვეყანა, სადაც ხალხის დიდი უმრავლესობა სავსებით ინდიფერენტული არ იყოს იმ წესებისადმი, რომლებიც ლიბერალიზმის სურვილებისა და საზრუნავის საგანს შეადგენენ» ***...

[329]... «სოვრემენიკის» 1859 წლის მე-6 წიგნის პოლიტიკურ მიმოხილვაში იგი, გვამცნობს რა იმის შესახებ, რომ გერმანიაში ძლიერდება მოძრაობა, რომელიც მოითხოვს გერმანული [330] კავშირის ჩარევის ავსტრიის სასარგებლოდ, შენიშნავს: «ჩვენ ვლაპარაკობდით არა მდამიო ადამიანებზე, არამედ საკუთრივ იმ კლასებზე, რომლებშიც თავს იყრის საზოგადოებრივი აზრი, რომლებიც ჩაბმული არიან პოლიტიკურ საქმეებში, კითხულობენ გაზეთებს და ამეღავენებენ, რომ ზეგავლენა აქვთ საქმეთა მსვლელობაზე, — ეს ბრბოა, რომელიც ყველგან ანგარებისა და ინტრიგის სათამაშოს წარმოადგენს» ****.

«მდამიო ადამიანები» არ კითხულობენ გაზეთებს, არ არიან გართული პოლიტიკური საქმეებით და ვერ ახდენენ გავლენას ამ საქმეთა მსვლელობაზე. ასეთია საქმის ვითარება ამჟამად, სანამ მათ შეგნებას ჯერ კიდევ ღრმად სძინავს. ხოლო როცა ეს შეგნება გაიღვიძებს მოქმედი ისტორიული არმიის მოწინავე რაზ-

* — *Сочинения*, т. IV, стр. 156—157.

** — *Сочинения*, т. IV, стр. 157.

*** — იქვე, გვ. 158.

**** — *Сочинения*, т. V, стр. 249.

მის ზეგავლენით, რაზმისა, რომელიც შედგება «საუკეთესო ადამიანებისაგან», კარგად რომ აუთვისებიათ თანამედროვე მეცნიერების დასკვნები, მაშინ «მდაბიო ადამიანები» გაიგებენ, რომ მათ ამოცანას შეადგენს საზოგადოების ძირეული გარდაქმნა, და მაშინ მოჰკიდებენ ისინი ხელს ამ გარდაქმნის საქმეს, რასაც არა აქვს უშუალო დამოკიდებულება პოლიტიკური წყობილების ფორმების საკითხებთან. ასეთი იყო ჩერნიშევსკის ძირითადი შეხედულება, რომელიც შელანდებმა კიდევ მის მრავალრიცხოვან პოლიტიკურ მიმოხილვათა უმრავლესობაში * თუ ზოგჯერ ეს, არსებითად იდეალისტური, შეხედულება პოლიტიკაზე ადგილს უთმობს მეორე შეხედულებას, რომელიც, თითქოს, მატერიალისტური გაგების ჩანასახია, ეს მხოლოდ გამოწვევისა, სავსებით იმის მსგავსი, რასაც ჩვენ ვხვდებით ჩერნიშევსკის ისტორიულ შეხედულებათა შესწავლისას: მკითხველს ახ-

NB

ისტორიაზე იდეალისტური და მატერიალისტური შეხედულების თეორიული განსხვავების გამო პლენუმმა ვერ შეამჩნია ალიბერალისა და დემოკრატიის პრაქტიკულ-პოლიტიკური და კლასობრივი განსხვავება

სოს, რომ ამ შეხედულებებში, რომლებიც არსებითად ასევე იდეალისტურია, გვხვდებოდა აგრეთვე პოლიტიკაზე მატერიალისტური შეხედულების ჩანასახი. განვმარტავთ ახლა ორი მაგალითით, თუ როგორი ხასიათი უნდა მიეღო ჩერნიშევსკის პოლიტიკურ მიმოხილვებს ჩვენ მიერ ახლანა ალნიშნული იმ ძირითადი შეხედულების ზეგავლენით, რომელიც მას ჰქონდა | მუშათა კლასის | მთავარი ამოცანებისა

| ? |

და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

პირველი მაგალითი. 1862 წლის იანვარში იგი თავის პოლიტიკურ მიმოხილვაში დავას იწყებს პრუსიის ლიბერალურ «National Zeitung»-თან აესტრიის საშინაო პოლიტიკაზე. «National Zeitung»-ი წერდა: «დაე აესტრიის ბედი გაკვეთილი იყოს სხვა სახელმწიფოებისათვის, რათა მათ არ გასწიონ ისეთი ხარჯები, რაც მათს ფინანსურ ძალას აღემატება. აესტრიას ვაკოტრების მიზეზს წარმოადგენს ჯარზე დაწეული უზომო ხარჯები». ჩერნიშევსკის არ მოსწონს «National Zeitung»-ის ეს მოსაზრება.

[331]... ამგვარ არგუმენტებს, რომლებსაც იმ დასკვნამდე მივყავდით, რომ აესტრიის დესპოტური მთავრობა სავსებით მართებულად იქცევა, უნდა გავოცებინა და ისინი მართლაც აოცებდნენ «სოცრემენიკის» ძალიან ბევრ მკითხველს. ეს მოსაზრებანი არათუ პოლიტიკური თავისუფლების საკითხებისადმი გულ-

NB NB NB

* — ეს მიმოხილვები მოცულობით ჩერნიშევსკის თხზულებების მარტივი კრებულის, სულ ცოტა, ორ ტომს მაინც შეადგენენ.

შეად. სო-
ციალ-
დემოკ-
რატი № 1,
გვ. 144 174

შეცვლი-
ლია!!

გრილი დამოკიდებულების, არამედ ობსკურანტებისა-
დმი პირდაპირი თანაგრძნობის შთაბეჭდილებასაც კი
ახდენენ [332]. მოწინააღმდეგენი ხშირად ბრალს სდებ-
დნენ ჩერნიშევსკის ასეთ თანაგრძნობაში. სწორედ
ამგვარ ბრალდებათა გამო იგი თავის 1862 წლის
მარტის პოლიტიკურ მიმოხილვაში ირონიულად აღი-
არებს: «ჩვენთვის არ არსებობს ლიბერალიზმზე უკე-
თესი გასართობი, — და აი ერთი სული გვაქვს სანამ
მოვნახავდეთ სადმე ლიბერალებს, რათა სასაცილოდ
აევიგოთ ისინი». მაგრამ სინამდვილეში იგი თავის
პარადოქსალურ მიმოხილვებს, რა თქმა უნდა, იმის-
თვის როდი წერდა, რომ «სასაცილოდ აევიგო» ლიბე-
რალები, და არც იმისთვის, რომ დესპოტური მთავ-
რობები დაეცვა. მათ საფუძვლად ედოთ ის აზრი, რომ
არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის პირო-
ბებში საქმის სხვანაირად წარმართვა, თუ არა ისე,
როგორც ახლა მიდის, შეუძლებელია, და მან, ვისაც
სურს, რომ იგი სხვანაირად მიდიოდეს, მთელი თა-
ვისი ძალადონე უნდა წარმართოს საზოგადოებრივი
ურთიერთობის ძირეული გარდაქმნისაკენ. სხვანაირად
მოქცევა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაცმა დრო ფუ-
ჟად დაკარგოს. ჩერნიშევსკის დაცინვას ლიბერალები
სწორედ იმით იწვევდნენ, რომ პალიტიკებს გთავუ-
ზობდნენ იქ, სადაც საჭირო იყო რადიკალური მკურ-
ნალობა*.

შეად. სო-
ციალ-დე-
მოკრატი № 1,
გვ. 144, ტო-
ნი! 175

მეორე მაგალითი. იმავე წლის აპრილში პრუსიის
მთავრობისა და პრუსიის დეპუტატთა პალატის შეტე-
კების გამო, ჩერნიშევსკი კვლავ თითქოს აბსოლუტიზ-
მის მხარეზეა ლიბერალიზმთან მის ბრძოლაში ლიბე-
რალიზმის წინააღმდეგ. მისი სიტყვებით, ლიბერალები
ტყუილად უკვირდით, რომ პრუსიის მთავრობამ მათ
ნებაყოფლობით არ დაუთმო, არამედ პალატის და-
თხოვნის გზით ქვეყნის აღელვება ამჯობინა. «ჩვენ
მიგვანინია, — ამბობს იგი, — რომ პრუსიის მთავრობა
ასეც უნდა მოქცეულიყო**». ამას კვლავ უნდა გა-
ნეცვიფრებინა გულუბრყვილო მკითხველი და მას ეს
თავისუფლების საქმის დალატად უნდა მოსჩვენებოდა.

* — თავის «პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევებში» ჩერნიშევს-
კი, მიუთითებს რა იმაზე, რომ არსებული ეკონომიური წესრიგი
არ შეესაბამება «ჯანსაღი თეორიის მოთხოვნებს», ზოგჯერ შეწყ-
ვეტს ხოლმე თავის გადმოცემას კითხვით: «უნდა დარჩეს თუ არა
იღეთ ყოფა, რომლის დროსაც შესაძლებელია ამგვარი შესაბამე-
ობა?» (იხ, მაგალითად, თხზ., ტ. VII, გვ. 518). ასეთივე კითხვა
უნდა აღძვრათ მისი მკითხველებისათვის მის პოლიტიკურ მიმო-
ხილვებშიც — განსაკუთრებით იმ მიმოხილვებს, რომლებშიდანაც ის
«შესაბამა» დასკვნა „ამომდინარეობდა, რომ მართლანი
არაა დესპოტიზმის დამცველი და არა მისი მტრები. ასეთი
დასკვნა ჩერნიშევსკისთან წარმოადგინდა მხოლოდ ზედმეტ არგუ-
მენტს ან ლ ა ნ დ ე ლ ი ყ ო დ ის წინააღმდეგ. მაგრამ ლიბე-
რალებს ხშირად არ ესმოდათ ეს.

** — Сочинения, т. IX, стр. 286.

Созда въ пользу Австрій, замѣчаетъ: „мы говорили не о простолюдинахъ, а собственно о классахъ, въ которыхъ сосредоточивается общественное мнѣніе, которые заняты политическими дѣлами, читаютъ газеты и обнаруживаютъ вліяніе на ходъ дѣла,—эта толпа, повсюду служащая игрушкой своекорыстія и интриги“ *).

„Простолюдины“ не читаютъ газетъ, не занимаются политическими дѣлами и не имѣютъ вліянія на ихъ ходъ. Такъ обстоятъ дѣло теперь, пока еще глубоко спятъ ихъ сознание. А когда оно пробудится подъ вліяніемъ передового отряда дѣйствующей исторической арміи, состоящаго изъ „лучшихъ людей“, усвоившихъ себѣ выводы современной науки, тогда „простолюдины“ поймутъ, что ихъ задача состоитъ въ коренномъ переустройствѣ общества, и тогда они возьмутся за дѣло этого переустройства, не имѣющаго прямого отношенія къ вопросамъ о формахъ политическаго устройства. Таковъ былъ преобладавшій взглядъ Чернышевскаго, который и обнаруживается въ большинствѣ его многочисленныхъ политическихъ обзорѣевъ **). Если иногда этотъ, по существу своему идеалистическій, взглядъ на политику уступаетъ мѣсто другому взгляду, являющемуся какъ бы зачаткомъ матеріалистическаго пониманія, то это есть лишь исключеніе, совершенно подобное тому, съ которымъ мы встрѣчались при изученіи историческихъ взглядовъ Чернышевскаго: читатель помнитъ, что въ этихъ взглядахъ, тоже идеалистическихъ по своему существу, тоже встрѣчались зачатки матеріалистическаго взгляда на исторію. Поясняемъ же теперь двумя примѣрами, какой характеръ должны были принимать политическія обзорѣива Чернышевскаго подъ вліяніемъ только что указавшаго нами и преобладающаго у него взгляда на отношеніе политики къ главнымъ задачамъ рабочаго класса.

Первый примѣръ. Въ январѣ 1862 года онъ въ своемъ политическомъ обзорѣивѣ вступаетъ въ споръ съ прусскою либеральною „National Zeitung“ по поводу внутренней политики Австрій. „National Zeitung“ писала: „судьба Австріи да послужитъ для другихъ государствъ урокомъ, чтобы они не дѣлали расходовъ, превышающихъ финансовую ихъ силу. Причиной разоренія Австріи служатъ безмѣрность расходовъ ея на войско“. Чернышевскому не нравятся это размышленіе „National Zeitung“. Онъ

*) Сочиненія, т. V, стр. 249.

**) Эти обзорѣива составляютъ по своему, по крайней мѣрѣ для того долгаго собранія его сочиненій.

330
 სუფი ზე ზეჲსეჲსი რეჲსი იმ და მარ. ზეჲსეჲსი და სხვა
 ტიპის სუფიჲსეჲსი უკლებლად - სხვა და სხვა რეჲსი
 სხვადასხვა და უკლებლად.

მაგრამ თავისთავად გასაგებია, რომ აქაც ჩვენი ავტორი სულაც არ ამხედრებულა დესპოტიზმის დასაცავად, არამედ მას მხოლოდ სურდა [333] ესარგებლა პრუსიაში მომხდარი ამბებით, რათა თავისი მკითხველებიდან ყველაზე მიმხვედრთათვის ემცნო სწორი შეხედულება იმ მთავარ პირობაზე, რომელზეც საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია ყველა დიდი საზოგადოებრივი შეჯახების დასასრული. და აი რას ამბობს იგი ამის შესახებ:

«როგორც დავა სხვადასხვა სახელმწიფოს შორის პირველად დიპლომატიური გზით წარმოებს, სრულიად ასევე ბრძოლა პრინციპების გამო თვით სახელმწიფოს შიგნით პირველად სამოქალაქო ზეგავლენის საშუალებებით ანუ ევრეთწოდებულ კანონიერი გზით წარმოებს. მაგრამ როგორც სხვადასხვა სახელმწიფოს შორის ატეხილი დავა, თუ იგი საკმაოდ დიდმნიშვნელოვანია, მუდამ ომის საშიშროებას ქმნის, სწორედ ასევე სახელმწიფოს საშინაო საქმეებშიც, თუ საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუ მოდავე სახელმწიფოები

მეტად უთანატოლო ძალის მქონენი არიან, საქმე ჩვეულებრივ მხოლოდ ომის დამუქრებით თავდება: სუსტი სახელმწიფო ძლიერის ნება-სურვილს ასრულებს და ამით ნამდვილ ომს თავიდან აიცილებს. სწორედ ასევე მნიშვნელოვან საშინაო საქმეებში ომი თავიდან აცილებულია მხოლოდ მაშინ, თუ ერთ-ერთი მოდავე მხარე გუძნობს, რომ მეორესთან შედარებით იგი ძალზე სუსტია: მაშინ იგი ქედს იხრის, როგორც კი დაინახავს, რომ მოწინააღმდეგე პარტიამ მართლაც გადაწყვიტა საომარ ღონისძიებებს მიმართოს. მაგრამ თუ ორი მოდავე სახელმწიფო არც ისე უთანატოლო ძალის მქონეა, რომ მათგან უფრო სუსტს არ ჰქონდეს თავდასხმის მოგერიების იმედი, მაშინ მუქარიდან საქმე ომამდეც მიდის. ვინც თავს იცავს, მისი მდგომარეობა ბევრად უფრო ხელსაყრელია, და ამიტომ, თუ იგი უკვე ძლიერ სუსტი არაა, არ ეცემა სულით იმის გამო, რომ უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მას თავს დაესხას»*.

სწორედ ამ თვალსაზრისით უყურებდა ჩერნიშევსკი იმას, რაც მაშინ პრუსიაში ხდებოდა. იგი იცავდა და აქებდა პრუსიის მთავრობას — ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს — მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი «საუკეთესოდ მოქმედებდა ეროვნული პროგრესის სასარგებლოდ», აქარწყლებდა რა იმ გულუბრყვილო პრუსიელთა პოლიტიკურ ილუზიებს, რომლებსაც, არავენ იცის რა საფუძვლით, წარმოედგინათ, რომ ნამდვილად კონსტიტუციური მმართველობის სისტემა მათ ქვეყანაში დამყარდება თავისთავად, ძველ წესწყობილებასთან უბრძოლველად. და თუ იგი არ ამეღავე-

NB

NB


NB

* — Сочинения, т. IX, стр. 241.

NB



?



ნებდა აჩავითარ თანაგრძნობას პრუსიელი ლიბერალებისადმი და სასაცილოდაც კი იგდებდა მათ, ეს იმით აიხსნება, რომ, ლიბერალებს, მისი სამართლიანი აზრით, სურდათ თავიანთი მიზნებისათვის [334] ისე მიეღწიათ, რომ თავიანთი მტრების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა არ ეწარმოებინათ. როცა პალატასა და მთავრობას შორის მომხდარი შეჯახების შესაძლო დასასრულზე ლაპარაკობს, იგი დიდი ირონიით აღნიშნავს, რომ «თუ პრუსიაში საზოგადოებრივი აზრის ახლანდელი განწყობილების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ახლანდელი სისტემის მოწინააღმდეგეებს ძალიან სუსტად მიაჩნიათ თავიანთი თავი სამხედრო ბრძოლისათვის და მზად არიან ქედი მოიხარონ მთავრობის პირველი გადამწყვეტი დამუქრებისთანავე, რომ მთავრობა საომარ ზომებს მიმართავს» *. ეს ასეც მოხდა. ჩერნიშევსკი მართალი იყო, როცა ზიზღით უცქეროდა პრუსიელ ლიბერალებს. ლიბერალებს მართლაც სურდათ, რომ კონსტიტუციური წყობილება პრუსიაში თავისთავად დამყარებულიყო. მათ არათუ არ მიმართეს გადამწყვეტ მოქმედებას, — ამას ვერც უსაყვედურებდა მათ კაცი, რადგან საზოგადოებრივ ძალთა მაშინდელი თანაფარდობის პირობებში ეს შეუძლებელი იყო, — აჩამედ პრინციპში გმობდნენ ყოველგვარ აზრს ასეთი მოქმედების შესახებ, ე. ი. ხელს უშლიდნენ, რამდენადაც ეს მათზე იყო დამოკიდებული, საზოგადოებრივ ძალთა ისეთ ცვლილებას, რომელიც მომავალში შესაძლებელს გახდოდა ამგვარ მოქმედებას. ჩერნიშევსკის არ შეეძლო მათთვის ამის პატიება, ისე როგორც ლასალმაც არ აპატია. შესანიშნავია, რომ სწორედ იმ დროს, როცა ჩერნიშევსკი თავის პოლიტიკურ მიმოხილვაში პრუსიელ ლიბერალებს სასაცილოდ იგდებდა, ლასალი თავის სიტყვებში ანადგურებდა მათ. და კიდევ უფრო შესანიშნავია ის, რომ გერმანელი აგიტატორი ზოგჯერ იმავე სიტყვებით, როგორც ჩერნიშევსკიც, ლაპარაკობდა საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობაზე, როგორც ყოველი მოცემული ქვეყნის პოლიტიკური წყობილების საფუძველზე. ლასალს ბევრ რამეში იგივე მასწავლებლები ჰყავდა, ჯაც ჩერნიშევსკის. ბუნებრივია, რომ ორივეს პოლიტიკური აზრი ერთი და იმავე მიმართულებით მუშაობდა და ისეთ შედეგებადვე მიდიოდა, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთს ემთხვეოდნენ. ჩვენ იმიტომ ვამბობთ: «ნაწილობრივ», რომ როცა, ერთი მხრივ, ლასალისა და, მეორე მხრივ, ჩერნიშევსკის შეხედულებათა დიდ

მსგავსებას აღვნიშნავთ, თვალი არ უნდა ავირიდოთ მათ შორის არსებულ სხვაობასაც. ლასალი არ კმაყოფილდება დასკვნით, რომ ყოველი მოცემული ქვეყნის კონსტიტუცია გამოხატულებათა საზოგადოებრივ ძალათა იმ თანათარღობისა, რომელიც ამ ქვეყანაში არსებობს. იგი ცდილობს ამ თანათარღობის განმსაზღვრელი მიზეზები მონახოს და ამ მიზეზებს საზოგადოებრივ ეკონომიკაში პოულობს. ლასალის სიტყვები, რომლებიც ამ საკითხს ეხება, გამსჭვალულია მატერიალისტური სულსკვეთებით, რაც სრულიად არ ითქმის, მაგალითად, მის სიტყვაზე [335] ფიხტეს ფილოსოფიის შესახებ ანდა მის «შეძენილ უფლებათა სისტემაზე». არც ჩერნიშევსკი უგულებელყოფს იმ მიზეზების საკითხს, რომლებიც საზოგადოებრივ ძალათა თანათარღობას განაპირობებენ, მაგრამ თავის ანალიზს იგი წყვეტს, როცა საზოგადოებრივ თვითშეგნებამდე მიდის, ე. ი. არ სცილდება იმ საზღვარს, რომელიც ისტორიულ იდეალიზმს ჰყოფს ისტორიული მატერიალიზმისაგან. იგი თავის მსჯელობებში პრუსიის საქმეებზე გაცილებით უფრო თანამიმდევრულ იდეალისტად გამოდის, ვიდრე პოლიტიკური თუ ისტორიული შინაარსის ბევრ სხვა თავის სტატიაში. ეს განსხვავებაც მთლიანად უნდა მიეკუთვნოს «საზოგადოებრივ ძალათა თანათარღობას». მიუხედავად იმისა, რომ პრუსიული კაპიტალიზმი ძლიერ სუსტი იყო იმასთან შედარებით, რასაც იგი ამჟამად წარმოადგენს, პრუსიაში მაინც უკვე იწყებოდა მუშათა მოძრაობა ამ სიტყვის უახლესი აზრით; რუსეთში კი მხოლოდ

NB

ახლად იწყებდა გაშლას რაზნოჩინელთა ის მოძრაობა, რომელსაც ჩვეულებრივ ინტელიგენციის მოძრაობა ეწოდება. მუშათა მოძრაობის საპირობათა ზეგავლენით იდეალისტებიც კი ხშირად იძულებულნი არიან ხოლმე მატერიალისტურად იმსჯელონ. მუშათა მოძრაობის საპირობათა ასეთი ზეგავლენის ბევრი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ თანამედროვე საფრანგეთში. ინტელიგენციის მოძრაობა კი, პირიქით, მატერიალისტებისა ციხისა კი ხშირად წმინდა იდეალისტურ მსჯელობათა გზაზე აყენებს, ეს განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა ახლანდელ რუსეთში.

ჩერნიშევსკის პოლიტიკური მიმოხილვები განკუთვნილი იყო «საუკეთესო ადამიანებისათვის», რომლებსაც უნდა სცოდნოდათ, რა ესწავლებინათ ჩამორჩენილი მასისათვის. «საუკეთესო ადამიანთა» საქმე უმთავრესად პროპაგანდა იყო. მაგრამ არა მხოლოდ პროპაგანდა. «მდაბიო ხალხი», საერთოდ რომ ვთქვათ, არ გამოდის პოლიტიკურ სცენაზე. და ის, რაც ამ სცენაზე ხდება, — ასევე საერთოდ რომ ვთქვათ, — ნაკლებად ეხება მის ინტერესებს. მაგრამ

ე. ი. დემოკრატიული

NB

არის ხოლმე განსაკუთრებული ეპოქები, რომელთა განმავლობაშიც ხალხის მასა იღვიძებს თავისი ჩვეულებრივი ძილისაგან და აკეთებს ენერგიულ, თუმცა ხშირად ნაკლებშეგნებულ ცდებს თავისი ბედის გასაუმჯობესებლად. ასეთ განსაკუთრებულ ეპოქებში «საუკეთესო ადამიანთა» მოღვაწეობა ცოტად თუ ბევრად კარგავს თავის უპირატესად პროპაგანდისტულ ხასიათს და აგიტაციური ხდება. აი

NB

რას ამბობს ჩერნომეცკი ამგვარ ეპოქებზე:

«ისტორიული პროგრესი მიმდინარეობს ნელა და მძიმედ... [336] ისე ნელა, რომ თუ ჩვენ ძალიან მოკლე პერიოდებით დაგვიმაჯობითობით, მაშინ შეწყობას, რასაც ისტორიის წინსვლითს მოძრაობაში ვითარებათა შემთხვევითობანი იწვევენ, შეუძლია გააბუნდოვნოს ჩვენს თვალში ზოგადი კანონის მოქმედება. რათა მის უცვლელობაში დავრწმუნდეთ, საჭიროა ავწონ-დავწონოთ მოვლენათა მსველობა საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე... შეადარეთ საფრანგეთის საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და კანონების მდგომარეობა 1700 წელს და ამჟამად, — განსხვავება უალრესად დიდია, და თანაც მთლიანად ახლანდელი დროის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ასევე ინგლისშიც. საიდანაა ეს განსხვავება? იგი მუდამ მზადდებოდა იმით, რომ ყოველი თაობის საუკეთესო ადამიანებს თავიანთი დროის ცხოვრება მძიმე ცხოვრებად მიაჩნდათ; თანდათანობით მათი სურვილების ცოტადოდენი ნაწილი მაინც საზოგადოებისათვის გასაგები ხდებოდა, და, შემდეგ, ოდესმე, მრავალი წლის შემდგომ ბედნიერი შემთხვევისას, საზოგადოება ნახევარი წელი, ერთი წელი, ბევრი-ბევრი სამი თუ ოთხი წელი მუშაობდა თუნდაც იმ მცირე ზოგიერთი სურვილის განსახორციელებლად, რაც მას საუკეთესო ადამიანებმა ჩააწვეთეს. ამ მუშაობას არასოდეს არ ჰქონია წარმატება: სანახევროდ გაკეთებული საქმით უკვე ამოიწურებოდა გულმოდგინეობა, საზოგადოებას ძალღონე ელეოდა და მისი პრაქტიკული ცხოვრება კვლავ დიდხნით მოღუნებული ხდებოდა და საუკეთესო ადამიანები, თუ ისინი განაგრძობდნენ ცხოვრებას მათ მიერვე შთაგონებული მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, უწინდებურად რწმუნდებოდნენ, რომ მათი სურვილების შესრულებას ბევრი რამ აკლდა, მათ უწინდებურად აწუხებდათ ცხოვრების სიმძიმე. მაგრამ კეთილშობილი სწრაფვის მოკლე პერიოდში ბევრი რამ გარდაიქმნებოდა. რა თქმა უნდა, გადამუშავება ხდებოდა სასწრაფოდ, დრო არ იყო ეფექტათ ახალ მინაშენთა მოხდენილობაზე, ისინი სრულიად მოუპირაკეთებელი რჩებოდნენ, დრო არ იყო ევზრუნათ ახალი ნაწილებისა და გადაარჩენილი ნაშთების არქიტექტურული პარმონიის სუბტილური მოთხოვნე-

რამ კეთილშობილი სწრაფვის მოკლე პერიოდში ბევრი რამ გარდაიქმნებოდა. რა თქმა უნდა, გადამუშავება ხდებოდა სასწრაფოდ, დრო არ იყო ეფექტათ ახალ მინაშენთა მოხდენილობაზე, ისინი სრულიად მოუპირაკეთებელი რჩებოდნენ, დრო არ იყო ევზრუნათ ახალი ნაწილებისა და გადაარჩენილი ნაშთების არქიტექტურული პარმონიის სუბტილური მოთხოვნე-

ბისათვის, და მოღუენების პერიოდი იღებდა უამრავი წერილმანი შეუსაბამობისა და ულამაზობის მქონე გადაკეთებულ შენობას. მაგრამ ამ ზანტ დროს ჰქონდა მოცალემა ყურადღებით ჩაკვირებოდა ყოველ წვკილმანს, და რადგან გასწორება იმ წერილმანებისა, რომლებიც მას არ მოსწონდა, განსაკუთრებულ ძალღონეს არ მოითხოვდა, ამიტომ ისინი თანდათანობით სწორდებოდა; ხოლო სანამ ღონემიხდილი საზოგადოება წერილმანებით იყო გართული, საუქეთესო ადამიანები ამბობდნენ, რომ გადაკეთება დაუმთავრებელია, ამტკიცებდნენ, რომ შენობის მოქველებული ნაწილები კიდევ სულ უფრო და უფრო ძველდება, ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია ფართო მასშტაბით საქმის ხელახლა დაწყება. თავდაპირველად დაქანცული საზოგადოება უარყოფდა მათ ხმას, როგორც მოუსვენარ კვირის, რომელიც ხელს უშლის დასვენებას; შემდეგ კი, ძალღონის აღდგენისთანავე, საზოგადოება თანდათან სულ უფრო მეტად და მეტად უგდებდა ყურს იმ აზრს, რომლითაც წინათ აღშფოთებული იყო [337], თანდათან რწმუნდებოდა, რომ მასში არის სიმართლის მარცვალი, ყოველწლიურად სულ უფრო მეტად აღიარებდა სიმართლის ამ მარცვალს, ბოლოს მზად იყო დათანხმებოდა მოწინავე ადამიანებს, რომ აუცილებელია ახალი გადაკეთება, და პირველი ხელსაყრელი ვითარებისთანავე ახალი გატაცებით იწყებდა მუშაობას, და ისევ მიატოვებდა მას, დაუმთავრებლად, ისევ თვლებდა, შემდეგ კი ისევ მუშაობდა» *.

ჩერნიშევსკის პოლიტიკურ მიმოხილვათა მიზანი იყო «საუქეთესო ადამიანებისათვის» სწორედ იმის ჩვენება, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების ძველი შენობა სულ უფრო მეტად ძველდება და რომ აუცილებელია «ფართო მასშტაბით საქმის ხელახლა დაწყება». და, როგორც ეს ყველაფრიდან ჩანს, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი, — ე. ი. ციბირიამდელი, — პერიოდის ბოლოს მას ისე ეჩვენებოდა, რომ საზოგადოება სულ უფრო მეტად და მეტად უგდებს ყურს მის აზრს და სულ უფრო მეტად ეთანხმება მას. სხვა სიტყვებით, მან დაიწყო ფიქრი, რომ რუსულ ისტორიაშიც ახლოვდება ერთ-ერთი იმ მაღლიანი ნახტომებიდან, რომლებიც იშვიათად ხდება ისტორიაში, მაგრამ რომლებიც სამაგიეროდ შორს წასწევნ ხოლმე წინ საზოგადოებრივი განვითარების პროცესს. რუსი საზოგადოების მოწინავე ფენების სულიერი განწყობილება მართლაც სწრაფად უმჯობესდებოდა, ხოლო მასთან ერთად უმჯობესდებოდა ჩერნიშევსკის სულიერი განწყობილებაც. იგი, რომელ-

NB

შეად. სო-
ციალ-დე-
მოკრატი № 1,
გვ. 161 176

სოციალ-დე-
მოკრატი,
გვ. 161 შეცვ-
ლილია¹⁷⁷

საც ოდესღაც შესაძლებლად და სასარგებლოდ მიაჩნდა განემარტა მთავრობისათვის მისი საკუთარი სარგებლობა გლეხების განთავისუფლების საქმეში, ამჟამად უკვე აღარ ფიქრობს იმაზე, რომ მთავრობას მიმართოს. ყოველგვარი იმედის დამყარება ამ მთავრობაზე მას მაგნე თავის ცდუნებად ეჩვენება. სტატიაში «რუსი ჩეფორმატორი» (1861 წლის ოქტომბრის «სოფრემენიკი»), რომელიც მ. კორფის წიგნის: «გრაფ სპერანსკის ცხოვრება» გამოცემის გამო დაიწერა, ჩერნიშევსკი დაწერილებით ამტკიცებს, რომ არც ერთი რეფორმატორი არ უნდა იტყუებდეს თავს ამგვარი ვაჩაულებით. მტრები სპერანსკის რევოლუციონერს უწოდებდნენ. ეს შეფასება აცინებს ჩერნიშევსკის სპერანსკის მართლაც გარდაქმნის ძალიან ფართო გეგმები ჰქონდა, მაგრამ სასაცილოა მას რევოლუციონერი ვუწოდოთ იმ საშუალებათა მოცულობის მიხედვით, რომელთა გამოყენებასაც იგი ფიქრობდა თავის განზრახვათა შესასრულებლად. მას მხოლოდ იმით ჰქონდა ზურგი მაგარი, რომ იმპერატორ ალექსანდრე I-ის ნდობის მოპოვება მოასწრო. სწორედ ამ ნდობაზე დაყრდნობით ფიქრობდა იგი ამ გეგმების განხორციელებას. და სწორედ ამიტომ უწოდებს ჩერნიშევსკი მას მეოცნებეს...

[338]... მაგნე გატაცებებს პოლიტიკაში მხოლოდ ის არ მიეცემა, ვისაც მუდამ ახსოვს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობა განისაზღვრება საზოგადოებრივ ძალთა თანაზღვრობით. იმას, ვისაც ამ ძირითადი დებულების შესაბამისად მოქმედება სურს, ზოგჯერ მძიმე ზნეობრივი ბრძოლის ვალდატანა უხდება. ჩერნიშევსკი ცდილობს გააფრთხილოს თავისი დროის «საუკეთესო ადამიანები» იმ ნანტიზმის გამო, რომელიც, მისი ფიქრით, მოახლოებული იყო. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1861 წლის იანვარში, არჩევს რა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის — კერის ერთ წიგნს, ეკონომისტისა, რომლის არარაობაც, გაკვირით რომ ვთქვათ, მან საუკეთესოდ ამხილა, ჩერნიშევსკი მოულოდნელად გადადის ცნობილ ებრაელ გმირ ქალზე — იუდიფზე და თავგამოდებით ამართლებს მის საქციელს. იგი ამბობს: «ისტორიული გზა ნევის პროსპექტის ტროტუარი როდია; იგი გადის ხან მტვრიან, ხან ტალახიან მინდვრებზე, ხან წაობებზე, ხან კი უღრან ტყეებზე. ვისაც გამტვერიანებისა და წალბას გაჭუჭყიანების ეშინია, მან არ უნდა მოჰკიდოს ხელი საზოგადოებრივ მოღვაწეობას: ეს ხომ კეთილშობილი საქმიანობაა ადამიანთათვის, როცა თქვენ ნამდვილად ფიქრობთ ადამიანთა სარგებლობაზე, მაგრამ არა მთლად ფაქიზი საქმიანობა. მართალია, სხვათა შორის, რომ ზნეობრივი სიფაქიზე შეიძლება გავიგოთ სხვადასხვაანირად: ზოგს, შეიძლება, ჰგონია, რომ, მაგალითად, იუდიფს თავი არ შეურცხვენია... გააფართოეთ თქვენი მოსაზრებების არე და თქვენ ბევრი კერძო საკითხის მიმართ გაგიჩნდებათ მოვალეობანი, გან-

სხვაეებულნი იმ მოვალეობათაგან, რომლებიც გექნებოდათ იმავე საკითხების იზოლირებულად დაყენების შედეგად» *.

60-იანი წლების დასაწყისში მთავრობამ განიზრახა ცენტრულ წიგნულდებათა რამდენადმე შესუსტება. გადაწყვეტილი იყო ცენტრის ახალი დებულების დაწერა, და პრესას ნება დართეს აზრი გამოეთქვა საკუთარი თავის ალაგმვის საკითხზე. ჩერნიშევსკიმ დაუყოვნებლივ გამოთქვა ამის გამო თავისი შეხედულება, რომელიც ჩვეულებისამებრ ძლიერ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ლიბერალური შეხედულებისაგან. [339] მართალია, თვით ჩერნიშევსკი გესლიანად დასციინის იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ სასტამბო დაზგას აქვს რაღაც სპეციფიკური ძალა მსგავსად ბელადონასი, გოჯირდმეავასი, მგრგვინავო ვერცხლისა და ა. შ. «ჩვენი პირადი შეხედულება არაა იმის სასარგებლოდ განწყობილი, რომ არაბუნებრივად მავნე შედეგებს ველოდოთ იმ საგნებიდან და მოქმედებათაგან, რომლებშიც ასეთ უბედურებათა წარმოქმნილი ძალა არ მოიპოვება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივ უბედურებათა წარმოქმნისათვის სასტამბო დაზგა მეტად სუსტია. მასზე ხომ იმდენი მეღანი არაა, რომ როგორმე გადალაზოს ფარგლები და ქვეყანა წალეყოს, მასში არაა ისეთი ზამბარები, რომ მოსწყდნენ როგორმე, დაარტყან ლიტერებს და ისროლონ ისინი როგორც კარტიჩი». მაგრამ ჩერნიშევსკი აღიარებს, რომ არის ხოლმე ისეთი ეპოქები, როცა ბექდვითი სიტყვა შეიძლება კარტიჩზე ანა ნაკლებ საშიში აღმოჩნდეს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობისათვის. ეს სწორედ ისეთი ეპოქებია, როცა მთავრობის ინტერესები განსხვავდება საზოგადოების ინტერესებისაგან და რევოლუციური აფეთქება ახლოვდება. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მთავრობას ყველა საფუძველი აქვს იმისათვის, რომ შეზღუდოს ბექდვითი სიტყვა, რადგან ბექდვითი სიტყვა, სხვა საზოგადოებრივ ძალებთან ერთად, მის დამზობას ამზადებს. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა მუდამ ახლანდელი საუკუნის საფრანგეთის თითქმის ყველა მთავრობა, რომლებიც ხშირად იცვლებოდნენ. ყოველივე ეს მეტად საფუძველიანად და მშვიდად აქვს გადმოცემული ჩერნიშევსკის. სტატიის ბოლომდე რუსეთის მთავრობის შესახებ ლაპარაკი არ არის. მაგრამ დასასრულ ჩერნიშევსკი მოულოდნელად ეკითხება მკითხველს, — და რა იქნებოდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ კანონები ბექდვითი სიტყვას შესახებ ნამდვილად საჭიროა ჩვენში? «მაშინ ჩვენ კვლავ დავიმსახურებდით ობსკურანტების, პროგრესის მტრების, თავისუფლების მოძულეთა, დესპოტიზმის პანეგირისტებისა და სხვ. სახელს, როგორც უკვე მრავალჯერ დავიმსახურეთ ასეთი საყვედური». ამი-

შეად. გამოტოვება სოციალ-დემოკრატი № 1, გვ. 162¹⁷⁸

* — Сочинения, т. VIII, стр. 37—38.

NB

ტომ მას აზრს კი სურს გამოიკვლიოს საკითხი, არის თუ არა საჭირო ჩვენში სპეციალური კანონები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. «მე ვშიშობ, — ამბობს იგი, — რომ კეთილსინდისიერი გამოკვლევა მიგვიყვანდა ჩვენ პასუხამდე: დაიხ, ისინი საჭიროა» *. დასკვნა ნათელია: საჭიროა იმიტომ, რომ რუსეთშიც ახლოვდება «ნანატომის» დრო.

«სოცრემენიკის» იმავე მარტის წიგნში, რომელშიც დაბეჭდილი იყო ახლახან ჩვენ მიერ ციტირებული სტატია, გამოქვეყნდა აგრეთვე პოლემიკური შენიშვნა: «ისწავლეს კი?» 1861 წელს მომხდარი ცნობილი სტუდენტთა ანუ უბოღბის შესახებ. ამ სტატიამ ჩერნიშევსკი იცავს სტუდენტებს ჩვენი «მფარველების» ამ საყვედურისაგან, რომ მათ სწავლა არა სურთო, [340] და გზადაგზა აგრეთვე ბევრ მწარე კემპარიტებას ეუბნება მთავრობას. ამ პოლემიკის უახლოესი საბაზი იყო უცნობი ავტორის სტატია «ს-პეტერბურგის აკადემიურ უწყებებში» სათაურით: «ვისწავლოთ თუ არ ვისწავლოთ?» ჩერნიშევსკი უპასუხებს, რომ სტუდენტების მიმართ ასეთ კითხვას აზრი არა აქვს, რადგან სტუდენტებს ყოველთვის სურდათ სწავლა, მაგრამ ამაში მათ ხელს უშლიდა შემზღვევი უნივერსიტეტის წესები. სტუდენტები, — იმ ასაკში მყოფი ადამიანები, — როცა ჩვენი კანონების თანახმად მაშაქაცს შეუძლია ცოლი შეირთოს, როცა მას სახელმწიფო სამსახურში იღებენ და შეუძლია «სამხედრო რაზმის მეთაური იყოს», — უნივერსიტეტის წესებს უნდოდათ პატარა ბავშვების მდგომარეობაში ჩაეყენებინათ. ვასაკვირველი არაა, რომ ისინი პროტესტს აცხადებდნენ. მათ უკრძალავდნენ ისეთ სრულიად უვნებელ ორგანიზაციებსაც კი, როგორცაა ურთიერთდამარების ამხანაგობანი, უთუოდ აუცილებელი მოსწავლეთა უმრავლესობის მატერიალური ხელმოკლეობის პირობებში. სტუდენტებს არ შეეძლოთ არ ამხედრებულიყვნენ ასეთი წესების წინააღმდეგ, რადგან აქ საქმე ენებოდა «ლუკმა პურს და ლექციების მოსმენის შესაძლებლობას». მათ ართმევდნენ ამ ლუკმაპურს, ამ შესაძლებლობას». ჩერნიშევსკი პირდაპირ აცხადებს, რომ უნივერსიტეტის წესების შემდგენელთ სწორედ ის უნდოდათ, რომ სწავლის შესაძლებლობა წაერთმიათ იმ ადამიანთა უმრავლესობისათვის, რომლებიც უნივერსიტეტში სტუდენტებად შედიოდნენ. «თუ სტატის ავტორს ან მის თანამოაზრეებს საჭიროდ მიაჩნიათ დაამტკიცონ, რომ წესების შედგენისას ეს მიზანი სრულიად არ ჰქონიათ მხედველობაში, დაე მათ დაბეჭდონ იმ თათბირებთან დაკავშირებული დოკუმენტები, საიდანაც ეს წესები წარმოიშვა». სტატის «ვისწავლოთ თუ არ ვისწავლოთ?» უსახელო ავტორმა თავისი საყვედური იმის თაობაზე, რომ სწავლა არ სურთო, მიმართა არა მარტო სტუდენტების წინააღმდეგ, არამედ

idem
სოციალ-დემოკრატი № 1,
33. 163

* — Сочинения, т. IX, стр. 180, 186.

აგრეთვე მთელი რუსი საზოგადოების წინააღმდეგ-სწორედ ამით ისარგებლა ჩერნიშევსკიმ, რათა უფრო ზოგად ნიადაგზე გადაეტანა დავა უნივერსიტეტში მომხდარი აჩუქულობის შესახებ. მისი მოწინააღმდეგე ვარაუდობდა, რომ არსებობს იმის ერთგვარი ნიშნები, რომ რუს საზოგადოებას სურს ისწავლოს. ამის დამამტკიცებელი იყო, მისი აზრით, ჩვენში დაარსებული «ასობით» ახალი ყურნალი, «ათეულობით» საკვირაო სკოლა. «ასობით ახალი ყურნალი, და სად დღითვალა ავტორმა ეს ასეულები? — წამოიძახებს ჩერნიშევსკი. — საჭირო კი იყო მართლაც ასეულები, და სურს თუ არა ავტორს იცოდეს, რატომ არ არსდება ასობით ახალი ყურნალი, როგორც ეს საჭიროა? იმიტომ, რომ ჩვენში არსებული ცენზურული პირობების გამო რამდენადმე ცოცხალ პერიოდულ გამოცემას არსად, გარდა რამდენიმე დიდი ქალაქისა, არსებობა არ შეუძლია. ყოველ მდიდარ სავაჭრო ქალაქს საჭირო იყო ჰქონოდა [341] რამდენიმე თუნდაც პატარა გაზეთი; საჭირო იყო, რომ ყოველ გუბერნიისაში რამდენიმე ადგილობრივი ფურცელი გამოსულყო. ეს ასე არ არის, რადგან მათი არსებობა შეუძლებელია... ათეულობით საკვირაო სკოლა... აი ეს არ არის გადაჭარბებული, ასობით ახალი ყურნალის მსგავსად: საკვირაო სკოლები იმპერიაში, სადაც 60 მილიონი მოსახლეობაა, მართლაც მხოლოდ ათეულობით ითვლება. საჭირო კი იყო, რომ ისინი ათეული ათასობით ყოფილიყო, და სულ მალე შეიძლებოდა მათი ათეული ათასობით მოწყობა, და, ყოველ შემთხვევაში, უკვე ახლა იარსებებდა მრავალი ათასი სკოლა. მაშ რატომღაა ისინი მხოლოდ ათეულობით? იმიტომ რომ ისინი ექვეყნებოდა იმყოფებიან, მათ ზღუდავენ, არტახებით კრავენ, ასე რომ ამ სკოლებში სწავლების საქმის ყველაზე ერთგულ დაამიანებს ამის ყოველგვარი ხალისი ეკარგებათ.

როცა ჩერნიშევსკის მიერ განხილული სტატიის ავტორმა «ასობით» ახალი ყურნალისა და «ათეულობით» საკვირაო სკოლის არსებობა დაიმოწმა როგორც მოჩვენებითი ნიშნები იმისა, რომ საზოგადოებას სურს ისწავლოს, მან საჩქაროდ დაუმატა, რომ ეს ნიშნები მაცდუნებელია. «მოისმენ ყვირილს ქუჩებში, — მელანქოლიურად მოგვითხრობდა ავტორი, — იტყვიან, აი იქ ესა და ეს მოხდაო, და ძალაუბრებურად ჩაქინდრავ თაის და რწმენა გიკარგება...» «მოითმინეთ, სტატიის ბნო ავტორო, — შეეპასუხება ჩერნიშევსკი, — რა ყვირილი გესმით თქვენ ქუჩებში? ქალაქის პოლიციელთა და მეთვალყურეთა ყვირილი, — ეს ყვირილი ჩვენც გვესმის. ამ ყვირილზე ხომ არ ამბობთ თქვენ? იტყვიან, იქ ესა და ეს მოხდაო... — რა მოხდა მაგალითად? იქ მოხდა ქურდობა, აქ გადაამეტეს ძალაუფლებას, იქ სუსტი შეავიწროეს, აქ ძლიერს გამოეჭომაგენ. — ამაზე განუწყვეტლივ ლაპარაკობენ. ამ ყვირილისაგან,

idem სო-
ციალ-დე-
მოკრატი № 1,
164

ყველას რომ ესმის, ამ ყოველდღიური ლაპარაკისაგან მართლაც ძალაუვნებურად ჩაქინდრავს თავს კაცი და რწმენა დაეკარგება».

სტუდენტთა ბრალმდებელი მათ თავს ესხმოდა სხვა-სი აზრების ვითომდა შეუწყნარებლობისათვის, იმისთვის, რომ ისინი თავიანთი პროტესტების დროს იყენებენ სტვენას, წყალში ნადებ ვაშლს და ამგვარ «ქუჩის იარაღს». ჩერნიშევსკი მას უპასუხებს, რომ «სტვენას და წყალში ნადებ ვაშლს იყენებენ არა როგორც ქუჩის იარაღს: ქუჩის იარაღია ხიშტი, კონდახი, მახვილი». იგი წინადადებას აძლევს თავის მოწინააღმდეგეს გაიხსენოს, «სტუდენტები იყენებდნენ ამ ქუჩის იარაღს ვინმეს წინააღმდეგ, თუ მას სტუდენტების წინააღმდეგ იყენებდნენ... და იყო თუ არა საჭიროება გამოიყენებინათ ეს იარაღი სტუდენტების წინააღმდეგ?».

გასაგებია, თუ როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჩერნიშევსკის ამგვარ სტატიებს რუს სტუდენტობაზე. როცა [342] შემდეგში სტუდენტთა არეულობა განმეორდა სამოციანი წლების დასასრულს, პატარა სტატია «ისწავლეს კი?» სტუდენტთა კრებებზე იკითხებოდა, როგორც მათი მოთხოვნების საუკეთესო დაცვა. გასაგებია აგრეთვე, თუ როგორ უნდა შეხვედროდნენ ასეთ გამომწვევე სტატიებს ბატონი «მფარველები». დიდი მწერლის «საშიში» გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე სულ უფრო უეჭველი ხდებოდა მათთვის.

NB

აქამდე სო-
ციალ-დე-
მოკრატი № 1.
164

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ აღკვეთეს ეს გავლენა. უტოპიური სოციალიზმის თვალსაზრისზე მდგომ ჩერნიშევსკის მიაჩნდა, რომ იმ გეგმების განხორციელება, რომელთა განხორციელებასაც მისი დასავლეთელი თანამოაზრენი ესწრაფოდნენ, შესაძლებელი იყო უაღრესად სხვადასხვა პოლიტიკური ფორმების არსებობის პირობებში. ასე ლაპარაკობდა თეორია. და სანამ ჩერნიშევსკი ამ თეორიის სფეროს აჩ სცილდებოდა, იგი უყოყმანოდ გამოთქვამდა ამ თავის შეხედულებას. მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება თითქმის გეპირდებოდა, რომ ამ შეხედულების სიმართლის რაიმე, თუნდაც მხოლოდ არაპირდაპირ დადასტურებას მოგვეცემდა: ჩვენს მოწინავე ადამიანებს მაშინ იმის იმედი ღაბღაბათ, რომ მთავრობა გლახთა საკითხის მიუღვომელი გადაწყვეტის თაოსნობას იკისრებდა. ეს იყო განუხორციელებელი იმედი, რომელზეც ჩერნიშევსკიმ თითქმის უფრო ადრე აიღო ხელი, ვიდრე სხვა ვინმემ. და თუ თეორიაში იგი შემდეგშიაც ბუნდოვნად ხედავდა ეკონომიკის კაჭკაჭს პოლიტიკასთან, თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში, — ვამბობთ რა ამას, მხედველობაში გვაქვს მისი მოღვაწეობა, როგორც პუბლიცისტი, — იგი ჩვენი ძველი წყობილების შეუჩირებელ მტრად გამოდიოდა, თუმცა მის თავისებურ ირონიას ჯერ კიდევ ბევრი ლიბერა-

ლი მკითხველი შეპყავდა შეცდომაში ამ საკითხის შესახებ. სინამდვილეში, — თუ თეორიაში არა, — უკიდურესად შეუზღვებელი პოლიტიკური ბრძოლის ადამიანი, და ბრძოლის წყურვილს ამჟღავნებს თითქმის ყოველი სტრიქონი მისი იმ სტატიებისა, რომლებიც ეკუთვნის 1861 წელს, განსაკუთრებით კი, მისთვის საბედისწერო 1862 წელს.

NB

შენიშვნები დაწერილია არა უადრეს
1909 წლის ოქტომბრისა,

არა უგვიანეს 1911 წლის აპრილისა

ნაწილობრივ დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება დედნის მიხედვით

მთლიანად იბეჭდება პირველად

7050785080

- ¹ მარქსისა და ენგელსის წიგნის «წმინდა ოჯახი» კონსპექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა 1895 წელს საზღვარგარეთ პირველად ყოფნის დროს; სადაც ის გაემგზავრა რუსეთიდან «შრომის განთავისუფლების ჯგუფთან» კავშირის დასამყარებლად. — 1.
- ² «Die heilige Familie, oder Kritik der kritischen Kritik. Gegen Bruno Bauer und Consorten. Von Friedrich Engels und Karl Marx». Frankfurt a. M., Literarische Anstalt (J. Rütten), 1845 («წმინდა ოჯახი, ანუ კრიტიკა კრიტიკული კრიტიკისა. ბრუნო ბაუერისა და კომპანიის წინააღმდეგ. ფრიდრიხ ენგელსის და კარლ მარქსისა». მაინის ფრანკფურტი, ლიტერატურული გამომცემლობა (ი. რიუტენი), 1845) — მარქსისა და ენგელსის პირველი საერთო შრომა, 1844 წლის სექტემბერ-ნოემბერში დაწერილი. მარქსისა და ენგელსის ამ ნაწარმოების მიზანი იყო ახალგაზრდა ჰეგელელების, ბრუნო ბაუერისა და მის მომხრეთა რეაქციული შეხედულებების მხილება. (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 2, 1955, გვ. 3—230). — 5.
- ³ «Allgemeine Literatur-Zeitung» («საყოველთაო ლიტერატურული გაზეთი») — გერმანული ყოველთვიური ორგანო, რომელსაც სცემდა ახალგაზრდა ჰეგელელი ბრუნო ბაუერი შარლოტენბურგში 1843 წლის დეკემბრიდან 1844 წლის ოქტომბრამდე. — 5.
- ⁴ «Umriss zu einer Kritik der Nationalökonomie» («პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევები») — ფ. ენგელსის ნაწარმოები, რომელიც პირველად 1844 წლის დამდეგს დაიბეჭდა ჟურნალში «Deutsch-Französische Jahrbücher» («გერმანულ-ფრანგული წელიწადული») (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 1, 1955, გვ. 544—571). — 6.

- 5 «Deutsch-Französische Jahrbücher» («გერმანულ-ფრანგული წელიწადული») — ჟურნალი, რომელიც გერმანულ ენაზე გამოდიოდა პარიზში კ. მარქსისა და ა. რუგეს რედაქციით. გამოქვეყნდა მხოლოდ პირველი, ორმაგი გამოშვება 1844 წლის თებერვალში. ჟურნალში გამოქვეყნებული იყო კ. მარქსის ნაწარმოებები: «სამართლის ჰეგელისეული ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი», «ებრაელთა საკითხისათვის», და აგრეთვე ფ. ენგელსის ნაწარმოებები: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევები» და «ინგლისის მდგომარეობა. თომას კარლეილი. «წარსული და აწმყო»» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 1, 1955, გვ. 382—413, 414—429, 544—571, 572—597). ეს შრომები მოწმობდნენ მარქსისა და ენგელსის საბოლოო გადასვლას მატერიალიზმსა და კომუნისმზე. ჟურნალის გამოსვლის შეწყვეტის მთავარი მიზეზი იყო მარქსის პრინციპული უთანხმოებანი ბურჟუაზიულ რადიკალ რუგესთან.—6.
- 6 იგულისხმება 1840 წელს გამოქვეყნებული პრუდონის თხზულება «Qu'est-ce que la propriété? ou Recherches sur le principe du droit et du gouvernement» («რა არის საკუთრება? ანუ გამოკვლევა სამართლისა და ხელისუფლების პრინციპის შესახებ»). ამ ნაწარმოების კრიტიკას მარქსი იძლევა შვაიცერისადმი 1865 წლის 24 იანვარს მიწერილ წერილში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. თბ., 1949, გვ. 158—166). — 8.
- 7 იგულისხმება ევგენი სიუს რომანი «Les mustères de Paris» («პარიზის საიდუმლოებანი»), დაწერილი სანტიმენტალურ-მეშინაურ ფილანთროპულ ყაიდაზე; რომანი დაიბეჭდა პარიზში 1842—1843 წწ. და ფართოდ იყო ცნობილი როგორც საფრანგეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ; ითარგმნა რუსულ ენაზე. — 15.
- 8 მარქსს მხედველობაში აქვს ი. ფაუხერის შემდეგი სახელწოდების სტატიები: «Englische Tagesfragen» («ინგლისის ცხოვრების საჭირობო-როტო საკითხები»), რომლებიც დაიბეჭდა «Allgemeine Literatur-Zeitung»-ის VII და VIII ნაკვეთებში (1844 წლის ივნისი და ივლისი). — 16.
- 9 ლუსტალოს გაზეთი 1789 წლისა — ყოველკვირეული გაზეთი «Révolutions de Paris» («პარიზის რევოლუციები»), რომელიც გამოდიოდა პარიზში 1789 წლის ივლისიდან 1794 წლის თებერვლამდე. 1790 წლის სექტემბრამდე გაზეთის რედაქტორი იყო რევოლუციური პუბლიცისტი, დემოკრატი ელიზე ლუსტალი. — 16.

- ¹⁰ G. W. F. Hegel. «Phänomenologie des Geistes» (გ. ვ. ფ. ჰეგელი. «სულის ფენომენოლოგია»). ამ შრომის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1807 წელს. «წმინდა ოჯახზე» მუშაობის დროს მარქსი სარგებლობდა ჰეგელის თხზულებათა მეორე გამოცემის II ტომით (ბერლინი, 1841). ჰეგელის ამ პირველ დიდ ნაწარმოებს, სადაც გადმოცემულია მისი ფილოსოფიური სისტემა, მარქსმა უწოდა «ჰეგელისეული ფილოსოფიის სათავე და საიდუმლოება» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ადრინდელი ნაწარმოებებიდან. 1956, რუს. გამოც., გვ. 624). — 17.
- ¹¹ დოქტრინერები — რესტავრაციის პერიოდის (1815—1830) ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწეების ჯგუფი; დოქტრინერები, ეს კონსტიტუციური მონარქისტები, დემოკრატიული და რევოლუციური მოძრაობის დაუძინებელი მტრები იყვნენ და იმას ესწრაფოდნენ, რომ ინგლისის ნიმუშის მიხედვით საფრანგეთში შეექმნათ ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის ბლოკი. დოქტრინერებს შორის ყველაზე ცნობილი იყვნენ ისტორიკოსი ფ. გიზო და ფილოსოფოსი პ. რუაიე-კოლარი; ამ უკანასკნელის შეხედულებანი წარმოადგენდნენ რეაქციას ფილოსოფიის დარგში წინააღმდეგ XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დემოკრატიული იდეებისა. — 18.
- ¹² ბრ. ბაუერის წიგნში «Die Judenfrage». Braunschweig, 1843 («ებრაელთა საკითხი», ბრაუნშვაიგი, 1843) გადმოცემულ შეხედულებათა უარყოფას მარქსი იძლევა სტატიაში «Zur Judenfrage» («ებრაელთა საკითხისათვის»), რომელიც დაიბეჭდა 1844 წელს «Deutsch-Französische Jahrbücher»-ში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 1, 1955, გვ. 382—413). — 19.
- ¹³ «ადამიანის საყოველთაო უფლებები» — პრინციპები, რომლებიც გამოცხადებული იყო «ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში» 1789—1793 წლების საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში. — 24.
- ¹⁴ 18 ბრიუმერი (1799 წლის 9 ნოემბერი) — სახელმწიფო გადატრიალების დღე ნაპოლეონ ბონაპარტისა, რომელმაც დაამხო ღირეჟტორია და თავისი დიქტატურა დაამყარა. — 26.
- ¹⁵ კარტეზიული მატერიალიზმი — დეკარტის ფიზიკის მიმდევართა მატერიალიზმი (დეკარტის — Cartesius (კარტეზიუსი) ლათინური ტრანსკრიპციიდან). დასახელებული წიგნი P. J. G. Cabanis. «Rapports du physique et du moral de l'homme» («ადამიანში სულიერისა და ფიზიკურის თანაფარდობა») გამოვიდა პარიზში 1802 წელს. — 28.

- 16 ნომინალიზმი — მიმართულება შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, რომელსაც ზოგადი ცნებები ცალკეული საგნების მხოლოდ სახელებად მიაჩნდა, წინააღმდეგ შუა საუკუნეების «რეალიზმისა», რომელიც ზოგადი ცნებების ან იდეების ნივთებისაგან დამოუკიდებელ არსებობას აღიარებდა.
- ნომინალიზმში აღიარებდა საგნის პირველადობას და ცნების მეორადობას. ამიტომ ნომინალიზმი, როგორც მარქსი ამბობს «წმინდა ოჯახში», წარმოადგენს მატერიალიზმის პირველ გამოხატულებას შუა საუკუნეებში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 2, 1955, გვ. 142). — 29.
- 17 სენსუალიზმი — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელსაც შემეცნების ერთადერთ წყაროდ შეგრძნებანი მიაჩნია. — 30.
- 18 ბაბეფისტები — გრაჯზ ბაბეფის, «თანასწორთა» უტოპიურ-კომუნისტური მოძრაობის ბელადის, მიმდევარნი 1796 წელს საფრანგეთში. — 30.
- 19 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ფოიერბახის ნაწარმოები «Grundsätze der Philosophie der Zukunft» (1843) («მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი»), რომელიც გაგრძელებაა ფოიერბახის აფორიზმებისა «Vorläufige Thesen zu einer Reform der Philosophie» (1842) («ფილოსოფიის რეფორმის წინასწარი თეზისები»), სადაც ფოიერბახი გადმოგვცემს თავისი მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძვლებს და ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის კრიტიკას იძლევა. — 32.
- 20 Fleur de Marie (ფლერ დე მარი) — გმირი ქალი ევგენი სიუს რომანიდან «პარიზის საიდუმლოებანი». — 33.
- 21 «Anekdoten zur neuesten deutschen Philosophie und Publicistik. Von Bruno Bauer, Ludwig Feuerbach, Friedrich Köppen, Karl Nauwerk, Arnold Ruge und einigen Ungenannten» («ბრუნო ბაუერის, ლ. ფოიერბახის, ფ. კეპენის, კ. ნაუერკის, ა. რუგესი და ზოგიერთი უსახელო ავტორის გამოუცემელი ნაწერები უახლესი გერმანული ფილოსოფიიდან და პუბლიცისტიკიდან») — იმ სტატიათა კრებული, რომლებიც ცენზურამ არ დაუშვა გერმანულ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად; ეს კრებული გამოსცა ა. რუგემ 1843 წელს ციურიხში. კრებულის თანამშრომელთა რიცხვში იყო კ. მარქსი. — 35.
- 22 ფილანთროპიკობები — ინგლისელ პოლიტიკურ მოღვაწეთა და ლიტერატორთა ჯგუფის — «ახალგაზრდა ინგლისის» სახელწოდება.

ეს ჯგუფი XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა და ტორიების პარტიას ეკუთვნოდა. «ახალგაზრდა ინგლისის» მოღვაწენი გამოხატავდნენ მიწის არისტოკრატიის უკმაყოფილებას ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური ძლევამოსილების გაძლიერების გამო, მიმართავდნენ დემაგოგიურ ხერხებს, რათა მუშათა კლასი თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ და გამოეყენებინათ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. «კომუნისტური პარტიის მანიფესტში» კ. მარქსი და ფ. ენგელსი მათ შეხედულებებს ახასიათებენ როგორც «ფეოდალურ სოციალიზმს».

10-საათიანი ბილი — კანონი მუშა-ქალებისა და მოზარდებისათვის 10-საათიანი სამუშაო დღის შესახებ, რომელიც ინგლისის პარლამენტმა 1847 წელს მიიღო. — 38.

23 შენიშვნა წიგნის Fr. Ueberweg. «Grundriß der Geschichte der Philosophie». (Bearbeitet von Max Heinze). 3 Vls. 1876—1880. Leipzig (ფრ. იბერვეგი. «ნარკვევი ფილოსოფიის ისტორიიდან», დამუშავებული მაქს ჰაინცეს მიერ, 3 ტ. 1876—1880. ლაიპციგი) შესახებ ჩაწერილია იმავე რვეულში, სადაც ჩაწერილია შენიშვნები პაულსენის წიგნზე «ფილოსოფიის შესავალი». ჩანაწერები გაკეთებულია ენგევაში 1903 წელს. — 39.

24 შენიშვნები წიგნზე: Fr. Paulsen. «Einleitung in die Philosophie». 1899 (ფრ. პაულსენი. «ფილოსოფიის შესავალი». 1899) ჩაწერილია იმავე რვეულში, სადაც შეტანილია აგრეთვე შენიშვნა იბერვეგის წიგნის შესახებ, ენგევაში 1903 წელს. პაულსენის წიგნის შესახებ გაკეთებული შენიშვნების შემდეგ რვეულში ჩაწერილია «შენიშვნა ახალი «ისკრის» პოზიციის გამო» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 7, გვ. 145—147). — 40.

25 შენიშვნა 1904 წლის 15 ნოემბრის «Frankfurter Zeitung»-ში მოთავსებული ფელეტონის შესახებ, სადაც მოცემულია ე. ჰეკელის შემდეგი ორი წიგნის შეფასება: «Lebenswunder (Gemeinverständliche Studien über biologische Philosophie)». Stuttgart. (Alfred Kroener) («სიცოცხლის სასაწყალები (ყველასთვის ხელმისაწვდომი გამოკვლევები ბიოლოგიის ფილოსოფიის შესახებ)»). შტუტგარტი. (ალფრედ კრენერი) და «Welträtsel» («სამყაროს გამოცანები»); ეს შენიშვნა დაწერილია ცალკე ფურცელზე. რომელზეც ჩაწერილია აგრეთვე რიგი უცხოური წიგნები აგარარულ საკითხზე. ჩანაწერი გაკეთებულია 1904 წლის დასასრულს. ე. ჰეკელის წიგნის «სამყაროს გამოცანების» შეფასება ვ. ი. ლენინმა მოგვცა ნაშრომში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 14, გვ. 445—455). — 43.

- 26 შენიშვნები სორბონის ბიბლიოთეკაში დაცულ ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის წიგნების შესახებ დაწერილია ცალკეულ ფურცლებზე 1909 წლის პირველ ნახევარში. — 45.
- 27 ათი ფილოსოფიური მიმდინარეობა — ლ. შტაინის წიგნის «თანამედროვეობის ფილოსოფიური მიმდინარეობანი» პირველი ნაწილის ათი თავის სათაურთა ჩამოთვლა. — 47.
- 28 კონსპექტი ფოიერბახის წიგნისა «Vorlesungen über das Wesen der Religion» («ლექციები რელიგიის არსების შესახებ») ჩაწერილია ცალკე რეგულში, რომლის გარეკანი არ შემონახულა. პირველ გვერდზე დაწერილია შემოკლებულად L. Feuerbach. Sämmtliche Werke, Band 8. 1851 და მითითებულია ბიბლიოთეკის შიფრი — 8°. R. 807. ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის შეადგინა ვ. ი. ლენინმა კონსპექტი, არ მოიპოვება. ვ. აღორაციმ გამოთქვა ვარაუდი, რომ კონსპექტი დაწერილია 1909 წელს (იხ. ლენინის კრებული XII, გვ. 14). ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობენ შემდეგი მოსაზრებანი. როგორც დადგენილია, კონსპექტის პირველ გვერდზე დაწერილი შიფრი ეკუთვნის საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკას (პარიზი), სადაც ვ. ი. ლენინი მუშაობდა 1909 წლის 13 იანვრიდან 30 ივნისამდე. თავისი შინაარსით «ლექციები რელიგიის არსების შესახებ» მიეკუთვნება ფოიერბახის იმ შრომებს, რომლებიც ლენინმა გამოიყენა 1908 წელს, როცა ის ამზადებდა წიგნს «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი», და ლენინის ზოგიერთი შენიშვნა კონსპექტში ეხმაურება მის წიგნში ფორმულირებულ დებულებებს. მაგალითად, კონსპექტში ლენინი შენიშნავს: [[ფოიერბახი და ბუნებისმეტყველება! NB შეადარე ამჟამად მახი და კომპანია]] (ეს ტომი, გვ. 63), ხოლო წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» ლენინი წერს: «ბუნებისმეტყველ მახის ფილოსოფია ისეთივე დამოკიდებულებაში იმყოფება ბუნებისმეტყველებასთან, როგორც ქრისტიანი იუდას ამბორი ქრისტესთან. მახი სწორედ ასევე ბუნებისმეტყველებას ხელში უგდებს ფიდეიზმს და არსებითად ფილოსოფიური იდეალიზმის მხარეზე გადადის» (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 14, გვ. 445). ცალკეული შენიშვნები ლენინის კონსპექტში დაკავშირებულია აგრეთვე იმ დებულებებთან, რომლებიც მოცემულია 1909 წლის მაისში დაწერილ ლენინის სტატიაში «მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 15, გვ. 492—507). — 51.
- 29 წიგნი L. Feuerbach. «Das Wesen des Christentums» (ლ. ფოიერბახი. «ქრისტიანობის არსება») გამოვიდა 1841

- წელს. ამ ნაშრომში ფოიერბახი მტკიცედ დგება მატერიალისტურ პოზიციებზე ფილოსოფიაში. — 54.
- 30 იგულისხმება მარქსისა და ენგელსის შრომა «წმინდა ოჯახი», სადაც ისინი წერდნენ, რომ ფოიერბახმა «ოსტატურად მოხაზა ძირითადი ნიშნები ჰეგელისეული სპექტულაციის კრიტიკისა და, ამით, ყოველგვარი მეტაფიზიკისა საერთოდ» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 2, 1955, გვ. 154). — 55.
- 31 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი ადგილი ფოიერბახის თხზულებებიდან, ტ. 8, გვ. 64: «ეგოიზმი მე მესმის როგორც სიყვარული ადამიანისა თავისი თავისადმი, ესე იგი სიყვარული ადამიანური არსებობისადმი, ის სიყვარული, რომელიც ყველა იმ სწრაფვის და მიდრეკილების დაკმაყოფილებისა და განვითარების იმპულსია, რომელთა დაუკმაყოფილებლად და განუვითარებლად ადამიანი არ არის ნამდვილი, სრულყოფილი ადამიანი და არც შეიძლება ასეთი იყოს» (იხ. ლ. ფოიერბახი. რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. II, 1955, გვ. 546—547). — 56.
- 32 ლ. ფოიერბახის ნაწარმოები «Das Wesen der Religion» («რელიგიის არსება») გამოქვეყნდა 1846 წელს. «Grundsätze der Philosophie der Zukunft» («მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი») გამოქვეყნდა 1843 წელს; ფოიერბახის ეს ადრინდელი ნაწარმოები უკვე შეიცავს აზრებს «გრძნობადობაზე», ე. ი. გრძნობადი აღქმისადმი ადამიანის უნარზე, როგორც ბუნების მოვლენათა გადმერთების საფუძველზე, იმ აზრებს, რომლებმაც თავიანთი სრული განვითარება ჰპოვეს ნაშრომში «რელიგიის არსება». — 57.
- 33 იგულისხმება ცნობილი ადგილი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის შესახებ ფ. ენგელსის წიგნიდან «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 443—446). — 61.
- 34 ვ. ი. ლენინი აქ ერთმანეთს უპირისპირებს ბუნებისმეტყველებისადმი მატერიალისტ ფოიერბახისა და სუბიექტურ იდეალისტ მახის დამოკიდებულებას. ბუნებისმეტყველებისადმი მახის დამოკიდებულების დახასიათება ვ. ი. ლენინმა მოგვცა წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 14, გვ. 445). — 63.
- 35 ი. დიცენი ანალოგიურ აზრებს ავითარებდა. მაგალითად, წიგნში «ადამიანის თავის მუშაობის არსება» (მ., 1907. რუს. გამ.), პარაგრაფში

- «სული და მატერია», იგი წერდა: «უკვე დიდხანია, უმთავრესად ქრისტიანობის დროიდან, ჩვევად იქცა არად ჩაგდება მატერიალური, გრძნობადი, ხორციელი ნივთებისა, რომელთაც ჩრჩილი და ქანგი ჰამს» (გვ. 87). — 63.
- 36 ი. დიკგენი წიგნში «ადამიანის თავის მუშაობის არსება» (მ., 1907. რუს. გამ.), თავში «წმინდა გონება ანუ აზროვნების უნარი საერთოდ», წერდა: «აზროვნება არის ტვინის ფუნქცია, მსგავსად იმისა, როგორც წერა არის ხელის ფუნქცია» (გვ. 44) და შემდეგ «...მკითხველი სწორად გაიგებს, თუ მე აზროვნების უნარს ვუწოდებ მატერიალურ უნარს, გრძნობადს მოვლენას» (გვ. 46). — 63.
- 37 იხ., მაგალითად: ვ. ი. ლენინის შენიშვნები პლენაროვის წიგნზე «ნ. გ. ჩერნიშევსკი» (ეს ტომი, გვ. 544—545, 547—549, 556—557, 559, 564—565, 571—572). — 69.
- 38 «Neue Rheinische Zeitung» («ახალ რაინის გაზეთს») სცემდა მარქსი კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე.
ენგელსის წიგნი «Die Lage der arbeitenden Klasse in England» («მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში») გამოქვეყნდა 1845 წელს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ინგლისის შესახებ. თბ., 1959, გვ. 1—374). წიგნის მნიშვნელობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 2, გვ. 9—11. — 69.
- 39 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი ადგილი ფოიერბახის წიგნიდან «Vorlesungen über das Wesen der Religion». Werke. Bd. 8. 1851, S. 411 («ლექციები რელიგიის არსების შესახებ». თხზ., ტ. 8, 1851, გვ. 411): «...ლმერთი შედგება, ასე ვთქვათ, ორი შემადგენელი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი ეკუთვნის ადამიანის ფანტაზიას, მეორე — ბუნებას. ილოცე! — ამბობს ერთი ნაწილი, ესე იგი ღმერთი, ბუნებისაგან განსხვავებული; იმუშავე! — ამბობს მეორე ნაწილი, ესე იგი ღმერთი, რომელიც ბუნებისაგან არ განსხვავდება, არამედ მხოლოდ მის არსებას გამოხატავს; ვინაიდან ბუნება მუშა ფუტკარია, ღმერთები კი — მამალი ფუტკარი» (იხ. ლ. ფოიერბახი. რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, ტ. II, 1955, რუს. გამ., გვ. 846). — 70.
- 40 ანთროპოლოგიური პრინციპი — ფოიერბახის დებულება იმის შესახებ, რომ ფილოსოფიური საკითხების გადაწყვეტის დროს აუცილებლად საჭიროა ადამიანს განვიხილავდეთ როგორც ბუნების ნაწილს, როგორც ბიოლოგიურ არსებას.
ანთროპოლოგიური პრინციპი მიმართული იყო რელიგიისა და იდეალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ როცა ადამიანს კონკრეტულ-ისტორიუ-

ლი საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან მოწყვეტილად განვიხილავთ, ანთროპოლოგიურ პრინციპს ისტორიული განვითარების კანონების გაგებაში იდეალიზმთან მივყავართ.

დიდი რუსი მატერიალისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ასევე ანთროპოლოგიური პრინციპიდან გამოდიოდა და ამ საკითხს სპეციალური შრომა მოუძღვნა შემდეგი სახელწოდებით «ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში» (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბ., 1945, გვ. 1—96). — 74.

41 იგულისხმება L. Feuerbach. «Theogonie nach den Quellen des classischen, hebräischen und christlichen Altertums». Sämmtliche Werke. Bd. 9, 1857 (ლ. ფოიერბახი. «თეოგონია კლასიკურ, ებრაულ და ქრისტიანულ სიძველეთა წყაროების მიხედვით». თხზულებათა კრებული, ტ. 9, 1857). გვ. 320 — დასაწყისია § 34-ისა «ქრისტიანული» ბუნების-მეტყველება; გვ. 344 შედის § 36-ში, რომლის სათაურია «თეიზმის თეორიული საფუძველი». — 74.

42 ჰეგელის წიგნის «ლოგიკის მეცნიერება» კონსპექტი ჩაწერილია სამ რვეულში, რომლებსაც საერთო ნუმერაცია აქვთ 1—115 გვერდებისა. პირველი რვეულის გარეკანზე, გარდა წარწერისა «Hegel. ლოგია I», არის ჩანაწერი: «ფილოსოფიის რვეულები. ჰეგელი, ფოიერბახი და სხვადასხვა». მეორე რვეულის გარეკანზე 49—88 ნუმერაციაზე მიწერილია: NB გვ. 76 (ამ ტომის გვ. 189—190). 111-ე გვერდის ბოლოში წერია: ««ლოგიკის» დასასრული. 17. XII. 1914». კონსპექტის შედგენის დასაწყისი მიეკუთვნება, ალბათ, 1914 წლის სექტემბრის პირველ ნახევარს, როცა ლენინი პარონინიდან შევიცარიაში, ბერნში გადავიდა. — 75.

ვ. ი. ლენინის ეს შრომა ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის IX კრებულში; წიგნი თარგმნილი იყო ი. ს. ფანცხავას მიერ (ქართ. გამ. რედ.).

43 ჰეგელის თხზულებათა პირველ გამოცემას გერმანულ ენაზე შეადგენს 18 ტომი (1832—1845) და დამატებითი ტომი ორ ნაწილად (1887). ჰეგელის თხზულებათა რუსული გამოცემა, ტტ. I—II, V—XIII (1929—1940), ტ. III (1956) და ტ. XIV (1958). — 77.

44 «Wissenschaft der Logik» («ლოგიკის მეცნიერება») შედგება ორი ნაწილისაგან (სამი წიგნისაგან). «ლოგიკის მეცნიერების» რუსული თარგმანი იხ. ჰეგელის თხზულებათა V (1937) და VI (1939) ტომებში. — 77.

45 «პარმენიდე» — სახელწოდება პლატონის ერთ-ერთი დიალოგისა,

- სადაც გარჩეულია ფილოსოფიური შეხედულებანი ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსის პარმენიდესი, რომელიც ელვის სკოლას ეკუთვნოდა. — 88.
- 46 ვ. ი. ლენინს, ალბათ, მხედველობაში აქვს კანტის ცნობილი განცხადება «წმინდა გონების კრიტიკის» მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში: «მე უნდა შემეზღუდა ცოდნის არე, რათა ადგილი დამეთმო რწმენისათვის». — 92.
- 47 იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული». (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად, ტ. II. თბ., 1950, გვ. 447). — 96.
- 48 იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული». (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად, ტ. II. თბ., 1950, გვ. 445—447). — 101.
- 49 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი». თბ., 1952, გვ. 61—62, 160—161. — 111.
- 50 გადაკრული სიტყვა ორტაეპელზე «უფლების საკითხი» ფ. შილერის სატირიკული ლექსიდან «ფილოსოფოსები», რომლის ქართული თარგმანი ასე უღერს:
 «ცხვირს ჩემსას უკვე დოღიხანია ყნოსვისთვის ვხმარობ,
 შემიძლია თუ არა დავამტკიცო ჩემი უფლება მასზე?»
 (იხ. ფ. შილერი. თხზ. კრებული, ტ. 1, მ., 1955, გვ. 243. რუს. გამ.)—111.
- 51 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი». თბ., 1952, გვ. 160—161, 163.—111.
- 52 იგულისხმება ფოიერბახის შენიშვნა ნაწარმოებში «Vorläufige Thesen zur Reform der Philosophie» («ფილოსოფიის რეფორმის წინასწარი თეზისები»), რომელიც გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე ფოიერბახის თხზულებათა II ტომში 1846 წელს, გვ. 257 (იხ. ლ. ფოიერბახი. რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ. ტ. I, 1955, გვ. 124). — 116.
- 53 იგულისხმება კანტის ნაწარმოები «Die Kritik der Urteilskraft» (იხ. «მსჯელობის უნარის კრიტიკა». რუს. გამ. სპბ., 1898). — 126.
- 54 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს სამი შემდეგი ნაწარმოების გამოქვეყნება: ჰეგელის «ლოგიკის მეცნიერება» (პირველი ორი წიგნი გამოვიდა 1812 და 1813 წლებში); მარქსისა და ენგელსის «კომუნისტური პარტიის მანიფესტი» (დაიწერა 1847 წლის ბოლოს და გამოქვეყნ-

- და 1848 წლის თებერვალში; დარვინის «სახეთა წარმოშობა» (გამოქვეყნდა 1859 წელს). — 134.
- 55 იგულისხმება თხზულება K. Pearson. «The Grammar of Science». London, 1892 (კ. პირსონი. «მეცნიერების გრამატიკა». ლონდონი, 1892). იხ. რუსული თარგმანი. სპბ., გამოც. «შინპოვნისკი». — 148.
- 56 იგულისხმება «Encyklopädie der philosophischen Wissenschaften im Grundrisse». Hegel. Werke. Bd. 6, Berlin, 1840 («ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია შემოკლებულ ნარკვევად» ჰეგელი. თხზულებანი, ტ. 6, ბერლინი, 1840), სადაც ლოგიკა შეადგენს 1 ნაწილს. «ლოგიკას» «ენციკლოპედიიდან» ვ. ი. ლენინი უწოდებს «მცირეს» განსხვავებით სამი ტომისაგან შემდგარ «დიდი» «ლოგიკის მეცნიერებისა». — 150.
- 57 ვ. ი. ლენინის მხედველობაში აქვს ენგელსის შენიშვნები ჰეგელის «ენციკლოპედიის» შესახებ. იხ. ენგელსის წერილი მარქსისადმი 1874 წლის 21 სექტემბრის თარიღით (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, რუს. გამ., ტ. XXIV, გვ. 442). იხ. აგრეთვე ენგელსის წერილი კონრად შმიდტისადმი 1891 წლის 1 ნოემბრის თარიღით (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. თბ., 1949, გვ. 487—488). — 150.
კუნო ფიშერი — ფილოსოფიის გერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი, ავტორი «ახალი ფილოსოფიის ისტორიისა», რომლის ერთი ტომი (ტ. 8) მიძღვნილია ჰეგელისადმი. (იხ. ეს ტომი, გვ. 173). — 151.
- 58 იხ. გ. ვ. პლუხანოვი. «ჰეგელის გარდაცვალების სამოცი წლისთავისათვის» (გ. ვ. პლუხანოვი. რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. 1, 1956). — 155.
- 59 იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 446). — 166.
- 60 გამოთქმები ჰეგელიდან აღებულ ციტატაში: სამარისებური მყუდროება, გენია, სახე, რიცხვი და ა. შ. — წარმოადგენენ, ეტყობა, მითითებებს ფილოსოფიურ სისტემებში იდეის იმ სხვადასხვა განსაზღვრაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ფილოსოფიის ისტორიის მთელ მანძილზე; ამასთანავე ისინი, ალბათ, მიეკუთვნებიან იდეის იმ განსაზღვრას, რომელიც შელინგმა მოგვცა მის ნაშრომში «System des transzendentalen Idealismus» («ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა») და სხვა ნაწარმოებებში. — 192.
- 61 მახისტ ვ. ჩერნოვის მეტაფიზიკურ შეხედულებათა კრიტიკა მოცემული აქვს ვ. ი. ლენინს წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი».

- მი» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 14). — 198.
- 62 ამ განტოლების ამოხსნა მოცემული აქვს გაუსს ნაწარმოებში «*Disquisitiones arithmeticae*» («*არითმეტიკული გამოკვლევანი*») (1801). — 207.
- 63 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს «თეზისები ფოიერბახის შესახებ», რომელიც მარქსმა დაწერა 1845 წელს და ენგელსმა გამოაქვეყნა ბროშურის «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული» დანართში 1888 წელს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 484). — 210.
- 64 იგულისხმება დიოგენე სინოპელი, კინიკოსთა სკოლის წარმომადგენელი, რომელსაც მეტსახელად «ძაღლი» შეარქვეს მათხოვრული ცხოვრების გამო და საზოგადოებრივი მორალის მოთხოვნილებათა არად ჩაგდებისათვის. — 224.
- 65 იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 447). — 234.
- 66 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტომი 1, ქართ. გამოც., 1954, თავი მეხუთე, გვ. 229. მე-2 შენიშვნაში მარქსს მოჰყავს ციტატი ჰეგელის ენციკლოპედიიდან: «გონება ისევე ხერხიანია, როგორც ძაღვანია. ხერხიანობა საერთოდ მდგომარეობს იმ მეშვეობითი სახის მოქმედებაში, რომელიც, აიძულებს რა ობიექტებს მათი ბუნების შესაბამისად ზემოქმედება მოახდინონ ერთმანეთზე და ურთიერთდამუშავება განიცადონ, ისე რომ თვითონ უშუალოდ ამ პროცესში არ ერევა, — მაინც მხოლოდ თავის მიზანს ახორციელებს» (Hegel. «*Encyclopädie*». Erster Theil. «*Die Logik*». Berlin, 1840, S. 382) (იხ. ჰეგელი. «*ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია*». თხზულებანი, რუს. გამ., ტ. 1, 3. — ლ., 1930, გვ. 318—319). — 236.
- 67 შენიშვნები ჰეგელის «*ლოგიკის*» შესახებ დაწერილი შრომების რეცენზიებზე ჩაწერილია ჰეგელის «*ლოგიკის მეცნიერების*» კონსპექტის მესამე რვეულის ბოლოში, 1914 წლის 17 დეკემბრის შემდეგ. — 241.
- 68 «*Preußische Jahrbücher*» («*პრუსიის წელიწდეული*») — ყოველთვიური კონსერვატიული ჟურნალი; გერმანელი კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1858 წლიდან 1935 წლამდე. — 241.
- 69 იგულისხმება «*Zeitschrift für Philosophie und philosophische Kritik*» («*ფილოსოფიისა და ფილოსოფიური კრიტიკის ჟურნალი*»), რომელიც 1837 წელს დააარსა გერმანელ-

- მა ფილოსოფოს-იდეალისტმა ემანუელ ჰერმან ფიხტემ. თავდაპირველად მისი სახელწოდება იყო «Zeitschrift für Philosophie und spekulative Theologie» («ფილოსოფიისა და სპეკულაციური თეოლოგიის ჟურნალი»). გამოდიოდა იდეალისტური მიმართულების ფილოსოფიის გერმანელი პროფესორების რედაქციით. შეწყდა 1918 წელს. — 241.
- 70 «Revue Philosophique» («ფილოსოფიური მიმოხილვა») — ჟურნალი, დაარსებულ იქნა პარიზში 1876 წელს. — 245.
- 71 «Philosophy of Mind» («სულის ფილოსოფია») წარმოადგენს ჰეგელის თხზულების «ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის» შესამე ნაწილის თარგმანს ინგლისურ ენაზე; იგი შედგება სამი ნაწილისაგან: «ლოგიკა», «ბუნების ფილოსოფია», «სულის ფილოსოფია» (იხ. ჰეგელი. თხზულ., რუს. გაძ., ტ. I, 1930; ტ. II, 1934; ტ. III, ნაწ. 3, 1956). — 245.
- 72 ციტატი მოცემულია იმ რეცენზიიდან, რომელიც დაიბეჭდა A. Chiappelli-ს წიგნის «Le pluralisme moderne et le monisme» (ა. კიამპელი. «თანამედროვე პლურალიზმი და მონიზმი») შესახებ ჟურნალში «Revue Philosophique», 1911, ტ. LXXII, გვ. 333. — 247.
- 73 ჰეგელის წიგნის «ლექციები ფილოსოფიის ისტორიაზე» კონსპექტი ჩაწერილია ორ რეველში, რომელთა გარეკანზე წარწერილია: Hegel. კონსპექტი შედგენილია 1915 წელს ბერნში. — 249.
- 74 იონიის სკოლას ეწოდება აგრეთვე მილეთის სკოლა (ქალაქ მილეთიდან, რომელიც ანტიკური ქვეყნის სავაჭრო და კულტურული ცენტრი იყო მცირე აზიის სანაპიროზე); ეს იყო ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაში ყველაზე ადრინდელი სტიქიურ-მატერიალისტური სკოლა (VI საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) (იხ. ფ. ენგელსი. «ბუნების დიალექტიკა». თბ., 1954, გვ. 191—192). — 253.
- 75 პითაგორას ფილოსოფია (VI—IV საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — იდეალისტური ფილოსოფია, რომელსაც რიცხვი ყველა ნივთის არსებად მიაჩნდა. სახელწოდება მიიღო პითაგორასაგან, რომელმაც ქალაქ კროტონში (სამხრეთ იტალია) დააარსა ფილოსოფიურ-რელიგიურ-პოლიტიკური კავშირი, რომელიც არისტოკრატის ბატონობისათვის იბრძოდა. — 253.
- 76 არისტოტელეს ნაწარმოები «De coelo» («ცის შესახებ»), რომელიც მიეკუთვნება მის ნატურფილოსოფიურ თხზულებათა ჯგუფს, შედგება თავებად დაყოფილი ოთხი წიგნისაგან. ახალი დროის გამოცემებში ეს წიგნები აღნიშნულია რომაული ციფრებით, თავები კი — არაბულით. — 254.

- 77 რიცხვი ათი პითაგორელებს მიაჩნდათ წმინდა რიცხვად, ყველაზე სრულყოფილ რიცხვად, რომელიც რიცხვთა მთელ ბუნებას მოიცავს. — 254.
- 78 არისტოტელეს ნაწარმოები «De anima» («სულის შესახებ»), რომელიც მიეკუთვნება ნატურფილოსოფიურ თხზულებათა ჯგუფს, შედგება სამი წიგნისაგან. არის რუსული თარგმანი. მ., 1937. — 255.
- 79 ელეთის ანუ ელვის სკოლამ (VI—V საუკუნის დასასრული ჩ. წ. აღრიცხვამდე) სახელწოდება მიიღო იტალიის სამხრეთში მდებარე ქალაქ ელისაგან. ნივთთა ცვალებადი პირველსაწყისის შესახებ მილეთის სკოლისა და პერაკლიტეს სტიქიური დიალექტიკური მოძღვრების საწინააღმდეგოდ ელვის სკოლამ წამოაყენა მოძღვრება ერთიან, უძრავ, უცვლელ, ერთგვაროვან, უწყვეტ, მარადიულ არსებულზე. ამასთანავე ელვის სკოლის წარმომადგენელთა ზოგიერთმა დებულებამ და განსაკუთრებით ძენონის მიერ მოძრაობის წინააღმდეგობრიობის შესახებ წამოყენებულმა მტკიცებებმა (ეგრეთწოდებულმა ძენონის აპორიებმა), წინააღმდეგ მათი მეტაფიზიკური დასკვნებისა. დადებითი როლი შეასრულეს ანტიკური დიალექტიკის განვითარებაში, დააყენეს რა საკითხი მოძრაობის პროცესების წინააღმდეგობრივი ხასიათის ლოგიკური ცნებებით გამოხატვის შესახებ. — 256.
- 80 განსაზღვრა — საგნის გაშლილი ცნება, რომელიც ახასიათებს ამ საგნის არსებითს მხარეებსა და კავშირს გარემომცველ სამყაროსთან. მის შინაგან განვითარებას. დეფინიცია, მოცემულ შემთხვევაში, — აბსტრაქტული, ფორმალურ-ლოგიკური განსაზღვრაა, რომელიც საგნის მარტოოდენ გარეგან ნიშნებს ითვალისწინებს. — 257.
- 81 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგია». თბ., 1952, გვ. 18. იხ. აგრეთვე ეს ტომი, გვ. 268. — 257.
- 82 იგულისხმება დიოგენე ლაერტის თხზულება «ცხოვრება და მოძღვრებანი ფილოსოფიაში სახელგანთქმული ადამიანებისა», გადმოცემული ათ წიგნად. ძველ ბერძნულ ენაზე ლაერტის თხზულებანი გამოსცა გ. გიუბნერმა, ტ. 1—2, ლაიპციგი, 1830—1833. — 261.
- 83 იგულისხმება სექსტ ემპირიკოსის «პირონის ძირითადი დებულებანი» სამ წიგნად. არის რუსული გამოცემა. სპბ., 1913. — 261.
- 84 იგულისხმება Pierre Bayle. «Dictionnaire historique et critique». 4 t. Amsterdam und Leyden, 1740 (პიერ ბეილი, «ისტორიული და კრიტიკული ლექსიკონი». 4 ტ. ამსტერდამი და ლეიდენი, 1740). — 261.
- 85 იგულისხმება წიგნი Gomperz Théodore. «Les Pen-

- seurs de la Grèce». (იხ. გომპერტი. «ბერძენი მოაზროვნენი», რუს. გამ., ტ. 1, სპზ., 1911, გვ. 170—175). — 262.
- 86 იგულისხმება § 1 ვ. ჩერნოვის წიგნისა «ფილოსოფიური და სოციოლოგიური ეტიუდები», მ., 1907). — 263.
- 87 ძ ე ნ ო ნ ი ე ლ ე ე ლ ი დაიბადა დაახლოებით 500 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე, გარდაცვალების წელი გაურკვეველია. პერაკლიტე ეფესელი ცხოვრობდა დაახლოებით 530—470 წლებში ჩვ. წელთაღრიცხვამდე. — 265.
- 88 ნაწარმოები «De mundo» («სამყაროს შესახებ»), შეტანილი არისტოტელეს თხზულებათა კრებულში, დაწერილია არისტოტელეს სიკვდილის შემდეგ უცნობი ავტორის მიერ ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის დამლევს და II საუკუნის დამდეგს. — 266.
- 89 «ს ი მ კ ო ს ი ო ნ ი» («ნადიმი») — პლატონის დიალოგი. — 266.
- 90 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურიზმი». თბ., 1952, გვ. 18. — 269.
- 91 იგულისხმება სექსტ ემპირიკოსის თხზულება «მათემატიკოსების წინააღმდეგ», რომელიც შედგება 11 წიგნისაგან; აქედან ექვსი წიგნი მიძღვნილია გრამატიკის, რიტორიკის, გეომეტრიის, არითმეტიკის, ასტრონომიისა და მუსიკის კრიტიკისადმი, ხუთი კი («დოგმატიკოსების წინააღმდეგ») — ლოგიკის, ფიზიკისა და ეთიკის კრიტიკისადმი. — 272.
- 92 შეგრძნებათა შესახებ მახის სუბიექტურ-იდეალისტური მოძღვრების კრიტიკა ვ. ი. ლენინს მოცემული აქვს წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი», თავი 1, §§ 1 და 2 (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 14, გვ. 35—71). — 272.
- 93 კ ო მ ე ო მ ე რ ი ე ბ ი — არისტოტელეს მიერ შემოღებული ტერმინი იმ უსასრულოდ გასაყოფი ნაწილაკების აღსანიშნავად, რომლებიც ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავდებიან. ანაქსაგორას მიხედვით, ასეთი ნაწილაკებისაგან წარმოიქმნება ბუნების ყველა სხეული. — 273.
- 94 ს ო ფ ი ს ტ ე ბ ი (ბერძნულად სოფისტი — ბრძენი) — ფილოსოფოს-პროფესიონალების, ფილოსოფიისა და მკვერამეტყველების მასწავლებელთა სახელწოდება (ჩვ. წელთაღრიცხვამდე V საუკუნის მეორე ნახევრიდან). სოფისტები არ შეადგენდნენ ერთიან სკოლას. სოფისტების საერთო და ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ მათ სწამდათ ადამიანის ყველა წარმოდგენის, ეთიკური ნორმებისა და შეფასებათა შეფარდებითობა; ეს რწმენა პროტაგორამ შემდეგი დებულებით გამოხატა: «ადამიანი არის საზომი ყველა ნივთისა, საზომი არ-

- სებულისა — რომ ის არსებობს, და საზომი არარსებულსა — რომ ის არ არსებობს. IV საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სოფისტიკა დაიშალა და გადაგვარდა ლოგიკური ცნებებით უნაყოფო თამაშად. — 275.
- 95 ფენომენოლოგიზმი — სახესხვაობა სუბიექტური იდეალიზმისა, რომელსაც მიაჩნია, რომ მოვლენა უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც ადამიანის შეგრძნებათა ერთობლიობა. მახიზმი ფენომენალიზმის ერთ-ერთი ფორმა იყო. — 276.
- 96 იხ. ლ. ფოიერბახი «მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი». რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. I, 1955, გვ. 173—174. — 278.
- 97 იგულისხმება ფოიერბახის შემდეგი დებულება: «ფენომენოლოგიის დასაწყისში ჩვენ პირდაპირ ვაწყდებით წინააღმდეგობას სიტყვასა, რომელიც რაღაც ზოგადს წარმოადგენს, და ნივთს შორის. რომელიც მუდამ ცალკეულია» (იხ. ლ. ფოიერბახი. «მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი». რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. I, 1955, § 28, გვ. 174). — 278.
- 98 «მენონი» — პლატონის დიალოგი, სოფისტების წინააღმდეგ მიმართული. «მენონი» ითვლება პლატონის ერთ-ერთ ადრინდელ ნაწარმოებად. — 280.
- 99 გ. ვ. პლენანოვის შრომები ფილოსოფიაში, რომლებსაც ვ. ი. ლენინი იხსენიებს, შემდეგია: ბელტოვი, ნ. «ისტორიაზე მონისტური შეხედულებების განვითარების საკითხისათვის», ცალკე წიგნად გამოვიდა 1895 წელს პეტერბურგში (იხ. რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. I, 1956, გვ. 507—772); სტატიები ბოგდანოვის წინააღმდეგ იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიულ პერიოდულ ლიტერატურაში და შეტანილია კრებულში «თავდაცვიდან თავდასხმაზე» (1910) (იხ. თხზულებანი, ტ. XVII, 1924); სტატიები კანტელების — ე. ბერნ-შტეინის, კ. შმიდტისა და სხვათა წინააღმდეგ იბეჭდებოდა ჟურნალში «Die Neue Zeit» და შეტანილია კრებულში: ნ. ბელტოვი. «ჩვენი კრიტიკოსების კრიტიკა», სპბ., 1906; «მარქსიზმის ძირითადი საკითხები» ცალკე წიგნად გამოვიდა 1908 წელს პეტერბურგში (იხ. რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, ტ. II, 1956, გვ. 504—633; ტ. III, 1957, გვ. 124—196). — 281.
- 100 კირენელები — ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლა, დაარსებული V საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კირენაში (ჩრდილ. აფრიკა) არისტიპეს მიერ. შემეცნების თეორიაში კირენელები ემყარებოდნენ სენსუალიზმს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ობიექტური კე-

მართება არ არსებობს და რომ უტყუარად ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ სუბიექტურ შეგრძნებაზე. შემეცნების სენსუალისტური თეორია კირენელებმა შეავსეს სენსუალისტური ეთიკით — მოძღვრებით გრძნობად სიამოვნებაზე როგორც მორალის საფუძველზე. კირენელთა სკოლას ეკუთვნიან ანტიკური ათეიზმის რიგი წარმომადგენელი. — 283.

- 101 იგულისხმება § 38 «არისტოტეს და კირენელთა ანუ გედონისტთა სკოლა» წიგნისა: Ueberweg, Fr «Grundriß der Geschichte der Philosophie des Altertums». 10 Auflage, Berlin, 1909. (იბერვეგი, ფრ. «ნარკვევი ძველი დროის ფილოსოფიის ისტორიიდან». მე-10 გამოც., ბერლინი, 1909).

დიალოგში «თ ე ე ტ ე ტ ი» პლატონი გადმოგვცემს თავისი შემეცნების მისტიკურ თეორიას; იგი ამბობს, რომ შემეცნება არის გონების ასვლა იდეათა სამყაროში; ეს ასვლა მოგონების მსგავსია, რაღვან, პლატონის შეხედულებით, გონება და სული თავისი წარმოშობით იდეათა ამ ზეგრძნობადს სამყაროს მიეკუთვნება. — 283.

- 102 იხ. ლ. ფოიერბახი. «სხეულისა და სულის, ხორცისა და გონის დუალიზმის წინააღმდეგ» (რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. I, 1955, გვ. 238). — 290.

- 103 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი». თბ., 1952, გვ. 43—44. — 290.

- 104 ს ტ ო ი კ ო ს ე ბ ი — წარმომადგენელი ფილოსოფიური მიმართულებისა, რომელიც წარმოიშვა ძველ საბერძნეთში დაახლ. III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და იარსება ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე. სტოიკოსები განასხვავებდნენ სამყაროში ორ საწყისს: განმცდელს — უთვისებრივო მატერიას და მოქმედ საწყისს — გონებას, ლოგოსს, ღმერთს. ლოგიკაში სტოიკოსები იმ დებულებას ემყარებოდნენ, რომ ყოველი შემეცნების წყაროს წარმოადგენს გრძნობადი აღქმა და რომ წარმოადგენს შეიძლება იყოს ჰეშმარიტი მხოლოდ მაშინ, როცა იგი საგნის უტყუარი და სრული ანაბეჭდია. მაგრამ, სტოიკოსთა მოძღვრების თანახმად, აღქმის მსჯელობა მხოლოდ იმის შედეგად წარმოიშვება, რომ გონება ეთანხმება ჰეშმარიტ წარმოდგენას; ამ უკანასკნელს სტოიკოსები უწოდებდნენ «კატალექსიურს» («შეტევითს») და მასში ხედავდნენ ჰეშმარიტობის კრიტერიუმს. — 295.

- 105 იხ. ლ. ფოიერბახი. «ლექციები რელიგიის არსებაზე». რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. II, 1955, გვ. 510: «ადამიანის ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა გაღმერთებული არსება ადამიანისა», იხ. აგრეთვე გვ. 796—797. — 303.

- 106 ს კ ე პ ტ ი კ ო ს ე ბ ი — ამ შემთხვევაში წარმომადგენელი ძველი

ბერძნული ფილოსოფიური სკოლისა, რომელიც პირონმა დააარსა (დაახლ. 365—275 წლებში ჩვ. წელთაღრიცხვამდე). ანტიკური სკეპტიციზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ ენეზიდემი და სექსტ ემპირიკოსი (ჩვ. წ. აღრიცხვის 2 საუკ.).

ტროპები (ნაბრუნნი, ხერხები) — ასე ეწოდებოდა იმ მოსაზრებებს (ათ ტროპს), რომლებიც წამოაყენეს ძველმა სკეპტიკოსებმა და აგრძობს მიერ შემდგომ დამატებულ ახალ ტროპებს (ხუთ ტროპს). ამ მოსაზრებებით სკეპტიკოსები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ნივთთა შემეცნების შეუძლებლობა და ყოველი აღქმის აბსოლუტური შეფარდებითობა. — 303.

107 ახალპლატონელები — მისტიკური ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევარნი, რომელსაც საფუძვლად ედო პლატონის იდეალიზმი. ახალპლატონიზმი (სკოლის მეთაური ალოტინი), რომელიც ჩვენო წელთაღრიცხვის III—V საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, წარმოადგენდა სტოიკურ, ეპიკურულ და სკეპტიკურ მოძღვრებათა შეხამებას პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიასთან (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 3, 1955, გვ. 129). ახალპლატონიზმის გავლენა ძლიერი იყო შუა საუკუნეებში, იგი ასახა შუა საუკუნეების უდიდეს ღვთისმეტყველთა მოძღვრებებში და ვხვდებით აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ზოგიერთ მიმდინარეობაში. — 309.

108 კაბალა — შუა საუკუნეების რელიგიურ-მისტიკური «მოძღვრება», რამაც გავრცელება ჰპოვა იუდაიზმის ყველაზე ფანატიკურ წარმომადგენელთა წრეში და აგრეთვე ქრისტიანობისა და ისლამის მიმდევართა შორის. ამ მოძღვრების ძირითადი აზრია სიმბოლური განმარტება «საღვთო წერილისა», რომლის თვითველ სიტყვასა და რიცხვს კაბალისტები განსაკუთრებულ მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. — 310.

109 გნოსტიკოსები — აღრინდელი ქრისტიანობის პერიოდის რელიგიურ-მისტიკური მიმდინარეობა; ძველი ბერძნული მატერიალიზმისადმი მტრულად განწყობილი რეაქციული ეკლექტიკური მიმდინარეობა ფილოსოფიაში. — 310.

110 ეკლექტიციზმი — ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემათა მექანიკური გაერთიანება. — 310.

111 ჰეგელის წიგნის «ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე» კონსპექტი ჩაწერილია ცალკე რეველში, რომლის გარეკანზე სწერია: «Hegel». გარეკანის უკანა მხარეზე ფანქარით ჩაწერილია პლატონის დიალოგების ნუსხა და მითითებულია გვერდები ჰეგელის XIV ტომისა, რომელიც შეიცავს ნაშრომის «ლექციები ფილოსოფიის ისტორიაზე» მეორე წიგნს. — 311.

- 112 იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული», თავი IV (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 470—471). — 315.
- 113 იხ. გ. ვ. პლენანოვი. «მარქსიზმის ძირითადი საკითხები» და «ნ. გ. ჩერნოშევსკი» (რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. III, 1957, გვ. 151—153 და ტ. IV, 1958, გვ. 85—86). — 316.
- 114 ვ. ი. ლენინი, ეტყობა, ადარებს ჰეგელისა და ფოიერბახის ფორმულირებებს, რომლებიც საპირისპირო პოზიციებიდან უდგებიან რელიგიის წარმოშობის საკითხს. იხ., მაგალითად, ფოიერბახის თეზისი: «ღვთაებრივ არსებაში იგი [ვ. ი. ადამიანი. რედ.] ასაგნობრივებს თავის საკუთარ არსებას» (იხ. ლ. ფოიერბახი. «ლექციები რელიგიის არსებაზე». რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამ., ტ. II, 1955, გვ. 797). — 318.
- 115 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს, ალბათ, შემდეგი დებულება კ. მარქსის ნაშრომიდან «სამოქალაქო ომი საფრანგეთში»: «ნაცვლად იმისა, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლებით ყოველი სამი თუ ექვსი წლის განმავლობაში ერთხელ გადაწყვეტილიყო, თუ გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა უნდა წარმოადგინოს და დათრგუნოს პარლამენტში ხალხი, ამის ნაცვლად მის სამსახური უნდა გაეწია კომუნებად დარაზმული ხალხისათვის...» (იხ. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში. თბ., 1954, გვ. 74). — 320.
- 116 ჰეგელის დიალექტიკის (ლოგიკის) გეგმა ჩაწერილია რვეულში უშუალოდ ე. ნოელის წიგნის «ჰეგელის ლოგიკა» კონსპექტისა და «ჰიგილიზმის შესახებ თხზულებათა» სიის შემდეგ; შედგენილია 1915 წელს. — 324.
- 117 შენიშვნები წიგნის Georges Noël. «La logique de Hegel». Paris, 1897 (ეორე ნოელი. «ჰეგელის ლოგიკა». პარიზი, 1897) შესახებ ჩაწერილია რვეულში, რომლის გარეკანზე ვ. ი. ლენინს მიწერილი აქვს: «ფილოსოფია». ჩანაწერი გაკეთებულია. ალბათ, ენევაში 1915 წელს. — 328.
- 118 ნოუმენები და ფენომენები — ტერმინები, რომლებსაც კანტი ხმარობდა თავის შემეცნების თეორიაში. ნოუმენი არის ნივთი თავისთავად, ფენომენი — მოვლენა. კანტის თანახმად, ფენომენები წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ ადამიანზე ზემოქმედებას ახდენს რაიმე (ნივთები თავისთავად). ნოუმენები იმყოფებიან ვითომდა მოვლენათა მიღმა და შეუცნობადი რაობანი არიან. — 332.
- 119 შენიშვნა წიგნზე J. Perrin. «Traité de chimie

- physique: les principes». Paris, 1903 (ტ. პერენი. «ტრაქტატი ფიზიკური ქიმიის შესახებ: პრინციპები». პარიზი, 1903) ჩაწერილია რვეულში ჰეგელის «ლოგიკის მეცნიერების» კონსპექტის მიყოლებით და 1914 წლის დამლევს ეკუთვნის. — 335.
- 120 ვ. ი. ლენინის შენიშვნები წიგნზე Peter Genoff. «Feuerbachs Erkenntnistheorie und Metaphysik». Zürich, 1911 (Berne Dissertation) (S. 89) (პეტრე გენოვი. «ფოიერბახის შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა». ციურხი, 1911 (ბერნის დისერტაცია) (გვ. 89)) დაწერილია ბერნში 1914 წლის 29—30 დეკემბერს. — 337.
- 121 სიტყვებით «თეზისები და პრინციპები» ნაგულისხმევია ფოიერბახის ორი შრომა: «Vorläufige Thesen zur Reform der Philosophie» («ფილოსოფიის რეფორმის წინასწარი თეზისები») და «Grundsätze der Philosophie der Zukunft» («მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი»), დაბეჭდილი ბოლინისა და იოდლის მიერ გამოცემულ ფოიერბახის თხზულებათა II ტომში. ამავე ტომში დაიბეჭდა შრომა «Wider den Dualismus von Leib und Seele, Fleisch und Geist» («სხეულისა და სულის, ხორცისა და გონის დუალიზმის წინააღმდეგ. გამოთქმით «განსაკუთრებით «სპირიტუალიზმისა და მატერიალიზმის შესახებ» იგულისხმება X ტომში დაბეჭდილი შრომა «Über Spiritualismus und Materialismus in besonderer Beziehung auf die Willensfreiheit» («სპირიტუალიზმისა და მატერიალიზმის შესახებ, განსაკუთრებით მათს მიმართებაზე ნების თავისუფლებისადმი»). — 337.
- 122 იგულისხმება წიგნი Fr. A. Lange. «Geschichte des Materialismus» (ფრ. ა. ლანგე. «მატერიალიზმის ისტორია», სადაც მატერიალიზმის ისტორია დამახინჯებულადაა გადმოცემული. — 339.
- 123 იგულისხმება წიგნი K. Grün. «Ludwig Feuerbach's Briefwechsel und Nachlass» (კ. გრიუნი. «ლუდვიგ ფოიერბახის მიმოწერა და ლიტერატურული მემკვიდრეობა»). — 339.
- 124 შენიშვნა წიგნზე Paul Volkmann. «Erkenntnistheoretische Grundzüge der Naturwissenschaften» (Wissenschaft und Hypothese. IX) 2. Auflage. Leipzig, 1910 (პაულ ფოლკმანი. «ბუნების მეცნიერებათა თეორიულ-შემეცნებითი საფუძვლები» (მეცნიერება და ჰიპოთეზა. IX) მე-2 გამოცემა. ლაიპციგი, 1910) დაწერილია რვეულში გენოვის დისერტაციის შესახებ ჩაწერილი შენიშვნების შემდგომ. — 340.
- 125 შენიშვნები წიგნზე Max Verworn. «Die Biogenhypothese». Jena, 1903 (მაქს ფერვორნი. «ბიოგენური ჰიპოთე-

- ზა». იენა, 1903) ჩაწერილია რვეულში ფოლკმანის წიგნის შესახებ მოცემული შენიშვნის შემდგომ. — 341.
- 126 თავისი წიგნის მე-9 გვერდზე მ. ფერვორნი ასე განმარტავს სიტყვას «Enzyme»: «ენზიმები — ეს არის ცოცხალი სუბსტანციის პროდუქტები, რომლებიც იმით გამოირჩევიან, რომ მათ შეუძლიათ გარკვეული ქიმიური შენაერთების დიდ რაოდენობათა დაყოფა ისე მოახდინონ, რომ თვით არ განიცადონ დაშლა». — 341.
- 127 შენიშვნები წიგნზე Fr. Dannemann. «Wie unser Weltbild entstand» (Kosmos). Stuttgart, 1912 (ფრ. დანემანი. «როგორ იქმნებოდა ჩვენი სამყაროს სურათი» (კოსმოსი). შტუტგარტი, 1912) ჩაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ რვეულში უ. ნოელის წიგნის «ჰეგელის ლოგიკა» კონსპექტამდე. — 343.
- 128 ამონაწერები წიგნიდან Ludwig Darmstaedter. «Handbuch zur Geschichte der Naturwissenschaften und der Technik». Berlin, 1908 (ალუდვიგ დარმშტედტერი. «ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის სახელმძღვანელო». ბერლინი, 1908) შეტანილია რვეულში უშუალოდ უ. ნოელის წიგნის «ჰეგელის ლოგიკა» კონსპექტის წინ. — 345.
- 129 ამონაწერები წიგნიდან Napoléon. «Pensées». Paris. 1913, Bibliothèque miniature № 14 (ნაპოლეონი. «აზრები». პარიზი, 1913, მინიატურული ბიბლიოთეკა № 14) გაკეთებულია ბერნში 1915 წელს. ჩაწერილია იმ რვეულის პირველი გვერდის ბოლოში, რომელიც შეიცავს უ. ნოელის წიგნის «ჰეგელის ლოგიკის» კონსპექტს. — 346.
- 130 შენიშვნა წიგნზე Artur Erich Haas. «Der Geist des Helfentums in der modernen Physik». Leipzig, 1914 (32 SS.) (Veit & Co) (არტურ ერიხ ჰაასი. «ელინიზმის სულისკვეთება თანამედროვე ფიზიკაში». ლაიპციგი, 1914 (გვ. 32) (ფეიტი და კომპ.)) ჩაწერილია რვეულში «ჰეგელის დიალექტიკის (ლოგიკის) გეგმის» შემდგომ. — 347.
- 131 შენიშვნა წიგნზე Th. Lipps. «Naturwissenschaft und Weltanschauung» (ტ. ლიპსი. «ბუნებისმეტყველება და მსოფლმხედველობა») ჩაწერილია იმ შენიშვნის შემდეგ, რომელიც ეხება ჰაასის წიგნს «ელინიზმის სულისკვეთება თანამედროვე ფიზიკაში». — 348.
- 132 კონსპექტი ლასალის წიგნისა «Die Philosophie Herakleitos des Dunklen von Ephesos». Berlin, 1858 («ეფესელი ჰერაკლიტე ბნელის ფილოსოფია». ბერლინი,

- 1858) ჩაწერილია რვეულში იმ შენიშვნის შემდეგ, რომელიც ეხება ლიპსის წიგნს «ბუნებისმეტყველება და მსოფლმხედველობა». ლასალის წიგნის კონსპექტის შემდეგ რვეულში ჩაწერილია ფრაგმენტი «დიალექტიკის საკითხისათვის». — 349.
- 133 ვ. ი. ლენინის მხედველობაში აქვს მარქსის წერილი ენგელსისადმი 1858 წლის 1 თებერვლის თარიღით (იხ. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 96—98). — 351.
- 134 ვ. ი. ლენინის მიერ აქ მოხსენიებული ტექსტი პლუტარქედან, რუსულ ენაზე თარგმნილი, დაიბეჭდა ლენინის XII კრებულში, რუს. გამ., 1930, გვ. 319—320. — 354.
- 135 ა რ ი მ ა ნ ი — ბერძნული სახელწოდება ძველი სპარსეთის ღმერთისა, რომელიც ასახიერებდა ბოროტ საწყისს და თავისი ძმის — კეთილი ღმერთის — ორმუზდის მუდმივი და შეუირიგებელი მტერი იყო. — 358.
- 136 ზ ე ნ დ - ა ვ ე ს ტ ა ანუ ა ვ ე ს ტ ა — სახელწოდება ძველი სპარსული რელიგიური წიგნებისა, სადაც გადმოცემულია ზოროასტრას რელიგია. — 358.
- 137 იგულისხმება კ. მარქსის «თეზისები ფოიერბახის შესახებ», დაწერილი 1845 წელს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II. თბ., 1950, გვ. 484—487). — 361.
- 138 «კ რ ა ტ ი ლ ე» — პლატონის დიალოგი, მიმართული სოფისტების წინააღმდეგ. — 362.
- 139 ფრაგმენტი «დიალექტიკის საკითხისათვის» ჩაწერილია რვეულში ჰერაკლიტეს შესახებ ლასალის წიგნის კონსპექტსა და არისტოტელეს «მეტაფიზიკის» კონსპექტს შორის. დაწერილია 1915 წელს ბერნში. — 367.
- 140 იგულისხმება ი. დიცგენის მიერ გამოყენებული ტერმინი *überschwen- glich*, რაც ნიშნავს: გადაჭარბებული, მეტისმეტი, უზომო; მაგალითად. წიგნში «Kleinere philosophische Schriften». Stuttgart, 1903, გვ. 204 («ბატარა ფილოსოფიური შრომები». შტუტგარტი, 1903) დიცგენი იყენებს ამ ტერმინს და წერს: «აბსოლუტური და შეფარდებითი არ არიან უზომოდ გაშორიშორებულნი». იხ. აგრეთვე ი. დიცგენი «ადამიანის თავის მუშაობის არსება». რუს. გამ., მ., 1907, გვ. 88, სულსა და გრძნობად სამყაროს შორის არსებული სხვაობის საზომის შესახებ. — 375.
- 141 კონსპექტი არისტოტელეს წიგნისა «მეტაფიზიკა», რომელიც შეველერმა გამოსცა ბერძნულ ენაზე გერმანული თარ-

- გმანითურთ, ჩაწერილია რვეულში უშუალოდ ფრაგმენტის «დიალექტიკის საკითხისათვის» შემდეგ. — 377.
- 142 იხ. დ. ი. პისარევი «მოუძწიფებელი აზრის შეცდომები». (თხზულება-ნი, რუს. გამ., ტ. 3, 1956, გვ. 147—151). — 385.
- 143 კონსპექტი ლ. ფოიერბახის წიგნისა «Darstellung, Entwicklung und Kritik der Leibnizschen Philosophie». Sämtliche Werke. Bd. IV, Stuttgart, 1910 («ლაიბნიცის ფილოსოფიის გადმოცემა, ანალიზი და კრიტიკა». თხზულებანი, ტ. IV, შტუტგარტი, 1910) ჩაწერილია ცალკე რვეულში, რომლის გარეკანზე სწერია: «ფოიერბახი». კონსპექტი შედგენილია ბერნში, 1914 წლის დამლევს ან 1915 წლის დამდეგს. — 389.
- 144 ლენინის მიერ აღნიშნულ ადგილას ფოიერბახი წერს: «სპინოზას ფილოსოფია ტელესკოპია, რომელიც ადამიანის თვალისათვის მისაწვდომს ხდის საგნებს, რომლებიც მისთვის უჩინარია დაშორებულობის გამო; ლაიბნიცის ფილოსოფია მიკროსკოპია, რომელიც დასანახს ხდის საგნებს, რომლებიც შეუმჩნეველნი არიან მათი მცირე სიდიდისა და სიწვრილის გამო» (იხ. L. Feuerbach. Sämtliche Werke. Bd. IV, 1910, S. 34) (ლ. ფოიერბახი. თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 34). — 391.
- 145 იხ. მარქსის წერილი ენგელსისადმი 1870 წლის 10 მაისის თარიღით (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, რუს. გამ., 1931, გვ. 337). — 392.
- 146 ენტელექია — იდეალისტური ფილოსოფიის ტერმინი, რომელიც არისტოტელეს მიხედვით, ნიშნავს საგნის შინაგან დამახასიათებელ მიზანს, რაც თავისი მოქმედების მეშვეობით შესაძლებელიდან ნამდვილ მიზნად იქცევა. ლაიბნიცის თანახმად, ენტელექია არის მონადის მისწრაფება მასში პოტენციურად მოთავსებული სრულყოფილობის რეალიზაციისადმი. — 394.
- 147 ლენინს მხედველობაში აქვს ფოიერბახის შემდეგი გამოთქმა: «წინასწარ დადგენილი ჰარმონია, თუმცა ეს მისი საყვარელი პირშეშოა, — ლაიბნიცის სუსტი მხარეა... წინასწარ დადგენილი ჰარმონია, მონადის მიმართ წმინდა გარეგნულად გაგებული, ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ლაიბნიცის ფილოსოფიის სულისკვეთებას» (იხ. L. Feuerbach. Sämtliche Werke. Bd. IV, 1910, S. 95) (ლ. ფოიერბახი. თხზულებათა კრებული, ტ. IV, 1910, გვ. 95). — 395.
- 148 ოკაზიონალიზმი — რელიგიურ-იდეალისტური მიმდინარეობა XVII საუკუნის ფილოსოფიაში, რომელიც რ. დეკარტის მოძღვრებას ხტობისა და მისტიკის სულისკვეთების შესაბამისად ამახინჯებდა.

ოკაზონალისტები აყენებდნენ რეაქციულ დებულებას იმის შესახებ, რომ ყველა მოქმედება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური, და ურთიერთკავშირი მათ შორის ხორციელდება ღმერთის მეშვეობით.—395.

- 149 «თეოლოგია» («ღმერთის გამართლება») — შემოკლებული სახელწოდება წიგნისა G. W. Leibniz. «Essais de Theodicée sur la bonté de Dieu, la liberté de l'homme et l'origine du mal» (გ. ვ. ლაიბნიცი. «თეოლოგიის ცდები ღვთის სიკეთის, ადამიანის თავისუფლებისა და ბოროტების წარმოშობის შესახებ»). — 395.
